ბ. ტალიაშვილი, ვ. შადური

რუსული ლიტერატურის ისტორია

(ძველი დროიდან XX საუკუნემდე)

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1978

წინამდებარე წიგნში თანმიმდევრულადაა განხილული რუსული ლიტერატურის ისტორია ძველი დროიდან XX საუკუნემდე. რადგან სახელმძღვანელო გაკუთვნილია საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებს.

058
———189 — 78
8)—78

© გამომცემლობა „განათლება“,

ძველი რუსული ლიტერატურა

(XI — XVII საუკუნეები)

შესავალი

ძველ რუსეთში ლიტერატურასა და ავტორობაზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ. მხატვრული ლიტერატურა როგორც შემოქმედების დამოუკიდებელი სფერო არ არსებობდა. ის უშუალო კავშირში იყო ისტორიულ, იურიდიულ, საღვთისმეტყველო ძეგლებთან და „საქმიან" ფუნქციებს ასრულებდა. ამიტომ დღემდე სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამა თუ იმ ძეგლის მხატვრულ ნაწარმოებად მიჩნევის შესახებ.

ძველად აღიარებული და ცნობილი იყვნენ მხოლოდ ის ავტორები, რომლებსაც სახელმწიფო ან საეკლესიო ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ. დანარჩენი ავტორები, როგორც წესი, ნაწარმოებებს თავიანთ სახელებს არ აწერდნენ და ამიტომ ჩვენთვის ისინი უცნობნი არიან. ძველმა რუსულმა ლიტერატურამ შეინარჩუნა ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი კოლექტიურობის ნიშნები.

უძველესი დროიდან ძეგლები იწერებოდა პერგამენტზე (ტყავზე), შემდგომ — ქაღალდზე. XVI საუკუნემდე მათი გავრცელების ერთადერთი საშუალება იყო ხელით გადაწერა. გადამწერნი ხშირად რედაქტორებისა და თანაავტორების როლშიც გამოდიოდნენ: ტექსტს თავიანთი შეხედულებისამებრ კეცდნენ ან ავსებდნენ, ზოგჯერ ისეთი იდეურ-სტილისტური ცვლილებები შეჰქონდათ მასში, რომ განსხვავებული რედაქციები ჩნდებოდა. ეს რედაქციები სხვადასხვა დროს იქმნებოდა და ამიტომ მათი დათარიღება ყოველთვის ვერ ხერხდება.

წიგნების შეთხზვა და შენახვა უმთავრესად ხდებოდა ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც ძველ რუსეთში ქრისტიანული განათლებისა და მწერლობის ძირითად კერებს წარმოადგენდა.

ძველ რუსულ ლიტერატურაში ასახულია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, კლასობრივი წინააღმდეგობანი და რუსი ხალხის თავდადებული ბრძოლა გარეშე დამპყრობთაგან (ყივჩაყე-

ბი, პონღოლები და სხვა) სამშობლოს დაცვის საქმეში. ამიტომ მას, პირველ ყოვლისა, დიდი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა აქვს.

გარდა ამისა, ძველი ლიტერატურის ცოდნის გარეშე სწორი წარმოდგენა არ გვექნება მოშველნო პერიოდების ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის კანონზომიერებაზე. გ. დერჟავინის, ა. პუშკინისა და მ. გორკის ეპოქათა კლასიკური მწერლობა წარმოადგენს განვითარების იმ მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობისა, რომლის საძირკველი და პირველი ეტაპი ძველი რუსული ლიტერატურა იყო.

დაბოლოს, შუა საუკუნეთა სიღრმეში შექმნილმა მრავალმა ძეგლმა დღემდე შეინარჩუნა მხატერული ღირსება და ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის თანამედროვე მკითხველსაც.

დაწერლობა და მწიგნობრობა რუსეთს ჯერ კიდევ IX—X საუკუნეებში და, შესაძლოა, უფრო ადრეც ჰქონდა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ადრეული ძეგლები სხვადასხვა შემთხვევის შედეგად განადგურდა (ომები, ხანძრები, სტიქიური უბედურებანი). ჩვენამდე მოღწეული ძეგლები XI საუკუნეს მიეკუთვნება; ამიტომ ძველი რუსული ლიტერატურის ისტორიასაც ჩვეულებრივ ამ დროიდან იწყებენ და პირობითად სამ პერიოდად ყოფენ:

1. ძველი რუსეთის სახელმწიფოს ლიტერატურა (XI—XII საუკუნეები);

2. ფეოდალური დაქუცმაცებისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის გაერთიანების პერიოდის მწერლობა (XIII—XV საუკუნეები);

3. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ლიტერატურა (XVI—XVII სს.);

ძველი რუსეთის სახელმწიფოს ლიტერატურა (XI—XII სს.)

ისტორიული პირობები. თარგმანები. უძველესი დროიდან მრავალრიცხოვანი სლავური ტომები დაქსაქსულად ცხოვრობდნენ. შემდეგ ცალკეული სამთავროები თანდათან გაერთიანდნენ და მეათე საუკუნის დასასრულისათვის შექმნეს ერთიანი სახელმწიფო, რომლის ცენტრად იქცა კიევი. ამიერიდან კიევის მთავარი „დიდ მთავრად“ იწოდებოდა, ხოლო ახალი სახელმწიფო — „კიევის სახელმწიფოდ“ ანუ „კიევის რუსეთად“.

უკვე ვლადიმერის დროს (978—1015) რუსეთი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს ქვეყნად იყო ცნობილი. ვლადიმერის შვილმა — იაროსლავ ბრძენმა კიდევ უფრო გააფართოვა და განამტკიცა იგი. პოლიტიკურმა მთლიანობამ და ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო კულტურული დონის ამაღლებას, სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის სწრაფ ზრდას.

მწერლობის ცენტრად კიევი იქცა, მაგრამ „კიევის ლიტერატურა“ ვიწრო ადგილობრივი ხასიათისა არ ყოფილა. მის შექმნაში სხვა ქალაქებიც მონაწილეობდნენ. კიევში შექმნილი ძეგლები ვრცელდებოდა მთელ სახელმწიფოში. ეს იყო ველიკორუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების საერთო ლიტერატურა. იგი იქმნებოდა სამხრეთ სლავთა ძველ ლიტერატურულ ენაზე.

ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ პროგრესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქრისტიანობა, რომელიც რუსეთმა 988 წელს მიიღო.

ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვისა და პროპაგანდისათვის საჭირო გახდა საღვთისმსახურო წიგნები, რომლებითაც მეტად მდიდარი იყო ბიზანტია და ბულგარეთი. ამიტომ რუსეთში დაიწყო მათი გულდასმით თარგმნა ბერძნულიდან და ნაწილობრივ ბულგარულიდან. ასეთი იყო ბიბლია და ბიბლიასთან დაკავშირებული ძეგლები — ეგრეთ წოდებული აპოკრიფები, აგრეთვე „წმინდანთა ცხოვრებანი“ („Жития святых“), რომლებიც მოუთხრობდნენ ამა თუ იმ წმინდანის ქრისტიანობისათვის თავდადებაზე.

„ცხოვრების“ ჟანრს უახლოვდება მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული „მოთხრობა ვარლაამისა და იოსაფის შესახებ“ („Повесть о Варлаame и Иосафе“), რომლის ქართულ ვერსიას „სიბრძნე ბალაჰვარისა“ ეწოდება. ეს არის ქრისტიანულ ყაიდაზე გადამუშავებული აღმოსავლური თქმულება ბუდას ცხოვრების შესახებ. მისი ქართული ვერსია საფუძვლად დაედო ბერძნულ ტექსტს, ხოლო ბერძნული ენიდან იგი სხვადასხვა ენაზე თარგმნეს.

მოთხრობაში აღწერილია ინდოეთის წარმართი მეფის ამაო ბრძოლა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების წინააღმდეგ. მის ქვეყანაში ქრისტიანული მოძღვრება იმდენად ძლევამოსილი აღმოჩნდა, რომ მას წინ ვერაფერი უდგება. მეუდაბნოე ვარლაამი (ქართული ვერსიით — ბალაჰვარი) ღვთის შთაგონებით ინდოეთს ეწვევა, მეფისწულ იოსაფს (ქართულში — იოდასაფს) შეხვდება, მას ქრისტიანულ მოძღვრებას გააცნობს, გააქრისტიანებს და თვითონ კვლავ უდაბნოში დაბრუნდება. ამის შემდეგ ახალი სარწმუნოება მთელ ინდოეთში ვრცელდება.

ორიგინალური რუსული ძეგლები. მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებამდე რუსეთის ეკლესია ბიზანტიას ექვემდებარებოდა. იაროსლავ ბრძენმა გადაწყვიტა განემტკიცებინა რუსული სახელმწიფოს პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობა. ამ მიზნით მან ბევრი ღონისძიება გაატარა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კიევის მიტროპოლიის დაარსება, სადაც მიტროპოლიტად 1051 წ. რუსი ილარიონი დანიშნა (მანამდე მიტროპოლიტებად მხოლოდ ბერძნები იყვნენ. რომლებიც ხშირად ერეოდნენ რუსეთის საშინაო საქმეებში).

ილარიონის კალამს ეკუთვნის „სიტყვა კანონსა და მადლზე" („Слово о Законе и Благодати"), რომელიც საზეიმო ქადაგების ჟანრს განეკუთვნება. ამ ძეგლში მკაფიოდ აისახა იაროსლავ ბრძენის პოლიტიკური იდეები. ილარიონი ქადაგებდა ქრისტიან ხალხთა თანასწორუფლებიანობას, მათი გაქრისტიანების დროის მიუხედავად. ნაწარმოების ეს ძირითადი იდეა მიმართული იყო ბიზანტიის ეკლესიის მსოფლიო ჰეგემონიაზე პრეტენზიების წინააღმდეგ. ილარიონი ერთმანეთს უპირისპირებდა „კანონსა" (ძველ აღთქმას) და „მადლს" (ახალ აღთქმას). პირველი მათგანი, ავტორის აზრით, შეჩღუდულია და მიუღებელი, რადგან გამოხატავს ყალბ შეხედულებას, თითქოს „ღვთისაგან რჩეულია" ერთი რომელიმე ერი, რომელსაც სხვა ხალხებთან შედარებით მეტი ღირსება, უპირატესობა და უფლებები აქვს. „მადლი" კი ფართო და უნივერსალური ხასიათის მატარებელია, რადგან ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობას გამოხატავს. ამიტომ ძველი აღთქმა მონობაა, ახალი აღთქმა კი — თავისუფლება. ილარიონი „კანონს" ადარებდა მთვარის მკრთალ შუქს და ღამის სიბნელეს, ხოლო „მადლს" — მზის ბრწყინვალებასა და სითბოს. ამის შემდეგ ავტორი ქება-დიდებას ასხამდა კიევის მთავარს ვლადიმერს, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო არა რაიმე უცხო გავლენის შედეგად, არამედ საკუთარი სურვილითა და ღვთის შთაგონებით.

ილარიონის „სიტყვა" წარმოადგენს საეკლესიო ქადაგების ბრწყინვალე ნიმუშს და ამავე დროს პოლიტიკურ-პატრიოტულ თხზულებას, რომელიც მხატვრულ ფორმაში ასაბუთებს რუსეთის სახელმწიფოებრივ და რელიგიურ დამოუკიდებლობას.

რუსეთის ახალგაზრდა სახელმწიფომ თავისი პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით საკუთარი წმინდანები დააკანონა და მათზე ორიგინალური მოთხრობები შექმნა. პირველ რუს წმინდანებად დაკანონებული იყვნენ იაროსლავ ბრძენის ძმები — ბორისი და გლები. სწორედ მათი ტრაგიკული ისტორია აღ-

.წერა ჩვენთვის უცნობმა ავტორმა ნაწარმოებში „თ ქ მ უ ლ ე ბ ა ბ ო რ ი ს ი ს ა და გ ლ ე ბ ზ ე“ („Сказаніе о Борисе и Глебе“). „თქმულება“ განეკუთვნება „წმინდანთა ცხოვრების“ ჟანრის ნაწარმოებს. რომლებშიც ჩვეულებრივ ქრისტიანობისათვის თავდადებულთა და წამებულთა ცხოვრება — მოღვაწეობაზე მოუთხრობდნენ, მაგრამ ამავე დროს ამ ორიგინალურ თხზულებაში ასახულია ძველი რუსეთის ისტორიული ამბები. ავტორი გვამცნობს, რომ კიევის მთავარი ვლადიმერი ქრისტიანობის მიღებიდან 28 წლის შემდეგ მძიმედ დაავადდა და გარდაიცვალა. ვლადიმერის უფროსმა შვილმა სვიატოპოლკმა გადაწყვიტა თავისი ძმების ამოწყვეტა, რათა თვითონ გამხდარიყო ქვეყნის ერთადერთი ბატონ-პატრონი. თუმცა ბორისი და გლები ტახტზე არავითარ პრეტენზიას არ აცხადებდნენ და უფროსი ძმის სვიატოპოლკის მიმართ სრულ მორჩილებას, სიყვარულსა და ნდობას იჩენდნენ, მან მაინც ვერაგულად დახოცა ისინი.

ავტორი ჯერ დაწვრილებით აგვიწერს მკვლელობის შემაძრწუნებელ სურათებს, შემდეგ სვიატოპოლკის დამარცხებას უმცროს ძმასთან — იაროსლავთან ბრძოლაში. სვიატოპოლკი უდაბნოში გაიქცა, იქ დალია სული და საიქიოს მარადიული ტანჯვა დაიმსახურა. კიევში მთელი ძალა-უფლება იაროსლავ ბრძენმა მიიღო. მის შემდეგ ძმათა შორის ბრძოლებს რუსეთში ბოლო მოეღო.

ნაწარმოებში სწორადაა გადმოცემული ისტორიული მოვლენები, ზუსტად არის დასახელებული გეოგრაფიული ადგილები და ისტორიული პირები, თუმცა ამავე დროს გამოყენებულია „წმინდანთა ცხოვრების“ ჟანრისათვის დამახასიათებელი შაბლონური სქემები. ავტორი კიცხავს ძმათა შორის ბრძოლას, მთავართა უთანხმოებას, ვერაგობას და ქადაგებს გვარის უფროსის უპირატესობის იდეას. „თქმულება“ მეტად პოპულარული იყო კიევის რუსეთში, რადგან იგი ემსახურებოდა ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა--- განმტკიცების ინტერესებს და ცოცხლად ასახავდა დრამატიზმით აღსავსე ისტორიულ ამბებს.

XII საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად მიჩნეულია ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ო ნ ო მ ა ხ ი ს „რ ჩ ე ვ ა-დ ა რ ი გ ე ბ ა“ („Поученіе“). გარეგნულად ის საეკლესიო ქადაგებას წააგავს, არსებითად კი საერო ხასიათის ნაწარმოებია და ავტორიც საერო კაცია. ვლადიმერ მონომახი (1053—1125) შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი იყო. მას მოღვაწეობა მოუხდა ფეოდალური შუღლისა და კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავების ხანაში. ვლადიმერი, როგორც კიევის დიდი მთავარი, ცდილობდა ამ წინააღმდეგობათა შერბილებას და სახელმწიფოებრივი მთლიანობის უზრუნველყოფას. მისი თაოსნობით არაერთხელ შეკრებილან რუსი მთავრები სადაეო საკითხების

ეკლესიისათვის. ძირითადად ამ მიზნებს ემსახურებოდა კლადიმერის „რჩევა-დარიგებაც“.

ავტორი თავის „შვილებს“ (მთავრებს და საერთოდ მკითხველებს) ცოცხალი ენით ესაუბრება და რჩევა-დარიგებას აძლევს, თუ როგორ იცხოვრონ და იმოღვაწონ: თანაც საილუსტრაციოდ და სანიმუშოდ პირადი თავგადასავალი და საკუთარი მაგალითები მოჰყავს.

„კაცი უნდა ადგეს მზის ამოსვლამდე,— ამბობს ვლადიმერი,— ასე ვაკეთებდი მე, ასე აკეთებდნენ მამაჩემი და სხვა ღირსეული კაცნი“. „სიზარმაცეა ყველა უმსგავსობის დედა: ზარმაცმა თუ რაიმე იცის, დავიწყდება, ხოლო რაც არ იცის, იმას ვერც ისწავლის“. ავტორს ადამიანის მთავარ მოვალეობად მიაჩნია სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომა. ის „შვილებს“ მოუწოდებს: უანგაროდ ემსახურეთ რუსეთის მიწა-წყალს, ლმობიერება გამოიჩინეთ ქვეშევრდომი გლეხობისადმი, ძლიერს სუსტი და უძლურნი არ დააჩაგრინოთ, ღატაკნი და ქვრივ-ობლები შეიბრალეთ და მათ დახმარება აღმოუჩინეთ. „არც უდანაშაულო მოჰკლათ და არც დამნაშავე“, „ძარცვა-გლეჯის უფლება არ მისცეთ არც საკუთარ და არც უცხო მეომრებს“, ღვთობასა და გარყვნილებას არ ნიჰყვეთ, საერთო ინტერესები პირად კეთილდღეობაზე მაღლა დააყენეთო და სხვ.

„რჩევა-დარიგება“ წარმოადგენს უმთავრესად გაბატონებული კლასისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელო დოკუმენტს და მიზნად ისახავს ქვეყნის დაქუცმაცების, ფეოდალური ქიშპობისა და კლასთა ბრძოლის თავიდან აცილებას. მაგრამ ამავე დროს ავტორი ფეოდალურ სისასტიკეს გმობს და ჰუმანურ იდეებს ქადაგებს.

„კიევის პერიოდის“ რუსეთში სხვა ჟანრის თხზულებებიც იწერებოდა. მაგალითად, რუსულ მატიანეში (Летопись) მრავალი ისტორიული და ფოლკლორული ნაწარმოებია შეტანილი. აღსანიშნავია აგრეთვე სამოგზაურო—მემუარული ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორები აღწერდნენ თავიანთ მოგზაურობას პალესტინასა და სხვა „წმინდა ადგილებში“ (ამ ჟანრის ძეგლებიდან თავისი მხატვრულობით გამოირჩევა დანიელ მამამთავრის „მოსვლა“ ანუ „მგზავრობა“ — „Хождение“). მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ძეგლის აღმოჩენისა და გამოქვეყნების ისტორია. 1795 წელს სიძველეთა მოყვარულმა ა. მუსინ-პუშკინმა რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში შეიძინა ხელნაწერი, კრებული, რომელშიც სხვა ტექსტებთან ერთად აღმოჩნდა იქამდე სრულიად უცნობი „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ („Слово о полку Иго-

ეხება"). ეს იყო XII საუკუნის ბოლოს შექმნილი ტბარწყინვალესი ლიტერატურული ძეგლი.

ა. მუსინ-პუშკინმა ორი მეცნიერ-თანამშრომლის დახმარებით „ამბავი" 1800 წელს გამოსცა შესავალი წერილით, შენიშვნებითა და ახალ რუსულ ენაზე თარგმანით. ამ ბეჭდურ ტექსტში ბევრი შეცდომა და ბუნტოვანი ადგილია, რაც იმით აიხსნება, რომ მაშინ ტექსტოლოგია განვითარებული არ იყო და, გარდა ამისა, ა. მუსინ-პუშკინის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო ბეჭდურ ტექსტს, სამი-ოთხი საუკუნით იყო დაშორებული თხზულების შექმნის დროს (ფიქრობენ, რომ ნაპოვნი ხელნაწერი XVI საუკუნეს მიეკუთვნებოდა). გადამწერები კი, როგორც ცნობილია, ხშირად ცვლიდნენ და ამახინჯებდნენ ტექსტებს. სამწუხაროდ, „იგორის ლაშქრობის" ეს ერთადერთი ხელნაწერიც 1812 წელს ა. მუსინ-პუშკინის ბიბლიოთეკასთან ერთად დაიწვა მოსკოვის ხანძრის დროს. შეგვრჩა მხოლოდ მისი პირი, რომელიც ეკატერინე მეორისათვის იყო გადაწერილი. ეს ნუსხა ძირითადად ემთხვევა 1800 წლის გამოცემას, თუმცა მათ შორის საკმაო განსხვავებაცაა.

„ამბავის" გამოცემისთანავე აღმოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებსაც ეჭვი შეეპარათ ძეგლის სიძველეში. ისინი ამბობდნენ: XII საუკუნეში რუსული კულტურა იმდენად მაღალ დონეზე არ მდგარა, რომ ასეთი ბრწყინვალე ნაწარმოები შეექმნაო; წინააღმდეგ შემთხვევაში „იგორის ლაშქრობის" ბადალი იმდროინდელი სხვა თხზულებებიც გვექნებოდაო; გარდა ამისა, „ამბავის" ენა კიევის პერიოდის სხვა ძეგლთა ენისაგან საგრძნობლად განსხვავდებაო. ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ეს ნაწარმოები თვით ა. მუსინ-პუშკინმა, ან ნ. კარამზინმა, ან სხვა ვინმემ შეთხზაო. მაგრამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მათ წინააღმდეგ მრავალმა ლიტერატურათმცოდნემ, ენათმეცნიერმა და ისტორიკოსმა გაილაშქრა. დაიწერა ბევრი გამოკვლევა, რომლებშიც ბევრი სადავო საკითხი გაირკვა და დამტკიცდა, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა" XII საუკუნის უდიდესი და უკვდავი ძეგლია.

თხზულების ისტორიული საფუძველი, კომპოზიცია და შინაარსი. ნაწარმოების სიუჟეტად აღებულია ნამდვილი ისტორიული ამბავი. ცნობილია, რომ 1185 წელს ნოვგოროდ-სევერსკის თავადმა იგორ სვიატოსლავის ძემ ლაშქრობა მოაწყო ყივჩაყების წინააღმდეგ. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ჩრდილო-რუსეთის თავადები: იგორის შვილი ვლადიმერი, ძმა ვსევოლოდი და ახლო ნათესავი სვიატოსლავ ოლეგის ძე. პირველი შეტაკებისთანავე ყივჩაყებმა უკან დაიხიეს და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს. რუსებმა მათ სდიეს და ველში ღრმად შეიჭრნენ. მეორე დღეს ყივჩაყთა ძალები იგორის ლაშქარს შემოერტყნენ. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც

ორ დღეს გაგრძელდა და რუსების სრული განადგურებით დამთავრდა. ცოცხლად დარჩენილი იგორი და მისი თანმხლები თავადები დაატყვევეს.

ხაშინელი მარცხი, რომლის მსგავსი, მატიანეთა ცნობით, რუსთა არც ერთ ლაშქრობას არ განუცდია, უმთავრესად იმით აიხსნება, რომ იგორ სვიატოსლავის ძემ და მისმა თანამებრძოლებმა ლაშქრობა წამოიწყეს მხოლოდ საკუთარი ძალებით, დამოუკიდებლად, კიევის დიდ მთავართან — სვიატოსლავთან შეუთანხმებლად. საერთოდ XII საუკუნის მიწურულის რუსეთში ორი დიდი უბედურება ტრიალებდა: თავადთა ჭიშპობა და ყივჩაყთა თავდასხმები. გარეშე მტერთან გამკლავება ჭირდა, რადგან ქვეყნის შიგნით ერთობა, სიმტკიცე და თანხმობა არ იყო. მთავრები და თავადები მეტწილად საკუთარ თავზე და პირადი სახელის მოხვეჭაზე ზრუნავდნენ და არა საერთო სახელმწიფო ინტერესებზე.

თხზულების კომპოზიციის თავისებურებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მისი შედარება რუსულ მატიანესთან. თუ მემატიანე იგორის ლაშქრობის ყველა მომენტს ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და დაწვრილებით აგვიწერს, თხზულების ავტორი მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებზე ჩერდება, ზოგიერთ ეპიზოდს პოეტური ფანტაზიით თხზავს და ზოგჯერ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასაც კი არღვევს. მის მიზანს შეადგენს არა მოვლენების ზუსტი და დეტალური გადმოცემა, არამედ მათი გააზრება გარკვეულ პოლიტიკურ ასპექტში და მკითხველში იგორის ლაშქრობისადმი თანაგრძნობის გამოწვევა.

„ამბავი“ სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველში ავტორი აგვიწერს იგორის ლაშქრობას, მეორე ნაწილს იგი უძღვნის კიევის დიდ მთავარს სვიატოსლავს, ხოლო მესამეში მოგვითხრობს იგორის ტყვეობიდან დაბრუნების ამბავს.

ლაშქრობის დასაწყისში მრხდა მზის დაბნელება, რაც უბედურებას მოასწავებდა, მაგრამ ყივჩაყებზე გამარჯვების წყურვილით შეპყრობილმა იგორმა უგულებელყო „მზით მოვლენილი ავი ნიშანი“.

> აღიჭურა იგი საომარ სჯულით
> და გააჭანა სპანნი მამაცნი
> ყივჩაყთა მიწის დასათრგუნველად,
> რუსული მიწის გასაადიდებლად.[1]

რუსი მხედრები მზის დაბნელებით გამოწვეულ წუხდიადში მიდიან ბრძოლის ველზე. სიბნელეში მხეცების ღმუილი და ყვავ-ყორნების

[1] ეს და მომდევნო ციტატებიც მოტანილია ს. ჩიჭოვანის ქართული თარგმანიდან.

გულშემზარავი ჩხავილი ისმის. „არწიევები მხეცებს იწვევენ ველებზე“, „ხოლო ყივჩაყნი უსიერ გზებით უკვე მორბიან დიად დონისკენ“. ღამის წყვდიადმა დიდხანს გასტანა. „დილაადრიან პარასკევს დღესა“ დიდ მინდორზე მტერთან პირველი შეტაკება მოხდა. რუსებმა გაიმარჯვეს, გაქცეულ მოწინააღმდეგეს სდიეს და სტეპში „ძალზე შეტოპეს“. ავტორი ხშირად იმეორებს:

ჰოი, შენ, რუსთა მიწავ — შამფულო,
მთების ციდალმა ხარ დარჩენილი.

მეორე დილა საბედისწერო აღმოჩნდა. ზღვიდან ქარბუქი და შავი ღრუბელი დაიძრა, ნიაღვარმა ვრცელი მინდორი დაფარა, მიწა აგუგუნდა...

თითქოს ღმუიან
დროშები ქარში. უკვე ყივჩაყნი
მოდიან ზღვიდან, დიად დონიდან,
ყოველის მხრიდან გარს შემოერტყნენ
რუსების ლაშქარს.

მდინარე კაიალასთან ყივჩაყთა ურიცხვ ჯართან სისხლისმღერელი ბრძოლა გაიმართა. რუსები ზღაპრულ გმირობას იჩენდნენ.

გარიჟრაჟიდან საღამომდისინ
და საღამოდან ალიონამდის
ქროდნენ ცხრები მოკვარვარენი,
ჩახსიჩხობდნენ ჩაფხუტებზედა
ხმლები კრაჭა და ჯავარდნულა
შუბებს გაკქონდა ბნელი ჩხრიალი
ყივჩაყთა მიწის უდაბურ ველზე.

უთანასწორო ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა. ვრცელი ველი სისხლით მოირწყო და გვამებით დაიფარა. რუსთა ლაშქარი სასტიკად განადგურდა. „იგორის დროშა დაბლა დაეშვა“. „ბალახი ჭკნება საცოდაობით, ხეც კაშანით მიწას დაემხო“. ცოცხლად დარჩენილი მცირერიცხოვანი რუსი მხედრები ყივჩაყებმა დაატყვევეს. იგორი „ოქროთ მოჭედილ უნაგირიდან გადაჯდა მონის უნაგირზედა“. იგივე ბედი ეწვია მის თანმხლებ მთავრებს.

იგორის ლაშქრობის ტრაგიკულმა დასასრულმა მთელი რუსეთი შეაძრწუნა და დაამწუხრა. „ვარამი ჩადგა რუსულ მიწაში“. „რუსთა ცოლებიც მოთქმით ტიროდნენ“. გლოვა-ვაებამ მოიცვა ქვეყანა.

თხზულების პირველსავე ნაწილში ავტორი არა მარტო მხატვრულად აღწერს იგორის სამხედრო კატასტროფას, არამედ მის მიზეზებსაც ხსნის. მისი სიტყვით რუსეთის ძალა ყოველთვის ერთობაში იყო. ახლა კი „დუხჭირი დროება დადგა". რუსი მთავრები, ნაცვლად იმისა, რომ შეთანხმებულად, საერთო ძალით გაემკლავდნენ გარეშე მტერს, — ერთმანეთს ედავებიან, ძმა ძმას ესიტყვება:

„ეს ჩემი არის და უსეც ჩემი".
მცირე რაჟეებს თვითონ მთავარნი
აჰყიადებდნენ და დაამკვიდრეს
შფოთი, ამბოხი ურთიერთ შორის.

თხზულების მეორე ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, ლაპარაკია კიევის დიდ მთავარ სვიატოსლავზე. მან ჯერ კიდევ არ იცოდა იგორის დამარცხების ამბავი, როცა საშინელი სიზმარი ნახა: სვიატოსლავს შავ სუდარაში ახვევდნენ, „პილწი ურჯულოები" მოწამლულ ღვინოს სთავაზობდნენ, მისი სახლის ოქროს გუმბათზე „ფიცრებს კადონი გამოცლოდა" და მთელ ღამეს ლეგა ყორნების ჩხავილი ისმოდა.

სიზმრის არსი ბოიარებმა სვიატოსლავს ასე აუხსნეს: მამისეული ოქროს ტახტიდან შორს გაფრენილ შევარდნებს (იგორსა და ვსევოლოდს) ყივჩაყებმა კაიალას ველთან „უკვე ფრთები შეაჭრეს ბილწი ხმლებით და თვითონ ისინი რკინით დაჭედილ ხუნდით დაბორკეს". რუსებზე ასეთი გამარჯვებით გათამამებული და გათავხედებული „ბილწები" ახალ-ახალ თავდასხმებს მოაწყობენ ჩვენს მიწა-წყალზეო.

მაშინ დიდმა მხნე სვიატოსლავმა
გაღმოაფრქვია ოქროს სიტყვები.

ის ჯეროვნად აფასებს თავისი საყვარელი შვილების — იგორისა და ვსევოლოდის ვაჟკაცობას, გმირობას, მაგრამ კიცხავს მათ ნაადრევად და შეუთანხმებლად მოწყობილი ლაშქრობისათვის.

მაგრამ თქვენ გითქვამთ: ჩვენ მარტო უნდა
ვიაჟკაცოთო, მრომაგალ საბელს
დავისაკუთრებთ; ძველი დიდებაც
მარტო ჩვენ უნდა მოგვეკუთნოსო.

სვიატოსლავი თავის „ოქროს სიტყვაში" რუსეთის მთავრებს ერთობისა და სიმტკიცისაკენ მოუწოდებს. განცალკევებითა და ერთმანეთთან ქიშპობით, — ამბობს იგი, — შინაური არევ-დარევითა და შეუთანხმებლობით გარეშე მტერს ხელს ვუწყობთ ჩვენი ქვეყნის დაპყ-

რობა-აოხრებაშიო. სვიატოსლავი მთავრებს მგზნებარე მოწოდებით მიმართავს:

აღიმართენით, თქვენ, ხელმწიფენო.
ოქროთ მოჭედილ უნაგირებზე.
ჩვენი დროების დამცირებისთვის.
რუსული მიწის აღდგენისათვის,
მთაცარ იგორის ჭრილობებისთვის!

ამ მოწოდებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რუსი მთავრები არ გაერთიანდნენ დატყვევებული მოძმე გმირების დასახსნელად. იგორმა ტყვეობას თავი დააღწია გაქცევით. ეს ამბავი აღწერილია ძეგლის მესამე ნაწილში. აქ ავტორი ჯერ იძლევა იგორის ცოლის, იაროსლავის ასულის, შესანიშნავ პოეტურ სახეს.

შეხმობით გლება ისმის ადრიან —,
მოსთქვამს ასული იაროსლაჟის:
ობლად მხმობელი როგორც გუგული
დილა ადრიან გადმოღუღუნებს,
გავფრინდებიო, ამბობს, გუგულად
დუნაის ზედა; კაიალაშიც
ტალღით დავსველბობ თახვის სახელოს
და დაეუხვებ ჭრილობას,
სისხლით მორწყულსა მედგარ ტანზედა.

ქალაქ პუტივლის გალავანზე ობლად მტირალი იაროსლავნა თხოვნით მიმართავს ბუნების ძალებს — ქარს, წყალს (დნეპრს) და მზეს — იგორს დაეხმარეთო. ბუნების სტიქიამ თითქოს შეიწყნარა ქალის ვედრება.

გაიშხაპუნა ზღვამ შუაღამით
და ქარიშხალიც მრუმეთი მოდის.
მთავარს უგორსა ღმერთი გზას უკვლევს
ყიჩაყთ მიწიდან რუსულ. მიწისკენ,
მაჰისეული ოქროს ტახტისკენ.

ნაწარმოებში დიდი პოეტური ძალითაა აღწერილი იგორის ტყვეობიდან გამოქცევა ღამის წყვდიადში. მოთხრობილია, თუ როგორ გადაიქროლა მან:

ყურყუმის გვარად ლამჭართა შორის
თეთრ წყარსინჯიით წყალი გაასო,
ჯერ შემოახტა ჩაუქ მერანსა,
შემდეგ გადმოხტა თეთრი მგელივით,
დონეცის მდელოს მეურნობითა
გაჰყვა, გაფრინდა შეკარდენივით.

დონეცი იგორს ესალმება და ვაჟკაცობას უქებს; თავის მხრივ, იგორიც ქება-დიდებას ასხამს მდინარეს, რომელიც მას გაქცევის დროს იფარავს. საერთოდ ბუნების ძალები იგორს თანაუგრძნობენ და ეხმარებიან. ამიტომ ყივჩაყთა მდევარი მას ვერ ეწევა. იგორი სამშობლოში მშვიდობით ბრუნდება. რუსეთის მიწა ხარობს, რუსთა ასულები მღერიან. ქვეყანას სიხარული მოეფინა. თავის ნაწარმოებს ავტორი ასეთი სიტყვებით ამთავრებს:

ძველად უმღერეს მხცოვან მთავრებსა,
ჭაბუკ შთავრებსაც უნდა ვუმღეროთ:
დიდება იგორს, სვიატოსლავის ძეს,
მრისხანე ხარსა, ტეტ უსევოლოდს
და ვლადიმერსა, იგორის ძესა.
დღეგრძელი იყოს სპა და მთავრები
ბრძოლის გამწევი ქრისტიანთათვის
ბილწთა ლაშქრობის დასათრგუნველად.
დიდება მთავრებს, დიდება ლაშქარს!
ამინ!

„იგორის ლაშქრობის“ მთავარი იდეა. კ. მარქსი ფრ. ენგელსს სწერდა, რომ „ამბავი“ რუსეთის თავადებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა სწორედ მონღოლების შემოსევის წინ“ [1]. კ. მარქსის ამ სიტყვებში ზუსტადაა გადმოცემული ნაწარმოების დედააზრი, მისი ძირითადი იდეა. ავტორი წარმოგვიდგება არა მარტო უდიდეს პოეტად, არამედ ღრმა პოლიტიკურ მოაზროვნედაც, რომელსაც კარგად ესმის, რომ რუსეთის მთავარი უბედურება ფეოდალური დაქუცმაცებულობა და თავადთა შეუთანხმებლობაა. ვიდრე ქვეყნის შიგნით მთლიანობა და სიმტკიცე იყო, გარეშე მტერთან ბრძოლა ყოველთვის წარმატებით მთავრდებოდა. ამტკიცებს ავტორი, ახლა კი — XII საუკუნის დასასრულს — მთავართა განცალკევებისა და შეუთანხმებლობის გამო ესოდენ სასტიკი დამარცხება ვიგემეთო. ავტორის აზრით, ერთადერთი გამოსავალი ძველებური ერთიანობის აღდგენაშია. რუსეთის განცალკევებული სამთავროები უნდა გაერთიანდნენ და მთლიანი მძლავრი კავშირი ჩამოაყალიბონ. გარეშე მტრისაგან სამშობლოს დასაცავად, ხალხის მშვიდობიანი შრომისა და ქვეყნის წინსვლისათვის აუცილებელია, რომ ყველა მთავარი ნებაყოფლობით დაემორჩილოს საგვარეულოს უფროსს, კიევის დიდ მთავარს — სვიატოსლავ ვსევოლოდის ძეს.

ეს იყო მეტად პროგრესული, პატრიოტული იდეა, რომელიც, პირველ ყოვლისა, რუსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდა.

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе, 1962 г., т. 29, გვ. 16.

იმავე წერილში კ. მარქსი წერდა, რომ „იგორის ლაშქრობა“ მთლიანად ქრისტიანულ-გმირულ ხასიათს ატარებს, თუმცა მასში წარმართული ელემენტები ჯერ კიდევ ფრიად იგრძნობა. მართლაც, თუ რუსულ მატიანეში იგორის სამხედრო კატასტროფა ახსნილია „ღვთის რისხვით“, ხოლო რუსი მოლაშქრენი წარმოდგენილნი არიან ღვთისმოშიშ ქრისტიანებად, „ამბავის“ ავტორი ასეთ უკიდურესობამდე არ მიდის. ნაწარმოების „ქრისტიანული ხასიათი“ მჟღავნდება უმთავრესად იმაში, რომ რუსთა ლაშქრობა ყივჩაყების წინააღმდეგ გაშუქებულია როგორც მართლმადიდებელთა ბრძოლა „ბილწებთან“. მაგრამ ძეგლში ვხედებით სლავური წარმართული მითოლოგიის არაერთ სახელს (ველესი. დაჟბოგი, სტრიბოგი და სხვა), რაც ავტორის ერთგვარ „გაორებაზე“ მიგვითითებს.

ნაწარმოების მხატვრული სახეები. თავის მთავარ იდეას, სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი ღრმა სიყვარულს „ამბავის“ ავტორი გადმოგვცემს შესანიშნავ მხატვრულ სახეებში.

თხზულების ცენტრალური სახეა კიდით კიდემდე გადაჭიმული და სახელოვანი წარსულის შარავანდედით მოსილი „რუსთა მიწა“. ავტორს თავისი ნაწარმოების სამოქმედო ასპარეზად აუღია უსაზღვრო გეოგრაფიული არე: შავი და აზოვის ზღვები, დონი და ვოლგა, დნეპრი, ღუნაი და დონეცი, დასავლეთის დვინა და სტუგნა, ყივჩაყთა ველები. კიევი, ჩერნიგოვი და პოლოცკი, კურსკი, ბელგოროდი და ნოვგოროდი, კორსუნი და თმუთარაყანი, გალიჩი, პუტივლი და სხვა ქალაქები; ნაწარმოებში მოქმედებენ რუსები, ყივჩაყები, ლიტველები, ფინელები, ბერძნები, გერმანელები და სხვ.

„რუსთა მიწა“ გამოირჩევა არა მარტო თავისი უზარმაზარი ტერიტორიით, არამედ გმირული ისტორიითაც. ავტორს სურს გაგვაცნოს რუსეთის სახელოვანი გზა „ძველი ვლადიმერიდან (მონომახი) ახლანდელ იგორამდე“. მშობლიური მიწა „ამბავში“ წარმოდგენილია როგორც ცოცხალი არსება, რომელსაც პოეტი და მისი გმირები თავს ევლქვიან. ნაწარმოები გამსჭვალულია რუსეთისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით.

გმირებს ავტორი აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად თავდადებულად და შეგნებულად იბრძვიან ისინი „რუსთა მიწისათვის“. ასე. თხზულების მთავარი გმირი იგორი დახასიათებულია როგორც მამაცი ვაჟკაცი, უშიშარი, გაბედული და შეუპოვარი მებრძოლი. მას „მზით მოვლენილმა ავმა ნიშანმაც“ კი ვერ ააღებინა ხელი ლაშქრობაზე.

წარმოსთქვა: მინდა გადავტეხო
შუბი ყიჩაყთა მინდორის ბოლოს,
თქვენთან, რუსებო, თავი გაწყრირო,
ან შუბარადით დავლიო დონი.

თავისი ლაშქრისადმი მიმართულ სიტყვაში იგორი წარმოგვიდგება უაღრესად კეთილშობილ და მამაც გმირად, რომელიც ტყვეობას სიკვდილს ამჯობინებს.

და ცოხრა ლაშქარს მაშინ იგორმა:
ძმანო და სპანო, უმჯობესია
აგვიხოსნ, ვიდრე შეპყრობილ ვიქნეთ.

ავტორი აღტაცებით აგვიწერს იგორის გამოქცევას ტყვეობიდან. ამავე დროს, პოეტი მაინც კიცხავს თავის გმირს კიევის დიდ მთავართან შეუთანხმებელი მოქმედებისათვის, რის შედეგად რუსთა ლაშქარი განადგურდა და „რუსთა მიწაში ვარამი ჩადგა".

იგორის განცალკევებული და ნაჩქარევი მოქმედება გაკიცხულია ჰამამისის სვიატოსლავის ცრემლნარევ „ოქროს სიტყვაშიც". კიევის დიდი მთავარი გამოირჩევა ეპიური სიდარბაისლით. შეიძლება ითქვას, რომ სვიატოსლავი იდეალური გმირია, რომლის პირით ავტორი გადმოგვცემს საკუთარ ფიქრებს სამშობლოს კეთილდღეობაზე. თავის სანუკვარ ოცნებას რუსეთის მთლიანობაზე. პოეტი მას გვიხატავს როგორც შორსმჭვრეტელ ბრძენსა და თავდადებულ პატრიოტს, მთელი რუსეთისათვის მზრუნველ მამას. მწარე საყვედურად ჟღერს მისი სიტყვები იგორისა და ვსევოლოდის მიმართ:

„შევურცხვინელ ჩემსა ჰაღარას რა დაატეხეთ?"

თავისი გონივრული და შეთანხმებული მოქმედებით სვიატოსლავს მტერზე არაერთი გამარჯვება მოუპოვებია და რუსთა საყოველთაო პატივისცემა დაუმსახურებია. სავარეულოს სახელოვან და „მრისხანე უფროსს", „დიდ მთავარს, უნდა დაემორჩილოს ყველა, ვისაც გული შესტკივა სამშობლოს. დიდებისა და კეთილდღეობისათვის.

სამხედრო მამაცობასა და ვაჟკაცობაში იგორს არც მისი ძმა ვსევოლოდი ჩამორჩება. ყივჩაყებთან მძიმე ბრძოლაში ის ზღაპრულ გმირობას იჩენს.

შენ, ვსევოლოდო, ფიცხელო ხარო,
სდგეხარ ბრძოლაში და სეტყვასავით
ისრებსა სტყორცნი მტრის პოლოვცებს.
ჯაჭვარდენ მახვილს შენ ამჭექარებ
ყივჩაყთა ლაშქრის მუზარადამდე.

ავტორი ქება-დიდებას ასხამს „რუსული მიწის" მთლიანობისათვის მებრძოლ თავადებს — ვლადიმერ მონომახიდან დაწყებული და მამაცი მსტისლავით დამთავრებული, მაგრამ სასტიკად ამათრახებს პოლოც-

ქელ თავადებს, რომლებმაც ვერ შეინარჩუნეს და ვეღარ ატარეს „მამა-პაპათა დიდი სახელი“.

თქვენ ხომ თქვენივე არევ-დარევით
ბილწების ლაშქარს მოაგრაგნინეთ
რუსული მიწა, ვსესლავის მხარე.
თქვენს შფოთვის გამო ხომ მოგვევსივნენ
მოძალადენი ყივჩაყთა მიწით!

ამგვარად, „ამბავის“ ავტორისათვის გმირთა ღირსების უმაღლეს კრიტერიუმს წარმოადგენს სამშობლოს ერთობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა. ავტორი იძლევა ისტორიულ პირთა სწორ შეფასებადახასიათებას და ავლენს მაღალპოეტურ ნიჭს.

„იგორის ლაშქრობის“ მხატვრული თავისებურებანი. ნაწარმოების სტილში ერთმანეთთან შერწყმულია ორი ელემენტი. ერთი მხრივ, მასში აშკარად მოჩანს რუსული ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ძეგლში, ფოლკლორული ნაწარმოებების მსგავსად, ბუნება წარმოდგენილია ცოცხალ არსებად, რომელიც რუს მოლაშქრეთა მოქმედებაში მონაწილეობს, უხარია მათი წარმატება და თანაუგრძნობს უბედურებაში. მზე დაბნელებით აფრთხილებს იგორს, რომ ლაშქრობა ცუდად დამთავრდება, რუსთა განადგურების შემდეგ „ბალახი ჭკნება საცოდაობით, ხეც კაუშანით მიწას დაემხო“; პუტივლის გალავანზე მტირალი იაროსლავნა ბუნების ძალებს თხოვნით მიმართავს — ჩემს ქმარს დაეხმარეთო; ტყვეობიდან გამოქცეულ იგორს მდინარე დონეცი სიხარულით ეგებება და იფარავს. ფოლკლორული წარმოშობისაა „ამბავის“ მრავალი სახე, ეპითეტი, პარალელი.

მეორე მხრივ, თხზულება წარმოადგენს მწიგნობრული მწერლობის მაღალი პოეტური სტილის ნიმუშს. ავტორს ბრწყინვალედ სცოდნია ძველი რუსული ლიტერატურა („ცხოვრებანი“, ქადაგებანი, ისტორიულ-გმირული ძეგლები...), იგი საუცხოოდ დაუფლებია მის მხატვრულ-სტილისტურ სიმდიდრეს. ამაზე მეტყველებს ნაწარმოების კომპოზიცია, ჟანრობრივი თავისებურება, ორატორული ხელოვნების ხერხები, პოეტური ხასიათი.

რა ჟანრს მიეკუთვნება „იგორის ლაშქრობა?“ თვითონ ავტორი თავის თხზულებას ხან სიმღერას უწოდებს და ხან მოთხრობას. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ამ ტერმინებს ძველად ახლანდელი ზუსტი გაგება არ ჰქონდათ, რომ „ამბავი“ რომელიმე მცირე ჟანრს კი არ მიეკუთვნება, არამედ მასში ორგანულადაა შერწყმული ორი საწყისი:

ეპიკური თხრობა და ლირიკული სიმღერა, „ობიექტური“ და „სუბიექტური“.

მოცულობით მეტად მცირე ნაწარმოებში აღწერილია დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები და პირები (ეპოსი), რომელთა დახატვისას პოეტი საკუთარ მღელვარე გრძნობებს ავლენს (ლირიკა). ამიტომ მას შეგვიძლია ვუწოდოთ ლირიკულ-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები (აკად. ა. ორლოვის სიტყვით, ის „გმირული პოემაა“).

თხზულების სათაურად ავტორმა აირჩია „სიტყვა“ („Слово“ ჭართულად ნათარგმნია „ამბავად“). ძველ რუსულ მწერლობაში ჩვეულებრივად „სიტყვა“ ეწოდებოდა ორატორული ხასიათის ნაწარმოებს (ქადაგება, რჩევა-დარიგება და სხვა). „იგორის ლაშქრობაც“, პირველ ყოვლისა, ორატორული სიტყვაა, რომლითაც ავტორი მოყმეთ ანუ მოძმეთ („братья“) მიმართავს:

ეგებ უფრორე არს მართებული,
გმირულ ამბავთა ადრინდელ წყობით
ვიწყოთ, მოყმენო, სადგალობელი
მთავარ იგორის ლაშქრობის გამო,
იგორის, ძისა სვიატოსლავის?

ნაწარმოების დასაწყისი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მისი ავტორი ცოცხალ მსმენელთა აუდიტორიის წინაშე გამოდის, მათთან საუბრობს იგორის უიღბლო ლაშქრობაზე, მათთან ერთად განიცდის „რუსთა მიწის“ უბედურებას და ერთობისაკენ მოუწოდებს.

ზოგი მკვლევარი „ამბავს“ პროზაულ ნაწარმოებად თვლიდა, ზოგმა კი პოეტურ ძეგლად მიიჩნია და ლექსად დაყოფა სცადა, რადგან თხზულებაში მართლაც იგრძნობა პოეტური ქმნილებებისათვის დამახასიათებელი რიტმი, რითმები, ალიტერაცია და მუსიკალური ხმოვანება. მაგრამ გარკვეული სალექსო სისტემის დადგენა ვერ მოხერხდა და სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ გამოითქვა აზრი, რომ „იგორის ლაშქრობაში“ პროზა და პოეზია ერთმანეთთანაა შერწყმული და რომ მას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ „გალექსილი პროზა“.

ამგვარად, ავტორი თავისი დროის უაღრესად პროგრესულ იდეებს შესანიშნავ მხატვრულ ფორმაში გადმოგვცემს. ამ მხრივ მას ძველი მწერლებიდან ვერავინ შეედრება. ბ. ბელინსკის ხატოვანი გამოთქმით, „ამბავი“ სლავური ხალხური პოეზიის მშვენიერი სურნელოვანი ყვავილია.

„ამბავის“ ავტორის შესახებ. ძეგლის მნიშვნელობა. „ამბავის“ ავტორი უცნობია. ნაწარმოების შინაარსის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო საერო კაცი, მგზნებარე პატრი-

ოტი, შესაძლოა — კიევის დიდი მთავრის, სვიატოსლავის მოლაშქრე. ღრმად მოაზროვნე და დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ავტორს ფართო განათლებაც ჰქონია. ის ამჟღავნებს მშობლიური ისტორიის, მწერლობისა და ხალხური შემოქმედების საუკეთესო ცოდნას, მშვენივრად ერკვევა თავისი დროის პოლიტიკურ ვითარებაში, რუს მთავართა ურთიერთდამოკიდებულებაში, რუსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებში. „ბილწი“ მტრების მიმართ პოეტი მკაცრია და დაუნდობელი, თანამემამულე მოლაშქრეებს კი ძმური თანაგრძნობითა და სიყვარულით გვიხატავს.

მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ „ამბავის“ ავტორი ცხოვრობდა XII საუკუნის მეორე ნახევარში, ჩრომ მან თავისი თხზულება 1185 წლის ლაშქრობაზე დაწერა არა უგვიანეს 1187 წლისა. ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტები, რომ 1187 წლის შემდეგ მომხდარი ამბები ნაწარმოებში ასახული არაა და რომ მასში ცოცხლად იხსენიება იაროსლავ ოსმომისლი, რომელიც 1187 წელს გარდაიცვალა.

„იგორის ლაშქრობას“ უდიდესი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდა. თავისი პროგრესული იდეებითა და ჩინებული მხატვრული ფორმით ის ყველა ძველ რუსულ ძეგლზე მაღლა დგას. მეტიც, მას საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ისეთ პოეტურ ქმნილებათა შორის, როგორიცაა გერმანული „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ფრანგული „სიმღერა როლანზე“ და სხვა. რუსეთისათვის „ამბავი“ ისეთივე მოვლენა იყო, როგორიც საქართველოსათვის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც იმავე ეპოქაში შეიქმნა.

ჩვენამდე მოღწეული მცირე ცნობებიდანაც ირკვევა, რომ „იგორის ლაშქრობას“ დიდი გავლენა მოუხდენია რუსულ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით „ზადონშჩინაზე“.

ძეგლი აღმოჩენისთანავე გადათარგმნეს ახალ რუსულ, უკრაინულ და ბელორუსულ ენებზე, შემდეგში კი — სხვა სლავურ და დასავლეთევროპულ ენებზე. ქართულად იგი 1938 წელს მშვენივრად გადმოთარგმნეს ჩვენმა სასიქადულო პოეტებმა სიმონ ჩიქოვანმა და კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

I

ფეოდალური დაქუცმაცებისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის გაერთიანების პერიოდის მწერლობა (XIII—XV სს.)

ისტორიული პირობები. თავადთა ქიშპობა და მომთაბარე ტომების თავდასხმები რუსეთის სახელმწიფოს XII საუკუნის შუა წლები-

დან სულ უფრო და უფრო ასუსტებდნენ და აქუცმაცებდნენ. მისი მთლიანობის რღვევა და ცალკეული ფეოდალური სამფლობელოების ჩამოყალიბება განსაკუთრებით დააჩქარა თათართა (მონღოლთა) შემოსევამ და კიევის დამხობამ (1240 წ.). კიევის სამთავრომ თანდათან დაკარგა სახელმწიფოებრივ-კულტურული ცენტრის მნიშვნელობა; სულ უფრო ძლიერდებოდნენ ნოვგოროდი, როსტოვი, ვლადიმირი, სუზდალი, ტვერი და სხვა ფეოდალური ერთეულები. ლიტერატურულმა ცენტრმა სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთისაკენ გადაინაცვლა. მწერლობამ საოლქო (областной) ხასიათი მიიღო.

მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულისათვის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სამთავროთა შორის კავშირ-ურთიერთობის გაძლიერების შედეგად იწყება „რუსთა მიწის“ გაერთიანების პროცესი. ამ გაერთიანებას სათავეში მოსკოვის მთავრები ჩაუდგნენ.

მოსკოვის როლი და ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1380 წელს დიმიტრი ივანეს ძის (დონელი) ხელმძღვანელობით რუსეთის მთავრებმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვეს თათრებზე (კულიკოვოს ბრძოლა). ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ძალა ერთობაშია, რომ თათართა უღლიდან საბოლოო ხსნა შესაძლებელია მხოლოდ ფეოდალურ ერთეულებად დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანებით მოსკოვის გარშემო.

მართალია, პირველ ხანებში გამაერთიანებელი ცენტრის პრეტენზიებით სხვა სამთავროებიც გამოდიოდნენ (ტვერი, ნოვგოროდი და სხვა), მაგრამ XV საუკუნეში ყველა მათგანი მოსკოვმა შეიერთა — ზოგი ნება-სურვილით და ზოგიც ძალით.

მზარდი და ძლიერი მოსკოვის სამთავრო წარმატებით უმკლავდებოდა როგორც შინაურ ფეოდალურ რეაქციას, ისე გარეშე მტრებს. კულიკოვოს ბრძოლის ასი წლისთავზე (1480) თათართა ბატონობა რუსეთში საბოლოოდ დაემხო, ხოლო XV საუკუნის დასასრულს შეიქმნა რუსეთის ერთიანი სახელმწიფო.

ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა რუსული ლიტერატურაც, რომლის ცენტრად მოსკოვი იქცა.

XIV—XV საუკუნეების რუსულ მწერლობაში აშკარად შეინიშნება ორი მიმდინარეობა. მწერალთა ერთი ნაწილი იმ ფეოდალთა იდეოლოგიას გამოხატავდა, რომლებიც მოსკოვის სახელმწიფოს ცენტრალიზაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ და სეპარატიზმს, „კუთხურ პატრიოტიზმს“ ქადაგებდნენ. ეს ლიტერატურული მიმდინარეობა უმნიშვნელო იყო და რეაქციულ ხასიათს ატარებდა. სამაგირეოდ მძლავრ და პროგრესულ მიმდინარეობას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული მოს-

კოვის იდეოლოგია, რომელმაც ასახვა პოვა ეპოქის უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლებში. ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელია მოსკოვის როგორც რუსეთის გამაერთიანებელი ცენტრის ქება-დიდება და საზეიმო-ემოციური სტილი.

თათართა შემოსევის ამსახველი ნაწარმოებები. ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდში შექმნილი ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თათართა შემოსევის ამსახველი ნაწარმოებები.

თათართა პირველი შემოსევა და მათთან ბრძოლა აღწერილია „მოთხრობაში კალკაზე ბრძოლის შესახებ" (1223 წ.) („Повесть о битве при Калке"), რომელიც მატიანეშია შეტანილი. მოთხრობის დასაწყისში გადმოცემულია ის საშინელი შთაბეჭდილება, რაც უცნაურ ურდოთა მოულოდნელმა შემოსევამ გამოიწვია. არავინ იცის, — ამბობს ავტორი, — ვინ არიან ისინი, საიდან მოვიდნენ, რომელი რჯული სწამთ, რომელ ენაზე ლაპარაკობენ, ზოგი მათ თათრებს უწოდებს, ზოგი კი პაჭანიგებს... მათი რუსეთის მიწა-წყალზე მოსვლა ქვეყნის აღსასრულს მოასწავებს; ეს დიდი უბედურება ჩვენი ცოდვების გამო დაგვატყდა თავსო. საინტერესოა, რომ მოთხრობის ერთერთ ვარიანტში ასეთ ცოდვებად დასახელებულია რუს მთავართა ქიშპობა. უცნობი ავტორის სიტყვით, კალკაზე გამართულ ბრძოლასაც რუსთა ერთიანობა და შეთანხმებულობა აკლდა, რის გამოც ისინი სასტიკად დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში კიეველთაგან ათი ათასამდე მხედარი დაეცა. ნაწარმოებში აღწერილია თათართა ბარბაროსული ზეიმი. მათ რუსი ტყვეები ფიცრების ქვეშ დააწვინეს, თვითონ კი ზევით მოიკალათეს და ნადიმი გამართეს.

ამგვარად, მოთხრობაში მისტიკურ-რელიგიური მოტივების გვერდით საღი მოსაზრებაც გვხვდება: რუსეთის უბედურების მთავარ მიზეზად ავტორს სამართლიანად მიაჩნია ქვეყნის დაქუცმაცება და მთავართა შეუთანხმებლობა.

მეორე ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „მოთხრობა ბათოს მიერ რიაზანის დარბევის შესახებ" («Повесть о разорении Рязани Батыем»), აღწერილია „ურწმუნო მეფე ბათოს" შემოჭრა რუსეთში და მის მიერ რიაზანის აოხრება 1237 წელს. ბათო თავისი დიდძალი ჯარით რიაზანის მახლობლად დაბანაკდა და რიაზანის მთავარს იური იგორის ძეს თავისი ელჩები გაუგზავნა დიდი ხარკის მოთხოვნით. საპასუხოდ იურიმ მასთან თავისი შვილი თეოდორე წარგზავნა დიდებულების თანხლებით და საჩუქრებით და სთხოვა — რიაზანზე ნუ გამოილაშქრებო. ბათომ თეოდორეს უთხრა: თხოვნას შეგისრულებთ, ოღონდ გასართობად თქვენი ცოლები და ასულები

მომიყვანეთო. რადგან რუსებმა ეს შეურაცხმყოფელი წინადადება არ მიიღეს, ბათო განრისხდა, თევდორე და მისი თანმხლებნი დაახოცვინა და მათი გვამები მხეცებს მიუგდო.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი თევდორეს მეუღლე ევპრაქსიამ შეიტყო მაღალ კოშკში, სადაც იგი მცირეწლოვანი ვაჟით იმყოფებოდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი საცოდავი ქალი კოშკიდან გადმოხტა და სული განუტევა.

ამის შემდეგ აღწერილია იური იგორის ძის გალაშქრება მტერზე და რიაზანის მახლობლად გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლა. ბათოს ურიცხვ ჯარს რუსთა მცირერიცხოვანი ლაშქარი ეკვეთა. ბრძოლა მეტად უთანასწორო აღმოჩნდა. თითოეულ რუს მხედარს ათას მოწინააღმდეგესთან უხდებოდა შებმა. ფიცხელ ბრძოლაში დაიღუპნენ იური და მისი ძმები, მრავალი თავადი და მისი მოლაშქრე, ბათო კი თავისი ჯარით რიაზანში შეიჭრა, ქალაქი ააოხრა, ეკლესიებში სასულიერო პირები დაწვა, დიდძალი ხალხი მდინარეში ჩაახრჩო, ქალები და ბავშვები ხმლებით ააჩეხვინა.

ბრწყინვალედაა გადმოცემული გოლიათ ევპატი კოლოვრატის ბრძოლა თათრების წინააღმდეგ. მან რიაზანის დარბევის ამბავი ჩერნიგოვში შეიტყო, მცირერიცხოვანი რაზმით რიაზანისაკენ გაეშურა და ბათოს ბანაკს მოულოდნელად თავს დაესხა. ევპატი საარაკო ძალითა და მამაცობით ქლეტდა მტერს. მის წინააღმდეგ ბათომ გაგზავნა თავისი ცოლისძმა, რომელმაც წინასწარ დაიტრაბახა: ევპატის ცოცხლად ჩავიგდებ ხელშიო, მაგრამ ევპატიმ იგი ორთა ბრძოლაში ხმლით შუაზე გააპო. ევპატის მოკვლა თათრებმა მხოლოდ კედლის-მნგრეველი იარაღებით შესძლეს.

ნაწარმოების მთავარი იდეაა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება. ავტორი დასტირის რუსთა გაპარტახებულ ქალაქებს და დაღუპულ ვაჟკაცებს, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ამაყობს რიაზანელთა თავდადებითა და გმირობით. ავტორის პატრიოტიზმი და პროგრესული შეხედულებანი მჟღავნდება აგრეთვე იმ რუს მთავართა გაკიცხვაში, რომლებიც გაჭირვების ჟამს ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ, შეუთანხმებლად მოქმედებდნენ და სამშობლოს საერთო ინტერესებისათვის არ იბრძოდნენ.

ნაწარმოები სალაშქრო-საგმირო მოთხრობათა ჟანრს ეკუთვნის. მასში ისტორიული ამბებია აღწერილი, მაგრამ უხვადაა გამოყენებული ხალხური ზეპირსიტყვიერების მოტივები. მაგალითად, თევდორეს დაღუპვასა და მისი მეუღლის — ევპრაქსიას თვითმკვლელობაზე რუსულ მატიანეებში სრულებით არაფერია ნათქვამი. ცხადია, ეს ხალხური შე-

მოქმედების ნაყოფია. იგივე ითქმის გოლიათ ეპატი კოლოვრატზე, რომელიც, მკვლევართა აზრით, პირველად ხალხური სიმღერების გმირი იყო.

„ზადონშჩინა“. როგორც აღვნიშნეთ, 1380 წელს მდინარე დონთან კულიკოვოს ველზე რუს მთავართა გაერთიანებულმა ჯარებმა მოსკოვის მთავრის დიმიტრი ივანეს ძის (დონელი) მეთაურობით დაამარცხეს თათრები. ეს იყო რუსეთის პირველი გამარჯვება საუკუნებრივ მტერზე და თათართა ხანგრძლივი უღლიდან განთავისუფლების დასაწყისი. ამ უდიდეს ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით რუსეთის მწერლობამ რამდენიმე ნაწარმოები შექმნა, რომელთაგან თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა „ზადონშჩინა“.

ნაწარმოების დასაწყისში ავტორი იგონებს „რუსთა მიწის“ მძიმე დღეებს, იგორის უიღბლო ლაშქრობას, თათრების გაბატონებას რუსეთში. შემდეგ აღწერილია მოსკოვის მთავრის დიმიტრი ივანეს ძის სამზადისი თათრებზე გასალაშქრებლად. დიმიტრის დასახმარებლად თავიანთი რაზმებით მოეშურებიან კოლომნის, სერპუხოვის, ნოვგოროდისა და სხვა მთავრები. ისინი მოსკოვში იკრიბებიან. რუსთა ბანაკს ბუკ-ნაღარის ხმაური, ზარების რეკვა და ცხენთა ჭიხვინი ავსებს. დიმიტრი ლაშქარს გამამხნევებელი სიტყვით მიმართავს: ძმებო, თავს ნუ დავზოგავთ რუსთა მიწისა და ქრისტეს რჯულისთვისო.

მტერზე გამარჯვების წყურვილით შეპყრობილი ლაშქარი დიმიტრი ივანეს ძის მეთაურობით მოსკოვიდან დონისკენ დაიძრება. ამ დროს ჭექა-ქუხილი ატყდება და კოკისპირული წვიმა წამოვა, რაც დიდ სისხლისღვრას მოასწავებს.

პირველი შეტაკება თათრების გამარჯვებით დამთავრდა. რუსთა მიწაზე მებრძოლთა ყიჟინა და საყვირის ხმა ყვავ-ყორნების გულშემზარავმა ჩხავილმა შეცვალა. ისინი ადამიანთა ლეშს დასტრიალებდნენ. მწარედ ტიროდნენ და გოდებდნენ დაღუპულ გმირთა ქვრივ-ობლები.

მერე ბრძოლა კულიკოვოს ველზე გაიმართა შაბათს. ამ დღეს რუსებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, მამაის „ბილწი რაზმები“ სასტიკად გაანადგურეს და ამით რუსეთს დიდი სიხარული მოჰფინეს.

მკვლევართა აზრით, „ზადონშჩინას“ ავტორი უნდა იყოს სოფონი რიაზანელი. თხზულებაში იგრძნობა „იგორის ლაშქრობის“ ძლიერი გავლენა. აქაც მთავარი იდეა ერთობისაკენ მოწოდებაა. მოსკოვის მთავარმა დიმიტრიმ თათრებზე გამარჯვება იმიტომ მოიპოვა, რომ მისი დროშის ქვეშ რუსი მთავრები დაირაზმნენ. „ზადონშჩინას“ ავტორი „იგორის ლაშქრობის“ იდეას, კომპოზიციას და სტილს გარკვეული

მიზნებით იყენებს: ის ერთმანეთს უკავშირებს ორ დიდ ისტორიულ მოვლენას — იგორის დამარცხებას მდინარე კაიალასთან და დიმიტრის გამარჯვებას დონზე. პირველი გამოწვეული იყო შეუთანხმებლობითა და განცალკევებით, მეორე — ერთმანეთის მხარდაჭერით და ერთსულოვნებით. იგორის ლაშქრობა რუსეთისათვის მწარე დღეთა დასაწყისი იყო, დიმიტრის გამარჯვება — მათი დასასრული.

„ზადონშჩინას“ ავტორი სრულებითაც არ მალავს თავისი ქმნილების კავშირს „იგორის ლაშქრობასთან“, პირიქით, ხშირად მიუთითებს მასზე, მოაქვს იქიდან ციტატები. ისევე როგორც „ამბავი“, „ზადონშჩინაც“ პროზითაა დაწერილი. მასში ფრიად საგრძნობია ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენაც. მაგრამ ეს გავლენები სრულიადაც არ ამცირებს „ზადონშჩინას“ თვითმყოფადობასა და ღირსებას.

„მოთხრობები ბაბილონის სამეფოზე“. მოსკოვის სწრაფად ზრდასა და გაძლიერებას XV საუკუნეში დაემთხვა ერთი მსოფლიო მნიშვნელობის ამბავი: აგრესიული თურქეთი ისე გაძლიერდა, რომ 1453 წელს დაიპყრო კონსტანტინოპოლი — სახელგანთქმული „ცარგრადი“, ბიზანტიის სატახტო ქალაქი, რომელიც მთელი მსოფლიოს „ქრისტიანობის ბურჯად“ ითვლებოდა.

„ურჯულოთაგან“ კონსტანტინოპოლის დამხობამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე, აგრეთვე რუსეთსა და საქართველოზე. ამ ამბებთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა მოსკოვის ავტორიტეტი, წარმოიშვა იდეა, რომ ამიერიდან მოსკოვია ქრისტიანობის დედაბოძი, „მესამე რომი“, ნაცვლად დამხობილი „მეორე რომისა“ (კონსტანტინოპოლისა).

„მესამე რომის“ თეორია ატარებდა არა მარტო რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც. მასში თავისებურად აისახა იმ დროისათვის შედარებით პროგრესული შეხედულება, მოსკოვის გაძლიერებით გამოწვეული პატრიოტული სიამაყის გრძნობა, ერთიანი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს იდეა.

მოსკოვის პოლიტიკური და საეკლესიო ჰეგემონიის იდეამ განსაზღვრა XV—XVI საუკუნეებში შექმნილი ისეთი ლიტერატურული ძეგლების შინაარსი, როგორიცაა ნესტორ ისკანდერის „მოთხრობა ცარგრადის დაარსებისა და დამხობის შესახებ“, „მოთხრობები ბაბილონზე“, „თქმულებები ვლადიმირელ მთავართა შესახებ“, „მოთხრობა დინარაზე“ და სხვა.

ბაბილონზე ორი „მოთხრობაა“ ცნობილი. პირველ მათგანში აღწერილია ძველ ბაბილონში ნაბუქოდონოსორის გამეფების ამბები, მის მიერ ახალი ბაბილონის აშენება და იქ სახელოვანი მეფობა. მრისხანე

და ბრძენი ნაბუქოდონოსორის სიკვდილის შემდეგ ბაბილონს მტერი შემოესია. ოდესღაც სახელგანთქმული ქალაქი მთლად განადგურდა და გაოხრდა, სარეველა ბალახმა დაფარა იგი.

ამ „მოთხრობის“ თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს მეორე ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია სამეფო ნიშნების ბაბილონიდან ბიზანტიაში გადმოტანის ამბები.

ბერძენთა მეფე ლეონი, წმინდა ნათლისღებით ვასილად წოდებული, ბაბილონში აგზავნის სამ უაღრესად ღვთისმოსავ ქრისტიანს: რუს იურის, ბერძენ ისავლის და ობეჟანინ (ქართველ) იაკობს. ელჩებმა უდიდესი გაჭირვებით იკვლევენ მძიმე გზას. ბაბილონს რომ მიუახლოვდნენ, „მიადგნენ უზარმაზარ გველს, რომელიც მთელ ქალაქს გარშემო შემოხვეოდა... კედელზე მიდგმული იყო კვიპაროსის ხისაგან გაკეთებული კიბე“, რომელიც ვეებერთელა გველის ტანს ეყრდნობოდა. ამ კიბეზე სამი წარწერა იყო. პირველი ბერძნულ ენაზე მოუწოდებდა: „ადამიანო, ღვთის მიერ აქ მოყვანილო, მოდი კიბესთან“, მეორე — ობეჟანურ ენაზე: „უშიშრად გადააბიჯე უზარმაზარ გველს ამ კიბით“ და მესამე — რუსულ ენაზე: „უშიშრად ჩადი ქალაქში სხვა კიბით თვით ეკლესიამდე“.

ელჩები შიშით ავიდნენ კიბეზე და ქალაქის კედლიდან დაშვებული მეორე კიბით ეკლესიასთან ჩავიდნენ, მერე მეფის ბრწყინვალე სასახლეში შევიდნენ და იქიდან წამოიღეს სამეფო ნიშანნი — გვირგვინები და სიგელი, სხვა პალატიდან კი — დიდძალი ოქროული და ძვირფასი ნივთები. უკან მომავალი დატვირთული ელჩები პირველ კიბეზე მშვიდობით ავიდნენ და მიადგნენ მეორეს, რომელიც ვეებერთელა გველის ტანს ეყრდნობოდა. იაკობს მესამე საფეხურზე ფეხი დაუცდა, კიბიდან გადმოვარდა, გველს დაეცა და გააღვიძა იგი. უზარმაზარი გველი აიბურძგნა და საშინელი სტვენა მორთო. ელჩებმა ძლივს უშველეს თავს გაქცევით და, როგორც იყო, თავის მეფემდე მიაღწიეს. ვასილ მეფემ ისინი უხვად დაასაჩუქრა. მათ მიერ მოტანილი ერთი გვირგვინი პატრიარქმა „თავზე დაადგა ვასილ მეფეს, ხოლო მეორე დედოფალ ალექსანდრას და აკურთხა ისინი“.

ასეთია მეორე „მოთხრობის“ შინაარსი.

რაც შეეხება მოთხრობათა ციკლის წარმოშობის ადგილსა და დროს, ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგნი ფიქრობენ, რომ იგი შეიქმნა ბიზანტიაში ჯერ კიდევ XII საუკუნემდე, მაგრამ ბერძნულ ორიგინალს ჩვენამდე არ მოუღწევია. ზოგიერთი სპეციალისტის მტკიცებით კი — ეს რუსული ორიგინალური ძეგლია, რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა წარმოშობილიყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს თვით ნაწარმოების იდეური შინაარსი და ძირითადი სახეები, კერძოდ, ის გარემოება, რომ საბერძნეთიდან ბაბილონში ელჩებად გაიგზავნა სამი უაღრესად ღვთისმოსავი ქრისტიანი: რუსი, ბერძენი და „ობეჟანინი". „обежанин"-ს ისევე, როგორც „обез"-ს ძველ რუსულ ლიტერატურაში უწოდებდნენ აფხაზსაცა და ქართველსაც. ცხადია, „ობეჟანური" წარწერის ქვეშ (ბაბილონის კიბეზე) ქართული წარწერა იგულისხმება, რადგან, როგორც ცნობილია, მაშინ აფხაზური დამწერლობა არ არსებობდა.

ერთ-ერთი მკვლევარის (მ. სკრიპილის) ბოლო ხანებში გამოთქმული აზრით, „მოთხრობის" ავტორი სამი ელჩის სახით გამოხატავს სამი ქრისტიანული ქვეყნის — ბიზანტიის, რუსეთისა და საქართველოს თანასწორუფლებიანობის იდეას.

თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის ეს იდეა, წერს მ. სკრიპილი, — უნდა წარმოშობილიყო არა ბიზანტიაში (რადგან ბიზანტია თავის თავს იმ ქვეყნებზე მაღლა აყენებდა, რომლებმაც მისგან მიიღეს ქრისტიანობა), არამედ XV საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში. იმ დროისათვის თურქეთმა ხელში ჩაიგდო ბულგარეთი და სერბია, ხოლო ბიზანტია ხანგრძლივი შეტევებით დაასუსტა და შეავიწროვა. ამან მნიშვნელოვნად შეცვალა ქრისტიანული აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა. რუსი მწერლის წარმოდგენით, ამქვეყნად სამი ჭეშმარიტად ქრისტიანული სახელმწიფო დარჩა. ბიზანტიის დასუსტებული იმპერია, რუსეთის მზარდი სახელმწიფო და საქართველო. ამ ორ სახელმწიფოს ისეთივე უფლება ჰქონდა ქრისტიანული სამყაროს საკითხების გადაწყვეტაში, როგორც უფროს ქრისტიანულ ქვეყანას — ბიზანტიას. ამგვარად, ლეგენდარულ ფორმაში მწერალი გამოხატავს სამი ქვეყნის თანასწორუფლებიანობის იდეას.

მკვლევართა უმრავლესობა ამ მოთხრობებს უკავშირებს „მესამე რომის" თეორიას. მათი აზრით, მოთხრობათა ციკლში თავისებურად აისახა „მოსკოვის იდეოლოგია": დაღუპული ბაბილონის მემკვიდრედ აღიარებულია ბიზანტია, რომლის მეფესაც „ღვთის ნებით" გადაეცა „ნიშანნი სამეფოსანი". აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა საკითხი ბიზანტიის მემკვიდრის შესახებ. ვის ერგებოდა წილად ეს საპატიო მისია, ვის გადასცემდა უფალი ცარგრადის სამეფო ნიშნებს? ამ საკითხზე პასუხს იძლევა მესამე ნაწარმოები — „თქმულება ვლადიმირელ მთავართა შესახებ", რომელიც განხილულ მოთხრობათა ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

„თქმულება ვლადიმირელ მთავართა შესახებ" („Сказание о князьях Владимирских"). „თქმულების" დასაწყისში გადმოცემუ-

ლია უძველესი ლეგენდა ნოეს შვილთა შორის სამყაროს განაწილების შესახებ. ამას მოსდევს გენეალოგიური სია, ჩამოთვლა „მსოფლიო მეფეთა“, რომელთაგან ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს რომის იმპერატორ ავგუსტეს.

ავტორის მტკიცებით, ავგუსტეს შთამომავლები არიან რუსეთის დიდი მთავრებიც. ამ აზრის დასასაბუთებლად „თქმულებაში“ მოთხრობილია შემდეგი ამბავი: ქალაქ ნოვგოროდის მცხოვრებლებმა ელჩები გაგზავნეს პრუსიაში (სადაც თითქოს ავგუსტეს ძმა პრუსი მეფობდა), რათა იქ სათანადო კაცი მოენახათ და რუსეთში მთავრად მოეწვიათ. ელჩებმა მონახეს და მოიწვიეს თავადი რიურიკი — „რომის იმპერატორ ავგუსტეს ნამდვილი შთამომავალი“. რიურიკი ნოვგოროდს ჩამოვიდა და დიდ მთავრად დაჯდა. ეს იყო პირველი დიდი მთავარი რუსეთის მიწა-წყალზე. რუსეთის დიდი მთავრები რიურიკის შთამომავლები არიან.

„თქმულების“ ბოლოს აღწერილია, თუ როგორ გადმოვიდა რუსეთში ბიზანტიიდან „ნიშანნი სამეფოსანი“. კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმერ ვსევოლოდის ძემ — რუსეთის გამაქრისტიანებელი ვლადიმერ სვიატოსლავის ძის შვილიშვილმა — ცარგრადის მახლობლად მდებარე ფრაკიაზე გაილაშქრა, გამარჯვება მოიპოვა და სამშობლოში მრავალი ტყვითა და ნადავლით დაბრუნდა. იმ დროს ცარგრადში მეფობდა კონსტანტინე მონომახი, რომელიც სპარსეთსა და იტალიას ეომებოდა. გამარჯვებულ ვლადიმერ ვსევოლოდის ძეს კონსტანტინე მონომახმა მეგობრობისა და მშვიდობის ნიშნად თავისი ელჩები გაუგზავნა, რომლებსაც გაატანა დიდი საჩუქრები და სამეფო გვირგვინი, რათა ვლადიმერი მეფედ ეკურთხებინათ. კონსტანტინეს სიტყვა შეუსრულეს. „იმ დროიდან მთავარი ვლადიმერ ვსევოლოდის ძე იწოდება მონომახად, დიდი რუსეთის მეფედ და იქიდან მოყოლებული დღემდე იმ სამეფო გვირგვინით ხდება ვლადიმირელ დიდ მთავართა კურთხევა“.

„თქმულების“ შინაარსის მოკლე მიმოხილვიდანაც კი ნათელია მისი უაღრესად ტენდენციური ხასიათი. ისტორიის მოშველიებით ავტორს სურს დაამტკიცოს, რომ მოსკოვის სამეფო ქრისტიანულ მონარქიათა კანონიერი მემკვიდრეა. აკადემიკოს ი. ჟდანოვის სამართლიანი შენიშვნით, „თქმულების“ ავტორი საუკუნეთა სიღრმიდან ამოღებული ლეგენდარული ამბების მოშველიებით მოსკოვის მთავართა წინაშე ხატავდა წარმტაც მომავალს, რომლის ჰორიზონტზე მსოფლიო მეფობის ბრწყინვალე სურათი მოჩანდა.

ავტორის ტენდენციურობა იქამდე მიდის, რომ ზოგიერთ ისტორი-

ულ ფაქტსაც კი ამახინჯებს. მაგალითად, კონსტანტინე მონომახი, რომელმაც ვლადიმერს თითქოს სამეფო ნიშნები გამოუგზავნა, გარდაიცვალა 1055 წელს, როდესაც ვლადიმერ ვსეოლოდის ძე ორი წლისაც კი არ იყო.

მიუხედავად ამისა „თქმულება" იმდენად შეეფერებოდა ეპოქას სულისკვეთებას, რომ მან უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერების პერიოდში, განსაკუთრებით ივანე IV დროს. ძეგლის შინაარსი და იდეა აისახა იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებსა და ფოლკლორში. მეტიც, ამ ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებისა და ცენტრალიზაციის საქმეში.

„თქმულების" დაწერის დრო და ავტორი დადგენილი არაა. ფიქრობენ, რომ ძეგლი შეიქმნა XVI საუკუნის პირველ მესამედში და უნდა ეკუთვნოდეს პახომი ლოღოთეტის კალამს.

საქართველო რუსულ ლიტერატურაში. „მოთხრობა დინარაზე". ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჯერ კიდევ კიევის პერიოდში დაიწყო. ქართველები მოხსენიებული არიან უძველეს რუსულ მატიანეში, რუსები კი — „ქართლის ცხოვრებასა" და „ვეფხისტყაოსანში". ისტორიული წყაროები და არქიტექტურული ძეგლები მოწმობენ, რომ XI საუკუნეში ქართველი მხატვარი — ხატმწერები მიწვეული იყვნენ კიევის ტაძრების გასაფორმებლად. გავიხსენოთ დანათესავების ფაქტებიც. კიევის მთავარმა იზიასლავ I ცოლად შეირთო ქართველი მეფის ასული, ხოლო თამარ მეფის პირველი ქმარი რუსი იყო. კიევის რუსეთთან საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობას მოწმობს აგრეთვე IX — X საუკ. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა რუსეთის სხვადასხვა ოლქში და ზემოგანხილული „მოთხრობა ვარლაამისა და იოსაფის შესახებ", რომელიც, მკვლევართა აზრით, დაკავშირებულია ნაწარმოებთან „სიბრძნე ბალაჰვარისა".

ეს ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის მონღოლთა შემოსევის შედეგად შეწყდა. მონღოლ-თათართა ხანგრძლივი ბატონობისაგან დასუსტებულ საქართველოს XV საუკუნეში გაუჩნდა ახალი საშიში და ძლიერი მეზობელი თურქეთი, რომელიც უცხო ქვეყნებთან განუწყვეტელ ომებში ჩამოყალიბდა და გაძლიერდა.

თურქეთის მიერ ბიზანტიის დამხობამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ყოველმხრივ გააუარესა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. საქართველოს ერთმორწმუნე ბიზანტიასთან მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აკავ-

შირებდა. XV საუკუნეში ორ ქვეყანას შორის ნათესაური კავშირიც მზადდებოდა: ბიზანტიის უკანასკნელმა იმპერატორმა კონსტანტინემ გადაწყვიტა ცოლად შეერთო ქართველი მეფის გიორგი მერველის ასული. ქორწილი დანიშნული იყო 1453 წლის გაზაფხულისათვის, მაგრამ სწორედ ამა წლის 29 მაისს თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს და იმპერატორი კონსტანტინეც სიცოცხლეს გამოასალმეს[1].

დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ბიზანტიის ნაცვლად ახლა ჩვენს ქვეყანას მეზობლად ჰყავდა უაღრესად აგრესიული და ჩამორჩენილი თურქეთი, რომელმაც საქართველო მოსწყვიტა დასავლეთის ქვეყნებს. XVI საუკუნეში, ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, საქართველო თურქებმა და სპარსელებმა დაიპყრეს. ეს გარემოება დაემთხვა საქართველოს დაქუცმაცებას ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად.

ფეხი მოიკიდა რა საქართველოში, თურქეთი ჩრდილოეთ კავკასიასაც დაემუქრა. მაგრამ ამ დროისათვის საკმაოდ მოღონიერებულმა მოსკოვის სამეფომ მდინარე ვოლგის აუზში თათართა მფლობელობა მოსპო და კავკასიისაკენ გამოიწია; თერგის ნაპირას ციხე-სიმაგრე ააშენა და შიგ ჯარი ჩააყენა. ეს ნაბიჯი გადადგმული იყო გარკვეული მოსაზრებით: თურქეთ-სპარსეთის მეზობლობა საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრებს, ემუქრებოდა მის ეკონომიკურ ინტერესებს აღმოსავლეთში...

ამგვარად, კავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ძლიერი სახელმწიფო — თურქეთი და რუსეთი. ბუნებრივია, რომ მოსკოვის სამეფო დაინტერესებული იყო, კავკასიის ხალხთა შორის მოკავშირეები შეეძინა თურქეთის აგრესიასთან საბრძოლველად, მეგობრული კავშირი დაემყარებინა საქართველოსთან. ასეთი კავშირი კიდევ უფრო მეტად სჭირდებოდა საქართველოს, რომელსაც გარეშე და შინაური მტრები აოხრებდნენ და ასუსტებდნენ. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ქართველები ძლიერ და ერთმორწმუნე რუსეთს უყურებდნენ როგორც „ქრისტიანობის ბურჯსა“ და საერთო მტრისაგან — თურქეთ-სპარსეთისაგან მხსნელ სახელმწიფოს.

შექმნილმა ვითარებამ გააძლიერა საქართველოს ორიენტაცია რუსეთზე. XV საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მოსკოვს იგზავნებიან ელჩები „ურჯულოთაგან“ დაცვის თხოვნით. ასე, 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე ელჩებს უგზავნის ივანე მესამეს და თან ატანს წე-

[1] ეს ამბავი საფუძვლად დაედო ვასილ ბარნოვის ცნობილ რომანს „დედოფალი ბიზანტიისა“.

რილს, რომელშიც მოსკოვი ქრისტიანობის დედაბოძადაა მოხსენიებული. აქედან დაწყებული, თანდათან ვითარდება რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობა. პერიოდულად ორივე მხრიდან იგზავნებიან ელჩები. მრავალი საბუთით დასტურდება, რომ მოსკოვის დიპლომატიურ წრეებს XVI საუკუნეში საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოს აწმყოსა და წარსულზე.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო კულტურული ურთიერთობის განახლებას ორ ქვეყანას შორის და ქართული მოტივების შესვლას რუსულ ლიტერატურაში, კერძოდ, — „მესამე რომის" თეორიასთან დაკავშირებულ ძეგლებში. როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ მოთხრობაში ბაბილონის სამეფოზე ქართველის სახე გვხვდება, ხოლო „მოთხრობა დინარაზე" („Повесть о Динаре") მთლიანად ქართულ მასალაზეა აგებული. ამ „მოთხრობის" დასაწყისში ავტორი გვამცნობს, რომ ივერიის მეფე ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე ვაჟიშვილი არ დარჩა და ამიტომ ტახტზე ავიდა მისი ერთადერთი ქალიშვილი, 15 წლის დინარა — „ჭკვიანი და მამაცი, არ მსურველი გათხოვებისა". იგი მოწყალებით ეპყრობოდა ხალხს, გულმოდგინედ სწავლობდა „საღმრთო წერილსა" და წინანდელ მეფეთა ცხოვრება — საქმიანობას.

გაიგო რა სპარსეთის მეფე ადრამელეხმა ალექსანდრეს სიკვდილი და დინარას გამეფება, „განიზრახა წაეყვანა იგი თავის ოლქ სირიაში, ხოლო ქრისტიანული რჯული კი მოესპო". თავისი ელჩების პირით მან დინარას შემოუთვალა: ან იმაზე ორჯერ მეტი ძღვენი გამომიგზავნე, რაც მამაშენი მიგზავნიდა, ანდა ტახტზე ხელს აგაღებინებო. დინარამ მას ძღვენი გაუგზავნა და თანაც ასე შეუთვალა: შენ ტახტს ვერ წამართმევ, რადგან შენგან კი არ მიმიღია მოწყალება მეფედ ვიყო, არამედ ღვთისაგანო. „ამიტომ კი არ გიგზავნი საჩუქრებს, რომ შენი მეშინია. თქვენ მუსლიმანური ენა და კანონები გაქვთ, ჩვენ კი ჭეშმარიტი ღვთის კანონი გვაქვს, მხოლოდ მისი გვეშინია და მის მოწყალებას ვითხოვთ".

სპარსეთის მეფემ, როცა ეს მოისმინა, ძღვენი არ მიიღო, განრისხდა და დინარას შეუთვალა: „თუ გსურს ტახტი შეინარჩუნო და ჩემი წყალობა დაიმსახურო, გიბრძანებ ყველაფერი მომცე და შენ მხოლოდ საცვლების ამარა დარჩე". თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ მთელ ჩემს ჯარს შენ წინააღმდეგ დავძრავ, შენს სამეფოსაც დავიპყრობ და შენცო.

დინარამ ამაზე ასეთი პასუხი მისწერა: უძლური ქალი დიდძალი ჯარით კიდევაც რომ დაამარცხო, ეგ ვაჟკაცობად არ ჩაგეთვლება, მაგრამ თუ მე ღვთის შემწეობით შენზე გავიმარჯვებ, „თუ მე ჩემს ქალურ ფეხს შენს მეფურ სხეულს დავადგამ და თავს მოგკვეთ, რა დიდება და პატივი მხვდება წილად მე — სპარსეთის მეფეზე ქალური მამაცობით გა-

მარჯვებულს! რა დიდ პატივსა და დიდებას მოვუხვევ მაშინ მე ივერიის ქალებს და როგორ შევარცხვენ და გავაწბილებ სპარსელებს!"

ამის შემდეგ ადრამელეხმა დიდძალი ჯარით ივერიაზე გამოილაშქრა. მტრის წინააღმდეგ დინარას თავისი დიდებულების (ბოიარების) გაგზავნა უნდოდა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს: უთვალავ ჯართან შებრძოლება როგორ გავბედოთო. მაშინ დიდებულებს დინარამ მგზნებარე სიტყვებით მიმართა, ბრძოლისაკენ მოუწოდა.

ამ სიტყვამ დიდებულები გაამხნევა, მათ მეომრები შეკრიბეს და დინარას მოახსენეს: „გაბედე, დედოფალო, გაბედე!"

დინარამ მთელი ჯარი საბრძოლველად გაამზადა, თვითონ კი შაბრენის მონასტერში წავიდა, „რათა შეეთხოვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისათვის დახმარების აღმოჩენა მტრის წინააღმდეგ. წავიდა ფეხშიშველი ეკლიანი, წვეტიანი ქვებით მოკირწყლული მძიმე გზით".

ლოცვის შემდეგ დინარა ეკლესიიდან გამოვიდა, ცხენზე შეჯდა, ლაშქარს სიტყვით მიმართა და თავისი სახელმწიფოდან ადრამელეხის წინააღმდეგ დაიძრა. იგი „სპარსელთა ჯარს მიუახლოვდა, ლახვარი მოიმარჯვა, სპარსელთა ლაშქარს სწრაფად სტყორცნა და მაღალი ხმით შესძახა — ისე, რომ ორივე ჯარს გაეგონა: „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დახმარებით!". დაიფრთხო სპარსელნი ამ შეძახილმა და ისინი გაიქცნენ. დინარა და მისი ლაშქარი კი მათ დაედევნენ და უწყალოდ ჟლეტდნენ; და ჩასცა დინარამ ლახვარი სპარსელს, განგმირა იგი და შეიპყრო ადრამელეხი — სპარსეთის მეფე, მოჰკვეთა მას თავი, ჩამოაცვა თავის შუბზე და წაიღო სპარსეთის ქალაქ თავრიზში. დაიმორჩილა ქალაქი, ხელთ იგდო მეფეთა მთელი საუნჯე: ძვირფასი ქვები, ლალის ლანგარი, რომლიდანაც ნაბუქოდონოსორი ჭამდა, ძვირფასი მარგალიტი და უთვალავი ოქრო; და სპარსელებს ხარკი დაადო, როგორც საჭიროდ დაინახა, ხოლო შემახიდან ბრძანა ხარკი აეღოთ ცხენის ნალებით, და დაბრუნდა დინარა თავის ქვეყანაში ყოვლად უბიწო და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დახმარებით ბრწყინვალედ გამარჯვებული მედიდურ მტრებზე".

როგორც ვხედავთ, „მოთხრობაში" ლაპარაკია საქართველოზე. მაგრამ რა კონკრეტული მოვლენანი და პირნი არიან მასში ასახული? ეს საკითხი დავას იწვევს მკვლევართა შორის, მათი უმრავლესობა (მ. ბროსე, ა. პიპინი, მ. სპერანსკი, ი. ცინცაძე და სხვ.) იმ აზრისაა, რომ დინარას ქვეშ რუსი ავტორი გულისხმობს ჩვენს სახელგანთქმულ თამარ მეფეს. ეს მოსაზრება უკვე მიღებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი დასაბუთებულია საკმაოდ სერიოზული და დამაჯერებელი ფაქტებით.

პირველ ყოვლისა გავიხსენოთ, რომ „მოთხრობის“ გმირი დინარა ტახტზე ადის მამის სიკვდილის შემდეგ, რადგანაც მამამისს მემკვიდრე ვაჟიშვილი არ დარჩა. ცნობილია, რომ მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა მხოლოდ XII საუკუნეში. გიორგი მესამემ, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა, სიცოცხლეშივე გაამეფა თავისი ქალიშვილი თამარი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ 1184 წლიდან უშუალოდ განაგებდა საქართველოს.

რუსულ ძეგლში მოთხრობილია სპარსეთის მეფის მიერ დინარასაგან ხარკის მოთხოვნის ამბავი და დინარას ღირსეული პასუხი. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ყოველივე ეს წააგავს „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ თამარ მეფისა და სულთან რუკნადინის მიმოწერას.

ომის დაწყების წინ დინარა ღვთისმშობლის მონასტერში მიდის სალოცავად. თამარიც, როგორც მისი მეორე ისტორიკოსი მოგვითხრობს, შამქორის ბრძოლის წინ „შიშვლივ ფერხითა მიიწია ტაძარსა ღვთისმშობლისასა მეტეხთა, წინაშე ხატსა მას მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლით ვედრებად ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველნი მისნი“.

დაბოლოს რუსი ავტორი და თამარის მეორე ისტორიკოსი (შამქორის ბრძოლის აღწერისას) თითქმის ერთნაირად გადმოგვცემენ სპარსეთიდან ქართველთა მიერ ნადავლის წამოღების ამბავს.

ამგვარად, „მოთხრობაში“ ასახულია თამარ მეფის დროის გარკვეული ისტორიული მოვლენები[1].

ეს იმას ნიშნავს, თითქოს რუსი ავტორი ყველაფერს ზუსტად გადმოგვცემს, სრულებითაც არა.

შეიძლება ითქვას, რომ „მოთხრობა დინარაზე“ ორი ელემენტისაგან შედგება. მასში ერთი მხრივ, ასახულია საქართველოს წარსულის რეალური ფაქტები, ხოლო, მეორე მხრივ, — ისეთი ამბები, რომლებსაც საქართველოს სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია და, რომლებიც ავტორის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეს ფანტაზია, — შეთხზული ეპიზოდები, — თავისებურად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ქართულ, არამედ რუსულ სინამდვილეს, სახელდობრ — „მესამე რომის“ ეპოქას.

მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსთა მოწმობით, ქართველ დიდებულებს თამარის საომარ მოწოდებაზე უარი არასოდეს არ უთქვამთ: პირიქით, შამქორის ბრძოლაში ისინი ხალისით წასულან. რუსულ

---

[1] დაწვრილებით იხ. პროფ. ი. ცინცაძის გამოკვლევა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, 1939, ტ. X).

ძეგლში კი საგრძნობლადაა ხაზგასმული, რომ დიდებულებმა (ბოიარებმა) უარი განაცხადეს მტერთან შებრძოლებაზე და ამიტომ დინარამ მათ სიტყვით მიმართა. ამ სიტყვას ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „ოქროს სიტყვა". იგი განმსჭვალულია მაღალი პატრიოტული გრძნობით, სამშობლოს დასაცავად ძალთა გაერთიანების იდეითა და გმირული პათოსით. მაგრამ ეს არის არა მარტო მგზნებარე მოწოდება, არამედ მკაცრი საჭირაც: დინარა მიწასთან აბრწორებს და დაუნდობლად ამთრახებს დიდებულებს, ნიღაბს ხდის და აშიშვლებს. მათ ანტიპატრიოტიზმს, ეგოიზმს, სიმხდალეს.

ეს ამბავი ავტორმა, ცხადია, გარკვეული პოლიტიკური მიზნებით შეთხზა. აქ აშკარად გამოვლინდა მისი ანტიბოიარული ტენდენცია. იგი მკაცრად აკრიტიკებს და ამხელს რუს ბოიარებს, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ზრდა-განვითარებისათვის, ოპოზიციაში ედგნენ მეფეს, ამაოდ ცდილობდნენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. თვითმპყრობელი მეფის ბრძოლა ბოიარების წინააღმდეგ სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. „მოთხრობა დინარაზე" ამ ბრძოლის ინტერესებს ემსახურებოდა, „მოსკოვის იდეოლოგიის" მხურვალე დამცველად და აპოლოგეტად გამოდიოდა.

ამგვარად, ნაწარმოებში ასახულია არა მარტო საქართველოს წარსულის რეალური ამბები, არამედ რუსეთის გარკვეული „ეპოქის სულიც". ეს არის ერთსა და იმავე დროს ისტორიული და პოლიტიკური თხზულება, თუმცა ქანრობრივად ის წააგავს რუსულ სამხედრო-საგმირო მოთხრობებს. ავტორისათვის საქართველოს ისტორიული მოვლენების გადმოცემა შეადგენდა არა თვითმიზანს, არამედ მისი დროის აქტუალური პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის საშუალებას.

ძნელია თქმა, თუ რომელი გზით მიღებული ცნობები დაედო საფუძვლად „მოთხრობას დინარაზე". ყოველ შემთხვევაში, უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ძეგლი დაწერილია XV საუკუნის ბოლოს (შეიძლება საქართველოდან ჩასული პირველივე ელჩების ცნობათა საფუძველზე), ან XVI საუკუნეში, მაგრამ არა ამაზე გვიან, რადგან „მოთხრობის" უძველესი ნუსხა ეკუთვნის 1564—1565 წლებს.

თუმცა „მოთხრობის" ავტორი ცნობილი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ყოფილა მოსკოველი მწიგნობარი, ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული და იმ დროისათვის მოწინავე შეხედულებების მქონე ადამიანი — ერთი იმ მოღვაწეთაგანი, რომლებიც იბრძოდნენ თვითმპყრობელური სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და ამტკიცებდნენ მოსკოვის მეფის ძალაუფლების ღვთიურ წარმოშობას.

„მოთხრობა პეტრესა და ფებრონიაზე" („Повесть о Петре и Февронии"). ეს ნაწარმოები შეიქმნა XV საუკუნეში. დასაწყისში აღწერილია ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბავი. ქალაქ მურომში მცხოვრებ პეტრეს რძალთან მაცდურმა გველეშაპმა იწყო სიარული. პეტრემ გველეშაპი დევგმირ აგრიკის ხმლით განგმირა. მაგრამ გველეშაპის სისხლის ერთმა წვეთმა, რომელიც მას სახეზე მოხვდა, მალე ბოელი ტანი ნარბებით დაუფარა. პეტრე ბევრ მკურნალთან იყო, მაგრამ ვერავინ უშველა. ბოლოს სოფელ ლასკოვოში, ერთი გლეხის ოჯახში აღმოჩნდა ბრძენი ქალი — ფებრონია, რომელმაც პეტრეს უთხრა: მოგარჩენ იმ პირობით, თუ ცოლად შემირთავო. თავადს შეუძლებლად მიაჩნდა უბრალო გლეხის ქალზე დაქორწინება, მაგრამ ტკივილები მეტად აწუხებდა და ამიტომ დათანხმდა. ფებრონიამ ის განკურნა. მაგრამ მან ქალს პირობა არ შეუსრულა.

მურომში დაბრუნების შემდეგ პეტრე კვლავ ავად გახდა, ტანი ისევ წყლულებით დაეფარა და იძულებული გახდა სამკურნალოდ კვლავ ფებრონიასათვის მიემართა. ქალმა ისევ ცოლად შერთვა მოსთხოვა. პეტრე განიკურნა და ფებრონია ცოლად შეირთო.

პეტრე მურომის მმართველი გახდა და ცოლთან ტკბილად ცხოვრობდა, მაგრამ ბოიარებმა ეშმაკის შთაგონებით ფებრონია შეიძულეს, წარჩინებული გვარიშვილის არ არისო, ბევრჯერ მას ცილიც დასწამეს და ბოლოს პეტრეს ულტიმატუმი წაუყენეს: თუ მურომის მთავრად დარჩენა გსურს, ფებრონია აქედან გაისტუმრე და ბოიარის ქალი შეირთეო. პეტრემ ხელი აიღო თავის ძალაუფლებაზე და ფებრონიასთან ერთად ქალაქიდან წავიდა. მაგრამ მეორე დღესვე გზაში მათ მურომიდან დიდებულები დაეწივნენ და პეტრეს უკან დაბრუნება სთხოვეს. თურმე ბოიარებმა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთი გაჟლიტეს. პეტრე და ფებრონია უკან დაბრუნდნენ და შეუდგნენ მურომის მართვას.

როდესაც მათ სიკვდილის მოახლოება იგრძნეს, ღმერთს შეევედრნენ: ჩვენი სულები ერთდროულად მიიბარეო. გადაწყვეტილი ჰქონდათ ერთ კუბოში ჩაწოლილიყვნენ. ქვისაგან წინასწარ გამოაკვეთინეს საერთო კუბო, შემდეგ მონასტერში წავიდნენ, პეტრე ბერად აღიკვეცა, ფებრონია — მონაზვნად. სიკვდილის შემდეგ ისინი ხალხმა ცალ-ცალკე კუბოებში მოათავსა, მაგრამ მეორე დღეს ორივე ცხედარი წინასწარ გამზადებულ კუბოში აღმოჩნდა, მეორედაც სცადეს მათი დაშორება. მაგრამ ამაოდ.

„მოთხრობა პეტრესა და ფებრონიაზე" ძველი რუსული მწერლობის შესანიშნავი ქმნილებაა. ავტორმა მხატვრულად ასახა რუსეთის სინამდვილეში მიმდინარე ისტორიული პროცესი — სამთავროების გა-

ერთიანებისათვის ბრძოლა. როგორც ვიცით, XV—XVI საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფო ერთმმართველობისათვის იბრძოდა და ბოიარებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა. „მოთხრობაშიც“ ეს იდეებია გატარებული. მურომის ბოიარებმა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთი ამოწყვიტეს. შინაურ შფოთსა და არევ-დარევას ბოლო მხოლოდ მაშინ მოეღო, როცა სამთავროს პეტრე ჩაუდგა სათავეში და ბოიარები მისი მორჩილნი გახდნენ.

ამგვარად, აეტორს კარგად ესმის ერთმმართველობისა და ცენტრალიზაციის ძალა და მნიშვნელობა.

„მოთხრობა“ გამოირჩევა აგრეთვე გარკვეული დემოკრატიული იდეებით. მასში ყველაზე უფრო ბრძენ, ნებისყოფიან და კეთილშობილ ადამიანად გამოყვანილია გლეხის ქალი. ფებრონია ბევრად უფრო მაღლა დგას როგორც პეტრეზე, ისე ბოიარებზე. ის ნაწარმოების მთავარი და, შეიძლება ითქვას, იდეალური გმირია.

„მოთხრობის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სიყვარულია. ავტორი ქადაგებს ერთგულ და მტკიცე ცოლქმრულ სიყვარულს. ამ მხრივაც კვლავ ფებრონია გამოირჩევა. ის დაჯილდოებულია არა მარტო დიდი ჭკუა-გონებით, არამედ წმინდა სიყვარულის უძლიერესი გრძნობით. პეტრე და ფებრონია ერთმანეთთან სიყვარულით იმდენად მტკიცედ შეუღლებულნი აღმოჩნდნენ, რომ მათი დაშორება ვერ შეძლეს ვერც ამქვეყნიურმა და ვერც იმქვეყნიურმა ძალებმა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს „მოთხრობის“ მხატვრული ღირსებანი. გარეგნულად ის აგიოგრაფიულ ძეგლს წააგავს და თითქოს „წმინდანთა ცხოვრებას“ მოგვაგონებს. მაგრამ სინამდვილეში საერო ხასიათის თხზულებას წარმოადგენს. მისთვის სრულიად უცხოა „ცხოვრებათათვის“ დამახასიათებელი იდეები და რიტორიკულ-საზეიმო ენა. „მოთხრობის“ ენა ცოცხალი, სადა და ხატოვანია. ავტორი ხშირად იყენებს რუსული ხალხური ზეპირსიტყვიერების სახეებსა და გამოთქმებს, ამჟღავნებს მაღალ პოეტურ ნიჭსა და ოსტატობას.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ლიტერატურა (XVI—XVII სს.)

XVI საუკუნის ისტორიული ვითარება. პირველი რუსული სტამბა. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში მტკიცედ ჩამოყალიბდა რუსეთის მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა მოსკოვის თვითმპყრობელი მეფე. ემყარებოდა რა

უმთავრესად მოსახურე თავადაზნაურობას. თვითმპყრობელობა სასტიკად სდევნიდა ფეოდალური დაქუცმაცებისათვის მებრძოლ ბოიარებს.

განვითარების ამ საფეხურზე მონარქიზმი (აბსოლუტიზმი) პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან იგი ბოლოს უღებდა ქვეყნის ცალკეულ სამთავროებად დაყოფასა და ანარქიას, ხელს უწყობდა რუსეთის გაერთიანებას, გაძლიერებასა და მასში ერთგვარი წესრიგის დამყარებას.

ნეთექვსმეტე საუკუნის რუსულ ლიტერატურაში მკვეთრად აისახა ეს პროცესები, განსაკუთრებით — ბრძოლა თვითმპყრობელობის მომხრე აღმავალ თავადაზნაურობასა და სეპარატულად განწყობილ ბოიართა შორის, რომელმაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო XVI საუკუნის შუა წლებში, ივანე მეოთხის (ივანე მრისხანის) მეფობის დროს. მის მიერ ოპრიჩნინის დაწესების (1564 წ.) შემდეგ, როგორც ცნობილია, ბოიარებმა საბოლოოდ დაკარგეს ძველი პრივილეგიები.

სწორედ ამ პერიოდში მოსკოვში გაჩაღდა მუშაობა კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციათა ახალ შუქზე შეჯამებისა და განზოგადების ხაზით. დაიწყო ძველი ძეგლების ინტენსიური შეკრება, მათი თავისებური სისტემატიზაცია, გადაწერა, დამუშავება და შეცვლა, რის შედეგად წარმოიშვა მრავალტომიანი კრებულები. მთელი ეს გრანდიოზული წამოწყებანი და გამაერთიანებელი ღონისძიებანი მიმართული იყო იქითკენ, რომ „მოსკოვის იდეოლოგიის“ თვალსაზრისით გაშუქებულიყო მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა და დამტკიცებულიყო, რომ მოსკოვის სამეფო წარმოადგენს რუსეთის კულტურულ-პოლიტიკური და საეკლესიო-რელიგიური განვითარების ბუნებრივ ნაყოფსა და შედეგს; უფრო მეტიც, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ივანე მრისხანის ხელისუფლება წარმოდგენილი ყოფილიყო რუსეთის ხანგრძლივი განვითარების უმაღლეს საფეხურად და მსოფლიო ისტორიის უწყვეტი ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს რგოლად, „მსოფლიო სამეფოს“. კანონიერ და ღირსეულ მემკვიდრედ.

ამ მხრივ დამახასიათებელია პატრიარქ „ნიკონის ილუსტრირებული მატიანე“ („Никоновскій лицевой сводъ“), რომელიც 20000 გვერდისაგან შედგება და 16000 ილუსტრაციას შეიცავს. ამ უდიდეს კრებულში, რომელსაც ერთმა მკვლევარმა „ისტორიული ენციკლოპედია“ უწოდა, თავისებურად არის მოთხრობილი კაცობრიობის ისტორია — დასაწყისიდან 1560 წლამდე. იგი მიზნად ისახავდა, ეჩვენებინა რუსეთის მონარქიის სიდიადე, დაემტკიცებინა, რომ მოსკოვის სამეფოს წარმოშობა შემზადებული იყო კაცობრიობის განვითარების მთელი

ისტორიით, რომ ივანე მრისხანე „ღვთის რჩეული“ მეფეა და კანონიერი მემკვიდრეა „მსოფლიო იმპერიის“ ხელმძღვანელი ავგუსტესი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი რუსული სტამბის დაარსება. ძეგლების ხელით გადაწერას ორი დიდი ნაკლი ჰქონდა. ჯერ ერთი, საგრძნობლად ფერხდებოდა მათი გამრავლება-გავრცელება და მეორეც — გადამწერნი ხშირად შეცდომებს უშვებდნენ ან განგებ ამახინჯებდნენ ტექსტს. ამ მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო რუსეთის სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ცხოვრების ცენტრალიზაციის დროს. 1563 წელს მოსკოვში დაარსდა პირველი რუსული სტამბა, რასაც წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. სტამბის მომწყობი და პირველი ასოთამწყობი იყო ივანე ფეოდოროვი.

წიგნის ბეჭდვის დაწყების შემდეგ ძეგლების ხელით გადაწერის ტრადიცია არ შეწყვეტილა. XVIII საუკუნემდე სტამბებში იბეჭდებოდა უმთავრესად საეკლესიო ხასიათის წიგნები, საერო შინაარსის თხზულებანი კი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. მიუხედავად ამისა, წიგნის ბეჭდვის შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის.

ივანე პერესვეტოვის „თქმულებანი“. მძაფრი ბრძოლა, რომელიც ივანე მრისხანის დროს ბოიარებსა და თვითმპყრობელობის აპოლოგეტებს შორის მიმდინარეობდა, განსაკუთრებით რელიეფურად აისახა იმ პერიოდის პუბლიცისტიკაში, კერძოდ — ი. პერესვეტოვის, ა. კურბსკისა და ივანე მეოთხის თხზულებებში.

ივანე პერესვეტოვმა მრავალი წელი გაატარა სამხედრო სამსახურში პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ბოლოს ლიტვაში, საიდანაც დაახლოებით 1538 წელს მოსკოვს ჩამოვიდა. აქ ი. პერესვეტოვი კარგად მიუღიათ, მამულიც უბოძებიათ, მაგრამ მას 11 წელი სულ მგზავრობაში და ბოიარებთან დავაში გაუტარებია, რის შედეგად გაკოტრებულა.

ყოველივე ამას ჩვენ ვგებულობთ ი. პერესვეტოვის იმ ორი წერილიდან, რომლითაც მან ივანე მრისხანეს მიმართა. როგორც ეს წერილები, ისე „თქმულება მეფე კონსტანტინეზე“ („Сказание о царе Констáнтине“) და „თქმულება მუჰამედ სულთანზე“ („Сказание о Магмет Салтане“) ამკარა ანტიბოიარული ტენდენციითაა გამსჭვალული.

პირველ „თქმულებაში“ ი. პერესვეტოვი მოგვითხრობს კონსტანტინოპოლის (ცარგრადის) დამხობის ამბავს. ი. პერესვეტოვი თვლის, რომ „მეორე რომი“ დაეცა დიდებულებმა, ბოიარებმა, რომლებმაც თითქოს მეფე კონსტანტინეზე უარყოფითი გავლენა მოახდინეს, სამე-

ფო დაასუსტეს და რჯულსაც უღალატეს. ავტორი თავის მახვილს მიმართავს, ცხადია, არა ბერძენი, არამედ რუსი ბოიარების წინააღმდეგ.

პერესვეტოვის აზრით, მეფეს ლმობიერება არ შეშვენის, იგი უნდა იყოს მკაცრი და მრისხანე. ამის გარეშე ბოიარები თავს აიშვებენ და სახელმწიფოს დაღუპავენ. თუ მეფე „ლმობიერი და მშვიდი იქნება, — ამბობს ი. პერესვეტოვი, — მისი სამეფო დაუძლურდება და მისი სახელიც წახდება"; „მკაცრი და ბრძენი" მმართველის ხელში კი სახელმწიფო გაძლიერდება, გაფართოვდება და თვითონ მეფეც დიდ სახელს მოიხვეჭს მთელი დედამიწის ზურგზეო.

ეს ანტიბოიარული და მონარქისტული იდეები ი. პერესვეტოვმა განსაკუთრებით მკვეთრად ჩამოაყალიბა ნაწარმოებში „თქმულება მუჰამედ სულთანზე", რომელიც პირველი „თქმულების" ერთგვარ გაგრძელებად წარმოგვიდგება და აგრეთვე ქარაგმულ ხასიათს ატარებს. მუჰამედ სულთანის სახით ავტორი გვიხატავს სამართლიანი, ბრძენი და მრისხანე მეფის იდეალს.

დაამხო რა კონსტანტინოპოლი, — მოგვითხრობს ი. პერესვეტოვი, — მუჰამედმა იქ „სიმართლე" დაამყარა, სახელდობრ — ბოიარებისა და დიდებულების უფლებანი და პრივილეგიები მკაცრად შეზღუდა და მათ ხელისუფლება ჩამოართვა: თავის ქვეშევრდომებს იგი აფასებდა არა წოდების, არამედ პირადი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით.

ი. პერესვეტოვის „თქმულებაში" ჩამოყალიბებული პროგრამა იმდენად ემთხვეოდა ივანე მრისხანის მიერ ცხოვრებაში გატარებულ ღონისძიებებს, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა დაასკვნა: თხზულება ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ უნდა იყოს დაწერილიო. მაგრამ მკვლევართა მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ „თქმულება" შეიქმნა მეთექვსმეტე საუკუნის ორმოციან წლებში და, მაშასადამე, ი. პერესვეტოვმა იწინასწარმეტყველა ივანე მრისხანის სამოციანი წლების რეფორმები და, შეიძლება, თვით მეფეზეც მოახდინა გავლენა.

ი. პერესვეტოვის თხზულებანი გამოირჩევიან არა მარტო იმ დროისათვის მოწინავე შეხედულებებით, არამედ აგრეთვე მხატვრული ოსტატობით და შესანიშნავი ენით. ავტორი თავის აზრებს გამოთქვამს ქარაგმულად; ბიზანტიასა და თურქეთზე ლაპარაკობს, სინამდვილეში კი რუსეთი აქვს მხედველობაში. „თქმულებანი" დაწერილია უბრალო, სადა ენით; მათში სრულებით არ ეხედებით ციტატებსა და გამოთქმებს საეკლესიო წიგნებიდან.

XVII საუკუნის „არეულობის ხანა" და მასთან დაკავშირებული ნაწარმოებები. 1598—1613 წლები რუსეთში ცნობილია „არეულობის ხანად" („Смутное время"). ამ დროს, ერთი მხრივ, გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი გლეხებსა და მემამულეებს შორის, მეორე მხრივ — ბრძოლა პოლონეთისა და შვეციის გაბატონებული კლასების აგრესიის წინააღმდეგ.

უკიდურეს სიღატაკემდე მისულმა გლეხობამ ექსპლუატატორთა წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები დაიწყო. მათ სათავეში ჩაუდგა ჯერ ყმა გლეხი ივანე ბოლოტნიკოვი, შემდეგ — ცნობილი სახელმოხვეჭილი ბელადი სტეფანე რაზინი. გლეხობა დიდ გავლენიან ძალად იქცა, მაგრამ მისი აჯანყებები თვითმპყრობელობამ სისხლში ჩაახშო.

მეტად რთული და მძიმე აღმოჩნდა პოლონეთ-შვეციის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი მინინმა და პოჟარსკიმ, რომელთა ხელმძღვანელობით რუსმა ხალხმა მტაცებლებისაგან გაათავისუფლა თავისი მიწა-წყალი.

„არეულობის ხანა" მრავალ ნაწარმოებში აისახა. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „გ ო დ ე ბ ა მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს დ ა ტ ყ ვ ე ვ ე ბ ი ს ა და გ ა ა ო ა რ ტ ა ხ ე ბ ი ს გ ა მ ო" („Плач о пленении и конечном разорении Московского государства"). რომელშიც უცნობი ავტორი სასტიკად ამათრახებს ცრუ დიმიტრის, პოლონელ აგრესორ პანებსა და „შინაურ მტრებს" — რუს ბოიარებს.

ხალხურ ეპოსთან სიახლოვით გამოირჩევა „მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი მ ი ხ ე ი ლ ს კ ო პ ი ნ შ უ ი ს კ ი ზ ე". მათში აღწერილია რუსეთის გმირი მიხეილ შუისკის ცხოვრება, მისი საგმირო საქმეები, კერძოდ, ცრუდიმიტრ მეორეზე გამარჯვება და ბოლოს — გმირის სიკვდილის ამბავი.

განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ა ბ რ ა მ პ ა ლ ი ც ი ნ ი ს „თქმულება" („Сказание Авраама Палицына"), რომელიც ავტორს 1620 წელს დაუმთავრებია. ა. პალიცინი ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული და ღრმად მოაზროვნე ადამიანი იყო. ის ნათლად წარმოგვიდგენს მღელვარე ეპოქის სურათს, ბრწყინვალედ გვიჩვენებს, თუ როგორი თავდადებით იბრძოდნენ ინტერვენტების წინააღმდეგ რუსი პატრიოტები — არა მარტო მეთაურები, არამედ რიგითი მეომრებიც. მაგალითად, ნიკონმა და შილოვმა თავიანთი სიცოცხლის ფასად ააფეთქეს მიწისქვეშა ხერელი.

„მოთხრობა საბა გრუდცინზე". XVII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთისათვის დამახასიათებელია ძველი პატრიარქალური ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების თანდათან რღვევა, ბურჟუაზიის წარმოშო-

ბა. ძველი ყაიდის „მამათა“ და ახალი, ლაღი, მსუბუქი ცხოვრების ტრაგიკული „შვილთა“ შორის ბრძოლა. ყოველივე ეს თავისებურად აისახა მსატვრულ ლიტერატურაში, პირველ ყოვლისა — ზნეობრივი მოღვრების მოთხრობებში, კერძოდ „მოთხრობაში საბა გრუდცინზე“ („Повесть о Савве Грудцыне“).

საბა მდიდარი და ღარბაისელი ყაზანელი ვაჭრის შვილი იყო, — მოგვითხრობს ავტორი, — როცა წამოიზარდა, იგი მამამ სავაჭროდ გაუშვა. საბამ ქალაქ ორიოლს მიაღწია, სასტუმროში გაჩერდა, თავისი მამის მეგობრის ბაჟენის ახალგაზრდა ლამაზი ცოლი გაიცნო. ქალს საბა მოეწონა. ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, მაგრამ ერთი წმინდა დღესასწაულის დროს საბამ თითქოს ღვთის მუქარა იგრძნო და გადაწყვიტა ჩამოშორებოდა ბაჟენის ცოლს. ამაზე ქალი სასტიკად გაწყრა, ჰაბუკს ჯადოსნური სასიყვარულო წამალი დაალევინა და თავი თავდავიწყებით შეაყვარა. ახლა უკვე ქალი დადგა უარზე და შურისძიების მიზნით საბას სურვილი ქმარს გაუმხილა.

საბა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მზად იყო თვით ეშმაკის მსახურიც კი გამხდარიყო, ოღონდ ბაჟენის ცოლის სიყვარული დაებრუნებინა. ეშმაკმა ეს ამბავი შეიტყო, საბასთან ჰაბუკის სახით გამოცხადდა, მეგობრობა შესთავაზა, დახმარება აღუთქვა და გასამრჯელოდ მხოლოდ „მცირე რამ ხელწერილი“ მოსთხოვა. საბამ არ იცოდა, რომ ასეთი ხელწერილით ის ქრისტეს ღალატობდა და ეშმაკის მსახური ხდებოდა; ეშმაკს ხელწერილი მისცა და ბაჟენის ცოლთან კავშირი გააახლა. მშობლებმა მას ყაზანში დაბრუნება სთხოვეს, მაგრამ ეშმაკის შთაგონებით საბამ მათი თხოვნა არ შეასრულა და გარყვნილი ცხოვრება განაგრძო.

ამასობაში რუსეთ-პოლონეთის ომი დაიწყო. ეშმაკის რჩევით საბა სამხედრო სამსახურში შევიდა, მტერზე ზღაპრული გამარჯვებები მოიპოვა და იმდენად გაითქვა სახელი, რომ მოსკოვში ჩასვლისას თვით მეფის ყურადღება და წყალობაც კი დაიმსახურა.

ერთხელ საბა ავად გახდა, გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა და აღსარებისათვის მღვდელი მოითხოვა. აღსარებისას ოთახში ეშმაკის ხროვა შემოიჭრა საბას „ძმობილის“ მეთაურობით, რომელმაც ავადმყოფს მისი „ხელწერილი“ უჩვენა და სასტიკი შურისძიებით დაემუქრა. აღსარების შემდეგ მან მუქარა სისრულეში მოიყვანა. საბას ულმობელი წამება დიდხანს გრძელდებოდა. ბოლოს ავადმყოფს სიზმარში ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნებას შეჰპირდა, თუ საბა ბერად აღიკვეცებოდა, თანაც უთხრა: შენი განკურნების სასწაული მოხდება მოსკოვის მოედანზე აღმართულ ტაძართან მთელი ხალ-

სის დასწრებითო. განკურნების ცერემონიას მეფე მიხეილ ალექსის ძეც დაესწრო. საბა ნოხიდან სრულიად ჯანმრთელი წამოდგა, შემდეგ ბერად აღიკვეცა და სიკვდილამდე თავისი დღენი მარხვაასა და ცოდვათა ჩონანიებაში გაატარა.

ნაწარმოებში მოცემულია „ძველისა" და „ახლის" კონფლიქტი. ავტორი ძველის მხარეზეა; ის კიცხავს ჰაბუკს, რომელიც მამაპაპურ წესებს გადაუდგა, პატრიარქალური მორალი დაარღვია, თავის გრძნობებს აჰყვა და გარყვნილების ჰაობში ჩაეფლო. გზასაცდენილი საბა თავის ცოდვებს მხოლოდ ბერად აღკვეცითა და ლოცვა-კურთხევით განიბანს. ყოველგვარი ბოროტების („ახლის") სათავეში ეშმაკია, რომელსაც საბოლოოდ ღმერთი სძლევს, „ძველი" აქ სიკეთეს განასახიერებს. პატრიარქალური წესჩვეულებისა და მორალის დამცველ „მამათა" და პიროვნების თავისუფლების მოტრფიალე „შვილების" დაპირისპირება მოთხრობაში „მამების" სასარგებლოდაა გადაწყვეტილი.

ნაწარმოებში ტრადიციული მოტივების გვერდით (ეშმაკისათვის სულის მიყიდვა, ღვთისმშობლის გამოცხადება სიზმარში, მოღალატე ცოლის ოინები და სხვ.) მრავალი სიახლეც შეიმჩნევა. თვით ეშმაკი ჩვეულებრივ ადამიანს მოგვაგონებს. მოქმედება ვითარდება ფართო რეალურ-ისტორიულ ფონზე. მრავალი გმირი რეალური სინამდვილიდანაა აღებული (მეფე მიხეილ ალექსის ძე, ბოიარინი შეინი და სხვ.). ავტორი აღწერს რუსეთ-პოლონეთის ომის ამბებს, ზუსტად ასახელებს იმ ქალაქებს, ადამიანებს, ქუჩებს, სადაც მოთხრობის პერსონაჟთა მოქმედება მიმდინარეობს; იძლევა სოციალურ და ყოფით დეტალებს. ყოველივე ეს გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა იმდროინდელ რუსულ ლიტერატურაში.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ ზნეობრივი მოძღვრების ანუ „ჰკუისდამრიგებლურ" მოთხრობათა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე „მოთხრობა ჯავრსა და ბოროტსვიანობაზე" („Повесть о горе и Злосчастии"), რომელშიც აგრეთვე გზასაცდენილი ჰაბუკის ცხოვრება და მისი გამოსწორების ამბავია აღწერილი.

„მოთხრობა ფროლ სკობეევზე" („Повесть о Фроле Скобееве"). ეს ნაწარმოები, რომელიც მკვლევართა აზრით 1682 წელს დაიწერა, განეკუთვნება საყოფაცხოვრებო მოთხრობათა ჟანრს. ასეთი მოთხრობების ავტორები მთავარ მიზნად ისახავდნენ არა ჰკუა-ზნე-

ობის დარიგებას. არამედ რეალური ყოფის სურათების წარმტაც თავშესაქცევ ფორმებში აღწერას. ჩვეულებრივ მათში ვხვდებით ახალ, მოხერხებულ და იღბლიან გმირებს, მათ არაჩვეულებრივ ამბებსა და თავგადასავალს.

ფროლ სკობეევი, — მოგვითხრობს ავტორი, — ღარიბი აზნაური იყო. მაგრამ თავისი მოხერხებულობითა და ეშმაკობით დიდად გამდიდრდა. ქალის ტანსაცმელში გამოწყობილმა ფროლმა გაულენიანი თავადის ნარდინ-ნაშჩოკინის ქალიშვილის ანუშკას ოთახში შესვლა მოახერხა, ქალიშვილის გამოუცდელობით ისარგებლა და შეაცდინა იგი. აქედან დაიწყო ფროლის გამდიდრება და აღმავლობა. თავადის ასულის წყალობით ის ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობს, მაგრამ მშობლები ანუშკას ნოვგოროდიდან მოსკოვს გაიწვევენ, რათა მდიდარ თავადიშვილზე გაათხოვონ. ფროლიც მოსკოვში ჩადის, ანუშკასთან დაკავშირებას ახერხებს, მას თავის სახლში „გაიტაცებს“ და შემდეგ ცოლადაც შეირთავს.

ქალის მშობლები მეფესთან იჩივლებენ, მაგრამ ფროლი ერთი გაულენიანი თავადის საშუალებით ანუშკას მამას შეხვდება და მრავალნაირი ეშმაკობითა და თვალთმაქცობით მის გულსაც მოიგებს. ამიერიდან ფროლი მდიდრულ ცხოვრებას ეწევა, დიდკაცობაში პატივისცემასაც იმსახურებს და წარმატებებს აღწევს.

თუ ზნეობის მჭადაგებელ მოთხრობებში ძველი ყაიდის ცხოვრება იმარჯვებდა ახალგაზრდობის მისწრაფებებზე, და ავტორიც პატრიარქალურ „მამათა“ პოზიციებზე იდგა, აქ პირიქით, — ძველი თაობის წარმომადგენლები დამცირებულნი არიან, ხოლო ახალგაზრდა გაიძვერა გამარჯვებასა და წარმატებას აღწევს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფროლი არსებითად დადებით გმირად ვერ ჩაითვლება. მართალია, მას არც ნებისყოფა და მოხერხება აკლია და არც გაბედულება, ენერგიულობა და გონებამახვილობა. მაგრამ მას ამოქმედებს არა კეთილშობილური მიზანი, არამედ ეგოისტური ინტერესები, გამდიდრების სურვილი და ამ სურვილის მისაღწევად ის არავითარ ამორალურ საშუალებას არ ერიდება. ამგვარად, გმირი დაჯილდოებულია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებებით. ფროლის ავანტიურისტული ოინები ავტორის მიერ გაკიცხული კი არაა, არამედ სოციალურად და ფსიქოლოგიურადაა მოტივირებული და ახსნილი.

ანუშკაც ახალთაობის წარმომადგენელია: ის მიისწრაფვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, გაბედულად არღვევს ძველ ტრადიციებს და მშობლების სურვილის წინააღმდეგ ღარიბ აზნაურს გაჰყვება. ავტორი მას თანაუგრძნობს და სასაცილოდ იგდებს ბოიართა ქედმაღლობასა და გულუბრყვილობას.

„მოთხრობა შემიაკას სასამართლოზე“. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ გაერცელდა სატირული მოთხრობები. ამ ჟანრის განვითარება დაკავშირებული იყო ანტიფეოდალური მოძრაობის გაძლიერებასთან. თუმცა სატირული მოთხრობების ავტორებიც უცნობია ჩვენთვის, მაგრამ ისინი უდავოდ გამოსული იყვნენ არა „მაღალი“, არამედ დემოკრატიული წრეებიდან — წვრილი მოსამსახურეებიდან, ღარიბი სამღვდელოებიდან და სხვ. თავიანთ ნაწარმოებებში, რომლებიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ისინი ამხელდნენ გაბატონებული ბატონყმური რეჟიმის მანკიერ მხარეებს, სოციალურ, პოლიტიკურ და მორალურ სიმახინჯეებს.

სატირული მოთხრობებიდან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა „მოთხრობამ შემიაკას სასამართლოზე“ („Повесть о Шемякином суде“), რომელშიც მხილებულია მოსამართლეთა მექრთამეობა.

ღატაკმა გლეხმა, მოგვითხრობს ავტორი, მდიდარ ძმას შეშის მოსაზიდად ცხენი სთხოვა. მდიდარმა მას ცხენი ათხოვა, ცალუღზე (хомут) კი უარი უთხრა და ამიტომ ღარიბი იძულებული გახდა მარხილი ცხენის კუდზე მიება. ცხენს კუდი მოსწყდა; მდიდარმა ძმას უკუდო ცხენის მიღებაზე უარი განუცხადა და მასზე საჩივრად მოსამართლე შემიაკასთან ქალაქს გაემგზავრა. გზაზე შემოაღამდა და ერთ სოფელში ნაცნობ მღვდელთან გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი ღარიბი ძმაც იქვე მივიდა და ფიცარნაგზე მოკალათდა.

სახლის პატრონი და მდიდარი სტუმარი ვახშამს შეექცეოდნენ. ამ სურათის ცქერაში მშიერი ღარიბი გლეხი ფიცარნაგიდან ძირს ჩამოვარდა და აკვანში მწოლი მღვდლის ვაჟიშვილი გაჭყლიტა. ახლა მდიდარ ძმას მღვდელიც შეუერთდა და შემიაკასთან საჩივრად გაჰყვა. როდესაც ისინი ქალაქს მიუახლოვდნენ და თხრილზე გადებულ ხიდზე გადიოდნენ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ღარიბი ძმა თავის მოკვლის მიზნით ხიდიდან გადახტა, მაგრამ თვითონ უვნებლად გადარჩა და შემთხვევით დაეცა ერთ მოხუც ავადმყოფს, რომელიც შვილს ურმით ქალაქს მიჰყავდა სამკურნალოდ. და სწორედ იმ დროს ხიდის ქვეშ აღმოჩნდა. მოხუცი იქვე გარდაიცვალა. ახლა მდიდარ გლეხსა და მღვდელს დაღუპული მოხუცის შვილიც შეუერთდა და ყველამ ერთად გაასწია სასამართლოსაკენ.

ღარიბმა იცოდა, რომ მოსამართლეები მექრთამეები იყვნენ. ამიტომ გზაზე ქვა აიღო, ცხვირსახოცში გაახვია და მოსამართლე შემიაკას წინაშე ისე წარსდგა. როდესაც მოსამართლე ბრალდებულს მიმართავდა, ის ყოველთვის ცხვირსახოცში გახვეულ ქვას უჩვენებდა. შემიაკას ეგონა, ბრალდებული ოქროს პირდებოდა საჩუქრად და ამიტომ ასეთი

განაჩენი ვაპოლტანა: ცხენი ღარიბთან დარჩეს მანამდე, სანამ ცხოველს კუდი გაეზრდება. ღარიბსავე ჩაბარდეს მწვდლის ცოლი იქამდე, ვიდრე მას ახალი შვილი შეეძინება, ხოლო დაღუპული მოხუცის შვილი ხიდიდან გადახტეს და ღარიბს დაეცესო.

ახლა მოჰჩივანნი ღარიბს ეხვეწებიან, ოღონდ განაჩენი არ შეასრულო და გასამრჯელოსაც კი მოგცემთო. როცა მოსამართლე გაიგებს, რომ ცხვირსახოცში ოქრო კი არა, ქვა ყოფილა გახვეული, მაინც გაუხარდება — სიკვდილს გადავრჩიო.

თუმცა აქ მოცემული მოტივები სხვა ქვეყნების ლიტერატურაშიც გვხვდება, მაგრამ „მოთხრობა შემოიკას სასამართლოზე" უეჭველად რუსული სინამდვილიდან აღმოცენდა, მის უშუალო წყაროს რეალური ცხოვრება შეადგენდა. თვით მოსამართლია კეთრიც ისტორიული სინამდვილიდანაა აღებული. XVII საუკუნეში მექრთამეობითა და უსამართლო განაჩენებით „სახელი გაითქვა" თავადმა დიმიტრი შემიაკამ. მოთხრობა დაკავშირებულია რუსულ ხალხურ ზღაპრებთან, რომლებშიც სასტიკადაა მხილებული მოსამართლეთა უსამართლობა და მექრთამეობა.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის სხვა სატირული მოთხრობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „თქმულება მღვდელ საბაზე" („Сказаніе о попѣ Савве"), რომლის ავტორი მკაცრად ამათრახებს სამღვდელოების ვაჭრობასა და უვიცობას.

ამ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, არამედ რუსული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისთვისაც. XVIII და XIX საუკუნეების რუსულმა მწერლობამ მიიღო და განავითარა წინა პერიოდის სატირული ლიტერატურის ჯანსაღი ტრადიციები: ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი და არსებული სინამდვილის სიმახინჯეთა მხილება სატირის ბასრი იარაღით, ხალხური შემოქმედების მოშველიება და რეალისტური მეთოდის მოწარჯვება.

დეკანოზ აბაკუმის თხზულებანი. XVII საუკუნის ორმოციან წლებში დაარსდა „ღვთისმოსაობის გულმოდგინეთა" წრე (Кружок „ревнителей благочестия"), რომელიც მიზნად ისახავდა რუსულ ეკლესიაში სრული წესრიგის დამყარებას და სამღვდელოების მორალური დონის ამაღლებას. წრის აქტიურ წევრთა შორის იყვნენ, სხვათა შორის, არქიმანდრიტი ნიკონი და პროვინციელი დეკანოზი (протопоп) აბაკუმი. დასაწყისში წრის წევრთა შორის ერთსულოვნება სუფევდა, მაგრამ როდესაც პატრიარქად ნაკურთხი ნიკონი შეუდგა რუსულ ეკლესიაში რადიკალური რეფორმების გატარებას იმდროინ-

დელი ბერძნული წესჩვეულებების მიხედვით, მის წინააღმდეგ გადაწერით გაილაშქრა ავვაკუმმა.

ბრძოლა თანდათან გამწვავდა; ჩამოყალიბდა ორი ბანაკი. ნიკონს ეკლესიის გავლენის გაძლიერება სურდა და ამიტომ ეყრდნობოდა ძლიერსა და ავტორიტეტულ ბერძნულ საეკლესიო ორგანიზაციას. მას მხარს უჭერდნენ მთავრობის წრეები, მეფე მიხეილ ალექსის ძის მეთაურობით, რომელსაც თავი წარმოედგინა ბერძნული რელიგიის მცველად და ბიზანტიის მეფეთა კანონიერ მემკვიდრედ.

ოპოზიციის მეთაურ ავვაკუმს მიემხრო საშუალო და დაბალი სამღვდელოება, რომელიც უკმაყოფილო იყო სხვადასხვა გადასახადების გაზრდითა და შევიწროებით, თანაც შეჩვეული იყო დამკვიდრებულ ტრადიციულ საეკლესიო წესებს და არ უნდოდა მათში რაიმე სიახლის შეტანა. ძველი სარწმუნოებისათვის (старообрядчество) მებრძოლი მიემხრო აგრეთვე ქალაქის უკმაყოფილო ბურჟუაზია, მოხელეებისა და მებატონეებისაგან შევიწროებული გლეხობა და სხვ. ამგვარად, პროვინციელი დეკანოზი ავვაკუმი გამოხატავდა საკმაოდ ფართო დემოკრატიული წრეების ინტერესებს.

მეტად დამახასიათებელია ავვაკუმის (1621—1682) ცხოვრება და მოღვაწეობა. ის დაიბადა ნიჟეგოროდის ოლქის სოფელ გრიგოროვოში, ცოლად შეირთო მჭედლის ობოლი ქალიშვილი. ავვაკუმი ბავშვობიდანვე პირდაპირი და მოუსვენარი ხასიათის იყო. ის გაბედულად გამოდიოდა ადგილობრივ ხელისუფალთა უსამართლობისა და თავხედობის წინააღმდეგ. შემდეგ ნიკონთან წამოიწყო თავგანწირული ბრძოლა. ავვაკუმს დევნიან, ავიწროებენ, რამდენიმეჯერ აპატიმრებენ, ოჯახს უწიოკებენ, აწამებენ, მაგრამ ის არნახული სიმტკიცითა და ენერგიით განაგრძობს ბრძოლას. მუქარამ და დევნამ რომ ვერ გაჭრა, მთავრობამ და ნიკონის მომხრეებმა მუდარას მიმართეს. ავვაკუმს დიდ პატივს და დიდებას პირდებიან, ოღონდ გაჩერდეს, თავის პროპაგანდაზე ხელი აიღოს, მაგრამ ავვაკუმი არ ცხრება და ფანატიკური თავგამოდებით განაგრძობს თავისას. ამიტომ მას დეკანოზის წოდება ჩამოართვეს, შეაჩვენეს, დააპატიმრეს და გადაასახლეს. თხუთმეტი წელი გაატარა მან გადასახლებაში, საშინელ პირობებში და მაინც ძველი წესჩვეულების ერთგული დარჩა. ბოლოს ავვაკუმი სამ თანამოაზრესთან ერთად დაწვეს. ცეცხლში გახვეული დეკანოზი მაინც მგზნებარე სიტყვით მიმართავდა ხალხს, ხოლო როდესაც ერთ მის ცეცხლში-დებულ თანამოაზრეს კვნესა აღმოხდა, ავვაკუმი მისკენ გადაიხარა და ანუგეშა.

ავვაკუმი დაჯილდოებული იყო არა მარტო უშრეტი და მჩქეფარე

ენერგიით, შეუდრეკელი ნებისყოფითა და სიმტკიცით, არამედ შესანიშნავი ლიტერატურული ნიჭითაც. მის კალამს რამდენიმე ათეული ნაწარმოები ეკუთვნის. მათგან ყველაზე საინტერესოა აბაკუმის „ცხოვრება“ („Житие“). რომელშიც ავტორი აგვიწერს თავის ბიოგრაფიას, განსაკუთრებით ძველი სარწმუნეობისათვის ბრძოლას. ერთი შეხედვით ეს თხზულება ტრადიციულ „წმინდანთა ცხოვრებას“ მოგვაგონებს, მაგრამ არსებითად მათგან დიდად განსხვავდება და ავტობიოგრაფიული ჟანრის ადრინდელ ნიმუშს წარმოადგენს. თხზულების ცენტრში თვითონ აბაკუმი დგას. ის ერთსა და იმავე დროს ნაწარმოების ავტორიცაა და მთავარი გმირიც. აბაკუმი აგვიწერს არა რომელიმე „წმინდანის“ შეთხზულ „ცხოვრებას“ წინასწარ შემუშავებული შაბლონური სქემების მიხედვით, არამედ თავის მოღვაწეობასა და თავგადასავალს: თანაც აგვიწერს არა აგიოგრაფიული ძეგლებისათვის დამახასიათებელი მწიგნობრული საეკლესიო-სლავური ენით, არამედ ცოცხალი, სადა, სასაუბრო, ხატოვანი სტილით. ეს იმით აიხსნება, რომ აბაკუმი მიმართავდა მკითხველთა ფართო მასებს, სურდა დაერწმუნებინა ისინი თავისი მოძღვრების სიმართლეში. ბევრი მკვლევარი აბაკუმის „ცხოვრებაში“ რეალიზმის ნიშნებსაც პოულობს. კერძოდ, მიუთითებენ იმაზე, რომ ავტორის წარმოდგენით ქრისტე და თვით ღმერთიც კი ადამიანს წააგავს, რომ ნაწარმოები სავსეა საყოფაცხოვრებო დეტალებით და სხვა.

აბაკუმი დრომოჭმულ და უპერსპექტივო იდეებს ქადაგებდა, მაგრამ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით მის თხზულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ლიტერატურისათვის. მაქსიმ გორკის სიტყვით, აბაკუმი იყო „იშვიათი ფიზიკური და ხულიერი ძალის“ ადამიანი, რომლის თხზულებები დაწერილია შესანიშნავი მგზნებარე სტილით“.

მელექსეობა. სიმეონ პოლოცკელი. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ვითარდება სილაბური მელექსეობა, რომელიც ბგერათა რაოდენობით განიზომება. ასეთ ლექსებს „ვირშებს“ უწოდებდნენ. თუმცა ლექსთა შეთხზვის ცალკეული ცდები რუსულ მწერლობაში ადრეც იყო, მაგრამ პირველ ნამდვილ მელექსედ, პოეტად სიმეონ პოლოცკელი ითვლება.

სიმეონ. ემელიანეს ძე პეტროვსკი-სიტნიანოვიჩი (1629—1680), რომელიც ლიტერატურაში ცნობილია „პოლოცკის“ ფსევდონიმით, წარმოშობით ბელორუსი იყო. მან წარმატებით დაამთავრა პეტრე მოგილას მიერ დაარსებული კიევის კოლეგია. 1663 წელს სიმეონი მოსკოვს გადასახლდა და იქ ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალა; წერდა სახოტბო ლექსებს და მონაწილეობდა ნიკონ-აბაკუმს შორის გამართულ ბრძოლაში (აბაკუმის წინააღმდეგ). მალე

მან მეფე ალექსი მიხეილის ძის ყურადღება მიიქცია. სიმეონ პოლოცკელი, როგორც თავისი დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი, მიწვეულ იქნა სამეფო კარზე, ალექსი მიხეილის ძის შვილების — სოფიოს და პეტრეს (მომავალი მეფის პეტრე პირველის) მასწავლებლად.

სიმეონ პოლოცკელმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი საეკლესიო, პოლემიკური, ორატორული ხასიათის თხზულებები, მაგრამ ყველაზე საინტერესოა ლექსები და დრამატული ნაწარმოებები.

ს. პოლოცკელის ლექსები თავმოყრილია ორ კრებულში („Рифмологион" და „Вертоград многоцветный"). პირველში შეტანილია ძირითადად სახოტბო ლექსები, რომლებშიც ავტორი ქება-დიდებას ასხამდა მეფესა და მის მახლობლებს. ამ ლექსების სტილმა და ენამ ერთგვარი გავლენა მოახდინა მ. ლომონოსოვის იდეებზეც. რაც შეეხება მეორე კრებულს, მასში წარმოდგენილი ვირშების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. განსაკუთრებით საყურადღებოა ვაჭრებისა და ბერების წინააღმდეგ მიმართული სატირული ლექსები. ერთ-ერთ მათგანში („ვაჭარნი" — „Купечество") ავტორი მკაცრად ამხილებდა ვაჭრების გაიძვერობას, თაღლითობა-მატყუარობასა და ბოროტმოქმედებას, ხოლო სახელმოხვეჭილ ლექსში „ბერი" („Монах") გაბედულად ამხელდა ბერთა ცხოვრების შავბნელ მხარეებს, უვიცობას, ღორმუცელობას, გარყვნილებას.

ს. პოლოცკელმა დაწერა ორი დრამატული ნაწარმოები — „მეფე ნაბუქოდონოსორზე" („О Навуходоносоре—царе...") და „კომედია — თქმულება გზააბნეულ შვილზე" („Комедия — притча о блудном сыне"). უკანასკნელში ავტორმა ბიბლიური თქმულება გამოიყენა თავისი დროის აქტუალური საკითხის გადასაწყვეტად. პიესაში ასახულია „მამათა" და „შვილთა" რთული ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა (გავიხსენოთ მოთხრობა „საბა გრუდცინზე"), შვილი მამა-პაპის კერას მიატოვებს, სწორ გზას ასცდება, გარყვნილ ცხოვრებას იწყებს, მაგრამ ბოლოს თავის შეცდომას შეიგნებს, შინ დაბრუნდება და გამოსწორდება.

თეატრი და დრამატურგია. 1672 წელს ბოიარ არტამონ მატვეევის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით რუსეთში შეიქმნა პირველი თეატრი. წარმოდგენები იმართებოდა მოსკოვის მახლობლად, მეფის სასახლესთან სპეციალურად აგებულ შენობაში. მათ თავდაპირველად ესწრებოდნენ მხოლოდ მეფე და მისი კარისკაცნი. ამ თეატრმა მხო-

ლოდ ოთხ წელიწადს იარსება. შემდეგში კი პეტრე პირველის დროს აღდგა.

პირველი რუსული თეატრის რეპერტუარი მეტად შეზღუდული იყო. დასაწყისში კომედიები (მაშინ ყველა პიესას „კომედიას“ უწოდებდნენ) ბიბლიურ სიუჟეტზე იყო აგებული („ესთერი“, „იუდითი“, „კომედია ადამსა და ევაზე“ და სხვ.), შემდეგ საერო ხასიათის პიესებიც იდგმებოდა, რომლებიც ეპოქის მოთხოვნილებას ეხმაურებოდნენ. მაგალითად, „მცირე კომედია თემურლენგისა და ბაიაზეთის შესახებ“ („Комедия о Тамерлане и Баязете“ ანუ „Темир-Аксаково действо“), რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის წინ უჩვენეს, დაკავშირებული იყო მაშინდელი რუსული საზოგადოების აქტუალურ საკითხთან. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ პირველი რუსული თეატრის რეპერტუარი ნაკლებად იყო დაკავშირებული რუსულ სინამდვილესთან. მის მთავარ მიზანს შეადგენდა კარისკაცთა გართობა.

XVII საუკუნით მთავრდება ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია. მან საფუძველი ჩაუყარა ახალი ეროვნული მწერლობის განვითარებას. ამ პერიოდში შექმნილი ლიტერატურული ტრადიციები თავიებურად გააგრძელა და განავითარა XVIII საუკუნის რუსულმა მწერლობამ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პეტრეს ეპოქა. ახალი რუსული ლიტერატურის ისტორია XVIII საუკუნიდან იწყება. აბსოლუტური მონარქიზმის საბოლოო გამარჯვებამ, ფეოდალური კარჩაკეტილი მეურნეობის დაქვეითებამ, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის გაძლიერებამ და საზოგადოდ ბურჟუაზიული ცხოვრების განვითარების ახალმა პროცესმა განაპირობა ძველი რუსული ლიტერატურული სტილის, ჟანრების, პოეტური ფორმებისა და ესთეტიკური თეორიების რღვევა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობა განიცადა. პეტრე I რეფორმებმა ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას, რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებას. ჩრდილოეთის ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთი ჩადგა მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში, ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, გაიზარდა მისი ხვედრითი წონა ევროპისა და აზიის ქვეყნების პოლიტიკურ-დიპლომატიურ ასპარეზზე.

„... პეტრე აჩქარებდა ბარბაროსული რუსეთის მიერ დასავლეთის წესების გადმოღებას და ბარბაროსობასთან ბრძოლაში არ ერიდებოდა ბარბაროსულ საშუალებათა გამოყენებას“.[1]

მართლაც, პეტრე I ყოველმხრივ ცდილობდა პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებათა აღმოფხვრასა და ახალი, ევროპული კულტურისა და მორალის დანერგვას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების გავრცელებას. მან სწრაფად მოახდინა მაშინდელი სქოლასტიკური სკოლის რეორგანიზაცია, შეცვალა ის საერო და ტექნიკური სასწავლებლებით, მაქსიმალურად შეამცირა ღვთისმეტყველება და მათ ხარჯზე შემოიღო ისეთი საგნების სწავლება, რომლებსაც ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება (ნავიგაცია, მათემატიკა, გეოგრაფია,

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 27, 1952, გვ. 407.

ასტრონომია, ფიზიკა და სხვ.). გარდა ამისა, პეტრე I ნიჭიერ რუს ახალგაზრდობას ცოდნის მისაღებად საზღვარგარეთაც გზავნიდა.

პეტრე I დროს რუსეთში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება გაიხსნა. არსებითად მაშინ დაარსდა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემია, სამხატვრო გალერეა, საბუნებისმეტყველო-ანატომიური და საისტორიო მუზეუმები, სახელმწიფო-საზოგადოებრივი თეატრი. პეტერბურგსა და მოსკოვში პეტრემ ჩამოაყალიბა სტამბები, რომლებიც გადაიყვანა ახალ შრიფტზე, დააარსა პირველი ნაბეჭდი გაზეთი, შემოიღო არაბული ციფრები, რომლებმაც დასაბამი მისცეს რუსეთში მათემატიკური მეცნიერების განვითარებას და სხვ.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებამ რუსულ კულტურასა და ხელოვნებას ახალი, საერო მიმართულება მისცა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა პუბლიცისტიკა. ეს ბუნებრივიცაა. პეტრე I თავისი რეფორმების დასაცავად ყველაზე უფრო მეტად პუბლიცისტიკურ ჟანრს იყენებდა. ამ დროის პუბლიცისტები: თ. პროკოპოვიჩი, ი. პოსოშკოვი, ვ. ტატიშჩევი მხურვალედ უჭერდნენ მხარს პეტრე პირველის რეფორმებს, სასტიკად ამათრახებდნენ ყოველივე ძველს, დრომოჭმულს, ქადაგებდნენ ცოდნის, განათლების სარგებლობას, მათი გავრცელების აუცილებლობას.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში პუბლიცისტიკასთან ერთად მხატვრული ლიტერატურაც ვითარდებოდა: ლირიკა, დრამატურგია, პროზა. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ანონიმური მოთხრობები.

ანონიმური მოთხრობები. ჩვენამდე მოაღწია ბევრმა ანონიმურმა მოთხრობამ, რომლებიც პეტრე I დროს ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა რუსეთის საზოგადოებაში. ამ მოთხრობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ისტორია რუსი მეზღვაურის ვასილი კორიოტსკის შესახებ“, „ისტორია რუსი აზნაურის ალექსანდრეს შესახებ“ და „ამბავი ვაჭარ იოანესა და მშვენიერი ქალიშვილის ელეონორას შესახებ“.

ანონიმური მოთხრობების უმრავლესობა უცხო ენებიდან არის გადმოკეთებული, მაგრამ ამის მიუხედავად მათში შესანიშნავად არის ასახული პეტრე პირველის დრო. ასე, მაგალითად, მოთხრობა „ისტორია რუსი მეზღვაურის ვასილი კორიოტსკის შესახებ“ გაჟღენთილია თავისი დროის მოწინავე იდეებით. მასში საუცხოოდაა გადმოცემული პეტრე პირველის დროინდელი ახალგაზრდების მისწრაფებები.

უბრალო რუსი მეზღვაური ვასილი კორიოტსკი თავისი საკუთარი

ნიჭისა და უნარის წყალობით ფლორენციის მეფე გახდება. მოთხრობა თავისი თემატიკითა და იდეებით მთლიანად შეესაბამება პეტრე პირველის ეპოქას. ვასილი კორიოტსკი ტიპიური წარმომადგენელია პეტრე პირველის დროინდელი მოწინავე ახალგაზრდობისა. იგი ჯერ პეტერბურგში მიემგზავრება საზღვაო საქმის შესასწავლად, შემდეგ ჰოლანდიაში სახელისა და სიმდიდრის მოსახვეჭად. ბოლოს, გამდიდრებული რუსი აზნაური ცოლად შეირთავს ფლორენციის მეფის ასულს ირაკლიას და იქ სამეფო ტახტზე ავა.

ვასილი კორიოტსკი პეტრე პირველის დროის პირმშოა. იგი არაჩვეულებრივ ჰგავს ძველი დროის კარჩაკეტილ, ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში მყოფ რუს აზნაურ ახალგაზრდებს. იგი აქტიურია, ძლიერი, კეთილშობილი და ნიჭიერი; თავისი გარეგნობით, კულტურით, ზრდილობითა და გამჭრიახობით ევროპელებს აკვირვებს. მისი სიძლიერე არა წარმოშობაში, არამედ მაღალ პირად ღირსებებშია. სწორედ ამ ღირსებებით მოხიბლა მან ევროპელი ქალიშვილი ირაკლია და მისი მშობლები.

შემთხვევითი არ არის, რომ ვასილი კორიოტსკი განათლების მისაღებად პეტერბურგში მიემგზავრება, გასამდიდრებლად — ჰოლანდიაში, სწავლობს საზღვაო და სავაჭრო საქმეებს. პეტრე პირველის მეფობის დროს ხომ დიდი ყურადღება სწორედ საზღვაო საქმესა და ვაჭრობას ექცეოდა. ცოდნის მისაღებად მრავალი ახალგაზრდა იგზავნებოდა საზღვარგარეთ, თვით მეფე ადამიანებს აფასებდა არა გვარიშვილობის, არამედ პირადი ღირსებების, ნიჭისა და უნარის მიხედვით. ყველაფერმა ამან, როგორც დავინახეთ, შესანიშნავი ასახვა ჰპოვა მოთხრობაში „ისტორია რუსი მეზღვაურის ვასილი კორიოტსკის შესახებ".

პეტრე I ეპოქაში ანონიმური მოთხრობების გარდა ანონიმური ლექსებიც ვრცელდებოდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო სატრფიალო ლირიკული ლექსები, რომელთა მხატვრულ-პოეტური დონე, რასაკვირველია, დაბალი იყო. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სხვა ჟანრის ანონიმური მხატვრული ნაწარმოებებიც ვრცელდებოდა. მაგრამ პეტრეს ეპოქას ჰყავდა თავისი შესანიშნავი მწერლებიც.

თეოფანე პროკოპოვიჩი (1681—1736) თავისი დროის ერთ-ერთი მეტად განსწავლული კაცი იყო. მან განათლება ჯერ კიევ-მოგილანურ აკადემიაში, ხოლო შემდეგ რომში მიიღო. იქ მან კარგად შეისწავლა არა მარტო შუა საუკუნეების ევროპული კათოლიკური სასულიერო მწერლობა, არამედ იტალიური რენესანსიც.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ თ. პროკოპოვიჩი ბერად აღიკვეცა და კიევის სასულიერო აკადემიაში დაიწყო მასწავლებლობა. იგი ასწავლიდა ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, რიტორიკას, პო-

ეტიკას, ლექციებს კითხულობდა აგრეთვე ფიზიკასა და მათემატიკაში.

თ. პროკოპოვიჩი იყო პეტრე I რეფორმების მხურვალე მქადაგებელი, მეფის ერთგული თანამოაზრე; არსებითად იგი განაგებდა რუსეთის საეკლესიო საქმეებს და ზუსტად ახორციელებდა ეკლესიის უზენაესი ხელისუფლების შეზღუდვის პოლიტიკას.

საეკლესიო-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად თ. პროკოპოვიჩი ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა. თეოლოგიური თხზულებებისა და საეკლესიო-პუბლიცისტური ქადაგებების გარდა მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლექსები და პიესები.

აღსანიშნავია ტრაგიკომედია „ვ ლ ა დ ი მ ე რ ი“ (1705 წ.). ნაწარმოების თემად ავტორმა რუსეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება აიღო და გვიჩვენა რუსი მთავრის ვლადიმერის ბრძოლა წარმართი ქურუმების წინააღმდეგ. პიესაში მუქი სატირული საღებავებითაა დახატული წარმართული სარწმუნოების დაკნინება და ქურუმების უბადრუკობა. მათი სახელები მიგვითითებენ ღორმუცელობაზე. დიდ ქურუმს ჟერივოლი ჰქვია (ხარის მჭამელი), მეორეს — კუროიადი (ქათმის მჭამელი), მესამეს — პიარი (სმის მოყვარული) და ა. შ.

სამივე წინააღმდეგობას უწევს ვლადიმერს ქრისტიანობის გავრცელებაში იმიტომ, რომ ახალი სარწმუნოება ბოლოს მოუღებს სასულიერო პირების ღორმუცელობასა და გარყვნილებას.

პიესის დასასრულს ნაჩვენებია წარმართული კერპთთაყვანისმცემლობის განადგურება და ახალი ქრისტიანული სარწმუნოების გამარჯვება.

ტრაგიკომედია „ვლადიმერი“ სასკოლო დრამატურგიის ტრადიციულ ჟანრს ეკუთვნის. თ. პროკოპოვიჩმა ის კიევის აკადემიაში მოღვაწეობის დროს დაწერა მოსწავლეთათვის. პიესა შედგება პროლოგის, ეპილოგისა და ხუთი მოქმედებისაგან. ეპილოგში ქება-დიდება აქვს შესხმული პეტრე დიდს. მაგრამ ეს მხოლოდ საბოლოო დაგვირგვინებაა იმ იდეებისა, რომლებსაც ავტორი ქადაგებს პიესის ხუთივე მოქმედებაში. ვლადიმერი პეტრე პირველის ისტორიული ანალოგია, ხოლო ქურუმები — მეფე-რეფორმატორის მოწინააღმდეგე სამღვდელოების წარმომადგენლები.

თ. პროკოპოვიჩის „ვლადიმერი“ საინტერესოა არა მარტო ისტორიული ანალოგიებით, არამედ იმითაც, რომ მასში ვხედავთ განათლებისა და მეცნიერების პროპაგანდას, ჩამორჩენილობის, რელიგიური სიბეცისა და ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის დაუნდობელ მხილებას.

„ვლადიმერი“ მხატვრული თვალსაზრისითაც არის საინტერესო. მასში თ. პროკოპოვიჩი გვევლინება როგორც ჭეშმარიტი ნოვატორი, რომელმაც პიესის სიუჟეტად აიღო არა ბიბლიური ლეგენდა ან „წმინდა მამების“ რელიგიური თავგადასავალი, არამედ ისტორიული ამბა-

ვი და ის თანადროულობას დაუკავშირა. მან XVIII საუკუნის რუსულ ლიტერატურაში პირველმა მოახერხა ტრაგიკულისა და კომიკურის, მაღალი პათეტიკურ-რიტორიკულისა და დაბალი სატირული სტილის შერწყმა.

თ. პროკოპოვიჩის პიესისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ფსიქოლოგიზმი. ვლადიმერის ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისათვის გადმოცემულია არა მარტო რელიგიურ და პოლიტიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ასპექტშიც. ავტორი ცდილობს რაც შეიძლება მეტად მოერიდოს სქემატიზმს და ვლადიმერის მოქმედება გადმოგვცეს შინაგან სულიერ მღელვარებასა და განცდებთან ერთად.

თ. პროკოპოვიჩმა სახელი მოიხვეჭა როგორც ნიჭიერმა პოეტმაც. იგი წერდა სასულიერო და საერო ლექსებს რუსულ, ლათინურ და პოლონურ ენებზე. ოდებში იგი ხოტბას ასხამდა პეტრე პირველს და ამ მხრივ მ. ლომონოსოვის წინამორბედად ჩაითვლება. სახოტბო ლექსში „ეპინიკიონი" (1709 წ.) გადმოცემულია პეტრე დიდის ბრწყინვალე გამარჯვება შვედებზე პოლტავაში.

თ. პროკოპოვიჩი როგორც მწერალი ძველი და ახალი რუსული მწერლობის მიჯნაზე დგას. მისი შემოქმედება წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს რელიგიურ-სქოლასტიკური მწერლობიდან საერო ლიტერატურისაკენ.

30—50-იანი წლების ლიტერატურა

პეტრე პირველის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში სწრაფად გამოცოცხლდნენ რეაქციული ძალები. თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ერთი ნაწილი ძველი ცხოვრების რესტავრაციას შეეცადა, მაგრამ რუსეთი მაინც პეტრეს გზით მიდიოდა.

ახალი რეფორმების შედეგი იყო სწორედ რუსული კულტურის მნიშვნელოვანი წინსვლა 30—50-იან წლებში. 1726 წელს პეტერბურგში გაიხსნა მეცნიერებათა აკადემია, 1732 წელს — „კადეტთა კორპუსი", რომელსაც თავადაზნაურული ახალგაზრდობისათვის სამხედრო მომზადებასთან ერთად ზოგადი ჰუმანიტარული განათლებაც უნდა მიეცა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც მოხდა 1755 წელს მ. ლომონოსოვის თაოსნობით.

XVIII საუკუნის 30—50-იან წლებში რუსულმა ლიტერატურამაც განიცადა დიდი აღმავლობა. სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ სატირის მამა ა. კანტემირი, მწერალი და მეცნიერი ვ. ტრედიაკოვსკი, გენიალური მ. ლომონოსოვი და სხვ. ამავე პერიოდში დამკვიდრდა

რუსულ მწერლობაში ახალი ლიტერატურული მიმართულება — კლასიციზმი.

რუსული კლასიციზმი. კლასიციზმი პირველად ფრანგულ ლიტერატურაში გაჩნდა, შემდეგ ის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და დიდხანს ბატონობდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ევროპის სხვა ქვეყნების ლიტერატურაში.

კლასიციზმი წარმოიშვა აბსოლუტური მონარქიზმის გაძლიერების შედეგად; ეს უკანასკნელი მისი სოციალური და პოლიტიკური საფუძველია. კლასიციზმს ფილოსოფიური საფუძველიც მოეპოვება. მისი ესთეტიკური პრინციპები რაციონალისტურ მსოფლმხედველობას ემყარება. გონების კულტი და გრძნობისადმი უნდობლობა მომდინარეობს სწორედ დეკარტეს რაციონალისტური ფილოსოფიური სისტემიდან. ეს სისტემა გამორიცხავდა გრძნობის როლს შემეცნებაში, აღიარებდა, რომ საგანი შეიცნობა მხოლოდ და მხოლოდ გონების ლოგიკური კანონების წყალობით. აქედან გამომდინარე, კლასიცისტები მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს ხელმძღვანელობდნენ აბსტრაქტული რაციონალისტური კანონებით. მათ სრულებითაც არ აინტერესებდათ ადამიანის სულიერი სამყარო და არც ისახავდნენ მიზნად მასზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას. კლასიცისტებისათვის მთავარი იყო ზემოქმედება მკითხველის გონებაზე და არა მის გრძნობებზე.

სწორედ ამ მთავარი ესთეტიკური პრინციპიდან მომდინარეობს კლასიცისტურ ნაწარმოებებში მხატვრული სახეების უსიცოცხლობა, მათი სქემატურობა და ემოციური სიღარიბე.

რაციონალისტურმა პრინციპებმა განაპირობეს აგრეთვე ლიტერატურაში ურყევი რეგლამენტებისა და ზოგადი დოგმების შემოღება, რომელთა მიხედვითაც დაუშვებელი იყო ჟანრების აღრევა, დრამატულ ნაწარმოებებში აუცილებელი იყო ადგილის, დროისა და მოქმედების მთლიანობის დაცვა და სხვ.

რუსულ ლიტერატურაში კლასიციზმი XVIII საუკუნის 30—40-იან წლებში დამკვიდრდა. მისი პირველი წარმომადგენლები იყვნენ: ა. კანტემირი, ვ. ტრედიაკოვსკი, მ. ლომონოსოვი, ა. სუმაროკოვი. რუსეთში კლასიციზმი თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა. მან მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დაუთმო ადგილი ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებს — სენტიმენტალიზმსა და რომანტიზმს.

ისევე როგორც ფრანგული კლასიციზმი, რუსულიც განვითარების პირველ საფეხურზე დადებითი იყო. მის ღირსებებად ჩაითვლება მხატვრულ ლიტერატურაში მაღალი მოქალაქეობრივი პათოსის დამკვიდრება, პიროვნების ინტერესებზე მაღლა საზოგადოებისა და სა-

ხელმწიფო ინტერესების დაყენება, გონების ძალის დაფასება და მისი დაპირისპირება შუა საუკუნეების სქოლასტიკურ დოგმატიკასთან.

მართალია, რუსულმა კლასიციზმმა ფრანგულის გავლენა განიცადა, მაგრამ ის წარმოიშვა და განვითარდა ეროვნულ ნიადაგზე. აბსოლუტური მონარქიზმის საბოლოო გამარჯვებამ და გაძლიერებამ და, საბოლოოდ, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ამ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობა. რუსული კლასიციზმი ორიგინალური იყო როგორც თავისი შინაარსით, ასევე ფორმით.

დასავლეთ ევროპის კლასიცისტები ანტიკური ხელოვნების ნიმუშებს ბაძავდნენ და აქედან წარმოდგება კლასიციზმის სახელწოდებაც (მიბაძვა კლასიკური ქვეყნების კულტურის ნიმუშებისადმი). ისინი თავიანთი მხატვრული ნაწარმოებების სიუჟეტებს ანტიკური ისტორიიდან და მითოლოგიიდან სესხულობდნენ. რუს კლასიცისტებს კი თავისი ერის წარსული და მისი ინტერესები უფრო მეტად ამოძრავებდათ, ვიდრე ბერძნებისა და რომაელების გარდასული ისტორია. ისინი თავიანთი ნაწარმოებების სიუჟეტებს იღებდნენ საკუთარი ქვეყნის ისტორიიდან, აქტიურად ეხმაურებოდნენ ეპოქას და უპასუხებდნენ მის მოთხოვნებს..

დასავლეთ ევროპის კლასიცისტები უარყოფითად ეპყრობოდნენ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, ერიდებოდნენ სასაუბრო ენით მეტყველებას, ზევიდან უყურებდნენ ფოლკლორს და არ კადრულობდნენ მის საუკეთესო შედევრებს. რუსი კლასიცისტები შედარებით ახლოს იყვნენ ხალხის სულიერ ცხოვრებასა და შემოქმედებასთან.

დასავლეთ ევროპის კლასიცისტებთან შედარებით რუსული კლასიციზმი ნაკლებად დოგმატურია, მასში უფრო მეტი ჟანრობრივი და იდეური მრავალფეროვნებაა, იგი ნაკლებად არის შეზღუდული კლასიცისტური ესთეტიკის ურღვევი პრინციპებით. მათ დარღვევას ჩვენ ვხედავთ არა მარტო მ. ლომონოსოვის, დ. ფონვიზინის, გ. დერჟავინის მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ რუსული კლასიციზმის მამამთავრის ა. სუმაროკოვის შემოქმედებაშიც.

კლასიციზმის ისტორია რუსულ ლიტერატურაში XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. მართალია, ზოგიერთი რუსი მწერალი მანამდეც იყენებდა ძველ ბერძნულ მითოლოგიურ სახეებს, ბაძავდა ანტიკურ მწერლებს, მაგრამ კლასიციზმი, როგორც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა რუსულ ლიტერატურაში დამკვიდრდა XVIII საუკუნის 30—50-იან წლებში. მისი პირველი წარმომადგენელი იყო ა. კანტემირი.

ანტიოქე დიმიტრის ძე კანტემირი (1708—1744) თავისი დრო-

ისათვის მეტად განათლებული მოღვაწე იყო. მან კარგად იცოდა ბერძნული, ლათინური და, იტალიური ენები, მოსკოვის სლავურ—ბერძნულ—ლათინურ აკადემიაში შეისწავლა ანტიკური ლიტერატურა, პეტერბურგის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს მათემატიკაში, ფიზიკაში, ისტორიასა და ფილოსოფიაში.

ა. კანტემირი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში. იგი ებრძოდა რეაქციონერებს და თ. პროკოპოვიჩთან ერთად თავგამოდებით იცავდა პეტრე პირველის რეფორმებს.

ა. კანტემირი ცნობილია როგორც რუსული სატირის მამა. მართალია, სატირული ჟანრი რუსი მკითხველისათვის მანამდეც იყო ცნობილი, მაგრამ ა. კანტემირამდე მას აკლდა სოციალური და პოლიტიკური სიმძაფრე, მკვეთრად გამოხატული იდეური შინაარსი.

ა. კანტემირმა დაწერა ცხრა სატირა. აქედან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პირველი, მეორე და მეშვიდე.

პირველი სატირა — „სწავლის გამკიცხველებზე" („На хулящих учения") დაწერილია 1729 წელს, მასში ახალგაზრდა ავტორი გვევლინება როგორც პეტრე დიდის საქმის მხურვალე დამცველი, შქადაგებელი მაღალი — პროგრესული იდეებისა. იგი მწარედ დასცინის რეაქციონერებს, რომლებიც კულტურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

კანტემირი, როგორც კლასიცისტი, საკუთარ გონებას მიმართავს (სატირის ქვესათაურია „საკუთარ გონებას"—„К уму своему"), რომელსაც იგი თავმდაბლობით მოუმწიფებელს უწოდებს. მან იცის, რომ შემოქმედს ბედი არ უწერია, რომ დიდებას ვერ მოიხვეჭს, პირიქით, საზოგადოება მას არ დააფასებს, გაკიცხავს, ხელს ჰკრავს.

ა. კანტემირმა პირველ სატირაში შექმნა ოთხი სახე: კრიტონის, სილვანის, ლუკახი და მედორისა. ოთხივე სწავლა-განათლებას აძაგებს და იცავს გონებრივ სიბეცეს, ჩამორჩენილობას.

კრიტონი რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელია. იგი ამტკიცებს, რომ მეცნიერება რელიგიის მტერია, ასუსტებს ეკლესიის გავლენას ადამიანებზე. მისი აზრით, განათლებულ ადამიანს არ სწამს ეკლესია, არ იცავს მის წესებს, არღვევს რელიგიის მიერ შექმნილ ტრადიციულ შეხედულებებსა და წარმოდგენებს. მაგრამ კრიტონი ყველაზე უფრო მეტად შეშფოთებულია იმით, რომ განმანათლებლები ეკლესიისათვის მიწების ჩამორთმევას მოითხოვდნენ.

სწავლა-განათლების მეორე დაუძინებელი მტერი სილვანი თავადაზნაურობის წარმომადგენელია. სილვანის აზრით, არ ღირს ადამიანმა

დაკარგოს სიმშვიდე იმისათვის, რომ გაიგოს დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო თუ პირიქით. სილვანს მეცნიერების არც ერთი დარგი არ სწყამს, ყველას მტერია. იგი აღიარებს ცოდნის მარტო ერთ დარგს, რომელიც ადამიანს ჯიბის გასქელებას ასწავლის — გასავალს ამცირებს, ხოლო შემოსავალს ადიდებს.

მეცნიერების მესამე მოწინააღმდეგედ გამოყვანილია ლოთი და გარყვნილი აზნაური ლუკა; მისი აზრით, წიგნი ადამიანის მტერია, არღვევს ადამიანთა მეგობრობას, სიახლოვეს, ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. წიგნს ღვინო უპირისპირდება, რომელსაც ლუკა ქება-დიდებას ასხამს. მისი სიტყვით, ღვინო ადამიანებს აახლოვებს ერთიმეორესთან, აღვიძებს მათ შორის სიყვარულსა და მეგობრულ გრძნობებს.

მეოთხე სატირული სახე — მედორი ქარაფშუტა, მოდების მოყვარული აზნაურია. მისი სახით ა. კანტემირმა რუსულ ლიტერატურაში პირველმა გაკიცხა რუსი ახალგაზრდა, რომელიც დაეწაფა არა ნამდვილ ევროპულ კულტურას, არამედ აჰყვა იქაურ მოდას. მედორი უბარალო მეჩექმეს ვირგილიუსზე მაღლა აყენებს, ხოლო ტანისამოსის მკერავს — ციცერონზე. მას ერთი კოლოფი ფერუმარილი სენეკას ურჩევნია.

ა. კანტემირის პირველი სატირა მამხილებელი ხასიათისაა. ავტორი მასში ამხელს რეაქციულ სამღვდელოებას, მექრთამე მოსამართლეებს, გაუნათლებელ თავადაზნაურებს, უარყოფს ჩამორჩენილობას, ქადაგებს მაღალ განმანათლებლურ იდეებს.

მართალია, ოთხივე სატირული სახე კლასიცისტურია—მათ აკლიათ რეალობა, სიცოცხლე, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც აქვს გარკვეული ცხოვრებისეულობა.

ა. კანტემირის მეორე სატირაში „ფილარეტი და ევგენი“, ანუ „ავზნიან აზნაურთა შურსა და ამპარტავნობაზე“ („На зависть и гордость дворян злонравных“) დასმულია პრობლემა, რომელმაც სხვა გამოჩენილი რუსი მწერლების ყურადღებაც მიიპყრო.

ეს სატირა კომპოზიციურად ევგენისა და ფილარეტის დიალოგებისაგან შედგება (ბერძნულად ევგენი კეთილშობილს, ხოლო ფილარეტი სიკეთისმოყვარულს ნიშნავს). თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი აზრი აქვს კეთილშობილებაზე. ევგენი ამაყობს თავისი მაღალი წარმოშობით. მისი აზრით, ადამიანი უნდა ფასდებოდეს გვარიშვილობით, უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მარილისა და ღვეზელის გუშინდელი გამყიდველები დააწინაურეს (იგულისხმება პეტრე პირველის მიერ დაწინაურებული ა. მენშიკოვი), ხოლო ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლები მივიწყებულნი არიან და მათ არავინ აწინაურებს.

ფილარეტი საწინააღმდეგო შეხედულებებს გამოთქვამს. მისი აზრით, ადამიანები უნდა ფასდებოდნენ არა გვარიშვილობით, არამედ პირადი ღირსებითა და დამსახურებით. ამ აზრს ფილარეტი განმანათლებლური თვალსაზრისით ასაბუთებს. იგი ამბობს, რომ თავადაზნაურები და გლეხები ოდესღაც ერთნაირი მიწის მხვნელები იყვნენ.

საინტერესოა ა. კანტემირის მეშვიდე სატირაც „აღზრდის შესახებ“, რომელიც შეიცავს ბევრ საყურადღებო აზრს ბავშვის სწავლა-აღზრდაზე.

ა. კანტემირის შემოქმედება მაღალი მოქალაქეობრივი, პატრიოტული გრძნობით არის განმსჭვალული. „რასაც მე ვწერ, — ამბობს ა. კანტემირი, — ვწერ მოქალაქეობრივი მოვალეობით, ვამათრახებ ყველაფერს, რაც მავნეა ჩემ თანამოქალაქეთათვის“. მართლაც, ნიშიერი სატირაკოსის ნაწერებში ვხედავთ ბევრ ცხოვრებისეულ მხატვრულ სახეს და რუსეთის სინამდვილის უტყუარ სურათს. მისი სატირის თემატიკა, იდეური შინაარსი აქტუალურია, საჭირბოროტო, მასში სასტიკად არის გამათრახებული ყოველივე ძველი, დახავსებული, ფეოდალურ-პატრიარქალური.

ა. კანტემირის დიდი დამსახურება კიდევ იმაშია, რომ მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსულ ლიტერატურაში სატირულ მიმართულებას, რომელსაც XVIII—XIX საუკუნეების ბევრი გამოჩენილი რუსი მწერალი გაჰყვა. ბ. ბელინსკის აზრით, რუსეთში კანტემირმა პირველმა დაუახლოვა პოეზია ცხოვრებას.

ვასილ კირილეს ძე ტრედიაკოვსკი (1703 — 1769). მან ფილოლოგიური და ფილოსოფიური განათლება საფრანგეთში მიიღო. 1745 წელს მას პეტერბურგის აკადემიაში მ. ლომონოსოვთან ერთად აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს და პროფესორის თანამდებობაზე დანიშნეს.

ვ. ტრედიაკოვსკიმ ლექსების წერა დაიწყო ჯერ კიდევ სლავურ-ბერძნულ—ლათინურ აკადემიაში, სადაც იგი საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ორ წელს სწავლობდა. სატრფიალო და პატრიოტულ ლექსებს წერდა იგი პარიზში ყოფნის დროსაც.

1730 წელს, რუსეთში დაბრუნების შემდეგ ვ. ტრედიაკოვსკიმ გამოაქვეყნა ფრანგი მწერლის პოლ ტალმანის რომანის თარგმანი — „გამგზავრება სიყვარულის კუნძულზე“ („Езда в остров Любви“). თავისთავად ეს რომანი არაფრით არ არის საინტერესო, მაგრამ პატრიარქალური რუსეთისათვის, სადაც ადამიანის აზროვნება შებოჭილი იყო საეკლესიო-სქოლასტიკური იდეოლოგიით, სიყვარულის თემაზე დაწერილ ნაწარმოებს დადებითი როლის შესრულება შეეძლო.

თარგმანი საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისითაც. ვ. ტრედიაკოვსკიმ რუსულ მწერლობაში პირველმა დაიწუნა ლიტერატურისათვის საეკლესიო-სლავური ენა და მიმართა ჩვეულებრივ სასაუბრო ენას. თარგმანის წინასიტყვაობაში ვ. ტრედიაკოვსკი ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებმაც მას გააბედინა უარი ეთქვა გაბატონებული სალიტერატურო ენით სარგებლობაზე. იგი წერს, რომ სლავური-საეკლესიო ენა განკუთვნილია საეკლესიო და არა საერო წიგნებისათვის, რომ მისი წიგნი სიყვარულს ეხება და ამიტომ ეს გასაგები უნდა იყოს ყველა ასაკისა და სქესისათვის. დასასრულ ვ. ტრედიაკოვსკი წერს, რომ მართალია, ძველად მეც ვსარგებლობდი საეკლესიო-სლავური ენით, მაგრამ ახლა ის ყურს ეხამუშება, არ მომწონს, არაკეთილხმოვანიაო.

ამრიგად, ვ. ტრედიაკოვსკი რუსულ ლიტერატურაში პირველი შეეცადა ცოცხალი სალაპარაკო ენის საფუძველზე შეექმნა ახალი სალიტერატურო ენა. მართალია, მან ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯი ვერ გადადგა, შემდეგში უკანაც დაიხია, მაგრამ მისი გამოსვლა მაინც მნიშვნელოვანი იყო.

საყურადღებოა აგრეთვე ვ. ტრედიაკოვსკის ორიგინალური ლექსები, რომლებიც დართული აქვს ფრანგული რომანის თარგმანს. ეს ლექსები ავტორს პარიზში ყოფნის დროს აქვს დაწერილი. ზოგი სატრფიალოა და ზოგიც პატრიოტული ხასიათისა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი „ქებითნი ლექსნი რუსეთზე“ („Стихи похвальные России“), რომელიც გამსჭვალულია პოეტის უსაზღვრო სიყვარულით სამშობლოსადმი.

ვ. ტრედიაკოვსკიმ დიდი როლი შეასრულა აგრეთვე რუსული ლექსის სრულყოფისათვის ბრძოლაში. მან პირველმა სცადა ძველი სილაბური ლექსის შეცვლა სილაბო-ტონურით. 1735 წელს ტრედიაკოვსკიმ გამოაქვეყნა ნაშრომი — „რუსული ლექსის შეხხვის ახალი და მოკლე საშუალება“ („Новый и краткий способ к сложению российских стихов“), რომლითაც მან პირველმა დაასაბუთა ტონური ლექსის უპირატესობა სილაბურთან შედარებით.

ვ. ტრედიაკოვსკი თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ სილაბური ლექსი უცხოა რუსული ენის ბუნებისათვის, რომ მას შეეფერება ტონური ლექსი, რომელშიც მახვილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მართლაც, სილაბური ლექსი რუსმა სწავლულმა ბერებმა პოლონეთიდან შემოიტანეს. მისი ლექსთწყობის სისტემა შეესაბამება ფრანგულსა და პოლონურ ენებს, რომელთა სიტყვებში მახვილი ყოველთვის ერთ განსაზღვრულ ადგილზეა.

რუსული პოეზიის ისტორიაში ვ. ტრედიაკოვსკიმ პირველმა წამოაყენა ლექსთწყობის ახალი ტონური პრინციპი, მაგრამ იგი მაინც არ

ჩაითვლება ტონური ლექსის ფუძემდებლად. მისი რეფორმა ვიწროა და შეზღუდული, რადგან ის ვრცელდება მხოლოდ თერთმეტ და თორმეტმარცვლიან ლექსებზე — პენტამეტრზე და ჰექზამეტრზე. 1739 წელს მ. ლომონოსოვმა მოახდინა რუსული ლექსის სრული ტონიზაცია და ამიტომ ახალი სილაბო-ტონური ლექსის ფუძემდებლადაც ის ითვლება.

ამის მიუხედავად, მაინც ფასდაუდებელია ვ. ტრედიაკოვსკის როლი რუსული მეცნიერული და მხატვრული აზროვნების ისტორიაში. იგი სამ ათეულ წელზე მეტხანს ერთგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას. ის იყო უაღრესად შრომისმოყვარე და დაუღალავი მკვლევარი, მთარგმნელი, პოეტი, 1751 წელს მან თარგმნა და გამოსცა რუსულად ი. ბარკლაის განმანათლებლური იდეებით გაჟღენთილი რომანი „არგენიდა“, 1766 წელს ლექსად გადმოთარგმნა ფრანგულიდან ა. ფენელონის პოლიტიკურ-დიდაქტიკური რომანი „ტელემაქეს თავგადასავალი“, ხოლო ორი წლის შემდეგ დაასრულა როლენისა და კრევიეს 30-ტომიანი „მსოფლიო ისტორიის“ თარგმნა. საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი 1783 წელს ქართულ ენაზე გადმოიღო XVIII საუკუნის ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, თელავის სემინარიის რექტორმა — გაიოზ რექტორმა.

მ. ლომონოსოვი. მ. ლომონოსოვის მეცნიერული და მხატვრული შემოქმედება XVIII საუკუნის რუსეთის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი მოვლენაა. მ. ლომონოსოვი იყო ფილოსოფოსი და ასტრონომი, ფიზიკოსი და მექანიკოსი, ქიმიკოსი და მეტალურგი, გეოლოგი და მინერალოგი, გეოგრაფი და ბოტანიკოსი, ფილოლოგი და ისტორიკოსი, პოეტი და დრამატურგი, მხატვარი და მშვერმეტყველი. ა. პუშკინმა მ. ლომონოსოვს პირველი რუსული უნივერსიტეტი უწოდა.

მ. ლომონოსოვმა ერთმა პირველთაგანმა ახსნა ატმოსფერული ელექტრობა, შეისწავლა ჩრდილოეთის ნათების მიზეზები, აღმოაჩინა ნივთიერების მარადისობის კანონი, ცთომილ ვენერას გარემომცველი ატმოსფერო. მანვე შეადგინა რუსეთის პირველი გეოგრაფიული ატლასი და გამოთქვა აზრი, რომ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის გადალახვით შეიძლებოდა საზღვაო გზის გაყვანა ამერიკისაკენ. მან აგო პირველი ქიმიური ლაბორატორია; შექმნა მეცნიერების სრულიად ახალი დარგები; აკადემიასთან დააარსა პირველი რუსული უნივერსიტეტი და პირველმა დაიწყო რუსულ ენაზე ლექციების კითხვა. პირველმა შეადგინა რუსული ენის ნორმატიკული მეცნიერული გრამატიკა და შექმნა ლექსთწყობის ახალი თეორია; მისი თაოსნობით შეიქმნა

მოსკოვის უნივერსიტეტი და სხვა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება.

ბიოგრაფია. მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი (1711—1765) დაიბადა არხანგელსკის გუბერნიის სოფელ მიშანინსკოში. მამამისი გამოცდილი მეთევზე იყო. მიხეილი ბავშვობიდანვე ეხმარებოდა მას თევზის ჭერასა და ხვნა-თესვაში. ჩრდილოეთის მკაცრმა ბუნებამ და მამასთან ერთად ხიფათით სავსე შრომამ გამოაწრთო მ. ლომონოსოვის ნებისყოფა. მას სამუდამოდ დაამახსოვრდა მშობლიური მხარის სუსხიანი ბუნება, მისი საოცარი მოვლენები, ოკეანეში აღმართული ყინულის მთები, ჩრდილოეთის ნათების გრანდიოზული სურათები. პატარა მიხეილმა წერა-კითხვა ადრე შეისწავლა და მუშაობისაგან თავისუფალ დროს უმთავრესად წიგნების კითხვას ანდომებდა.

ცრდნას მოწყურებული მ. ლომონოსოვი 1730 წ. მოსკოვში ჩავიდა და შევიდა სლავურ—ბერძნულ—ლათინურ აკადემიაში. აკადემიის დავთავრების შემდეგ, 1735 წელს, სხვა 12 ნიჭიერ მოსწავლესთან ერთად იგი ლექციების მოსასმენად გაგზავნეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, მაგრამ მალე გერმანიაში სამთო საქმის შესასწავლად მიავლინეს.

საზღვარგარეთ ხუთი წლის განმავლობაში მ. ლომონოსოვმა შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები, მარბურგის უნივერსიტეტში მოისმინა ცნობილი მეცნიერის ქ. ვოლფის ლექციები ფილოსოფიაში, ფიზიკასა და მექანიკაში, კარგად გაეცნო ევროპულ მხატვრულ ლიტერატურას.

1741 წელს მ. ლომონოსოვი რუსეთში დაბრუნდა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში დაიწყო მუშაობა. 40—50-იან წლებში ის ერთდროულად მეცნიერების რამდენიმე დარგში მუშაობდა და ყველგან საოცარ წარმატებებს აღწევდა. 1745 წელს იგი ვ. ტრედიაკოვსკისთან ერთად დანიშნეს პროფესორად და აკადემიკოსად.

თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდა ლომონოსოვი აკადემიაში. ამ ხნის განმავლობაში მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსული მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. სწორედ ამ წლებში ჩამოაყალიბა მ. ლომონოსოვმა მატერიალისტური ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები, მეცნიერული თეორიები სიცივესა და სითბოზე, ატმოსფერულ მოძრაობასა და სხვათა შესახებ. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც მან ამ წლებში მოახდინა, ნივთიერების მარადისობის კანონი იყო.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ევროპულ ჟურნალებში ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, შვედურ ენებზე ხშირად იბეჭდებოდა წერი-

ლები, რომლებშიც ნახსენები იყო მ. ლომონოსოვი. განსაკუთრებით ხშირად აღნიშნავდა მ. ლომონოსოვის მეცნიერულ დამსახურებას გენიალური გერმანელი მათემატიკოსი ეილერი. იგი აღტაცებული იყო დიდი რუსი მეცნიერის ბრწყინვალე ნიჭითა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის აუმოჩენებით.

მძიმე შრომამ, რომელიც მ. ლომონოსოვს მძაფრ ნერვიულ პირობებში ეხდებოდა, ძლიერ შეარყია დიდი რუსი მეცნიერის ჯანმრთელობა. 60-იან წლებში იგი ხშირად ავადმყოფობდა, ნერვიულობდა და ხანდახანაც დაუძიმდა. 1764 წელს ავად გახდა. ავადმყოფობამ დიდხანს გასტანა. მართალია, წლის ბოლოს ლოგინიდან წამოდგა, მაგრამ სატკივარმა მეტად სერიოზული და სახიფათო რეციდივები დაუტოვა. ოდესღაც ჯანმრთელი, გოლიათური აგებულების, ჯანღონით სავსე მ. ლომონოსოვი ახლა ფეხებდასიებული მთელი კვირეების განმავლობაში შინ იჯდა და გარეთ ვერ გამოდიოდა.

1765 წ. 4 აპრილს მ. ლომონოსოვი გარდაიცვალა 54 წლის ასაკში. მის დაკრძალვას პეტერბურგის მთელი მოსახლეობა დაესწრო. დაკრძალეს პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის მონასტრის სასაფლაოზე.

მ. ლომონოსოვი დაახლოებით 25 წელს მოღვაწეობდა და ფრიად დიდი და საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვა: 1 პოემა, 2 ტრაგედია, 25 ოდა, 100 სხვადასხვა სახის ლექსი, 5 სახოტბო და სამადლობელი სიტყვა, 17 სამეცნიერო მსჯელობა, 170 მეცნიერული შენიშვნა სხვადასხვა შინაარსისა და მოცულობისა და 350-ზე მეტი ოფიციალური წარდგინება და პროექტი.

მ. ლომონოსოვის ამ მდიდარ მეცნიერულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე რუს მოღვაწეთა მრავალი თაობა აღიზარდა. XVIII—XIX საუკუნეების თითქმის ყველა გამოჩენილი რუსი მეცნიერისათვის მ. ლომონოსოვის შრომები მეცნიერებაში შესვლის ჭეშმარიტ კარიბჭეს წარმოადგენდა.

მ. ლომონოსოვი პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ. მ. ლომონოსოვი უარყოფდა უიდეო, უშინაარსო, საზოგადოებრივ იდეალებს მოკლებულ ლიტერატურას. „ლექსების მთხზველი, — წერდა ის, — არ მინდა უსაქმოდ ვნახო, მე მინდა იგი საზოგადოებაში ვიხილო როგორც მოქალაქე, სადაც თვით ზომავს ადამიანთა ნაკლოვანებებს“.

მ. ლომონოსოვი შეგნებულად ირჩევდა შთაგონების მაღალ, კეთილშობილურ წყაროებს. ის იყო პოეტი — მოქალაქე, პოეტი — მოაზროვნე.

მ. ლომონოსოვის აზრით, სიტყვა რეალური საგნების შინაარსის გა-

მოხატვის საშუალებაა. დიდი რუსი მეცნიერისათვის უცხო იყო ყოველგვარი მისტიკური წარმოდგენა სიტყვის შესახებ. პოეტი არც ჯადოქარია და არც ღვთის მესაიდუმლე, იგი მოქალაქეა, მეცნიერია, რომელსაც კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული თავისი მიზანი და ამ მიზნის გამოხატვის სიტყვიერი საშუალებანი. მ. ლომონოსოვის აზრით, პოეტისათვის საჭიროა ფართო განსწავლულობა, ის კარგად უნდა იცნობდეს პოეზიის კლასიკურ ნიმუშებს, ცხოვრებას, მეცნიერებას.

მ. ლომონოსოვმა თავისი ესთეტიკური იდეები გამოთქვა ფილოლოგიურ და ფილოსოფიურ შრომებში, მაგრამ მისი აზრი პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ ყველაზე უფრო ნათლადაა გამოხატული ლექსში „გაბაასება ანაკრეონთან" („Разговор с Анакреоном").

ეს ლექსი დაწერილია დიალოგის სახით. მ. ლომონოსოვმა ოთხი ანაკრეონისტული ოდა თარგმნა და თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი პასუხი დაუწერა. მართალია, არც ერთი თარგმნილი ოდა ანაკრეონს არ ეკუთვნის, მაგრამ ოთხივე ანაკრეონისებურია, მათში ანაკრეონი ლაპარაკობს და ამიტომ მას მიაწერდნენ.

პირველ ოდაში ლაპარაკია პოეზიის საგანზე, უმაღლეს იდეალზე, რომელსაც უნდა უმღეროდეს პოეტი. ამ ოდაში ანაკრეონი პოეზიის საგნად სიყვარულს აცხადებს. იგი უარყოფს სიმღერას გმირებსა და საგმირო საქმეებზე. მ. ლომონოსოვი შენიშნავს, რომ თუმცა სიყვარულის გრძნობა, ნაზი მოტრფიალე გული მასაც აქვს, მაგრამ საგმირო საქმეები, გმირთა მარადიული დიდება მას უფრო მეტად იტაცებს.

მომდევნო ოდაში ანაკრეონი აძაგებს ფულს, ცხოვრების უმაღლეს მიზნად მხიარულებასა და ლხინს აღიარებს. ამ ოდას მ. ლომონოსოვი პირდაპირ არ უპასუხებს. იგი აღიარებს, რომ ანაკრეონის ფილოსოფიასა და მის პირად ცხოვრებას შორის წინააღმდეგობა არ არსებობს; ანაკრეონი, მართლაც, თავისი ფილოსოფიის შესაბამისად ცხოვრობდა, თავისი ცხოვრება ლხინში გაატარაო.

მომდევნო ოდაში ანაკრეონი ამბობს, რომ მას ქალიშვილები გამოეცხადნენ, სარკე მიაწოდეს და უთხრეს: სარკეში ჩაიხედე, დაბერდი, თმა გაგითეთრდაო. ამ სიტყვებმა პოეტი ვერ შეაშინეს, პირიქით, მან უპასუხა: რაც უფრო ბერდება ადამიანი, მით უფრო მეტად უნდა იმხიარულოს, რადგან ბედისწერა მოახლოებულია და სიკვდილი ელოდებაო.

მ. ლომონოსოვს ანაკრეონის არც ეს სიტყვები მოსწონს. მისი აზრით, ადამიანის დანიშნულება სრულებითაც არ მდგომარეობს მხიარულებასა და განცხრომაში. პოეტი თავისი ქვეყნის თავდადებული

მოქალაქე უნდა იყოს, მას საზოგადოებრივი ინტერესები უნდა ამოძრავებდეს და არა პირადი კეთილდღეობისა და სიამოვნებისადმი მისწრაფება.

„გაბაასების“ უკანასკნელ ოდაში ანაკრეონი მხატვარს ემუდარება, რათა მიჯნურის პორტრეტი დაუხატოს, კარგად აჩვენოს მისი ხუჭუჭა თმები, მშვენიერი ხელები, მორთოს იგი სურნელოვანი ყვავილებითა და ალისფერი სამოსლით. ერთი სიტყვით, ანაკრეონს სატრფოს ისეთი პორტრეტი სურს, რომ მისმა ხილვამ ენებათა ღელეა აღუძრას.

ამ სიტყვების საპასუხოდ მ. ლომონოსოვიც იხმობს მხატვარს, მაგრამ იგი სატრფოს პორტრეტის დახატვას როდი სთხოვს. მას სურს თავისი სათაყვანებელი დედა-სამშობლოს დიდებული სურათი იხილოს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მ. ლომონოსოვი „ანაკრეონთან გაბაასებაში“ უარყოფს ინტიმურ ლირიკას, ქადაგებს საზოგადოებრივი პათოსით გამსჭვალულ პოეზიას, მაღალი კეთილშობილური იდეალების მატარებელ მხატვრულ შემოქმედებას.

მ. ლომონოსოვი რუსული ლექსთწყობისა და სალიტერატურო ენის შესახებ. „სამი შტილის“ თეორია. მ. ლომონოსოვი სილაბო-ტონური ლექსის ფუძემდებელია. მან 1739 წელს ნაშრომში „წერილი რუსული ლექსთწყობის წესებზე“ („Письмо о правилах российского стихотворства“.) ჩამოაყალიბა ლექსთწყობის ახალი თეორია. მართალია, მ. ლომონოსოვის წინამორბედმა ვ. ტრედიაკოვსკიმ პირველმა დაარღვია რუსულ პოეზიაში ლექსთწყობის პრინციპი, მაგრამ მან ვერ შეძლო თანმიმდევრული რეფორმის გატარება და სილაბური ლექსთწყობის მთელი სისტემის შეცვლა ტონური ლექსთწყობით. მ. ლომონოსოვმა არათუ მიიღო ვ. ტრედიაკოვსკის აზრი, რომ ლექსთწყობა, როგორც წესი, ენის ბუნებას უნდა შეეფარდებოდეს, არამედ რუსული ენის ბუნების გათვალისწინებით ტონური პრინციპი, მთელ რუსულ ლექსთწყობაზე გაავრცელა. ვ. ტრედიაკოვსკიმ ტონური პრინციპი მხოლოდ თერთმეტ და თორმეტმარცვლიან საგმირო ხასიათის ლექსებზე იხმარა, მ. ლომონოსოვმა კი სრულიად უარყო სილაბური ლექსთწყობა, როგორც რუსული ენის ბუნებისათვის შეუფერებელი.

ვ. ტრედიაკოვსკისაგან განსხვავებით მ. ლომონოსოვმა რუსული ლექსთწყობის ზომად მარტო ქორე კი არ გამოაცხადა, არამედ იამბიკო, ქორეული და დაქტილური ტერფები და საერთოდ, ყველა ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფი. მან ამასთანავე დაარღვია ვ. ტრედიაკოვსკის მიერ შემოღებული რითმების, სახეებისა და გარითმვის ხერხების ხელოვნური ზღუდეები.

მ. ლომონოსოვამდე რუსული სალიტერატურო ენა მეცნიერულად დაუმუშავებელი იყო და მასში დიდი ქაოსი შეიმჩნეოდა. მაშინდელი ლიტერატურულ ნაშრომებში არეული იყო ძველი სლავური, სასაუბრო, უკრაინული, პოლონური და პეტრე პირველის დროს ევროპიდან შემოტანილი მრავალი უცხო სიტყვა.

მ. ლომონოსოვმა მთელი სიმწვავით იგრძნო ეს აღრევა და ჯერ კიდევ 40-იან წლებში მტკიცედ გადაწყვიტა რუსული სალიტერატურო ენის წესრიგში მოყვანა. მაგრამ რუსული ენის მეცნიერულ დამუშავებამდე, მის პრაქტიკულ გამოყენებამდე, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებამდე თავდაპირველად საჭირო იყო რუსული ენის მეცნიერული გრამატიკის შექმნა.

1755 წელს მრავალი წლის ბეჯითი და თავდადებული შრომის შედეგად მ. ლომონოსოვმა დაამუშავა და გამოსცა „რუსული გრამატიკა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსული ლინგვისტიკური აზროვნების განვითარებაში. ეს იყო არსებითად პირველი გრამატიკა, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის სალიტერატურო ენის მოვლენათა მტკიცე საფუძველზე, რუსული ენის განვითარების კანონებისა და მათი თავისებურების გათვალისწინებით, მაშინდელი დროის ევროპული გრამატიკული ლიტერატურისა და მოწინავე მეცნიერული თეორიების გამოყენებით.

1757 წელს მ. ლომონოსოვმა გამოაქვეყნა კიდევ ერთი ტრაქტატი „რუსულ ენაში საეკლესიო წიგნების სარგებლიანობის შესახებ“ („О пользе книг церковных в российском языке“), რომელშიც მან წამოაყენა ეგრეთ წოდებული „სამი შტილის“ თეორია და გაარკვია საეკლესიო-სლავური ენისა და რუსული ენის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშერწყმის საკითხები.

მ. ლომონოსოვის „სამი შტილის“ თეორია დაფუძნებულია რუსული და საეკლესიო-სლავური ენების შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებულ საერთო ენობრივ კლასიფიკაციაზე. მან ხმარებაში მყოფი სიტყვები სამ ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფს მიაკუთვნა ის სიტყვები, რომლებიც საერთო იყო, როგორც საეკლესიო-სლავურისათვის, ისე რუსულისათვის; მეორეს — საეკლესიო-სლავური, რომელიც წერაკითხვის მცოდნეთათვის გასაგები იყო, მაგრამ მეტყველების დროს იშვიათად იხმარებოდა. მესამე ჯგუფში მ. ლომონოსოვმა შეიტანა ისეთი რუსული სიტყვები, რომლებიც საეკლესიო წიგნებში არ იხმარებოდა, მაგრამ გვხვდებოდა სასაუბრო ენაში, თანაც თავისი ხასიათით მისაღები იყო სალიტერატურო ენობრივ პრაქტიკაში.

ამრიგად, მ. ლომონოსოვმა სალიტერატურო ენის მთელი ლექსიკური მარაგი სამ ჯგუფად დაყო, რასაც თავისი „სამი შტილის“ თეორია შეუფარდა. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის სიტყვები

იხმარებოდა, მ. ლომონოსოვი შესაფერის სტილსა და შემდეგ ჟანრსაც მიაკუთვნებდა. მაღალი სტილი პირველი და მეორე ჯგუფის სიტყვების ხმარების შერწყმის შედეგად იქმნებოდა, ხოლო დაბალი სტილი მეორე და მესამე ჯგუფის სიტყვებისაგან შედგებოდა.

„სამი შტილის“ შესაბამისად მ. ლომონოსოვი ჟანრობრივ კლასიფიკაციასაც აწესებს. საგმირო პოემები, ოდები, ისტორიული სიტყვები მაღალ ჟანრს ეკუთვნოდა და უნდა დაწერილიყო მაღალი სტილით; თეატრალური თხზულებები, გალექსილი მეგობრული წერილები, სატირები, ელეგიები, ისტორიული და ფილოსოფიური პროზა საშუალო ჟანრს ეკუთვნოდა და საშუალო სტილით უნდა დაწერილიყო, ხოლო კომედიები, სამხიარულო ეპიგრამები, პროზაული მეგობრული წერილები დაბალ ჟანრს ეკუთვნოდა და დაბალი სტილით უნდა დაწერილიყო..

მ. ლომონოსოვის „სამი შტილის“ თეორიამ დიდი როლი შეასრულა სალიტერატურო ენისა და სტილის განვითარებაში. მან წესრიგი შეიტანა იმ ენობრივ ქაოსში, რომელიც რუსეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საეკლესიო-სლავური ენის გაჩენის შედეგად წარმოიშვა, ხოლო შემდეგ კი პეტრე პირველის ეპოქაში, უცხო სიტყვების ფართოდ შემოჭრის შედეგად გაძლიერდა. „სამი შტილის“ თეორიამ უზრუნველჰყო სალიტერატურო ენის განვითარება საერთო ეროვნული ენის საფუძველზე.

მ. ლომონოსოვის სახოტბო პოეზია. პირველი ლექსი, რომელშიც მ. ლომონოსოვმა რუსული ლექსთწყობის ტონური პრინციპები გაანახორციელა, არის ოდა „ხოტინის აღებაზე“, რომელიც მან დაწერა 1739 წელს გერმანიაში, როცა რუსეთის ჯარებმა თურქეთზე გაიმარჯვეს და ციხე-სიმაგრე ხოტინი ხელში ჩაიგდეს. ამ ნაწარმოების შემდეგ, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ მუშაობდა საზეიმო ანუ სახოტბო ოდის, როგორც პოეტური ჟანრის სრულყოფაზე.

მ. ლომონოსოვის საზეიმო ოდა იყო ვრცელი ლექსი, რომელიც საკმაოდ ბევრი სტროფისაგან შედგებოდა და თავისი მონუმენტური ფორმითა და შინაარსით პოემას უფრო ჰგავდა, ვიდრე ლექსს. ოდებს, როგორც წესი, დღესასწაულებისათვის წერდა და საზეიმო ვითარებაში კითხულობდა. მათგან უმეტესი ნაწილი დაწერილია დედოფალ ელისაბედ პეტრეს ასულის დაბადების დღის გამო, სამეფო ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით და ა. შ.

თუმცა გარეგნულად ეს ლექსები სახოტბო ნაწარმოებების შთაბეჭდილებას ტოვებენ და ამიტომ მათ სახოტბო ოდებს უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი ეძღვნება სამშობლოს ბედსა და მომავალს,

ხალხის, სახელმწიფოს მიზნებსა და ამოცანებს. ამიტომ მეფის დაბადების ან სახელობის დღე, რასაკვირველია, მიზანი კი არა, საბაბი იყო მ. ლომონოსოვისათვის.

პირველი ასეთი ნაწარმოები, რომელიც მ. ლომონოსოვმა დედოფალ ელისაბედს მიუძღვნა, 1742 წლის სახოტბო ოდა იყო. პოეტი საზღვარგარეთიდან დაახლოებით ერთი წლის ჩამოსული იყო, როცა ეს ლექსი დაწერა. საბაბი იყო დედოფლის კორონაცია კრემლში და მისი მოსკოვიდან დედაქალაქში დაბრუნება. ოდაში მ. ლომონოსოვი არა მარტო აქებს და ადიდებს ელისაბედ პეტრეს ასულს, არამედ სამეფო ტახტზე ახლად ასულ მეფეს რჩევა-დარიგებასაც აძლევს.

რას იტყვის დედოფალზე მომავალი თაობა, — კითხულობს პოეტი, — როცა დაინახავს, რომ მისი წყალობით ზღვები ხომალდებით ივსება, აუარებელი ქალაქები შენდება იქ, სადაც მანამდე უღრანი ტყეები იყო. მაშინ დედოფლის სახელი და დიდება, — უპასუხებს თვითონვე, — ცამდე მიაღწევს.

მ. ლომონოსოვის ყოველ ოდას წითელ გვირისტად გასდევს აზრი, რომ პეტრე პირველი იდეალური მეფე იყო და დედოფალმა ელისაბედმა უნდა მიჰბაძოს მას. 1746 წლის ოდაში, რომელიც დაწერილია ელისაბედ პეტრეს ასულის სამეფო ტახტზე ასვლის 5 წლისთავზე, პოეტი დედოფალს მოაგონებს, რომ მტრის მიმართ ისიც ისეთივე დაუნდობელი იყოს, როგორც მამამისი პეტრე I იყო, მაგრამ აქვე ის მშვიდობიან ცხოვრებას ქადაგებს. მ. ლომონოსოვი თითქოს სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სწორედ იმ დროს ევროპაში ომის ხანძარი იყო გაჩაღებული. პოეტი ელისაბედ პეტრეს ასულს ურჩევს, რომ მან თავისი ავტორიტეტი გამოიყენოს და ევროპაში მშვიდობიანი ცხოვრება აღადგინოს.

აღსანიშნავია, რომ ელისაბედ პეტრეს ასულის სამეფო ტახტზე ასვლის დღესასწაულს სხვებმაც უძღვნეს ოდები, მაგრამ მათში ვერ ვხედავთ ვერც ლომონოსოვისებურ ამაღლებულ პატრიოტულ გრძნობებს, ვერც დახვეწილ პოეტურ ენასა და ვერც კიდევ იმ დიდ ეროვნულ იდეებს, რომლებითაც გამსჭვალულია მ. ლომონოსოვის 1746 წლის ოდა.

მ. ლომონოსოვის პოეზიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს 1747 წლის ოდას, რომელიც პოეტმა მიუძღვნა ელისაბედ პეტრეს ასულს სამეფო ტახტზე ასვლის ექვსი წლისთავზე.

ეს ოდა, რგორც ფორმით, ისე შინაარსით, ტიპიურია მ. ლომონოსოვის მთელ სახოტბო პოეზიაში. მასში მკაფიოდ და სრულად არის გამოთქმული მ. ლომონოსოვის ესთეტიკური, პოლიტიკური, სოციალური და მეცნიერული იდეები. იგი გამოირჩევა კომპოზიციური დახ-

ვეწილობით, ძარღვიანი ენით, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით და ძლიერი პოეტური ენთუზიაზმით.

ოდის პირველ სტროფებში მ. ლომონოსოვი ქება-დიდებას უძღვნის დედოფალ ელისაბედ პეტრეს ასულს განათლების, მშვიდობიანობისა და მეცნიერებისადმი დიდი სიყვარულის გამო, მას პეტრე პირველის ღირსეულ მემკვიდრედ აღიარებს და მამის საქმის საუკეთესო გამგრძელებლად მიიჩნევს.

მომდევნო სტროფებში ვრცლად არის გაშუქებული მშვიდობის თემა. მ. ლომონოსოვმა იცოდა, რომ მეცნიერების, კულტურისა და მრეწველობის განვითარება რუსეთში მშვიდობიანი ცხოვრების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ოდის მეორე სტრიქონში პოეტი გულმხურვალედ შესძახებს: დიდება „საყვარელ მშვიდობას".

მშვიდობას მ. ლომონოსოვი ოდის ბოლო ნაწილშიც უმღერის, მაგრამ ნაწარმოების პათოსს მაინც რუსეთის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების დიადი იდეები წარმოადგენს.

მეთოთხმეტე სტროფიდან დაწყებული, მ. ლომონოსოვი ხატავს რუსეთის მიწა-წყლის გრანდიოზულ პანორამას: მაღალ მთებს, თვალუწვდენელ მინდვრებს, რომლებზეც მიედინება ვოლგა, დნეპრი, ობი. მათ გულში დამალულია დიდძალი სიმდიდრე, რომელთაც აღმოჩენა და გამოკვლევა უნდა. მართალია, მუდმივი თოვლით არის დაფარული ჩრდილოეთის მხარე, მაგრამ ყინულოვანი მთები სასწაულებრივ საიდუმლოებასა და განძეულობას შეიცავს.

მეთექვსმეტე-მეთვრამეტე სტროფებში მ. ლომონოსოვი მეფისა, და საერთოდ, რუსეთის განათლებული საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს შორეულ აღმოსავლეთზე. იგი ამტკიცებს, რომ შორეული აღმოსავლეთი, რომელიც ჯერჯერობით ათვისებული და გამოყენებული არ არის, უმდიდრესი კუთხეა, რომ მისი ათვისების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარე ამურს, რომელმაც როგორც მძლავრმა სავაჭრო არტერიამ, შორეული აღმოსავლეთი წყნარ ოკეანესთან უნდა შეაერთოს.

ოდაში მ. ლომონოსოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ურალის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების საკითხს. მისი აზრით, ურალი მდიდარია ლითონით, ძვირფასი ქვებით, ოქროთი, ვერცხლითა და სხვა ფასეული მადნებით. პოეტი მოითხოვს ამ უხილავი სიმდიდრეების აღმოჩენას, გამოყენებასა და დამუშავებას. მაგრამ რა პირობებშია შესაძლებელი მათი დამუშავება? მ. ლომონოსოვმა კარგად იცოდა, რომ მათი დამუშავება შეუძლებელი იქნებოდა, თუ რუსეთი არ დაადგებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზას. ამიტომ პოეტი — მეცნიერი ოდის დასასრულს ისევ რუსული რაციონალური მეცნიერების განვითარებასა და საკუთარი მეცნიერული კადრების მომზა-

დებას მოითხოვდა. მ. ლომონოსოვს ღრმად სწამდა თავისი ერის უდიდესი ინტელექტუალური შესაძლებლობანი, რუსი ხალხის ნიჭიერება და შემოქმედებითი შრომის საოცარი უნარი. პოეტი წერს, რომ რუსეთის მიწასაც ძალუძს წარმოშვას მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნების ისეთი გიგანტები, როგორიც პლატონი და ნიუტონია.

აქაც, ისევე როგორც დედოფლისადმი მიძღვნილ სხვა ოდებში, მონარქის სახე აბსტრაქტულია, ზოგადი, არაკონკრეტული. ელისაბედ პეტრეს ასულის სახე მოკლებულია იმ კონკრეტულ-ინდივიდუალურ თვისებებს, რომლებიც სინამდვილეში ამ დედოფალს ჰქონდა.

ეს გასაგებიც არის. ეს გარემოება მარტო მ. ლომონოსოვის სტილის კლასიცისტური ხასიათით როდია განპირობებული. მთავარია პოეტის დამოკიდებულება მეფისადმი. მას, რა თქმა უნდა, სწამდა ყოვლისშემძლე, ქვეყნის მპყრობელი მეფე. მაგრამ მისთვის მთავარი იყო ელისაბედის არა კონკრეტული, ისტორიული სახე, არამედ ის იდეა, რომელსაც იდეალურ მეფეს მიაწერდა. ამით აიხსნება ისიც, რომ ნაცვალსახელებში ხშირად ერთიმეორეში არეულია დედოფალი ელისაბედი და დედა-რუსეთი. როგორც ჩანს, პოეტის შემოქმედებით ფანტაზიაში ყოველთვის, როცა იგი დედოფალზე წერდა, უფრო დიდი და საყვარელი — დედა-რუსეთის გრანდიოზული სახე ინასკვებოდა.

ელისაბედ პეტრეს ასულისადმი მიძღვნილი სახოტბო პოეზიიდან აღსანიშნავია აგრეთვე 1748 წ., 1750 წ., 1752 წ. და 1759 წლის ოდები.

მეცნიერების თემა მ. ლომონოსოვის პოეზიაში. პოეტი-მეცნიერი მეცნიერულ იდეებს თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში ქადაგებს, მაგრამ ზოგში ეს მთავარია, ზოგში კი თავისი მოცულობით მეორეხარისხოვანი. მეცნიერებაზე თითქმის ყველა სახოტბო ოდაშია ლაპარაკი, მაგრამ იქ დედოფლის ხოტბაც არის და რუსეთის ქება-დიდებაც.

მ. ლომონოსოვს სახოტბო ოდების მწერლად თვლიან, იმიტომ რომ მის პოეზიაში ყველაზე უფრო ფართოდ ეს ჟანრია წარმოდგენილი. მას, მართლაც, 25 ოდა აქვს დაწერილი. ამის გარდა, ოდა, როგორც ჟანრი, პოეტს სხვა ჟანრებთან შედარებით ყველაზე უკეთესად დაუმუშავებია. მაგრამ ლომონოსოვმა სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც შექმნა, სადაც იგი მეცნიერულ ცოდნას, მრეწველობისა და ტექნიკის განვითარების კონკრეტულ იდეებს ქადაგებს. ეს ნაწარმოებები დაწერილია არა „ღმერთების ენით“, მაღალი „შტილით“, არამედ მარტივი, გასაგები ენით. სწორედ ასეთ ოდებზე წერდა ნ. გოგოლი, რომ ლომონოსოვის პოეტურ აღწერებში: „უფრო მეცნიერ-ნატურალისტის შე-

ხედულება ჩანს, ვიდრე პოეტისა, მაგრამ გულის სიღრმიდან ამოფრქვეულმა აღმაფრენის ძალამ ნატურალისტი პოეტად აქცია".

ნ. გოგოლს აქ მხედველობაში აქვს მ. ლომონოსოვის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „დილის ფიქრი", „საღამოს ფიქრი", „ოდა ამოკრეფილი იობის 38, 39, 40 და 41 თავებიდან", „ერთხელ ლხინში", „წერილი მინის სარგებლობაზე" და სასულიერო ოდების მთელი ციკლი.

ამ თხზულებებში მ. ლომონოსოვი გვევლინება როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი და ფილოსოფოსი, მეცნიერი-ბუნებისმეტყველი, რომელიც ამტკიცებს ბუნების მოვლენათა მატერიალურ ხასიათს და ადამიანის ცნობიერებისაგან მათ დამოუკიდებელ არსებობას.

„დილის ფიქრში" ავტორი კოსმოლოგიურ და ასტროფიზიკურ პრობლემებს ეხება. მზე დახატულია როგორც ვეებერთელა ცეცხლოვანი ოკეანე, რომლის გავარვარებულ ტალღებში არ ჩანს ნაპირები. მზეზე, ცეცხლის გრიგალები დანავარდობენ, ქვები ადუღებულან და ცეცხლის წვიმები ხმაურობენ.

ბუნების საოცარ მოვლენას — ჩრდილოეთის ნათებას ეძღვნება ლომონოსოვის „საღამოს ფიქრი". ოდაში ბუნება წარმოდგენილია როგორც უსასრულო, რომელიც მრავალი პლანეტისაგან შედგება. პოეტი იცავს ჰელიოცენტრისტულ მოძღვრებას, რასაც სამღვდელოება გაიფთრებით ებრძოდა.

მ. ლომონოსოვის მეცნიერულ პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსს „წერილი მინის სარგებლობაზე". იგი დაწერილია 1756 წელს.

ეს ლექსი პოეზიისა და მეცნიერების შერწყმის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. აქ ნათლად წარმოგვიდგება ერთსა და იმავე დროს მ. ლომონოსოვი როგორც პოეტი და მეცნიერი.

„წერილი მინის სარგებლობაზე", რომელსაც ხშირად პოემას უწოდებენ, უაღრესად ორიგინალური ნაწარმოებია. ის ყველა ძაფით დაკავშირებულია თავისი დროის მოთხოვნებთან, მშობლიურ ქვეყნის ინტერესებთან. ამიტომაც შეიცავს იგი უხვ მსჯელობას იმ დროის მეცნიერებისა და კულტურის აქტუალურ საკითხებზე. პოეტმა თავისი მხატვრული ნაწარმოების საგნად უბრალო მინა აიღო, მაგრამ ამავე დროს ის მოიმარჯვა როგორც მეცნიერული შრომისა და ბუნების მოვლენათა შემეცნების სიმბოლო და იარაღი.

ლექსის პირველსავე სტროფში ლომონოსოვი ამბობს, რომ მე პარნასის სიმაღლეებიდან ძირს ვეშვები და ქვებას ვუძღვნი მინას. შემდეგ პოეტი წერს, თუ როგორ წარმოიშვა მინა ვულკანების ამოხეთქვის შედეგად, როგორ ნატრობდა ადამიანი საუკუნეთა მანძილზე ხელოვნური საშუალებებით მიეღო მინა. ლომონოსოვი ამტკიცებს, რომ ადა-

მიანებმა მინა ვულკანური ამოფრქვევის შედეგად მიიღეს და ამით უდიდესი ბედნიერება მოიპოვეს. შემდეგ სტროფებში ლომონოსოვი დაწვრილებით ჩამოთვლის იმ თვისებებს, რომლებიც მინას ახასიათებს, ამავე დროს აღნიშნავს მრავალ სარგებლობასაც, რაც მინის პრაქტიკულ გამოყენებას მოაქვს.

მინას ადამიანი იყენებს, როგორც საუკეთესო ჭურჭელს, უმინოდ ადამიანი ცივ საცხოვრებელ ბინაში იქნებოდა, რადგან დღის შუქი ღია სარკმლიდან უნდა მიეღო. მინას ადამიანის საცხოვრებელ ბინაში მარტო სინათლე კი არა, მზის შუქიც შეაქვს. აქვე მ. ლომონოსოვი გამოთქვამს აზრს, რომ მინა შეიძლება გამოვიყენოთ სათბურების ასაშენებლად და ზამთრის ცუდ პირობებში ბოსტნეულის მოსაყვანად.

ადამიანი რომ ბერდება, თანდათანობით კარგავს მხედველობას, წიგნებს ვეღარ კითხულობს. იქაც მინა ეხმარება. სათვალეები, რომელსაც ადამიანი სუსტი მხედველობის დროს იკეთებს, მინისაგან არის დამზადებული. ჭურჭლად ფაიფურიც კარგია, რომელიც თიხისაგან მზადდება, მაგრამ მინის გამოუყენებლად ფაიფურს არ შეიძლება ელვარება და სილამაზე ჰქონდეს.

მ. ლომონოსოვი მინას ოქროზე და საერთოდ ძვირფას ლითონებზე მაღლა აყენებს. მისი აზრით, ოქრო მთავარი მიზეზია გარყვნილებისა. სწორედ ოქროს მოპოვების მიზნით გაანადგურეს ევროპელებმა ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა. ოქრო იწვევს ერთი ხალხის დაჩაგვრას და დამონებას მეორე ხალხის მიერ. პოეტი აღწერს აგრეთვე ოქროს მოპოვების პროცესს, რომელიც მაღაროებში ხდება არაადამიანური შრომის ფასად. პოეტის აზრით, ველურები ცივილიზებულ ევროპელებზე მაღლა იმით დგანან, რომ ისინი ოქროს ცვლიან მინის სამკაულებში და ამით თავიდან იცილებენ საშინელ უბედურებათა გამომწვევ ლითონს.

მ. ლომონოსოვის აზრით, უმინოდ ადამიანს ნორმალური არსებობა არ შეუძლია. მინა მას სჭირდება როგორც ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ასევე მეცნიერული დაკვირვებისათვის. მინამ უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერული აზროვნების განვითარებაში და უმინოდ მეცნიერების არსებობა შეუძლებელია.

ლექსში „წერილი მინის სარგებლობაზე“ მ. ლომონოსოვი გვიხატავს ბუნების იმ შესანიშნავ სურათებს, რომლებსაც ადამიანი ტელესკოპსა და მიკროსკოპში ხედავს. აქვე მოგვითხრობს იმ მეცნიერულ დაკვირვებებზე, რომლებსაც იგი ტელესკოპით და სხვა იარაღით აწარმოებდა. მ. ლომონოსოვი აქაც სარგებლობს შემთხვევით და თავგამოდებით იცავს კოპერნიკის ჰელიოცენტრულ სისტემას.

ლექსში „წერილი მინის სარგებლობაზე“ მ. ლომონოსოვი პრომეთეს ანტიკური მითის მეტად ორიგინალურ და თავისებურ გაშუქებას

გვაძლევს. პოეტი უარყოფს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, თით-ქოს პრომეთემ ცეცხლი მოსტაცა ზევსს და ამიტომ დაისაჯა. მ. ლომონოსოვის აზრით, პრომეთე მოწინავე მეცნიერია, რომელმაც მინის საშუალებით ცეცხლი მიიღო და ამის გამო დევნა დაუწყეს მას ბნელეთის მოციქულმა ბარბაროსებმა, რელიგიურმა ფანატიკოსებმა, ფარისეველმა სამღვდელოებამ. მ. ლომონოსოვი პრომეთეს მითს უნივერსალურ-ისტორიულ მნიშვნელობას აძლევს. პრომეთეს დევნა — საერთოდ მოწინავე მეცნიერების დევნაა რეაქციული სამღვდელოებისა და ინკვიზიციის მხრივ. პოეტს მაგალითები მოჰყავს მსოფლიო მეცნიერების ისტორიიდან და ამტკიცებს, რომ პრომეთეს დევნა ერთადერთი შემთხვევა როდია. არა ერთი და ორი მოწინავე მეცნიერი აწამეს უგუნურმა და უმეცარმა ადამიანებმა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენების გამო. მ. ლომონოსოვი თავის „წერილში“ ასახელებს ამ მეცნიერებს — არისტახს, კოპერნიკს, კეპლერს და სხვ.

წერილის დასასრულს მ. ლომონოსოვი ამბობს, რომ ის ტოვებს „პარნასის მთებს“, რათა ხელი მოჰკიდოს პრაქტიკულ საქმეს და მინის შესაქმნელად იმუშაოს.

ლექსში „წერილი მინის სარგებლობაზე“ ჩვენ ვხედავთ თეორიისა და პრაქტიკის, მეცნიერებისა და პოეზიის მთლიანობას, რომელიც საერთო მიზანს — თავისი ხალხის კეთილდღეობის, თავისი ერის ეკონომიკური, კულტურული და მეცნიერული აღმავლობის დიდ საქმეს ემსახურება. ლექსი მეცნიერულ-დიდაქტიკური ხასიათისაა. ენა ზუსტია, ზოგ ადგილას — მშრალი, პროზაული, მაგრამ მარტივი და გასაგები.

1756 წლის ბოლოს ან 1757 წლის დასაწყისში მ. ლომონოსოვმა დაწერა „ჰიმნი წვერს“ („Гимн бороде“), რომელიც მიმართულია საეკლესიო-სქოლასტიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ეს ნაწარმოები XVIII საუკუნის ანტიკლერიკალურ რუსულ სატირულ პოეზიაში ერთერთი მწვავე და ცოცხალი სატირაა. მასში მხილებულია ეკლესიისა და მისი მსახურების უარყოფითი როლი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და კულტურულ პროგრესში.

მ. ლომონოსოვის „ჰიმნი წვერს“ ბრწყინვალე სატირული პამფლეტია, რომელშიც დახატულია ეკლესიის ჭეშმარიტი სახე, მასში საქვეყნოდ არის გამასხარავებული საეკლესიო დოგმები და ადათ-წესები.

სატირაში მ. ლომონოსოვი დასცინის ეკლესიის მსახურებს, რომლებიც სამყაროში დედამიწის გარდა სხვა პლანეტების არსებობას უარყოფენ. პოეტი წერს, რომ სხვა პლანეტაზე მცხოვრები სამღვდელოებაც უარყოფს დედამიწის არსებობასო. აქვე მ. ლომონოსოვი იხსენებს ერეტიკოსების მიერ დაწვის ამბებს, რომლებიც ხშირად ხდე-

ბოდა ხოლმე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგრამ ასეთ შემთხვევებს ზოგჯერ რუსეთშიც ჰქონდა ადგილი, რადგან უკანასკნელ ხანებში მართლმადიდებლური სამღვდელოება ცდილობდა ინკვიზიციურ საქმეებში მიებაძა კათოლიკური ეკლესიისათვის.

მეშვიდე და მერვე სტროფებში მ. ლომონოსოვი წერს, რომ მახინჯმა ან გონებაჩლუნგმა ადამიანმა, რომელსაც არც წოდება აქვს და არც ჩინი, წვერი უნდა მოუშვას და მაშინ გამდიდრდება, ჩინსაც მოიპოვებს და ჭკუაც მოემატება.

მ. ლომონოსოვმა შექმნა კიდევ ერთი სატირული ნაწარმოები „წმინდა მამების" წინააღმდეგ — „წვერების სამართალი". ამ ნაწარმოებში შესანიშნავად არის დახატული სინოდის ოთხი წევრის სატირული პორტრეტი.

ამრიგად, მ. ლომონოსოვის ბრძოლა რეაქციული სამღვდელოების წინააღმდეგ წარმოადგენს ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას XVIII საუკუნის რუსული კულტურისა და აზროვნების ისტორიაში. ეს ბრძოლა, უდავოდ, ხელს უწყობდა რუსული კულტურის, მეცნიერებისა და მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ რეაქციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში, მ. ლომონოსოვი მიმართავდა არა თავის საყვარელ ქანრს — ოდას, არა „მაღალ შტილს" — „ღმერთების ენას", არამედ სატირას, ხალხურ სალაპარაკო ენას.

მ. ლომონოსოვი ქართულ ლიტერატურაში. მ. ლომონოსოვი საქართველოში როგორც პოეტი და მეცნიერი ცნობილი იყო ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის დროს. XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწეები კარგად იცნობდნენ დიდი რუსი მოაზროვნის მხატვრულ შემოქმედებას, მის ფილოსოფიურსა და მეცნიერულ შრომებს.

ჯერ კიდევ 60—80-იან წლებში საქართველოში ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ მ. ლომონოსოვის სამი სტილის თეორიის შესახებ. თუმცა ეს თეორია საქართველოში ანტონ კათალიკოსის შრომებით კი არ იყო ცნობილი, არამედ რუსული ენიდან გადმოთარგმნილი ზოგიერთი წიგნიდან.

მ. ლომონოსოვის ლექსების უძველესი მთარგმნელია ერეკლე მეორის მდივანბეგი დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი (1735—1809), რომელმაც ქართულად გადმოთარგმნა მისი სასულიერო ჰიმნები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ჩოლოყაშვილის თარგმანი: „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა 40,41" და „145 ფსალმუნი გალექსილი".

როგორც ჩანს, მ. ლომონოსოვის „იობის ლექსებიდან" საქართველოში ძალზე მოსწონებიათ. იგი სამჯერ იქნა ქართულად გადმოთარგმნილი, პირველად დ. ჩოლოყაშვილის მიერ, შემდეგ ვიღაც უცნობი პი-

რისაგან, ხოლო მესამედ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, პოეტ ვ. გორგაძის მიერ.

ქართველი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდა მ. ლომონოსოვის სახელს.

ვაჟა-ფშაველა „წმინდა ხელოვნების“ მიმდევრებს უპირისპირებდა რუს მწერლებს, რომლებიც მ. ლომონოსოვიდან დაწყებული ხალხს ემსახურებოდნენ.

მ. ლომონოსოვის შესახებ გამოთქმულ აზრებს სხვა ქართველი მეცნიერებისა და მწერლების ნაშრომებშიც ვხვდებით. საინტერესოა 1884 წელს ჟურნალ „ნობათში“ დაბეჭდილი მხატვრული ნარკვევი „საკვირველი გლეხი“ წყალტუბელის (გიორგი იოსელიანი) ხელმოწერით.

მ. ლომონოსოვის შესახებ წერილები სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა, მას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ საბავშვო ჟურნალები „ნაკადული“ და „ჯეჯილი“, რომელთა ფურცლებზე მ. ლომონოსოვის შესახებ ბევრჯერ დაბეჭდილა საინტერესო წერილები.

ა. სუმაროკოვის შემოქმედება. მ. ლომონოსოვის თანამედროვე მწერლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ალექსანდრე პეტრეს ძე სუმაროკოვი (1717—1777), რომელიც ითვლება რუსული კლასიციზმის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლად. მართალია, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის თითქმის ყველა რუსი მწერალი კლასიცისტი იყო, მაგრამ განვითარების უმაღლეს საფეხურს რუსული კლასიციზმი ა. სუმაროკოვის შემოქმედებაში აღწევს. მან ეს ახალი სტილი დაამუშავა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ყანროზრივად ა. სუმაროკოვი მდიდარი და მრავალმხრივი იყო. იგი წერდა: ტრაგედიებს, კომედიებს, სატირებს, სონეტებს, ელეგიებს და სხვ. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოუპოვა მას ტრაგედიებმა, რომელთა წერა მან 40-იან წლებში დაიწყო. არსებითად რუსული ტრაგედიული ჟანრის ისტორია ა. სუმაროკოვის დრამატურგიით იწყება.

ა. სუმაროკოვმა 9 ტრაგედია დაწერა. აქედან აღსანიშნავია: „ხორევი“, „სინავი და ტრუვორი“, „ცრუ დიმიტრი“ („Дмитрий Самозванец“) და „ჰამლეტი“. ყველა ტრაგედიაში ზუსტად არის დაცული კლასიცისტური თეორია, ყველგან ვხედავთ გონებისა და გრძნობის დაპირისპირებას, პირადი და სახელმწიფო ინტერესების შეჯახებას.

ტრაგედიებში ზუსტად არის დაცული აგრეთვე ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის კანონიც. მართალია, ა. სუმაროკოვის ყველა ტრაგედია ისტორიულ თემაზეა დაწერილი, მაგრამ მათში არ

ჩანს ისტორიული სინამდვილე, ცოცხალი ადამიანები. ყველაფერი აბსტრაქტულია, სქემატური, მშრალი, უსიცოცხლო.

მაგრამ ამის მიუხედავად, სუმაროკოვის ტრაგედიებს XVIII საუკუნის 50—70-იან წლებში გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდათ. დრამატურგის პირველ ტრაგედიებში აშკარად იგრძნობა სამეფო კარის კრიტიკა. ოპოზიციურად განწყობილი მაყურებელი ზიზღით უცქეროდა მაბეზღარა დიდებულებს, რომლებსაც ეკვიანი და სუსტი გონების თვითმპყრობელი დესპოტი შეცდომაში შეჰყავდათ. ასე მაგალითად, პიესაში „ხორევი“ დიდებული სტალვერხი კიევის მთავარ კიის ჩააგონებს თითქოს ხორევი მოღალატე იყო და მოაკვლევინებს სამშობლოსა და მთავრისათვის ერთგული მებრძოლის შეყვარებულ ოსნელდას. ტირანის ეკვისა და ფავორიტის ვერაგობის შედეგად ტრაგედიაში იღუპება ორი უდანაშაულო ადამიანი — ტყვე ქალი ოსნელდა და მთავრის უმცროსი ძმა სახელგანთქმული მეომარი ხორევი.

მამხილებლური ტენდენცია კიდევ უფრო აშკარად ჩანს მეორე ტრაგედიაში „ჰამლეტი“, რომელშიც დანიელი პრინცი ჰკლავს მეფეს არა მარტო იმის გამო, რომ იგი სამეფო ტახტზე მისი მამის მკვლელობის გზით ასული უზურპატორია, არამედ იმიტომაც, რომ იგი დესპოტია, ტირანი. სუმაროკოვის ორივე ტრაგედიაში ნათლად ვხედავთ ეკატერინე მეორის სამეფო კარზე გამეფებულ მანკიერებას, — დედოფლის ფავორიტების თვითნებობასა და თავაშვებულობას.

მაგრამ სუმაროკოვის კლასიცისტურმა ესთეტიკურმა პრინციპებმა, მისმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა იდეებმა კიდევ უფრო მეტად იჩინეს თავი ტრაგედიაში „ცრუ დიმიტრი“. ეს ტრაგედია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია სუმაროკოვის დრამატურგიაში. მართალია, მისი სიუჟეტიც რუსეთის წარსულიდან არის აღებული, მაგრამ მასში აღწერილი ისტორიული ამბავი ქრონოლოგიურად ძალზე ახლოა ეკატერინე მეორის ეპოქასთან და ნაწარმოები თანამედროვე ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ისტორიულს — მით უმეტეს, რომ სუმაროკოვი ტრაგედიაში ეხება თავისი დროის აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებს. ცრუ დიმიტრი გამოყვანილია როგორც ტირანი, უზურპატორი, დესპოტი, რუსეთის მტერი, რომელსაც რუსი ხალხის ნაციონალურ ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს და ყველგან ბოროტებას თესავს. დრამატურგი ცრუ დიმიტრის ჰაიცხავს არა იმიტომ, რომ სამეფო ტახტზე უკანონოდ ავიდა, არამედ იმიტომ, რომ იგი ტირანია, დესპოტი. „შენ დიმიტრი ხარ თუ არა, ეს ხალხისათვის სულ ერთია“ — ამბობს მწერალი.

ა. სუმაროკოვის „ცრუ დიმიტრი“ ნოვატორული ნაწარმოებია. რუსული ლიტერატურის ისტორიაში ის შეიძლება ჩაითვალოს პირველ პოლიტიკურ ტრაგედიად, რომელშიც მწერალი ხალხს მოუწოდებს ტახტიდან ჩამოაგდოს მტარვალი მეფე, ბარბაროსული ხელებიდან გამოგლიჯოს სამეფო კვერთხი, შური იძიოს ტანჯვა-წვალებისათვის, რომელიც მან ხალხს მიაყენა. საბოლოოდ ხალხი გაუსწორდა „ბოროტ ბარბაროსს“, მან წაართვა მას „სიცოცხლეც, კვერთხიც და გვირგვინიც“.

მაგრამ სუმაროკოვის იდეოლოგიურმა შეზღუდულობამ ამ ნაწარმოებშიც იჩინა თავი. დრამატურგი ხალხს მონარქიზმის მოსპობისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ტირანი მეფის კეთილით მეფით შეცვლას მოითხოვს.

ა. სუმაროკოვმა სიცოცხლის ბოლო წლებში განიცადა როგორც იდეური, ასევე მხატვრული ევოლუცია. მის შემოქმედებით წინსვლას ადასტურებს, როგორც სხვა ჟანრები (ლირიკა, სატირა), აგრეთვე დრამატურგიაც — „ვიშესლავი“ და „ცრუ დიმიტრი“. ამ უკანასკნელში დადებითი გმირები უფრო აქტიურები არიან, მათ მოქმედებაში ინტიმური ხასიათის ინტრიგა დაჩრდილულია და წინ არის წამოწეული მოქალაქეობრივი მოტივები. განსაკუთრებული სულიერი სიძლიერით, ზნეობრივი სისპეტაკითა და ესთეტიკური ამაღლებულობით განირჩევიან ქალთა ტრაგიკული სახეები.

ტრაგედია „ცრუ დიმიტრიმ“ თავისი მამხილებელი მიმართულებით, ოპოზიციური პოლიტიკური იდეებითა და პატრიოტული სულისკვეთებით დიდი გავლენა მოახდინა XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსული დრამატურგიის განვითარებაზე.

რეალიზმის თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ა. სუმაროკოვის ზოგიერთი კომედია. მისი თორმეტი კომედიიდან აღსანიშნავია: „მეურვე“ („Опекун“), „მექრთამე“ („Лихоимец“), და „უსაფუძვლო ეჭვიანი“ („Рогоносец по воображению“). ამ კომედიებში ა. სუმაროკოვი ნაწილობრივ მაინც აღწევს თავს კლასიციზმისათვის დამახასიათებელ სქემატურობას. ჩვენ ეხედავთ მტაცებელ და მექრთამე ადამიანებს, ჩამორჩენილობისა და სიბნელის ზოგიერთ რეალისტურ სურათს.

ა. სუმაროკოვის მხატვრულ ნაწარმოებებში დასმულია მრავალი საჭირბოროტო საკითხი. მისი შემოქმედება გაჟღენთილია თავისი დროის ოპოზიციური იდეებით. თვით ა. სუმაროკოვი XVIII საუკუნის

60—70-იან წლებში სათავეში ედგა რუსეთის თავადაზნაურულ ოპოზიციას, რომელიც იბრძოდა აბსოლუტური მონარქისა და ფეოდალების უფლებების შეზღუდვისათვის.

ანტიდესპოტური იდეები განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული ა. სუმაროკოვის სატირულ ლექსებში, რომლებიც გამოირჩევა თავიანთი მამხილებლობითა და პოლიტიკური სიმძაფრით. სატირულ ლექსში „კეთილშობილების შესახებ" („О благородстве") ავტორი მკაცრად ამხელს ჩამორჩენილ აზნაურს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი პირადი დამსახურება, ღირსება და ამაყობს თავისი თავადაზნაურული წარმოშობით. ა. სუმაროკოვის აზრით, აზნაური მოწოდებულია უხელმძღვანელოს საზოგადოებას, მაგრამ მას თუ არ გააჩნია საამისოდ საჭირო განათლება, მაშინ იგი ისეთივე ფიზიკურ შრომას უნდა ეწეოდეს, როგორსაც გლეხი.

ა. სუმაროკოვი თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგი არასოდეს ყოფილა. პირიქით, მას ეს სისტემა ხელშეუხებლად მიაჩნდა, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდა თავაშვებული დესპოტიზმისა და მონობის მოსპობას.

ა. სუმაროკოვის ეს ზომიერი ლიბერალიზმი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეკატერინე მეორეს იგი საშიშ პიროვნებად ჩაეთვალა და მისი დევნა დაეწყო.

სიცოცხლის ბოლო წლები თავისი დროის ამ გავლენიანმა მწერალმა, რომელსაც 60—70-იან წლებში ბევრი იდეური და ლიტერატურული მიმდევარი გაუჩნდა, სიმარტოვეში, სიღატაკეში, დევნასა და დამცირებაში გაატარა.

1777 წელს ა. სუმაროკოვი გარდაიცვალა, მის ცხედარს მხოლოდ ორი კაცი მიაცილებდა.

ა. სუმაროკოვის შემოქმედებას ქართველები მეთვრამეტე საუკუნეშივე გაეცნენ. 80—90-იან წლებში გ. ავალიშვილმა ქართულად თარგმნა მისი ყველაზე უფრო საინტერესო კომედიები: „უსაფუძვლო ეჭვიანი", „დედა რაყიფი ქალისა" („Мать совместница дочери"), „საჩხუბარი" („Вздорщица"), „უბნობა მკვდართა" („Разговор мертвых"). გ. ავალიშვილს ეს კომედიები სცენაზე დასადგმელად გადმოუთარგმნია.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართულად გადმოუთარგმნიათ აგრეთვე ა. სუმაროკოვის ტრაგედიები „სინავი და ტრუვორი" და „ცრუ დიმიტრი".

ეპოქის მოკლე მიმოხილვა. იდეური მიმართულებანი. XVIII საუკუნის 60—80-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევის პროცესი, რასაც განუყრელად თან ახლდა ახალი, ბურჟუაზიული ეკონომიკის მნიშვნელოვანი გაძლიერება და, ამის შესაბამისად, ახალი სოციალური ელემენტების შეჭრა ცხოვრების ყველა სფეროში. მართალია, თავადაზნაურობა ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა ფეოდალური სახელმწიფოს საჭესთან, მაგრამ დრომოჭმულ, ძველ იერარქიულ წოდებათა გვერდით ცხოვრების ასპარეზზე მომრავლდნენ მრეწველები, ვაჭრები, ბობოლა გლეხები.

ბურჟუაზიული ცხოვრების განვითარების ამ ახალმა პროცესმა, ცხადია, ხელი შეუწყო ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, რასაც მოჰყვა რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერება, მისი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთი ჩადგა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში, ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, გაიზარდა მისი როლი მსოფლიო დიპლომატიის ასპარეზზე.

ა. სუვოროვისა და ა. რუმიანცევის სარდლობით მოპოვებულმა ძლევამოსილმა სამხედრო გამარჯვებებმა რუს ხალხში წარმოშვა პატრიოტული აღტკინება. ამავე გამარჯვებებმა ღრმად დაარწმუნა რუსი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, რომ ხალხი აღჭურვილია განუსაზღვრელი ფიზიკური და სულიერი ძალებით, რომ მის წიაღში დაგუბებულია უშრეტი ენერგია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ა. სუვოროვის დიდმა ისტორიულმა ღაშქრობებმა ერთგვარად აამაღლეს ხალხის ნაციონალური თვითშეგნება და გამოიწვიეს მოწინავე ინტელიგენციის პოლიტიკური გამოფხიზლება, მაგრამ ამავე მოვლენებმა საფუძველი შეუქმნა მძლავრ სახალხო პროტესტს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ. ამის მიზეზი ცხადი იყო: ომებში გამარჯვებულსა და გაამაყებულ ქვეყანაში, რომლის იარაღმაც მთელ მსოფლიოში მოიხვეჭა სახელი, გლეხობა კვლავ ბატონყმობის სამარცხვინო უღელში რჩებოდა გაბმული და მისი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. თუმცა ეკატერინე II საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდა ჰუმანიზმსა და გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე, მაგრამ თავისი ცნობილი ბრძანებულებებით მან ყმა გლეხები ფაქტიურად უფრო მძიმე პირობებში ჩააყენა როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივად. ამით უნდა აიხსნას გლეხთა მღელვარების ის ტალღა, რომელიც იმ დროს მთელ რუსეთს მოედო.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა აჯანყებულებს სასტიკად უსწორდებოდა, 70-იან წლებში გლეხთა მოძრაობა უფრო და უფრო იზრდებოდა. 1773—1775 წლებში იგი გადაიქცა ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა საყოველთაო მრისხანე ომად, რომელმაც მთელი რუსეთის მოსახლეობის 20 პროცენტი მოიცვა. ამ მოძრაობამ წარმოშვა თავისი გაქანებით ყველაზე ძლიერი ზვირთი, ე. პუგაჩოვის აჯანყება, რომელმაც ყველაზე მეტად შეარყია სამეფო ტახტი და საშიშროება შეუქმნა რუსეთის მთელ თვითმპყრობელურ-ბატონყმურ რეჟიმს.

1775 წელს ე. პუგაჩოვის აჯანყება სისხლში ჩაახრჩეს. ეკატერინე მეორის მეფობის ისტორიაში დაიწყო ყველაზე უფრო ბნელი რეაქციის პერიოდი. თვითმპყრობელმა დედოფალმა ამიერიდან მოიხსნა „განმანათლებელი მონარქის“ ნიღაბი და თავაშვებული რეპრესიების მოლიპულ გზას დაადგა. ამან ბევრი მოწინავე რუსი მწერალი და მოაზროვნეც იმსხვერპლა. მათ შორის, XVIII საუკუნის ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიც იყვნენ ნ. ნოვიკოვი და ა. რადიშჩევი, ხოლო ბნელმა ძალებმა მეფეში დაინახეს თავადაზნაურული დიქტატურის მეტად ენერგიული, მოხერხებული და ჭკვიანი მეთაური.

ეკატერინე მეორე ჯერ კიდევ სამეფო ტახტზე ასვლამდე გაეცნო ევროპის მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიასა და ფილოსოფიას. განსაკუთრებული გატაცებით კითხულობდა იგი ფრანგი განმანათლებლების ნაწერებს. „ვოლტერი ჩემი მასწავლებელიაო“, — აცხადებდა ხოლმე დედოფალი. ის პირადად იცნობდა ზოგიერთ ცნობილ განმანათლებელს; ხშირი მიმოწერა ჰქონდა ვოლტერთან, დალამბერს ტახტის მემკვიდრის მასწავლებლად იწვევდა, ეხმარებოდა დიდროს, ხოლო გრაფი ორლოვი სპეციალურად გაგზავნა საზღვარგარეთ ევროპაში დევნილი ჟან-ჟაკ რუსოს რუსეთში მოსაწვევად.

ეკატერინე მეორე ცდილობდა მსოფლიოსათვის თავი მოეჩვენებინა ჰუმანურ მონარქად, სამეფო ტახტზე მჯდომ ფილოსოფოსად და განმანათლებლად. ამ მიზნისათვის იგი არაფერს იშურებდა, არც ფულად სახსრებს და არც საკუთარ კალამს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოლიტიკურ დემაგოგიას მარტო ღედოფლის განდიდება და სახელის მოხვეჭა არ ჰქონდა მიზნად. ეკატერინე კარგად ხედავდა, რომ ახალი პროგრესული იდეები ევროპიდან რუსეთში მისი სურვილისა და ჩარევის გარეშეც ვრცელდებოდა, ამიტომ მან გადაწყვიტა ჩარეულიყო ამ მოძრაობაში და მიეცა მისთვის თვითმპყრობელობისათვის უვნებელი და სასურველი მიმართულება. ასე დაიწყო რუსეთში თვით მეფის მეთაურობით ე. წ. ოფიციალური „განმანათლებლობა“, რის შედეგადაც ფართოდ ვრცელდებოდა ვოლტერის, მონტესკიეს, დიდროს,

მაბლის და სხვა ფრანგ მატერიალისტ-განმანათლებელთა წიგნები. მათი პირველი მთარგმნელი თვით ეკატერინე მეორე იყო.

1767 წელს ეკატერინე მეორემ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა ახალი „დებულების“ („Уложение“) შემუშავება იმ დროისათვის ისეთ მტკივნეულ სოციალურ საკითხზე, როგორიც იყო ბატონყმობა. თვით დედოფალმა ამ კომისიას საგანგებო „განაწესი“ („Наказ“) შეუდგინა, რომელიც პრაქტიკულ ინსტრუქციას წარმოადგენდა ახალი ლიბერალური კანონმდებლობის პროექტის შესამუშავებლად. კომისია უმთავრესად თავადაზნაურთა წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, დემოკრატიული ფენა კი იქ ნაკლებად იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, დისკუსიამ გლეხობის საკითხზე კომისიაში მწვავე ხასიათი მიიღო, ხოლო 1768 წ. იგი აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. დემოკრატიული წრეების წარმომადგენელი დეპუტატები თავადაზნაურობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ და დაიცვეს ყმა გლეხების ინტერესები. ისინი მოითხოვდნენ მებატონეთა უფლებების შეზღუდვას და ყმა გლეხების ეურიდიულად განთავისუფლებას ბატონყმური უღლისაგან. ასეთი რადიკალური მოთხოვნების გამო ეკატერინე მეორემ თურქეთთან ომის დაწყების საბაბით სამუდამოდ დაითხოვა ხსენებული კომისია.

მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის დროს დაგროვილი მასალა მთავრობას პრაქტიკულად არ გამოუყენებია, კომისიამ მაინც დიდი როლი შეასრულა 60—70-იანი წლების რუსული პროგრესული აზროვნების განვითარებაში. გლეხთა საკითხზე გაჩაღებულმა მძაფრმა დავამ გამოაღვიძა რუს მოღვაწეთა ის თაობა, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას. სწორედ ამ კომისიის წევრები იყვნენ მწერლები: ნ. ნოვიკოვი, მ. პოპოვი, ვ. მაიკოვი, და ა. აბლესიმოვი, რომლებმაც გლეხთა საკითხი თავიანთი ლიტერატურული შემოქმედების მთავარ თემად აქციეს.

ფრანგ განმანათლებელთა შორის რუსეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ვოლტერი. ეკატერინე მეორე ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვოლტერიანობის გავრცელებას ოფიციალურ „კაზიონურ“ საზოგადოებაში, ამიტომ ვოლტერიანობა იმ დროს იქცა ერთგვარ მოდად. თვით დედოფალი, მისი მეგობარი დაშკოვა, ფავორიტები ორლოვი, რაზუმოვსკი და სამეფო კარის სხვა წარმომადგენლები თავის თავს ვოლტერის ერთგულ მიმდევრებად თვლიდნენ, თუმცა არც ერთ მათგანს არაფერი ჰქონდა საერთო ვოლტერის ანტიმონარქისტულსა და ათეისტურ იდეებთან. მთელი მათი ვოლტერიანობა მხოლოდ და მხოლოდ სამღვდელოებისადმი მსუბუქ, უწყინარ ირონიასა და ზოგიერთი ქრისტიანული წესის დარღვევაში მდგომარეობდა.

მაგრამ 60—70-იან წლებში ამ ოფიციალურ ვოლტერიანობასთან

ერთად გაჩნდა ნამდვილი ეოლტერიანობაც. ცნობილი რუსი მწერალი და ჟურნალისტი ნ. ნოვიკოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის მაგისტრი დ. ანიჩკოვი, პროფესორი ს. დესნიცკი, ი. კოზელსკი და სხვები იყვნენ ნამდვილი რუსი მატერიალისტ-განმანათლებლები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს XVIII საუკუნის რუსული პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრისა და მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში. ისინი აშკარად გამოვიდნენ თვითმპყრობელობის მძაფრი კრიტიკით და ხმა აღიმაღლეს ბატონყმობის, ყოველგვარი ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი აღმავლობა განიცადა რუსეთის კულტურამ, მეცნიერებამ და ხელოვნებამ. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული განათლების ფრონტზე, გაიზარდა საშუალო სკოლების ქსელი, გაჩნდა შემოქმედებითი ორგანიზაციები, განსაკუთრებით წავიდა წინ ფერწერა და ხუროთმოძღვრება. სწორედ ამ პერიოდში გაითქვეს სახელი არქიტექტორებმა: ბაჟენოვმა, რომელმაც შექმნა კრემლის სასახლის პროექტი, კაზაკოვმა, რომლის პროექტით აშენდა მოსკოვის უნივერსიტეტის შენობა, მოქანდაკეებმა: შუბინმა და კოზლოვსკიმ, მხატვრებმა: სოკოლოვმა, ლევიცკიმ, ბოროვიკოვსკიმ და სხვებმა.

განვითარების ფართო გზაზე გამოვიდა აგრეთვე მხატვრული ლიტერატურა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ, დიდმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებიც თავს დაატყდა ეკატერინე მეორის იმპერიას, უდიდესი გავლენა მოახდინა მხატვრული აზროვნების განვითარებაზე. 60—80-იან წლებში რაოდენობრივ ზრდასთან ერთად რუსული ლიტერატურა თვისობრივადაც გაიზარდა. პირველ რიგში კი გაძლიერდა მისი სოციალური ფუნქცია. ვიწრო არისტოკრატიულ-სალონური კარჩაკეტილობიდან ის ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა. მწერალი განიმსჭვალა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, უფრო მეტად დაუახლოვდა მასებს, ღრმად ჩასწვდა ერის სულიერ ცხოვრებას და ხალხის ბედ-იღბალი თავისი ზრუნვისა და ფიქრის მთავარ საგნად აქცია.

1760—1774 წწ. სატირული ჟურნალები. ნ. ნოვიკოვი. XVIII საუკუნის მხატვრული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის და, საერთოდ, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში საპატიო აღგილი უჭირავს 1769—1774 წლების სატირულ ჟურნალებს. მაშინდელი სულიერი კულტურის არც ერთ დარგში ისე სრულად და მკაფიოდ არ გამომჟღავნებულა მამხილებელ-კრიტიკული იდეები, როგორც სატირული ჟანრის ლიტერატურაში.

სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების უაღრესად მძაფრ პირობებში ყოველი მებრძოლი კლასის წარმომადგენელი ცდილობდა სატირა თავისი კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამასთანავე სატირის, როგორც ბასრი ლიტერატურული იარაღის მნიშვნელობა კარგად ესმოდა არა მარტო პროგრესული იდეებით შეიარაღებულ იმდროის რუსეთის ახალგაზრდობას, არამედ უველაზე უფრო დიდ ფეოდალს — ეკატერინე მეორესაც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველი სატირული ჟურნალი თვით დედოფალმა შექმნა „ვსიაკაია ვსიაჩინა"-ს („რამე-რუმე") სახელწოდებით, რომელმაც 1769 წლიდან იწყო გამოსვლა. გამოცემას ფორმალურად იმპერატორის პირადი მდივანი გ. კოზიცკი ახორციელებდა, მაგრამ უველამ იცოდა, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელი თვით ეკატერინე მეორე იყო. ამ ჟურნალმა თავიდანვე მიზნად დაისახა რუსულ ლიტერატურაში უველაზე უფრო მტკივნეული სოციალურ-პოლიტიკური საკითხების იოგველივ წამოჭრილი დადის ეთიკურ-დიდაქტიკურ სფეროში გადატანა, ადამიანის ნაკლოვანებათა ზოგადი კრიტიკითა და რჩევა-დარიგებებით მას უნდა მოედუნებინა პოლიტიკური ბრძოლა. დედოფალი ცდილობდა უშუალო დიდაქტიკურ-მორალურ საჟურნალო ბაასში ჩაება სხვა სატირული ჟურნალები და ამით აეცდინა ისინი რუსული ლიტერატურის მაგისტრალური ნაზიდან.

მიუხედავად იმისა, რომ „ვსიაკაია ვსიაჩინა" არ ბრწყინავდა თავისი იდეური შინაარსით და არც მხატვრულ-სატირული ღირსებებით იქცევდა დიდ ყურადღებას, მაგ მაინც ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა რუსული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. ამ ჟურნალმა უთუოდ მისცა ბიძგი სატირული პერიოდული გამოცემების გამრავლებას რუსეთში. იმავე წლიდან დაიწყო გამოსვლა გ. ჩულკოვის ჟურნალმა „ი ტო ი სიო" („ისიც და ესეც"), ვ. რუბანის გამოცემამ — „ნი ტო ნი სიო" („არც ის, არც ეს"), ყოველკვირეულმა ჟურნალმა „სმეს" („ნარევი"), ნ. ნოვიკოვის „ტრუტენ"-მა („მუქთახორა"), ფ. ემინის „ადსკაია პოჩტამ" („ჯოჯოხეთის ფოსტა") და სხვ. ასე, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში ლიტერატურულ ასპარეზზე 8 სატირული ჟურნალი გამოჩნდა.

„ვსიაკაია ვსიაჩინა" უველა ამ ახალი ჟურნალის გამოსვლას მიესალმებოდა, მან როგორც უველაზე უფროსმა — „ბებიამ", თავის „შვილიშვილებს" დაუწყო რჩევა-დარიგების მიცემა, მოინდომა მათი ხელმძღვანელობის გაწევა — „გადიობა", მაგრამ „შვილიშვილები" „ურჩნი" აღმოჩნდნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს.

განსაკუთრებით მტკიცე მებრძოლი პოზიცია დაიკავა ნ. ნოვიკოვმა, რომლის ჟურნალი „ტრუტენი" სრულიად საწინააღმდეგო იდეებს ამჟ-

ვანებდა, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე ეთიკურსა და ესთეტიკურ საკითხებში.

ნ. ნოვიკოვის პირველი ჟურნალი „ტრუტენი" 1769 წლის მაისში გამოვიდა. მას ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა სიტყვები ა. სუმაროკოვის იგავიდან „ფუტკრები": „ისინი შრომობენ, თაფლს კი სხვა ნაშრომს ჭამთ". ეს ეპიგრაფი, რა თქმა უნდა, ჟურნალის ანტიბატონყმურ მიმართულებაზე მიგვითითებს. მამხილებლურია ჟურნალის სათაურიც, რომელიც თავადაზნაურობის ცხოვრებაზე ამახვილებს ყურადღებას.

ა. ნოვიკოვის მხატვრულ-სატირული სახეებიც — ზმეინა, ზლორადა, ნედოუმა, ბეზრასუდა, ქალბატონი ბრანიუკოვა და სხვები ასევე გაბატონებული კლასის პარაზიტიზმს ასახიერებენ. ნ. ნოვიკოვის მიერ ნიჭიერად შექმნილი პერსონაჟები, თავადაზნაურთა წარმომადგენლები თავიანთ თავს განსაკუთრებული „ჯიშის" ადამიანებად თვლიან და ამტკიცებენ, რომ მათ გვარს ხუთასი წლის ისტორია აქვს, რომ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე მათ წინაპრებს უდიდესი დამსახურება მიუძღვით და ა. შ. ერთ-ერთი სატირული გმირის ნედოუმის აზრით, ყმა გლეხები ნამდვილი ადამიანები როდი არიან. ის ოცნებობდა იმ დროზე, როცა დედამიწის ზურგზე გაწყდება გლეხის სახსენებელი და დარჩება მარტო თავადაზნაურობა. მეორე გონებაჩლუნგი და ბრიყვი მებატონე ბეზრასუდნიც სწორედ ასევეა დარწმუნებული, რომ გლეხში არ არის ნამდვილი ადამიანობა. „ბეზრასუდნი, — შესძახებს მას სატირიკოსი, — განა არ იცი, რომ შენს ყმასა და ადამიანს შორის უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე შენსა და ადამიანს შორის". იმისათვის, რომ ბეზრასუდნი დარწმუნდეს გლეხის ნამდვილ ადამიანობაში, ავტორი ურჩევს გლეხისა და ბატონის ძვლები მან სინჯოს იქამდე, ვიდრე არ იპოვის მათ შორის მსგავსებას.

ნ. ნოვიკოვი აღნიშნავს, რომ თავადაზნაურობა არ ეწევა არავითარ სასარგებლო შრომას, მოწყვეტილია საერთო საზოგადოებრივ საქმიანობას და აი, სწორედ ამ მუქთახორობამ გადააგვარა იგი ზნეობრივად. მცონარა გლუპომისლებს, მეშკოვებს, რასაკვირველია. არ გააჩნიათ არავითარი საზოგადოებრივი იდეალი, არა აქვთ სამშობლოსადმი პატივისცემისა და სიყვარულის რაიმე გრძნობის ნასახი. პირიქით, მათ სძულთ თავიანთი საკუთარი ხალხი. სძულთ ყველაფერი, რაც კი რუსული და ნამდვილად ეროვნულია. ისინი მონურად იხრიან ქედს ყოველგვარი უცხოურის წინაშე. სატირიკოსი განსაკუთრებული სისასტიკით ამათრახებს იმ დროის პრანჭია ახალგაზრდა არისტოკრატებს, რომლებიც ჰკუის სასწავლებლად უცხო ქვეყნებში მიემგზავრე-

ბიან. როგორც „პატარა გოჭები“ და იქიდან ბრუნდებიან როგორც „დაბრუნებული ღორები“.

რუსი ყმა გლეხის უმწეო მდგომარეობა ყველაზე უფრო ნათლად და გაბედულად არის დახატული ჟურნალ „ტრუტენის“ 1769 წლის 26-ე ნომერში, სადაც დაბეჭდილია მოურავ ანდრიუშკას წერილი ბატონისადმი. ამ წერილში ანდრიუშკა თავის ბატონს ატყობინებს, რომ მან გლეხებისაგან ღალის ფული ვერ აკრიფა, რომ სოფელში შიმშილი მძვინვარებს, ხალხიც და მსხვილფეხა საქონელიც უმშელობისაგან იხოცება. მოურავის წერილთან ერთად აქ მოყვანილია წერილი ყმა გლეხის ფილატკასი, რომელიც სოფელში გაუროგზავთ იმის გამო, რომ გადასახადი ვერ გადაიხადა. ის სწერს ბატონს, რომ მას გაუყიდეს ყველაფერი, რაც მოეპოვებოდა. ოთხი ბავშვი შიმშილით უკვდება და სთხოვს ძროხის დატოვებას. წერილების მიღების შემდეგ განრისხებული ბატონი გასცემს განკარგულებას მოურავის გაროზგვისა და ფილატკის შესახებ, ფილატკას კი ძროხას უტოვებს. მაგრამ ამ პირობით, რომ მისი ღირებულება სოფელმა გადაიხადოს.

ანდრიუშკასა და ფილატკას წერილების გამოქვეყნებამ დიდი ხმაური გამოიწვია რუსეთის ოფიციალურ წრეებში. ცხადია, ისინი არც ეკატერინე მეორეს მოეწონა და ამის გამო ჟურნალის გამოცემა შეაჩერებინა. მაგრამ მისი რედაქტორი ამით არ შეშინებულა. პირიქით, „ტრუტენმა“ „ვსიაკაია ჭსიაჩინას“ მაღალპრინციპული პოლემიკა გაუმართა აქტუალურ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საკითხებზე.

პოლემიკა დაიწყო 1769 წლის მაისში, როცა „ტრუტენმა“ თავის მეხუთე ფურცელზე დაბეჭდა ვითომდა ვინმე პრავდოლიუბოვის წერილი ჟურნალისადმი. წერილი მიმართულია „ვსიაკაია ვსიაჩინას“ საპროგრამო სტატიის წინააღმდეგ, რომელიც დაბეჭდილი იყო მის მე-18 ნომერში. აქ, სხვათა შორის, განსაზღვრული იყო სატირის ხასიათი, მიმართულება და კრიტიკის ობიექტი. დედოფალი თავის წერილში ამტკიცებდა, რომ სატირიკოსი გულკეთილი, კაცთმოყვარე და თავმდაბალი ადამიანი უნდა იყოსო. თუ იგი ასეთი იქნება, მაშინ ადვილად გაიგებს, რომ ადამიანს არავითარი მანკიერება არ გააჩნია. მისი ყოველკვარი „ცოდვა“ აიხსნება არა თავისთავად არსებული მიწიერი თვისებებით, არამედ უბრალო ადამიანური სისუსტით. უცოდველი, უნაკლო და სრულქმნილი მხოლოდ ღმერთია, — დასძენს დედოფალი.

ასეთი პროგრამა დაუსახა დედოფალმა სატირულ ჟურნალებს, პროგრამა მორჩილებისა და ყოველგვარი სოციალური მანკიერების ხელშეუხებლობისა. მას ეგონა, რომ „ვსიაკაია ვსიაჩინას“, როგორც უფროს ჟურნალს, „შვილიშვილები“ დაუჯერებდნენ და ამ „უწყინარობის“ გზას დაადგებოდნენ, მაგრამ „ბებია“ მოტყუვდა. ამ პროგრა-

მის წინააღმდეგ 1769 წლის მაისში სასტიკად გაილაშქრა „ტრუტენმა". მის ფურცლებზე პრავდოლიუბოვის სახელით დაიბეჭდა ნ. ნოვიკოვის ზემოხსენებული საპასუხო წერილი. ეს წერილი საპროგრამო ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ამ ორი იდეურად საწინააღმდეგო ჟურნალის პროგრამათა პრინციპული განსხვავების დადგენას. ამასთანავე, პრავდოლიუბოვმა (ე. ი. ნოვიკოვმა) გამოააშკარავა დედოფლის ჟურნალის მოჩვენებითი ჰუმანურობა და დაამტკიცა, რომ კაცთმოყვარეობის საფარქვეშ წარმოებს ქურდების, ავაზაკების, მუქთახორებისა და ყოველგვარი ყალთაბანდების აშკარა დაცვა. კაცთმოყვარე სატირიკოსებს („ვსიაკაია ვსიაჩინას" გამომცემლებს) მწარედ დასცინის ნ. ნოვიკოვი. „ასეთი ადამიანების კაცთმოყვარეობას, — წერს იგი, — უფრო სწორია მანკიერთმოყვარეობა ვუწოდოთ".

1770 წლის აპრილში ნ. ნოვიკოვმა „ტრუტენის" უკანასკნელი 73-ე ფურცელი გამოსცა და მკითხველებს გამოემშვიდობა. ამავე ნომერში მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ მისი ჟურნალი არსებობას წყვეტს იძულებით, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

1772 წლიდან ნ. ნოვიკოვმა დაიწყო ახალი ჟურნალის „ქივოპისეცის" („მხატვარი") გამოცემა.

ჟურნალის პირველივე ნომერში ნ. ნოვიკოვი მკაცრი კრიტიკით გამოვიდა იმ მწერლების მიმართ, რომლებიც რუსეთის ყმა გლეხებს ხატავდნენ ბედნიერ ადამიანებად, რომლებიც თითქოს ტკბებიან ბუნებასთან სიახლოვით, ლაღი, უდარდელი ცხოვრებით. სწორედ ამ პასტორალურ ნაწარმოებებს დაუპირისპირა სატირიკოსმა თავისი შესანიშნავი თხზულება „ნაწყვეტი მოგზაურობიდან" („Отрывок путешествия в*** И*** Т***") სადაც დახატულია სოფელ „აოხრებულის" მეტად მძიმე სურათი. ნაწარმოების ცენტრში დგანან ყმა გლეხების მშიერ-მწყურვალი ბავშვები, რომლებიც მშობლებზე უფრო მეტად განიცდიან რბევას ტირანი მემამულეებისაგან.

ბატონყმობის თემაზეა დაწერილი აგრეთვე ნ. ნოვიკოვის „წერილები ფალალეისადმი" („Письма к Фалалею"), რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები დ. ფონვიზინის ნაწარმოებად თვლიდნენ.

რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში ნ. ნოვიკოვი ცნობილია არა მარტო როგორც სატირიკოსი და ჟურნალისტი, არამედ როგორც ბეჭდვითი სიტყვისა და განათლების დარგის დიდი მოღვაწეც. ჯერ კიდევ 1773—1774 წწ. „ქივოპისეცის" დახურვის შემდეგ, მან რამდენიმე შრომა გამოსცა რუსეთის ისტორიიდან და დაიწყო ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების სერიული გამოცემა „ძველი რუსული ბიბლიოთეკის" სახელწოდებით.

ნ. ნოვიკოვს უდიდესი დამსახურება მიუძღვის რუსეთში სწავლა-განათლებისა და ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ მან პირველმა შეაყვარა რუსეთის საზოგადოებას წიგნები. კითხვა. შემოიღო წიგნით ვაჭრობა და ამით საფუძველი ჩაუყარა მასობრივ-საგანმანათლებლო მუშაობას. იგი პირველი იყო აგრეთვე საბავშვო წიგნებისა და ჟურნალების ბეჭდვა-გავრცელების საქმეშიც. მანვე გამოსცა მრავალი სახელმძღვანელო და პოპულარული წიგნების სერია ცოდნის ისეთ დარგებში, როგორიცაა: მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ბუნებისმეტყველება და სხვ. გამოაქვეყნა აგრეთვე მრავალი ძველი მხატვრული ლიტერატურიდან. მათ შორის ვოლტერის ათეისტური სატირული ნაწარმოებები, ჟან-ჟაკ რუსოს „ემილი“, მონტესკიეს თხზულებანი და მრავალი სხვა.

ამ დიდი პრაქტიკულ-კულტურული მოღვაწეობისას ნ. ნოვიკოვი მარტო არ იყო. იგი თავის გარშემო იკრებდა თანამედროვე მოწინავე მოღვაწეებსა და მწერლებს და სათავეში ედგა მათ რუსული კულტურის განვითარებისაკენ მიმართულ საქმიანობაში.

ნ. ნოვიკოვის ამ ფართო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეკატერინე მეორეს მთავრობა და თვით დედოფალი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. მთავრობის წრეებში ნ. ნოვიკოვი მეტად პკვიან, მაგრამ საშიშ მასონად მიაჩნდათ, ამიტომ 1784 წლიდან დაწყეს მისი დევნა, რაც თანდათან უფრო აშკარა რეპრესიულ ხასიათს ღებულობდა. იგი რამდენიმეჯერ დაკითხეს, მოუწყეს ჩხრეკა, შეზღუდეს მისი გამომცემლობა, 1792 წელს კი ეკატერინე მეორის განკარგულებით ის დააპატიმრეს და გასამართლების გარეშე 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს შლისელბურგის ციხეში. 4 წლის პატიმრობის შემდეგ, როცა სამეფო ტახტზე პავლე ავიდა, იგი გაათავისუფლეს, მაგრამ ფიზიკურად გატეხილ ნ. ნოვიკოვს უკვე აღარ შეეძლო მოღვაწეობის გაგრძელება.

დ. ფონვიზინი. ბიოგრაფია. დენის ივანეს ძე ფონვიზინი (1745—1792) წარმოშობით საშუალო შეძლების მემამულეთა რიცხვს ეკუთვნოდა. ბავშვობა მან ოჯახში გაატარა, იქ ისწავლა წერა-კითხვა და ძველი სლავური ენა, გაეცნო საეკლესიო წიგნებს, მხატვრულსა და ისტორიულ ნაწარმოებებს, ყმა გლეხებისაგან იქვე შეისწავლა რუსული ზღაპრები და ხალხური სიმღერები.

1755 წელს დ. ფონვიზინის მშობლებმა ორი შვილი — დენისი და პავლე შეიყვანეს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიაში, რომელსაც უნივერსიტეტის პირველ კურსზე შემსვლელი ახალგაზრდობა უნდა მოემზადებინა.

გიმნაზიაში ყოფნის პირველსავე წლებში ახალგაზრდა დ. ფონვი-

ზინმა თავი გამოიჩინა როგორც ბეჯითმა და ნიჭიერმა მოსწავლემ. მან იქ წარმატებით შეისწავლა ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები. იქვე ისახელა თავი საზეიმო სხდომებზე ლიტერატურული გამოსვლებით.

1760 წელს დ. ფონვიზინი გიმნაზიიდან უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტად იქნა გადაყვანილი. ამავე წლიდან იწყება მისი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობაც. 1761 წელს ჟურნალ „მოსკოვსკოე ეედომოსტში“ დაიბეჭდა დ. ფონვიზინის მიერ თარგმნილი დანიელი მწერლისა და განმანათლებლის ლ. გოლბერგის სატირული იგავ-არაკები. ეს იგავ-არაკები დიდაქტიკურ-მორალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ამავე დროს მათ კონკრეტულ-მამხილებლური მნიშვნელობაც ჰქონდათ. მათი შინაარსი უმთავრესად დანიის მანკიერ მხარეებს ეხებოდა, კერძოდ, ამხელდა რელიგიურ პირმოთნეობას. დ. ფონვიზინის ამ თარგმანს დიდი წარმატება ჰქონდა, იგი რამდენიმეჯერ გამოიცა.

1762 წელს ახალგაზრდა ფონვიზინი მოსკოვიდან პეტერბურგში გადასახლდა, სადაც იგი დანიშნეს მთარგმნელად საგარეო საქმეთა კოლეგიაში. ერთი წლის შემდეგ კი სამუშაოდ გადავიდა კაბინეტ-მინისტრ ი. ელაგინთან. მასთან დ. ფონვიზინი 1769 წლამდე მსახურობდა.

ი. ელაგინთან სამსახურის დროს დ. ფონვიზინი დაუახლოვდა დრამატურგთა სწორედ იმ წრეს, რომელსაც თვით ი. ელაგინი და ე. ლუკინი მეთაურობდნენ. პირველ ხანებში ახალგაზრდა ფონვიზინმა ამ წრის გავლენა განიცადა, მაგრამ მიმბაძველობითი შემოქმედება მას ვერ დააკმაყოფილებდა. ბუნებით მაძიებელი და გონებამახვილი ახალგაზრდა მწერალი მწვავე სოციალური სატირისაკენ მიისწრაფოდა, რომელსაც უნდა აესახა რუსეთის ცხოვრების მანკიერი მხარეები. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ი. ელაგინთან მუშაობის დროს დ. ფონვიზინი უკვე ეწეოდა დამოუკიდებელ ორიგინალურ შემოქმედებით მუშაობას. 1763—1766 წლებში მან რამდენიმე ორიგინალური სატირული ნაწარმოები შექმნა, რომელთაგან ზოგერთმა ჩვენამდე მოაღწია. ასეთებია: „მზაკვარი მელა“ („Лисица Казподей“) და „უსტარი ჩემს მსახურთ“ („Послание к слугам моим“).

„მზაკვარი მელა“ და „უსტარი ჩემს მსახურთ“. „მზაკვარი მელა“ მწვავე პოლიტიკური სატირაა, რომელიც მონარქიული წყობილების მანკიერ მხარეებს ეხება. იგავ-არაკში ახალგაზრდა ფონვიზინი ამხელს აგრეთვე მეფის ოფიციალურ მეხოტბეებს და ამტკიცებს, რომ მონარქის ქება-დიდებაში ისინი უსინდისოდ ცრუობენ, ისინი არიან პირმოთნე პანეგირიკები, რომლებიც პირადი კარი-

ერისა და ფულის მოლოდინში მეფეს აღიარებენ ხალხის მზრუნველ მამად, ხელოვნების, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მფარველად. ამის საილუსტრაციოდ სატირიკოსი მიმართავს კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს.

ელისაბედ პეტრეს ასულის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა პეტრე მესამე. მეხოტბეებმა არ დააყოვნეს და ქება-დიდება მიუძღვნეს როგორც განსვენებულ მეფეს, ისე ახლად გამეფებულს. ჯერ კიდევ მოუნარებული არ იყო პანეგირიკების ყიჟინა, რომ ხოტბის ობიექტი მეფე მოკლეს და ტახტზე მისი ცოლი ეკატერინე მეორე ავიდა. მან პეტრე მესამე, რომელსაც მეხოტბენი ხელოვნების, მეცნიერებისა და სწავლა-განათლების მზრუნველ მამად თვლიდნენ, სპეციალური მანიფესტით დესპოტად და რუსეთის სახელმწიფოს მტრად გამოაცხადა. ამის შესაბამისად მეხოტბეებმაც სწრაფად შეცვალეს თავიანთი აზრი განსვენებულ მეფეზე და ახლა ეკატერინე მეორე გახადეს ქება-დიდების საგნად.

იგავ-არაკში ალეგორიულად არის გადმოცემული ისტორიული სინამდვილის მთელი ეს სურათი. აქ მოთხრობილია თუ როგორ მოკვდა ნადირთა მეფე — ლომი. დაკრძალვაზე ყველა ნადირი მოვიდა. ყველაზე მეტად დამწუხრებულა მზაკვარი მელა. დასაფლავების დროს იგი კათედრაზე ადის და ხოტბას ასხამს ლომს. იგი თავგამოდებით არწმუნებს ნადირებს, რომ ლომი თავისი ბუნებით იყო ნადირთმოყვარე, რომ ის უდიდეს ზრუნვას იჩენდა ნადირთა გათვითცნობიერებისათვის, მან შესანიშნავი წესრიგი დაამყარა ცხოველთა სამეფოში და ა. შ. მელიის ასეთმა მზაკვრობამ მოთმინებიდან გამოიყვანა თხუნელა და ძაღლს წასჩურჩულა: ოი, პირმოთნეობავ, ლომს მე კარგად ვიცნობდი და ვიცი, რომ ის ბოროტი იყო, უგუნური ტირანი. ვიცი, რომ მან თავისი სამეფო ტახტი ცხოველთა ძვლებზე ააგო და მისი მეფობის დროს „ველმოქები" და, განსაკუთრებით, „ფავორიტები" ტყავს აძრობდნენ უჩინო ცხოველებს.

ძაღლი გაოცდა თხუნელას ასეთი გულუბრყვილობით და უპასუხა, რომ მას არ უნდა უკვირდეს, თუკი უჩინო მხეცი ხოტბას შეასხამს წარჩინებულ ნადირს. თხუნელაც თავის მხრივ გაოცებულია ამ პასუხით. ალბათ, იმიტომ, — ასკვნის თვით ავტორი, — რომ მას ადამიანთა შორის არ უცხოვრია.

დ. ფონვიზინის დროს მკითხველი ადვილად უნდა მიხვედრილიყო, რომ „მზაკვარ მელაში" მოცემული იყო მძაფრი კრიტიკა ეკატერინე მეორის პირმოთმინე მეხოტბეებისა, რომლებმაც შექმნეს ილუზია რუსეთის „განათლებული" მონარქიული რეჟიმის შესახებ და თვით ეკა-

ტერინე მეორე სათნოებისა და ჰუმანურობის განსახიერებად წარმოადგინეს.

მკვეთრ მამხილებელ ხასიათს ატარებს დ. ფონვიზინის მეორე სატირაც — „უსტარი ჩემს მსახურთ". აქ ბრწყინვალედ არის დახატული მაშინდელი რუსეთის ცხოვრების ნამდვილი სურათი. სატირიკოსი „უსტარში" ეხება განმანათლებელთა მიერ წამოჭრილ საკითხს ცხოვრების აზრისა და მიზნის შესახებ. სატირის გმირები არიან ბატონი და მისი მსახური — შუმილოვი, მეჯინიბე ვანკა და მოჯამაგირე პეტრუშკა. ბატონისა და მის მსახურთა ფილოსოფიურ გასაუბრებაში მოცემულია სოციალური უსამართლობის მძაფრი კრიტიკა. ამავე დროს, მასში ნაჩვენებია დაბეჩავებული და ჩამორჩენილი ყმები, რომლებიც მიუხედავად თავიანთი გაუნათლებლობისა, მაინც ხვდებიან, რომ სიმართლე ქვეყანაზე არ არის, ქვეყანა დამყარებულია სიცრუეზე.

ბატონი თავისი კითხვით — რისთვის არის ქვეყანა გაჩენილი? — პირველად მიმართავს შუმილოვს. მოხუცი ამ ფილოსოფიურ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემს. მან მხოლოდ ის იცის, რომ ამქვეყნად ერთნი ყმებად არიან გაჩენილნი და ისინი სიკვდილამდე ყმებადვე დარჩებიან, ხოლო მეორენი — ბატონებად. შემდეგ ბატონი ამავე კითხვით ვანკას მიმართავს, მაგრამ ვერც მეჯინიბე უპასუხებს. სამაგიეროდ ვანკა გაუზიარებს თავის აზრს ყველაფერზე, რაც კი მან თავისი სიცოცხლის განმავლობაში როგორც მეჯინიბემ ნახა მოსკოვში, პეტერბურგში, საზღვარგარეთ კარსა და სხვა ადგილებში. ვანკა თავისი განუწყვეტელი ხეტიალის დროს დარწმუნდა, რომ ცხოვრება დამყარებულია უსამართლობასა და სიცრუეზე. ყველა ერთიმეორეს ატყუებს. ხუცესი თავის მრევლს, ბატონები — ერთმანეთს, წარჩინებული ბოიარები — ხელმწიფეს, სასამართლოს მსაჯულები კი „ეშმაკის ჭურნი" არიან. ვანკა დარწმუნებულია, რომ ყველა, აზნაური იქნება ის, მოხელე თუ „ველმოჭა", ფულის გულისათვის ცრუობს და სჩადის ყოველგვარ სისაძაგლეს. ხოლო მღვდელი თავისი ჯიბის გასასქელებლად ატყუებს მრევლსაც და ღმერთსაც.

ამის შემდეგ. ბატონი პეტრუშკას მისცემს კითხვას სიცოცხლის დანიშნულებისა და მიზნის შესახებ. მაგრამ ვერც მესამე მსახური გასცემს პასუხს. პეტრუშკამ იცის მხოლოდ ის, რომ ცხოვრება საბავშვო სათამაშოს ჰგავს. ადამიანმა ისე უნდა წარმართოს ეს თამაში, რომ რაც შეიძლება მეტი მოიგოს. ყველაფერი, რაც კი კარგი რამ ხელში მოგხვდება, უნდა აიღო და შენს სასარგებლოდ გამოიყენო. ასეთია, პეტრუშკას აზრით, ცხოვრების სიბრძნე, ამ პრინციპზეა დამყარებული ადამიანის ცხოვრება.

დ. ფონვიზინის სატირა „უსტარი ჩემს მსახურთ" XIX საუკუნის

ოციან წლებში ქართულად უთარგმნია ცნობილ ქართველ პოეტს სოლომონ რაზმაძეს პეტერბურგში ყოფნის დროს. მთარგმნელს ტექსტში ზოგიერთი ცვლილება შეუტანია. ასე. მაგალითად, შუმილოვის მაგიერ გამოუყვანია თევდორე, მთელი ნაწარმოებისათვის კი სათაურად „პეტერბურხი" მიუცია. უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ს. რაზმაძეს ჭთარგმნია ცენზურის მიერ აკრძალული ტაეპიც, რომელიც რუსულად მაშინ არ იბეჭდებოდა. როგორც ჩანს, ქართველ პოეტს ხელთ ჰქონია სატირის დედანი.

დ. ფონვიზინის დრამატურგია. „ბრიგადირი". დ. ფონვიზინის პირველი სერიოზული ცდა დრამატურგიაში ეკუთვნის 1764 წელს, როცა მან „კორიონის" სათაურით რუსულად გადმოაკეთა ფრანგი პოეტისა და დრამატურგის გრესეს კომედია „სიდნეი".

კომედია „ბრიგადირი" („Бригадир". 1769 წ.) დ. ფონვიზინის პირველი ორიგინალური და რუსული ეროვნული პიესაა. ამ ნაწარმოებით ახალგაზრდა დრამატურგი იმ დროის რუსეთის ცნობილ მწერალთა რიგებში ჩადგა.

პიესა ასახავს XVIII საუკუნის მოწინავე რუსი ინტელიგენციის ბრძოლას რუსული ეროვნული კულტურის ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით, ნაწერალმა მწარედ გამოსცინა თავის დროის თავადაზნაურულ არისტოკრატიას, რომელიც მონურად ქედს იხრიდა ყოველგვარი უცხოურისა და, განსაკუთრებით კი, ფრანგული ცივილიზაციის წინაშე. ა. სუმაროკოვის, ნ. ნოვიკოვის, ი. კნიაჟნინის, ი. კრილოვის მსგავსად, დ. ფონვიზინი არ უარყოფდა შემოქმედებითად გამოყენებას, მაგრამ იგი სასტიკად ამათრახებდა იმათ, ვინც საკუთარ ეროვნულ ღირსებებს, ერის საუკეთესო ტრადიციებს უგულებელყოფდა და კარგავდა ეროვნული სიამაყის გრძნობას.

კომედიის სიუჟეტი მარტივია, ბრიგადირი თავისი მეუღლითა და ვაჟიშვილ ივანუშკათი ესტუმრა სოფეტნიკს (მრჩეველს). მშობლები გადაწყვეტენ ერთმანეთს გაურიგონ ივანუშკა და სოფეტნიკის ქალიშვილი სოფიო, მაგრამ ამის შემდეგ კომედიაში ჩნდება სხვა ინტრიგა: სოფეტნიკის ცოლს, ფრანგული მანიით შეპყრობილ პრანჭია მანდილოსანს, მოეწონება პარიზიდან ჩამოსული, მაგრამ გაუნათლებელი და ბრიყვი ივანუშკა, რომელსაც შესძულებია რუსული ენა, რუსი ადამიანის ბუნება და რუსული ზნე-ჩვეულებანი. ივანუშკა და სოფეტნიკის ცოლი ერთმანეთს ეარშიყებიან, ამავე დროს, სოფეტნიკი თავის მხრივ ცდილობს ბრიგადირის ცოლთან გააჩაღოს რომანი, მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად გოწებადახშულია და ჩამორჩენილი, რომ ვერც კი ხვდება სოფეტნიკის მისწრაფებას. ამ „სასიყვარულო" გაწამაწიაში არც ბრიგადირი კარგავს დროს. ის ეტრფიალება სოფეტნიკის ცოლს,

რომელიც გატაცებულია ივანუშკათი და ამიტომ ბრიგადირს ყურადღებასაც არ აქცევს. შექმნილი სიტუაციით ისარგებლებს ივანუშკას საცოლე, ჭკვიანი ქალიშვილი სოფიო და ცოლად გაჰყვება თავის შეყვარებულს, დადებითი ხასიათის პიროვნებას, დობროლიუბოვს.

„ბრიგადირის“ მთავარი მოქმედი პირი გადაგვარებული ივანუშკაა, რომელსაც ერთხანს საფრანგეთში უცხოვრია და, ამიტომ თავის თავს ფრანგად თელის. ივანუშკა უსაქმური, გარყვნილი, უვიცი და ბრიყვია. მას არა აქვს ადამიანური მოვალეობის არაეითარი გრძნობა.

ერთი შეხედვით „ბრიგადირი“ თითქოს მხიარული კომედიაა, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით ივანუშკასა. და სოვეტნიკის ცოლის სახეებს, მათში კომიკური ტიპების ნაცვლად მახინჯი სახის სავალალო ადამიანებს შეეცნობთ. ისინი ისე გადაგვარებულან და დამახინჯებულან, რომ შესძულებიათ თავიანთი სამშობლო და ერი. „მთელი ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ შენ რუსი ხარ“, — ეუბნება ივანუშკა სოვეტნიკის ცოლს. ხოლო ეს უკანასკნელი უპასუხებს: „ეს, ჩემო ანგელოზო, რასაკვირველია, საშინელ დაღუპვას ნიშნავს“. ივანუშკასა და სოვეტნიკის ცოლის სახით დ. ფონვიზინმა დახატა ანტიხალხური ტიპები და ამით სასტიკად გაამათრახა ფრანგომანიით შეპყრობილი რუსი თავადაზნაურობა. სწორედ ამაშია „ბრიგადირის“ საზოგადოებრივი და იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ივანუშკასა და სოვეტნიკის ცოლის გარდა, ამ პიესაში სხვა უარყოფითი პერსონაჟებიც არიან გამოყვანილი. მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებენ ბრიგადირი, მისი ცოლი და სოვეტნიკი. არც მათ გააჩნიათ ადამიანური მორალი. ბრიგადირი გრიბოედოვის სკალოზუბის წინამორბედია. იგი წარმოგვიდგება როგორც ყოველად უხეში, გაუნათლებელი და გონებაჩლუნგი სამხედრო პირი, რომელსაც სამხედრო წესდებისა და ბრძანებების მეტი თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი წაუკითხავს. მისი ცოლი — აკულინა ტიმოთეს ასული, მასზე კიდევ უფრო მეტად ჩამორჩენილი და ამასთანავე ქმრის როზგებით საშინლად დაბეჩავებული და გამოთაყვანებული პიროვნებაა. სოვეტნიკი უცოდინარი ჩინოვნიკია, მაგრამ ეშმაკი და გაიძვერა.

დ. ფონვიზინის შემოქმედების პირველი მკვლევარი პოეტი პ. ვიაზემსკი თავის ვრცელ მონოგრაფიაში წერდა, რომ „ბრიგადირში“ ჩვენ სცენიდან პირველად მოვისმინეთ ბუნებრიეი და მახვილგონიერი სიტყვები“.

ეს ნაწარმოები კლასიცისტური სქემით არის დაწერილი, მაგრამ რუსეთის ცხოვრებიდან ალებული ზოგიერთი პერსონაჟი აქ მეტად ცოცხლად და განზოგადოებულად არის წარმოდგენილი. თავიანთი მხატვრული დამაჯერებლობით ისინი რეალისტურ ტიპებს უახლოვდე-

ბიან. ამ მხრივ, პირველ რიგში გამოირჩევა ოსტატურად გამოკვეთილი სახე ბრიგადირის ცოლისა, რომელმაც ყველაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ მაყურებელზე. დ. ფონვიზინის ამ შესანიშნავი პორტრეტის შესახებ ნ. პანინმა დრამატურგს უთხრა: „მე ვხედავ, რომ თქვენ კარგად იცით ჩვენი ზნე-ჩვეულებები, იმიტომ, რომ თქვენი ბრიგადირის ცოლი ყველას ნათესავია. არავის შეუძლია თქვას, რომ მე არ მყავს ასეთივე აკულინა ტიმოთეს ასული, ან ბებია, ან მამიდა, ან სხვა ვინმე ნათესავი".

„ბრიგადირი" წინ გადადგმული ნაბიჯია XVIII საუკუნის რუსული კომედიისა და სატირის განვითარებაში. რუსეთის ცხოვრების ზოგიერთი ტიპიური მოვლენის ასახვით, ცოცხალი განზოგადოებული სახეების შექმნითა და მამხილებლური პათოსით, დ. ფონვიზინმა ბევრად გაუსწრო თავისი დროის დრამატურგიას. მაგრამ მან ამ კომედიით ვერაც ვერ მიაღწია ნამდვილი ხალხური სოციალურ-პოლიტიკური ნაწარმოების შექმნას, რომელშიც რეალისტურ ასახვას პოვებდა რუსეთის სინამდვილიდან აღებული ძირითადი ტიპიური მოვლენები. ასეთი ნაწარმოები მან შექმნა გაცილებით უფრო გვიან, 80-იან წლებში — „უმწიფარა" („Недоросль").

„უმწიფარა". დ. ფონვიზინის შემოქმედების იდეურ-მხატვრული ბუნება ნათელია. კომედია „უმწიფარა", რომელზეც ავტორი საკმაოდ ღიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა, დაასრულა 1782 წელს. პიესაში ერთ-ერთი მთავართაგანია აღზრდის საკითხი, მაგრამ მისი იდეური შინაარსი, მისი სოციალური პრობლემატიკა, რასაკვირველია, მარტო ამ თემით არ განისაზღვრება. სწავლა-აღზრდის საკითხი როგორც დასავლეთ ევროპულ, ისე რუსულ ლიტერატურაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. ფრანგი და რუსი განმანათლებლები საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში სწავლა-აღზრდის გონივრულ საწყისებზე დაფუძნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელსაც აქცევდა დ. ფონვიზინი, როგორც განმანათლებელი, სწავლა-აღზრდის თემატიკის მხატვრულ დამუშავებას. „უმწიფარამდე" და მის შემდეგაც დაწერილი თითქმის ყველა ნაშრომი დ. ფონვიზინისა მეტ-ნაკლებად შეეხება თავადაზნაურული ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლის საკითხებს. „ბრიგადირის" დადებითი პერსონაჟი დობროლიუბოვი ივანუშკას გადაგვარების მიზეზად თვლის ცუდ აღზრდას. „ყველაფრის მიზეზია აღზრდა", — ამბობს იგი. ივანუშკა გონებრივად და სულიერად დასახიჩრდა იმიტომ, რომ ის უცხო კულტურას ზერელედ გაეცნო, საფრანგეთში გაუნათლებელი და ცუდად აღზრდილი წავიდა.

„ბრიგადირის“ გმირმა ივანუშკამ გრამატიკა არ იცოდა, მაგრამ ეს არც მას არ აწუხებდა და არც მის მშობლებს. „უმწიფარაში“ პირიქით, პროსტაკოვები თავიანთ შვილს მიტროფანუშკას გრამატიკას ასწავლიან. ზოგიერთი საგნის შესასწავლად მასწავლებელიც დაუქირავეს, მაგრამ ვერც ამან გამოიღო დადებითი შედეგი. მიტროფანუშკა ბევრად უფრო უზრდელია, ბოროტი და საშიში, ვიდრე ივანუშკა. პროსტაკოვების აზრით, ბავშვის აღზრდაში მთავარია სმა-ჭამა; მასწავლებლები დაიქირავეს იმისათვის კი არა, რომ განათლება მიეცათ მიტროფანუშკასათვის, არამედ იმიტომ, რომ მოდაში იყო მასწავლებლის დაქირავება. „უმწიფარას“ სიუჟეტი ბევრად უფრო რთულია და საინტერესოდაა განვითარებული, ვიდრე „ბრიგადირისა“. სცენური თვალსაზრისითაც ეს კომედია უფრო უკეთესად არის დამუშავებული: ნაწარმოებში ინტიმური და საზოგადოებრივი ხასიათის კონფლიქტები ერთიმეორეზეა გადახლართული და მთელი ამბავი გაშლილია სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე.

ჩამორჩენილი, დესპოტი, მემამულე ქალი პროსტაკოვა ყოველმხრივ ავიწროებდა ახალგაზრდა, კეთილშობილ სოფიოს. იმისათვის, რომ თავიდან მოეცილებინა იგი, პროსტაკოვამ მოინდომა სოფიოს გათხოვება თავის ძმა სკოტინინზე, მაგრამ მოულოდნელად გაიგებს, რომ ციმბირიდან ჩამოსვლას აპირებს სოფიოს ბიძა სტაროდუმი, რომელსაც თურმე ათიათასი მანეთი შეუგროვებია სოფიოს სამემკვიდრეოდ. პროსტაკოვა, ამის შემდეგ, სოფიოს მიმართ შეიცვლება, იგი გადაწყვეტს სოფიოს მემკვიდრეობის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით პროსტაკოვა ცდილობს სოფიო მიათხოვოს არა სკოტინინს, არამედ მიტროფანუშკას; გამხეცებული პროსტაკოვა დარწმუნდება, რომ სოფიო ნებით უმწიფარა მიტროფანუშკას არ მისთხოვდება. ამიტომ იგი მოინდომებს ქალის ძალით გატაცებას, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც პროსტაკოვას სოფიო უნდა გაეტაცა, გამოჩნდება სოფიოს შეყვარებული მილონი და იხსნის თავის საცოლეს. ამ დანაშაულის ჩადენის, გლეხების შევიწროების და სხვა უმსგავსობის გამო მთავრობის სახელით პრავდინი პროსტაკოვას ჩამოართმევს მებატონის უფლებასა და ქონებას. საბოლოოდ პროსტაკოვამ ყველაფერი დაკარგა. დარჩა მას მხოლოდ შვილი — მიტროფანუშკა. „შენღა დამრჩი, ჩემო გულის მეგობარო მიტროფანუშკა“, — ეუბნება იგი შვილს. მისთვის პროსტაკოვამ ჩაიდინა მრავალი უმსგავსობა და ბოროტება. მაგრამ სამაგიერო მიტროფანუშკამ ასე გადაუხადა: „მომწყდი თავიდან, დედილო, რას გადამეკიდე“.

„უმწიფარა“ სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოებია. მაშინდელი დროის ძირითადი სოციალური საკითხები — თვითმპყრო-

ბელობა და ბატონყმობა. რომელთაც პირდაპირი ასახვა ვერ პოვეს „ბრძანდარიში", „უფწიფარეს" ცენტრში იქნა დაყენებული. დაწყებული პირველი მოქმედებიდან ბოლომდე პროსტაკოვებისა და სკოტინინის სახით დ. ფონვიზინი გვიჩვენებს რუსი მებატონეების თვითნებობას, ყმა გლეხების ჩაგვრას; პროსტაკოვას ყმა გლეხები დესპოტი მემამულისაგან აწიოკებულნი არიან. „იმის შემდეგ, რაც ყველაფერი მივითვისე გლეხებისა, რაც კი ჰქონდათ, — ამბობს პროსტაკოვა, — არ ვიცი რაღა წავართვა მათ. უბედურებაა პირდაპირ". ასევე შეიწროებული ჰყავს გლეხები პროსტაკოვას ძმას — სკოტინინს, რომელიც მხეცურად ექცევა ყმებს. იგი ამბობს: „მე თუ ვინმე მეზობელმა ზარალი მომაყენა, ჩივილს არ დავიწყებ და არც ზარალს შევუშინდები. რასაც დავკარგავ, ყველაფერს ჩემიდან გლეხებიდან ამოვიღებ".

პროსტაკოვები და სკოტინინები არა მარტო ტანჯავენ და უზომოდ ყველეფენ თავიანთ ყმებს, არამედ უკარგავენ მათ ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას. პროსტაკოვის ყმა გლეხები „ნამდვილი მონები არიან. მათ არ გააჩნიათ პირადი ღირსების დაცვის უნარი. ადამიანური უფლებისათვის რაიმე პრეტენზია. მიტროფანუშკას აღმზრდელი დედაბერი ერემეევნა პროსტაკოვების უურმოჭრილი მონაა. მას სცემენ დაუმსახურებლად, ლანძღავენ და ადამიანურ სახელსაც არ ეძახიან (მას ჩვეულებრივად ასე მიმართავენ: „ძაღლის შვილო", „ძველო ბებერეხანა", „პირუტყვო"). ერემეევნა პროსტაკოვებისაგან ღებულობს „ხუთ მანეთს ყოველწლიურად და ხუთ სილას ყოველდღიურად".

პროსტაკოვების ოჯახი უაღრესად ჩამორჩენილია, პატრიარქალური. იქ სწავლა-განათლება სძულთ და უვიცობით ამაყობენ. რად უნდა ახნაურს წერა-კითხვის ცოდნა, ის რა აზნაურია, თუკი წერილს თვითონ წაიკითხავს. ან რაში სჭირდება აზნაურს, ვთქვათ, გეოგრაფიის ცოდნა, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს შეისწავლის. „მეეტლეები რისათვის არიან? ეს იმათი საქმეა, — ამბობს პროსტაკოვა, — ასეთი მეცნიერება თავადაზნაურული არ არის, დიდებულმა მარტო უნდა თქვას, წამიყვანეთ ამა და ამ ადგილას და წაიყვანენ, სადაც სურს".

თავადაზნაურობა ზნეობრივად დაქვეითებულია. არავითარი კაცთმოყვარეობის გრძნობა ან სიყვარული მახლობლების მიმართ მას არ გააჩნია. ეგოიზმი და წამგლეჯობა პროსტაკოვებისა და სკოტინინების ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია. პროსტაკოვამ ობოლი სოფიის სახლ-კარი მიითვისა, შემდეგ მისი მოტაცებაც გადაწყვიტა, და ბოლოს, საკუთარი ძმა — სკოტინინიც არ დაინდო, რომ ათი ათას მანეთს დაპატრონებოდა. ასეთივე ეგოისტია სკოტინინიც, რომელიც არ ინდობს თავის დისწულ მიტროფანუშკას და მზად არის დაახრჩოს

ის, ოღონდაც ხელში ჩაიგდოს მამული და იქ ღორები მოაშენოს. როდესაც კომედიას ვკითხულობთ, იბადება კითხვა: რამ გააჭხეცა ისინი? გაუნათლებლობამ, ჩამორჩენილობამ, თუ ცუდმა აღზრდამ? რა საკვირველია, სამივე ფაქტორს ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ კომედიიდან სხვა ლოგიკური პასუხი გამომდინარეობს. პროსტაკოვები და სკოტინინები გააჭხეცა ბატონყმურმა ურთიერთობამ. შემთხვევითი არ არის, რომ ქალბატონი პროსტაკოვა და მისი ძმა სკოტინინი ყველა თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებას ამართლებენ ეკატერინე მეორის ცნობილი ბრძანებულებით თავადაზნაურობის უფლებათა გაფართოების შესახებ. ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვ. კლიუჩევსკის აზრით, „უწყინარას" დედააზრი ყველაზე მეტად მეღავნდება პროსტაკოვას ცნობილ სიტყვებში იმის შესახებ, რომ თავადაზნაურობის უფლებები გლეხობის მიმართ განუსაზღვრელია და, რომ ეს თვით ხელმწიფის ბრძანებულებით არის გამოწვეული.

კომედია „უმწიფარა" შეიცავს სამეფო კარის მკაცრ კრიტიკას. ნაწარმოების დადებითი გმირი სტაროდუმი, რომლის პირითაც ავტორი გამოთქვამს საკუთარ აზრს, წინათ სამეფო კარზე ყოფილა: შემდეგ დარწმუნებულა იგი სამეფო კარის გადაგვარებაში, არაკეთილსინდისიერებაში, დარწმუნებულა, რომ იქ უკეთეო ადამიანებს მოუყრიათ თავი. სტაროდუმის აზრით, სამეფო კარი განუკურნავი სენით არის დაავადებული, მას ვერავითარი ექიმი ვერ განკურნავს. პირიქით, სინდისიერი კაცი თუ მოხვდა იქ, ისიც დასნეულდება. კომედიის მეორე დადებითი პერსონაჟი პრავდინი გამოყვანილია როგორც საბელმწიფოს წარმომადგენელი მეურვე. იგი კონტროლს ახორციელებს თავადაზნაურობის მოქმედებაზე, ესაა თუ ის მემამულე თუ უხამსად გამოიყენებდა თავის მდგომარეობას, მეურვე ვალდებული იყო აეყარა დესპოტი მემამულისათვის ყოველგვარი უფლება. პეტრე პირველის მიერ შემოღებული ასეთი მეურვეობა ეკატერინე მეორის მეფობის დროს სრულ დავიწყებას მიეცა. პირიქით, თავადაზნაურობის უფლებები უმა გლეხების მიმართ უფრო გაფართოვდა. დედოფლის ბრძანებულებით აზნაურობა თავის მოქმედებაზე კანონის წინაშე პასუხს არ აგებდა. ამრიგად, დ. ფონვიზინმა „უმწიფარაში", ერთი მხრივ, გვიჩვენა ეკატერინე მეორის პოლიტიკის აშკარა ბოროტება, რომელიც ხელს უწყობდა მიტროფანუშკებისა და სკოტინინების გაჩენას, ხოლო მეორე მხრივ, ნაწარმოებში გაატარა თავისი საკუთარი პოლიტიკური იდეალი — ბატონყმობის შეზღუდვის აუცილებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ დ. ფონვიზინმა დესპოტ მონარქს ეკატერინე მეორეს დაუპირისპირა ნამდვილი „განმანათლებელი მონარქი" პეტრე პირველი. შემთხვევითი არ არის, რომ სტაროდუმი ხშირად აქებს პეტრე პირველის მეფობის დროს, მისი იდეალია არა ეკატერინე მეორის მე-

ლობა, არამედ პეტრე პირველისა, როცა „სამეფო კარის მსახურნი, ჭეშმარიტნი იყვნენ, მაგრამ მეომრები სამეფო კარის მსახურებად არ ეყოფილან". „როცა განსწავლისათვის ბევრი საშუალება არ იყო", მაგრამ სამაგიეროდ: „ჯერ კიდევ არ იცოდნენ თავიანთი ცარიელი თავის გამოტენა სხვისი ჭკუით". სტაროდუბის მამა პეტრე პირველის სამეფო კარზე ყოფილა საჩსახურში. ამით სტაროდუმი ამაყობს, რადგან მისი აზრით, სახელმწიფო სარბიელზე მოღვაწეობა შეძლება ისეთ შეჯესთან, როგორიც პეტრე პირველი იყო.

დ. ფონვიზინი იყო განმანათლებლური იდეების მქადაგებელი, მან მოგვცა ეკატერინე მეორის რუსეთის თვითმპყრობელური წესწყობილების მძაფრი კრიტიკა. მართალია, იგი ვერ ამაღლდა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის რევოლუციური უარყოფის იდეამდე, მაგრამ მან, როგორც მხატვარმა, შექმნა ანტიბატონყმური ჟღერადობის ისეთი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური კომედია, რომლიდანაც მაშინდელ მაყურებელს უფრო გაბედული დასკვნა გამოჰქონდა, ვიდრე მას სცენიდან ავტორი ქადაგებდა.

„უმწიფარა" კომპოზიციურად კლასიცისტური ნაწარმოებია. ის 5 აქტისაგან შედგება. მასში დაცულია ადგილის და დროის ერთიანობა. ერთიმეორესთან დაპირისპირებულია დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები, თანაც პირველნი სქემატურ ხასიათს ატარებენ; მოქმედ პირთა გვარები მათ ხასიათს გამოხატავენ. მაგრამ ყველაფერ ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მთავარია ის, რომ „უმწიფარა" თავისი შინაარსით რეალისტურია. ნ. გოგოლი „უმწიფარას", ა. გრიბოედოვის უკვდავ კომედიასთან ერთად, „რევიზორის" წინამორბედად თელიდა. ნ. გოგოლის აზრით, „უმწიფარა" იყო ჭეშმარიტად სოციალურ-საზოგადოებრივი კომედია, რომლის სიუჟეტი ისევე, როგორც „რევიზორისა", თავისუფალია სიყვარულის ინტრიგისაგან. მილონისა და სოფიოს სიყვარულს, რასაკვირველია, კომედიაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

„უმწიფარა" აგებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტზე, მასში რეალისტურად არის ასახული XVIII საუკუნის 70—80-იანი წლების რუსეთის ცხოვრების ტიპიური მოვლენები. რეალისტური ფერებით არის დახატული აგრეთვე კომედიის ზოგიერთი უარყოფითი პერსონაჟი.

პროსტაკოვას სახე უაღრესად ტიპიურია, მხატვრულად განზოგადებული, მაგრამ ამავე დროს ცოცხალი, კონკრეტული, ინდივიდუალური. მასში განზოგადებულია XVIII საუკუნის რუსეთის პატრიარქალური მემამულეების მანკიერი თვისებები; მაგრამ მას ამავე დროს აქვს თავისი საკუთარი ინდივიდუალური თვისებები, სხვა ადამიანები-

საგან მკვეთრად განსხვავებული სახე. პროსტაკოვა ტირანია, დესპოტი, ამავე დროს მშიშარა, გაუმაძღარი და საძაგელი, როგორც ნამდვილი მემამულე. იგი ცბიერია, ეშმაკი, მკაცრი და ანგარებიანი, როგორც სკოტინინების ჰეშმარიტი შთამომავალი. მას თავდავიწყებამდე უყვარს შვილი მიტროფანუშკა, მაგრამ მონად ჰყავს გადაქცეული თავისი ქმარი. ყველა ადამიანური ღირსება, პროსტაკოვას მიერ შელანძღულია. მასში პრიმიტიულია და ცხოველური ისეთი კეთილშობილური გრძნობაც კი, როგორიცაა მშობლიური სიყვარული. პროსტაკოვას სიყვარული მიტროფანუშკასადმი ისეთ მახინჯ ფორმებში ვლინდება, რომ მას არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლია ადამიანისათვის.

რეალისტურია მიტროფანუშკას სახეც. იგი უვიცია, ზარმაცი, ღორმუცელა და, რაც მთავარია, მომავალი მტარვალი ბატონი. მიტროფანუშკას ღორმუცელობა, უვიცობა მაყურებელში სიცილს იწვევს. მაგრამ სრულებითაც არ არის კომიკური ტიპი. პირიქით, როდესაც ღრმად ვაკვირდებით ამ ბრიყვის მოქმედებას, ვრწმუნდებით, რომ იგი სამში ადამიანია, საძაგელი. ვგრძნობთ, რომ როცა ეს ბრიყვი უმწიფარა მომწიფდება, მშობლებზე უარესი გახდება. 16 წლის ასაკში მიტროფანუშკა უკვე ბოროტია, შეუბრალებელი; ასეთია იმიტომ კი არა, რომ მისი აღზრდა-განათლება მინდობილი ჰქონდათ უვიც მასწავლებლებს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო ის გარემო, რომელშიც ის იზრდებოდა, ასეთი იყო სკოტინინების წრე.

მიტროფანუშკა მათ გულქვა ადამიანად აღზარდეს. საინტერესოა, რომ აღზრდის მწარე ნაყოფი პირველ რიგში მშობლებმა იგემეს. როდესაც პროსტაკოვამ ყველაფერი დაკარგა და ეგონა, რომ მას შვილი მაინც დარჩა ნუგეშად, მაშინ მიტროფანუშკას გულს დედის მწუხარება სრულებითაც არ შეეხო. „მომწყდი თავიდან, დედილო, რას გადამეკიდეო" — უთხრა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ პროსტაკოვას მიტროფანუშკამ. „შენც! შენც გადამაგდე?!", „ოხ, უმადურო!", „არ მყავს შვილი!" — სასოწარკვეთილებით წარმოთქვა პროსტაკოვამ. აქ, როგორც ეს პირველად ისტორიკოსმა ვ. კლიუჩევსკიმ შენიშნა, კომიკური სიტუაცია იცვლება ტრაგიკულით.

„უმწიფარას" რეალიზმი მჟღავნდება ენაშიც. დ. ფონვიზინმა, როგორც რეალისტური ალღოს მწერალმა, პერსონაჟები თავისი სოციალური მდგომარეობისა და განათლების შესაბამისი ენით აალაპარაკა. პროსტაკოვები, მიტროფანუშკა ლაპარაკობენ უხეშად, არც ერთი მათგანი უცხო სიტყვებს არ ხმარობს, ხოლო დადებითი პერსონაჟები სტაროდუმი, პრავდინი, მილონი, სოფიო ლაპარაკობენ შშრალი მწიგნობრული ენით. ისინი ხშირად იყენებენ უცხო სიტყვებს, გაურბიან ხალხურ გამოთქმებს, უარყოფითი ტიპების ენა უფრო ცოცხა-

ლია და ახლო დგას სალაპარაკო ენასთან, ვიდრე დადებითი პერსონაჟებისა. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნამდვილი ხალხური ენა პიესაში ავტორის მიერ პროსტაკოვებით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ყმა გლეხი ქალი ერემეევნათი, რომლის სახეც უაღრესად ცოცხალი და ბუნებრივია, და მას ენაც ხალხური, ძარღვიანი აქვს.

დ. ფონვიზინის „უმწიფარა" წარმოადგენს XVIII საუკუნის რუსული კულტურის ბრწყინვალე შედევრს. ეს ნაწარმოები თავისი მახვილებლურ-კრიტიკული მიმართულებით, იმდროინდელი სინამდვილის ტიპიურ მოვლენათა ასახვით წარმოადგენს რუსული ადრეული კრიტიკული რეალიზმის პირველ შესანიშნავ ნიმუშს. მ. გორკის აზრით, სწორედ დ. ფონვიზინის „უმწიფარათი" იწყება ის ბრწყინვალე და შესაძლებელია ყველაზე ნაყოფიერი ხაზი რუსულ ლიტერატურაში, რომელსაც ეწოდება მამხილებლური რეალიზმის ხაზი. ყოველივე ეს აძლევდა საფუძველს ა. პუშკინს „უმწიფარასათვის" ეწოდებინა ჰეშმარიტად „ხალხური კომედია".

„უმწიფარა" ეკუთვნის რუსული კლასიკური დრამატურგიის იმ ბრილიანტის ფონდს, რომელსაც მტკიცე ადგილი უკავია რუსული თეატრის რეპერტუარში. დ. ფონვიზინის ეს პიესა 190 წელზე მეტია იდგმება რუსული თეატრის სცენაზე და ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობს.

კომედია „უმწიფარაში" დ. ფონვიზინის დრამატურგიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მართალია, მწერალი ამის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას დრამატულ ჟანრში, მაგრამ ამ ხაზით მისი შემოქმედება აღარ განვითარებულა.

1783—1788 წლებში იფურჩქნება დ. ფონვიზინის სატირულ-პუბლიცისტური ნიჭი. ამ პერიოდში იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ეკატერინე მეორის იდეური მოწინააღმდეგე, როგორც 60—70-იანი წლების სატირული ჟურნალების საუკეთესო ტრადიციების უშუალო მემკვიდრე და განმგრძობი.

1788 წელს დ. ფონვიზინმა განიზრახა სატირული ჟურნალის შექმნა სახელწოდებით: „Друг честных людей или Стародум" („პატიოსან ადამიანთა მეგობარი ანუ სტაროდუმი"). ამ ჟურნალს 80-იან წლებში უნდა გაეგრძელებინა ნ. ნოვიკოვის სატირული ჟურნალების ტრადიციები. ჟურნალის რამდენიმე ნომერი თვითონ დ. ფონვიზინმა მოამზადა. მისი მასალები შედგებოდა უმთავრესად „უმწიფარას" პერსონაჟების წერილებისაგან სტაროდუმისადმი. ყველა წერილი თვით დ. ფონვიზინის კალამს ეკუთვნოდა. ჟურნალის გამოცემის შესახებ წინასწარ

გამოქვეყნდა განცხადება, მაგრამ პეტერბურგის პოლიციამ ამ გამოცემას ნება აღარ დართო.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მძიმედ დაავადებული დ. ფონვიზინი რელიგიურმა მისტიციზმმა შეიპყრო. ეს განწყობილება აშკარად იგრძნობა მის ზოგიერთ უკანასკნელ პუბლიცისტურსა და ავტობიოგრაფიულ ნაწერში.

გ. დერჟავინი. ბიოგრაფია. გაბრიელ რომანის ძე დერჟავინი (1743—1816) დაიბადა ქ. ყაზანში, ღარიბი ოფიცრის ოჯახში. მამით იგი ადრე დაობლდა. დედამისი სამი პატარა ბავშვით უსახსროდ დარჩა და არ შეეძლო შვილებისათვის სისტემატური განათლების მიცემა. წერა-კითხვა მომავალმა პოეტმა შემთხვევითი მასწავლებლებისაგან ისწავლა.

1759—1762 წლებში გ. დერჟავინი ყაზანის გიმნაზიაში სწავლობდა, მაგრამ კურსის დასრულება არ აცალეს და ჯარში გაიწვიეს. ათი წელი იგი პეტერბურგში პრეობრაჟენსკის პოლკში რიგით ჯარისკაცად მსახურობდა. ოფიცრის პირველი ჩინი გ. დერჟავინმა მხოლოდ 1772 წელს მიიღო.

1773—1775 წლებში გ. დერჟავინი მონაწილეობას იღებდა ე. პუგაჩოვის აჯანყების ჩაქრობაში, მაგრამ ამ „დამსახურების“ გამო მან ვერავითარი ჯილდო ვერ მიიღო.

მის ცხოვრებაში გარდატეხა მხოლოდ ოდა „ფელიცას“ დაბეჭდვის შემდეგ მოხდა. ამ ნაწარმოებმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია, გ. დერჟავინი აღიარებულ იქნა რუსეთის დიდ პოეტად. ეკატერინე მეორემ იგი ფულითა და სამკაულებით დაასაჩუქრა და ოლონეცკის გუბერნატორად დანიშნა.

მაგრამ სიმართლისმოყვარული პოეტი, როგორც ამას გვიან თვითონ ამბობდა, გულგრილად ვერ იტანდა „ქვრივ-ობოლთა მიმართ უსამართლობას, მათ შევიწროებას“. მან მალე სამეფო კარისკაცების გულისწყრომა დაიმსახურა.

1791 წელს ეკატერინე მეორემ გ. დერჟავინი თავის პირად მდივნად დანიშნა, მაგრამ ეს თანამდებობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. ეკატერინე მეორე ხშირად ჩიოდა ხოლმე, რომ გ. დერჟავინი მოხსენების დროს „არამარტო უხეშობდა, არამედ ილანძღებოდა კიდეც“.

გ. დერჟავინს მაღალი თანამდებობები ჰქონდა აგრეთვე ეკატერინე მეორის სიკვდილის შემდეგაც. პავლე I დროს იგი იყო „კომერც-კოლეგიის“ პრეზიდენტი, ხოლო ალექსანდრე პირველმა იგი იუსტიციის მინისტრად დანიშნა.

1803 წელს გ. დერჟავინმა სახელმწიფო სამსახურს სამუდამოდ

დაანება თავი. თავისი სიბერის წლები მან საკუთარ მდიდარ მამულში სოფ. ზვანკაში მყუდროდ გაატარა.

ოდა „ფელიცა“. გ. დერჟავინმა ლექსების წერა ყაზარმაში ჯარისკაცად ყოფნის დროს დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი პრიმიტიული იყო და ამიტომ დაწვა. 1776 წელს მან თავისი ოდების პირველი კრებული ანონიმურად გამოსცა.

გ. დერჟავინი თავის ადრეულ ლექსებში მ. ლომონოსოვისა და ა. სუმაროკოვის ტრადიციებს მისდევდა. იგი წერდა როგორც ლომონოსოვისებურ საზეიმო პოეტურ ოდებს, ისე სუმაროკოვისებურ ლირიკულ ლექსებსაც.

1779 წელს გ. დერჟავინმა დაბეჭდა ორი ლექსი. ერთი მიუძღვნა ალექსანდრე პირველის დაბადებას, ხოლო მეორე თავად მეშჩერსკის სიკვდილს („На смерть князя Мещерского“). ამ ლექსებში პოეტი გაემიჯნა, თავის ორივე წინამორბედს და იპოვა საკუთარი, თვითმყოფადი ორიგინალური პოეტური გზა. მალე ოდაში „ფელიცა“ გ. დერჟავინმა უკვე იდღესასწაულა თავისი ორიგინალური სტილის გამარჯვება.

ამ ოდაში ნოვატორული შერწყმა პოვა ორმა სტილმა: ლომონოსოვისებურმა მაღალმა, სადღესასწაულო პათეტიკურმა და კანტემირისებურმა მამხილებლურ-სატირულმა.

მაგრამ ეს სინთეზი მექანიკური შერწყმის გზით კი არ არის მიღებული, არამედ მხატვრული გადამუშავების შედეგად. საქმე ისაა, რომ გ. დერჟავინის ოდაში ორივე სტილმა სრული დეფორმაცია განიცადა, მაღალმა ოდურმაც და სატირულმაც. გ. დერჟავინი ეკატერინე მეორეს ტრადიციული სტილით კი არ ასხამს ხოტბას, არამედ მარტივი ჩვეულებრივი საღებავებით გვიხატავს ხელმწიფის სახეს.

როდესაც გ. დერჟავინი ოდა „ფელიცას“ წერდა, ეკატერინე მეორეს არ იცნობდა. მას მონარქზე ჰქონდა ისეთივე წარმოდგენა, როგორც ფრანგსა და ზოგიერთ რუს განმანათლებელს. ამიტომ, ბუნებრივია, ამ წარმოდგენის მიხედვით შექმნა პოეტმა ეკატერინე მეორის სახეც. მაგრამ მას ლიტერატურული თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ გ. დერჟავინმა დედოფლის სახე ჰიპერბოლურად კი არ აამაღლა, არამედ დახატა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ადამიანური ცხოვრების პირობებში.

მართლაც ფელიცა თავმდაბალია, გულკეთილი, ჭკვიანი, განათლებული, კაცთმოყვარე, დაუღალავი მშრომელი. ფელიცა ბევრს მუშაობს, ბევრს წერს და კითხულობს. მას არ უყვარს ბანქოს თამაში, გართობა, უმიზნოდ დროსტარება. იგი დღედაღამ ზრუნავს თავისი ქვე-

შეცდომების კეთილდღეობისათვის. მაგრამ ეს დიდი სახელმწიფო საქმეები მას მიწიერ ღმერთად კი არ აქცევს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანად რჩება. იგი უბრალო საჭმელს ჭამს, ფეხით დადის და ა. შ.

ფელიცას დიდებულ, კეთილშობილურ სახეს უპირისპირდებიან მურზები, ეკატერინე მეორის დიდებულები, რომლებიც დროს უსაქმურობასა და ღრეობაში ატარებენ. მათ არ გააჩნიათ არც სახელმწიფო მოღვაწეობისათვის აუცილებელი განათლება, არც სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის გრძნობა.

თავისთავად მურზების სატირული სახეები საკმაოდ ბნელ ფონს ქმნიან ნაწარმოებში, ამასთანავე უფრო მეტად აძლიერებენ ისინი ეკატერინე მეორის სახის ელვარებას. თავისი ახალი ოდით გ. დერჟავინმა რუსულ ლიტერატურაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. მაღალი და დაბალი სტილის შერწყმით მან გაბედულად დაარღვია გაბატონებული კლასიცისტური ოდის მკაცრი კანონები, ცალკეული ისტორიული პირებისა და ყოფითი სურათების დახატვით რუსული პოეზიის ისტორიაში პირველმა მოიმარჯვა სინამდვილის ასახვის რეალისტური მეთოდი.

კლასიციზმი კრძალავდა პოეტის სუბიექტური გრძნობების გამოვლინებას ნაწარმოებში. მით უმეტეს, თუ ეს ნაწარმოები შეეხებოდა მეფესა და მის დიდებულებს. გ. დერჟავინმა კლასიციზმის ეს კანონიც დაარღვია. მის ოდაში ყველგან გეხვედება „ფელიცას“ ავტორის წარმატებებით ფრთაშესხმულობა, მისი პირადი პოეტური „მე“.

გ. დერჟავინმა დაბეჭდა ეკატერინე მეორისადმი მიძღვნილი სხვა ოდებიც: „მადლობა ფელიცას“ („Благодарность Фелице“), „ფელიცას წარმოსახვა“ („Изображение Фелицы“), „მურზას ზმანება“ („Видение Мурзы“). ისევე როგორც „ფელიცაში“, ამ ოდებშიც პოეტი ქება-დიდებას ასხამს ეკატერინე მეორეს, მაგრამ სასტიკად ამხელს მის ქარაფშუტა დიდებულებს.

მამხილებელ-სატირული ოდები. გ. დერჟავინი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ყოველთვის კონსერვატორი იყო. თეითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემა მისთვის ხელშეუხებელი იყო და მის წინააღმდეგ არასოდეს არ ილაშქრებდა, მაგრამ ამავე დროს გ. დერჟავინს ეზიზღებოდა დიდგვაროვანი თავადაზნაურობა, რომელსაც სამშობლოს წინაშე არავითარი დამსახურება არ მიუძღოდა და მხოლოდ თავისი წარმოშობით ამაყობდა. პოეტი ვერ ითმენდა, რომ ამ უქნარა დიდებულებზე იყო დამოკიდებული რუსეთის ბედი, რომ ფაქტიურად ისინი განაგებდნენ რუსეთის სახელმწიფოს საქმეებს. სატირულ ნაწარმოებებში გ. დერჟავინი მოურიდებლად ამხელს ამ

„საცოდავ ნახევარღმერთებს“, რომელთაც არც ჭკუა გააჩნიათ და არც განათლება, რომელთა ძალაც მარტო მოოქროვილ მუნდირებშია.

სატირაში „დიდებული“ („Вельможа“, 1794 წ.) პოეტი სასტიკად ამხელს ორდენებითა და ოქროს ჯვრებით შემკულ ბრიყვს, რომელიც მთელ თავის დროს სმა-ჭამასა და განცხრომაში ატარებს. პოეტი მწარედ დასცინის ასეთ ღიდებულს და დასძენს, რომ ოქროს ელვარება ვერ დაფარავს დიდებულის უნიჭობას და გონებაშეზღუდულობას. „ვირი მაინც ვირად დარჩება, — ამბობს პოეტი, — თუ გინდ დაფარე იგი ოქროთი, და სადაც გონების მოხმარაა საჭირო, იგი მხოლოდ ყურებს აპარტყუნებს. ტყუილად ცდილობენ ბატონად დასვან შეშლილი და სულელი“.

თავისი შინაარსით მამხილებლურ ხასიათს ატარებს აგრეთვე ოდა „ხელისუფალთ და მსაჯულთ“ („Властителям и судьям“, 1787 წ.), რომელიც 81 ფსალმუნის გადამღერებას წარმოადგენს.

ამ სატირაში გ. დერჟავინი აღშფოთებით მიმართავს მიწიერ ღმერთებს — მეფეებს, რომ დედამიწაზე გამეფებულია ბოროტება და უსამართლობა, ტანჯვა და წვალება. პოეტი მოაგონებს, რომ ისინიც ადამიანები არიან, რომ ისინიც მოკვდებიან ისევე, როგორც მათი უკანასკნელი მონა.

და თქვენც ძირს დაეცემით,
როგორც ფოთოლი ხიდან ვარდება,
და თქვენ სიკვდილსა ვერ გაექცევით,
მოკვდებით, როგორც თქვენი ყმა კვდება.

(თარგმანი ა. აბაშელისა)

მაგრამ თუ მიწიერ ღმერთებს ვერ შეუგნიათ, თავიანთი უზენაესი მოვალეობა, თუ ისინი ვერ ხედავენ მიწაზე გამეფებულ უსამართლობასა და ბოროტებას, მაშინ ზეციერი ღმერთია საჭირო. პოეტი მას მოუწოდებს, რომ ის გაბედოს ერთადერთი მსაჯული ქვეყნიერებისა, დაამხოს უსამართლო ხელისუფალნი და დედამიწაზეც ის იყოს ერთადერთი მეფე.

ამ ლექსმა სამეფო კარზე დიდი ალიაქოთი გამოიწვია. ეკატერინე მეორემ აკრძალა გ. დერჟავინის ლექსების კრებული, რომელშიც ეს ოდა იყო შესული.

გ. დერჟავინის სატირა თვითმპყრობელური სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ არასოდეს არ ყოფილა მიმართული, მაგრამ ამის მიუხედავად მას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი სატირის, გაბედულმა მამხილებელმა პათოსმა XIX

საუკუნის 20 — 30-იან წლებში ბევრი მოწინავე რუსი პოეტი შთაგონა.

პატრიოტული ოდები. დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი წერდა, რომ რუსეთის „გმირულმა სიმძლავრემ, თვალისმომჭრელმა სამხედრო ტრიუმფებმა ბეჭედი დაასვეს გ. დერჟავინის მთელ შემოქმედებას". მართლაც, გ. დერჟავინი მოწმე იყო რუსეთის არმიის მრავალი ტრიუმფალური ლაშქრობისა საზღვარგარეთ; იგი 17 წლისა იყო, როცა რუსეთ-პრუსიის ომი ბერლინის დაცემითა და რუსების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. პოეტი მოწმე იყო აგრეთვე რუმიანცევის, ა. სუვოროვის, მ. კუტუზოვისა და პ. ბაგრატიონის წინამძღოლობით რუსეთის ძლევამოსილი არმიის გამარჯვებებისა თურქეთის, სპარსეთის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ომებში.

ამ გამარჯვებებით შთაგონებული გ. დერჟავინი პატრიოტულ ლექსებს უძღვნიდა თავის თანამედროვე გამოჩენილ რუს სარდლებსა და უბრალო რუს ჯარისკაცებს. ასეთია მისი ლექსები „ზმაილის აღებაზე" („На взятие Измаила"), „ვარშავის აღებაზე" „На взятие Варшавы"), „იტალიაში გამარჯვებაზე" („На победы в Италии"), „ალპების მთებზე გადასვლაზე" („На переход Альпийских гор") და სხვ.

გ. დერჟავინის ამ ლექსებში ცხადად ჩანს ის გმირული სულისკვეთება, რომლითაც განმსჭვალული იყო რუსეთის არმია. ამკარად იგრძნობა მათი თვალისმომჭრელი ელვარება, მჭექარე ხმა, გამარჯვების დიდებული ჰიმნი.

პატრიოტულ ლექსებში გ. დერჟავინი, უპირველეს ყოვლისა, უმღერის რუს ჯარისკაცებს, რომლებიც კლდესავით მტკიცე მკერდით იცავდნენ სამშობლოს, ძლევამოსილი რუსი ხალხი იყო ჭეშმარიტად ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი.

ფილოსოფიური ოდები. გ. დერჟავინი უაღრესად მრავალფეროვანი პოეტია; თემატიკური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება გ. დერჟავინის პოეზიისათვის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. მის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ როგორც ამაღლებულ პატრიოტულ იდეებს, ისე მამხილებელ სატირებს, როგორც საზოგადოებრივ-სამოქალაქო პათოსით განმსჭვალულ ლექსებს, ისევე ინტიმურ სატრფიალო ანაკრეონისებურ ლირიკულ სიმღერებს, როგორც ცხოვრებით დატკბობის ეპიკურულ მოტივებს, ასევე ღრმა ფილოსოფიურ იდეებს ადამიანის წუთიერი სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ.

გ. დერჟავინის ფილოსოფიური ოდებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია: „თავად მეშჩერსკის გარდაცვალებაზე“, „ჩანჩქერი“ („Водопад“) და „ღმერთი“ („Бог“).

გ. დერჟავინი ოპტიმისტი პოეტი იყო. მისთვის უცხოა გულგატეხილობა და უიმედობა. მისი პოეზიის ცენტრში ადამიანია, თავისი მრავალმხრივი ცხოვრებითა და ინტერესებით. პოეტის აზრით, ყოველივე კარგი, რაც დედამიწაზეა გაჩენილი, ეკუთვნის ადამიანს. ადამიანი გაჩენილია არა ტანჯვისათვის, არამედ სიხარულისა და სრყვარულისათვის, ადამიანი ხარბად უნდა დაეწაფოს ბედნიერების წყაროს, დატკბეს ამქვეყნიური მიწიერი სიტკბოებით. მაგრამ ვაი, რომ დრო ადამიანის ბედნიერებისა და სიტკბოებისა წუთიერია, ხანმოკლე. გ. დერჟავინის მეგობარი თავადი მეშჩერსკიც ბედნიერი იყო, სახელგანთქმული, რომელსაც არ აკლდა დროსტარება, ლხინი, ნადიმებში მხიარულება, მაგრამ სიკვდილმა შთანთქა იგი. იქ, სადაც სუფრა იყო გაშლილი, ახლა კუბოა, სადაც ადამიანები მღეროდნენ. ახლა ტირილია და ყველას აკრთობს ფერმიხდილი ცხედრის ცქერა.

„დროთა ძახილი, ლითონის ჟღერა“ პოეტს მძიმე ფიქრებს აღუძრავს. იგი ამბობს, რომ ვერც კი მოვასწარით ამ ქვეყნის წესიერად გაცნობა, რომ უკვე სიკვდილი მოდის „ამაზრზენი კბილების ღრჭენით“.

სიკვდილი უძლეველია, მის წინაშე უძლურია დიდიც და პატარაც, სუსტიც და ძლიერიც. იგი ერთნაირად სპობს მონებს და მეფეებს, მის წინაშე ინგრევა უძლეველი სახელმწიფოები, უზარმაზარი ქვეყნები. სიკვდილი მოსპობით ემუქრება მთელ სამყაროსაც. იგი ჩააქრობს ვარსკვლავებს, გააქრობს ბრწყინვალე მზეს, დედამიწას.

სიკვდილი მუსრავს ქვეყნად ყველაფერს:
თვითონ ციური მზეც მისგან ჰქრება.
ვარსკვლავნიც მისგან დაიმსხვრევიან
და მთელ სამყაროს ის ემუქრება.

მაგრამ ადამიანს სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს, სიკვდილის მოლოდინით არ უნდა იტანჯებოდეს და არ დარდობდეს.

გემართებს წამიერ ყოფნით გართობა,
იცხოვრე მშვიდად და წმინდა გულით
დალოცე ბედის უკუღმართობა.

(თარგმანი ა. აბაშელისა)

ადამიანის ცხოვრების სწრაფმავლობაზე და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზეა დაწერილი აგრეთვე ოდა „ჩანჩქერი“, რომელსაც

ა. პუშკინი და ნ. გოგოლი XVIII საუკუნის რუსული პოეზიის ჭეშმარიტ შედევრად თვლიდნენ.

ოდაში მშფოთვარე ჩანჩქერს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. პოეტი თავად პოტიომკინის სიცოცხლეს ჩანჩქერს ადარებს. მისი ცხოვრებაც მღელვარე, სახელითა და დიდებით გახმაურებული იყო, სიკვდილის შემდეგ კი ისევე დუმდა, როგორც ჩანჩქერი, რომელიც „ალმასის მთიდან“ გრგვინვით დაშვებული დაბლა ხეობაში წყნარდება, შემდეგ კი სრულიად იკარგება.

მაგრამ ასეთია არა მარტო ერთი ადამიანის ბედი, არამედ მთელი სახელმწიფოსიც. ეკატერინე მეორის დროც მჭეხარე და მღელვარე იყო, მაგრამ ისიც თანდათანობით გარდასულ დროთა წყვდიადმა მოიცვა. სიკვდილმა დედოფლის სახელგანთქმული ადამიანებიც დააცხრო და მათი საუკუნეც.

ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათისაა აგრეთვე გ. დერჟავინის ოდა „ღმერთი“. ეს ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. მრავალჯერ ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ და სხვა ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე. „ღმერთშიც“ სიცოცხლისა და სიკვდილის, ადამიანისა და ღვთის ურთიერთობის აზრია გატარებული.

მართალია, „ღმერთი“ აღიარებულია უზენაეს მსაჯულად და სამყაროს დასაბამის ერთადერთ მიზეზად, მაგრამ არც ადამიანი არის დამცირებული. ღმერთი უკვდავია. ადამიანი კი მოკვდავი, მაგრამ იგი მბრძანებელია, „გონებით იგი ჰქონა-ქუხილს ბრძანებლობს“: ლექსის დასასრულს იმ სიტკბოებაზეა ლაპარაკი, რომელიც ღმერთს ადამიანისათვის მხოლოდ ერთი წუთით მიუცია.

გ. დერჟავინის პოეზია ქართულ ენაზე. გ. დერჟავინის ლექსების თარგმნა ქართულად ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში დაიწყო. ქართულ ენაზე გ. დერჟავინის ლექსების მრავალი თარგმანი არსებობს, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა ქართველი პოეტის მიერ. როგორც ჩანს, საქართველოში ყველაზე უფრო მეტი პოპულარობით გ. დერჟავინის ოდა „ღმერთი“ სარგებლობდა. ცნობილია, ამ ოდის ათამდე ქართული თარგმანი.

ეს ოდა უთარგმნიათ XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეებს. ივანე ბაზლიძეს, მირიან ბაგრატიონს, დავით დადიანს, პეტრე ლარაძეს, იოანე ბაგრატიონს, გიორგი ავალიშვილსა და სხვებს.

ქართულად თარგმნილია აგრეთვე „ეპიტაფია ბრძნისა უახლესისა საუკუნოისა“ და „ნადირობა“.

ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს სასულიერო მახარობელში“ დაიბეჭდა ი. კერესელიძის, დ. ციციშვილისა და ს. მ. სან-ძის

თარგმანები: „ამაოება", „ეკატერინე მეორისა მიმართ დროსა შვედთა მიმართ დაზავებისა", „ღმერთი" და გ. დერჟავინის სხვა ლექსები.

ა. **რადიშჩევი.** XVIII საუკუნის რუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ა. რადიშჩევს ყველაზე უფრო საპატიო ადგილი უკირავს. მან პირველმა უარყო რუსეთში ბატონყმური და თვითმპყრობელური სისტემა, როგორც ყოვლად უვარგისი. ძირმომპალი, ადამიანის ბუნებისათვის შეუფერებელი. ა. რადიშჩევმა არა მარტო ამხილა ეს სისტემა, არამედ იურიდიული, პოლიტიკური და ეკონომიკური არგუმენტებით დაამტკიცა მისი მოსპობის აუცილებლობა.

ა. რადიშჩევი პირველი რუსი რევოლუციური მოაზროვნეა, მას ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოსპობის ყველაზე უფრო რადიკალურ საშუალებად გლეხური რევოლუცია მიაჩნდა. „ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტად გულსატკენია, — წერდა ვ. ლენინი, — ვხედავდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი — რაზნოჩინცები..." [1]

ა. რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს" პირველი რევოლუციური ნაწარმოებია რუსულ ლიტერატურაში. ის თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის რევოლუციური უარყოფის დიადი იდეებით.

ბიოგრაფია. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რადიშჩევი (1749—1802) მდიდარი აზნაურის ოჯახში დაიბადა. მან ბავშვობა ზემო აბლიაზოვოში (ენენის გუბერნია) გაატარა. აქ იგი კარგად გაეცნო ყმა გლეხების დაბეჩავებულ მდგომარეობას. ბავშვის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ბატონყმური საშინელებათა მძიმე სურათები. რვა წლის რადიშჩევი მამამ მოსკოვს წაიყვანა; პატარა რადიშჩევი არგამაკოვების ბავშვებთან ერთად ისმენდა მოსკოვის უნივერსიტეტისა და გიმნაზიის მასწავლებლების გაკვეთილებს. 1762—1766 წლებში ა. რადიშჩევი პაჟთა კორპუსში სწავლობდა, ხოლო 1766 წელს ექვს სხვა წარჩინებულ პაჟთან ერთად, იურიდიული განათლების მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა. ა. რადიშჩევი ლაიპციგის უნივერსიტეტში ხუთ წელს სწავლობდა. აქ იგი დიდი ინტერესით ეცნობოდა ფრანგი განმანათლებ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 21, 1951, გვ. 111.

ლების ნაწერებს. იგი განსაკუთრებით ძლიერად გაიტაცა რუსოს, მაბლის, დიდროს და მონტესკიეს პოლიტიკურმა და ფილოსოფიურმა იდეებმა.

1771 წელს ა. რადიშჩევი გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდა. იგი იწყებს მუშაობას ჯერ სენატში, ხოლო შემდეგ სამხედრო უწყებებში. 1777 წლიდან ა. რადიშჩევი კომერც-კოლეგიაში მსახურობდა. დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით ადრე მან მიაღწია პეტერბურგის საბაჟოს უფროსის საკმაოდ მაღალ თანამდებობას, მაგრამ ა. რადიშჩევს, რასაკვირველია, არ აკმაყოფილებდა არც უბრალო მოხელის ადგილი სენატსა და სამხედრო უწყებაში და არც კიდევ მაღალი თანამდებობა კომერც-კოლეგიაში. მას ყველაზე უფრო სწყუროდა თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამიტომ იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად მუდამ ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობასაც.

1773 წელს ა. რადიშჩევმა რუსულად გადმოთარგმნა და დაბეჭდა ფრანგი განმანათლებელი ისტორიკოსის მაბლის შრომა — „ფიქრები საბერძნეთის ისტორიაზე". საყურადღებოა ერთ-ერთი შენიშვნა, რომელიც მთარგმნელმა წიგნს დაურთო. მაბლის ტერმინი „დესპოტიზმი" ა. რადიშჩევმა თარგმნა სიტყვა, „თვითმპყრობელობად" და აქვე მოგვცა მისი ასეთი განმარტება: „თვითმპყრობელობა არის ადამიანის ბუნების უაღრესად საწინააღმდეგო მოვლენა".

80-იან წლებში ა. რადიშჩევი მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ამ წლებში დაასრულა მან კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნაშრომი „სიტყვა ლომონოსოვზე", რომელიც შემდგომში „მოგზაურობას" უკანასკნელ თავად დაურთო. ოდა „თავისუფლება", „ცხოვრება თედორე ვასილის ძე უშაკოვისა" („Житие Ушакова"), „საუბარი იმის შესახებ, თუ რა არის მამულიშვილი" («Беседа о том, что есть сын отечества») და სხვ.

ყველა ამ ნაწარმოებში აშკარად ჩანს ა. რადიშჩევის ანტიბატონყმური და ანტითვითმპყრობელური იდეები, სიძულვილი ყოველგვარი ჩაგვრისა და მონობისადმი, უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსა და ხალხისადმი.

„საუბარში იმის შესახებ, თუ რა არის მამულიშვილი" ა. რადიშჩევი ჰეშმარიტ პატრიოტებად თვლის იმ ადამიანებს, რომლებიც თავგანწირვით იბრძვიან ხალხის სასიკეთოდ და არაფერს იშურებენ მის საკეთილდღეოდ. ნამდვილი პატრიოტია ის, წერს ავტორი, ვინც ყველაფერს სწირავს თავის ქვეყანას, არ იშურებს თავის სიცოცხლესაც კი, თუ კი ამას მოითხოვს ხალხისა და ქვეყნის ინტერესები.

ასეთივე მძაფრი, მებრძოლი პატრიოტული იდეებია გატარებული ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ცხოვრება თედორე ვასილის ძე უშაკოვისა“, რომელშიც აღწერილია რუსი სტუდენტების ბრძოლა თავიანთი დესპოტი ზედამხედველის ბოკუმის წინააღმდეგ. ისევე, როგორც ა. რადიშჩევის სხვა ნაწერებში, აქაც მკაცრად არის დაგმობილი საზოგადოდ ადამიანის ჩაგვრა, ტირანია, დესპოტიზმი.

1790 წელს ა. რადიშჩევმა თავის საკუთარ სტამბაში დაბეჭდა ყველაზე უფრო დიდი ნაწარმოები „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“. იმის მიუხედავად, რომ ავტორმა 25 ცალი წიგნი გადასცა მაღაზიას გასაყიდად და ასევე მეგობრებს დაურიგა, პეტერბურგის საზოგადოებაში ელვისებური სისწრაფით გავრცელდა ხმა „მოგზაურობის“ გამოსვლის შესახებ. მალე ამ წიგნის ერთი ცალი ეკატერინე მეორის ხელშიც მოხვდა. იმპერატორმა ყურადღებით გადაიკითხა წიგნი და თავისი შენიშვნებით ააჭრელა. ერთ ადგილას ეკატერინე მეორემ წიგნს წაწერა: „მრავალი ფურცელი წიგნისა გლეხებს აჯანყებისაგან მოუწოდებს“. „მოგზაურობის“ ავტორი მეფის დასკვნით „პუგაჩოვზე უარესი მეამბოხეა“. გაიცა ბრძანება ა. რადიშჩევის დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ.

დაკითხვების დროს მთავრობას უნდოდა, რომ ა. რადიშჩევს თანამოაზრეები დაესახელებინა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია. რადგან, იმპერატორის აზრით, ა. რადიშჩევი ე. პუგაჩოვზე უარესი იყო, ამიტომ მისთვის უნდა მიესაჯათ ის, რაც მიესაჯა ე. პუგაჩოვს — სიკვდილი. ეს ასეც მოხდა, მაგრამ ეკატერინე მეორემ აქაც გაითამაშა ჰუმანისტი მმართველის როლი და სიკვდილით დასჯა ა. რადიშჩევს შორეულ ციმბირში (ილიმსკში) ათი წლით გადასახლებით შეუცვალა.

მძიმე სასჯელმა ა. რადიშჩევის რევოლუციური სული ვერ გატეხა. ილიმსკში იგი განარძობდა ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობას, წერდა ფილოსოფიური და პოლიტიკური შინაარსის შრომებს.

1796 წელს, ეკატერინე მეორის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა იმპერატორმა პავლე პირველმა ა. რადიშჩევი გადმოასახლებიდან გაათავისუფლა. მწერალს საცხოვრებლად მიუჩინეს საკუთარი სოფელი ნემცოვი და დაუწესეს პოლიციის ზედამხედველობა.

1801 წელს, ალექსანდრე პირველის გამეფების შემდეგ, ა. რადიშჩევი მიწვეულ იქნა პეტერბურგში ერთ-ერთ კომისიაში სამუშაოდ, რომელსაც ახალი კანონები უნდა შეემუშავებინა. ამ კომისიაში მუშაობის დროს ა. რადიშჩევი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ალექსანდრე პირველი, ისევე როგორც თავის დროზე ეკატერინე მეორე, ხალხს ატყუებდა, რომ მეფე ხალხის მტერია. დაუცხრომელი დემოკრატი

ახლაც გამოექომაგა ხალხს, მას ისევ ციმბირით დაემუქრნენ. პროტესტის ნიშნად 1802 წლის 11 სექტემბერს ა. რადიშჩევმა თავი მოიკლა. სიკვდილის წინ მან დაწერა: „შთამომაელობა შურს იძიებს ჩემს გამო“.

„მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“. ა. რადიშჩევის ამ ნაწარმოებს როგორც ჟანრობრივად, ასევე სტილისტურად ბევრი რამ აქვს საერთო ევროპაში გავრცელებულ სენტიმენტალურ „მოგზაურობასთან“. კომპოზიციურად „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ არსებითად წარმოადგენს მოგზაურის დღიურს. მისი თავების სათაურებად აღებულია იმ სადგურების სახელები, სადაც პეტერბურგიდან მოსკოვს მიმავალი მგზავრები ჩერდებოდნენ. ავტორი პირველ პირში გადმოგვცემს შთაბეჭდილებებს, რომლებიც მას ნახულმა და გაგონილმა აღუძრა.

ა. რადიშჩევმა „მოგზაურობის“ ჟანრს მიმართა იმისათვის, რომ რუსეთის სინამდვილე რაც შეიძლება ფართო მასშტაბით დაეხატა. მართლაც, მკითხველის თვალწინ იშლება არა ერთი რომელიმე სოფლის ცხოვრების მძიმე სურათები, არამედ მრავალი სოფლისა და დასახლებული ადგილისა; მკითხველი არსებითად ხედავს მთელი რუსეთის ბატონყმური ცხოვრების შემაძრწუნებელ სინამდვილეს.

„მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ მასში უხვადაა აგრეთვე პუბლიცისტური ადგილებიც. ა. რადიშჩევი, ერთი მხრივ, ცდილობს მკითხველის ფსიქოლოგიურ მომზადებას, იგი მხატვრული სურათებით მასზე ემოციურ ზეგავლენას ახდენს. ბატონყმური და თვითმპყრობელური ურჯიერთობის უსაზღვრო ზიზღის გრძნობას უნერგავს. მაგრამ, როდესაც ავტორს სჭირდება ზუსტი მსჯელობა, იგი მიმართავს პუბლიცისტურ ხერხს და ლოგიკური ცნებებით არწმუნებს მკითხველს ბატონყმური ურთიერთობის უვარგისობაში.

„მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ იდეურად და თემატიკურად მრავალფეროვანი ნაწარმოებია. მასში გაკიცხულია და უარყოფილი არა მარტო ბატონყმობა და თვითმპყრობელობა, არამედ ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ამ სისტემასთან. მართალია, ზოგიერთ ადგილას ავტორი ვერ იჩენს გლეხური რევოლუციის იდეის ქადაგებაში თანმიმდევრობას, მაგრამ თუ ნაწარმოებს მთლიანად ავიღებთ, ის უდავოდ გაჟღენთილია რევოლუციური სულისკვეთებით, მისი პათოსი გლეხური რევოლუციის იდეის ქადაგებაშია.

ა. რადიშჩევი ამხელს და უარყოფს ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას მრავალი თვალსაზრისით: ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული, ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით. „მოგზაურობაში“

მხატვრულ გაშუქებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა სახის არგუმენტაციას, რომლებსაც ავტორი თავისი აზრების დასამტკიცებლად იშველიებს. იგი ეხება ბატონყმური ცხოვრების თითქმის ყველა უბანს, ყველა საკითხს, ყველა პრობლემას, რომელიც მაშინდელ საზოგადოებას აღელვებდა. მაგრამ ამ მრავალ საკითხს შორის მთავარია: ბატონყმობის, თვითმპყრობელობისა და რევოლუციის თემა.

ბატონყმობის თემა. ეს თემა „მოგზაურობის“ ცენტრშია. ოცდაექვსი თავიდან თორმეტი შეეხება ყმა გლეხობის მდგომარეობას. „რადიშჩევი — მონობის მტერია“ — ასე განსაზღვრა „მოგზაურობის“ ავტორის სულისკვეთება ა. პუშკინმა.

ა. რადიშჩევი მგზავრობის დასაწყისშივე, როცა იგი მეეტლეს ნაღვლიან სიმღერას ისმენს, შენიშნავს, რომ „სულიერი სევდა“ რუსული ხალხური სიმღერების მთავარი ნოტაა. მეეტლეს ეს სევდიანი სიმღერა, როგორც ამას პროფ. დ. ბლაგოი შენიშნავს, მთელი ნაწარმოების მუსიკალური შესავალია და „მოგზაურობის“ საერთო ნაღვლიან ტონალობას განსაზღვრავს.

გლეხის მძიმე მდგომარეობას ასახავს ა. რადიშჩევი „მოგზაურობის“ მესამე თავში. „ლიუბანში“ იგი გადმოგვცემს საუბარს ყმა გლეხთან, რომელიც კვირა დღეს მიწას ხნავდა. „განა მთელი კვირის მანძილზე დრო არ გყოფნის სამუშაოდ, რომ კვირა დღესაც არ გემუშავა და ისიც ასეთ პაპანაქებაში?“ — ეკითხება მოგზაური გლეხს. „კვირაში, ბატონო, ექვსი დღეა, — უპასუხებს გლეხი, — და ექვსივეჯერ საბატონო ბეგარაზე გავდივართ. შეღამებისას კი ტყეში დარჩენილ თივას, ამინდი თუ კარგია, ბატონის კარზე ვეზიდებით“. მოგზაური გლეხთან საუბრიდან იგებს, რომ ყმა გლეხს თავის საკუთარ კარმიდამოში სამუშაოდ მარტო ღამე და უქმე დღეები რჩება, მაგრამ უფრო მეტი ხალისით შრომობს, ვიდრე ბატონისას. ახლაც, კვირა დღეს, იგი შეუსვენებლივ ხნავს თავის საკუთარ მიწას. ცხენებს ასვენებს, საკუთარ თავს კი არა. ასეთი ერთგულება და ხალისიანი შრომა ბატონის მამულში გლეხს არა მარტო მიზანშეუწონლად, არამედ ცოდვადაც კი მიაჩნია, რადგან ბატონის ერთ პირს ასი ხელი ემსახურება, მის შვიდ პირს კი მხოლოდ ორი ხელი. ამას გარდა, ბატონის მამულში წელიც რომ მოიწყვიტოს კაცმა, მადლობას არავინ ეტყვის.

აქ ა. რადიშჩევი ეკონომიკური თვალსაზრისით ამტკიცებს ფეოდალური მეურნეობის წარმოების წესის უვარგისობას. მისი აზრით, გლეხის იძულებითი შრომა ბატონის მამულში არ არის ნაყოფიერი. იგი გაცილებით მეტ ღირებულებას შექმნიდა საკუთარ მიწაზე, თავი-

სუფალი რომ იყოს და ეკუთვნოდეს ის მიწა, რომელსაც ამუშავებს.

ეს აზრი ა. რადიშჩევს გატარებული აქვს აგრეთვე ოდა „თავისუფლებაში“ და ნაწარმოების სხვა თავებში („ხოტილოვი“, „მომავლის პროექტი“).

ა. რადიშჩევი ბატონყმურ ურთიერთობას უარყოფს იურიდიული და ეთიკური თვალსაზრისითაც. მისი აზრით, ყველა ადამიანი ბუნებით ერთნაირია, ამიტომ, ერთს მეორის დაჩაგვრის ნება არ უნდა ჰქონდეს. ამასთანავე, ყოველგვარი ჩაგვრა, დამონება ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება, ბატონყმობა, რომელიც ჩაგვრასა და მონობაზეა დამყარებული, ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, ის ანტიბუნებრივია.

ბატონყმური სისტემა არც მორალური თვალსაზრისით არის მისაღები. ის ადამიანს ზნეობრივად აქვეითებს, რყვნის. საკმარისია ადამიანი გახდეს მონათმფლობელი, მიითვისოს სხვისი შრომა, რომ ის ზნეობრივად გადაგვარდეს. მართალია, „მოგზაურობის“ ზოგიერთ ადგილას ჩვენ აქა-იქ ვხედავთ კეთილ აზნაურებსაც, რომლებიც გულწრფელად დასტირიან საკუთარი მონების მწარე ბედს, მაგრამ საერთო სურათი საშინელი და შემაძრწუნებელია. თავში „მედნოე“ ნაჩვენებია გლეხის ოჯახის საჯარო გაყიდვის გულშემზარავი სურათი. ყიდიან 75 წლის მოხუცს, მის 80 წლის ცოლს, მათ 40 წლის ქვრივ ქალს თავისი 18 წლის ქალიშვილით, რომელზედაც ზნედაცემულ მებატონეს ძალა უხმარია და ახლა გასაყიდად. მასთან ერთად ბატონის მრუშობის ნაყოფიცაა გამოყვანილი.

თავში „გოროდნია“ აღწერილია რეკრუტობა (25 წლის ვადით ჯარისკაცად წაყვანა) და რეკრუტების დედების, ცოლების, შვილების გულსაკლავი ტირილი, „პეშკში“ — გაძვალტყავებული გლეხების უკიდურესი სიღარიბე, „ედროვოში“ — მემამულეების მრუშობა, „ზაიცევოში“ — მემამულის მიერ გლეხების დარბევა და ა. შ. „აქ ჩანს,— წერდა ა. რადიშჩევი „პეშკში“, — თავადაზნაურების გაუმაძღრობა, ყაჩაღობა, მჩაგვრელობა... რას ეუტოვებთ გლეხს ჩვენ, მტაცებლები, ყაჩაღები, მხეცები, გაუმაძღარი წურბელები? იმას, რისი წართმევაც არ შეგვიძლია, ჰაერს დიახ, მხოლოდ ჰაერს... ასეთია ხვედრი ბორკილგაყრილისა და ხვედრი მყრალ საპყრობილეში დამწყვდეულისა, ასეთია ხვედრი უღელში შებმული ხარისა“.

მემამულე, როგორც წესი, გადაგვარებულია მას დაკარგული აქვს უფლება ატარებდეს ადამიანისა და მოქალაქის სახელს. იგი მხეცია იმიტომ, რომ ბატონყმურმა სინამდვილემ, ბატონის პრივილეგიურმა პირობებმა მას დააკარგვინა ადამიანური სახე და გაამხეცა.

„მოგზაურობაში“ თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებებით თავად-

აზნაურობას გლეხობა უპირისპირდება. ნაწარმოების თითქმის ყველა თავში მკითხველი ხედავს რუსი ხალხის შესანიშნავ წარმომადგენლებს. ერის ღირსების, მისი მაღალი სულიერი, მორალური და ფიზიკური ძლიერების მატარებელია გლეხობა. ამიტომ, ა. რადიშჩევის აზრით, მომავალიც ამ წოდებას ეკუთვნის და არა გადაგვარებულ თავადაზნაურობას. გლეხებს შორის ჩვენ ვხედავთ ვაჟკაცებს, რომლებსაც შეუძლიათ ნამდვილი რაინდული კეთილშობილება გამოიჩინონ სხვა ადამიანის მიმართ, მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ და დიდი გრძნობებისა და კეთილი გულის მქონე ადამიანებსაც.

„ლიუბანში“ მკითხველის ყურადღებას იპყრობს მხვნელი გლეხი სინდისიერებით, კეთილი გულითა და შრომისმოყვარეობით. „ზაიცევოში“ — მამაცი ვაჟკაცები, რომლებიც სასტიკად გაუსწორდებიან აღვირახსნილ მრუშ მემამულეს; „ჩუდოვოში“ გულადი მეზღვაური საფრთხეს არ შეუშინდება და ზღვაში დახრჩობისაგან ადამიანს გადაარჩენს.

ა. რადიშჩევი განსაკუთრებული სიყვარულით გვიხატავს ზნეობრივად სპეტაკ, საღი გრძნობებისა და მაღალი ადამიანური ღირსებების მქონე გლეხის გოგოს. „ედროვოში“ დახატულია გლეხის გოგოს — ანიუტას ბრწყინვალე სახე.

მხატვრული თვალსაზრისით ანიუტა მნიშვნელოვანი მიღწევაა XVIII საუკუნის რუსულ პროზაში. იგი წინამორბედია ნ. ნეკრასოვის დიდებული გმირებისა. ა. რადიშჩევის მიერ დახატული რუსი ქალის სახე არ არის გამოგონილი, იგი რუსეთის სინამდვილიდან არის აღებული, მაგრამ ამავე დროს ესთეტიკურად ამაღლებულია. მწერალი ანიუტას უპირისპირებს არისტოკრატიული წრიდან გამოსულ ქარაფშუტა ქალიშვილებს. გლეხის გოგო მშვენიერია სახითაც და სულითაც. იგი ზნეობრივად თავდაჭერილია, ნებისყოფით მტკიცე, ხასიათით მდიდარი და ძლიერი, გრძნობებით ფაქიზი და მყარი. ნ. კარამზინი „საწყალ ლიზაში“ ამბობს, რომ „გლეხის გოგოსაც შეუძლია სიყვარული“. ა. რადიშჩევის აზრით კი მხოლოდ გლეხის გოგოს შეუძლია სიყვარული. მას აქვს საღი და ძლიერი გრძნობა, მას შეუძლია სპეტაკი გრძნობით უყვარდეს კაცი.

თვითმპყრობელობის თემა „მოგზაურობაში“. თავისი „მოგზაურობის“ ეპიგრაფად ა. რადიშჩევმა აიღო ვ. ტრედიაკოვსკის „ტელემაქედან“ შემდეგი სიტყვები: „ურჩხული ლოხია, მძვინვარე, უზარმაზარი, ასპირიანი და იყეფება“. ადვილი მისახვედრია, რომ ასთავიანი, მძვინვარე ურჩხული თვითმპყრობელობაა და წიგნიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ა. რადიშჩევი რევოლუციური მოაზროვნეა. მას კარგად ესმის, რომ ბატონყმობის მოსპობა რევოლუციის გარეშე შეუძლებელია, რომ თვითმპყრობელობა, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმა, ანტიბუნებრივია და ყოვლად მიუღებელი. წიგნში უარყოფილია როგორც საზოგადოდ თვითმპყრობელობა, ისე კონკრეტულად ეკატერინე მეორის ხელისუფლება, მისი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც გატენილია მექრთამეებით ,წამგლეჯებით, ქურდებით. თვით მეფეც, ა. რადიშჩევის აზრით, ბოროტია, „მტაცებელი მგელია“, „ყველა ავაზაკზე უფრო ბოროტი ავაზაკია“.

ნაწარმოების ერთ-ერთ თავში — „სპასკაია პოლესტ“ — ავტორი გადმოგვცემს მოგზაურის „სიზმარს“, რომელშიც მოცემულია ეკატერინე მეორისა და მისი სამეფო კარის მკაცრი სატირა.

ა. რადიშჩევი ააშკარავებს ეკატერინე მეორის პოლიტიკურ დემაგოგიას, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთისა და საზღვარგარეთის განათლებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. მწერალმა ნიღაბი მოხსნა სამეფო ტახტზე მჯდომ „ფილოსოფოსს“ და დაანახვა ხალხს, რომ იგი განმანათლებელი ფილოსოფოსი კი არ არის, არამედ განათლებისა და სიკეთის მტერი, რომ ის ადამიანების მეგობარი კი არა — უპირველესი ავაზაკია.

ეკატერინე მეორე ადვილად მიხვდა, რომ მოგზაურობის ავტორს ეზიზღებოდა მეფეები. „შემთხზველს არ უყვარს მეფეები, — წააწერა წიგნის არეზე დედოფალმა,—და სადაც ძალუძს შეამციროს მათდამი სიყვარული და პატივისცემა, იქ ხარბად ებღაუჭება ამას იშვიათი გაბედულებით“.

ა. რადიშჩევის აზრით, ბატონყმობა უნდა გადავარდეს თვითმპყრობელური მმართველობის რევოლუციურად მოსპობის გზით. მწერალი შეუსაბამო სოციალური სისტემის მოსპობას ძალადობის გზით პრინციპში არ გამორიცხავს. მისი აზრით, „თავისი მტრის წინააღმდეგ კაცი ეძებს მფარველობას კანონში, მაგრამ, როცა კანონს არ შეუძლია ან არ სურს მისი დაცვა... მაშინ მოქალაქე სარგებლობს თავდაცვის ბუნებრივი უფლებით“. ამ სიტყვებით ა. რადიშჩევი გლეხთა რევოლუციის პრინციპულ დასაბუთებას იძლევა. „რუსი ხალხი, — წერს იგი სხვა ადგილას, — ძალიან სულგრძელია და ითმენს ჭირს უკიდურეს წერტილამდე, მაგრამ, როცა მისი მოთმინების ფიალა ივსება, მაშინ მას ვერაფერი ვერ დააკავებს“.

მაგრამ საზოგადოების რომელ ფენას შეუძლია განახორციელოს თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის მოსპობა? ისმება კითხვა „მოგზაურობაში“. რა თქმა უნდა გლეხობას, იმიტომ, რომ მეფე და ბატონები მისი მტრებია. „თავს გაუფრთხილდით, — მიმართავს ა. რადიშ-

ჩევი თავადაზნაურობას, — წყლის ნაკადს, რომელიც შეუკავებიათ, მით უფრო ემატება ძალა, რაც უფრო მაგარია დაბრკოლება, რომელიც მას წინ ეღობება. ერთხელ თუ გაარღვია მან ეს დაბრკოლება, მერე ვერაფერი დაუშლის მის გადმოვარდნას, ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან ყმები, რომლებიც ჩვენ შეგვიბორკავს. ისინი ელიან ჟამს და შემთხვევას. დარეკავს ზარი და საშინელი უბედურება სწრაფად გადმოდუღდება. ჩვენ დავინახავთ ყველგან ხმალსა და შხამს. მახვილითა და ცეცხლით გადაგვიხდიან ჩვენს სიმკაცრესა და ულმობელობას. რაც უფრო მეტად დავაყოვნებთ ჩვენი ყმების განთავისუფლებას, მით უფრო შეუპოვარი იქნებიან ისინი თავის შურისძიებაში. გაიხსენეთ ამასწინანდელი ამბები (პუგაჩოვის აჯანყება). ხიკედილი მოდის ნელ-ნელა და ხიფათი უკვე დაგვტრიალებს თავზე. დროს უკვე მოუღერებია ცული და უცდის მოხერხებულ საათს"...

„ზაიცევოში" მწერალი პრაქტიკულად გვიჩვენებს გლეხთა აჯანყების სურათს. ყმებმა, რომლებმაც შეიწროება და დამცირება განიცადეს მემამულისაგან, ვეღარ მოითმინეს, აუჯანყდნენ მებატონეს და მოკლეს იგი. მთავრობის უმაღლესმა ორგანომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გლეხობა გაამტყუნა, მაგრამ ა. რადიშჩევი გლეხთა მხარეზეა და ამართლებს მათ. „უწოდებთ მემამულეს ქურდი, გაანადგურეთ მისი სამუშაო იარაღები და ცეცხლს მიეცით მისი საწყობები, ფერფლი კი გაანიავეთ იმ მინდორზე, სადაც ეს მემამულე აწვალებდა ხალხს", — წერს ა. რადიშჩევი.

„მოგზაურობის" ერთ-ერთ თავში ა. რადიშჩევმა ოდა „თავისუფლება" შეიტანა, რომელიც მან 1781 — 1783 წლებში დაწერა. ოდა, როგორც ცნობილია, კლასიციზმის ერთ-ერთი საყვარელი ჟანრი იყო, რომელშიც პოეტები მეფეებს აქებდნენ და ადიდებდნენ. ა. რადიშჩევმა თავისი ხოტბა თავისუფლებას მიუძღვნა. ოდა „თავისუფლება" რუსული რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. ა. პუშკინმა ა. რადიშჩევის მაგალითს მიჰბაძა, როცა დაწერა რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი ამავე ჟანრისა და სათაურის ლექსი.

ა. რადიშჩევის „თავისუფლებაში" დახატულია მეფის მიერ დამონებული ხალხის აჯანყება, რომელიც მკაცრად უსწორდება დესპოტს. პოეტი ქება-დიდებას ასხამს აჯანყებულებს, რომლებიც საბრძოლველად მიეშურებიან რისხვითა და სიძულვილით აღვსილნი, მიდიან იმისათვის, რომ გვირგვინოსანი ტირანის სისხლით ჩამოირეცხონ სირცხვილის ლაქა. პოეტი ხედავს, თუ როგორ აღმართულა მეფის თვალწინ პრიალა ხმალი, ბასრი ხანჯალი, როგორ ტრიალებს მის გარშემო

გარდუვალი სიკვდილი. ა. რადიშჩევი სიხარულით უცქერის შურისგებას, სასტიკ ჟამს — მეფის სახრჩობელაზე აყვანას.

ა. რადიშჩევის „თავისუფლება" ჭეშმარიტად შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციის ბრწყინვალე ჰიმნად.

ა. რადიშჩევის ნაწარმოებებში გვხვდება ზოგიერთი გამოთქმა საქართველოს შესახებ. მან კარგად იცოდა ანტიკური ლეგენდა არგონავტების შესახებ და ევრიპიდეს „მედეა".

ა. რადიშჩევის წარმოდგენით კოლხეთი მომხიბლავი, თვალწარმტაცი და გრძნეული ქვეყანაა, სამშობლო ლამაზი მედეასი.

პოემა „ბოვაში" იგი წერს:

— შევიხედავ კოლხიდაში —
წარმტაც, გრძნეულ ქვეყანაში.
სად, მედეას ჩახვეულმა,
ხასონმა დაიმონა
ამ ჯადოქარ ქალის გული.

ასეთივე ამაღლებული ტონით ეღერს ა. რადიშჩევის „ისტორიული სიმღერა".

შეხე, მომხიბლავ, ლამაზ კოლხეთში
დაუძლევია იასონს: შიში,
ჯადო, თილისმა და საწამლავი
და ოქროს მბრწყინავ საწმისთან ერთად
მოუტაცნია მედეას გული.

(თარგმანი ე. გორგაძისა)

ა. რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს" სრულად მხოლოდ ჩვენს დროში — 1955 წელს გადმოითარგმნა ქართულად და ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

რუსული სენტიმენტალიზმი. ნ. კარამზინი

სენტიმენტალიზმი რუსულ ლიტერატურაში. XVIII საუკუნის 60—70-იანი წლებიდან რუსეთში კლასიციზმი რღვევას განიცდის და მის ნაცვლად სენტიმენტალიზმი მკვიდრდება.

ახალი ლიტერატურული მიმართულების გამარჯვება კლასიციზმზე განპირობებული იყო კაპიტალიზმის განვითარებით.

რადგან კაპიტალიზმის განვითარება ყველაზე უფრო ადრე ინგლის-

ში დაიწყო, სენტიმენტალიზმიც პირველად იქ წარმოიშვა; შემდეგ საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ლიტერატურაშიც შეიჭრა.

მიუხედავად ეროვნული და სოციალური მრავალსახეობისა, სენტიმენტალიზმს ჰქონდა საერთო დამახასიათებელი თვისებები, რომლებითაც ის რადიკალურად ემიჯნებოდა კლასიციზმს.

თუ კლასიცისტები ემყარებოდნენ „ჰკუას“, „გონებას“, „განსჯას“, სენტიმენტალისტებისათვის მთავარია „გრძნობა“, „გული“, „მგრძნობელობა“. თვით სიტყვა „სენტიმენტალიზმი“ ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს მგრძნობელობას. ეს ტერმინი ლიტერატურაში გავრცელდა მას შემდეგ, რაც ინგლისელმა მწერალმა ლ. სტერნმა გამოაქვეყნა თავისი „სენტიმენტალური მოგზაურობა“ (1768), რომელშიც მგრძნობელობა დაუპირისპირა კლასიცისტურ სიმშრალეს, დოგმატიზმს, გონების პრიმატს, რაციონალისტურ პრინციპებს, სქემატურობას.

კლასიცისტებისათვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფოს კულტი, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების იდეალიზაცია და ყოველივე კერძოს, პიროვნულისა და ინდივიდუალურის იგნორირება, უგულებელყოფა. სენტიმენტალისტებისათვის კი — პირიქით, მთავარია ადამიანი, პიროვნების თავისუფლება და მისი კეთილდღეობა; დაე, დაიღუპოს ინდივიდი, ოღონდ სახელმწიფო არსებობდეს — ამბობდნენ კლასიცისტები. დაე, დაიღუპოს ის სახელმწიფო, რომელიც პიროვნებას არაფრად აგდებს, გაუმარჯოს ადამიანის თავისუფლებას და ბედნიერებას — უპასუხებდნენ სენტიმენტალისტები.

ამიტომ, სენტიმენტალისტებმა სამეფო კარიდან და მაღალი წოდებიდან ყურადღების ცენტრი გადაიტანეს საზოგადოების საშუალო და დაბალ ფენებზე, მათ პირადულსა და ოჯახურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით — მათ ინტიმურ ყოფასა და შინაგან განცდებზე.

„პატარა გმირების“ შემოყვანა ლიტერატურაში, მათი თანაგრძნობით დახატვა და ადამიანის შინაგანი ბუნების ჩვენებს ცდა დემოკრატიული, ჰუმანისტური და ფსიქოლოგიური მოტივების გაძლიერებას ნიშნავდა მწერლობაში და უდავოდ პროგრესული იყო.

სენტიმენტალისტები განსაკუთრებული სიყვარულით აგვიწერდნენ პროვინციას, სოფლის პეიზაჟს, გლეხთა ცხოვრებას ბუნების წიაღში, ოჯახურ ყოფას. სოფლის იდილია უპირისპირდებოდა ქალაქის „გარყვნილებას“, ბუნება („ნატურა“) — კულტურას, პირადული ინტერესებით შეპოფარგლული მგრძნობიარე ადამიანი—სახელმწიფო საქმეებში გართულ მედიდურ და უგრძნობ არისტოკრატებს, ხოლო ადამიანის პი-

რადი ღირსება და გრძნობა — წოდებრივ პრივილეგიას, სიმდიდრესა და ჩინებს.

კლასიცისტებს სანიმუშოდ მიაჩნდათ ანტიკური ხელოვნება და ამიტომ ყველაფერში მას ბაძავდნენ. მეტწილად ანტიკურ თემებს და სიუჟეტებს ამუშავებდნენ, იდეალურ გმირებად გამოჰყავდათ ძველი საბერძნეთისა და რომის წარმომადგენლები, ხოლო თხზულებებს წერდნენ ანტიკური ესთეტიკიდან მომდინარე ურყევი ნორმებისა და დოგმების მიხედვით.

სენტიმენტალისტებმა ზურგი შეაქციეს ანტიკურ სამყაროს და მთავარი ყურადღება მიაქციეს მშობლიური ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. მათ გაბედულად გაილაშქრეს აგრეთვე მოძველებული ანტიკური დოგმების წინააღმდეგ, უარყვეს კლასიცისტურ ლიტერატურაში გავრცელებული ნორმატიული ტრაფარეტები და სქემები; შემოქმედების შემზღუდველ „კანონებს“ დაუპირისპირეს შემოქმედებითი თავისუფლების ლოზუნგი: წერე ისე, როგორც გული და გრძნობა გიკარნახებს. სენტიმენტალისტებმა პრაქტიკაში შემოიღეს ნაწარმოებთა სრულიად თავისუფალი და თვითნებური კომპოზიცია, უარყვეს კლასიცისტური ჟანრები: ეპოპეას დაუპირისპირეს საოჯახო და ფსიქოლოგიური რომანი, ოდას — ელეგია, ლირიკული სიმღერები და პეიზაჟური ლექსები, ხოლო ძველი ტიპის ტრაგედიასა და კომედიას — „მეშჩანური დრამა“ და „ცრემლიანი კომედია“. დაბოლოს, კლასიცისტების ამაღლებულ ტონსა და მაღალფარდოვან სტილს, მათ „დაძაბულ ენას“ და რიტორიკას, დეკლარაციულ-ორატორულ ინტონაციას სენტიმენტალისტებმა დაუპირისპირეს სადა და მსუბუქი სასაუბრო ენა, მელოდიური და მუსიკალური მეტყველება.

სენტიმენტალიზმი ყოველ ქვეყანაში თავისებურად ვითარდებოდა და სპეციფიკურ ელფერს იღებდა. რუსულმა მწერლობამ დასავლეთში ჩამოყალიბებული სენტიმენტალიზმი შეითვისა, მაგრამ მას რუსეთის ისტორიულ თავისებურებათა შესაბამისი ხასიათი მისცა.

სენტიმენტალიზმის წარმოშობასა და განვითარებას რუსეთში შემდეგმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი:

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ვითარდებოდა ბურჟუაზიული ელემენტები, რომელთა ინტერესებსა და გემოვნებას სრულებითაც არ შეეფერებოდა და ვერ აკმაყოფილებდა კლასიცისტურ თხზულებათა ფორმა და შინაარსი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გლეხთა გრანდიოზულ აჯანყებას ე. პუგაჩოვის მეთაურობით (1773—1775), რომელმაც ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ რუსეთის მონარქია სრულებითაც არ წარმოადგენდა ურყევ დედაბოძს.

მეფის ტახტის რყევასთან ერთად კრიზისსა და რღვევას განიცდის „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეოლოგია და მისი ლიტერატურული გამოხატულება — კლასიციზმი.

ნ. კარამზინის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინი (1766—1826) დაიბადა საშუალო მემამულის ოჯახში. თოთხმეტი წლის ასაკამდე ნ. კარამზინი სიმბირსკის კერძო პანსიონში სწავლობდა, შემდეგ კი მოსკოვს წაიყვანეს და პროფესორ შადენის პანსიონში მიაბარეს. შადენის პანსიონში გატარებულ ოთხ წელს (1780—1783) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. კარამზინის მსოფლმხედველობისა და ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებისათვის. პანსიონის ხელმძღვანელი შადენი, რომელსაც განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული, გატაცებული იყო სენტიმენტალურ-მორალისტური ლიტერატურით და მთავარ ყურადღებას აქცევდა მოწაფეთა ზნეობრივ აღზრდას. პანსიონში არსებობდა ლიტერატურული წრე, სადაც მოსწავლეები კითხულობდნენ არა მარტო ცნობილ ავტორთა თხზულებებს, არამედ საკუთარ ნაწერებსაც.

პანსიონის დასრულების შემდეგ ნ. კარამზინი მიემგზავრება პეტერბურგს და შედის გვარდიის ერთ-ერთ პოლკში.

ნ. კარამზინი სამხედრო სამსახურში დიდხანს არ დარჩენილა. მამის გარდაცვალების გამო 1784 წელს მან სამსახური მიატოვა, სიმბირსკში წავიდა და საკუთარ მამულში უდარდელ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ამ დროს ნ. კარამზინი გაეცნო ცნობილ მასონსა და ლიტერატორს ი. ტურგენევს, რომელიც სიმბირსკში ცოტა ხნით იყო ჩასული. მან ნ. კარამზინს მიატოვებინა ფუქსავატური ცხოვრება და წაიყვანა მოსკოვში, სადაც იგი გაეცნო და დაუახლოვდა სახელმოხვეჭილ ნ. ნოვიკოვს.

მოსკოვში ნ. კარამზინი სერიოზულსა და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა: სწავლობდა ისტორიულ და ფილოსოფიურ შრომებს, თვალყურს ადევნებდა ევროპულ და რუსულ ლიტერატურას, გატაცებით კითხულობდა სენტიმენტალისტ მწერლებს.

1789 წლის მაისში ნ. კარამზინი გაემგზავრა გერმანიაში, შემდეგ მოიარა შვეიცარია, ინახულა პარიზი, ლონდონი და 16 თვის მოგზაურობის შემდეგ — 1890 წლის სექტემბერში — მოსკოვში დაბრუნდა. საზღვარგარეთული შთაბეჭდილებანი მან აღწერა წიგნში „რუსი მოგზაურის წერილები“.

რუსეთში დაბრუნებისთანავე ნ. კარამზინი შეუდგა საჟურნალო მოღვაწეობას და ამ საქმეში დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. 1791 წლის იანვრიდან მან დაიწყო ყოველთვიური ლიტერატურულ-კრიტიკული ორგანოს „მოსკოვსკი ჟურნალის“ გამოცემა. ნ. კარამზინმა მკი-

თხველის მოთხოვნილება კარგად გაითვალისწინა და მას საჭირო მასალა მიაწოდა; ჟურნალში თანამშრომლებად ჩააბა ი. დიმიტრიევი, ვ. კაპნისტი, მ. ხერასკოვი, გ. დერჟავინი და სხვა ცნობილი მწერლები. „მოსკოვსკი ჟურნალში“ დაიბეჭდა თვით ნ. კარამზინის სახელმოხვეჭილი ნაწარმოებები — „რუსი მოგზაურის წერილები“, „საწყალი ლიზა“, „ბოიარის ასული ნატალია“, „ფროლ სილინი“, მრავალი ლექსი, ნარკვევი და წერილი.

ალექსანდრე პირველის გამეფებას (1801 წ.) ნ. კარამზინი მიესალმა ოდით, რომელშიც ახალი მონარქის ტახტზე ასვლას გაზაფხულის დადგომას ადარებდა. XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რეაქცია შესუსტდა, მწერალი დაუბრუნდა საჟურნალო მოღვაწეობას და 1802 წლიდან დაიწყო ორკვირეული ორგანოს გამოცემა სახელწოდებით „ვესტნიკ ევროპი“. ეს იყო არა მარტო ლიტერატურული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანოც — პირველი სქელტანიანი ჟურნალი რუსეთში.

1803 წლიდან დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი ნ. კარამზინის ცხოვრება-მოღვაწეობაში. მეფემ მას ისტორიოგრაფის ოფიციალური წოდება მიანიჭა, დიდი პენსია დაუნიშნა და უფლება მისცა რუსეთის სახელმწიფო არქივებით ესარგებლა. აქედან დაწყებული სიკვდილამდე — 23 წლის განმავლობაში — დაუღალავად და გატაცებით იღწვოდა იგი თავის მონუმენტურ შრომაზე „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“. სიკვდილმა მას მოუსწრო მეთორმეტე ტომზე მუშაობის დროს, რომელშიც აღწერილია „არეულობის ხანა“ (XVIII საუკუნის დასაწყისი).

„რუსი მოგზაურის წერილები“. პირველი დიდი თხზულება, რომელმაც ნ. კარამზინს სახელი გაუთქვა, როგორც ნიჭიერ პროზაიკოსს, იყო „რუსი მოგზაურის წერილები“ („Письма русского путешественника“). მასში მწერალმა მეგობრებისადმი გაგზავნილი წერილების სახით აგვიწერა თავისი მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით — 1789 წლის მაისიდან 1790 წლის სექტემბრამდე. მოგზაურობის დროს ნ. კარამზინს თავისი შთაბეჭდილებანი დღიურში შეუტანია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ჩანაწერები ლიტერატურულად დაუმუშავებია, ნახულ-გაგონილი სათანადო წიგნებში შეუმოწმებია და შეუვსია. ამგვარად, „რუსი მოგზაურის წერილებს“ საფუძვლად დაედო როგორც პირადი შთაბეჭდილებანი, ისე სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროები. თხზულების ბეჭდვა დაიწყო 1791 წელს და მაშინვე საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

პირველი ქვეყანა, რომელიც მწერალმა მოგზაურობის დროს ინახულა, იყო გერმანია. იქ ნ. კარამზინი ცდილობდა შეხვედროდა გამოჩენილ მოღვაწეებს. ქ. კენიგსბერგში იგი ეწვია ცნობილ ფილოსოფოს ე. კანტს, ესაუბრა მას ჩინეთზე, ახალი ქვეყნების აღმოჩენაზე, მორალის საკითხებზე და აღტაცებაში მოვიდა მისი ერუდიციით.

ბერლინში ნ. კარამზინი შეხვდა რამდენიმე მწერალს; თეატრში მან ნახა ფ. შილერის „დონ-კარლოსი" და კოცებუს სენტიმენტალური პიესა, რომლის ყურების დროს ცრემლები აფრქვია. დრეზდენში დაათვალიერა ცნობილი სამხატვრო გალერეა და მასში დაცული შესანიშნავი სურათების პირველი რუსული მიმოხილვა შეადგინა. ლაიფციგში რუსი მწერალი გაეცნო მრავალ მეცნიერს, მოისმინა იქაურ უნივერსიტეტში პროფ. პლატნერის ლექცია ესთეტიკაზე და ისაუბრა გერმანიის პროფესორებთან რუსული ლიტერატურის საკითხებზე. ლაიფციგიდან ნ. კარამზინმა მიაშურა ვაიმარს — მაშინდელი გერმანიის ლიტერატურულ ცენტრს, სადაც ცხოვრობდნენ გოეთე, ჰერდერი, ვილანდი და სხვა სახელმოხვეჭილი მწერლები. გოეთესთან შეხვედრა ნ. კარამზინმა ვერ შეძლო, დანარჩენ მწერლებს კი გაეცნო და ესაუბრა.

გერმანიიდან ნ. კარამზინი გაემგზავრა შვეიცარიაში. აქ მას წარმოუდგა „თვალწარმტაცი ბუნების, თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყანა". მწერალმა შვეიცარიაში შვიდ თვეს დაჰყო და თავის „წერილებში" დაწვრილებით მოგვითხრო შეხვედრებზე ფსიქოლოგ ლაფარეტთან, მოხუც ფილოსოფოს ბონესთან და სხვა მოღვაწეებთან. ნ. კარამზინი განსაკუთრებით დიდხანს ცხოვრობდა ჟენევასა და ლოზანში, დაათვალიერა შვეიცარიის სხვა ქალაქებიც, მოიარა ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებული იყო ჟ. რუსოსა და ფ. ვოლტერის სახელებთან, ეწვია სოფლებს, რათა გასცნობოდა მდაბიოთა ცხოვრებას; იმოგზაურა ალპებში, სადაც ბუნების წიაღში მწყემსებთან ერთად შეექცა პურმარილს.

1790 წლის მარტში ნ. კარამზინი პარიზში ჩავიდა. საფრანგეთი იმ დროს რევოლუციის ქარცეცხლში იყო გახვეული. რუსი მწერალი მსოფლიო მნიშვნელობის ეპოქალური მოვლენების მოწმე გახდა. იგი ესწრება ეროვნულ კრებას, სადაც ისმენს ო. მირაბოს და საფრანგეთის დიდი რევოლუციის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა მგზნებარე სიტყვებს. ამავე დროს, ხშირად დადის თეატრებსა და მუზეუმებში და სინანულით შენიშნავს, რომ „ფრანგები ახლა ფიქრობენ რევოლუციაზე და არა სიყვარულისა და სინაზის ძეგლებზე".

ბოლოს ნ. კარამზინი ეწვევა ლონდონს და იქ ერთ თვემდე რჩება. იგი ეცნობა ქალაქს, ესწრება პარლამენტის სხდომებს, ხვდება გამო-

ჩენილ ინგლისელ მოღვაწეებს და 1790 წლის სექტემბერში საზღვაო გზით სამშობლოში ბრუნდება.

მოგზაურობის დროს მწერალი ცდილობდა ჩასწვდომოდა თითოეული ხალხის თავისებურებას, გარკვეულიყო ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ, მთავარ თვისებაში. ნ. კარამზინის რწმენით, „გერმანელი უნდა შევისწავლოთ მის სამეცნიერო კაბინეტში, ინგლისელი— ბირჟაზე, ფრანგი — თეატრში". ამიტომ მწერალდ გერმანიაში მთავარ ყურადღებას აქცევდა მეცნიერებასა და ლიტერატურას, საფრანგეთში — საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებას, ინგლისში — სახელმწიფო მმართველობას, შვეიცარიაში — ბუნებას.

ნ. კარამზინის თხზულება ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ჟანრის, სტილისა და ენის სიახლით..

ეპისტოლარულმა ფორმამ, რომელიც უცხო იყო კლასიცისტებისათვის, დიდი გავრცელება პოვა სენტიმენტალურ ლიტერატურაში, რადგან იგი ავტორს უადვილებდა საკუთარი შთაბეჭდილებებისა და განცდების უშუალო გადმოცემას. ნ. კარამზინმაც ეს ფორმა აირჩია. ეს იყო რუსი მოგზაურის „შინაური ული", თითქმის ინტიმური საუბარი მეგობრებთან, წერილების ადრესატებთან. ავტორი ნახულ-გაგონილს აღწერს სადა, მსუბუქი, სასაუბრო ენით.

ნ. კარამზინის მოთხრობები. ნ. კარამზინის სენტიმენტალიზმის თავისებურებანი განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლინდა მის მოთხრობებში. მწერალი ამ ჟანრში დიდი მონდომებით მუშაობდა და მრავალი საინტერესო მოთხრობაც შექმნა. მათ ჩვეულებრივ სამ ჯგუფად ყოფენ — „გლეხური მოთხრობები", ისტორიული და რომანტიკული. პირველი ჯგუფის მოთხრობებიდან აღსანიშნავია „ფროლ სილინი" და „საწყალი ლიზა".

„ფროლ სილინი" მოკლე, მინიატურული მოთხრობაა, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „დაე ვირგილიუსებმა ადიდონ ავგუსტები! დაე მშვერმეტყველმა მლიქვნელებმა ხოტბა შეასხან დიდკაცთა სულგრძელობას! მე მინდა ვაქო ფროლ სილინი, უბრალო გლეხი".

ეს სენტიმენტალისტი მწერლის საპროგრამო დეკლარაციაა. ნ. კარამზინი უარყოფს კლასიცისტების არისტოკრატიულ გმირებს და მათ უპირისპირებს „ჩემმარიტ გმირს" — უბრალო სოფლელს, ფროლ სილინს, რომლის მთავარი ღირსება გულკეთილობაში მდგომარეობს. ნ. კარამზინი ადამიანში აფასებს არა წოდებასა და ჩინ-მედლებს, არამედ მგრძნობიარე გულსა და კეთილშობილებას. ამაში გამოვლინდა მწერლის ჰუმანიზმი და პროგრესული შეხედულება. მაგრამ, მეორე მხრივ, ბატონყმური რუსეთის სოფლის კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელიც ესოდენ გაბედულად ამხილა ა. რადიშჩევმა, ნ. კარამზინის

მოთხრობაში სრულიად მიჩქმალულია. ნ. კარამზინს იდეალურ გმირად შეძლებული გლეხი გამოჰყავს. ფროლ სილინს საკმაო სიმდიდრე გააჩნია, რასაც მწერალი იმით ხსნის, რომ იგი გამრჯეა, ყველაზე უკეთესად ამუშავებს მიწას და ამიტომ ყოველთვის უხვ მოსავალს იღებს. ფროლ სილინი ჰირნახულს არასოდეს არ ყიდის, ბეღელში ინახავს მას და გაჭირვებულებს ეხმარება, რადგან უაღრესად კაცთმოყვარეა.

მოუსავლიან წელს, როცა სოფელში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა, ფროლ სილინმა გლეხებს უსასყიდლოდ დაურიგა პური და მრავალი მათგანი სიკვდილს გადაარჩინა. ფროლ სილინმა დიდი დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე ხანძრით დაზარალებულ მეზობლებს, ბატონისაგან დაიხსნა ორი უმა ქალი და მამაშვილურად უპატრონა მათ.

ერთი სიტყვით, ფროლ სილინს ნ. კარამზინი გვიხატავს, როგორც სანიმუშო, შრომისმოყვარე გლეხსა და მშიერ-მწყურვალთა უანგარო მეგობარს.

ნ. კარამზინის არც ერთ ნაწარმოებს არ ჰქონია ისეთი წარმატება, როგორც „საწყალ ლიზას“ („Бедная Лиза“, 1792 წ.). ეს მოთხრობა აგებულია მეტად მარტივ, მაგრამ დრამატულ სიუჟეტზე.

მოსკოვის მახლობლად მდებარე სოფელში, — მოგვითხრობს ნ. კარამზინი, — სიმონის მონასტერთან, ტყის პირას, მწვანედ გაშლილ მინდორზე იდგა ერთი პატარა ქოხი, რომელშიც ცხოვრობდა ჩვიდმეტი წლის ლამაზი და სათნო ლიზა. ლიზას მამა, ფროლ სილინის მსგავსად, საკმაოდ მდიდარი გლეხი იყო, რადგან მუშაობა უყვარდა, მიწას კარგად ამუშავებდა და ყოველთვის გონივრულ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ ორი წლის წინ გარდაიცვალა და ოჯახი გაღარიბდა. ლიზას დედა, მგრძნობიარე, კეთილი მანდილოსანი, სულ ქმრის გლოვასა და ცრემლების ფრქვევაშია. რადგან „სიყვარული გლეხ ქალსაც შეუძლია“. იგი თანდათან სნეულდება და მხედველობას კარგავს. ოჯახზე მზრუნველობა მთლიანად ლიზაზე გადადის, რომელიც თავს ევლება დედას, დღედაღამ გარჯაშია — ქსოვს წინდებს, კრეფს ყვავილებს და მოსკოვში მიაქვს გასაყიდად.

ერთ დღეს, როცა ლიზა ქალაქში ყვავილებს ყიდდა, მას გაეცნო ახალგაზრდა არისტოკრატი ერასტი. ეს იყო საკმაოდ მდიდარი დიდებული, ჩინებული ჰკუითა და კეთილი გულით. მაგრამ ფუქსავატურმა ცხოვრებამ და არისტოკრატიულმა დროსტარებამ ხასიათი გაუფუჭა და ყველაფერზე აუცრუა გული. ლიზასთან შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ერასტი ფიქრობს, რომ ეს უბრალო გლეხის გოგონა სწორედ ის იდეალია, რომელსაც დიდი ხანია მისი „სული ეძებდა“.

ერასტი თითქმის ყოველდღე ხვდება პაემანზე ლიზას, აღტაცებულია მისი ბუნებრიობითა და უმანკოებით. ლიზას თავდავიწყებით შეუყვარდება იგი. ერასტიც მხოლოდ უმწიკვლო სიყვარულსა და გულწრფელ მეგობრობაზე ოცნებობს. „მე ვიცხოვრებ ლიზასთან, როგორც ძმა დასთან ,მის სიყვარულს ბოროტად არ გამოვიყენებ და ყოველთვის ბედნიერი ვიქნებით“, — ფიქრობს იგი. მაგრამ აქვე ნ. კარამზინი ეკითხება თავის გმირს: „განა გონება ყოველთვის შენი გრძნობების მეფეა?“

ერასტის თანდათან გული აუცრუვდება ლიზაზე; შემდეგ იგი ქალაქიდან წავა ჯარში, სადაც ქეიფსა და დროსტარებას გადაყვება, მთელ თავის ქონებას ბანქოში წააგებს და მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთ მდიდარ ხნიერ ქალს შეირთავს.

ლიზამ ეს ამბები არ იცის, თავისი სატრფო ისევ ლაშქარში ჰგონია და როცა მას მოსკოვში შემთხვევით შეხვდება, აღტაცებით გადაეხვევა. მაგრამ ერასტი მას მდგომარეობას აუხსნის, დანაშაულის გამოსასყიდად ჯიბეში ასმანეთიანს ჩაუდებს და ცივად გაისტუმრებს სახლიდან. ამ უბედურებას საწყალი ქალი ვეღარ აიტანს და თავს დაიხრჩობს იმ ტბაში, სიმონის მონასტერთან, რომლის ნაპირზე ოდესღაც ერასტისთან სიყვარულით ტკბებოდა.

სიუჟეტი, როგორც ვხედავთ, ახალი არ არის; არისტოკრატისა და მდაბიო ქალის სიყვარულზე „საწყალ ლიზამდე“ არაერთი სენტიმენტალური ნაწარმოები დაწერილა. ეს ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი მრავალმა სენტიმენტალისტმა გამოიყენა წოდებრივი უთანასწორობის დასაგმობად, ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ამხელდნენ არისტოკრატ ლოველასების გათახსირებასა და უხამსობას.

ნ. კარამზინი ასე შორს არ მიდის. მისთვის უცხოა სოციალური პროტესტი. მწერალი ცდილობს ტრადიციული კონფლიქტი ისე შეარბილოს, რომ მკითხველში ერასტის მიმართ აღშფოთება კი არ გამოიწვიოს, არამედ მხოლოდ სიბრალულისა და სინანულის გრძნობა აღძრას მომხდარი უბედურების გამო. ერასტის, ნ. კარამზინის მტკიცებით, ლიზა გულწრფელად უყვარდა და მისი შეცდენა, მოტყუება აზრადაც არ ჰქონია. ლიზას ტრაგედია მოთხრობაში წარმოდგენილია არა როგორც ერასტის ბოროტი განზრახვის შედეგი, არამედ როგორც ძლიერი სიყვარულისა და გრძნობათა ღელვის ბუნებრივი ლოგიკური დასასრული. „ერასტი სიცოცხლის ბოლომდე უბედური იყო; როცა ლიზას ამბავი შეიტყო, თავი მის მკვლელად ჩათვალა და უნუგეშობას მიეცა“, — ვკითხულობთ მოთხრობაში. ავტორს მიზნად დაუსახავს არა სოციალური უკუღმართობის გაკიცხვა, არამედ იმის დამტკიცება, რომ „სიყვარული გლეხის ქალსაც შეუძლია“, რომ გრძნობა

ყველა ადამიანს აქვს და ამიტომ წოდებათა შორის ურთიერთობა ჰუმანურ გრძნობებს უნდა ემყარებოდეს.

„საწყალ ლიზაში“ მოცემულია ფეოდალური რუსეთის შეფერადებული სურათი; ლიზა და მისი დედა უფრო სენტიმენტალურ რომანებზე აღზრდილ გულჩვილ ინტელიგენტებს მოგვაგონებენ, ვიდრე ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავ გლეხებს. ამაში გამომჟღავნდა მწერლის მსოფლმხედველობის კლასობრივი შეზღუდულობა, მისი თავადაზნაურული კონსერვატიზმი.

ამავე დროს „საწყალი ლიზა“ მრავალ ისეთ ღირსებასა და სიახლეს შეიცავდა, რომელთაც მოხიბლეს მკითხველი. თავის „გლეხურ მოთხრობებში“ ნ. კარამზინმა ლიტერატურაში გაბედულად შემოიყვანა ახალი დადებითი გმირი — გლეხი, რომელსაც კლასიცისტები ან სრულებით არ გვიჩვენებდნენ, რადგან შეუფერებელ სახედ მიაჩნდათ, ან კიდევ სასაცილო-კომიკურ პერსონაჟად გამოჰყავდათ. ნ. კარამზინმა დაამტკიცა, რომ გლეხიც ადამიანია და მასაც აქვს გრძნობა, ამიტომ იგი მხატვრული ლიტერატურის ღირსეულ გმირად უნდა მივიჩნიოთ. „საწყალი ლიზას“ ავტორმა თანაგრძნობით დაგვიხატა გლეხი და იგი არისტოკრატიაზე მაღლაც კი დააყენა. ეს მოწმობდა ჰუმანისტური და დემოკრატიული ტენდენციების შემდგომ განვითარებას ლიტერატურაში.

ნ. კარამზინი თავისი მოთხრობით ლიტერატურაში ამკვიდრებდა აგრეთვე გრძნობის კულტს, ფსიქოლოგიზმს, წინა პლანზე წამოსწევდა გმირთა ცოცხალ გრძნობებსა და განცდებს, რასაც არ შეეძლო არ დაეპყრო მკითხველის გული.

„საწყალი ლიზას“ ერთ-ერთ სიახლეს შეადგენდა ლირიკული პეიზაჟი. ნ. კარამზინი დიდი სიყვარულით გვიხატავს ბუნების სურათებს — გაშლილ მინდორ-ველებს, ამწვანებულ ჭალებსა და დაბურულ ტყეს. მწერალი ერთგვარად უპირისპირებს „ნატურასა“ და „კულტურას“, სოფელსა და ქალაქს, ცდილობს ლიზას მორალური სისპეტაკე ახსნას ბუნებასთან სიახლოვით, ხოლო ერასტის გარყვნილება მიაწეროს ქალაქური გარყვნილების გავლენას.

ნოვატორული იყო „საწყალი ლიზას“ ჟანრიც — სენტიმენტალური, ლირიკული მოთხრობა, თავისუფალი ყოველგვარი შემბოჭველი „კანონებისაგან“. ასეთ რამეს რუსული ლიტერატურა არ იცნობდა (კლასიცისტები საერთოდ გაურბოდნენ პროზაულ ჟანრებს).

განსაკუთრებით ხიბლავდა მკითხველს ავტორის ენა — სადა, კეთილშობილი და ყველასათვის გასაგები.

ნ. კარამზინის მოთხრობა უპასუხებდა მკითხველთა იმ მასის მოთხოვნილებას, რომელსაც მობეზრებული ჰქონდა მშრალი, „უსულ-

გულო" კლასიცისტური ნაწარმოებები და მხატვრულ ლიტერატურაში მისთვის ნაცნობი და ახლობელი ცხოვრების სურათებს ეძებდა.

ამიტომ „საწყალი ლიზა" გადაიქცა საზოგადოების საყვარელ წიგნად, ხოლო სიმონის მონასტრის ის მიდამოები, სადაც ამ მოთხრობის მოქმედება იშლება — მკითხველთა საყვარელ სასეირნო ადგილად. იქ ხშირად მიდიოდნენ ახალგაზრდა შეყვარებულები, იგონებდნენ ლიზას ტრაგიკულ თავგადასავალს, უხვად აფრქვევდნენ ცრემლებს... ზოგიერთ გაუბედურებულს თავიც კი დაუხრჩვია „ლიზას ტბაში". ნ. კარამზინის ნაწარმოებს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა. „საწყალ ლიზას" მოჰყვა ა. იზმაილოვის „საწყალი მაშა" და პ. დოლგორუკოვის „უბედური ლიზა", ა. პოპოვის „საწყალი ლიდა" და მრავალი სხვა ეპიგონური მოთხრობა.

ისტორიული მოთხრობებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „მმართველი მართა" („Марфа Посадница", 1803 წ.), რომელშიც ნ. კარამზინი შედარებით ახლოს მივიდა ისტორიულ სინამდვილესთან. ამ მოთხრობას საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი — მოსკოვის მეფის ივანე მესამის მიერ „თავისუფალი ნოვგოროდის" დაპყრობა 1471 წელს. თხზულების მთავარი პერსონაჟები არიან ივანე მესამე და ნოვგოროდის მმართველი ქალი მართა. მათ ბრძოლაში განსახიერებულია ორი ანტაგონისტური იდეოლოგიის შეჯახება.

მართა ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც მტკიცე რესპუბლიკელი, ნოვგოროდის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლი. მან უარი განაცხადა ივანე მესამის ქვეშევრდომობაზე და ამაყად ავიდა ეშაფოტზე, რათა „ნოვგოროდელ რესპუბლიკელად" დაღუპულიყო. ამ ეფექტურ სცენაში და საერთოდ მოთხრობაში ნ. კარამზინმა მართას სახე ისეთი თანაგრძნობით დახატა, რომ მას რევოლუციონერობაშიც კი დასდეს ბრალი.

მაგრამ ნ. კარამზინი ამ თხზულებაშიც კონსერვატიულ პოზიციაზე დგას და მართაზე მეტად ივანე მესამეს ასხამს ქება-დიდებას. მწერალი მოსკოვის მეფეს გვიხატავს როგორც შორსმჭვრეტელსა და ბრძენ პოლიტიკოსს, კეთილშობილ „მამა-მონარქს", რომელიც თავისი მამაცობითა და „სიდიადით აღაფრთოვანებდა მოსკოველ ლეგიონებს". მოთხრობაში დასმული ძირითადი საკითხი — „მონარქიზმი თუ რესპუბლიკა" — ავტორის მიერ გადაწყვეტილია მონარქიზმის სასარგებლოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნოვგოროდის თემა სულ სხვაგვარად გააშუქეს ა. რადიშჩევმა და დეკაბრისტებმა. ისინი სისტიკად კიცხავდნენ დესპოტიზმს და ქადაგებდნენ რესპუბლიკურ იდეებს.

სენტიმენტალური მოთხრობების გარდა ნ. კარამზინმა შექმნა აგრეთვე პირველი რუსული რომანტიკული მოთხრობები, რომლებიც

გამოირჩევიან „საშინელი“, „შემაძრწუნებელი“ ამბების აღწერით. ასეთია, მაგალითად „კუნძული ბორნჰოლმი“ („Остров Борнгольм“, 1793). მასში ყველაფერი რომანტიკული ბურუსითა და უცნაურობითაა გარემოცული.

ნ. კარამზინი უმთავრესად პროზაში მუშაობდა, მაგრამ მას ეკუთვნის მრავალი საყურადღებო ლექსიც, რომლებითაც რუსული პოეზიის განვითარებაში „მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ“ (ბ. ბელინსკი). ნ. კარამზინი იყო პოეტი-ლირიკოსი; ამიტომ მისი პროზაც პოეტურ ხასიათს ატარებს. რუსეთში იგი „სუბიექტური პროზის“ ანუ „პოეტური პროზის“ დამწყებად ითვლება.

ნ. კარამზინი პოეზიაშიც ნოვატორი იყო. მან დაარღვია კლასიცისტების ტრადიციები და შექმნა ახალი, სუბიექტური ლირიკა, რომელიც შემდგომ განავითარეს ი. დიმიტრიევმა, ვ. ჟუკოვსკიმ და სხვა პოეტებმა. ნ. კარამზინის ლირიკისათვის სრულიად უცხოა როგორც კლასიცისტების „მაღალი“ თემატიკა და საზეიმო სტილი, ისე ა. რადიშჩევის, ნ. ნოვიკოვისა და დ. ფონვიზინის საზოგადოებრივ-სატირული და მოქალაქეობრივი პათოსი. მისთვის მთავარია ადამიანის ინტიმური სამყაროს ისეთი გამოვლინებანი, როგორიცაა სიყვარული და მეგობრობა, ბუნების გრძნობა. ნ. კარამზინის რწმენით, „პოეზია მგრძნობიარე გულთა ყვავილნარია“.

დამახასიათებელია თვით სათაურები ნ. კარამზინის ლექსებისა: „მელანქოლია“, „საგაზაფხულო გრძნობა“, „ბულბული“, „შემოდგომა“.

ნ. კარამზინმა დიდი როლი შეასრულა რუსული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაშიც. XVIII საუკუნის 90-იან წლებში იგი ენერგიულად იბრძოდა ლიტერატურაში მსუბუქი, გასაგები, სადა ენის დამკვიდრებისათვის. ნ. კარამზინმა გაათავისუფლა რუსული ენა მძიმე, არქაული, საეკლესიო-სლავური სიტყვებისაგან, გაამარტივა რუსული სინტაქსი.

კარამზინის ენობრივი რეფორმების შედეგად რუსული სალიტერატურო ენა გახდა უფრო ლამაზი, მოქნილი, მელოდიური ჟღერადობის. ამასთანავე მან ახალი იდეების, ფილოსოფიური და მეცნიერული ცნებების რუსულად გამოთქმისათვის უცხო ენებიდან მრავალი სიტყვა ისესხა და ამით რუსული ენა ლექსიკურად გაამდიდრა. გარდა ამისა, მწერალმა თვითონაც მრავალი ახალი სიტყვა შეთხზა და სხვა მწერლებსაც მოუწოდა ახალ სიტყვათა მთხზველობისაკენ.

ნ. კარამზინმა ბევრი ძველი სიტყვის მნიშვნელობაც გააფართოვა და ახალი შინაარსი მისცა მათ. ასე მაგ., თუ ადრე რუსული სიტყვა „образ“ მარტო საეკლესიო მნიშვნელობით იხმარებოდა, ნ. კარამზინის შემდეგ მას ფართო მნიშვნელობა მიეცა („მხატვრული სახე“ და

სხვ.), მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია ნ. კარამზინის ენობრივი რეფორმების შეზღუდულობაც. მწერლის ენა მეტად მსუბუქი და უღონო იყო, იგი მხოლოდ არისტოკრატული საზოგადოების გემოვნებას შეეფერებოდა, გათვალისწინებული იყო სენტიმენტალისტური მოთხრობებით გატაცებული არისტოკრატული ახალგაზრდობისათვის, მათი ლიტერატურული სალონებისათვის.

ნ. კარამზინის ყურს რუსი ხალხის ცოცხალი მეტყველება ეჩოთირებოდა, მწერალი გაურბოდა მდაბიო ადამიანის ძარღვიან ენას. ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა „парень“ (ჭაბუკი) და „девушка“ (ქალიშვილი) მას უხეშ, ვულგარულ სიტყვებად მიაჩნდა.

ხალხური სალაპარაკო ენის მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამო ნ. კარამზინს არ შეეძლო ახალი რუსული ეროვნული სალიტერატურო ენის შექმნა. ეს ისტორიული ამოცანა, როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ოციან წლებში ბრწყინვალედ შეასრულა გენიალურმა ა. პუშკინმა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“. ნ. კარამზინი ქართულ ლიტერატურაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1803 წლიდან სიკვდილამდე ნ. კარამზინი მუშაობდა „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაზე“, რომელშიც დიდი ადგილი დაუთმო რუსეთის ურთიერთობას სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის — საქართველოსთან. „ივერია, ანუ თანამედროვე საქართველო, — წერს ნ. კარამზინი, — ძველი დროიდან განთქმული იყო თავისი ხალხის სიმამაცით. ასე რომ, იგი ვერც სპარსელთა და ვერც მაკედონელთა იარაღმა ვერ დაიმორჩილა; ის განთქმული იყო აგრეთვე სიმდიდრითაც (ძველი არგონავტები ეძებდნენ ოქროს საწმისს მის მეზობლად მდებარე სამეგრელოში)“.

ავტორი ჩერდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საწყისებზე და „რუსი გიორგის“ (იურის) საქართველოში მოწვევაზე თამარ მეფის ქმრად. ნ. კარამზინი მაღალ შეფასებას აძლევდა თამარ მეფის პიროვნებას და სახელმწიფო მოღვაწეობას.

„თამარის სახელი, — წერს იგი, — განთქმული იყო ბრწყინვალე გამარჯვებებით ოსმალეთთან და სპარსეთთან ბრძოლებში; მან დაიპყრო მრავალი ქალაქი და მიწა, უყვარდა მეცნიერება, ისტორია, პოეზია; მისი მმართველობის ხანა ქართულ სიტყვიერებაში ოქროს ხანად ითვლებოდა“.

ნ. კარამზინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთოდ „რუსეთს ძველი დროიდანვე კავშირი ჰქონდა ერთმორწმუნე საქართველოსთან: ცნობილია, რომ იზიასლავ I ცოლად ჰყავდა აბაზთა (ქართველთა) მთავრის

ასული, ხოლო ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟიშვილი სახელოვანი თამარ ბეფის მეუღლე იყო. ეს კავშირი, რომელიც ერთ დროს დარღვეულ იქნა ბათოს შემოსევის გამო, კვლავ განახლდა: ივერიის მთავრის ალექსანდრეს დესპანნი, სახელად ნარიმანი და ხოზემარუში 1492 წელს ეახლნენ იოანეს და სთხოვეს მას მფარველობა".

ნ. კარამზინი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს რუსეთისა და საქართველოს კავშირ-ურთიერთობის ისტორიას XV—XVI საუკუნეებში, ელჩების მიმოსვლას ორივე მხრიდან, გაგვოგვცემს მათი მოლაპარაკების შინაარსს, მოჰყავს საინტერესო ამონაწერები საარქივო დოკუმენტებიდან.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება XVII საუკუნის დასაწყისის ამბებზე. ბორის გოდუნოვზე, რომელმაც თავისი ელჩები გამოგზავნა საქართველოში, რათა „განემტკიცებინა ივერიის ქვეშევრდომობა" და ნათესაური კავშირი დაემყარებინა ქართველთ მეფესთან.

„მეფე ბორისს, — ვკითხულობთ „ისტორიაში", — ორი შვილი ჰყავდა: თედორე, უკვე მოწიფული ყმაწვილი, და ახალგაზრდა ასული ქსენია. მან მოიფიქრა სარძლოც და სასიძოც გამოენახა ისევ ივერიაში, სახელოვანი თამარის სამშობლოში. ალექსანდრეს დესპანი კირილე ფრიად უქებდა სილამაზეს ივერიის ბატონიშვილს თეიმურაზს, დავითის ძეს; აქებდა აგრეთვე ქართლის მთავრის ასულს ელენეს, სიმონის შვილიშვილს. ტატიშჩევს (ბორისის ელჩს) დაავალეს ორივე ეხილა". ეს გეგმები ჩაიშალა, რადგან სამხედრო ნაწილი, რომელიც მოსკოვის მეფემ კავკასიისაკენ გამოგზავნა 1605 წელს განადგურებულ იქნა ოსმალოთა და დაღესტნელთა შეერთებული ძალებით.

საქართველოზე, კოლხეთზე ლაპარაკია არ მარტო „ისტორიაში", არამედ ნ. კარამზინის ზოგიერთ წერილში და მხატვრულ ნაწარმოებშიც. მაგალითად, ალექსანდრე I ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში (1801) ნ. კარამზინი იმედს გამოსთქვამს, რომ ნევის ნაპირებიდან „კოლხეთის ქვეყნამდე" გაჯიმულ რუსეთში ამიერიდან ხალხთა ბედნიერება დაიწყებაო.

ამგვარად, რუსი მწერლებიდან პირველად ნ. კარამზინმა აგვიწერა რუსეთ-საქართველოს კავშირის ისტორია და დიდი სიყვარულით გააცნო რუს მკითხველს ჩვენი ქვეყნის წარსული, რითაც ხელი შეუწყო ორი მოძმე ხალხის ურთიერთგაცნობას.

ქართულ ლიტერატურაში ნ. კარამზინმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. მ. ლომონოსოვი და ნ. კარამზინი სოლომონ დოდაშვილმა მიაკუთვნა იმ „ჩინებულ მწერალთა" რიცხვს, რომელნიც „აღაშენებენ მეცნიერებასა და განამშვენებენ ენასა დიდითა სიმდიდრითა ლექსთა-თა" (1826 წ.). ალექსანდრე ჭავჭავაძე „საქართველოს მოკლე ისტო-

რიულ ნარკვევში" (1837 წ.) ჩვენი ქვეყნის წარსული ამბების აღწერისას ვახუშტის შრომებსა და ნ. კარამზინის „ისტორიაზე" მიუთითებს. ამ უკანასკნელ წყაროს იყენებს აგრეთვე გრიგოლ ორბელიანი თავის ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის" (1832 წ.).

ნ. კარამზინის პოპულარობაზე მეტყველებს მისი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის ფაქტებიც. ჯერ კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილმა (1777—1852) გადმოთარგმნა ნ. კარამზინის „რაისა", ადრევე ითარგმნა აგრეთვე ნ. კარამზინის „გოდება მეგობრის დაკარგის გამო", ხოლო 1857—1860 წლებში ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე დაიბეჭდა მოთხრობები „ფროლ სილინი", „საწყალი ლიზა", „მწერალს რა ეჭირვება?" და სხვ.

საერთოდ „ცისკრის" უფროსი თანამშრომლები გატაცებით თარგმნიდნენ ნ. კარამზინს და მის ერთგვარ გავლენასაც კი განიცდიდნენ. მკვლევართა აზრით, სენტიმენტალისტ მწერალთა ჯგუფში შედიოდნენ ი. კერესელიძე, გრ. რჩეულიშვილი, დ. თაზიშვილი, დ. ბერიევი და სხვები. მართალია, საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ქართულ ლიტერატურაში სენტიმენტალიზმი, როგორც გარკვეული, ჩამოყალიბებული მიმართულება, დღემდე მეცნიერებაში საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: „კარამზინის სკოლამ" იმდენად გაიტაცა მრავალი ქართველი მწერალი, რომ თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით განგაში ატეხეს.

ი. ჭავჭავაძემ „ორიოდე სიტყვაში თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმანზედ" და „პასუხში" (1860—1861) მკაცრად გაილაშქრა სენტიმენტალისტური და კონსერვატიულ-რომანტიკული „სკოლების" წინააღმდეგ, რადგან მათ თავიანთი დრო მოჭამეს და ხელს უშლიდნენ ლიტერატურის წინსვლას.

შესავალი

XIX საუკუნის რუსეთი და მისი ლიტერატურა. ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა ფეოდალურ და ანტიფეოდალურ ძალთა შორის. ფეოდალიზმის წიაღში ჩასახული მზარდი საწარმოო ძალები წინააღმდეგობაში ექცეოდნენ დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებთან, ბატონყმობასა და მონარქიზმთან, რომლებიც ამუხრუჭებდნენ საზოგადოების წინსვლას, სასტიკად ჩაგრავდნენ მშრომელ მასებს, ხელს უშლიდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. ამიტომ ფეოდალიზმს დაუპირისპირდა ყველა მოწინავე ძალა, მათ შორის — ახალგაზრდა ბურჟუაზიაც, რომელიც მაშინ შედარებით პროგრესულ კლასს წარმოადგენდა. დაიწყო ფეოდალური სამყაროს რღვევა, შეირყა ძველ მებატონეთა ციხე-კოშკები და ეულკაცური სიმძლავრით ამოხეთქა 1789 წლის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც ბოლო მოუღო დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის ათასწლოვან პრივილეგიებს და მის ნაცვლად ბურჟუაზია გააბატონა.

ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასასრულისათვის გადაიზრა ბურჟუაზიული რევოლუციის გზით, რუსეთში კი ძველებური ვითარება დარჩა: ბატონყმური ურთიერთობებისა და თვითმპყრობელური მონარქიის რეჟიმმა აქ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა. რუსეთი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის მხარედ რჩებოდა. წინსვლისათვის აუცილებელი იყო ფეოდალიზმის მოსპობა, ხალხის განთავისუფლება ფეოდალური ექსპლუატაციისაგან.

მაგრამ რომელი კლასი შესძლებდა ამ ეპოქალური ამოცანის გადაჭრას? პროლეტარიატი XIX ს. რუსეთში ჯერ კიდევ მეტად მცირერიცხოვანი იყო. ბურჟუაზია კი სუსტ და ფეოდალიზმის მიმართ კომპრომისულ კლასს წარმოადგენდა. ერთადერთი დიდი და რადიკალური ანტიფეოდალური ძალა იყო მრავალმილიონიანი გლეხობა, რომელიც

უშუალოდ საკუთარ კისერზე განიცდიდა ბატონყმური უღლის მთელ სიმძიმეს. მას გლეხური რევოლუციის გზით უნდა გადაეჭრა თავისი ქვეყნის ძირითადი სოციალური წინააღმდეგობა — მოესპო ფეოდალურ-თვითმპყრობელური რეჟიმი და განვითარების ფართო გზაზე გამოეყვანა რუსეთი. მაგრამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის გარეშე გლეხობას ორგანიზებულობა აკლდა. ივი უმთავრესად სტიქიურ მეამბოხე ძალას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან, ანტაგონისტურ ძალთა ჭიდილთან. ამიტომ იგი წარმოადგენს არა ერთ „მთლიან ნაკადს", არამედ მასში აშკარად შეიმჩნევა ორი ურთიერთშორის დაპირისპირებული მიმართულება.

„არის ორი ნაციონალური კულტურა. თითოეულ ნაციონალურ კულტურაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები" [1].

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის გლეხობის ინტერესებსა და განწყობილებას, მის პროტესტს ჩაგვრის წინააღმდეგ და მის მისწრაფებებს თავისუფლებისაკენ ლიტერატურაში გამოხატავდნენ არა თვით გლეხობიდან, არამედ სხვა კლასებიდან გამოსული მოწინავე მწერლები, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ ხალხისა და ქვეყნის განთავისუფლების აუცილებლობა.

ფეოდალურ-თვითმპყრობელური რეჟიმის დამცველ მწერალთა რიცხვი XIX საუკუნის რუსეთში უმნიშვნელო აღმოჩნდა. ბულგარინმა, კატკოვმა და სხვა რეაქციონერმა ლიტერატორებმა ვერ შექმნეს ვერც ერთი საყურადღებო მხატვრული ნაწარმოები. სამაგიეროდ მძლავრად განვითარდა და გაიფურჩქნა ანტიფეოდალური, პროგრესული რუსული მწერლობა. მან უდიდესი როლი შეასრულა გასული საუკუნის რუსეთში.

XIX საუკუნის რუსული მწერლობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები. დრომოჭმული ფეოდალიზმის ხელთ იყო სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლება, თოფ-იარაღი და საპყრობილეები. ყველა ამ საშუალებას რუსეთის გაბატონებული კლასები იყენებდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად, გლეხთა აჯანყებების ჩასახშობად, მოწინავე ადამიანთა დევნისა და მოსპობისათვის. უბეში დესპო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, 1951, გვ. 21.

ტიზმის პირობებში მეტად ძნელი იყო არსებული წყობილების წინააღმდეგ პირდაპირი და აშკარა ბრძოლა. ამიტომ, პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა დიდი ნაწილი მხატვრული ლიტერატურის საშუალებით ცდილობდა განმათავისუფლებელი იდეების შენიღბულად გამოსახვას, მკითხველებზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას.

ამგვარად, ლიტერატურის სფეროში გაერთიანდნენ რუსეთის საუკეთესო ინტელექტუალური ძალები, ყველაზე უფრო მოწინავე და ნიჭიერი მოღვაწეები. ამის შედეგად, ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთში შეიქმნა უაღრესად მოწინავე და ძლიერი ლიტერატურა.

XIX საუკუნის რუსული მწერლობის ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებათაგანია ხალხურობა, დემოკრატიზმი, მჭიდრო კავშირი ხალხის ინტერესებთან.

რუსული ხელოვნების ტაძარი ჩვენ გვიშენებია ხალხის მდუმარი შემწეობით, ხალხი იყო ჩვენი შთამაგონებელიო, — წერდა მაქსიმ გორკი. მართლაც, მრავალმილიონიანი მშრომელი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვა წარმოადგენდა რუსული მწერლობის საფუძველს, მის მასაზრდოებელ წყაროს. იგი აძლევდა მას ღრმა შინაარსს.

რეალიზმი, კერძოდ კრიტიკული რეალიზმი, წარმოადგენს XIX საუკუნის რუსული მწერლობის მთავარ შემოქმედებით მეთოდს. რუსულმა ლიტერატურამ სწრაფად განვლო კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის სტადიები და გამოვიდა რეალიზმის ფართო გზაზე. პუშკინი, გოგოლი, გერცენი, ტოლსტოი და სხვა გამოჩენილი მწერლები სწორად, ობიექტურად, შეუფერავად აღწერდნენ რუსეთის რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილეს, ხალხის დუხჭირ ცხოვრებასა და კლასთა ბრძოლას.

რუსული ლიტერატურა რეალისტურად ასახავდა რა რუსი ხალხის ბრძოლას ფეოდალურ-დესპოტური წყობილების წინააღმდეგ, ამასთან ერთად გაბედულად ქადაგებდა განმათავისუფლებელ იდეებს, აქტიურად იჭრებოდა ცხოვრების შუაგულში და გავლენას ახდენდა მასზე. ეს იყო არა პასიური მწერლობა, რომელიც სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვით კმაყოფილდება, არამედ უაღრესად აქტიური, ტენდენციური, იდეური ლიტერატურა, თავისუფლებისათვის ბრძოლის ტრიბუნა.

რუსი კლასიკოსების შემოქმედება გამოირჩევა პროტესტანტული სულით. ისინი თავიანთ კალამს საბრძოლო იარაღად იყენებდნენ და ეწინაწილეობდნენ ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ერთი შესანიშნავი თავისებურება სწორედ მის განმათავისუფლებელ ხასიათში მდგომარეობს.

მის თვისებას შეადგენს აგრეთვე მ ე ბ რ ძ ო ლ ი ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი, ანუ როგორც ბელინსკი და გერცენი ამბობდნენ — „სიძულვილი, სიყვარულისაგან გამოწვეული“: მშრომელი ხალხისადმი მწერლის სიყვარული ბუნებრივად ხდის მას ხალხის მჩაგვრელთა მოძულედ. XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა დევნილთა და ჩაგრულთა დამცველი იყო. ამავე დროს, იგი წარმოადგენდა მტარვალთა წინააღმდეგ მიმართულ ულმობელ მახვილს.

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებაა აგრეთვე პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი. მოწინავე რუსი მწერლები ამ მხრივაც რადიკალურად ემიჯნებოდნენ რეაქციონერებს, რომლებიც „სამშობლოსადმი სიყვარულს“ აიგივებდნენ რუსეთის ფეოდალურ-მონარქიული წყობილებისადმი სიყვარულთან. ამ ყალბ „პატრიოტთაგან“ განსხვავებით, რუსი კლასიკოსები თავგამოდებით იცავდნენ ყველაფერს, რაც ხელს შეუწყობდა რუსეთის წინსვლას, ხალხის გაბედნიერებას, ამავე დროს გაბედულად ებრძოდნენ „საკუთარ“ მემამულეებსა და ჩინოვნიკებს, „რუსულ ჩამორჩენილობას“.

დიდი რუსი მწერლების პატრიოტიზმს საერთო არაფერი ჰქონდა არც უთვისტომო კოსმოპოლიტიზმთან, საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებასთან, და არც შოვინიზმთან — სიძულვილთან სხვა ხალხების მიმართ. მათი პატრიოტიზმი შერწყმული იყო ინტერნაციონალიზმთან, ყველა ხალხისადმი პატივისცემის გრძნობასთან.

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის განვითარების ეტაპები. ამ საკითხის გარშემო მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. უმრავლესობა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის პერიოდიზაცრას საფუძვლად უდებს ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ეტაპის შესახებ.

„განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში, — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“, — სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ:

1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე;

2. რაზნოჩინცული, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე;

3. პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, 1951, გვ. 292.

ამავე აზრს ვ. ი. ლენინი ავითარებს სტატიაში „გერცენის ხსოვნას" (1912): „ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან, მაგრამ მათ საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას" გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები" — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციული კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა ამკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს, შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას" [1].

როგორც ვხედავთ, განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის საზომად ვ. ი. ლენინი იღებს ამ მოძრაობის მონაწილეთა სიახლოვეს ხალხთან, პირველ რიგში — გლეხობასთან, როგორც ძირითად ანტიფეოდალურ კლასთან.

იმის მიხედვით, თუ რომელი კლასის წარმომადგენლები გამოდიოდნენ მთავარ პროგრესულ ძალად ამა თუ იმ ეპოქაში და რამდენად ახლოს იდგნენ ისინი ხალხთან, ლენინმა განსაზღვრა სამი ძირითადი ეტაპი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, რაც ქვაკუთხედად უნდა დაედოს რუსული ლიტერატურის პერიოდიზაციასაც, რადგანაც ლიტერატურა, როგორც დავინახეთ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

აქედან გამომდინარე, XIX ს. რუსული ლიტერატურის ისტორიაში პირველ პერიოდად პირობითად შეიძლება ჩაითვალოს საუკუნის პირველი ნახევარი, როცა მოღვაწეობდნენ დეკაბრისტები, გერცენი და თავადაზნაურთა წრიდან გამოსული სხვა მოწინავე მწერლები.

მეორე პერიოდი იწყება დაახლოებით 1856 წელს და თითქმის ორმოც წელიწადს გრძელდება. თუ პირველ პერიოდში საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოძრაობაში მთავარ როლს ასრულებდნენ თავადაზნაურთა წრიდან გამოსული მოწინავე ადამიანები, სამოციანი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 18—19.

წლებიდან[1] ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ რაზნოჩინცები (სასულიერო წოდებიდან, მოსამსახურეთა, ხელოსანთა წრიდან და, საერთოდ, დაბალი ფენებიდან გამოსული მოღვაწეები), რევოლუციონერ-დემოკრატები, მებრძოლთა მეორე თაობა, რომლის ბელადები იყვნენ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, ხოლო მათი წინამორბედი — ბელინსკი. პირველ პერიოდთან შედარებით რუსული ლიტერატურის ხალხურობამ უფრო დემოკრატიული ხასიათი მიიღო, ხოლო კრიტიკული რეალიზმი, მებრძოლი ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი გაცილებით უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა.

მესამე პერიოდში, XIX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, მრავალმილიონიანი გლეხობის ჰეშმარიტ ხელმძღვანელად გამოდის ერთადერთი ბოლომდე თანმიმდევრული რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი. რუსეთის მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რევოლუციური გზით, 1917 წელს მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა და შექმნა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

რუსი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი ქართველ და სხვა ხალხებთან. ყოველი ერის ლიტერატურა ვითარდება სხვა ხალხთა ლიტერატურასთან კავშირ-ურთიერთობაში. ამ მხრივ არც XIX საუკუნის რუსული მწერლობა წარმოადგენს გამონაკლისს.

ვითარდებოდა რა რუსულ ეროვნულ ნიადაგზე და ეყრდნობოდა რა მრავალსაუკუნოვან მდიდარ მშობლიურ ტრადიციებს, მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა შემოქმედებითად იყენებდა სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და, თავის მხრივ, თვითონ შეჰქონდა უდიდესი წვლილი კაცობრიობის კულტურის საგანძურში.

აქვე უნდა აღინიშნოს რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ურთიერთობაზე. იგი უძველეს დროში წარმოიშვა, მაგრამ განსაკუთრებით გაცხოველდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801). ქართველი ხალხი თითქმის ერთდროულად გაეცნო „ორ რუსეთს“: ერთი მხრივ, — ცარიზმის მოხელეებს, რომლებსაც აქ რუსეთიდან ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა ჩამოჰქონდათ და, მეორე მხრივ, დიდი რუსი ერის ჰეშმარიტ წარმომადგენლებს — გამოჩენილ რუს მწერლებს, მეცნიერებს, რევოლუციონერებს, რომლებიც ხალხთა განთავისუფლებისა და მეგობრობისათვის იბრძოდნენ. თუ მეფის რუსეთი

[1] სამოციან წლებად რუსეთის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ განვითარებაში გულისხმობენ არა 1860—1870, არამედ 1856—1866 წლებს.

„ხალხთა საპყრობილეს“ წარმოადგენდა, ტანჯავდა როგორც რუს, ისე იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებს და დევნიდა მათ მოწინავე მოღვაწეებს, — პუშკინის, დეკაბრისტების, ჩერნიშევსკისა და გორკის რუსეთი მათთვის წარმოადგენდა კეთილმოსურნე მეგობართა სამშობლოსა და მაღალი კულტურის უდიდეს ქვეყანას.

სავსებით ბუნებრივია, რომ მას შემდეგ რაც საქართველო უშველებელი რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა, მან განიცადა იმ პროცესების გავლენა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ცხოვრებაში. რაც უფრო ძლიერდებოდა რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობა და რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდა რუსული ლიტერატურა, მით უფრო ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა. ამ მეგობრული კავშირის განვითარებაში XIX საუკუნის მანძილზე შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება და სტადიები, რომლებიც ძირითადად ემთხვევა რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპებს.

„თქმა არ უნდა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველ მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არცერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა და საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ, აღიარებდა რა რუსული მწერლობის ცხოველმყოფელ გავლენას ქართულ ლიტერატურაზე, ილია ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად ებრძოდა ბრმა წამბაძველებსა და ეპიგონებს, რომლებიც თუთიყუშებივით იმეორებდნენ სხვის ნათქვამს. ილია მოითხოვდა რუსული მწერლობის კრიტიკულად, შემოქმედებითად*ათვისება-გამოყენებას, საკუთარი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებას. ჩვენთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ილიას სიტყვებს:

„ჩვენ, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა .გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც

შეისწავლოთ... ხოლო ყოველ სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარი მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს".

ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში

ეპოქა. ლიტერატურული მიმართულებანი. გასული საუკუნის დასაწყისიდან რუსეთში კიდევ უფრო გაღრმავდა ფეოდალური წყობილების რღვევა და გაძლიერდა კაპიტალისტური ელემენტები: საგრძნობლად განვითარდა მანუფაქტურულ-საქარხნო მრეწველობა, ვაჭრობა, გაიზარდა მუშათა და ხელოსანთა რიცხვი... ეს პროცესი იწვევდა კლასთა ბრძოლის შემდგომ გამწვავებას და მრავალ ახალ საკითხს აყენებდა რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების წინაშე.

რუსეთის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში გარდატეხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორ დიდ ისტორიულ მოვლენას: 1812 წლის სამამულო ომსა და დეკაბრისტების მოძრაობას.

სამამულო ომის დროს აშკარა გახდა, თუ რა დიდი წინააღმდეგობა იყო რუსი ხალხის გმირულ სულსა და მის მონურ მდგომარეობას შორის. რუსეთის მოწინავე წრეები, მათ შორის მომავალი დეკაბრისტები, რომლებიც გლეხობასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული იბრძოდნენ ომში, კარგად ხედავდნენ გლეხთა გმირობასა და კეთილშობილებას. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი მათ მიმართ დიდი პატივისცემით განიმსჭვალნენ და საბოლოოდ შეიგნეს, თუ რა დიდ ბოროტებას წარმოადგენდა ბატონყმობა. ამ შეგნების განმტკიცებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ რუსეთის მოწინავე წრეები საზღვარგარეთ ლაშქრობის დროს დასავლეთის ბურჟუაზიული ქვეყნების ცხოვრებას გაეცნენ, შეადარეს იგი თავიანთი სამშობლოს მდგომარეობას და კიდევ უფრო დარწმუნდნენ ფეოდალური წყობილების დრომოჭმულობაში. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის მეფე ომის შემდეგ სათანადო რეფორმებს გაატარებდა და იმ მრავალმილიონიან გლეხობას, რომელმაც სამშობლო გადაარჩინა და ევროპაც იხსნა, ბატონყმობის მძიმე უღლისაგან გაანთავისუფლებდა. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. პირიქით: გაბატონებულმა კლასებმა ომში გამარჯვება თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს, გლეხობის ექსპლუატაცია კიდევ უფრო გააძლიერეს, ხოლო ალექსანდრე I-მა ლიბერალური ნიღაბი ჩამოიხსნა, აშკარა რეაქციულ გზას დაადგა და ქვეყნის მმართვე-

ლობა თავსებელაღებულ ტირან არაკჩეევს მიანდო. ყოველივე ამან გლეხობის ახალი მღელვარება გამოიწვია; თავადაზნაურთა კლასიდან გაბოსულმა, პროგრესულად მოაზროვნე საუკეთესო ადამიანებმა კი, რადგან ზევიდან რეფორმის იმედი არ გაუმართლდათ, გადაწყვიტეს ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილება სამხედრო აჯანყების გზით მოესპოთ. ასეთი აჯანყებისათვის კი საჭირო იყო ხანგრძლივი არალეგალური სამზადისი. დეკაბრისტებმა ფარული ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს და თითქმის ათი წლის სამზადისის შემდეგ, 1825 წლის დეკემბერში[1] შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს. აჯანყება განადგურებულ იქნა მთავრობის ჯარების მიერ. ტახტზე ნიკოლოზ I ავიდა. შავბნელი რეაქცია თავის გამარჯვებას ზეიმობდა.

ეპოქის ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა მაშინდელი რუსული ლიტერატურის აღმავლობა და ხასიათი. სამამულო ომით გამოწვეულმა პატრიოტულმა თვითშეგნებამ, საზოგადოებრივი აზრის ძლიერმა განვითარებამ, დეკაბრისტთა მოძრაობამ, კლასთა ბრძოლის გამწვავებამ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს მწერლობაში. ჟურნალების ფურცლებზე და ლიტერატურულ წრეებში გაჩაღდა ძველად არნახული დისკუსიები ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის, ლიტერატურის თვითმყოფადობის, ხალხურობის, ენისა და სხვა საკითხების გარშემო. რუსეთს არ ახსოვდა აზრთა ასეთი ჭიდილი, მწერლობაში მიმართულებათა და „სკოლათა“ ასეთი სიმრავლე და სიჩქარე.

წინა საუკუნის ლიტერატურული მიმართულებებიდან ახალ ვითარებაში ზოგმა დიდი ცვლილება განიცადა, ზოგიერთი კი უახლეს მიმართულებებთან ბრძოლაში დამარცხდა და ისტორიას ჩაბარდა.

მაგალითად, ის „ორთოდოქსალური“ კლასიციზმი, რომელიც XVIII საუკუნეში ბატონობდა, ახალ პირობებში რღვევას განიცდის და თავის არსებობას ამთავრებს. მაგრამ ამ რღვევის შეღეგად იბადება ახალი მიმართულებანი, რომელთაგან ზოგი ერთმანეთის საწინააღმდეგოა. ახალ მიმართულებათა წარმომადგენლებს ძველ კლასიციზმთან მხოლოდ პირობითი და გარეგნული კავშირი აქვთ. ასეთებია, მაგალითად, ერთი მხრივ, რეაქციონერი კლასიცისტები, რომელთა სათავეში იდგა ადმირალი შიშკოვი, ხოლო მეორე მხრივ, რადიშჩევის მიმდევარი მოწინავე პოეტები, ე. წ. „სამოქალაქო კლასიციზმის“ („Гражданственный классицизм“) წარმომადგენლები. ყალიბდება აგრეთვე „ნეოკლასიციზმი“, რომლის წარმომადგენლებიც (გნედიჩი, ოზეროვი და სხვ.) მკაფიოდ ემიჯნებიან „ცრუკლასიცისტებს“.

[1] აქედან მოდის სახელწოდება „დეკაბრისტები“.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ლიტერატურაში განსაკუთრებით ძლიერად ვითარდება რომანტიზმი, მნიშვნელოვან გამარჯვებებს აღწევს აგრეთვე სატირულ-რეალისტური მიმდინარეობა.

რომანტიზმი. XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე დასავლეთ ევროპაში, ხოლო უფრო მოგვიანებით რუსეთში მძლავრად განვითარდა ახალი ლიტერატურული მიმართულება — რომანტიზმი. იგი წარმოადგენდა იმდენად რთულ და წინააღმდეგობრივ მიმდინარეობას, რომ მისი ზუსტად განსაზღვრა დღემდე ვერ მოხერხდა.

ფიქრობენ, რომ ტერმინი „რომანტიზმი" ლიტერატურაში პირველად 1654 წელს შემოვიდა, კერძოდ ინგლისელმა მოგზაურმა ეველინმა თავის ერთ-ერთ თხზულებაში იხმარა სიტყვა „რომანტული" „თვალწარმტაცის" მნიშვნელობით („რომანტული ადგილმდებარეობა"). XVIII საუკუნის ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ და მწერალმა ჟან-ჟაკ რუსომ კი ამ სიტყვით, გარდა „თვალწარმტაცისა", სხვა შინაარსიც გამოხატა — „მეოცნებეობა" („მეოცნებე გული"). შემდგომ „რომანტიზმის" შინაარსი თანდათან იმდენად გაფართოვდა, რომ მისით აღნიშნავდნენ ყოველივე მშრალის, უსულგულოს, რაციონალისტურის, კლასიცისტურის საწინააღმდეგო თვისებასა და საგანს.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში რომანტიზმი გაბატონდა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ ისეთ დარგებშიც, როგორიცაა მუსიკა, ფერწერა, არქიტექტურა, ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებანი, ფილოსოფია და სხვ.

რომანტიზმის ასეთი მასშტაბითა და სიმძლავრით განვითარების მიზეზი უნდა ვეძიოთ ეპოქის გარკვეულ პირობებში.

იმ დროს საზოგადოების თითქმის ყველა კლასი და ფენა უკმაყოფილო იყო არსებული სინამდვილით. სწორედ ეს უკმაყოფილება დაედო საფუძვლად რომანტიზმს.

ფეოდალური არისტოკრატია უკმაყოფილო იყო იმიტომ, რომ 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დაამხო მისი ძლიერება და ძველი პრივილეგიები წაართვა. რაც შეეხება ბურჟუაზიას, იგი დასაწყისში მშრომელ მასებთან ერთად, უკმაყოფილო იყო ფეოდალიზმის ბატონობით, იბრძოდა მის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ რევოლუციის შემდეგ დამყარდებოდა სრული თავისუფლება და სოციალური თანასწორობა. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ბურჟუაზიამ რევოლუცია თავის კლასობრივ-ეგოისტური მიზნებისათვის გამოიყენა, ტახტზე აცოცდა და ხალხის ექსპლუატაციას მიჰყო ხელი. ერთი მჩაგვრელი მეორემ შეცვალა. ამან წარმოშვა უკმაყოფილება მშრომელ მასებში.

ამრიგად, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ უკმაყოფილო აღმოჩნდა არა მარტო ფეოდალური არისტოკრატია, არამედ მშრომელი ხალხიც. ორივეს სურდა „საუნივერსალური სინამდვილის“ მოსპობა და „ბედნიერი ცხოვრების“ დამყარება. რეალურ სამყაროს ისინი უპირისპირებდნენ იდეალურს, გამოთქვამდნენ რა პროტესტს არსებული წყობილების წინააღმდეგ, ოცნებობდნენ სხვა, სანატრელ ცხოვრებაზე. ამიტომ რომანტიზმს საფუძვლად ედო არა მარტო უკმაყოფილება არსებულით, არამედ ო ც ნ ე ბ ა ც სასურველზე, ლტოლვა იდეალურისაკენ.

მაგრამ ეს იდეალური ყოველ კლასს თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი. ფეოდალური არისტოკრატიისათვის „აღთქმულ ქვეყანას“ წარმოადგენდა ძველი, შუასაუკუნეობრივი ცხოვრება. იგი ოცნებობდა „ბედნიერ დროზე“, როცა ცხოვრების ერთადერთი ბატონ-პატრონი თვითონ იყო. მშრომელი მასები კი ოცნებობდნენ არა იმ „მამა-პაპური“ წყობილების დაბრუნებაზე, რომლის დროსაც მათ კისერზე ფეოდალური უღელი ედგათ, არამედ ისეთ თავისუფალ მომავალზე, როდესაც ადგილი არ ექნებოდა არც ფეოდალურ და არც ბურჟუაზიულ ექსპლუატაციას. ერთი სიტყვით, იდეალურ სამყაროს პირველნი ეძებდნენ წარსულში, მეორენი კი მომავალში. პირველთა იდეოლოგია გამოვლინდა კონსერვატიულ-რეაქციულ რომანტიზმში, მეორეთა იდეოლოგია — პროგრესულ-რევოლუციურ რომანტიზმში.

რომანტიზმში რომ ორი მიმდინარეობა იყო, ეს ადრევე შენიშნეს, მაგრამ ზუსტი სახელწოდება ვერ მოუნახეს მათ. მაგალითად, ბელინსკი ხმარობს „შუასაუკუნეობრივ რომანტიზმსა“ და „ახალ რომანტიზმს“, ხოლო მაქსიმ გორკი — „პასიურ“ და „აქტიურ“ რომანტიზმს.

საკითხის გასარკვევად ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ისეთ შრომებს, როგორიცაა: „რა ვაკეთოთ?“, „ეკონომიკური რომანტიზმის დასახასიათებლად“ და სხვ. ლენინი აკრიტიკებს ფუჭ ფანტაზიორობას, რეაქციულ რომანტიკოსებს (მაგალითად, დასავლეთის ანტიბურჟუაზიულ ეკონომისტებსა და რუს ლიბერალ-ნაროდნიკებს) და მაღალ შეფასებას აძლევს რევოლუციურ ოცნებას.

მართალია, ლენინის შრომებში ლაპარაკია არა ლიტერატურულ, არამედ ეკონომიკურ რომანტიზმზე, მაგრამ მათი დედააზრი ერთია. ოღონდ ლიტერატურაში იგი სპეციფიკურ ფორმაში ვლინდება.

რომანტიზმის წარმოშობასა და მძლავრად განვითარებას ხელი შეუწყო არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, არამედ თვით ლიტერატურის განვითარებამაც. როგორც ვიცით, კლასიციზმის ხანგრძლივი ბატონობა მსოფლიო ლიტერატურაში შეცვალა სენტიმენ-

ტალიზმმა, ხოლო ამ უკანასკნელს ხშირად უწოდებდნენ „პრერომანტიზმს“, რადგანაც სწორედ მან მოამზადა რომანტიზმი. ეს სამი ლიტერატურული მიმართულება ერთმანეთს რომ შევადაროთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ რომანტიზმი მკვეთრად უპირისპირდება კლასიციმზს, მაგრამ გარკვეულად ენათესავება სენტიმენტალიზმს და ამ უკანასკნელის ერთგვარ გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს.

რომანტიზმი გადაჭრით უარყოფს კლასიცისტების დოგმატიზმსა და რაციონალიზმს, მათ მხატვრულ მეთოდსა და „კანონებს“, მათ ჟანრებსა და ენას. კლასიცისტთა სახელმწიფოებრივ კულტს რომანტიკოსებმა დაუპირისპირეს პიროვნების თავისუფლების იდეა, მშრალ განსჯას — მგრძნობიარე გული, ქალაქის მანკიერებას — სოფელი და ბუნების სიფაქიზე. ყოველივე ამით რომანტიზმი ენათესავება სენტიმენტალიზმს. მაგრამ იგი უკანასკნელთან შედარებით უფრო აქტიურ-პროტესტანტული ხასიათის მატარებელია და მრავალ ახალ თვისებას შეიცავს.

რომანტიკოსებმა წამოაყენეს შემოქმედების სრული თავისუფლების ლოზუნგი, „მხატვრული თვითნებობის“ პრინციპი: წერე არა მწიგნობრული „კანონების“ მიხედვით, არამედ ისე, როგორც შენი გული გიკარნახებსო. რომანტიკოსთა თხზულებანი გამოირჩევიან ერთგვარი სუბიექტივიზმით: მათში ყოველთვის იგრძნობა თვით მწერალი, მისი განცდები და განწყობილებანი. მთავარი გმირებიც თავიანთი ხასიათითა და იდეალებით მეტწილად თვით ავტორს მოგვაგონებენ.

ამ სუბიექტივიზმთან დაკავშირებით იცვლება ჟანრებიც. კლასიცისტური პოემების ნაცვლად იქმნება ლირიკულ-ეპიკური პოემები, რომლებშიც გარკვევით მოჩანს პოეტის „მე“; იქმნება აგრეთვე ლირიკული დრამები, ბალადები და სხვ.

კლასიცისტებისაგან განსხვავებით, რომანტიკოსთა თხზულებებს ახასიათებს გაურკვეველობა და ბუნდოვანება. ისინი რეალურს ხშირად უპირისპირებენ იდეალურს, საოცნებოს, ფანტასტიკურს, გატაცებით გვიხატავენ საიდუმლოებით მოსილ არაჩვეულებრივ გმირებს, ეგზოტიკურ პეიზაჟს, მიმართავენ დრამატულ და ბუნდოვან სიუჟეტებსა და სიტუაციებს. ერთი რომანტიკოსის სიტყვით, უმაღლეს ხელოვნებად მუსიკა უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი ადამიანს გარკვევით არაფერს ეუბნება, მაგრამ ემოციებზე მოქმედებს და განსაზღვრულ განწყობილებებს ქმნის.

თავიანთ რთულ ოცნება-განწყობილებათა გადმოსაცემად რომანტიკოსები მეტწილად მიმართავდნენ ახალ საშუალებებსა და საზღვებს, ორიგინალურ კომპოზიციურ ხერხებსა და ეპითეტებს, მუსიკალურ ჟღერადობას... ყოველივე ამით რომანტიკოსებმა გაამდიდრეს

და მრავალფეროვანი გახადეს ლიტერატურა, ხელი შეუწყვეს მის პროგრესს.

რაც შეეხება რომანტიზმის დამოკიდებულებას რეალიზმთან, რომელიც ცხოვრების სწორად ასახვას მოითხოვს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: რადგანაც რეაქციონერ რომანტიკოსთა ოცნება სინამდვილის განვითარების ობიექტურ კანონებს უპირისპირდებოდა, იგი რეალიზმის საწინააღმდეგო მიმართულებად გადაიქცა; პროგრესული რომანტიკოსები კი „რეალისტურად" მეოცნებენი იყვნენ, მათი მისწრაფებანი ცხოვრების განვითარების ტენდენციას ემთხვეოდა და ამიტომ პროგრესული რომანტიზმი რეალიზმს „დაუნათესავდა" და ლიტერატურის „მუდმივ თანამგზავრად" გადაიქცა.

ასეთია რომანტიზმი ზოგადად.

რუსეთში ამ მიმართულების ელემენტები ჩაისახა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულის სენტიმენტალისტურ ლიტერატურაში. გავიხსენოთ, მაგალითად, ნ. კარამზინის „რაისა" და „კუნძული ბორნჰოლმი". ნ. კარამზინის ხაზი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე განაგრძო და განავითარა ვ. ჟუკოვსკიმ, რომელიც რომანტიზმის მთავარ წარმომადგენლად ითვლება რუსულ ლიტერატურაში. უფრო მოგვიანებით, 1820-იანი წლებიდან მძლავრად განვითარდა რევოლუციური რომანტიზმი, რაც დაკავშირებული იყო უმთავრესად დეკაბრისტულ მოძრაობასთან.

ვ. ჟუკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება. ვასილ ანდრიას ძე ჟუკოვსკი (1783—1852) დაიბადა ტულის გუბერნიაში. მისი მამა იყო მდიდარი მემამულე ათანასე ბუნინი, ხოლო დედა — თურქი ქალი ზალხა.

ჟუკოვსკი იზრდებოდა ა. ბუნინის ოჯახში; სასწავლებლად იგი მიაბარეს ჯერ ქ. ტულის ერთ-ერთ პანსიონში, 1797 წელს კი — მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში, სადაც მან სამი წელი დაჰყო.

პანსიონის ხელმძღვანელობა მოსწავლეებს უნერგავდა ლიტერატურისადმი სიყვარულს. მოწაფეებს ჰქონდათ საკუთარი ლიტერატურული წრე. ისინი დგამდნენ სასკოლო წარმოდგენებს, უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალს. ახალგაზრდა ვ. ჟუკოვსკი აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმიანობაში.

პანსიონის დამთავრების შემდეგ (1800) ვ. ჟუკოვსკიმ თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა „მეგობრული ლიტერატურული საზოგადოება" („Дружеское литературное общество"). ეს წრე პოეტურ ინტერესთა სიფართოვით გამოირჩეოდა, მაგრამ მასში ძირითადად სენტიმენტალურ-რომანტიკული სული ბატონობდა.

1802 წელს ვ. ჟუკოვსკი დაუახლოვდა რუსული სენტიმენტალიზ-

მის მამამთავარს ნ. კარამზინს და სამუდამოდ მისი თაყვანისმცემელი გახდა. იმავე წელს მან ნ. კარამზინის ჟურნალში („Вестник Европы" — „ევროპის მოამბე") გამოაქვეყნა ნათარგმნი ელეგია „სოფლის სასაფლაო" („Сельское кладбище"). ეს იყო პოეტის პირველი სერიოზული გამოსვლა ლიტერატურულ სარბიელზე. ელეგიამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ახალგაზრდა ვ. ჟუკოვსკის სახელი გაუთქვა.

1808 წლიდან იწყება ვ. ჟუკოვსკის აქტიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა დედაქალაქში.

1812 წლის სამამულო ომმა გამოიწვია ვ. ჟუკოვსკის პატრიოტული აღგზნება. ის მოხალისედ ჩაეწერა ჯარში. ჟუკოვსკი ომის ამბებს გამოეხმაურა ცნობილი ლექსით „მომღერალი რუს მხედართა ბანაკში" („Певец во стане русских воинов"). ლექსში მომღერალი (მგოსანი, თამადა) წარმოსთქვამს გამოჩენილ რუს სარდალთა სადღეგრძელოებს, განსაკუთრებულ ქება-დიდებას ასხამს თავის სამშობლოს, სამამულო ომში სახელმოხვეჭილ გმირებს, აგრეთვე იმპერატორ ალექსანდრე პირველს და გამარჯვებას უსურვებს მათ. ამ ლექსით ვ. ჟუკოვსკიმ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა რუსეთში და მეფის სასახლის ყურადღებაც მიიქცია.

1815 წელს პოეტი სასახლეში მიიწვიეს რუსული ენის მასწავლებლად მეფის ოჯახის წევრთათვის, ხოლო 1826 წელს მას მიანდეს ტახტის მემკვიდრის (მომავალი მეფის — ალექსანდრე მეორის) აღზრდა. ასე დაიწყო ვ. ჟუკოვსკის კარიერა.

1841 წელს ვ. ჟუკოვსკიმ დაასრულა ტახტის მემკვიდრის აღზრდა, განთავისუფლდა სამსახურიდან და გერმანიაში დასახლდა. იქ 58 წლის ასაკში შეირთო გერმანელი პროფესორის ახალგაზრდა ქალიშვილი და შექმნა საკუთარი ოჯახი, რაზეც ყოველთვის ოცნებობდა.

ვ. ჟუკოვსკის 7—8 წლის ასაკიდან დაუწყია ლექსების წერა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მისი პირველი ლექსი — „მაისის დილა" („Майское утро") დაწერილია 1797 წელს. ამგვარად, ვ. ჟუკოვსკი შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს.

გასაგებია, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან 1852 წლამდე ვ. ჟუკოვსკის შემოქმედება უცვლელი ვერ დარჩებოდა. მასში ადვილად შეინიშნება რეაქციულ-მისტიკური მოტივების ზრდა და სენტიმენტალიზმიდან რომანტიზმში გადასვლის თანდათანობითი პროცესი.

„ჟუკოვსკის საჩით, — წერდა ბ. ბელინსკი, — რუსულმა ლიტერატურამ ჰპოვა ადამიანი, რომელმაც ის შუასაუკუნეობრივი რომანტიზმის საიდუმლოებებს აზიარა. კარამზინის მიერ რუსულ ლიტერატურაში შემოტანილი სენტიმენტალობის დანიშნულება იყო საზოგადოების

ვამოცოცხლება და მისი მომზადება გულითა და გრძნობით ცხოვრებისათვის. ამიტომ კარამზინის შემდეგ ჟუკოვსკის ასე მალე გამოჩენა სავსებით გასაგებია...“

„შუასაუკუნეობრივი რომანტიზმი“ არსებითად იმასვე გულისხმობს, რასაც ჩვენ „კონსერვატიულ რომანტიზმს“ ვუწოდებთ. ვ. ჟუკოვსკი ამ მიმართულების პირველი წარმომადგენელი და მამამთავარია რუსეთში. ეს იყო რუსული რომანტიზმის ადრეული ეტაპი, რომელსაც ოციანი წლებიდან „მარცხნიდან“ შეუტიეს და დაამარცხეს კიდეც ახალი, პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლებმა — დეკაბრისტებმა და მათმა თანამოაზრეებმა.

ვ. ჟუკოვსკის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: სამყარო ღმერთის მიერ ბრძნულადაა მოწყობილი. ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია და წარმავალი, იმქვეყნიური კი — მარადიული და უსასრულო; ადამიანის სხეული მოკვდავია, სული კი — უკვდავი. ადამიანის სული შეიძლება შევადაროთ იმ „აღთქმული ქვეყნისაკენ“ (საიქიოსაკენ) მიმავალ მგზავრს, რომელიც გზად ცოტა ხნით შეჩერებულა სააქაოში და ხორცი შეუსხამს. მაშასადამე, ის წუთისოფლის დროებითი სტუმარია. მიწიერი ცხოვრება მისთვის მოკლევადიანი აუცილებელი საფეხურია. თუ განგებამ მას აქ ტანჯვა და მწუხარება არგუნა, უნდა მოითმინოს, რადგანაც ამქვეყნიური ტანჯვა-წვალება საწინდარია საიქიოში ბედნიერებისა და მარადიული ნეტარებისა.

აქედან ლოგიკურად გამოდის დასკვნა: ადამიანმა, ამ ქვეყნად წუთიერი სიამოვნებისა და ბედნიერების ძებნა არ უნდა დაიწყოს. კიდევ უფრო დაუშვებელია „ღვთისაგან დაწესებული წესრიგის“ წინააღმდეგ პროტესტი და ბრძოლა. ამიტომ იყო, რომ ჟუკოვსკიმ სასტიკად დაგმო დეკაბრისტების აჯანყება.

ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ განწყობილებითაა გამსჭვალული ვ. ჟუკოვსკის მთელი პოეზია, რომელიც წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, „სულის“ ლტოლვას იდუმალი მარადიულობისაკენ, მიწიერიდან ზეციურისაკენ, რეალურიდან ირეალურისაკენ.

ვ. ჟუკოვსკის რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფცია განსაკუთრებით ნათლად აისახა მის ნაწარმოებში „თეონი და ესქინე“ („Теон и Эсхин“, 1814). ესქინე დიდხანს დაეხეტებოდა ბედნიერების საძებნელად, მაგრამ ვერ ჰპოვა იგი და იმედგაცრუებული სამშობლოში დაბრუნდა. ესქინე მიდის თავის მეგობარ თეონთან და ხედავს, რომ ის ზის ჭოხის ზღურბლზე, თეთრი მარმარილოს კუბოს წინ, რომელშიც თეონის საყვარელი არსება ასვენია. თეონი სევდითაა შეპყრობილი, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, რადგან იცის, რომ საყვარელ არსებას მხოლოდ დროებით განშორდა და კვლავ შეუერთდება

მას „იქ". თეონი ესქინეს უმტკიცებს, რომ „ჩვენ ყველაფერი მოგვცა ზეცამ" და რომ ვარამი, ლხენა — ყოველივე ერთი უმშვენიერესი ამაღლებული მიზნისაკენ მიემართება.

ამგვარად, ვ. ჟუკოვსკის შემოქმედებაში ჩვენ გვაქვს რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი იდეალურის დაპირისპირება რეალურთან, მაგრამ აქ ეს დაპირისპირება შერბილებულია, ოცნება კი — იდეალისტურ-მისტიკურ ბურუსშია გახვეული. ვ. ჟუკოვსკის რომანტიკული მუზა ნაღვლიანია, მაგრამ პოეტი თითქოს ტკბება თავის სევდით, არ ვარდება სასოწარკვეთილებაში, მით უმეტეს არასოდეს არ მიმართავს პროტესტს. მისთვის სრულიად მიუღებელია ბრძოლა, საზოგადოებრივი აქტიურობა, იგი პასიური მჭვრეტელია, მშვიდი მეოცნებე.

ამაშია მისი პოეზიის ნაკლი. ღირსება კი იმაშია, რომ რუსულ ლიტერატურას პირველად ვ. ჟუკოვსკიმ აღმოუჩინა ადამიანის „სული", პირველად შემოიტანა რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მეოცნებეობა და ინტიმურობა, ლირიზმი და ფსიქოლოგიზმი.

ვ. ჟუკოვსკის პოეზია მეტად აბსტრაქტულ-ბუნდოვანია და უალრესად მუსიკალური. ჯერ კიდევ ჟურნალისტმა ნ. პოლევოიმ შენიშნა: ვ. ჟუკოვსკი თითქოს ქნარზე უკრავს, მისი ლექსი მოგვაგონებს ტკბილხმოვან სიმღერას, ჩიტის გალობას, რომელიც მკითხველის გონებას გარკვევით არაფერს ეუბნება, მაგრამ თავისი მუსიკალობით დიდ გავლენას ახდენს მის სულზე, განწყობილებაზე, გრძნობებზე.

თუ კ. ბატიუშკოვის ლექსისათვის დამახასიათებელი იყო კლასიკური გარკვეულობა და სკულპტურულობა, ვ. ჟუკოვსკის პოეზიას ახასიათებს რომანტიკული ბუნდოვანება და მუსიკალობა. ეს ორი შესანიშნავი პოეტი აღიარებულია გენიალური ა. პუშკინის მასწავლებლებად და უშუალო წინამორბედებად.

ვ. ჟუკოვსკის მემკვიდრეობაში ორიგინალურ ნაწარმოებებს თარგმანები ჭარბობს. რუს მკითხველს პირველად ჟუკოვსკიმ გააცნო გერმანული, ინგლისური, ბერძნული, სპარსული და ინდური ლიტერატურის მრავალი ნიმუში.

უცხოურიდან ვ. ჟუკოვსკი განსაკუთრებით კარგად თარგმნიდა ისეთ თხზულებებს, „რაც ჰარმონიაში იყო მის შინაგან სულიერ განწყობილებასთან" (ბ. ბელინსკი).

ვ. ჟუკოვსკის თარგმანები მეტწილად ჩვეულებრივი თარგმანები კი არაა, არამედ მიბაძვები, გადმოკეთებული, ნახევრად ორიგინალური თხზულებები. ვ. ჟუკოვსკი ძალიან თავისუფლად ეპყრობოდა სათარგმნელ დედანს, ცვლიდა და ასხვაფერებდა მას თავისი იდეებისა და განწყობილების მიხედვით, შეჰქონდა მასში მეტი ლირიზმი და საკუთარი „მე". ასეთ თავისუფალ დამოკიდებულებას ორიგინალთან ვ. ჟუ-

კოვსკი იმით ამართლებდა, რომ, თუ „პროზის მთარგმნელი ავტორის მონაა, ლექსის მთარგმნელი მისი მეტოქეა“.

ყველაზე უფრო მკაფიოდ ვ. ჟუკოვსკის რომანტიზმის თავისებურება და მისი მთარგმნელობითი მეთოდი გამოვლინდა ბალადაში.

ავიღოთ, მაგალითად, ვ. ჟუკოვსკის პირველი განთქმული ბალადა „ლიუდმილა“ (1808). ეს გერმანელი პოეტის ბიურგერის პოპულარული ბალადა „ლენორას“ თარგმანია. ლენორა პროტესტს აცხადებს განგების წინააღმდეგ, რადგანაც მისი საქმრო, რომელიც ომში იყო წასული, უკან აღარ დაბრუნდა. და, აი, ერთხელ ღამით, როცა ლენორა ცხარე ცრემლით ტირის და ბედს წყევლის, მოულოდნელად გამოცხადდება მისი საქმრო, ლენორას ცხენზე შეისვამს და „თავისი სახლისაკენ“ (სამარისაკენ) გააქროლებს. მალე ისინი სასაფლაოს მიაღწევენ, ლენორა გულგახეთქილი ეცემა მიწაზე. ასე დასაჯა იგი ღმერთმა პროტესტის გამო.

ვ. ჟუკოვსკიმ ეს ბალადა მნიშვნელოვნად შეცვალა, „გადმოარუსულა“: ლენორას რუსული სახელი (ლიუდმილა) მისცა და რუსად აქცია, მოქმედება რუსეთში გადმოიტანა და ქალის ენერგიული პროტესტი საგრძნობლად შეარბილა. ლიუდმილა „ცათა მეუფეს“ კი არ კიცხავს, არამედ თავის უბედურებას შესჩივლებს სატრფოს დაკარგვის გამო. მიუხედავად ამისა იგი მაინც სასტიკად დაისჯება.

„განუსჯელია მოკვდავთა დრტვინვა,
მეუფე ცათა სწორად სჯის მხოლოდ;
განგებამ შენი ისმინა გმინვა,
დარეკა ზარმა, მოგეღოს ბოლო“.

როგორც ვხედავთ, „ლიუდმილას“ რომანტიკულ-მისტიკური სიუჟეტი საკმაოდ გულუბრყვილოა, მაგრამ „მაშინდელმა საზოგადოებამ შეუცნობლად იგრძნო ამ ბალადაში შემოქმედების ახალი სულისკვეთება, პოეზიის ახალი სამყარო“, იგი „სიამოვნებას ჰგვრიდა მკითხველს“ (ბ. ბელინსკი), თანაც ყველას ხიბლავდა ლექსის სიმსუბუქე და ჟღერადობა.

ვ. ჟუკოვსკიმ დიდი გავლენა მოახდინა რუსულ ლიტერატურაზე. მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, მაგრამ თუ ა. პუშკინმა და სხვა მოწინავე პოეტებმა ვ. ჟუკოვსკის ნოვატორული მიღწევები შეითვისეს და მკაცრად გაკრიტიკეს მისი მონარქისტულ-რელიგიური იდეები, ზოგიერთმა რუსმა მწერალმა სწორედ ეს მავნე იდეები შეისისხლხორცა, ვ. ჟუკოვსკის სუსტი მხარეები გაიგრძელა, მის მხატვრულ ოსტატობამდე კი ვერ ამაღლდა.

ვ. ჟუკოვსკი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ქართულ ლიტერატურაშიც, ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში მისი

ლექსები უთარგმნიათ და გადმოუკეთებიათ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ვახტანგ ორბელიანს და გრიგოლ ორბელიანს.

დეკაბრისტული ლიტერატურა. ოციანი წლების დასაწყისიდან, როგორც უკვე აღინიშნა, რუსულ ლიტერატურაში მძლავრად განვითარდა ვ. ჟუკოვსკის რომანტიზმის საწინააღმდეგო მიმართულება — პროგრესული, „ბუნტარული“, ანუ სამოქალაქო რომანტიზმი, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ახალგაზრდა ა. პუშკინისა და დეკაბრისტების შემოქმედებაში.

დეკაბრისტებმა, რომლებიც რუს რევოლუციონერთა პირველ თაობას წარმოადგენდნენ, საპატიო ადგილი დაიჭირეს რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ლიტერატურის ისტორიაში.

ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთში წინათაც გამოსულან ცალკეული მოღვაწეები (მაგ. ა. რადიშჩევი), გლეხთა მასებიც კი (გავიხსენოთ ს. რაზინისა და ე. პუგაჩოვის ხელმძღვანელობით მომხდარი ამბოხებანი), მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთეულთა ბრძოლა, ან სტიქიური მოძრაობა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და არა ორგანიზებული რევოლუციური აჯანყება არსებული წყობილების შესაცვლელად. ვ. ი. ლენინმა სამართლიანად შენიშნა, რომ „1825 წელს რუსეთმა პირველად დაინახა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა და ეს მოძრაობა წარმოდგენილი იყო თითქმის მხოლოდ თავადაზნაურობით“ [1]. ესენი დეკაბრისტები იყვნენ.

ლენინმა დეკაბრისტებს უწოდა „თავადაზნაური რევოლუციონერები“. ისინი, როგორც **თავადაზნაურები**, „საშინლად შორს იდგნენ ხალხისაგან“. ხალხის განთავისუფლებას ისინი ცდილობდნენ არა თვით ხალხთა მასების აჯანყების საშუალებით, არამედ მათი მონაწილეობის გარეშე, სამხედრო გადატრიალების გზით. ამაში მდგომარეობდა დეკაბრისტების სისუსტე, მათი მსოფლმხედველობის, პროგრამისა და ტაქტიკის კლასობრივი შეზღუდულობა. მაგრამ დეკაბრისტები იყვნენ **რევოლუციონერები**, რომლებიც იარაღით ხელში გამოვიდნენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ამაში მდგომარეობდა მათი ძალა და ისტორიული პროგრესულობა. ისინი, ვ. ი. ლენინის სიტყვით, იყვნენ თავადაზნაურთა კლასიდან გამოსული საუკეთესო ადამიანები, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის ყველაზე უფრო გამოჩენილი მოღვაწეები.

დეკაბრიზმის წარმოშობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ისტორიულ პირობებთან, კერძოდ 1812 წლის სამამულო ომთან, რო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, 1951, გვ. 319.

მელმაც ხალხში უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია და ხელი შეუწყო ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებას. დეკაბრისტები ტყუილად როდი უწოდებდნენ თავიანთ თავს სამამულო ომის შვილებს.

დეკაბრიზმი წარმოადგენდა ეპოქის ყველაზე უფრო მოწინავე პოლიტიკურ და კულტურულ ძალას. რუსეთის ეს ახალგაზრდა ავანგარდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ლიტერატურას, როგორც რევოლუციური ბრძოლის ბასრ იარაღს.

დამახასიათებელია, რომ ჩრდილოეთის ორგანიზაციას სათავეში ედგა პოეტი კონდრატი რილეევი; აჯანყების დღეს განთიადზე სენატის მოედანზე პირველი გამოვიდა მწერალი ალექსანდრე ბესტუჟევი თავისი რაზმით, ხოლო მის მხარდამხარ იარაღით ხელში იბრძოდნენ შესანიშნავი პოეტები — ვილჰელმ კიუხელბეკერი და ალექსანდრე ოდოევსკი; სამხრეთის ფარულ საზოგადოებაში დიდ როლს ასრულებდა პოეტი ვლადიმერ რაევსკი. ეს ხუთეული ყველაზე მეტადაა ცნობილი, როგორც დეკაბრისტ-ლიტერატორები, მაგრამ მათთან ერთად შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა დეკაბრისტული ორგანიზაციების ათეულობით წევრი.

ცხადია, დეკაბრისტი-მწერლები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან პოლიტიკური შეგნებულობითა და შემოქმედებითი ნიჭით; თითოეულ მათგანს გააჩნდა ინდივიდუალური თავისებურებანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველას აკავშირებდა ერთიანი იდეურ-ლიტერატურული პოზიცია, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ დეკაბრისტულ ლიტერატურაზე, როგორც ერთ, მთლიან მიმართულებაზე და გამოვყოთ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

დეკაბრისტული ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, გამოირჩევა განმათავისუფლებელი ხასიათით, რევოლუციური იდეურობით. ეს არის მისი პირველი საერთო ნიშანი. დეკაბრისტებისათვის მხატვრული შემოქმედება თვითმიზანს კი არ წარმოადგენდა, არამედ პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, არსებული წესწყობილების რევოლუციურად გარდაქმნის მძლავრ საშუალებას. მათ სასტიკად გაილაშქრეს „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგ, კატეგორიულად უარყვეს ფორმის ფეტიშიზმი და უპირატესობა ნაწარმოების საზოგადოებრივ შინაარსს მიანიჭეს. 14 დეკემბრის გმირებმა კალამი ხიშტს გაუთანაბრეს და ორივე რევოლუციის სამსახურში ჩააყენეს. მათი ლიტერატურული პროგრამა გამომდინარეობდა მათივე პოლიტიკური პროგრამიდან. დეკაბრისტების შემოქმედებითი მუშაობა უშუალო კავშირში იყო მათ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ფარულ საზოგადოებაში; მათ ახასიათებდათ რევოლუციური საქმისა და პოეტური სიტყვის განუყოფელობა.

მართალია, თავის თხზულებებში დეკაბრისტებმა ვერ გვიჩვენეს ისტორიის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა — ხალხი, მაგრამ შექმნეს ხალხის სოციალური, პოლიტიკური და ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა სახეები. ამ დადებით გმირებს და საერთოდ სამოქალაქო და საგმირო პოეზიის პროპაგანდას, რომელსაც დეკაბრისტები ეწეოდნენ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდისათვის, რუსული საზოგადოებრიობისა და ლიტერატურის განვითარებისათვის.

დეკაბრისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ჯანსაღი პატრიოტიზმი. დეკაბრისტები სამართლიანად უწოდებდნენ თავიანთ თავს „მამულის ჭეშმარიტ და ერთგულ შვილებს“ და უპირისპირდებოდნენ იმ რეაქციონერ „პატრიოტებს“, რომლებიც სამშობლოსადმი სიყვარულში გულისხმობდნენ ფეოდალური წყობილებისადმი სიყვარულს.

რაც შეეხება შემოქმედებით მეთოდს, თუმცა კ. რილეევის, ვ. კიუხელბეკერისა და სხვათა თხზულებებში კლასიციზმის ნიშნებიც საგრძნობლადაა წარმოდგენილი, მაგრამ ძირითადად ისინი რომანტიკოსები იყვნენ. დეკაბრისტების როგორც კლასიციზმი, ისე რომანტიზმი რევოლუციურ ხასიათს ატარებდა. მათი რომანტიზმი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და საერთოდ რუსეთის ცხოვრებასთან, იგი გამოხატავდა ობიექტური სინამდვილის პროგრესულ ტენდენციებს და ამიტომ რეალიზმის მიმართულებით ვითარდებოდა: დეკაბრისტული რომანტიზმი რეალიზმში გადასვლის ერთგვარ საფეხურს წარმოადგენდა.

დეკაბრისტული ლიტერატურის ეს თვისებები დამახასიათებელია არა მარტო აჯანყების წინა პერიოდის, არამედ „დეკემბრის შემდგომი“ დროის ლიტერატურისთვისაც.

კ. რილეევის ცხოვრება და შემოქმედება. დეკაბრისტული ლიტერატურის თავისებურებანი განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლინდა შესანიშნავი პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწის კ. რილეევის შემოქმედებაში.

კონდრატი თევდორეს ძე რილეევი (1795—1826) დაიბადა პეტერბურგის გუბერნიის ერთ-ერთი წვრილი აზნაურის ოჯახში. ექვსი წლის რომ გახდა, იგი სასწავლებლად მიაბარეს პეტერბურგის კადეტთა კორპუსში.

1814 წლის დასაწყისში კ. რილეევი ამთავრებს კადეტთა კორპუსს და დაუყოვნებლივ ახორციელებს თავის ოცნებას: მონაწილეობს რუსი ჯარის ლაშქრობაში დასავლეთისაკენ; ის წელიწადზე მეტს დაჰყოფს საფრანგეთში და გაიმსჭვალება რევოლუციური სულისკვეთებით.

კ. რილეევისვე აღიარებით, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას იგი პირველად ეზიარა „საფრანგეთში ლაშქრობისას 1814—1815 წლებში".

1815 წლის ბოლოს კ. რილეევი ბრუნდება სამშობლოში და თავის სამხედრო ნაწილთან ერთად იმყოფება ვორონეჟის გუბერნიაში (ქ. ოსტროგოჟსკში). მალე ის მიატოვებს სამხედრო სამსახურს და 1820 წელს ოჯახით საცხოვრებლად გადადის პეტერბურგში.

ამ ქალაქთანაა დაკავშირებული კ. რილეევის მრავალმხრივი და ინტენსიური მოღვაწეობის ბოლო ხუთი წელი. იგი უკავშირდება დეკაბრისტების მოწინავე წრეებს. ა. ბესტუჟევთან ერთად 1823 წლიდან იწყებს ალმანახ „Полярная звезда"-ს („პოლარული ვარსკვლავი") გამოცემას. იმავე წელს შედის დეკაბრისტების ჩრდილოეთის საიდუმლო ორგანიზაციაში, მალე ხდება მისი მეთაური და ენერგიულ მუშაობას აჩაღებს აჯანყების მოსამზადებლად.

კ. რილეევის ბინა პეტერბურგში გადაიქცა დეკაბრისტული მოძრაობის ხელმძღვანელ შტაბად, სადაც საჭირბოროტო საკითხების განსახილველად სისტემატურად იკრიბებოდა არალეგალური საზოგადოების აქტივი. სწორედ აქ 1825 წლის 13 დეკემბრის ღამის სხდომაზე გადაწყდა აჯანყების საკითხი.

14 დეკემბრის სუსხიან დილით კონდრატი რილეევი ერთი პირველთაგანი გამოვიდა სენატის მოედანზე, რათა ხელმძღვანელობა გაეწია ამბოხებისათვის. აჯანყების განადგურებისთანავე იგი დააპატიმრეს, პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს და 1826 წლის ცამეტ ივლისს ჩამოახრჩეს პესტელთან, კახოვსკისთან, ბესტუჟევ-რიუმინთან და მურავიოვ-აპოსტოლთან ერთად.

კ. რილეევი იყო შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე და ამავე დროს, პოლიტიკური ლირიკის ბრწყინვალე ოსტატი.

პირველად მან, როგორც პოეტმა, ყურადღება მიიქცია 1820 წელს დაბეჭდილი ლექსით „მედროვეს" („К временщику"). მართალია, ამ სატირის ადრესატის გვარი დასახელებული არ იყო, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ მასში ლაპარაკი იყო სამხედრო მინისტრ არაკჩეევზე. კ. რილეევმა ხმა აღიმაღლა ყოვლისშემძლე ტირანის წინააღმდეგ, რომელიც მეფის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და სახელმწიფოს ფაქტიური მმართველი იყო. პოეტი მას ასეთი სიტყვებით ამხელს:

„მედროვევ, ბილწო! ხარ ვერაგი და სულმდაბალი
მონარქის ფლიდი მეგობარი და ქედმაღალი,
განრისხებული ხარ ტირანი სამშობლო მხარის
და ცბიერებით მიღწეული უმაღლეს ხარისხს".

(თარგმ. შ. ჩანტლაძისა)

კ. რილეევი დასჯას გადურჩა იმიტომ, რომ თავის სატირაში არაკჩეევის ზუსტი პორტრეტი დახატა, და ეს პორტრეტი იმდენად გულშემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ არაკჩეევმა ამჯობინა მასში თავისი თავი „არ ეცნო“.

კ. რილეევის ლირიკაში გარკვეული ადგილი დაიკავა პოეტის დანიშნულების საკითხმაც. ამ მხრივ ერთგვარ საპროგრამო ლექსს წარმოადგენს ა. ბესტუჟევისადმი მიძღვნა, რომელიც კ. რილეევმა თავის პოემა „ვოინაროვსკის“ წარუმძღვარა. რილეევი თვლის, რომ პოეტი საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, რომ იგი, პირველ რიგში, კარგი მოქალაქე უნდა იყოს. „მე პოეტი კი არა ვარ, არამედ მოქალაქე“ („Я не поэт, а гражданин“), — წერდა კ. რილეევი (თუმცა იგი მოქალაქეც კარგი იყო და პოეტიც). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდნენ პოეტის დანიშნულებას სხვა დეკაბრისტებიც.

კ. რილეევი ენერგიულად უარყოფდა ყოველივეს, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა „საერთო საქმის“ ინტერესებისათვის, უარყოფდა ქალისადმი სიყვარულსაც კი.

„მე შენი სიყვარული არ მინდა, სხვა საქმეები მიცდის“, — ამბობს იგი ერთ-ერთ ლექსში („К №№“, 1825): მე არ შემიძლია სასიყვარულო განცხრომას მივცე თავი და სამარცხვინო უსაქმურობაში ჩავკლა დრო, როცა ხალხი თვითმპყრობელობის უღელქვეშ გმინავსო („Я ль буду в роковое время“, 1825).

1821 წელს კ. რილეევმა სცადა ლირიკიდან ეპოსზე გადასვლა, დაიწყო „ფიქრების“ წერა. მან შექმნა ოცდაათამდე „ფიქრი“ („Дума“), „გრძნეული ოლეგი“ („Олег вещий“), „სვიატოსლავი“, „დიმიტრი დონელი“, „კურბსკი“, „ვადიმი“, „ერმაკის სიკვდილი“ („Смерть Ермака“), „ბორის გოდუნოვი“, „ივანე სუსანინი“, „ბოგდან ხმელნიცკი“, „ვოლინსკი“ და სხვ.

უკვე ამ სათაურებიდან ჩანს, რომ „ფიქრები“ დაწერილია რუსეთის ისტორიულ მოვლენებსა და მოღვაწეებზე. მასალას თავისი ნაწარმოებებისათვის კ. რილეევი მეტწილად ნ. კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიიდან“ იღებდა, მაგრამ თავისებურად აშუქებდა მას.

„ფიქრების“ ავტორს აინტერესებდა არა იმდენად წარსული ამბები, რამდენადაც საკუთარი რევოლუციური იდეების პროპაგანდა. მას უნდოდა გმირული წარსულის მაგალითებით საბრძოლველად აღეგზნო და აღეფრთოვანებინა თანამედროვენი. რადგანაც კ. რილეევს პოლიტიკური მიზნები უფრო ამოძრავებდა, ვიდრე ისტორიული, იგი მაინცდამაინც არ ზრუნავდა ძველი ამბების ზუსტად გადმოცემა-

ზე, ისტორიული სიმართლის დაცვაზე და შუა საუკუნეების გმირებს ხშირად მიაწერდა მისთვის სასურველ თვისებებს. უპრინციპო ველმოჯა ვოლინსკისა და თვით მეფე ბორის გოდუნოვსაც კი აიდეალებს და თითქმის დეკაბრისტულ სიტყვებს ათქმევინებს. პოეტი „აუმჯობესებს“ და „ათანამედროვებს“ ისტორიას.

რუსულ ლიტერატურაში პირველად კ. რილეევმა შემოიტანა „ფიქრი“, რომელიც თავისი წარმოშობით დაკავშირებული იყო უკრაინულ ხალხურ სიმღერასთან და ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ ისტორიულ ბალადასთან.

1823 წელს კ. რილეევი წერს ახალი ჟანრის ნაწარმოებს, რომანტიკულ პოემას სათაურით „ვოინაროვსკი“. აქაც ისტორიული ამბებია გადმოცემული. ვოინაროვსკი უკრაინის ჰეტმან მაზეპას ახლო ნათესავი იყო. მათ უღალატეს პეტრე I-ს და შვეციის მეფე კარლოს XII-ს მიემხრნენ. პოლტავასთან გამარჯვების შემდეგ პეტრემ ვოინაროვსკი ციმბირში გადაასახლა. პოემაში იგი ნაჩვენებია როგორც გადასახლებული გმირი, რომელიც თავის თავგადასავალს უამბობს ციმბირში შემთხვევით შეხვედრილ მეცნიერ მილერს. ნაწარმოები ძირითადად ვოინაროვსკის აღსარებას წარმოადგენს. ავტორი თავის მთავარ გმირს აქაც საგრძნობლად აშორებს რეალურ პროტოტიპს და თავისუფლებისათვის მებრძოლ მგზნებარე პატრიოტად გვიხატავს. ვოინაროვსკის სჯერა, რომ მაზეპა შეებრძოლა პეტრეს, როგორც დესპოტს, უკრაინის დამმონებელს.

ამგვარად, სულ რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში (1820—1825) კ. რილეევმა შექმნა სამოქალაქო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები, „ფიქრები“ და პოემები, რომლებიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია რევოლუციური სულისკვეთებით და რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს რუსული საზოგადოებისა და ლიტერატურის წინსვლაში.

დეკაბრისტები საქართველოში. ჯერ კიდევ დეკაბრისტული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1816 — 1825) მეფის მთავრობა „სამხრეთ ციმბირში“ (ასე ეძახდნენ მაშინ კავკასიასა და საქართველოს) აძევებდა დეკაბრისტებსა და საერთოდ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდებს. ზოგიერთი მათგანი ნებაყოფლობითაც მოილტვოდა საქართველოსაკენ, რათა ემსახურა აქაურ მთავარმართებელთან, ა. პ. ერმოლოვთან, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოწინავე წრეებში.

დეკაბრისტებსა და მათ თანამოაზრეებს საქართველოში შემოჰქონდათ რევოლუციური იდეები, ხელს უწობდნენ რუს და ქართველ ხალხთა დაახლოებას, მათ შორის მეგობრული, კულტურული ურთი-

ერთობის განმტკიცებას; ისინი დიდი ინტერესით სწავლობდნენ საქართველოს ცხოვრებას და ასახავდნენ მას თავის თხზულებებში, რომლებიც გამსჭვალულია ჩვენი ხალხისადმი გულწრფელი სიმპათიითა და თანაგრძნობით.

ასეთ დეკაბრისტ-ლიტერატორთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვილჰელმ კარლოს ძე კიუხელბეკერი (1797—1846), პუშკინის სიყრმის მეგობარი.

დევნილი ვ. კიუხელბეკერი თბილისში 1821 წლის ბოლოს ჩამოვიდა და აქ დიდხანს დარჩენას აპირებდა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ იგი რატომღაც აქედანაც გააძევეს (გაძევების მიზეზი საბოლოოდ გარკვეული არ არის). თბილისში ვ. კიუხელბეკერი დაუახლოვდა ბევრ რუს და კავკასიელ მოღვაწეს, განსაკუთრებით ხშირად ხვდებოდა თავის ძველ მეგობარს ა. გრიბოედოვს და მისი დიდი გავლენაც განიცადა. ა. გრიბოედოვის სახელთანაა დაკავშირებული ვ. კიუხელბეკერის ანტიდესპოტური დრამა „არგივიანები“ („Аргивяне“), მრავალი ლირიკული ლექსი და რამდენიმე წერილი.

ვ. კიუხელბეკერს ეკუთვნის ლექსი „ა. ს. გრიბოედოვს ჩემი „არგივიანების“ თბილისში მისთვის გაგზავნისას“ („А. С. Грибоедову при отсылке к нему в Тифлис моих „Аргивян“, 1823“), რომელშიც პოეტი მხურვალე გრძნობით იგონებს საქართველოს, „მჭუხარე თერგს“, „ანანურის კედლებს“, თბილისს... თემები საქართველოსა და გრიბოედოვის შესახებ განუყოფლადაა წარმოდგენილი აგრეთვე ვ. კიუხელბეკერის დაუმთავრებელ პოემაში ა. გრიბოედოვის შესახებ.

დეკაბრისტების აჯანყების განადგურების შემდეგ, 1826—1829 წწ., კავკასიაში გადმოსახლებული და „გადმოყვანილი“ აღმოჩნდა 65-მდე დეკაბრისტი-ოფიცერი, აჯანყების მონაწილე სამი ათასამდე ჯარისკაცი და ამ მოძრაობასთან დაკავშირებული მრავალი მოღვაწე. გადმოსახლებულთა შორის ლიტერატორები და ჟურნალისტებიც ბლომად იყვნენ, მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ა. ბესტუჟევი და ა. ოდოევსკი, რომელთა ნიჭიერ თხზულებებში საქართველომაც პოვა ასახვა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბესტუჟევი (1797—1837) ჩრდილოეთის არალეგალური ორგანიზაციისა და აჯანყების აქტიური მონაწილე, კ. რილეევის უახლოესი მეგობარი იყო.

საქართველოში ა. ბესტუჟევი ციმბირიდან გადმოიყვანეს 1829 წელს ჯარისკაცად (ციმბირში მან სამი წელი გაატარა გადასახლებაში). კავკასიაში იგი დიდ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, სამინელ პირობებში ცხოვრობდა..

მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, „სახელმწიფო დამნაშავე“, დევნილი სალდათი ა. ბესტუჟევი არნახული დაძაბულობით და მტკიცე

შემოქმედებითი გატაცებით ქმნიდა თავის შესანიშნავ თხზულებებს. 1830 წლიდან, როცა მან ა. მარლინსკის ფსევდონიმით ბეჭდვის უფლება მოიპოვა, სულ რაღაც ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში დაწერა და გამოაქვეყნა ათეულობით მოთხრობა და ნარკვევი, რომლებითაც მთელი საზოგადოება მოხიბლა და დაატყვევა. მარლინსკის სახელი მაშინ ყველა მკითხველს პირზე ეკერა. „მარლინიზმი“ ეპოქის ნიშნად იქცა.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ა. მარლინსკის „ამალათ-ბეგი“ (1832), „მოლა-ნური“ (1836) და სხვა კავკასიური ნაწარმოებები.

ა. ბესტუჟევ-მარლინსკი კავკასიის, საქართველოს აღტაცებული თაყვანისმცემელი იყო. აქაურ დიდებულ ბუნებასა და თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი ხალხის ცხოვრებაში მან პოვა თავისი მეამბოხე-რომანტიკული მუზის დაუშრეტელი წყარო. „სამხრეთ ციხეებიში“ ჩამოსვლისთანავე ის ხარბად დაეწაფა ამ წყაროს, ახლოს გაეცნო კავკასიელთა ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, ჩასწვდა მათ სულიერ განწყობას, ფსიქიკას, შეისწავლა მათი ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ენა და ყოველივე ეს უხვად გამოიყენა თავის თხზულებებში.

ა. ბესტუჟევის ბობოქარ ტემპერამენტსა და მეამბოხე რომანტიკულ სულს განსაკუთრებით ხიბლავდა „მჭუხარე თერგი“ დარიალის ხეობაში“, რომლის შესანიშნავი რომანტიკული სურათი მან დაგვიხატა თავის „ამალათ-ბეგში“.

ნარკვევში „გზა ქალაქ კუბამდე“ („Путь до города Кубы“, 1836) მწერალმა იშვიათი ოსტატობით აღწერა ალაზნის ველის თვალწარმტაცი ხედი და მისი მზერით გამოწვეული საკუთარი განცდები.

დაუვიწყარებელ რომანში „ვაჭიმარი“ ა. ბესტუჟევმა მხატვრულად აღწერა რუსეთ-თურქეთის ომის ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდი: ახალციხის ციხე-სიმაგრის განთავისუფლება თურქ დამპყრობთაგან 1828 წლის აგვისტოში.

1837 წელს ციმბირიდან საქართველოში რიგით ჯარისკაცად გადმოიყვანეს დეკაბრისტი ალექსანდრე ივანეს ძე ოდოევსკი (1802—1839), ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩენილი წევრი და აჯანყების აქტიური მონაწილე. მისი პოეტური ნიჭი საპყრობილესა და კატორღაში გაიშალა. ა. ოდოევსკიმ 1825 წლის შემდეგდროინდელ რეაქციულ ეპოქაში გრძნობით უმღერა იმ მაღალ იდეალებს, რომელთა განსახორციელებლად აღდგნენ 14 დეკემბრის გმირები.

საქართველოში ა. ოდოევსკი დაუმეგობრდა მ. ლერმონტოვს, რომელიც ასევე გადმოსახლებული იყო (ისინი ერთ პოლკში მსახურობ-

დნენ კახეთში). შემონახულია ცნობები, რომ თბილისში ა. ოდოევსკი ხშირად ნახულობდა ა. გრიბოედოვის საფლავს და მრავალი ლექსი მიუძღვნა როგორც დიდი დრამატურგის ხსოვნას, ისე საქართველოს. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ლექსების დიდმა ნაწილმა ჩვენამდე საერთოდ ვერ მოაღწია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში უაღრესად გულთბილად მიიღეს ა. ოდოევსკი, როგორც მათი დაღუპული სიძის ა. გრიბოედოვის სიყვარულის მეგობარი და ნათესავი, ჯარისკაცისფარაჯიანი რუსი პოეტი ქართველი პოეტისა და გენერლის ხშირი სტუმარი ყოფილა და მათ შორის შემოქმედებითი მეგობრობაც დამყარებულა. ა. ოდოევსკის დაუწერია აღმოსავლური ალეგორიული ხასიათის ლექსი „ბულბული და ვარდი" („Соловей и роза"), ა. ჭავჭავაძეს იგი ქართულად გადმოუთარგმნია. მისი ქალიშვილები კი თურმე ხშირად მღეროდნენ ამ ლექსს (ალბათ. ა. ოდოევსკის თანდასწრებით). ამას მოწმობს, სხვათა შორის, ნიკ. ბარათაშვილის ლექსი „თავადის ჭ[ავჭავა]ძის ასულს ე[კატერი]ნას" (1839), რომელშიც ასეთი სტრიქონები გვხვდება:

მახსოვს სიამით.
ოდეს ტკბილი ხმით
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,
პირმცინარითა, სინარნარითა
მგოსნის ყარიბს გულს ესხივფინარე.

მეტად საინტერესოა ამ სტრიქონებისადმი მიწერილი ნიკ. ბარათაშვილის შენიშვნა: „ბულბული და ვარდი" ლექსია სამღერალო ნათარგმნი რუსულიდან თ[ავად]ის ჭავჭავაძისაგან".

საფიქრებელია, რომ ნიკ. ბარათაშვილი ა. ჭავჭავაძის ოჯახში არა მარტო ისმენდა დეკაბრისტის ლექსს, არამედ თვით მასაც ხვდებოდა.

1838 წელს ა. ოდოევსკიმ დაწერა შესანიშნავი ლექსი „საქართველოს დაქორწინება რუსეთის სამეფოსთან" („Брак Грузии с русским царством"), რომელშიც ალეგორიულ ფორმაში მოგვცა ორი ქვეყნის მეგობრობის იდეა.

ამგვარად, დეკაბრისტულ ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, — როგორც აჯანყებამდე, ისე 1825 წლის შემდეგ, — არა მარტო რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მხატვრული კულტურის განვითარებისათვის, არამედ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის პროგრესისათვის, ორი მოძმე ხალხის ურთიერთგაცნობისა და დაახლოებისათვის. დეკაბრისტებისა და მათი თანამოაზრე რუსი პოეტების წყალობით „სამხრეთ ციმბირი" მკითხველთათვის გადაიქცა იმ საყვარელ და საოცნებო

ქვეყნად, რომლის დიდებული ბუნება საყოველთაო აღტაცებას იწვევდა, ხოლო იქ მცხოვრებნი — გულწრფელ სიმპათიას და თანაგრძნობას.

რეალიზმი. ლათინურ ენაზე realis ნიშნავს ნამდვილს, მართალს, ნივთიერს. რეალიზმს უწოდებენ ისეთ შემოქმედებით მეთოდს, რომელიც მიისწრაფვის სინამდვილის მართლად, ობიექტურად ასახვისაკენ მხატვრულ სახეებში, ცხოვრების კონკრეტული მოვლენების მხატვრულად განზოგადებისაკენ ტიპიურ ხასიათებში. ენგელსის თქმით, რეალიზმს ახასიათებს „გარდა დეტალების სიმართლისა, ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში გადმოცემის სისწორე".

ეს იმას ნიშნავს, თითქოს სინამდვილის ტიპიური სახეები და მოვლენები მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებაში აისახება. სრულებითაც არა, იგი თავისებურად აისახება ყველა მიმართულების ხელოვნებაში, რადგანაც ყოველგვარი შემოქმედების წყაროსა და შინაარსს ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს რეალური ცხოვრება. მაგრამ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს „რეალური და რეალისტური". რეალურობა საერთოდ ადამიანის შეგნების დამახასიათებელი თვისებაა და იგი ყოველგვარ ხელოვნებაში ვლინდება. რეალურ სინამდვილეს გარკვეული სიმართლით ასახავდნენ ანტიკური ეპოქის მწერლებიც, კლასიცისტებიცა და სენტიმენტალისტებიც, მაგრამ ასახავდნენ არა რეალისტური მეთოდით, არამედ კლასიცისტური, სენტიმენტალისტური, რომანტიკული და სხვა მეთოდებით.

რეალიზმი, ანუ რეალისტური მეთოდი გულისხმობს სინამდვილის ყველაზე უფრო ტიპიური მოვლენების ისეთ ფორმებში ჩვენებას, რომლებიც თვით ამ სინამდვილეს ახასიათებს. მ. გორკის განსაზღვრით, რეალიზმი წარმოადგენს „სინამდვილის ობიექტურ გამოსახვას, რომელიც ცხოვრების მოვლენების, ადამიანთა ურთიერთობისა და ხასიათთა ქაოსიდან ამოიღებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს... და მათგან შექმნის ცხოვრების სურათებს, ადამიანთა ტიპებს. ონეგინის სახით ჩვენ ვხედავთ 20-იანი წლების მთელი აზნაურული ახალგაზრდობის ჩვევების, აზრების, გრძნობების გამოსახვას. საეჭვოა, სინამდვილეში ეარსება ადამიანს, რომელშიც შეერთებული ყოფილიყო ყველაფერი ის, რაც პუშკინმა თავის ონეგინში ჩააქსოვა, მაგრამ უეჭველია, რომ ონეგინის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა ამ წრეში არსებულ ადამიანებს".

თუ კლასიცისტებსა და რომანტიკოსებს აინტერესებდათ მეტწილად არაჩვეულებრივი, იშვიათი ამბები და გმირები, რეალისტის ყურად-

ლების ცენტრშია ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი, ჩვეულებრივი მოვლენები და ადამიანები. რეალიზმმა გადალახა კლასიციზმის სქემატურობა და დოგმატიზმი, ისევე როგორც სენტიმენტალიზმ-რომანტიზმის გადაჭარბებული მგრძნობელობა და სუბიექტივიზმი. რეალისტი ყველაზე უფრო ობიექტურად და ღრმად ასახავს ცხოვრების ტიპიურ მოვლენებს, ქმნის სინამდვილის „მხატვრულ სახეს". აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დიდ რეალისტთა შემოქმედებაში რეალიზმი და რომანტიზმი ხშირად ერთმანეთთან ორგანულადაა შერწყმული.

ნათქვამიდან ცხადია, რომ რეალიზმი ლიტერატურას ოდითვე კი არ ახასიათებდა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ იგი წარმოიშვა საზოგადოებრივ-ლიტერატურული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მკვლევართა დიდ ნაწილს ასეთ ეტაპად მიაჩნია XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნა. თავის მხრივ რეალიზმმაც, როგორც შემოქმედებითმა მეთოდმა, რამდენიმე საფეხური განელო. რუსულ ლიტერატურაში მისი ნიშნები გამოჩნდა ჯერ კიდევ ფონვიზინის, რადიშჩევისა და XVIII საუკუნის სხვა მწერალთა თხზულებებში, შემდეგ ახალი ძალით იჩინა თავი კრილოვის იგავებსა და გრიბოედოვის კომედიაში, მაგრამ განსაკუთრებით სრულყოფილად და მკაფიოდ რეალისტური მეთოდი გამოვლინდა პუშკინის შემოქმედებაში დაახლოებით XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან (თუმცა თვით ტერმინი „რეალიზმი" რუსულ კრიტიკაში გავრცელდა მოგვიანებით — გასული საუკუნის სამოციან წლებში).

რუსულ ლიტერატურაში რეალიზმი თავიდანვე მამხილებელ ხასიათს ატარებდა და ამიტომ უწოდებენ მას კრიტიკულ რეალიზმს, მაგრამ დასაწყისში იგი ერთგვარად შეზღუდული იყო, შემდგომ კი თვითმპყრობელური რუსეთის კრიტიკა კიდევ უფრო გაღრმავდა და ახალ გამარჯვებებს მიაღწია შჩედრინის, ნეკრასოვის, ჩერნიშევსკისა და სხვა დიდ სამოციანელთა შემოქმედებაში, ლევ ტოლსტოის და სხვა რუსი კლასიკოსების გენიალურ ქმნილებებში.

მართლად ასახავდნენ რა მაშინდელი შავბნელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, რუსული კრიტიკული რეალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები ამხელდნენ დრომოჭმულ წყობილებას, ხელს უწყობდნენ მის ნგრევას, მაგრამ ისინი მარტო ძველის უარყოფით არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ ქადაგებდნენ მოწინავე დადებით იდეებს და გვიხატავდნენ ახალ გმირებს, თუმცა ეს ახალი, პოზიტიური, დადებითი კრიტიკულ რეალიზმში მოცემული იყო შედარებით სუსტად და აბსტრაქტულად. ეს სისუსტე რეალიზმმა გადალახა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე — XX საუკუნის დასაწყისში. ამ

საფეხურზე წარმოიშვა სოციალისტური რეალიზმი, რომელსაც ახასიათებს ცხოვრების სიმართლით ასახვა მის რევოლუციურ განვითარებაში და მშრომელთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. სოციალისტური რეალიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო. ერთი მხრივ, საბრძოლო ასპარეზზე ახალი კლასის — პროლეტარიატის გამოსვლამ, სოციალისტური თეორიის შეერთებამ მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან და, მეორე მხრივ, თვით კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურის განვითარებამ.

ი. კრილოვის მოღვაწეობა XIX საუკუნეში. ივანე ანდრიას ძე კრილოვი (1769—1844) დემოკრატიული წრეებიდან იყო გამოსული, ის ადრე დაობლდა და ბავშვობა-ყრმობა სიღატაკეში გაატარა. 14—15 წლის ასაკიდან კრილოვმა დაიწყო კომედიების წერა და სატირული ჟურნალების გამოცემა, რომლებშიც მკვეთრად გამოვლინდა მისი შესანიშნავი ნიჭი, ოპოზიციური დამოკიდებულება გაბატონებული კლასების მიმართ და გულწრფელი თანაგრძნობა ჩაგრულთადმი. სწორედ ამან განაპირობა როგორც ახალგაზრდა მწერლის პოპულარობა XVIII საუკუნის მკითხველთა შორის, ისევე მისი დევნა და შევიწროება მმართველი წრეების მხრივ.

1806 წლიდან ი. კრილოვმა ხელი მიჰყო იგავების წერას. მთელი მისი შემდგომი ლიტერატურული მოღვაწეობა ამ ჟანრით შემოიფარგლა. იგავმა დაჩრდილა კრილოვის დრამატურგიული და საჟურნალო თხზულებები. რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა როგორც შეუდარებელი მოიგავარაკე.

თავის სიცოცხლეში კრილოვმა სულ გამოსცა ცხრა კრებული, რომლებშიც ორასამდე იგავია შესული. აქედან უმნიშვნელო ნაწილი ნასესხებია ეზოპედან, ლაფონტენიდან და სხვა მწერლებიდან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვისი იგავებიც კრილოვს ისე მოხდენილად აქვს გადმოკეთებული და რუსეთის სინამდვილესთან, რუსი ხალხის ზნე-ჩვეულებებთან შეფარდებული, რომ ისინი დიდად არ განსხვავდებიან კრილოვის ორიგინალური არაკებისაგან.

კრილოვის იგავების ღირსება მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი „ღვარძლიან სატირას" წარმოადგენენ, არამედ იმაშიც, რომ ისინი გამოირჩევიან რეალიზმით, ხალხურობითა და წმინდა რუსული ეროვნული სპეციფიკით. მათში შესანიშნავი სიმართლით, სისადავითა და მხატვრული ძალით აისახა რუსი ხალხის ყოფა ღა ხასიათი, მისი ბუნება და სიბრძნე.

კრილოვმა მშობლიურ მწერლობას განსაკუთრებული რუსული ელფერი მისცა, მას შესწევდა საგნების წმინდა რუსულად დანახვისა და მათი სასაცილო მხარეების მარჯვედ, სხარტად და თავისუფლად

გადმოცემის შესანიშნავი უნარი. ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში ამბობდნენ: კრილოვის იგავებში დათვი — რუსული დათვია, ქათამი — რუსული ქათამიო.

მართლაც, ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს წარმომადგენლები, კრილოვს დახატული აქვს რუსულ ხალხურ შემოქმედებაში გავრცელებულ წარმოდგენათა შესაბამისად. გველი გაუტანელია, მელია — ცბიერი და მატყუარა, მგელი — მტაცებელი და გაუმაძღარი, დათვი — ტლანქი, ღორი — უმადური, ფუტკარი — შრომისმოყვარე, ცხვარი — დაჩაგრულ-უწყინარი და ა. შ. ცხადია, ფლორასა და ფაუნას კრილოვი მიმართავს ადამიანთა დასახასიათებლად. ამ შემთხვევაში წერალი ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ ხერხს იყენებს, თუმცა ზოგიერთ იგავში ადამიანებიც გამოჰყავს.

კრილოვის თითოეული იგავი წარმოადგენს ლექსად დაწერილ მეტად მცირე მოთხრობას, ანუ სცენას, რომელშიც მოქმედება სწრაფად ვითარდება. იგი ჩვეულებრივ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში მოცემულია „მორალი“, ანუ ის დიდაქტიკური აზრი, რომელსაც მწერალი ქადაგებს, მეორეში კი — ამ აზრის საილუსტრაციო ალეგორიული მოთხრობა. ხშირად ავტორს „მორალი“ ბოლოში გადააქვს და მას დასკვნის სახით იძლევა, ზოგჯერ კი მხოლოდ ამბავს მოგვითხრობს, რადგანაც იქიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა და მასზე მითითება საგანგებოდ საჭირო აღარაა.

კრილოვის იგავ-არაკებს თემატიკის მიხედვით ჩვეულებრივ სამ ჯგუფად ყოფენ (ცხადია ეს დაყოფა პირობითია):

1. სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე;
2. 1812 წლის სამამულო ომზე;
3. ზნეობრივ-ფილოსოფიურ და საყოფაცხოვრებო თემატიკაზე.

კრილოვს ყოველთვის აინტერესებდა და აღელვებდა საჭირბოროტო სოციალურ-პოლიტიკური საკითხები.

სასტიკი ცენზურის პირობებში კრილოვი თავს ისე გრძნობდა, როგორც მის იგავში აღწერილი ბულბული, რომელიც კატამ დაიჭირა, „კლანჭები მაგრად მოუჭირა“ და უთხრა — იგალობეო.

„მაგრამ ბულბული კრთოდა, კუთავდა,
კატის კლანჭებში ძლივსღა სუნთქავდა“.
(თარგმ. რაფ. ერისთავისა).

ცენზურის კლანჭებში მყოფი მწერალი მაინც ახერხებდა ეზოპური, ქარაგმული ენით „ბიწიერების წიწკნას“, — როგორც თვითონ ამბობდა.

კრილოვი დასცინის თავადაზნაურობის პარაზიტობასა და ყოყოჩობას და მათ უპირისპირებს მშრომელ გლეხობას, რომელსაც ყოველთვის დიდი თანაგრძნობითა და სიმპათიით გვიხატავს.

მაგალითად, იგავში „ფოთლები და ფესვები“ („Листы и корни“), სადაც ფოთლები თავადაზნაურობის სიმბოლოა, ფესვები კი — გლეხობისა, მოცემულია მათ შორის გამართული დიალოგის ცოცხალი სცენა. ფოთლები ყოყოჩობენ თავიანთი სიმშვენიერით, რაზეც ფესვები უპასუხებენ: „ჩვენ რომ არ ვიყოთ, აქამდე არ შეგრჩებოდათ სულიო“. ჩვენ უხმოდ, უჩინრად გასაზრდოებთ და თქვენ მხოლოდ იმიტომ არსებობთ, თანაც სილამაზით ყოყოჩობთ და ამპარტავნობთო.

ანალოგიურ სოციალურ თემას ეხება იგავი „ბატები“ („Гуси“), სადაც თავადაზნაურობა წარმოდგენილია უგუნურ ტრაბახა ბატებად, რომელთაც თავი მოაქვთ წარჩინებული წინაპრებით, თვითონ კი არაფრის გამკეთებლები არ არიან და „მხოლოდ ცეცხლზე შესაწველად ვარგიან“.

განსაკუთრებით ბევრი იგავ-არაკი უძღვნა კრილოვმა პოლიტიკურ საკითხებს. ის ხშირად დასცინის და ამხელს მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებს, ნიღაბს ხდის ხელისუფალთა ძალმომრეობასა და თავგასულობას, ჩინოვნიკების უკანონობასა და მტაცებლობას, მოსამართლეთა მექრთამეობასა და უსამართლობას.

მმართველთა მთელი ხროვა მშრომელ გლეხობას კისერზე აზის და უმოწყალოდ ყლეფს (იგავი „ნადირთა ჭირი“ — „Мор зверей“).

ფიქრობენ, რომ იგავში „კვარტეტი“ სასაცილოდაა აგდებული სახელმწიფო საბჭო, მისი ოთხი დეპარტამენტით, რომლებშიც გონებაშეზღუდული მოხელეები „მოღვაწეობდნენ“:

„დათვს ეჭირა ღაირა,
მაიმუნს ჭიანური,
სალამური დიდყურას
და ბეკეკას ჩანგური“.
(თარგმ. ა. წერეთლისა).

არც ერთმა მათგანმა დაკვრა არ იცოდა და ამიტომ მხოლოდ გულშემზარავი „ბრუხუნ-ჭუჭყუნი“ ისმოდა.

კრილოვმა გვიჩვენა, რომ ხალხის ბედს განაგებდნენ ბრიყვი და მტაცებელი მმართველები, რომ მათ ხელში იყო ძალაუფლებაც და კანონ-სამართალიც, რომელსაც ისინი ბოროტად იყენებდნენ.

როცა ნადირთა მთავრობამ შეიტყო, რომ მგლები მეტისმეტად ავიწროებდნენ და მუსრს ავლებდნენ საწყალ ცხვრებს, მათ დასაცავად

შექმნა საბჭო, რომლის შემადგენლობაში იგივე მგლები შეიყვანა („მგელი და ცხვრები").

სასამართლოში გამეფებულ უკანონობასა და უსამართლობას გვიხატავს კრილოვი აგრეთვე იგავებში „სოფლელები და მდინარე" („Крестьяне и река"), „გლეხი და ცხვარი" („Крестьянин и овца"), „მელია და მაჩვი" („Лисица и Сурок") და სხვა.

კიცხავს რა ძალმომრეობასა და უსამართლობას, ხალხის ჩაგვრადამონებას, თავაშვებული ლომების, მგლების, მელიებისა და სხვა მტაცებელთა სისაძაგლესა და მუხანათობას, მწერალი ყოველთვის გამოდის ჩაგრულთა და დევნილთა დამცველად, იგი დიდი თანაგრძნობითა და სიმპათიით გვიხატავს მშრომელ ადამიანებს, უწყინარ ცხვრებსა და დევნილ მტრედებს. კრილოვის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის მაღალი იდეებით.

ცნობილია, რომ 1812 წლის სამამულო ომმა რუს ხალხში უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია და ხელი შეუწყო ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების გაძლიერებას, რაც ნათლად გამოვლინდა აგრეთვე მრავალრიცხოვან ლიტერატურულ ნაწარმოებებში. კრილოვიც აქტიურად გამოეხმაურა თავისი დროის ამ დიდ ისტორიულ მოვლენას. მან არა ერთი იგავი დაწერა სამამულო ომის თემაზე.

ჯერ კიდევ ომის დასაწყისში კრილოვი წერს „გაყოფას" („Раздел"), რომელშიც მოგვითხრობს, თუ როგორი ჩხუბი და დავა ჰქონდათ ჩარჩ-ვაჭრებს იმ დროს, როცა მათ საერთო სახლს ხანძარი სწვავდა.

რუსეთის მმართველი წრეები შეცდომად თვლიდნენ მთავარსარდალ კუტუზოვის გადაწყვეტილებას მოსკოვის დატოვების შესახებ, კრილოვი კი მას ამართლებს («Вандалам новым сеть поставил и на погибель им Москву оставил»). გადამწვარ მოსკოვს მოსახლეობა ტოვებს, მაგრამ ზოგიერთი ანგარებიანი ადამიანი დედაქალაქში რჩება იმ იმედით, რომ მტერთან საერთო ენა გამონახოს და შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სწორედ ასეთი ადამიანია გამოყვანილი ყვავის სახით იგავში „ყვავი და ქათამი".

დამპყრობლებისათვის მოსკოვი ერთგვარი ხაფანგი აღმოჩნდა. ნაპოლეონმა თავისი დამარცხების მოახლოება იგრძნო და მთავარსარდალ კუტუზოვს საზავო მოლაპარაკება შესთავაზა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ამ ამბავს კრილოვი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა იგავით „მგელი საძაღლეში" („Волк на псарне"), რომელშიც ნაპოლეონი წარმოდგენილია ვერაგი მგლის სახით, კუტუზოვი კი ჭკვიანი და გამოცდილი მწყემსის სახით.

ეს არაკი კრილოვმა კუტუზოვს გაუგზავნა. მთავარსარდალმა კი იგი თავის ოფიცრებს წაუკითხა. ნაწარმოები სწრაფად გავრცელდა საზოგადოებაში და უდიდესი პოპულარობა მოიპოვა.

კრილოვის იგავ-არაკებში ბრწყინვალედაა გაშუქებული ბევრი ზოგადსაკაცობრიო და საყოფაცხოვრებო საკითხი. განსაკუთრებით ხშირად წერდა კრილოვი შრომის როლზე საზოგადოების განვითარებაში.

კრილოვი დასცინის უსაქმურ ჭრიჭინასა („ჭრიჭინა და ჭიანჭველა“) და ბუზებს („ფუტკარი და ბუზი“), პარაზიტ ობობასა („ობობა და ფუტკარი“) და სხვა უსარგებლო არსებათ, რომელთაც უპირისპირებს შრომისმოყვარე ფუტკარს.

კრილოვი ქებათაქებას ასხამს უანგარო შრომას, საზოგადოებისა და მომავალი თაობის საკეთილდღეო მოღვაწეობას („მოხუცი და სამი ახალგაზრდა“).

მწერალი ქადაგებს ჯანსაღ პატრიოტულ, ჰუმანურ იდეებს და ამავე დროს ამხელს და დასცინის ადამიანთა ისეთ ნაკლოვანებებსა და მანკიერებას, როგორიცაა მლიქვნელობა და ლაქიობა, სიცრუე და ტრაბახი, ანგარება, უმადურება და სხვა („გუგული და მამალი“, „ბუზი და მგზავრი“, „მოიჯარადრე და ხარაზი“, „ღორი მუხის ქვეშ“ და სხვ.).

საერთოდ კრილოვის იგავები — ეს არის ყოველი სისაძაგლის დაუნდობელი მხილება და ბრძნულ აზრთა დაუშრეტელი წყარო.

კრილოვი იყო ცხოვრებისა და ადამიანის ფსიქოლოგიის საუკეთესო მცოდნე, ღრმად მოაზროვნე და დაკვირვებული ადამიანი, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული პოეტი. ყოველივე ამან დიდი იგავთმწერლის სახელი უკვდავყო ისტორიაში, ხალხის გულში.

ა. ს. გრიბოედოვი

დიდი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი ა. გრიბოედოვის ტალანტს თვლიდა რუსული სულის ყველაზე მძლავრ გამოვლინებად. ა. გრიბოედოვში მართლაც ბრწყინვალედ გამოვლინდა რუსი ხალხის გენია და მაღალი სულიერი თვისებები. ის იყო ენციკლოპედიურად განათლებული, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული დრამატურგი და პოეტი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, ჩინებული მუსიკოსი და მეცნიერი. ყველაზე მეტად კი გრიბოედოვს მხატვრული ლიტერატურა უყვარდა.

ცხოვრება და მოღვაწეობა. ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის (1795—1829) ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური თვითშეგნების საწყისოვან ეპოქასთან — 1812 წლის სამამულო ომისა და დეკაბრისტების ეპოქასთან. იგი დაიბადა მოსკოვში, საშუალო შეძლების მემამულის ოჯახში. ბავშვობიდანვე მან ჩინებული განათლება მიიღო და, უკვე თერთმეტი წლის ასაკში მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა. ნიჭიერი ყმაწვილი ხარბად დაეწაფა სწავლას. მან დაამთავრა სიტყვიერებისა და იურიდიული ფაკულტეტები, რის შემდეგ განაგრძო ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლა. ა. გრიბოედოვი გულმოდგინედ ეუფლებოდა მეცნიერების მრავალ დარგს. მან კარგად იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები (უფრო გვიან იგი დაეუფლა არაბულს, სპარსულს და სხვა ენებს). უდიდესი გატაცებით ემზადებოდა სერიოზული მეცნიერული მოღვაწეობისათვის..

მაგრამ, როდესაც 1812 წლის სამამულო ომი დაიწყო, ა. გრიბოედოვმა თავის პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნია სამხედრო სამსახურში შესულიყო და გარკვეული წვლილი შეეტანა სამშობლოს დაცვაში. მართალია მან ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო, მაგრამ სამამულო ომის ამბებმა, რუსი ხალხის სახელოვანმა გამარჯვებამ უდიდესი როლი შეასრულა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მისი პატრიოტული და რევოლუციური შეხედულებების ფორმირებაში. იმ დროს ა. გრიბოედოვი განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჭვალა რუსი გლეხის მიმართ, რომელმაც სამშობლო განსაცდელს გადაარჩინა, თვითონ კი კვლავ მემამულეებისა და მოხელეების უღელქვეშ ღაფავდა სულს. დარჩენილია ა. გრიბოედოვის ტრაგედიის „1812“-ის გეგმა და ნაწყვეტი, სადაც მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ყმა გლეხი, რომელიც იშვიათ გმირობას გამოიჩენს სამამულო ომში, მაგრამ ომის შემდეგ უხეში მებატონის ტირანიის მსხვერპლი გახდება.

ომის შემდეგ ა. გრიბოედოვი ცხოვრობს პეტერბურგში. ა. პუშკინთან და მომავალ დეკაბრისტ ვ. კიუხელბეკერთან ერთად იგი მსახურობს საგარეო საქმეთა კოლეგიაში (1817 წლიდან). ეს პერიოდი, როგორც ვიცით, იყო პეტერბურგში დეკაბრისტული მოძრაობის დასაწყისი. ა. გრიბოედოვი იწრთობოდა რევოლუციური პეტერბურგის „ვულკანურ ატმოსფეროში“, მეგობრობდა დეკაბრისტებთან და იზიარებდა მათ რევოლუციურ იდეებს. ა. გრიბოედოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებაში. მის მიერ დაწერილი და გადმოთარგმნილი კომედიები

იბეჭდებოდა ცალკე წიგნებად და იდგმებოდა პეტერბურგის სცენაზე.

სწორედ ამ დროს დანიშნეს გრიბოედოვი რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად სპარსეთში, რის გამოც მას პეტერბურგის დატოვება მოუხდა.

1818 წლის 21 ოქტომბერს ა. გრიბოედოვი სამხედრო გზით ჩამოვიდა თბილისში და აქ სამ თვეს დარჩა, რის შემდეგ გაემგზავრა სპარსეთს. მაშინ მწერალმა პირველად ნახა საქართველოს დედაქალაქი და ძალიან მოეწონა იგი. სპარსეთში მას გული არ უდგებოდა. სამსახურის საქმეებზე ა. გრიბოედოვი დროგამოშვებით ჩამოდიოდა საქართველოში, ხოლო 1821 წლის ნოემბრიდან მთლიანად თბილისში გადმოსახლდა და მთავარმართებლის, გენერალ ა. ერმოლოვის დიპლომატიურ მდივნად დაიწყო მუშაობა (1822 წლის თებერვლიდან). აქ წერდა იგი თავის უკვდავ კომედიას „ვაი ჭკუისაგან“.

1823 წლის მარტში ა. გრიბოედოვს ხანგრძლივი შვებულება მისცეს. იგი მოსკოვ-პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ორ წელზე მეტხანს დაჰყო. იქ მან კიდევ უფრო გააფართოვა და განამტკიცა მეგობრული ურთიერთობა მოწინავე საზოგადოებრივ-ლიტერატურულ წრეებთან.

ა. გრიბოედოვი უკვე საქართველოსაკენ მოემგზავრებოდა, როცა დეკაბრისტები აჯანყდნენ. 1826 წლის 22 იანვარს მწერალი გზაში (გროზნოში) დააპატიმრეს, პეტერბურგში ჩაიყვანეს და ციხეში ჩასვეს, რადგან ისიც, ზოგიერთი დეკაბრისტის ჩვენებით, ფარული საზოგადოების წევრი იყო. გარდა ამისა, მთავრობის ეჭვს აძლიერებდა ისიც, რომ ა. გრიბოედოვი მეგობრობდა არალეგალური ორგანიზაციის წევრებთან და თავის კომედიაშიც გაატარა დეკაბრისტული იდეები.

ძიება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. შესაძლოა, ა. გრიბოედოვი მართლაც იყო ფარული საზოგადოების წევრი (ეს საკითხი დღემდე საბოლოოდ გამორკვეული არ არის), მაგრამ მთავრობამ მას ამის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა ვერ აღმოუჩინა. მოხერხებული თავდაცვისა და ზოგიერთი გავლენიანი პირის დახმარების შედეგად იგი ციხიდან გამოვიდა სარეაბილიტაციო ატესტატით.

1826 წლის სექტემბერში ა. გრიბოედოვი თბილისში ჩამოდის. ამიერიდან იწყება მისი გაორებული ცხოვრება. ერთი შეხედვით, ის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თავისი ბედით: ციხიდან თავი გაითავისუფლა, მას მიანდეს თურქეთთან და სპარსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გამგებლობა; გრიბოედოვი მონაწილეობს რუსეთ-სპარსეთის ომში, ხოლო სპარსეთის დამარცხების შემდეგ წარმატებით აწარმოებს საზავო მოლაპარაკებას, აღწევს რუსეთისათვის მეტად სასარგებლო „თურქმანჩაის ხელშეკრულების“ დადებას და ამ ხელშეკრულების ტექსტით 1828 წლის გაზაფხულზე მიემგზავრება პე-

ტერბურგს. იქ მას დიდი პატივისცემით ხვდებიან და ნიშნავენ რუსეთის მინისტრ-რეზიდენტად (სრულუფლებიან წარმომადგენლად) სპარსეთის სამეფო კარზე. ამ ბრწყინვალე კარიერას ზედ დაერთო პირადი ბედნიერებაც—1828 წლის აგვისტოში ა. გრიბოედოვმა ცოლად შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის სილამაზითა და ჭკუა-გონებით განთქმული ასული ნინო, რომლის გვერდით იგი თავს ბედნიერად თვლიდა.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ა. გრიბოედოვი მაინც განიცდიდა მძიმე სულიერ ტანჯვას. ეს ტანჯვა გამოწვეული იყო იმ შავბნელი რეაქციის მძვინვარებით, რომელიც რუსეთში გამეფდა დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ. ა. გრიბოედოვის უახლოესი მეგობრებიდან და თანამოაზრეებიდან ზოგი ჩამოახრჩვეს, ზოგს კიდევ საპყრობილეებში, ციმბირსა და კავკასიაში უკრეს თავი. ა. გრიბოედოვი ყოველივე ამას დიდად განიცდიდა და ცდილობდა, რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინა მათთვის მწარე ხვედრი.

როცა ა. გრიბოედოვმა პეტერბურგში „თურქმანჩაის ხელშეკრულება" ჩაიტანა და მეფის წინაშე წარსდგა, მან საოცარი გამბედაობა გამოიჩინა: პეტრე ბესტუჟევის სიტყვით, ა. გრიბოედოვმა მოითხოვა იმ დევნილ ადამიანთა (დეკაბრისტების) მდგომარეობის შემსუბუქება, რომელთა ხსენებაც კი შეურაცხყოფდა და აფითრებდა ნიკოლოზ პირველს. სწორად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ამის შემდეგ მეფემ განგებ დანიშნა ა. გრიბოედოვი შორეულ სპარსეთში, სადაც მეტად რთული მდგომარეობა იყო, და დააკისრა იქაური აწეწილი საქმეების მოგვარება (კონტრიბუციის გადახდევინება, ტყვეების გამოხსნა და სხვ.), რათა თავიდან მოეშორებინა ეს „ჯიუტი რევოლუციონერი" და დეკაბრისტების მოსარჩლე.

1829 წლის 11 თებერვალს (ახალი სტილით) სპარსეთის დედაქალაქ თეირანში შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა რუსეთის საელჩოს და მხეცური გააფთრებით ამოჟლიტა მისი თანამშრომლები, მათ შორის ა. გრიბოედოვიც. როგორც ბოლო დროს გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, თეირანის ტრაგედია წინასწარ იყო მომზადებული სპარსეთის მმართველი წრეებისა და ინგლისელი დიპლომატების მიერ. ვერაგმა მკვლელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს 34 წლის გენიოსი. ანდერძის თანახმად, მისი ცხედარი, თბილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს. დამწუხრებულმა ქვრივმა პოეტს ძვირფასი ძეგლი დაუდგა შესანიშნავი წარწერით:« Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя».

„ვაი ჭკუისაგან“. ნაწარმოების ძირითადი თემა და კომპოზიცია.

გრიბოედოვის მთავარ ნაწარმოებს წარმოადგენს „ვაი ჭკუისაგან“ („Горе от ума“).

როდის მოიფიქრა და დაწერა დრამატურგმა ეს გენიალური კომედია? ამ საკითხზე დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი რამ კი უდავოა: 1822 წლის დასაწყისში ა. გრიბოედოვი თავისი პიესის ახლად დაწერილ სცენებს თბილისში ვ. კიუხელბეკერს უკითხავდა. ყოველ შემთხვევაში 1824 წელს, ე. ი. სწორედ დეკაბრისტების აჯანყების წინ, „ვაი ჭკუისაგან“ უკვე დამთავრებული იყო. ამ წლებიდანვე ცდილობდა ავტორი მის დაბეჭდვასა და სცენაზე დადგმას, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან კომედია ცენზურამ არ გაუშვა, ნაწარმოები ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში ხელნაწერის სახით.

„ვაი ჭკუისაგან“ მკითხველს აცნობს, პირველ ყოვლისა, იდეური შინაარსით. ა. გრიბოედოვი ღრმად ჩასწვდა სინამდვილეს და ასახა ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ორი მსოფლმხედველობის, ორი იდეოლოგიის სასტიკი შეჯახება, ძირომპალი ფეოდალური წესწყობილების დამცველთა და რევოლუციურ ძალთა გაფთრებული ბრძოლა.

საზოგადოებრივი კონფლიქტის გარდა კომედიაში გვაქვს მეორე ხაზიც — პირადი, სასიყვარულო: ჩაცკისა და სოფიოს კონფლიქტი. ეს ორი კონფლიქტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ვითარდება, ისინი სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებენ და პიესის ბოლოს კულმინაციის წერტილს აღწევენ.

კომედიის დასაწყისში ალექსანდრე ჩაცკი საკმაოდ მშვიდ და მხიარულ ახალგაზრდად გვეელინება. უცხოეთში სამი წლის მოგზაურობის შემდეგ იგი მშობლიურ მოსკოვში ბრუნდება და მაშინვე, დილადრიან მიაშურებს ოჯახს ფამუსოვისა, რომლის ქალიშვილი სოფიო მას ბავშვობიდანვე უყვარს.

თავიდან ჩაცკი თავდაჭერილად აკრიტიკებს საერთო ნაცნობ-ნათესავებს მოსკოვის მაღალი საზოგადოებიდან, მაგრამ როცა სოფიო ჩაცკის გულცივად დახვდება და მის მიმართ ძველებურ გრძნობებს აღარ ამჟღავნებს, ეს კრიტიკა სულ უფრო მწვავე და მოურიდებელ ხასიათს იღებს. ჩაცკის ყოველთვის სძულდა პარაზიტული დიდკაცება და გაბოარჩევდა მხოლოდ სოფიოს, რომელიც, მისი აზრით, მრავალი ღირსებით იყო შემკული. მაგრამ ეს უკანასკნელი იმედიც თანდათან გაუქრა: სოფიომ მლიქვნელ ქონდრისკაც მოლჩალინზე გატეალა ჩაცკი და მასზე საშინელი ჭორიც კი გაავრცელა — შეშლილიაო. ახლა ჩაცკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ფამუსოველთა წრეს არც საღი ჭკუა გააჩნია და არც პეშმარიტი სიყვარულის უნარი.

ამრიგად, საზოგადოებრივი და პირადი დრამები ერთმანეთს ავსებენ და სულ უფრო და უფრო ამძაფრებენ მოქმედებას. პიესა მთავრდება ალშფოთებული ჩაცკის მოსკოვის არისტოკრატიული საზოგადოებისაგან სამუდამოდ განშორებით.

მსატვრული სახეები. ნაწარმოებში მოცემულია დიდკაცობის პორტრეტთა მთელი გალერეა. მათ ერთმანეთთან აკავშირებთ უგუნურობა, უსულგულობა და პარაზიტიზმი, მაგრამ თითოეულში ეს მანკიერებანი განსახიერებულია თავისებურად, ინდივიდუალურად, კონკრეტულად, ისე, რომ ყოველი „გმირის“ სახე ორიგინალურად და ცოცხლად წარმოგვიდგება.

აი პავლე ფამუსოვი, მოსკოველ დიდებულთა გამოჩენილი წევრი, მდიდარი მოხელე. მას დიდი თანამდებობა უჭირავს სახელმწიფო აპარატში და პატივისცემითაც სარგებლობს არისტოკრატიულ წრეებში, მაგრამ ყოველივე ამას მან მიაღწია არა რაიმე მაღალმორალური და საქმიანი მონაცემების წყალობით, არამედ, პირიქით, მათი უქონლობით.

ფამუსოვი ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ უფროსებისათვის ეამებინა. მას ნიმუშად ყოველთვის თვალწინ ედგა თავისი განსვენებული ბიძა მაქსიმ პეტროვიჩი, რომელიც, თუკი „დიდთა საამებლად საჭირო იყო, ისიც ცდილობდა — წელში მდაბლად რომ მოხრილიყო“. ერთხელ სასახლეში მიღების დროს მაქსიმ პეტროვიჩი შემთხვევით წაიქცა, „ქეფა დაჰკრა, ემწარა მეტად“, მაგრამ როცა შენიშნა, როგ მეფეს ამაზე გაეღიმა, ადგა და განგებ ორჯერ წაიქცა, რათა მეფისათვის ეამებინა.

ფამუსოვმა იცის, რომ „მაღალ საზოგადოებაში“ ადამიანი პირადი ღირსებით კი არ ფასდება, არამედ სიმდიდრითა და ჩინ-მედლებით.

ღე, თუნდაც იგი
ცუდიც იყოს, მაგრამ თუკი გვარისეული
ორიოდ ათას სულამდე ყმა მოუგროვდება
საქმროც ის არის ღირსეული

(თარგმანი ყველგან ს. ფაშალიშვილისაა.)

სწავლა-განათლებას, ფამუსოვის ღრმა რწმენით, მხოლოდ უბედურება და ბოროტება მოაქვს. ამიტომ:

თუ ბოროტება გვინდა რომ მოვსპოთ,
მე მხოლოდ იმის მომხრე ვიქნები:
მთელ ქვეყანაზე ერთად შევკრიბოთ
და ცეცხლში დავწვათ ყველა წიგნები.

მთელ თავის დროს ფამუსოვი ხარჯავს არა სამსახურში ან რაიმე სასარგებლო საქმიანობაში, არამედ გართობასა და სტუმარ-მასპინძლობაში.

თუ ფამუსოვი მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ მოხელეებს განასახიერებს, პოლკოვნიკ სკალოზუბის სახით ჩვენ წარმოგვიდგება არაკჩეევშჩინის მეორე მხარე — სამხედრო, ბრიყვი სალდაფონობა. სკალოზუბიც „დიდი კაცია, მეტად ქებული... სახარბიელო ჩინის პატრონი“, მუნდირი ჩინ-ვარსკვლავებით აქვს მოქარგული, მაგრამ მუნდირის ქვეშ გული არ იგრძნობა, თავში კი — ტვინი. ამ „დუდღუნა სტვირს, აღლუმებისა და მაზურკების გმირს“ ერთ ჰკვიან სიტყვას ვერ წამოაცდევინებთ. მას შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ სამხედრო კარიერასა და გამდიდრებაზე, რომელთა მისაღწევად ყველაფერს იკადრებს.

ფამუსოვისა და სკალოზუბისაგან განსხვავებით მოლჩალინი უბრალო წარმოშობისაა, პატარა მოხელეა — ფამუსოვის მდივნად მუშაობს, მაგრამ, ჩაცკის სწორი შენიშვნით, ისიც „მიაღწევს ხარისხს და წარჩინებას მოიხვეჭს უხვად, ჩვენში ხომ ახლა უტყვები უყვართ“.

ცხოვრებაში წარჩინების მისაღწევად მოლჩალინს ცოტა უცნაური, მაგრამ საიმედო საშუალება აურჩევია — დუმილი. აშკარად უსამართლოდაც რომ ვინმემ დატუქსოს და შეურაცხყოს, მოლჩალინი კრინტსაც არ დაძრავს, „მორჩილად თავს ჩაღუნავს და გაჩუმდება“. მეტად დამახასიათებელია მოლჩალინის ფრაზა „მე ვერ გაუბედავ საკუთარი აზრის გამოთქმას“.

დიდკაცებს მოსწონთ ამ ჭონდრისკაცის უსიტყვო მორჩილება და ლაქიური ხასიათი. ამ თვისებებით მან ფამუსოვის ოჯახშიც „ყველასთან მეგობრობა დაამყარა და სიყვარული დაიმსახურა“. მან სოფიოსაც კი შეაყვარა თავი.

რაც შეეხება სოფიოს, მისი პიროვნება უფრო რთულადაა პიესაში წარმოდგენილი. ის საკმაოდ ჰკვიანი და ნაკითხი ქალია, ნებისყოფა და თავმოყვარეობაც გააჩნია, თითქოს თავის წრეზე გაცილებით უფრო მაღლა დგას, მაგრამ დიდად არც ის განსხვავდება ფამუსოველთა წრის ქალბატონებისაგან. ისევე როგორც ფამუსოვს, სოფიოსაც ჩაცკი „საშიშ ადამიანად“ მიაჩნია და სრულებით არ უთანაგრძნობს მის პროგრესულ შეხედულებებს. სოფიოს იდეალია „ქმარი-მსახური“ და არა მეამბოხე გმირი.

არსებითად ფამუსოველთა მახინჯ წრეს ეკუთვნის ბრიყვი რეპეტილოვიც, რომელიც თუთიყუშივით იმეორებს სხვათა ნათქვამს.

კომედიაში ვხედავთ მოსკოვის „მაღალი საზოგადოების“ კიდევ ოც წარმომადგენელს, რომელთა ერთგვარ დემონსტრაციას ავტორი იძლევა ფამუსოვის ოჯახში გამართულ ბალზე.

მაგრამ ა. გრიბოედოვი ამით არ დაკმაყოფილდა. მან რეაქციულ საზოგადოებას მკვეთრად დაუპირისპირა დადებითი გმირი ჩაცკი. ისედაც საზიზღარი სატირული პორტრეტები განსაკუთრებით საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებენ, როცა ჩაცკი მათ ნიღაბს ჩამოხდის და ამავე დროს მაღალ პროგრესულ იდეალებს გადმოგვიშლის.

თუ ფამუსოველებს ა. გრიბოედოვი სატირული ხერხებით გვიხატავს, ჩაცკის იგი ლირიკულ ასპექტში იძლევა. ჩაცკი არის რევოლუციური ენთუზიაზმით აღგზნებული მებრძოლი, დეკაბრისტული ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენელი.

ა. გერცენის სიტყვით, ჩაცკი აღშფოთებით ათრთოლებული და ამაღლებული იდეალებით აღსავსე დეკაბრისტების აჯანყების წინადღეს გამოვიდა, როგორც მეამბოხე გმირი, რომელიც „პირდაპირი გზით კატორღაში მიდიოდა, და თუ ის 14 დეკემბერს გადარჩა, ნამდვილად არ გადაიქცა არც კაეშნით შეპყრობილ ტანჯულად და არც ამაყ-ზიზღიან პიროვნებად".

მართლაც, ჩაცკი საოცრად წააგავს დეკაბრისტებს. ის დაჯილდოებულია ფამუსოველთა სრულიად საწინააღმდეგო თვისებებით, პირველ რიგში კი — ჭკუით. ა. გრიბოედოვმა ნაწარმოების სათაურშივე მიგვითითა ჭკუაზე, როგორც კომედიის ცენტრალურ პრობლემაზე, და იგი ჩაცკის სახეს დაუკავშირა.

ა. გრიბოედოვის დროს სიტყვა „ჭკუაში" ჩვეულებრივის გარდა სხვა შინაარსსაც აქსოვდნენ. ჭკვიანს მაშინ ხშირად უწოდებდნენ თავისუფლებისმოყვარე ადამიანს, მოწინავე მოქალაქეს, დეკაბრისტის ტიპს. დამახასიათებელია, რომ ა. პუშკინი თავის ერთ-ერთი დაუმთავრებელი რომანის გეგმაში („Русский пелам") გვიხატავს ფარულ საზოგადოებას როგორც „ჭკვიანთა საზოგადოებას" („Общество умных"). რევოლუციური ჭკუის პატრონი მეფის რუსეთში მხოლოდ ვაისა და უბედურებას გადაეყრებოდა და არა ბედნიერებას. გაბატონებული წრეები ასეთ „ჭკუას" მიიჩნევდნენ არანორმალურად, სიგიჟედ და სასტიკად დევნიდნენ მას, რადგანაც ის იყო მიმართული არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ 14 დეკემბრის აჯანყება მათ სიგიჟედ ჩათვალეს, ხოლო შესანიშნავი მოაზროვნე პ. ჩაადაევი შეშლილად გამოაცხადეს და მეფის განკარგულებით საგიჟეთში ჩაამწყვდიეს.

ტრაგიკული იყო ასეთი ჭკუის მქონე ადამიანის მდგომარეობა ბატონყმურ რუსეთში. ტრაგიკულია ჩაცკის მდგომარეობაც ბრიყვ ფამუსოველთა წრეში, რომლებიც მას გიჟად აცხადებენ სწორედ იმიტომ, რომ ჩაცკი არსებითად დეკაბრისტულ შეხედულებებს ქადაგებს.

ჩაცკი აღშფოთებით ლაპარაკობს მებატონეთა სიმხეცეზე ყმების მიმართ. ამავე დროს, ის დაუნდობლად ამათრახებს არა მარტო სოციალურ უკუღმართობას, ბატონყმობას, არამედ პოლიტიკურ რეჟიმსაც, თვითმპყრობელობას, ცარიზმის მსახურთ, რომელნიც „ვისაც უჭირდა — მათთვის წარბსაც არ შეარხევდნენ, ხოლო მაღლა მდგომთ — პირფერობის ქსელში ახვევდნენ“.

ჩაცკისათვის დამახასიათებელია აგრეთვე დეკაბრისტული პატრიოტიზმი. მას სურს „აღმოფხვრას ის ბინძური, მონური და ბრმა მიმბაძველობის მახინჯი სული“, რომლითაც შეპყრობილი იყო რუსეთის არისტოკრატული წრეები. ნამდვილ ევროპულ კულტურას ისინი ვერ დაუფლებიან.. მხოლოდ გარეგნულად ბაძავენ ყოველივე უცხოურს... და „ფრანგულ ენას ნიჟეგოროდულ კილოში რევენ“.

ამგვარად, ჩაცკი არსებითად დეკაბრისტული პოზიციებიდან ამხელს რუსეთში გაბატონებულ სოციალურ-პოლიტიკურ ბოროტებას. პიესაში მკვეთრადაა დაპირისპირებული ჩაცკის გონიერება და ფამუსოველთა სიბრიყვე. ის ფაქტი, რომ მაღალმა საზოგადოებამ განათლებული და ჭკვიანი გმირი არანორმალურ პიროვნებად გამოაცხადა, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ უგუნური ყოფილა თვით ეს საზოგადოება, ე. ი. მეფის რუსეთის მმართველი წრეები.

ასახა რა თავისი დროის მთავარი კონფლიქტი, ა. გრიბოედოვმა დათრგუნა ბნელეთის მოციქულები და განჭვრიტა მოწინავე ძალების გამარჯვების აუცილებლობა.

პიესის მხატვრული თავისებურებანი. „ვაი ჭკუისაგან“ არის უაღრესად იდეური და ამავე დროს მხატვრულად სრულყოფილი ქმნილება. მას ახასიათებს ფორმისა და შინაარსის ორგანული მთლიანობა, ჰარმონიულობა.

ერთი შეხედვით, „ვაი ჭკუისაგან“ კლასიცისტურ კომედიებს მოგვაგონებს. მასში დაცულია ტრადიციული „სამი ერთიანობის“ კანონი: პიესის ოთხივე მოქმედება წარმოებს ფამუსოვის სახლში, ოთხივე მოქმედება გრძელდება ერთ დღე-ღამეს, დაბოლოს, მოქმედება ვითარდება „პირდაპირი ხაზით“. გარდა ამისა, ა. გრიბოედოვის პიესის პერსონაჟების სახელები მეტწილად მათ შინაგან თვისებებს გამოხატავენ, როგორც ეს კლასიცისტურ კომედიებში იყო მიღებული. მაგალითად, გვარი მოლჩალინი ნაწარმოებია სიტყვიდან молчать, რაც დუმილს ნიშნავს. მისთვის დამახასიათებელია სწორედ დუმილი, უსიტყვობა, ჩუმად ყოფნა. რეპეტილოვის სახელი მოდის ფრანგული სიტყვიდან répéter — „გამეორება“. ამ სახელის შერქმევით ავტორი

იმაზე მიუთითებს, რომ რეპეტილოვი ყოველთვის სხვის აზრებს იმეორებს.

ა. გრიბოედოვის ნაწარმოებში კლასიცისტური დრამატურგიის სხვა ნიშნებიცაა მოცემული, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებს. არსებითად კი „ვაი ჭკუისაგან“ რეალისტური დრამატურგიის ბრწყინვალე ნიმუშია. ა. გრიბოედოვის მთავარი შემოქმედებითი მეთოდი არის რეალიზმი. ტრადიციული ფაბულის ვიწრო ჩარჩოებში მან საოცარი მხატვრული სიმართლით დაგვიხატა სინამდვილის გრანდიოზული სურათი, გვიჩვენა თავისი ეპოქის ყველაზე ტიპიური და დამახასიათებელი მოვლენა — ორი იდეოლოგიის შეურიგებელი ბრძოლა.

ა. გრიბოედოვმა ნოვატორობა გამოიჩინა ჟანრის საკითხშიც. თუმცა „ვაი ჭკუისაგანს“ კომედია ჰქვია და ფამუსოველთა საზოგადოებას ავტორი მართლაც კომიკური ხერხებით გვიხატავს, მაგრამ ამ პიესაზე კომედიის ტრადიციული გაგება ვერ გავრცელდება. მას არანაკლები უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ დრამა ან ტრაგედია, რადგანაც ჩაცკი წარმოდგენილია როგორც ლირიკული გმირი. მისი თავგადასავალი ფამუსოველთა წრეში ტრაგიკულია და არა კომიკური. ა. გრიბოედოვმა თავის პიესაში გაბედულად შეაერთა კომედია და ტრაგედია, სასაცილო და სერიოზული, სატირა და ლირიკა.

„ვაი ჭკუისაგან“ გამოირჩევა ლექსის ვირტუოზობითა და ენის დახვეწილობით. ნაწარმოები დაწერილია იამბიკური ლექსით, რომლის ლექსიკა და გრამატიკული წყობა მოგვაგონებს სასაუბრო ენას. ერთი შეხედვით ა. გრიბოედოვის პიესა ენის მხრივ შეიძლება „ღარიბად“ მოგვეჩვენოს, სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს სიტყვის ეკონომიის შესანიშნავ ნიმუშს. მასში ვერც ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ აღმოვაჩენთ და ვერც დავუმატებთ. თითოეული სიტყვა ზუსტია და თავის ადგილას დგას. ავტორი მოკლედ, ლაკონიურად, ზოგჯერ ორი-სამი ფრაზით იძლევა ადამიანის ცოცხალ სახეს, გმირის დახასიათებას. ა. გრიბოედოვის პიესაში თითოეული პერსონაჟის ენა შეეფერება მის შინაგან თვისებებსა და ხასიათს.

ამგვარად, ა. გრიბოედოვმა თავის პიესაში გააგრძელა რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები — ფონვიზინისა და რადიშჩევის ხაზი, რუსული დრამატურგია განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა და უდიდესი როლი შეასრულა რუსულ ლიტერატურაში რეალიზმისა და საზოგადოებაში რევოლუციური აზროვნების განვითარების საქმეში. დამახასიათებელია, რომ დეკაბრისტები ამ პიესას თავიანთ საბრძოლო იარაღად იყენებდნენ.

ა. გრიბოედოვი და ქართველი საზოგადოებრიობა. საქართველოსთან დაკავშირებულია მრავალი რუსი კლასიკოსის სახელი, მაგრამ მათ შორის პირველი ადგილი ა. გრიბოედოვს ეკუთვნის. დიდ რუს მწერალთაგან გრიბოედოვი პირველი ესტუმრა საქართველოს. აქ გაატარა მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები, აქ დაწერა თავისი უკვდავი კომედიის მნიშვნელოვანი ნაწილი, აქვე განიცადა უდიდესი ბედნიერება, როდესაც დაქორწინდა ნინო ჭავჭავაძეზე, და აქაურმა მიწამ მიიბარა მისი ნეშტი.

ქართველთა შორის ა. გრიბოედოვს მრავალი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა. ესენი იყვნენ: ჭავჭავაძეები და ორბელიანები, გ. ერისთავი და ძმები ჭილაშვილები, ს. დოდაშვილი და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

ა. გრიბოედოვისათვის, რუსეთის მგზნებარე პატრიოტისათვის, სრულიად უცხო იყო ველიკოდერჟავული შოვინიზმი. მისი მხურვალე სიყვარული საკუთარი სამშობლოსადმი ბუნებრივად ეხამებოდა გულწრფელ პატივისცემასა და სიყვარულს სხვა ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის მიმართ. „საქართველო იყო მისი მოღვაწეობის ნამდვილი ასპარეზი, — წერდა ვ. გრიგორიევი, — აქ გაატარა მან ლიტერატურულ შრომასა და სამსახურში თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები. მას უყვარდა საქართველო ისე მგზნებარედ, ისე ფაქიზად, როგორც იშვიათად თუ ჰყვარებია ვინმეს საკუთარი სამშობლო კი". ყოველივე ეს ნათლად გამოვლინდა ა. გრიბოედოვის პრაქტიკულ საქმიანობასა და პოეტურ შემოქმედებაში.

ამიერკავკასიაში ჩამოსვლისთანავე (1818 წ.) ა. გრიბოედოვი შეუდგა ამ მხარის საფუძვლიან შესწავლას, ხოლო 1827 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა მნიშვნელოვან წამოწყებებს საქართველოში: მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული მთელი რიგი სამეურნეო და კულტურული ღონისძიების გატარება: გაზეთ „Тифлисские ведомости"-ის გამოცემა, სამაზრო სკოლების გახსნა, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების ცდა (იგი წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, რადგანაც მთავრობამ უარი უთხრა სუბსიდიის მიცემაზე), „კომერციული ბანკის" დაარსება და სხვ.

არანაკლებად აღელვებდა დიდ დრამატურგს საქართველოს დედაქალაქის კეთილმოწყობის საკითხები. მაშინ თბილისს ჯერ კიდევ აჩნდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის საშინელი ნაკვალევი. ქალაქი საფუძვლიანად იყო აღსადგენი. ა. გრიბოედოვი ადგენს „ბარათს ქალაქ თბილისის ახლად აშენების უმჯობეს საშუალებათა შესახებ" («Записка о лучшем способе вновь построить город Тифлис»). ეს დოკუმენტი ნათლად მეტყველებს მისი შემდგენელის ფართო ცოდ-

ნაზე და გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდ მზრუნველობას იჩენდა იგი საქართველოს მიმართ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. გრიბოედოვის მიერ შედგენილი პროექტი მთელი ამიერკავკასიის სამეურნეო-კულტურული გარდაქმნის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია „ბარათში რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის დაფუძნების შესახებ" („Записка об учреждении Российской Закавказской компании", 1828). ამ პროექტს ბევრი რამ აქვს საერთო ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე პავპავაძის ნაშრომთან „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე" (1837). ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ამიერკავკასია მდიდარია თავისი ბუნებით. მაგრამ მისი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა ძალზე ჩამორჩენილია. ორივე ნაშრომში მკვეთრადაა დასმული საკითხი ამიერკავკასიის სამეურნეო და კულტურული აღორძინების აუცილებლობის შესახებ.

ა. გრიბოედოვმა შენიშნა არა მარტო ჩვენი მხარის ბუნების მომაჯადოებელი სურათები, არამედ ხალხის დუხჭირი ცხოვრებაც, სოციალური უკუღმართობა, ბატონყმობისა და დესპოტიზმის საზიზღარი გამოვლინებანი. ასე, მაგალითად, დაუმთავრებელ პოემა „მეყალიონეში" („Кальянчи" — ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტის პირობითი სათაურია) მოთხრობილია სპარსეთში გაყიდული კახელი ჭაბუკის ტრაგიკული ისტორია. პოეტი დიდი თანაგრძნობით აღწერს ტყვე ჭაბუკის საშინელ თავგადასავალსა და განცდებს.

დაუმთავრებელი „რადამისტი და ზენობია" ისტორიულ-პოლიტიკური ტრაგედიაა. მისი სიუჟეტი აღებულია საქართველოსა და სომხეთის ისტორიიდან (I საუკ.), მაგრამ წარსულს ა. გრიბოედოვი მიმართავს იმ მიზნით, რომ ისტორიულ მასალაზე გადაეჩვას თანამედროვე საშინაბოროტო პოლიტიკური საკითხები. მასში სახალხო აჯანყება აშკარადაა დაპირისპირებული არისტოკრატების კონსპირაციულ შეთქმულებასთან.

„ქართული ღამიდანაც" („Грузинская ночь") შემონახულია მხოლოდ ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით ძნელია იმის თქმა, თუ როგორი იქნებოდა ნაწარმოები დასრულებული სახით. მაგრამ სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ა. გრიბოედოვმა ამ ტრაგედიაში დასვა და რევოლუციურად გადაჭრა ბატონყმობის პრობლემა.

„ქართულ ღამეში" განსაკუთრებული სიძლიერითაა გადმოცემული ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალის, ქართველი თავადის კ-სა და ყმა დედაკაცის თ-ს შეჯახება. ნაწარმოების დასაწყისშივე ირკვევა, რომ თ. უაღრესად წყნარი და კეთილი ქალია. ის არის თავად კ-ს ძიძა და მისი ქალიშვილის გამზრდელი. თავადის ოჯახში მძიმე შრომამ და-

აჩაჩანაკა იგი. მან სიკვდილს გადაარჩინა თავისი ბატონი, ხოლო ამ უკანასკნელის პატიმრობის დროს მის ქალიშვილს უყვარდა. მაგრამ თავადი იმდენად გულქვა აღმოჩნდა, რომ ამ ერთგულ ყმას შვილი წაართვა და ცხენზე გადაცვალა. დაჩოქილი დედა მას ევედრება — შვილი დამიბრუნეო, მაგრამ მებატონე მას უხეშად გააგდებს. მაშინ გამწარებული ყმა ქალი გულქვა ფეოდალის წინააღმდეგ აღდგება. ხევწნა-მუდარის მაგიერად ახლა იგი წყევლა-კრულვით მიმართავს თავადსა და მთელ მის მოდგმას, ხოლო ტრაგედიის მეორე ნაწყვეტში გაშმაგებული ყმა დედაკაცი მებატონის წინააღმდეგ საბრძოლველად კლდე-ღრეთა ჯურღმულებიდან შურისმაძიებელ ავ სულებს — ალებს მოუხმობს.

ამგვარად, „ქართულ ღამეში“ აღბეჭდილია მაშინდელი საქართველოს ძირითადი სოციალური კონფლიქტი. ამასთან, თემა განსახიერებულია ტიპიურ, სპეციფიკურ ქართულ სახეებში.

ეს იყო პირველი მხატვრული ნაწარმოები საქართველოში ბატონყმური ჩაგვრის შესახებ. გრიბოედოვამდე იგი აისახებოდა მხოლოდ ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში. მწერალმა გამოავლინა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და მისი ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ცოდნა.

თავის მხრივ მოწინავე ქართველი საზოგადოებაც ყოველთვის დიდად აფასებდა და აფასებს რუსი ხალხის გენიალურ შვილს.

თბილისში „ვაი ჭკუისაგან“ პირველად ა. ჭავჭავაძის სახლში წარმოუდგენიათ, მაგრამ, კერძოდ, როდის და რა სახით, ამის შესახებ მასალები შემონახული არ არის.

რადგანაც ჩვენში მაშინ თეატრი არ არსებობდა, რუსსა და ქართველ სცენისმოყვარეებს ა. გრიბოედოვის პიესის დადგმა 1831 წელს ყვლავ განუხორციელებიათ კერძო ბინაზე — რომან ბაგრატიონის სახლში, სადაც შემდეგ გრიბოედოვის სახელობის თეატრი მოთავსდა.

1846 წელს თბილისში ახლად ჩამოყალიბებულმა რუსულმა პროფესიონალურმა თეატრმა მაყურებელს პირველ რიგში სწორედ „ვაი ჭკუისაგან“ უჩვენა. ხოლო ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა რუსული დასის გვერდით ქართული დასიც შეიქმნა გ. ერისთავის ხელშეწყობით, განზრახული ყოფილა პიესის ქართულ ენაზე წარმოდგენაც, რისთვისაც იგი გადმოუთარგმნია გ. წინამძღვრიშვილს, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება პირველად მხოლოდ ოთხმოციანი წლების დასაწყისში მოხერხდა.

გ. წინამძღვრიშვილს „ვაი ჭკუისაგან“ უთარგმნია პროზით. თარგმანი საკმაოდ სუსტია. კომედიას მეტი წარმატებით თარგმნიდა ცნობილი ქართველი დრამატურგი გ. ერისთავი. მაგრამ, სამწუხაროდ ეს საქმე ვერ დაასრულა.

ერთადერთ დასრულებულ და დამაკმაყოფილებელ რევოლუციამდელ თარგმანად უნდა ჩაითვალოს განდეგილის (დომინიკა ერისთავმდივნის, 1865—1929) თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო გასული საუკუნის მიწურულში. დაბოლოს, 1960 წელს გამოიცა ს. ფაშალიშვილის თარგმანი.

ქართველი საზოგადოება დიდი პატივისცემით ეხმაურებოდა ა. გრიბოედოვის ყველა იუბილეს.

დიდი რუსი მწერლის გარდაცვალებიდან სამოცდათხუთმეტი (1904) წლისთავისათვის „იველრიამ" გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო:

„დღეს რუსეთი და ჩვენც მასთან ერთად მწუხარებით ვიხსენებთ მის ღირსეულ სახელს. ბედმა გვარგუნა, რომ მის ჰირისუფლად დღეს ჩვენ ვიყუნეთ მის საფლავზე მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის გალავანში. თუ რუსეთს თავი მოაქვს ამ პოეტ-მწერლით, რადგან მისი ბუნებრივი შვილია, ჩვენთვისაც არანაკლებ სასახელოა ა. ს. გრიბოედოვი, რომელმაც გაიცნო თუ არა ქართველი ერი, შეიყვარა, დაუახლოვდა, დაუმეგობრდა კიდეც, დაბოლოს თავისი ნეშტიც ჩვენს მიწა-წყალს მიაბარა".

ა. ს. პუშკინი

პუშკინს უწოდებენ რუსული პოეზიის მზეს, რუსული ლიტერატურის გაზაფხულს, რუსეთის პირველ სიყვარულს. „ეს იყო თავისი დროის არა მარტო დიდი რუსი პოეტი, არამედ ყველა ხალხისა და ყველა საუკუნის დიდი პოეტიც, ევროპის გენია, მსოფლიო დიდება" — აღტაცებით წერდა პუშკინის შესახებ ბ. ბელინსკი.

პუშკინი ახალი ლიტერატურისა და ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელია რუსეთში. მან წიგნის ენა დაუახლოვა ცოცხალ, ხალხურ მეტყველებას და ანკარა წყაროსავით წმინდა ეროვნულ ენაზე გამოაქანდაკა მხატვრულად სრულყოფილი ლექსები, პოემები, მოთხრობები და პიესები, რომლებშიც ბრწყინვალედაა ასახული რუსეთის ცხოვრება და ბუნება.

პუშკინი იყო უდიდესი რეალისტი, რომელმაც მანამდე არნახული სიმართლითა და მხატვრული სიძლიერით დაგვიხატა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილე. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ნ. დობროლიუბოვს, როცა ამბობდა: ლიტერატურისათვის პირველად პუშკინმა „აღმოაჩინა სინამდვილე".

მაგრამ პუშკინის შემოქმედება არა მარტო ცხოვრების სარკეა, არა-

შედ ბრძოლის იარაღიც. ეს იყო პოეტი-ტრიბუნი, რომელმაც ლიტერატურა აავსო მაღალი საზოგადოებრივი შინაარსით და მიმართა იგი ბატონყმობის, თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. ამით პუშკინმა უდიდესი როლი შეასრულა რუსული რევოლუციური აზროვნების განვითარებაში. თავის „სასტიკ დროში“ ის მგზნებარედ უმღეროდა თავისუფლებას და სწამდა, რომ მზე გაიმარჯვებდა წყვდიადზე.

რატომ სწორედ პუშკინი გახდა ახალი რუსული ლიტერატურის მამამთავარი და ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელი? ამის საპასუხოდ სამი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ.

ჯერ ერთი, პუშკინი თავისი ბუნებით გენიალური ადამიანი იყო. მის კალამს თითქოს რაღაც მაგიური ძალა ჰქონდა: რასაც კი შეეხებოდა, ყველაფერს გადააქცევდა პოეზიის ჭედურ ოქროდ. პუშკინში ოშვიათი ძალით გამოვლინდა დიდი რუსი ხალხის ბრწყინვალე ნიჭი, გოლიათური ძალა და სულიერი სილამაზე.

მეორე, პუშკინის პოეზია შემზადებული იყო რუსული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი განვითარებით. პუშკინმა კრიტიკულად შეითვისა რუსული (და არა მარტო რუსული) მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და მის საფუძველზე შექმნა ახალი რუსული ლიტერატურა.

დაბოლოს, პუშკინის მოვლინება განაპირობა მისი ეპოქის თავისებურმა ვითარებამ. პოეტი ცხოვრობდა რუსი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური თვითშეგნების გაღვიძების ბობოქარ პერიოდში, 1812 წლის სამამულო ომისა და დეკაბრიზმის მღელვარე ეპოქაში. პუშკინი იყო ამ ეპოქის მოწინავე იდეებისა და ცხოვრების უზადო გამომხატველი.

ბავშვობა. ლიცეუმში სწავლა. ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი (1799—1837) დაიბადა მოსკოვში და ბავშვობაც იქ გაატარა.

მშობლებს ა. პუშკინის აღზრდაში თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მამამისს, სერგი ლევის ძე პუშკინს, აზნაურთა ძველისძველი საგვარეულოს წარმომადგენელს, და დედას — ნადეჟდა ოსიპის ასულ ჰანიბალს (პეტრე პირველის მიერ აღზრდილი აფრიკელი აბრამ ჰანიბალის შვილიშვილს) — მხიარული და უდარდელი ცხოვრება უყვარდათ, ბალ-მასკარადებზე სიარულს არ იკლებდნენ, საქმეებითა და ბავშვებზე ზრუნვით თავს არ იწუხებდნენ. ალექსანდრეს და მის და-ძმას ზრდიდნენ ფრანგი გუვერნიორები, დიდედა მარიამ ჰანიბალი, ძიძა — გლეხი ქალი არინა როდიონოვნა. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული როლი შეასრულა მომავალი პოეტის ცხოვრებაში. არინა როდიონოვნა, თანამედროვეთა სიტყვით, იყო „რუსი

გადიების ნამდეილი წარმომადგენელი, ოსტატურად ჰყვებოდა ზღაპრებს, იცოდა ხალხური ზნე-ჩვეულებანი, უამრავი ანდაზა და თქმულება". პატარა ალექსანდრე ყოველთვის გატაცებით ისმენდა თავისი საყვარელი გამზრდელის ზღაპრებსა და ხალხურ ლექსებს, რომლებიც მას სამუდამოდ ჩარჩა გონებაში.

1811 წლიდან ალექსანდრე პუშკინი სწავლობდა ლიცეუმში, რომელიც ამავე წელს გახსნეს ცარსკოე სელოში, პეტერბურგის მახლობლად. ლიცეუმს მთავრობის ვარაუდით უნდა მოემზადებინა სახელმწიფო აპარატისათვის საჭირო მოხელეები, მაგრამ იგი, წინააღმდეგ მთავრობის სურვილისა, გადაიქცა თავისუფალი აზროვნების ერთ-ერთ კერად.

ლიცეუმი დახურული სასწავლებელი იყო და ამიტომ მოსწავლეებს ექვსი წლის განმავლობაში ცარსკოე სელოდან გასვლა ეკრძალებოდათ.

მოსწავლეები „ლიცეუმის ოჯახში" ბეჯითად ეწეოდნენ თვითგანვითარებას, ქმნიდნენ წრეებს და უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალებს. პუშკინი ყველაზე მოწინავე ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. ლიცეუმმა „თავისუფლად აზროვნების ბუდის" სახელი გაითქვა სწორედ პუშკინისა და მისი წრის მეოხებით. ამ წრეში შედიოდნენ პოეტი დელვიგი, მომავალი დეკაბრისტები კიუხელბეკერი, პუშჩინი და სხვები.

ლიცეუმის მოსწავლეებზე, ისევე როგორც საერთოდ რუს ახალგაზრდობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა 1812 წლის სამამულო ომმა. ი. პუშჩინი წერდა, რომ ლიცეუმის ცხოვრება დაკავშირებული იყო „რუსი ხალხის ცხოვრების პოლიტიკურ ეპოქასთან: ახლოვდებოდა 1812 წლის ჰექა-ქუხილი. ამ ამბებმა ღრმა კვალი დაამჩნიეს ჩვენს ბავშვობას... ჩვენ ვაცილებდით გვარდიის ყველა პოლკს, რადგან ისინი ლიცეუმის წინ გაივლიდნენ ხოლმე; ჩვენ ყოველთვის აქ ვიყავით მათი გამოჩენის დროს, ზოგჯერ კლასებიდანაც კი გამოვდიოდით, გზას ეულოცავდით მეომრებს, ვეხვეოდით მშობლებს და ნაცნობებს".

ლიცეისტების რევოლუციურ-პატრიოტულ შეხედულებათა გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ჰუსართა პოლკი ცარსკოე სელოში დაბანაკდა. პუშკინმა და სხვა ლიცეისტებმა მეგობრობა დაამყარეს ამ პოლკის მოწინავე ოფიცრებთან, განსაკუთრებით პ. ჩაადაევთან, რომელსაც დიდმა პოეტმა შემდგომ თავისი შესანიშნავი ლექსი უძღვნა.

პუშკინის პოეტური ნიჭი პირველად ლიცეუმში გაიფურჩქნა. თავის ნაწარმოებებს ის ჯერ მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალებში ათავსებდა, შემდეგ კი ცენტრალურ პრესაში თანამშრომლობაც დაიწყო. მისი პირ-

ველი ლექსი „მეგობარი მოლექსისადმი“ („К другу стихотворцу“) დაიბეჭდა 1814 წლის გაზაფხულზე ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი“.

ლიცეუმში სწავლის დროს პუშკინმა ასოცზე მეტი ლექსი დაწერა. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ ბეჯითად ითვისებდა პუშკინი თავის წინამორბედთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას და თანდათან იკაფავდა საკუთარ გზას სიტყვაკაზმულ მწერლობაში. პუშკინისათვის ეს იყო ლიტერატურული სწავლის პერიოდი, მოწაფეობის ხანა: მაშინ იგი ლექსებს წერდა სახელმოხვეჭილ რუს და უცხოელ მწერალთა ჰარბი ზეგავლენით, ზოგჯერ კი მათი წაბაძვითაც.

ბ. ბელინსკიმ პუშკინის იმდროინდელი შემოქმედება შეადარა დიდ მდინარეს, რომელსაც უხვად უერთებენ თავის წყალს პატარა მდინარეები. „პუშკინის მუზა წინამორბედი პოეტების ქმნილებებმა ასაზრდოვეს და აღზარდეს, — წერდა დიდი კრიტიკოსი, — მეტსაც ვიტყვით, მისმა მუზამ შეისისხლხორცა ისინი როგორც თავისი კანონიერი კუთვნილება და უკანვე დაუბრუნა სამყაროს ახალი, გარდაქმნილი სახით. შეიძლება ითქვას და დამტკიცდეს, რომ დერჟავინი, ჟუკოვსკი და ბატიუშკოვი რომ არ ყოფილიყვნენ, ისე არც პუშკინი იქნებოდა, რომ იგი მათი მოწაფეა!“.

მართლაც, ამ სამმა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა უდიდესი როლი შეასრულა პუშკინის შემოქმედების ფორმირებაში.

შეიძლება ითქვას, რომ პუშკინმა ლიტერატურული გამოცდა პირველად გ. დერჟავინს ჩააბარა. ეს იყო 1815 წლის იანვარში. ლიცეუმში საჯარო გამოცდები მიმდინარეობდა. მას მხცოვანი დერჟავინიც ესწრებოდა. „ჩვენმა გამოცდებმა იგი ძალიან დაღალეს, — იგონებდა მოგვიანებით ა. პუშკინი, — ...დერჟავინი იჯდა თავზე ხელშემოჭდობილი... და თვლემდა იქამდე, ვიდრე არ დაიწყო გამოცდა რუსულ სიტყვიერებაში. აქ იგი გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, მთლად გამოიცვალა... ბოლოს მე გამომიძახეს. მე წავიკითხე ჩემი „მოგონებანი ცარსკოე სელოში“! დერჟავინიდან ორი ნაბიჯის დაშორებით... დერჟავინი აღფრთოვანებული იყო“.

„მოგონებანი ცარსკოე სელოში“ („Воспоминания в Царском селе“), რომელმაც დერჟავინისა და სხვა დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია, წარმოადგენს დიდი პატრიოტული გრძნობით დაწერილ ლექსს. მასში პოეტი მხურვალედ ეხმაურება 1812 წლის სამამულო ომს, აღტაცებით ლაპარაკობს უცხოელ დამპყრობთა განდევნაზე რუსეთიდან, ამაყობს რუსთა გმირობით. ამ ლექსში იგრძნობა გ. დერჟავინის და საერთოდ რუსული კლასიციზმის გავლენა, ხოლო მრავალ სხვა ლექსში — ჟუკოვსკისა და ბატიუშკოვის ზემოქმედება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სამოქალაქო მოტივების გაჩენა პუშკი-

ნის ლიცეუმისდროინდელ ლირიკაში. ლექსში „ლიცინიუსს“ („К Лицинию“, 1815) პოეტი ამბობს „მე მძულს მონობა“, „მკერდში მიდუღს თავისუფლება“. ეს სრულიად ორიგინალური ნაწარმოებია, მაგრამ ცენზურის თვალის ასახვევად პუშკინმა მას ქვესათაურში მიაწერა, თითქოს ლათინურიდან გადმოთარგმნა. ავტორი გვიხატავს რომის ცხოვრების სურათს, მაგრამ სინამდვილეში რუსეთში გაბატონებულ ტირანიას კიცხავს. ამ ლექსით იგი რადიშჩევის რევოლუციურ ტრადიციას აგრძელებს და დეკაბრისტული სამოქალაქო ლირიკის ადრინდელ წარმომადგენლად გვევლინება.

ლიცეუმის დამთავრებისას ზოგი სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა, ზოგი კიდევ მოხელის თანამდებობაზე და ა. შ. პუშკინს ყველაზე მეტად შემოქმედებითი მუშაობის პერსპექტივა იტაცებდა და მტკიცედ სწამდა თავისი პოეტური მოწოდება.

ლიცეუმიდან რუსულ ლიტერატურაში არნახული გოლიათი შემოდიოდა, რუსული პოეზიის ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ბრწყინვალე მზე ამოდიოდა.

პეტერბურგის პერიოდის სამოქალაქო ლირიკა. პოემა „რუსლანი და ლიუდმილა“. 1817 წლის ივნისში პუშკინი ამთავრებს ლიცეუმს და გადადის პეტერბურგში, სადაც ინიშნება საგარეო საქმეთა კოლეგიაში „კოლეგსკი სეკრეტარის“ წოდებით. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ვერ ეგუება ჩინოვნიკურ სამსახურს. მოუსვენარი და თავისუფლებისმოყვარე პოეტი, ერთი მხრივ, მოწყურებით ეწაფება ცხოვრების სიტკბოებას, გართობასა და დროსტარებას, მეორე მხრივ, უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს დედაქალაქის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში.

1819 წელს პუშკინი შევიდა ახლად დაარსებულ საზოგადოებაში, რომელსაც „Зеленая лампа“ („მწვანე ლამპა“) ერქვა. ეს იყო დეკაბრისტული ფარული ორგანიზაციის („სოიუზ ბლაგოდენსტვიას“) ერთგვარი ლიტერატურული ფილიალი. პუშკინის ერთ-ერთ ლექსში იგი დახასიათებულია, როგორც „თავისუფალ მუზათა თავშესაფარი“, „სიყვარულის, თავისუფლებისა და ღვინის მოტრფიალე რაინდთა“ შეკრების ადგილი. „ზელიონაია ლამპაში“ დიდ როლს ასრულებდნენ თ. გლინკა, ს. ტრუბეცკოი და სხვა დეკაბრისტები.

საერთოდ პეტერბურგში პუშკინის ცხოვრების დრო (1817 — 1820) დაემთხვა დეკაბრისტთა მოძრაობის აღმავლობის პერიოდს. თუმცა პოეტი დეკაბრისტების ორგანიზაციის წევრი არ ყოფილა, იგი „ცხოვრობდა და იწრთობოდა ამ მცხუნვარე ატმოსფეროში“. დეკაბრისტებთან მას აკავშირებდა პირადი და იდეური მეგობრობა. დეკაბრისტული

იდეოლოგია იმ დროს გაცილებით უფრო მძლავრად და ნიჭიერად გამოვლინდა პუშკინის სამოქალაქო ლირიკაში, ვიდრე თვით დეკაბრისტების პოეზიაში.

ლიცეუმის დამთავრებისთანავე იგი წერს ოდას „თავისუფლება" („Вольность", 1817), რომელშიც, აგრძელებს რა დიდი რევოლუციონერის — რადიშჩევის ამავე სახელწოდების ოდის ტრადიციას, უარყოფს „განაზებულ ჩანგს".

თავისუფლების მსურს ვთქვა ჰანგები,
ტახტზე გავგმირო დანაშაული.

(თარგმ. ვ. წ უ ლ უ კ ი ძ ი ს ა)

პუშკინი თავის ოდაში სწორად გვიხატავს რეაქციულ ძალთა ბატონობის სურათს სამამულო ომის შემდეგ.

ვაგლახ! — სადაც კი მივაპყარ თვალი,
ყველგან ხუნდია, ყველგან შოლტები,
კანონს თელავენ უხეში ძალით
და ცხარე ცრემლებს ღერიან მონები:
ყველგან ტახტზე ზის ძალმომრეობა, —
ყმობის, მონობის ბოროტი სული,
კეთილ აზრთაგან გამოთიშული
პატივმოყვარის მეფობს ზნეობა.

პოეტი არა მარტო ამხელს უკანონობის, ძალმომრეობისა და ჩაგვრა-მონობის შემაძრწუნებელ მოვლენებს, არამედ დადებით პოლიტიკურ პროგრამასაც იძლევა. იგი მოითხოვს მეფის ხელისუფლების შეზღუდვას კანონით, კონსტიტუციით. ამასვე მოითხოვდნენ, როგორც ცნობილია, ადრინდელი დეკაბრისტული ორგანიზაციები.

ეპოქის უაღრესად აქტუალურ სოციალურ საკითხზე — ბატონყმობაზე დაწერა პუშკინმა მესანიშნავი ლექსი „სოფელი" („Деревня", 1819). ეს ნაწარმოები ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში აღწერილია, თუ როგორ გაშორდა პოეტი ქალაქის „მაცდურ ცხოვრებას", „სრა-პალატებს" და მიაშურა სოფელს, რათა იქ ბუნების წიაღში ეპოვა სულის სიმშვიდე. პოეტი აღტაცებულია სოფლის უბრალო და მყუდრო ცხოვრებით, ბუჩქებში მოჩუხჩუხე ნაკადულებით, სურნელოვანი თივის ზვინებითა და ყვავილებით მოქარგული მდელოთი.

ამ წარმტაცი პეიზაჟის ფონზე განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ბატონყმობის მთელი სისაძაგლე, რომელსაც პუშკინი ლექსის მეორე ნაწილში გვიხატავს. პოეტი შესანიშნავად იყენებს კონტრასტის ხერ-

ხებს, როცა ბუნების სილამაზეს უპირისპირებს სოციალურ სიმახინჯეს, ბატონყმობის სამარცხვინო ინსტიტუტს.

აქ მემამულის ველურობამ აჭცია მონად
ადამიანი, ხოლო როზგი — ურყევ კანონად.

თავისი მებრძოლი სულისკვეთება, რევოლუციურ-პატრიოტული ოპტიმიზმი, ურყევი რწმენა რუსეთის ბრწყინვალე მომავლისა პუშკინმა განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატა მიმართვაში „ჩაადაევისადმი“ (1818).

ვიდრემდის შვების წყურვილით ესუნთქავთ,
პატიოსნებით ვიდრე ძგერს გული —
ძმაო, საყვარელ სამშობლოს ვეძღვნათ
ულამაზესი ზრახვანი სულის.
გწამღეს: რიჟრაჟი შუქნათებული
ამობრწყინდება რუსეთის ველზე,
აღდგება ხალხი გაღვიძებული
და თვითნებობის ტახტის ნანგრევზე
დაწერს ჩვენს სახელს გამარჯვებული.

(თარგმ. ვ. გიორგაძისა).

პუშკინის რევოლუციური ლექსების დაბეჭდვას, ცხადია, ვერავინ გაბედავდა, მაგრამ ისინი ისე ფართოდ ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით, რომ ბეჭდურზე უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა. მათ იზეპირებდა მთელი იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნე რუსეთი, მათ დეკაბრისტები კითხულობდნენ თავიანთ კრებებზე და ავრცელებდნენ ჯარის ნაწილებში. ამ ლექსებმა დიდი როლი შეასრულა რუსული რევოლუციური აზროვნების განვითარებაში.

აქედან დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა პოეტსა და თვითმპყრობელობას შორის. რუსეთში თითქოს ორი მოპირდაპირე ალექსანდრე მეფობდა: ალექსანდრე რომანოვი და ალექსანდრე პუშკინი. პუშკინი თავისუფლების, პოეზიის მეუფე იყო, ალექსანდრე რომანოვი კი, პოეტის თქმით, „მფლობელი სუსტი და ცბიერი, პრანჭია მელოტი, შრომის მტერი“. რომანოვი პუშკინს საშიშ ადამიანად თვლიდა და ამიტომ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე მოეცილებინა იგი თავიდან. ერთხელ, ცარსკოე სელოს ბაღში სეირნობის დროს, იმპერატორმა უთხრა პუშკინის ყოფილ მასწავლებელს (ლიცეუმის დირექტორს) ენგელგარდტს: „საჭიროა პუშკინის გადასახლება ციმბირში... მან წალეკა მთელი რუსეთი აღმაშფოთებელი ლექსებით. მთელი ახალგაზრდობა იზეპირებს მათ“.

პუშკინი მხოლოდ მეგობრების გამოქომაგებამ გადაარჩინა ციმ-

ბირს. სამაგიეროდ, ალექსანდრე პირველის ბრძანებით 1820 წლის მაისში პუშკინი სამხრეთში გადაასახლეს.

გადასახლებამდე ცოტა ხნით ადრე პუშკინმა დაასრულა თავისი პირველი პოემა „რუსლანი და ლიუდმილა“, რომელიც მოფიქრებული და დაწყებული ჰქონდა ჯერ კიდევ ლიცეუმში ყოფნის დროს. სიუჟეტი, რომელზეც ეს პოემაა აგებული, ძველი დროიდანვე ფართოდ იყო გავრცელებული მრავალი ქვეყნის ფოლკლორსა და ლიტერატურაში. იგი მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ მოხეტიალე ზღაპრულ სიუჟეტს იმის შესახებ, თუ როგორ გაათავისუფლა მამაცმა რაინდმა თავისი მიჯნური ავ სულთა ტყვეობიდან.

კიევის დიდი მთავარი ვლადიმერი თავის ულამაზეს ასულს ლიუდმილას სახელოვან რაინდ რუსლანზე აქორწინებს. ქორწილის დროს პატარძალს ჯადოქარი ჩერნომორი გაიტაცებს. ბევრი ძებნისა და წვალების შემდეგ რუსლანი ჩერნომორის თილისმურ ციხე-დარბაზს მიაღწევს, ჩერნომორს დაამარცხებს და თავის საყვარელ საცოლეს ტყვეობიდან დაიხსნის.

„რუსლანი და ლიუდმილა“ გამოირჩევა არა სიუჟეტის სიახლით, არამედ მისი ახლებურად გაშუქებით. თუ კლასიცისტები ამგვარ ფანტასტიკურ სიუჟეტზე „საგმირო რაინდულ“ პოემებს ქმნიდნენ, ხოლო კონსერვატორი-რომანტიკოსები მისტიკურ თხზულებებს, პუშკინი ჰაბუკური სიცელქით მოგვითხრობს „საგმირო“ და „საშინელ“ ამბებს. „მაღალ“ შინაარსს ის გადმოგვცემს „დაბალი“ და სახუმარო სტილით. პოემა გამსჭვალულია ჯანსაღი და მხიარული შეხედულებებით ცხოვრებაზე. პუშკინი გამოდის რეალური ცხოვრებიდან და ხალხური სიტყვიერებიდან.

რეაქციულმა კრიტიკამ „რუსლანი და ლიუდმილა“ შეადარა გლეხის უხეშ შეჭრას კეთილშობილ არისტოკრატთა დარბაზში, რუსეთის მოწინავე წრეები კი პოემას აღტაცებით შეხვდნენ. პუშკინმა პირველმა დაგვიხატა ცოცხალი ადამიანები და არა ლანდებიო,—შენიშნა ერთმა რეცენზენტმა.

შემონახულია ვ. ა. ჟუკოვსკის პორტრეტი, ახალგაზრდა პუშკინისადმი ნაჩუქარი, შემდეგი მრავლისმეტყველი წარწერით: „გამარჯვებულ მოწაფეს დამარცხებული მასწავლებლისაგან იმ დიდად საზეიმო დღეს, როდესაც მან დაამთავრა თავისი პოემა „რუსლანი და ლიუდმილა“. ეს იყო 1820 წლის ოც მარტს. ერთი კვირის შემდეგ კი გაჩნდა მთელი საქმე პუშკინის „მავნე ლექსების“ შესახებ, რამაც გამოიწვია პოეტის გადასახლება სამხრეთში.

გადასახლებაში. სამხრეთული პოემები. 1820 წლის 6 მაისს პუშკინი პეტერბურგიდან გაემგზავრა ეკატერინოსლავში (ახლანდელი დნეპროპეტროვსკი), სადაც უნდა ემსახურა სამხრეთ კოლონისტთა კომიტეტის ხელმძღვანელთან, გენერალ ინზოვთან. აქედან იწყება პოეტის ცხოვრებაში ახალი პერიოდი, რომელიც 1826 წლამდე გაგრძელდა.

ეკატერინოსლავს ჩასვლისას პუშკინმა იბანავა დნეპრში, გაცივდა და ავად გახდა. ავადმყოფი და მარტოხელა პუშკინი იწვა უბრალო ქოხში. ამ დროს მას ეწვია სამშობლო ომის გმირის, გენერალ ნ. ნ. რაევსკის შვილი ნიკოლოზი — პოეტის დიდი მეგობარი, რომელიც პეტერბურგიდან კავკასიაში მიემგზავრებოდა. რაევსკის თხოვნით, გენერალმა ინზოვმა პუშკინი სამკურნალოდ გაუშვა კავკასიაში.

რაევსკებთან ერთად პუშკინი ორ თვეს ისვენებდა პიატიგორსკში. შემდეგ რაევსკებთან ერთად პოეტმა ინახულა ბახჩისარაი — ყირიმის სახანოს ძველი დედაქალაქი, დაათვალიერა XVI საუკუნეში აგებული ხანის სასახლე.

სანამ პუშკინი კავკასიაში და ყირიმში მოგზაურობდა, გენერალ ინზოვის კანცელარია ეკატერინოსლავიდან გადაიტანეს კიშინიოვს, სადაც პოეტი 1820 წლის 21 სექტემბერს ჩავიდა და 1823 წლის ივლისამდე დარჩა. კიშინიოვი მაშინ დეკაბრისტების ბუდე იყო. აქ მსახურობდნენ ფარული საზოგადოების წევრები: გენერალი მ. ორლოვი, პოეტი ვ. რაევსკი და სხვები. პუშკინი მათ წრეში ტრიალებდა, განსაკუთრებით მეგობრობდა ვ. რაევსკისთან. პუშკინმა გაიცნო სამხრეთელი დეკაბრისტების ხელმძღვანელი პ. პესტელი, რომელთანაც ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის საუბარი, რის შემდეგ დაასკვნა: „პესტელი ერთ-ერთი უაღრესად ორიგინალური მოაზროვნეა“. პუშკინი ეწვია აგრეთვე დეკაბრისტ ვ. დავიდოვს სოფელ კამენკაში (კიევის გუბერნია) სწორედ იმ დროს, როცა იქ ფარული საზოგადოების წევრები შეიკრიბნენ ვითომც დღეობაზე, სინამდვილეში კი — თათბირის ჩასატარებლად. დეკაბრისტები პუშკინს არ უმხელდნენ საზოგადოების არსებობას, რადგან არ სურდათ საფრთხეში ჩაეგდოთ პოეტი.

1823 წლის ივლისში პუშკინი კიშინიოვიდან გადაიყვანეს ოდესაში, ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორ გრაფ მიხ. ვორონცოვთან სამსახურში. ამ უკანასკნელმა პოეტთან თავიდანვე უაღრესად ოფიციალურ-ბიუროკრატიული ურთიერთობა დაამყარა, ქედმაღლურ და დამამცირებელ დამოკიდებულებას იჩენდა მისადმი, ხოლო პუშკინი თავის მხრივ მწვავე ეპიგრამებით უმასპინძლდებოდა თავგასულ გენერალ-გუბერნატორს.

პოეტსა და გენერალს შორის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო

მწვავდებოდა. ვორონცოვი ზედიზედ უგზავნიდა მთავრობას პუშკინის უარყოფითს დახასიათებას და ბოლოს თავისას მიაღწია: პოეტი ოდესიდან გადაასახლეს სოფელ მიხაილოვსკოეში (პსკოვის გუბერნია) — მისი მშობლების მამულში, ადგილობრივი მმართველობის ზედამხედველობის ქვეშ.

პუშკინი 1824 წლის 9 აგვისტოს ჩავიდა მიხაილოვსკოეში, სადაც მას დახვდნენ მშობლები. მაშა უკმაყოფილო იყო ა. პუშკინის საქციელით, საყვედურებით ავსებდა მას. შემოდგომის მიწურულს პოეტის მშობლებმა მიატოვეს მიხაილოვსკოე. ამის შემდეგ პუშკინი მარტო დარჩა თავის საყვარელ ძიძასთან, არინა როდიონოვნასთან ერთად.

სოფელში პუშკინი კიდევ უფრო ახლოს ეცნობა ხალხურ შემოქმედებას, გლეხთა ცხოვრებას; ხშირად ტრიალებს ხალხში, დადის ბაზრობაზე... ამავე დროს, პოეტი ბევრს კითხულობს, თვალყურს ადევნებს ახალ წიგნებსა და ჟურნალებს, რომლებსაც პეტერბურგიდან უგზავნის ძმა.

ამრიგად, ა. პუშკინმა ხუთ წელზე მეტი გაატარა გადასახლებაში, ის გაეცნო სამხრეთ რუსეთს, კავკასიას, ყირიმს, მოლდავეთს, უკრაინას, გაეცნო ხალხთა ისტორიულ წარსულს, ყოფასა და ზეპირსიტყვიერებას, რის შედეგადაც შექმნა ბრწყინვალე ნაწარმოებები.

გადასახლებაში კიდევ უფრო გაძლიერდა პოეტის რევოლუციური განწყობილება. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამხრეთელ დეკაბრისტებთან ცოცხალმა ურთიერთობამ, მათთან საუბრებმა თავისუფლებაზე. ამ საუბრების შინაარსი კარგადაა ასახული ლექსში „ვ. ლ. დავიდოვისადმი“ (1821), რომელშიც პოეტი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთში მალე ამოვარდება რევოლუციური ქარიშხალი. იმავე წელს დაწერილ ლექსში „ხანჯალი“ („Кинжал“) პუშკინი აქებს ხანჯალს, როგორც ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას. რევოლუციური მოტივებითაა გამსჭვალული აგრეთვე საბერძნეთის აჯანყებისადმი მიძღვნილი ლირიკული ქმნილებები და ვრცელი ლექსი „ნაპოლეონი“ (1821).

გადასახლებაში პუშკინმა დაწერა პოემები „კავკასიის ტყვე“, „უჯარიელი ძმები“, „ბაღჩისარაის შადრევანი“ და „ბოშები“. ამ ნაწარმოებებს ჩვეულებრივ უწოდებენ სამხრეთულ პოემებს, რადგან ისინი სამხრეთში შეიქმნა და ასახავენ სამხრეთის ცხოვრებას.

სამხრეთული პოემები ახალ ეტაპს მოასწავებენ არა მარტო პუშკინის იდეურ-შემოქმედებით განვითარებაში, არამედ საერთოდ რუსულ ლიტერატურაში. აქ პუშკინი მოგვეელინა პროგრესული რომან-

ტიზმის ფუძემდებლად რუსეთში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუშკინის რომანტიზმში მძლავრად გამოვლინდა რეალისტური ტენდენციები.

სამხრეთული პოემების რომანტიზმი მკვეთრად უპირისპირდება კლასიციზმს და ამავე დროს მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ჟუკოვსკის რომანტიზმისაგან, ასევე ბაირონის რომანტიკული მეთოდისაგან.

ავიღოთ მაგალითად, პუშკინის. პირველი სამხრეთული პოემა „კავკასიის ტყვე" („Кавказский пленник", 1820—1821). კლასიცისტური პოემებისაგან განსხვავებით, ეს არ არის წმინდა ეპიკური ჟანრის ნაწარმოები. „კავკასიის ტყვე" გამოირჩევა ლირიზმითა და სულიერი მღელვარებით. ეს არის ლირიკულ-ეპიკური პოემა.

გარდა ამისა, კლასიცისტურ პოემასა და ეპოპეაში, როგორც წესი, მოქმედებდნენ ისტორიაში ცნობილი მეფეები, მხედართმთავრები და, საერთოდ, დიდი სახელმწიფო მოღვაწეები. კავკასიის ტყვე კი უბრალო მოკვდავი, ჩვეულებრივი ადამიანია. მასში პუშკინი შეეცადა მოეცა, როგორც თვითონ ამბობდა, XIX საუკუნის ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი თვისებები. ამ ახალგაზრდას, რომლის სახელს ავტორი განზრახ არ იძლევა, შეზიზღდება ეგრეთ წოდებული ცივილიზებული საზოგადოების სიყალბე და ფუქსავატობა, დაგმობს და მიატოვებს დედაქალაქის „მაღალ" წრეს და კავკასიას მიაშურებს იმ იმედით, რომ აქ, ბუნების წიაღში და მთიელთა მარტივ ყოფაში, იპოვის თავისუფლებას.

კავკასიის ტყვის სახეში, მის თვისებებში, მიუხედავად ამ პიროვნების ერთგვარი რომანტიკული ბუნდოვანებისა, პუშკინი სწორად გვიჩვენებს წინადეკაბრისტული ახალგაზრდობის ტიპიურ თვისებებს, პირველ რიგში კი — თავისუფლებისმოყვარეობას. გმირის განწყობილება კარგადაა გადმოცემული სიტყვებით:

თავისუფლებავ! ამ ქვეყნად მხოლოდ
შენღა სწყუროდი, შენღა ვნატრობდა.

მაგრამ გმირი ვერც კავკასიაში პოულობს თავისუფლებას. მეტიც, მას ჩერქეზები ტყვედ ჩაიგდებენ და, ალბათ, ტყვეობაშიც ალმოხდებოდა სული, ჩერქეზ ქალს რომ არ გაეთავისუფლებინა.

ჩერქეზი ქალიც თავისუფლებისმოყვარე და ჰუმანური ადამიანია. ამ სახის შექმნით პუშკინი ამტკიცებს, რომ კავკასიელთა გარკვეული ნაწილი რუსებისადმი მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული. ჩერქეზ ქალს სძულს არა რუსები, არამედ ძალთმობრეობა და ჩაგვრა, ვისი მხრიდანაც არ უნდა მოქმედიყოს იგი. ქალი ტყვეს უამბობს:

მაშა და ძმა ძალით გათხოვებას მიპირებენ მდიდარ კაცზე, რომელიც არ მიყვარს. მე კი შენ მიყვარხარ და მზადა ვარ აქედან შენთან ერთად გავიქცეო. ქალი დარწმუნდება, რომ ტყვეს იგი არ უყვარს, მაგრამ მას მაინც ათავისუფლებს. ტყვე მშვიდობით ბრუნდება რუსეთში, ქალი კი თავის მოკვლას ამჯობინებს „ნაყიდ“ ქმართან ცხოვრებას. გამოდის, რომ არც კავკასია ყოფილა თავისუფლების სამეფო, თურმე აქაც ბატონობდა დესპოტური ტრადიციები.

ამგვარად, პოემის ორივე გმირი თავისუფლებას ეძებდა. პირველი თავისუფლების მოსაპოვებლად რუსეთის დედაქალაქიდან კავკასიაში მივლტოდა, მეორე კი იმავე მიზნით ისწრაფოდა კავკასიიდან რუსეთისაკენ, მაგრამ სინამდვილეში ადამიანი ორივეგან ჩაგვრას განიცდიდა. ასეთია პოემის დედააზრი. ნაწარმოები დაწერილია რევოლუციური რომანტიზმის მეთოდით და თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია პროტესტანტული სულისკვეთებით.

ყოველივე ეს უცხო და მიუღებელი იყო არა მარტო „ორთოდოქსალური კლასიციზმისათვის“, არამედ ვ. ჟუკოვსკის რომანტიზმისათვისაც. თუ ვ. ჟუკოვსკი კონსერვატიულ-რელიგიურ იდეებს ქადაგებდა, პუშკინი უმღეროდა თავისუფლებას, ხალხთა მეგობრობას.

პუშკინმა გადალახა აგრეთვე აბსტრაქტული რომანტიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რაც ბაირონის აღმოსავლურ პოემებს ახასიათებდა. ბაირონის არაჩვეულებრივ, თითქმის ზღაპრულ, საიდუმლოებით მოსილ მეამბოხე ტიტანებთან შედარებით პუშკინის გმირები წარმოადგენდნენ რეალურ და ცოცხალ ადამიანებს; ისინი გამოირჩევიან მეტი კონკრეტულობითა და ტიპიურობით, ცხოვრებასთან მეტი სიახლოვით, გარკვეული საზოგადოების ნიშანდობლივი თვისებებით. მაშასადამე, პუშკინის რომანტიზმში უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი რეალისტური ნაკადი, სინამდვილის ტიპიური მოვლენების რეალისტური მეთოდით ასახვის ცდა.

აღსანიშნავია მეორე გარემოებაც. ინგლისელი რომანტიკოსისაგან განსხვავებით პუშკინმა დიდი ადგილი დაუთმო ობიექტური სინამდვილის აღწერას, ეპიკურ მხარეს. ბ. ბელინსკის სამართლიანი შენიშვნით, პუშკინის ნაწარმოების ჭეშმარიტი გმირია არა კავკასიის ტყვე, არამედ კავკასია.

თუმცა კავკასიაზე ძველადაც უწერიათ რუს მწერლებს, მაგრამ იშვიათად და სუსტად, რომ ეს თითქმის შეუმჩნეველი დარჩა მკითხველი საზოგადოებისათვის. კავკასიის ჭეშმარიტ „კოლუმბად“ პუშკინი ჩათვალეს. „კავკასიის გრანდიოზული სახე მისი მამაცი მცხოვრებლებითურთ, — წერდა ბ. ბელინსკი, — პირველად წარმოსა-

ბა რუსულმა პოეზიამ და მხოლოდ პუშკინის პოემაში გაეცნო პირველად რუსული საზოგადოება კავკასიას, რომელსაც რუსეთი უკვე დიდი ხანია იცნობდა იარაღით... პუშკინის მუზამ თითქოს აკურთხა დიდი ჭნით ადრე უკვე ნამდვილად არსებული ნათესაობა რუსეთისა ამ მხარესთან".

ამგვარად, პუშკინმა „აღმოაჩინა" როგორც თავისუფლებისმოყვარე თანამედროვე გმირი, ისევე რუსული ლიტერატურისათვის იქამდის უცნობი კავკასია — მჩქეფარე ცხოვრების, თავისუფლების, სილამაზისა და პოეზიის აღთქმული ქვეყანა. „კავკასიის ტყვე" მკითხველს აჯადოებდა აგრეთვე თემისა და ჟანრის სიახლით, ბრწყინვალე-და კეთილხმოვანი ლექსით, ხატოვანი და სადა პოეტური სტილითა და მარტივი ენით. ყოველივე ამით პუშკინის სამხრეთულმა პოემამ მთელი ეპოქა შექმნა რუსულ ლიტერატურაში. მას მრავალი მიმდევარი და ეპიგონი გამოუჩნდა.

1821—22 წლებში პუშკინი მუშაობდა დიდ პოემაზე, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ვოლგისპირეთის ყაჩაღთა თავგადასავალი და ცხოვრება. სამწუხაროდ, მან რატომღაც (ალბათ, ცენზურული პირობების გამო) მთლიანად დაწვა ეს პოემა, მხოლოდ ერთი ნაწყვეტი გამოქვეყნდა სათაურით „ყაჩაღი ძმები" („Братья разбойники"). ნაწყვეტში პოეტი დიდი თანაგრძნობით გვიხატავს ორ ძმას, რომლებმაც ბავშვობიდანვე იგემეს ბატონყმობის მთელი სიდუხჭირე, გაჭირვება, შიმშილი. როცა წამოიზარდნენ, ყაჩაღობას მიჰყვეს ხელი და დაიღუპნენ.

1823 წლის შემოდგომაზე პუშკინმა დაასრულა ახალი რომანტიკული პოემა „ბაღჩისარაის შადრევანი" („Бахчисарайский фонтан"), რომლის ფაბულას საფუძვლად დაედო ყირიმული ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ თავდავიწყებით შეუყვარდა ყირიმის ხანს — გირეის — ტყვედ წამოყვანილი პოლონელი ქალი მარია. გირეის ერთერთი ცოლი — ქართველი ზარემა (რომელიც, ეტყობა, ოდესღაც ასევე ტყვედ წაუყვანიათ) ამას ვერ აიტანს და შურისძიების ნიადაგზე მარიას მოკლავს, ხოლო გაბრაზებული გირეი ზარემას სიკვდილით დასჯის, მარიას სახსოვრად კი ააგებს თეთრი მარმარილოს ძეგლს.

რომანტიკული მეთოდის სუსტ მხარეებს პუშკინი ადრევე მიხვდა და მალე გადალახა იგი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი უკანასკნელი სამხრეთული პოემა „ბოშები" („Цыганы", 1824). მასში დახატული სიტუაცია და მთავარი გმირი ალეკო „კავკასიის ტყვეს" მოგვაგონებენ. მაგრამ კავკასიის ტყვესთან შედარებით ალეკოს თითქოს ბედმა გაუღიმა, ქალაქის მიტოვების შემდეგ მომთაბარე ბოშათა კარავში მან იგემა არა მარტო სანატრელი, თავისუფალი და მარტივი სიტკბოება, არამედ ბოშა ზემფირას უეშმარიტი სიყვარულიც.

ალეკო დასაწყისში წარმოგვიდგება თავისუფლებისმოყვარე რომანტიკულ გმირად, მაგრამ მოქმედების შემდგომ მსვლელობაში იგი აჭიანებს სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს — ეგოიზმსა და დესპოტურ ხასიათს. როცა ზემფირას სხვა შეუყვარდება, ალეკო მას სიცოცხლეს გამოაცალებს. გამოდის, რომ ალეკოს მხოლოდ თავისთვის ნდომებია თავისუფლება. ზემფირას ის უყურებს როგორც უუფლებო მონას, საკუთარ ნივთს, რომელიც ვალდებულია მხოლოდ ის დაატკბოს. ქალისათვის დაუშვებელია მოსტაცოს მას ეს სიტკბოება, ვაჟს კი მისთვის სიცოცხლის წართმევის უფლებაც ჰქონია. ბოშების ღარიბ კარავში ალეკომ მიიტანა იგივე დესპოტიზმი და ეგოიზმი, რომელიც დედაქალაქის „ცივილიზებულ წრეში“ ბატონობდა და რომელსაც იგი ადრე ესოდენ მგზნებარედ აუმხედრდა.

ალეკოს, რომელიც პოემის დასაწყისში თავისუფლებისმოყვარე რომანტიკულ გმირად წარმოგვიდგება, ავტორი თანდათან ხსნის რომანტიკულ ნიღაბს და აშიშვლებს მის ეგოისტურ ბუნებას. პოემაში დიდების შარავანდედით შემოსილია არა გმირი — ინდივიდუალისტი, როგორც ეს ბაირონის აღმოსავლურ პოემებში იყო, არამედ ბოშათა თავისუფლებისმოყვარე კოლექტივი.

თავის უკანასკნელ სამხრეთულ პოემაში პუშკინი ემშვიდობება რომანტიზმს და რეალიზმისაკენ იკვლევს გზას.

„ბორის გოდუნოვი“. „ბოშების“ დამთავრებისთანავე პუშკინმა მიხაილოვსკოეში 1824 წელს დაიწყო ტრაგედია „ბორის გოდუნოვი“, რომელიც დაასრულა 1825 წლის ნოემბერში. ტრაგედიაში ასახულია XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარი დრამატული ამბები („არეულობის ხანა“).

პუშკინმა თავის ტრაგედიის დასაწერად, უწინარეს ყოვლისა, შეისწავლა მატიანეები და სხვა დიდძალი დოკუმენტური მასალა. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა პოეტი ნ. კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას“, რომლის მეათე და მეთერთმეტე ტომები 1824 წელს გამოიცა. ამ ტომებში ავტორი ცოცხლად და დაწვრილებით აღწერდა ბორის გოდუნოვის ეპოქას. პუშკინი, მისივე აღიარებით, კარამზინს გაჰყვა „ამბების ნათელ განვითარებაში“. მაგრამ „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიიდან“ პუშკინმა ისარგებლა მხოლოდ ფაქტიური მასალით და გადაჭრით უარყო მისი მონარქისტულ-რელიგიური კონცეფცია.

ნ. კარამზინის გაშუქებით, ბორის გოდუნოვის მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ მან ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე — ჩვილი დიმიტრი მოაკვლევინა და ამიტომ მას ღვთის რისხვა სდევნის და სჯის. პუშკინის ნაწარმოებში კი—პირიქით, ბორისის ბედს

განაპირობებს სოციალური ბრძოლა, პირველ რიგში — „ხალხის აზრი". პუშკინის თხზულების მთავარი გმირია ხალხი და არა „ღვთისაგან განწირული" ბორისი.

ხალხისა და მეფის ურთიერთობა — აი, რა არის „ბორის გოდუნოვის" ძირითადი პრობლემა. პუშკინის აზრით, ისტორიულ მოვლენებში გადამწყვეტ როლს ხალხი ასრულებს, ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე და არა ცალკეული პიროვნების ღირსება-ნაკლოვანებაზე. მაგალითად, ცრუ დიმიტრის წარმატება ბორის გოდუნოვთან ბრძოლაში აიხსნება არა იმით, რომ ის ბორისზე მაღლა დგას, პირიქით — პუშკინის ნაწარმოებში თვითმარქვია გამოყვანილია ქარაფშუტა ავანტიურისტად, ხოლო გოდუნოვი — ჭკვიან და გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწედ. თვითმარქვია ვერაფერს ღაჟკლებდა ბორისს, ისევე როგორც ვერაფერი დააკლეს მას დიდგვაროვანმა ბოიარებმა, რომლებიც თავიდანვე მტრულად იყვნენ განწყობილი ამ „უგვაროო მეფის" მიმართ. ბორისი გაუმკლავდებოდა რეაქციონერ ბოიართა შეთქმულებებსაც და უცხოელი ინტერვენტების დახმარებით გამოლაშქრებულ გაიძვერა ცრუ დიმიტრისაც. მაგრამ საჭმე ისაშია, რომ ისინი მიმართავენ ყველაზე საშიშ ძალას — ხალხს. ყოველი სოციალური ჯგუფი თუ პირი ცდილობს მიიზიდოს და გამოიყენოს ეს ყოველისშემძლე ძალა.

ცრუ დიმიტრი გულუხვი აღმოჩნდა დაპირებებში. გლეხობამ გულუბრყვილოდ დაიჯერა, რომ ბორისის დროს გაბატონებული „შიში, დასჯები, უტიფრობა, გადასახადი, სასტიკი შრომა და შიმშილი აუტანელი" მოსპობილი იქნებოდა ახალი მეფის მიერ, რომ დიმიტრი „მოწყალეს თვალით გადმოხედავს... ღარიბს, მდაბიოს"... ამიტომ იყო, რომ ხალხი ცრუ დიმიტრის მიეხმრო.

„ბორის გოდუნოვი" მსოფლიო ლიტერატურაში იყო პირველი ნამდვილად სოციალური ტრაგედია, რომელშიც ჩანს, რომ სამშობლოს ბედის გადაწყვეტისათვის თვით ხალხის მასები მოქმედებენ.

მაგრამ პუშკინის თხზულების სიდიადე მდგომარეობს არა მარტო ღრმა იდეურ შინაარსში, არამედ შესანიშნავ მხატვრულ ნოვატორობაშიც.

თავის ტრაგედიას პუშკინმა უწოდა „ჰეშმარიტად რომანტიკული" თხზულება, რაც არსებითად „რეალისტურ თხზულებას" ნიშნავს (მაშინ ტერმინი „რეალიზმი" არ არსებობდა). კლასიცისტებისა და რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, პუშკინმა ნაწარმოების ერთადერთ პრინციპად აღიარა რეალიზმი, ცხოვრების სიმართლით ასახვა. ეს პრინციპი გამომჟღავნდა, პირველ ყოვლისა, სახეების გამოკვეთაში. კლასიცისტურ პიესებში, როგორც ვიცით, მოქმედი პირები წარმოად-

გენდნენ მშრალ აბსტრაქტულ სქემებს. თითოეული „გმირი" განასახიერებდა მხოლოდ ერთ რომელიმე თვისებას. მაგალითად, მოლიერის ძუნწი, პუშკინისვე სიტყვით, მხოლოდ ძუნწია და სხვა არავითარი თვისება არ გააჩნია. არსებითად კლასიციზმისათვის დამახასიათებელი ნაკლი გააჩნია ბაირონისა და სხვა რომანტიკოსთა თხზულებებსაც.

ცარყო რა მათი პრინციპები, პუშკინმა თავის ტრაგედიაში შემოქმედებითად გამოიყენა დიდი ინგლისელი დრამატურგის — შექსპირის მეთოდი, რომელიც ადამიანს ხატავდა არა სქემატურად, არამედ მრავალმხრივად და ცოცხლად. პუშკინის ტრაგედიაში ბორისი ტახტის მემკვიდრის მკვლელი და დესპოტია, მაგრამ ამასთან ერთად ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე და გულისხმიერი მშობელიცაა. ასევე დანარჩენ მოქმედ პირებსაც ავტორი გვიხატავს მთელი სიღრმით, მრავალმხრივად, რეალისტურად, სოციალური და ფსიქოლოგიური სიმართლით.

პუშკინის ნოვატორობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან დაარღვია „სამი ერთიანობის კანონი". „ბორის გოდუნოვში" მოქმედება გრძელდება 7 წელზე მეტ ხანს (1598—1605), თანაც მოქმედება წარმოებს არა ერთ გარკვეულ ადგილას, არამედ მოსკოვის წითელ მოედანზე და ჩუდოვოს მონასტერში, ტრიალ მინდორზე ნოვგოროდ-სევერსკის მახლობლად და სამხედრო ბანაკში, სამკიტნოში ლიტვის საზღვარზე და მნიშეკის ციხე-დარბაზში პოლონეთში. პუშკინის თხზულება დაწერილია ხუთმუხლიანი იამბით, ადგილ-ადგილ კი — პროზითაც. იგი დაყოფილია 23 სცენად, რაც ცხოვრების ფართოდ ჩვენების საშუალებას იძლევა.

ამგვარად, პუშკინმა გაათავისუფლა რუსული დრამატურგია კლასიციზმისა და რომანტიზმის შემბოჭველი ბორკილებიდან და შექმნა რეალისტური ტრაგედია, რომელშიც მართლად გვიჩვენა ისტორიული სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრების კონფლიქტები, ხალხის როლი ისტორიაში. ეს იყო პირველი ჭეშმარიტად ისტორიული ტრაგედია არა მხოლოდ რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც.

პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება 1826—29 წლებში. პუშკინი გადასახლებაში იმყოფებოდა, როდესაც პეტერბურგსა და სამხრეთ რუსეთში დეკაბრისტები აჯანყდნენ. აჯანყების დამარცხებითა და თავისი მეგობრების მწარე ხვედრით შეწუხებული პოეტი მოსვენებას კარგავს. მას სურს დაწვრილებით გაიგოს პეტერბურგში მოხდარი ამბები, მაგრამ გადასახლების ადგილიდან წამოსვლის უფლება არა აქვს.

ხელისუფალნი დარწმუნდნენ, რომ თუმცა პოეტი საიდუმლო საზოგადოების წევრი არ ყოფილა, თავისი რევოლუციური ლექსებით

იგი დიდ როლს ასრულებდა დეკაბრისტულ მოძრაობაში. ამიტომ ახალმა იმპერატორმა გადაწყვიტა ან მკაცრად დაესაჯა პუშკინი, ან თავისი რეაქციული პოლიტიკისათვის დაემორჩილებინა იგი.

1826 წლის სექტემბერში პუშკინი ჩაიყვანეს მოსკოვში — პირდაპირ მეფესთან. ნიკოლოზ პირველის შეკითხვაზე, თუ როგორ მოიქცეოდა პუშკინი 14 დეკემბერს, პეტერბურგში რომ ყოფილიყო, პოეტმა გაბედულად და გულახდილად უპასუხა: „ჩავდგებოდი აჯანყებულთა რიგებში“. მეფემ თავი ისე დაიჭირა, თითქოს დაკმაყოფილდა პუშკინის გულწრფელი აღიარებით და „მამობრივი პატიების“ სცენა გაითამაშა. ცბიერმა იმპერატორმა პოეტს ყველაფერი „აპატია“ და „თავისუფალი“ ცხოვრების ნება მისცა. ამასთან ერთად, რადგან პუშკინი ცენზურას უჩიოდა, მეფე შეპირდა, რომ მისი ცენზორი თავად იქნებოდა. ნამდვილად კი მან პუშკინი III განყოფილებას მიანდო და ჟანდარმთა შეფს — ბენკენდორფს დაავალა სასტიკი თვალყურის დევნება. პუშკინმა მალე იგრძნო მეფის „წყალობა და მზრუნველობა“. ამიერიდან ნიკოლოზ პირველის ნებართვის გარეშე მას არ შეეძლო არათუ რაიმეს დაბეჭდვა, არამედ ნაბიჯის გადადგმაც კი.

ამ მძიმე ვითარებაში პუშკინის წინაშე განსაკუთრებული სიმძლავრით დაისვა საკითხი საზოგადოებაში პოეტის ადგილისა და დანიშნულების შესახებ. თუმცა ამ თემას პუშკინი სხვა დროსაც შეხებია, მაგრამ ახლა „ბორის გოდუნოვის“ ავტორს ეს საკითხი განსაკუთრებით აღელვებდა, რადგან მთავრობა და რეაქციული პრესა ცდილობდნენ, იგი მოესყიდათ, დაემორჩილებინათ და კარის მეხოტბედ გაეხადათ. ამ ცდებს პუშკინმა უპასუხა შესანიშნავი ლექსებით — „წინასწარმეტყველი“ („Пророк“, 1826), „პოეტი“ (1827), „პოეტი და ბრბო“ („Поэт и толпа“, 1828), „პოეტს“ (1830) და სხვ. ამ ლექსებში იგი იცავს დამოუკიდებელი ხელოვნების იდეას, შემოქმედების თავისუფლებას. ჰეშმარიტ მგოსანს პუშკინი ადარებს წინასწარმეტყველს, რომელმაც კაცთა გულები უნდა აღაგზნოს პოეტური სიტყვით („წინასწარმეტყველი“).

პუშკინი გადაიქცა არა კარის მეხოტბედ, არამედ 14 დეკემბრის გმირთა მადიდებელ პოეტად. ბევრს წერდა იგი აჯანყებული და დასჯილი დეკაბრისტების შესახებ. ამ თემამ ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა პუშკინის იმ დროის შემოქმედებაში. მან დეკაბრისტების განადგურების შემდეგაც მტკიცედ შეინარჩუნა უსაზღვრო სიძულვილი ტირანიისადმი და მგზნებარე სიყვარული თავისი რევოლუციონერი მეგობრებისადმი. ამაზე მეტყველებს, პირველ ყოვლისა, მისი ლექსი „არიონი“ (1827), რომელშიც პუშკინი ალეგორიულ ფორმაში გამოხატავს თავის კავშირს დეკაბრისტულ მოძრაობასთან. ის პირდაპირ აცხადებს, რომ „იმავ სიმღერებს“ აგრძელებს, რომლებსაც მღეროდა

14 დეკემბრის აჯანყებამდე, თავისი მეგობრების დაღუპვამდე. მართლაც, თავის მრავალ ნაწარმოებში მან იშვიათი პოეტური ძალით და გულწრფელობით გამოხატა მტკიცე ერთგულება დეკაბრისტებისადმი.

პუშკინი კატორღაში მყოფ მეგობრებს უგზავნის შესანიშნავ ლექსს „დაე, ციმბირის მადნის ბუდობში" (ჩვეულებრივ მას პირობითად ასე ასათაურებენ: „მიმართვა ციმბირს"). რუსულ რევოლუციური პოეზიის ამ უალრესად პოპულარულ ნაწარმოებში პუშკინი უბღერის დეკაბრისტებს „ფიქრთა მაღალ მისწრაფებას" და რწმენას გამოთქვამს, რომ მათი ბრძოლა უშედეგოდ არ ჩაივლის.

გჯეროდეთ, ჟამი ნანატრი მოვა.
სიყვარული და ძმობა თქვენთანაც
შეაღწევენ დილეგის ბნელში,
როგორც ჩემი ხმა თავისუფალი
შემოდის თქვენი კატორღის ხვრელში.
დაინგრევიან საპყრობილენი,
გატყდება მძიმე ხუნდების რკალი,
მოგელით ლაღი თავისუფლება
და მოგელოდებათ ძმებისგან ხმალი.

(თარგმ. კ. ჭიჭინაძისა)

პუშკინის ამ პერიოდის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა პეტრე პირველის თემამ. ცნობილია, რომ პეტრე პირველის თემა პოპულარული იყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პროგრესულ ლიტერატურაში. ანა მარტო კანტემირი, ლომონოსოვი, რადიშჩევი და სხვა მოწინავე რუსი მწერლები, არამედ გამოჩენილი ქართველი პოეტებიც — არჩილ II და დავით გურამიშვილი პეტრეს აფასებდნენ როგორც შესანიშნავ სახელმწიფო მოღვაწეს, დიდ რეფორმატორს, სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლსა და განათლებულ მეფეს.

პუშკინი აგითარებს ამ პროგრესულ ხაზს თავის ნაწარმოებებში — „სტანსები"(„Стансы", 1826), „პეტრე დიდის ზანგი" („Арап Петра Великого", 1827) და „პოლტავა" (1828).

პოეტის განსაკუთრებული დაინტერესება პეტრეს პიროვნებით ოციანი წლების მეორე ნახევარში, დეკაბრისტების განაღგურების შემდეგ, აიხსნება გარკვეული პოლიტიკური მიზეზებით. პუშკინს სურს ზეგავლენა მოახდინოს ახლად გამეფებულ ნიკოლოზ პირველზე, რათა, მან, პეტრეს მაგალითისამებრ, ნაწილობრივ მაინც გაატაროს „ზევიდან" ის მომწიფებული რეფორმები, რომელთა განხორციელებას დეკაბრისტები ცდილობდნენ „ქვევიდან", რევოლუციური გადატრიალების გზით. „სტანსებში" პოეტი მოუწოდებს ახალ იმპერატორს — ყველაფერში მიბაძოს თავის სახელოვან წინაპარს, პეტრე პირველს,

რომელიც „გაბედულად თესავდა სწავლა-განათლებას", აკადემიკოსი იყო და გმირიც, მეზღვაურიცა და დურგალიც. „იყავი პეტრესავით დაუღალავი მშრომელი და მოწყალე", — ურჩევდა პუშკინი ნიკოლოზ პირველს (შეწყალებას თხოვდა დეკაბრისტების მიმართ).

1828 წელს პუშკინმა რამდენიმე თვეში დაწერა ახალი ნაწარმოები — ბრწყინვალე ისტორიულ-პატრიოტული პოემა „პოლტავა", რომელშიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია ორივე მხარე — კერძო და სახელმწიფოებრივი, ლირიკული და ეპიკური, მოხუცი მაზეპასა და ახალგაზრდა მარიას სიყვარულის ამბავი და უდიდესი ეროვნულ-ისტორიული მოვლენა — პეტრე პირველის გამარჯვება შვეციის მეფე კარლოს XII-თან პოლტავის ბრძოლაში 1709 წელს.

პუშკინი პეტრეს ხატავს როგორც დიდ სარდალს, პატრიოტსა და „ჩრდილოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობრიობის" შემქმნელს. პოეტი მას მკვეთრად უპირისპირებს არა-მარტო აგრესორ-ავანტიურისტს, „მოხეტიალე მეომარ კარლოს XII-ს", არამედ აგრეთვე კოჩუბეის, მაზეპასა და მარიას, რომლებიც ეგოიზმს განასახიერებენ. თუ პეტრე ყველაფერს სახელმწიფოებრივ ინტერესებს უქვემდებარებს, კარლოსი, კოჩუბეი, მაზეპა და მარია მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ზრუნავენ, ყველაფერზე მაღლა საკუთარ კეთილდღეობას აყენებენ. ამიტომ ისინი მარცხდებიან. ისტორიაში უკვდავ ძეგლად რჩება მხოლოდ პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი ნამოქმედარი, სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ გაკეთებული დიდი საქმეები.

„პოლტავაში" პუშკინმა მაღალი პატრიოტული გრძნობით უმღერა რუსეთის ძლიერებას, რომელიც „ფოლადის" მსგავსად გამოიწრთო დიდ ისტორიულ განსაცდელთა „მძიმე უროს" ქვეშ.

თბილისში ჩამოსვლა. საქართველო პუშკინის შემოქმედებაში. 1829 წლის 27 მაისს პუშკინი სამხედრო გზით ჩამოვიდა თბილისში. ეს მოგზაურობა შემთხვევითი არ ყოფილა. პოეტს ბავშვობიდანვე აინტერესებდა საქართველო.

პიატიგორსკში ყოფნისას 1820 წელს კიდევ უფრო გაღრმავდა პუშკინის ინტერესი და ცოდნა საქართველოზე. ნ. ნ. რაევსკის მამა, რომლის ოჯახშიც პოეტი ცხოვრობდა, ოდესღაც საქართველოში მსახურობდა პოლკის უფროსად და, ალბათ, ხშირად ყვებოდა აქაურ ამბებს.

საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ცოდნა პუშკინმა გამოამჟღავნა უკვე „კავკასიის ტყვეში", რომლის ერთ-ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ: „საქართველოს ბედნიერი ჰავა არ უნაზღაურებს ამ მშვენიერ ქვეყანას ყველა იმ უბედურებას, რასაც იგი გამუდმებით გა-

ნიცდის. ქართული სიმღერები სასიამოვნოა..." ეს შენიშვნა პუშკინმა დაწერა პოემის იმ ადგილს, სადაც ჩერქეზის ქალი ტყვეს უმღერის „ბედნიერი საქართველოს სიმღერებს" („Песни Грузии счастливой").

უნდა აღინიშნოს, რომ პუშკინის მეორე ნაწარმოები, რომელიც უფრო მოგვიანებით დაიწერა, იწყება სრულიად საწინააღმდეგო სიტყვებით: „ნუ მღერი, ლამაზო, შენ ჩემთან სევდიანი საქართველოს სიმღერებს" („**Не пой, красавица, при мне ты песен Грузии печальной**"). ამ მოჩვენებით წინააღმდეგობას („Грузии счастливой", „Грузии печальной") ნათელს ჰფენს ზემოთ მოტანილი შენიშვნა, რომელშიც პუშკინი განმარტავს, რომ საქართველო ბედნიერია თავისი ბუნებით, ჰავით, მაგრამ სევდიანი და უბედურია თავისი ტრაგიკული ბედით. დიდმა პოეტმა იცოდა, თუ როგორ აპარტახებდნენ და იკლებდნენ საქართველოს ძველად თურქ-სპარსელი აგრესორები, XIX საუკუნეში კი — მეფის რუსეთის მოხელეები.

პუშკინის ინტერესი საქართველოსადმი განსაკუთრებით იზრდება 14 დეკემბრის შემდეგ. თვითმპყრობელობის მარწუხებში მოქცეულ პოეტს სული ეხუთება. 1826—1829 წლებში იგი ხშირად ფიქრობს ციმბირსა და კავკასიაზე. იქ, შორეულ და სუსხიან ციმბირში, ბორკილგაყრილი დეკაბრისტები იტანჯებოდნენ, აქ კი — „თბილ ციმბირში" გადმოსახლებულნი, ისინი სპარსეთ-თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. საქართველოში მსახურობდნენ პუშკინის ახლო მეგობრები: ნ. რაევსკი, ვ. ხოლხოვსკი, მ. პუშჩინი, ა. გრიბოედოვი, პოეტის ღვიძლი ძმა ლევ პუშკინი და სხვანი.

პუშკინს ძალიან უნდოდა საქართველოში ჩამოსვლა, მეგობრების ნახვა და ამ „ზღაპრული მხარის" გაცნობა, მაგრამ მთავრობის ნებართვას ვერ ეღირსა და ამიტომ უმაღლესი ხელისუფლების ნებადაურთველად გამოემგზავრა თბილისისაკენ. გადმოლახა რა ჯერის უღელტეხილი — „მრისხანე კავკასიიდან მშვენიერი საქართველოსაკენ", 27 მაისს იგი უკვე თბილისში იყო.

პუშკინის ასეთმა „თვითნებობამ" მეტად შეაშფოთა მთავრობის წრეები. მათ იცოდნენ, რომ პოეტი აქ უმთავრესად დეკაბრისტებთან შესახვედრად მოდიოდა და ამიტომ სასწრაფო განკარგულება გამოუგზავნეს საქართველოს მთავარმმართებლობას პუშკინზე „სათანადო მეთვალყურეობის დაწესების შესახებ".

ა. პუშკინის ძმა და მეგობარი დეკაბრისტები იმ დროს თბილისში არ იმყოფებოდნენ. ისინი არზრუმისაკენ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ და ამიტომ პოეტმა არმიის სარდლობას თხოვნა გაუგზავნა — ფრონტზე ჩასვლის ნება მომეცითო. პასუხის მოლოდინში, — წერს

პუშკინი, — „თბილისში ორ კვირამდე დავყავი და იქაური საზოგადოება გავიცანი“ („მოგზაურობა არზრუმში“).

ნებართვის მიღებისთანავე, 10 ივნისს პუშკინი ფრონტისაკენ გაეშურა. მეორე დღეს მიყრუებულ ხეობაში, გერგერის მახლობლად, იგი შეხვდა თავისი გენიალური თანამოკალმის, ირანში მოკლული ა. გრიბოედოვის ცხედარს.

... პოეტი რუსეთის არმიას დაეწია. მთელ დროს იგი თავის მეგობარ დეკაბრისტებთან ატარებდა. არზრუმის აღებისა და ომის დამთავრების შემდეგ კი 1 აგვისტოს, კვლავ თბილისში დაბრუნდა და აქ, როგორც თვითონ წერს, ერთ კვირამდე დარჩა „თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში. რამდენიმე საღამო ბაღებში გავატარე ფუსიკისა და ქართული სიმღერების მოსმენაში“.

საქართველოში ყოფნის დროს პუშკინი უშუალოდ გაეცნო ამ მხარის თავისებურ ცხოვრებასა და დიდ კულტურას, მის ისტორიულ წარსულს, თვალწარმტაც ბუნებას და ყოველივე ეს ასახა თავის შესანიშნავ ნაწყვეტებში. ქართულმა თემამ საპატიო ადგილი დაიკავა რუსი გენიოსის შემოქმედებაში, იქცა მისი პოეტური შთაგონების ახალ წყაროდ.

1829 წლის მოგზაურობის შემდეგ დაწერილი თხზულებებიდან უკეთესზე მნიშვნელოვანია მხატვრული ნარკვევი — „მოგზაურობა არზრუმს“ („Путешествие в Арзрум“), რომლიდანაც პუშკინმა ნაწყვეტი გამოაქვეყნა 1830 წელს, მთლიანად ნაწარმოები კი მოგვიანებით, 1836 წელს დაიბეჭდა. მასში პუშკინი აგვიწერს თავის მოგზაურობას მოსკოვიდან არზრუმამდე, მაგრამ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოს.

აღწერს რა საქართველოს დედაქალაქს, პოეტი განმარტავს, თუ რას ნიშნავს სიტყვა „თბილისი“, მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიას და დაასკვნის: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ ჩვენი დროშების ქვეშ დაამტკიცეს თავიანთი მამაცობა“. აქ პუშკინს მხედველობაში აქვს რუს-ქართველთა ის საბრძოლო თანამეგობრობა, რომელიც არაერთხელ გამოვლინდა და რომელზეც სიამაყის გრძნობით წერდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძე ცნობილ პასუხში კატკოვს.

პუშკინს ძალიან მოსწონდა ქართველები. „ისინი საერთოდ მხიარული ზნისანი არიან და ურთიერთთან შეხვედრის მოყვარულნი („общежительного нрава“), ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოა: ერთ-ერთი სიმღერა სიტყვა-სიტყვით გადმომითარგმნეს“. პუშკინი რუს მკითხველს აცნობს ამ სიმღერის ტექსტსაც. ესაა „გარდამავალი ხანის“ ქართველი პოეტის დიმიტრი თუმანიშვილის მეტად გავრცელებული სასიმღერო ლექსი „ახალ ალნაგო სულო და ედემში ალმოსულო და“.

პუშკინის ნარკვევის კითხვის დროს კაცს ერთი უცნაურობა ეცემა თვალში: იმ ქართველებიდან, ვისაც ავტორი თავისი მოგზაურობის დროს შეხვდა, დასახელებულია მხოლოდ „თავადი ყაზბეგი“ და „ჩილაევი“ (ლაპარაკია ალექსანდრე ყაზბეგის მამა მიხეილზე, რომელსაც პუშკინი სოფ. ყაზბეგში შეხვდა, და ბორის ჭილაშვილზე, რომელიც ოდესაც დეკაბრისტ ა. ბესტუჟევ-მარლინსკისთან ერთად სწავლობდა პეტერბურგში. ახლა კი საქართველოს სამხედრო გზას განაგებდა). ქართველთაგან პუშკინი სხვას არავის ასახელებს, თუმცა ცხადია, ის მრავალ ჩვენს მოღვაწეს შეხვედებოდა, განსაკუთრებით თბილისში. როგორც ფიქრობენ, მათზე დუმილი იმით აიხსნება, რომ ისინი (ალ. ჯავჯავაძე, გრ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, გ. ერისთავი და სხვ.) შემდგომ ჩარეულნი აღმოჩნდნენ 1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში, ერთგვარი კავშირი ჰქონდათ დეკაბრისტებთანაც, და 1836 წელს, როცა პუშკინის თხზულება გამოქვეყნდა, გადასახლებაში იყვნენ. ამიტომ მათი დასახელება შეუძლებელი იყო. ამავე მიზეზით უნდა ავხსნათ ის გარემოებაც, რომ იმ დეკაბრისტების გვარები, რომლებთანაც პუშკინი თითქმის მთელ დროს ატარებდა სამხედრო ბანაკში, ნარკვევში აღნიშნულნი არიან მხოლოდ ინიციალებით.

გარდა ნარკვევისა, პუშკინმა საქართველო ასახა 1829 წელს დაწერილ მრავალ ლექსში. თითქმის ყველა მათგანი მიეძღვნა ამ მხარის თვალწარმტაც ბუნებას. ავიღოთ ლექსი „საქართველოს მთებზე“ („На холмах Грузии“), რომელსაც ბელინსკიმ „პუშკინის მუზის ერთ-ერთი საუკეთესო, გულითადი ქმნილება“ უწოდა. აქ პოეტი გადმოგვცემს იმ განცდებსა და სევდიან ფიქრებს საყვარელ არსებაზე, რომლებიც მას დაეუფლნენ არაგვის ნაპირზე მწუხრის ჟამს.

საღამოს ბინდი საქართველოს მთებზე დაეშვა,
ჩემს წინ არაგვი მიბორგავს ქშენით.
გადაეშალა სული ჩემი ნათელ კაეშანს,
ეს კაეშანი სავსეა შენით.
(თარგმ. კ. ჰ ი პ ი ნ ა ძ ი ს ა)

ამ ლირიკულ მარგალიტში, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ (თუ ბარათაშვილის ცნობილი ლექსის პერიფრაზირებას მოვახდენთ) „ფიქრი არაგვის პირას“, ერთმანეთთან ორგანულადაა შერწყმული პოეტისათვის ძვირფასი ორი თემა — საქართველო და სიყვარული.

მეორე შესანიშნავ ძეგლში „მონასტერი მყინვარზე“ („Монастырь на Казбеке“) პუშკინი მომხიბლავი ფერებით გვიხატავს საქართველოს ძველ ისტორიულ ძეგლს — წმინდა სამების ტაძარს ყაზბეგში. პუშკინის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა თერგის შებრძოლმა სახემ. ისეთ ბრწყინვალე ლექსებში, როგორიცაა „კავკასიონი“ („Кавказ“) და „ზვავი“ („Обвал“), პოემებში: „თაზიტი“ და „ევგენი

ონეგინი", აგრეთვე დაუმთავრებელ ლექსებში: „მთის კედლებს შორის თერგი რბის", („Меж горных стен несется Терек") და „აი ბნელ კლდეთა ხეობა" („И вот ущелье мрачных скал"). პოეტი არა მარტო ზუსტად აგვიწერს ამ მშფოთვარე მდინარესა და მის გარშემო სანახაობას, არამედ თითქოს სულს უდგამს და აცოცხლებს მათ, ჩააქსოვს მათში საკუთარ აზრებსა და გრძნობებს, აქცევს მათ გარკვეული საზოგადოებრივი იდეების გამოსახვის საშუალებად.

ავიღოთ, მაგალითად, ცნობილი ლექსი „კავკასიონი". მასში დახატულია მთის ლანდშაფტის საოცრად ზუსტი სურათი. მკითხველი თითქოს თვითონ ხედავს ბუნების მომხიბვლელ ფერებს და ისმენს მომაჯადოებელ ბგერებს. ლექსის უკანასკნელ სტროფში კი პოეტი აღწერიდან სიმბოლიკაზე გადადის და თერგის შესახებ ამბობს:

თამაშობს, ღმუის ისე, როგორც ნორჩი ნადირი,
როდესაც რკინის გალიიდან თვალს მოჰკრავს საკვებს.
ასე ამაოდ ებრძვის ნაპირს, ვერაფერს აკლებს,
მშიერი ტალღა ლოკავს კლდეებს ხარბი წყალით...
ეაგლახ! არა აქვს იმას ლუკმა და სიხარული,
მუნჯი კლდეებით არის იგი შემორკალული.

(თარგმ. მ. პატარიძისა).

ამის შემდეგ ლექსის პირვანდელ ვარიანტში შედარებით ახალი სახეები იყო მოცემული: დარიალის ვიწროები შედარებული იყო უცხო ძალების დესპოტურ კანონებთან, ამბოხებული თერგი კი — თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიასთან.

„კანონთა ბორკილს გაუთანგავს თავისუფლება,
მძიმე კაბშანს შეუპყრია ლაღი ტომები:
დღეს დამუნჯებულთ, უტყვად მბორგავთ, უფლებააყრილთ, —
ისე თრგუნავენ კავკასიელთ მძლე ბატონები..."

ეს სტროფი პუშკინმა ამოიღო (შესაძლოა, ცენზურული მოსაზრებითაც), ამასთან ლექსის იდეური შინაარსი კიდევ უფრო გააფართოვა: თერგი საბოლოო ტექსტში მოცემულია არა მხოლოდ მეფის რუსეთის დესპოტური რეჟიმის, არამედ საერთოდ ყოველგვარი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ.

შმაგი თერგის პოეტური განსაკუთრებული ძალით დაგვიხატა პუშკინმა ლექსში „ზვავი", რომელიც ჯერ კიდევ ალ. ჭავჭავაძემ მშვენივრად გადმოთარგმნა ქართულად.

პოეტი გრძნობდა რაღაც საერთოს და მახლობელს ურჩ და მშფოთვარე თერგთან, რომელიც ესოდენ თავდავიწყებით ებრძოდა სულის შემხუთველ შაე კლდეებსა და მრისხანე ზვავებს. ბობოქარი თერგი

პუშკინის პოეზიაში განასახიერებს თვით პოეტის შეუნელებელ მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. ჩაგვრისა და რუტინის წინააღმდეგ ბრძოლას, ისევე, როგორც ცადაზიდული მუნჯი კლდეები დარიალის ვიწრო ხეობაში, რომელსაც პუშკინი რკინის გალიასა და საპყრობილეს ადარებს. განასახიერებს მეფის რუსეთის შავბნელ რეჟიმსა და, საერთოდ, დესპოტიზმს. ამგვარად, თერგის თემა პუშკინის ლირიკაში ყღერს როგორც თავისუფლების ჰიმნი, მას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

თერგის ასეთ გააზრებაში ენათესაებიან პუშკინს არა მარტო ლერმონტოვი („დემონი", „თერგის საჩუქრები") და სხვა გამოჩენილი რუსი პოეტები, არამედ ქართული ლიტერატურის ისეთი კლასიკოსებიც, როგორიცაა ალექსანდრე ყაზბეგი („ციცია", „ციკო", „მამის მკვლელი"), ვაჟა-ფშაველა („კლდე და მდინარე") და ილია ჭავჭავაძე, რომლის „მგზავრის წერილებში" ვკითხულობთ:

„მიყვარს თერგის ზარიანი ხეობა, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა... ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი... ვგრძნობთ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა".

ბოლდინოს შემოდგომა. „ევგენი ონეგინი". პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1830 წელს. ამ წელს მან ცოლად შეირთო ნატალია ნიკოლოზის ასული გონჩაროვა, სრულიად ახალგაზრდა და ლამაზი მოსკოველი ქალი. ამასთან დაკავშირებით, პოეტმა მშობლისაგან მემკვიდრეობად მიიღო ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფელ ბოლდინოს მახლობლად მდებარე სოფელი კისტინიოვკა. პუშკინი 1830 წლის 1 სექტემბერს კისტინიოვკისაკენ გაემგზავრა. ადგილზე მისვლისას იგი დარწმუნდა, რომ ეს მამული მას არავითარ შემოსავალს არ მისცემდა, რადგან გლეხები გაღატაკებულნი იყვნენ. პოეტს მაშინვე უნდოდა მოსკოვს დაბრუნებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს გავრცელდა ქოლერის ეპიდემია. მოსკოვის გზა კარანტინების გამო დაიხურა და პუშკინი იძულებული გახდა ბოლდინოში დარჩენილიყო წლის დამლევამდე.

ლიტერატურაში ამ პერიოდს უწოდებენ „ბოლდინოს შემოდგომას". შემოდგომა მუდამ ნაყოფიერი იყო პუშკინის შემოქმედებაში, მაგრამ ბოლდინოს შემოდგომა სრულიად განსაკუთრებული აღმოჩნდა. აქ, სოფლის სიმყუდროვეში, ცენტრალური ხელისუფლებისა და

ჟანდარმერიისაგან დაშორებით, არნახული სიმძლავრით იფეთქა პუშკინის შემოქმედებითმა გენიამ. დაახლოებით სამ თვეში ბოლდინოში დაამთავრა „ევგენი ონეგინი“, დაწერა მცირე ტრაგედიები, „ბელკინის მოთხრობები“, პოემა „სახლი კოლომნაში“, ოცდაათამდე ლექსი, ზღაპარი და მრავალი სტატია.

„ევგენი ონეგინი“ პუშკინის ცენტრალური და საუკეთესო ქმნილებაა. „მისი ფანტაზიის უყვარელი პირმშოა“. პოემაზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ კიშინიოვში ყოფნისას — 1823 წლის მაისში — და ძირითადად დაამთავრა 1830 წლის შემოდგომაზე. ამგვარად, თხზულება, რომელიც შედგება რვა დასრულებული თავისაგან [1], თითქმის რვა წლის განმავლობაში იწერებოდა და ცალკე თავებად იბეჭდებოდა.

ბუნებრივია, რომ რადგან „ევგენი ონეგინი“ ასე ხანგრძლივად იწერებოდა, მასში გამოვლინდა პოეტის შემოქმედებითი ზრდა და ამ წლების შთაბეჭდილებანი. თუ 1825 წლის 14 დეკემბრის კატასტროფამდე შექმნილი ნაწილი (I—IV თავები) დაწერილია მხიარული და ნათელი ტონით, შემდეგ ეს ტონი უფრო მუქი და დაღვრემილი ხდება. რაც შეეხება შემოქმედებით მეთოდს, ნაწარმოების პირველ თავებში კიდევ იგრძნობა რომანტიკული პოემების ავტორი, მომდევნო ნაწილები კი ლრმა და მოწიფებული რეალიზმით გამოირჩევა. საერთოდ, „ევგენი ონეგინი“ რეალისტური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

თხზულებას სათაურის ქვეშ პუშკინმა გაუკეთა წარწერა: „რომანი ლექსად“ („Роман в стихах“) და ამით მისი ჟანრის თავისებურებაზე მიუთითა. ცნობილია, რომ რომანი საერთოდ ეპიკური ჟანრის თხზულებაა, რომელიც ფართოდ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს და, როგორც წესი, იწერება პროზით. ლექსად დაწერილ ისეთ ვრცელ ნაწარმოებს კი, როგორიცაა „ევგენი ონეგინი“, ჩვეულებრივ უწოდებენ პოემას, ე. ი. მიაკუთვნებენ ლირიკულ-ეპიკურ ჟანრს. პუშკინის თხზულებაც არსებითად პოემაა, მაგრამ მას ავტორი რომანს იმიტომ უწოდებს, რომ მთავარ ამოცანად ისახავს ობიექტური სინამდვილის ფართოდ წარმოდგენას ტიპიურ სახეებსა და სურათებში.

პოემის მთავარი გმირია ევგენი ონეგინი. ეს სახე თავისი ხასიათითა და თავგადასავლით რამდენადმე მოგვაგონებს ყაყაჩაშის ტყვეს, თუმცა ამავე დროს დიდად განსხვავდება მისგან. ონეგინი დაიბადა

---

1 პუშკინმა დაწერა აგრეთვე IX და X თავები, რომლებშიც მოცემული იყო დეკაბრისტების მოძრაობის სურათები, მაგრამ ცენზურული პირობების გამო თვითონვე მოსპო ისინი. მეცხრე თავიდან პუშკინმა მხოლოდ ნაწყვეტები გამოაქვეყნა („ონეგინის მოგზაურობა“), მეათის ფრაგმენტები კი ისე დაშოფრა, რომ მკვლევარებმა მხოლოდ XX საუკუნეში შესძლეს მისი ამოკითხვა.

დედაქალაქის ფეხსავატურ არისტოკრატიულ საზოგადოებაში და მიიღო ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ზერელე ფრანგული სწავლა-აღზრდა. ამ წრემ ონეგინი ვერც სერიოზულ შრომას მიაჩვია და ვერც ხასიათის სიმტკიცე გამოუმუშავა, სამაგიეროდ იგი კარგად გაიწაფა სამიჯნურო ინტრიგებსა და დროსტარებაში. ბოლოს ონეგინს მოსწყინდება უსაქმური ცხოვრება, შეიგნებს თავისი საზოგადოების მანკიერებას, გადაწყვეტს უფრო სერიოზული და შინაარსიანი ცხოვრება დაიწყოს და ხელი მოჰკიდოს სასარგებლო შრომას, მაგრამ მას არაფერი გამოსდის, რადგან არც საჭირო სუბიექტური მონაცემები გააჩნია (შრომითი აღზრდა, ცოდნა, ნებისყოფა) და არც სათანადო ობიექტური პირობები არსებობს. ამიტომ ონეგინს აპათია და დაღვრემილობა დაეუფლება. სწორედ ამ დროს ის სოფლიდან ცნობას მიიღებს: ბიძაშენი, რომლის ერთადერთი მემკვიდრე ხარ, ავად გახდაო. ონეგინი მიეშგზავნება სოფელში ავადმყოფი ბიძის სანახავად (პოემა ამ მოგზაურობის აღწერით იწყება), მაგრამ ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრებს.

ონეგინი მემკვიდრეობით მამულის პატრონი გახდება: სოფლად, ახალ მდგომარეობაში, ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყობა; ცხოვრების ხალისი მოემატება; თავის მამულში გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებასაც კი მოისურვებს და ამ მიზნით საბატონო ბეგარას (барщина) ღალით (оброк) შეუცვლის, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას წააწყდება: მეზობელი მემამულეები ასეთ ნაბიჯს მას დანაშაულად ჩაუთვლიან და გაიცხავენ.

ონეგინს აქაც უმტყუნა იმედმა. მან ვერ მონახა საერთო ენა და ინტერესები ამ პროვინციელ მემამულეებთან, რომელთა „ქეთილგონიერული საუბრები“ ტრიალებდა მხოლოდ მწევარ-ჰეიბარების, სათიბისა და სმა-ჭამის გარშემო.

სოფელში ონეგინი შემთხვევით გაეცნობა ახალგაზრდა ვლადიმერ ლენსკის, რომელსაც ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული გერმანიაში. ლენსკი ონეგინს შეიყვანს მემამულე ლარინის ოჯახში, სადაც ორი ქალიშვილი იზრდება — ტატიანა და ოლღა. ტატიანას შეუყვარდება ონეგინი და ლრმა გრძნობით გამსჭვალულ წერილში პირველი გაუმხელს სიყვარულს. ონეგინი დიდ სიმპათიას იგრძნობს ამ უმანკო მეოცნებე გოგონასადმი, მაგრამ გულწრფელად აღიარებს, რომ არ მიაჩნია თავი „ოჯახური ცხოვრების ნეტარებისათვის“ შექმნილად და ამიტომ მას ცოლად ვერ შეირთავს.

ალბათ ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, ერთი საწუხარო ამბავი რომ არ მომხდარიყო: 12 იანვარს, ტატიანას დღეობაზე, ლარინების ოჯახში შეგროვდნენ სტუმრები, რომელთა შორის ონეგინი და

ლენსკიც იყვნენ. ტატიანას უმცროსი და ოლღა—ლენსკის საცოლე. ონეგინმა საცეკვაოდ გაიწვია და მისადმი განსაკუთრებული ყურადღებით გააღიზიანა ლენსკი. ეკვიანმა და ფიცხმა ლენსკიმ ონეგინი დუელში გაიწვია და დაიღუპა. მეგობარი რომ შემოაკვდა, შეწუხებულმა ონეგინმა სოფელი მიატოვა და რამდენიმე წელს მოგზაურობდა რუსეთში, კავკასიასაც ეწვია.

გადის დრო და მოგზაურობიდან დაბრუნებული ონეგინი დედაქალაქის ერთ არისტოკრატიულ სალონში მეჯლისზე შეხვდება ტატიანასა და მის ქმარს — ხნიერ გენერალს. ონეგინი გაოცებულია ტატიანაში მომხდარი ცვლილებით: გულუბრყვილო სოფლელი გოგონა მაღალი საზოგადოების დამამშვენებელ არისტოკრატად ქცეულა. ახლა უკვე ონეგინმა იგრძნო ტატიანასადმი მძლავრი სიყვარული და წერილიც მისწერა. მაგრამ ქალმა შეხვედრისას გულახდილად უპასუხა: მართალია, შენი სიყვარული ჯერ კიდევ გულიდან ვერ აღმომიფხვრია. მაგრამ მე სიკვდილამდე ჩემი კანონიერი მეუღლის ერთგული დავრჩებიო.

ასე ამთავრებს პუშკინი ონეგინის თავგადასავლის აღწერას პოემის მერვე თავში. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს პოემა დასრულებული არ არის. ონეგინის შემდგომი ცხოვრება მკითხველისათვის უცნობი რჩება.

პუშკინის პირვანდელი ჩანაფიქრით, ონეგინი უნდა გარდაქმნილიყო ახალი ცხოვრებისათვის გამოსადეგ ადამიანად და დეკაბრისტულ მოძრაობაში ჩაბმულიყო, ე. ი. სიცოცხლის აზრი და შინაარსი მას უნდა ეპოვა არსებული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ცენზურული თუ სხვა მოსაზრებების გამო პოეტმა ხელი აიღო ამ გეგმაზე და თავისი გმირი წარმოგვიდგინა არა დეკაბრისტად, არამედ ეგრეთ წოდებულ ზედმეტ ადამიანად.

ონეგინი რუსულ ლიტერატურაში „ზედმეტი ადამიანის“ პირველი ტიპია; მას მოჰყვნენ ლერმონტოვის პეჩორინი, გერცენის ბელტოვი, ტურგენევის რუდინი და სხვანი. რუსულ მწერლობაში ონეგინიდან იწყება „ზედმეტ ადამიანთა“ მთელი გალერეა. მას, როგორც ტიპიურ „ზედმეტ ადამიანს“, აქვს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი თვისებები.

ერთი მხრივ, ონეგინს ველარ აკმაყოფილებს ფუჭსავატური და უაზრო არსებობა, რომლითაც ესოდენ კმაყოფილია „მაღალი საზოგადოება“; მეორე მხრივ, მან არ იცის, სახელდობრ რას და როგორ მოჰკიდოს ხელი. ონეგინის ტრაგედია იმაშია, რომ მას არც რაიმე გარკვეული მიზანი ჰქონია და არც სერიოზული სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია. უმიზნოდ და უშრომლად ცხოვრება კი წამებაა. ონეგინი „ზედმეტი ადამიანი“ აღმოჩნდა, რადგან მებატონეებისა და

გოხელეების ცხოველურ ყოფას განუდგა (ამაშია მისი ღირსება და პროგრესულობა), მაგრამ ხალხთან ვერ მიეიდა და ვერც რაიმე მიზანს ან სასარგებლო შრომას მიაგნო, ამაში კი მისი ნაკლი და შეზღუდულობა გამოვლინდა.

ვინ არის დამნაშავე, რომ ონეგინის ჭკუა და ნიჭი გამოუყენებელი დარჩა, მისი სიცოცხლე კი უაზრო აღმოჩნდა? ნაწილობრივ თეითონ ონეგინი, მაგრამ უმთავრესად ის სოციალური პირობები, რომლებშიც მას უხდებოდა ცხოვრება. არისტოკრატიულმა საზოგადოებამ იგი ცედად აღზარდა, პატიოსან შრომას არ მიაჩვია და ამიტომ ონეგინს პრაქტიკული საქმიანობა არ ეხერხება. როცა თავისი გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება მოისურვა, მებატონეებმა ის საშიშ და ბრიყვ ადამიანად ჩათვალეს. ასეთ ვითარებაში ონეგინმა ყველაფერზე ჩაიქნია ხელი.ყოველგვარი ხალისი დაკარგა და გადაიქცა პასიურ, უმოქმედო, „ზედმეტ ადამიანად“.

სკეპტიკოს ონეგინის საწინააღმდეგო ტიპს წარმოადგენს პოემის მეორე გმირი — ვლადიმერ ლენსკი. იგი რომანტიკოსია, იდეალისტი. პუშკინი მსუბუქი ირონიით გვიხატავს მის ყმაწვილურ გულუბრყვილო ოცნებებს.

ბელინსკის სამართლიანი შენიშვნით, ლენსკი „მუდამ ცხოვრებაზე მსჯელობდა, მაგრამ არასოდეს ცხოვრება არ ესმოდა“. მას არ გააჩნდა რეალობის ჯანსაღი გრძნობა, სრულებით არ იცნობდა სინამდვილეს.

თუმცა დიდია განსხვავება სკეპტიკოს ონეგინსა და რომანტიკოს ლენსკის შორის, მაგრამ ორივე მათგანი მიუხედავად გარკვეული პროგრესულობისა, თანაბრად უცხოა რუსი ხალხისათვის; ისინი შორს დგანან 14 დეკემბრის გმირებისაგან, რომლებიც მათიეე კლასიდან არიან გამოსული. ამაშია ონეგინისა და ლენსკის უბედურება.

ნაწარმოების დადებითი იდეალი მოცემულია ტატიანას სახით. თავისი უმცროსი დისაგან, ცქრიალა, ზერელე ოლღასაგან განსხვავებით ტატიანა სერიოზული, ნაკითხი, მეოცნებე და მდიდარი ბუნების ადამიანია.

ტატიანასათვის უცხოა ის წინააღმდეგობანი, რომლებითაც ონეგინი იტანჯება. ის თითქოს შეჭმნილია „ერთი მთლიანი ნაჭრისაგან ყოველგვარი დანართისა და შენარევის გარეშე. მთელი მისი ცხოვრება, — წერდა ბელინსკი, — გამსჭვალულია იმ ერთიანობით, რომელიც ხელოვნების სამყაროში მხატვრული ნაწარმოების უმაღლეს ღირსებას შეადგენს“.

ტატიანას სახეში პუშკინი თავს უყრის იმ თვისებებს, რომლებიც გამოხატულია სიტყვებში: „რუსული სული“. ეროვნულმა რუსულმა ნიადაგმა, გლეხ ქალებთან და ბუნებასთან სიახლოვემ, ხალხური შე-

მოქმედების ორგანულად შეთვისებამ განაპირობებს ტატიანას ისეთი ღირსებანი, როგორიცაა ბუნებრიობა, უშუალობა და უბრალოება, ხასიათის სიმტკიცე და ძალალი ზნეობა. ტატიანასათვის უცხო და მიუღებელია ყოველგვარი სიყალბე და ხელოვნურობა. როცა ამ მეზნებარე. მაგრამ თავშეკავებულ გოგონას თავდავიწყებით შეუყვარდა ონეგინი, მან გაბედულად დაარღვია საზოგადოებაში მიღებული წესი და პირველმა მისწერა ვაჟს წერილი, რომელიც გამსჭვალულია იშვიათი გულახდილობითა და გულწრფელობით.

პოემაში ცოცხლადაა გადმოცემული რუსეთის დედაქალაქისა და პროვინციული თავადაზნაურობის ყოფის სურათები, „გაბერვნებულ დიქტატორთა“ უმსგავსო ცხოვრება და რუსეთის საუცხოო პეიზაჟები. სამხრეთული პოემებისაგან განსხვავებით, აქ არც გმირია განსაკუთრებული, რომანტიკული და არც ის სოციალური და ბუნებრივი პირობები, რომლებშიც ხდება მოქმედება: კავკასიის ბუმბერაზი მთებისა და ყირიმის ფერადოვანი პეიზაჟების ნაცვლად „ევგენი ონეგინში“ მოცემულია ჩვეულებრივი რუსული სოფელი, რომლის მსგავსს ყოველ ნაბიჯზე შეხვდება კაცი რუსეთში. პუშკინი ჭეშმარიტ პოეზიას ამ ჩვეულებრივ „პროზაულ“ სოფელში პოულობს და ესეც მისი ერთი დიდი დამსახურებათაგანია.

ნაწარმოებში უბადლო მხატვრული სიმართლითა და სიმძლავრით აისახა არა მარტო ობიექტური სინამდვილე, არამედ თვით ავტორის სულიერი სამყაროც. პუშკინის რომანი ლექსად ერთდროულად ეპიკური, თხზულებაცაა და ლირიკულიც. იგი წარმოადგენს რუსული ცხოვრების ფართო პანორამას და, მასთან ერთად, თვით პუშკინის ბრწყინვალე ავტობიოგრაფიასაც. მისი ცხოვრების, ფიქრებისა და განცდების რვაწლიან ისტორიას, მისი სულის სარკეს.

პოემაში ობიექტური ამბების თხრობა ხშირად წყდება ლირიკული წიალსვლებით, რომლებშიც პუშკინი გადმოგვცემს საკუთარ განცდებსა და აზრებს სხვადასხვა საკითხზე. ის მსჯელობს სიყვარულზე, მეგობრობაზე, აკრიტიკებს სენტიმენტალიზმს, დაცინის მოძველებული ლიტერატურული მიმართულებების წარმომადგენლებს, გადმოგვცემს თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებს, მოგვითხრობს თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, „ევგენი ონეგინის“ შექმნაზე და სხვა.

ნაწარმოები დაწერილია ოთხტერფიანი იამბებით და 14-სტრიქონიანი სტროფებისაგან შედგება. თითოეულ სტროფში ზუსტადაა დაცული რითმების გარკვეული თანმიმდევრობა: ჯვარედინი, მოსაზღვრე და გარემოცველი რითმები მწყობრად მისდევენ ერთმანეთს და ქმნიან საუცხოო რიტმულ ნაკადს.

ლექსთწყობის ბუტაფორიული სისტემა სრულიადაც არ ბოჭავს ავტორს, პირიქით — პოემა, რომელიც პუშკინისავე სიტყვით, შედგება „ფერადი თავებისაგან" („ხან სასაცილო, ხანაც საურვი, სადა ხალხური, იდეალური") გამოირჩევა თხრობის იშვიათი ბუნებრიობით, ძალდაუტანებლობით და სილაღით.

„ევგენი ონეგინში" ისეთი ბრწყინვალე მხატვრული სიმართლით, სიფართოვითა და ოსტატობით აისახა რუსეთის ცხოვრება და ბუნება, წინადეკაბრისტული საზოგადოების ყოფა, ფსიქოლოგია და თვით ავტორის შინაგანი სამყარო, რომ პუშკინის ამ გენიალურმა ქმნილებამ ერთი პირველი ადგილთაგანი დაიკავა რუსულ და მსოფლიო რეალისტურ ხელოვნებაში.

მცირე ტრაგედიები. „ბელკინის მოთხრობები". ბოლდინოს შემოდგომას ეკუთვნის პუშკინის ეგრეთ წოდებული მცირე ტრაგედიები: „ძუნწი რაინდი", „მოცარტი და სალიერი", „ქვის სტუმარი" და „ლხინი ჟამიანობის დროს" (ეს უკანასკნელი წარმოადგენს ინგლისელი პოეტის უილსონის პიესის თავისუფალ თარგმანს). ამ პიესებში პოეტი გვიხატავს სხვადასხვა დროის ამბებსა და ადამიანებს, თანაც ტრაგედიებს აგებს მსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტებზე.

„ძუნწ რაინდში" („Скупой рыцарь") ლაპარაკია XVI საუკუნის საფრანგეთზე. „სიძუნწის ვნება ახალი იდეა არაა, — წერდა ბელინსკი, — მაგრამ გენიოსს შეუძლია ძველიც კი ახლად აქციოს. ძუნწის იდეალი ერთია, მაგრამ მისი ტიპები უსასრულოდ მრავალგვარია". თუ კლასიცისტები და რომანტიკოსები თავიანთ ნაწარმოებებში ძუნწ ადამიანს წარმოგვიდგენენ განყენებულად, როგორც სიძუნწის განსაჯიერებას, პუშკინი იძლევა თავისი გმირის — მოხუცი ბარონის ცოცხალ სახეს, რომელშიც ზოგადი მანკი (სიძუნწე) გამოვლენილია ინდივიდუალურად. ბარონი გამოირჩევა ხასიათის სიმტკიცითა და მიზანსწრაფვით. ის ჭეშმარიტად რაინდული თავდავიწყებითა და გატაცებით ემსახურება თავის სათაყვანებელ კერპს — ოქროს. მოხუცი ბარონი ისეთი პოეტური გრძნობითა და მოკრძალებით ლაპარაკობს ოქროზე, ისე გაგიტაცებით უყვარს ის, როგორც შეიძლება უყვარდეს ჯაბუკს თავისი სათაყვანებელი ქალი.

ნაწარმოების დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარია არა რაინდული ნებისყოფა თავისთავად, არამედ იმ მიზნის ღირებულება, რომლის მიღწევასაც ეს ნებისყოფა ემსახურება. რადგან ბარონის მიზანი თავიდან ბოლომდე ეგოისტური და ყალბია, მისი ნებისყოფა და ენერგია არავითარ ღირსებას არ შეადგენს.

„მოცარტისა და სალიერის" თემად აღებულია სხვაგვარი ეგოიზ-

მი, სხვა „ავი ენები". ამ ტრაგედიის საუკეთესო პუშკინმა საფუძვლად დაუდო საკმაოდ გავრცელებული ამბავი იმის შესახებ, თითქოს კომპოზიტორმა სალიერმა შურის ნიადაგზე მოწამლა გენიალური მოცარტი.

თუ „მოცარტისა და სალიერის" მოქმედება ახალი დროის გერმანიაში მიმდინარეობს, მცირე ტრაგედიაში, რომელსაც „ქვის სტუმარი" („Каменный гость") ჰქვია, პუშკინს გადავყავართ შუა საუკუნეების ესპანეთში. ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირია წსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ტიპი— დონ-ჟუანი (პუშკინის ტრაგედიაში — დონ-გუანი). ეს წინააღმდეგობებით აღსავსე სახეა: „გულწრფელი და მატყუარა, ენებიანი და გულცივი, ჭკვიანი და თავქარიანი". დონ-გუანი დაჯილდოებულია ვაჟკაცური სილამაზითა და სიმამაცით, მტკიცე ნებისყოფით, მიმზიდველობითა და მჭევრმეტყველებით. მაგრამ ყოველივე ამას იგი იყენებს მხოლოდ იმისათვის, რომ მოხიბლოს ქალები, დაიპყროს მათი გული. ამ ხელობას ბრწყინვალედ დაუფლებული, ის ძალიან ადვილად აღწევს გამარჯვებებს.

დონ-გუანს მრავალი ღირსება ჰქონდა, მაგრამ მისი ცხოვრება უაზრო და ტრაგიკული აღმოჩნდა, რადგან ისიც ეგოისტური „ავი ენებით" იყო შეპყრობილი; ბარონის „რაინდობა" მიმართული იყო სიძუნწისაკენ, დონ-გუანისა კი — ავხორცობისაკენ.

ამგვარად, თუ „ბორის გოდუნოვში" პუშკინს აინტერესებდა რუსეთის დიდი ისტორიული ამბები, მცირე ტრაგედიებში მან მოგვცა იმ ადამიანთა სულის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, რომლებიც მოუცავს ეგოისტურ და ამიტომ დამღუპველ ვნებებს — სიძუნწეს, შურსა და „ქალებზე ნადირობას". ამ „ავი ენებებით" შეპყრობილნი დიდი ნებისყოფისა და ჭკუის ადამიანები არიან, მაგრამ რადგან მათი მიზნები და ვნებანი ეგოისტური ხასიათისაა, ისინი გმირებს აუცილებლად აყენებენ ბოროტებისა და დანაშაულის გზაზე.

პუშკინის ტრაგედიების უდიდეს ღირსებას შეადგენს მათი ლაკონიურობა. ტყუილად კი არ უწოდა მათ თვითონ პოეტმა მცირე ტრაგედიები. თუ მოლიერი, ბაირონი და სხვა პოეტები სიძუნწისა და დონ-ჟუანობის თემაზე ას და ათასგვერდიან თხზულებებს წერდნენ, პუშკინმა თითოეული თემა ბრწყინვალედ გადაჭრა ორი-სამი სცენისაგან შემდგარ ტრაგედიებში. ღრმადვსი შინაარსი, დიდი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური იდეები მან მოაქცია ვიწრო ჩარჩოებში. პუშკინის ტრაგედიებში არაა არც ერთი ზედმეტი სიტყვა. აქ ყველაფერი წარმოდგენილია ცოცხლად, მკვეთრად და ლაკონიურად.

ბოლდინოს შემოდგომაზე პუშკინმა დაწერა აგრეთვე „ბელკინის მოთხრობები", რომლებშიც მკვეთრად იჩინა თავი მისი პროზის ძი-

რომანტიკული პრინციპებისა. ეს პრინციპები პუშკინმა ჯერ კიდევ 1822 წელს ჩამოაყალიბა თავის ერთ-ერთ წერილში. იგი მკვეთრად განასხვავებდა პოეზიასა და პროზას, დაუშვებლად მიაჩნდა მათი ერთმანეთში არევა. პოეზია, პუშკინის აზრით, უმთავრესად გრძნობის გამომხატველია, პროზა კი — აზრისა.

აკრიტიკებდა რა სენტიმენტალურ-რომანტიკულ „პოეტურ პროზას", პუშკინი იბრძოდა რეალისტური პროზისათვის, რომლის მთავარი ღირსებები უნდა ყოფილიყო იდეურობა (აზრის სიღრმე), ლაკონიურობა და სიმარტივე. პუშკინის პროზა სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება. მისთვის სრულიად უცხოა ხელოვნურად ლამაზი ფრაზეოლოგია.

„ბელკინის მოთხრობები" („Повести Белкина") შედგება ხუთი დამოუკიდებელი ნოველისაგან: „გასროლა" („Выстрел"), „ქარბუქი" („Метель"), „მეკუბოე" („Гробовщик"). „სადგურის ზედამხედველი" („Станционный смотритель") და „ქალბატონი — გლეხის გოგო" („Барышня—крестьянка"). მათ წამძღვარებული აქვს ა. პ-ს (ესე იგი ა. პუშკინის) წინასიტყვაობა — „გამომცემლისაგან", რომელშიც იგი გვაუწყებს, რომ ეს მოთხრობები ეკუთვნის არა მას, პუშკინს, არამედ განსვენებულ ივან პეტროვიჩ ბელკინს (აქედან — ნაწარმოების სათაური). „მათში, როგორც ივან პეტროვიჩი ამბობდა, სხვადასხვა პირისაგან გაგონილი ნამდვილი ამბებია გადმოცემული". ამგვარად, პუშკინმა თავისი ნაწარმოებები პირობითს ავტორს მიაწერა და ხუთი დამოუკიდებელი მოთხრობა ბელკინის პიროვნებით გააერთიანა.

„ბელკინის მოთხრობებში" გამომჟღავნდა პუშკინის მრავალმხრივი ნიჭის კიდევ ერთი მხარე. გენიალური პოეტი და დრამატურგი წარმოგვიდგა ჩინებულ პროზაიკოსად, რეალისტური პროზის ფუძემდებლად. „ბელკინის მოთხრობებში" მან შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით ასახა ვრცელი რეალური სამყარო: პროვინციული ცხოვრების სურათებთან ერთად აქ აღწერილია არმიის ოფიცრობის, ქალაქის წვრილი ხელოსნებისა და ღარიბი მოხელის ყოფა და ფსიქოლოგია.

განსაკუთრებით გამოირჩევიან „მეკუბოე" და „სადგურის ზედამხედველი", რომლებიც წარმოადგენენ უდიდეს ნაბიჯს რუსული რეალისტური ლიტერატურის განვითარებაში. მათში ასახულია იმ „პატარა ადამიანების" ფიქრები და განცდები, რომელთა გამოტანა „კაზმულ ლიტერატურაში" მაშინ ცუდ გემოვნებად ითვლებოდა. „სადგურის ზედამხედველში" ავტორი სიმართლით გვიხატავს ბატონყმური რუსეთის სოციალური უთანასწორობის სურათებს, ღარიბ მოხელე

სამსონ ვირინს, რომელიც „თავისი ჩინით დაცულია მხოლოდ ცემისაგან და ისიც არა ყოველთვის...“ პუშკინი გულწრფელი თანაგრძნობით ეკიდება ამ დაჩაგრულ ადამიანებს. მან დიდი ლიტერატურული ღირსეულ ქმნილებად მიიჩნია „პატარა ადამიანები“. ამაში გამოვლინდა მისი ჰუმანიზმი და ერთგვარი დემოკრატიზმი. მაგრამ სრულიად სამართლიანად შენიშნა, რომ პუშკინის „სადგურის ზედამხედველით“ დაიწყო რეალიზმი რუსულ პროზაშიო. სამსონ ვირინის სახე გახდა გოგოლის აკაკი აკაკიევიჩის („შინელი“) და ნატურალური სკოლის მწერლების ღარიბი გმირების ლიტერატურული წინამორბედი.

პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი წლები. პროზაული ნაწარმოებები. ბოლდინოდან მოსკოვს დაბრუნებისთანავე პუშკინმა დაიწყო მზადება ქორწილისათვის, რომელიც მოხდა 1831 წლის 18 თებერვალს. დაქორწინების შემდეგ იგი ცოლთან ერთად მალე სამუდამოდ გადასახლდა პეტერბურგში.

პუშკინი ბეტად კმაყოფილი იყო ოჯახური ცხოვრებით. ლამაზი და საყვარელი მეუღლით, ბაგრამ ეს საამური ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე მას მძიმე საზოგადოებრივი და ოჯახური პირობები შეექმნა. მეფემ და სასახლის წრეებმა ახალი ძალით დაუწყეს ბრძოლა თავისუფლებისმოყვარე პოეტს და ამ ბრძოლაში მათ ბრმა იარაღად გამოიყენეს თვით პუშკინის ცოლი. საშუალოზარო, ნატალია გონჩაროვა ჭკუითა და წინდახედულობით არ გამოირჩეოდა. მას არ გააჩნდა მაღალი სულიერი ინტერესები და გატაცებული იყო გარეგნული ბრწყინვალებით, ბალ-მასკარადებით, არისტოკრატიულ სალონებში დროსტარებით. პუშკინი იძულებული იყო თან ხლებოდა მეუღლეს ამ წვეულებებზე. მაღალი საზოგადოების ფუჭსავატური მხიარულება და ელვარება, რომელიც თავბრუს ახვევდა ნატალია გონჩაროვას, დიდ პოეტს მხოლოდ აღიზიანებდა. პუშკინი განსაკუთრებით შეაშფოთა იმ გარემოებამ, რომ მის ლამაზ ცოლს საეჭვო ყურადღება მიაქცია ნიკოლოზ პირველმა და მასთან დაახლოების მიზნით 1833 წლის მიწურულში პოეტს კამერ-იუნკერის წოდება უბოძა. ეს საკარისკაცო წოდება ჩვეულებრივ ეძლეოდათ ახალგაზრდებს და იგი სრულებითაც არ შეეფერებოდა 34 წლის პუშკინს. პოეტი თავს დამცირებულად გრძნობდა, მაგრამ იძულებული იყო მიეღო მეფის ეს „წყალობა“. ამის შემდეგ იგი, როგორც კამერ-იუნკერი, ვალდებული გახდა ცოლთან ერთად ეცეკვა ანიჩკოვის სასახლეში, სადაც მეფე და დიდებაცობა იკრიბებოდნენ ხოლმე დროს გასატარებლად.

განსაკუთრებით რთული ინტრიგებისა და ჭორების ქსელში მოხვდა პუშკინი მას შემდეგ, რაც საფრანგეთიდან ჩამოვიდა ვიგინდარა ავანტიურისტი ჟორჟ დანტესი. იგი რუსეთში იშვილა ჰოლანდიის

ელჩმა ბარონმა გეკერენმა, რომელსაც მეტად საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა დაწსახურებული. გვარდიის ოფიცერი, ფეხმავალი, უზნეო, მაგრამ ლამაზი გარეგნობის მქონე დანტესი, რომელიც თავისი „მამობილის" მეშვეობით პეტერბურგის სასახლის წრეებში შეეყარა, ყველა ღონეს ხმარობდა, რათა კარისკაცთა ყურადღება მიეპყრო და კარიერა გაეკეთებინა. დანტესი გაეცნო პუშკინის ცოლს, მოისურვა მასთან დაახლოება, დაუწყო მას „სიყვარულის ახსნა" და აბეზარი არშიყობა. ბაინცდამაინც არც ნატალია გონჩაროვა გაურბოდა მასთან შეხვედრებს. პუშკინის მტრებმა, რომლებიც „ხარბ ბრბოსავით" გარს ეხვეოდნენ ტახტს, ყველაფერი ეს გამოიყენეს იმისათვის, რომ ათასგვარი ჭორებით, მითქმა-მოთქმითა და ანონიმური წერილებით გაეღიზიანებინათ და მოთმინებიდან გამოეყვანათ პოეტი. ბოლოს და ბოლოს პუშკინმა ვეღარ აიტანა მის გარშემო შექმნილი საზიზღარი ატმოსფერო და 1837 წლის 26 იანვარს გეკერენს მკაცრი წერილი გაუგზავნა.

ამ წერილის მიღებისთანავე დანტესმა პუშკინი დუელში გაიწვია. დუელი შედგა მეორე დღეს — 27 იანვარს. დანტესმა პირველმა გაისროლა სწორედ იმ დროს, როცა პუშკინი უმიზნებდა. სასიკვდილოდ დაჭრილი პოეტი ორი დღის ტანჯვის შემდეგ, 29 იანვარს (10 თებერვალს ახალი სტილით) გარდაიცვალა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს და მოწინავე წრეების აღშფოთება გამოიწვია.

მეფის განკარგულებით პუშკინი ყოველგვარი „ცერემონიების" გარეშე დაკრძალეს მიხაილოვსკოეს მახლობლად — სვიატოგორსკის მონასტერში.

მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, დიდი პოეტი თავისი ცხოვრების ამ უკანასკნელ პერიოდშიც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. პუშკინის ამ პერიოდის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს პროზას, ხოლო პროზაულ ნაწარმოებთა შორის — „კაპიტანის ქალიშვილს" („Капитанская дочка", 1833 — 1836), რომელსაც ბელინსკიმ უწოდა „ონეგინი პროზად". ამ მოთხრობის მოქმედება იშლება გლეხთა აჯანყების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1773—1775 წწ. ე. პუგაჩოვის მეთაურობით. პუშკინმა წინასწარ საფუძვლიანად შეისწავლა მასალები ამ აჯანყებისა, გადაჩხრიკა არქივები, მოიარა ის ადგილები, სადაც აჯანყებულთა რაზმები მოქმედებდნენ (ყაზანი, სიმბირსკი, ორენბურგი, ურალი) და ყოველივე ამის შედეგად დაწერა როგორც ღრმა მეცნიერული გამოკვლევა „პუგაჩოვის ისტორია", ისევე ბრწყინვალე მხატვრული ქმნილება „კაპიტანის ქალიშვილი".

მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია მთავრობის ერთგული აზნა-

ური -- ოფიცერი გრინიოვი, რომელიც შემთხვევით ჩაუვარდა ხელში პუგაჩოვს. ნაწარმოებში ამბები მოთხრობილია არა ავტორის, არამედ ამ მეშამფურე გრინიოვის პირით. იგი „დედოფლის ერთგულია", მაგრამ ამასთან ერთად პატიოსანი კაცია და ცდილობს ობიექტურად გადმოგვცეს ნახულ-გაგონილი.

პუგაჩოვს, რომელსაც სხვა აზნაურები ახასიათებდნენ, როგორც „სისხლისმსმელ მხეცს", გრინიოვი გვიხატავს როგორც სახალხო გმირს, აჯანყებული გლეხობის ბელადს, რომელიც დაჯილდოებულია მომხიბვლელი თვისებებით, სიმპათიური გარეგნობით, ჭკუით და კეთილშობილური გრძნობებით. რამდენადაც მკაცრი და შეუბრალებელია ის მტრების მიმართ, იმდენად კეთილი და გულისხმიერია პატიოსანი და დაჩაგრული ადამიანების მიმართ.

გრინიოვს რამდენიმეჯერ მოუხდა მასთან შეხვედრა უჩვეულო ვითარებაში და ყოველი ახალი შეხვედრისას იგი რწმუნდებოდა პუგაჩოვის ჰუმანურობასა და კეთილშობილებაში.

როცა გრინიოვი თავის მსახურ საველიჩთან ერთად პირველად გაემგზავრა სამსახურის ადგილას — ორენბურგისაკენ, გზაში ისეთი ქარბუქი ატყდა, რომ მეეტლეს გზა აებნა. ისინი შემთხვევით წააწყდნენ ვიღაც მაწანწალას, რომელმაც გამბღოლის როლი იკისრა. რადგან ის ძალიან ღარიბულად იყო ჩაცმული, გრინიოვმა მადლობის ნიშნად კურდღლის ტყავის ჯუბა აჩუქა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს მაწანწალა თურმე პუგაჩოვი იყო, რომელიც მალე გლეხთა აჯანყებას ჩაუდგა სათავეში და თავზარი დასცა მთავრობას. გრინიოვი მსახურობდა ორენბურგის მახლობლად მდებარე ბელოგორის ციხე-სიმაგრეში, რომელსაც განაგებდა კაპიტანი მირონოვი. პუგაჩოვმა აიღო ეს ციხე-სიმაგრე და სიკვდილით დასჯა კაპიტანი და სხვა ოფიცრები. გრინიოვსაც იგივე ბედი ეწვეოდა, მაგრამ პუგაჩოვმა იგი იცნო, გაიხსენა კურდღლის ტყავის ჯუბა და არამცთუ დასაჯა, არამედ თავისთან მიიწვია კიდეც ვახშამზე. გრინიოვი ცნობისმოყვარეობით უყურებდა პუგაჩოვის სიმპათიურ სახეს და იმ ამხანაგურ ურთიერთობას, რომელიც პუგაჩოველთა ბანაკში სუფევდა.

გრინიოვისათვის სრულიად მოულოდნელი იყო პუგაჩოვის სულგრძელობა, რომელიც მან გამოამჟღავნა ვახშმის შემდეგ. პუგაჩოვმა მას სრული თავისუფლება მისცა, თანაც ცხენი და საყუთარი ქურქი აჩუქა.

გრინიოვმა ორენბურგს მიაშურა, რათა იქიდან მეფის ჯართან ერთად ემოქმედა ბელოგორის ციხე-სიმაგრის გასათავისუფლებლად, სადაც კაპიტან მირონოვის ქალიშვილი მარია ივანოვნა (მაშა), გრინიოვის საცოლე, იყო დარჩენილი.

პუგაჩოვი გრინიოვთან ერთად გაემგზავრა ბელოგორში და საკუთარი ხელით ჩააბარა მას საცოლე. „შენი ჭირა და კურდღლის ჯუბა მე მახსოვს, — უთხრა მან გრინიოვს, — ხომ ხედავ, რომ მე არც ისეთი სისხლისმსმელი ვარ, როგორც თქვენიანები ამბობენ“.

ნაწარმოებში გაშუქებულია გლეხთა გრანდიოზული მოძრაობის არსებითი მხარეები. პუშკინმა იცოდა, რომ ეს მოძრაობა გამოწვეული იყო ხალხის ტანჯვით, რომ „მხოლოდ თავადაზნაურობა იყო აშკარად მთავრობის მხარეზე“, ხოლო რაც შეეხება „დაბალ წოდებას“, ის პუგაჩოვს ეხმარებოდა და თანაუგრძნობდა. როდესაც პუგაჩოვმა ბელოგორი აიღო, „ხალხი სახლებიდან გამოდიოდა და პურმარილით ეგებებოდა შემოსულებს. ზარებს რეკავდნენ“. ნაწარმოებში თავი იჩინა პუშკინის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრიობამ: ერთი მხრივ, იგი ამტკიცებდა რომ საზოგადოების პროგრესისათვის საჭიროა არა „უაზრო და ულმობელი“ გლეხური რევოლუცია, არამედ სწავლა-განათლების გავრცელება, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი თანაგრძნობით გვიხატავდა გლეხთა აჯანყებასა და მის ბელად პუგაჩოვს.

იგივე წინააღმდეგობა გამოვლინდა პუშკინის დაუმთავრებელ რომანში „დუბროვსკი“ (1832—1833), რომლის მოქმედება წარმოებს რუსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში. აქ მოცემულია კონფლიქტი „ახალი არისტოკრატიის“ წარმომადგენელ ტროეკუროვსა და ძველი გვარეულობის შთამომავალ დუბროვსკის შორის. მდიდარ, ამაყ და გარყვნილ მებატონე კირილე ტროეკუროვს ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ის ნამდვილ მეფედ გრძნობს თავს, ქმნის ჰარამხანას თავისი გლეხების ქალიშვილებისაგან, ყმებს ადამიანებად არ თვლის, თვითნებობს და სასამართლოს წესით შამფურს ართმევს თავის მეზობელს ანდრეი დუბროვსკის, რომლის გვარი ძველად სახელოვანი და მდიდარი ყოფილა, მაგრამ ახალ ვითარებაში დაკნინებულა. პუშკინი სატირულად გვიხატავს მეფის რუსეთის მოხელეების („მელნის მოდგმის“) ფარისევლობასა და მექრთამეობას; ისინი თავიანთი სურვილის მიხედვით განმარტავენ ყოველგვარ ბრძანებულებას და მორჩილად ასრულებენ ტროეკუროვის ნება-სურვილს. დუბროვსკის შვილი ვლადიმერი თავისი გლეხებისაგან ყაჩაღების რაზმს შეადგენს, რათა შური იძიოს ტროეკუროვზე, მაგრამ გაბედულად ვერ მოქმედებს, მერყეობს, რადგან უყვარს ტროეკუროვის ქალიშვილი მაშა.

ნაწარმოებში განსაკუთრებული სიმპათიით არიან დახატული გლეხები: დუბროვსკის ძიძა, მჭედელი არქიპო და სხვები. მებატონეებისა და მოხელეების დესპოტიზმით აღშფოთებული მჭედელი ღამე მათ კარს გადაუკეტავს და ცეცხლს წაუკიდებს. როცა შიგნით ყვირი-

ლი ატყდება — ვიწვით, გვიშველეთო! — არქიპო ხანძარს „ბოროტი ღიმილით უმზერს", მაგრამ, როცა მან დაინახა, რომ ცეცხლმოდებულ სახურავზე კატა დარბოდა და შესაბრალისი კნავილით შველას ითხოვდა, „კიბე მიადგა ცეცხლმოკიდებულ სახურავს, ავიდა კატის ჩამოსაყვანად". პუშკინი გვიჩვენებს, რომ ბუნებით გლეხები კეთილი ადამიანები არიან და სასტიკ ზომებს მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა ტანჯვა-წამება ყოველგვარ საზღვარს აჭარბებს.

ამგვარად, „დუბროვსკისა" და „კაპიტანის ქალიშვილში" ნათლად გამოვლინდა პუშკინის დიდი ინტერესი ხალხის მღელვარებისა და აჯანყებებისადმი.

„ბრინჯაოს მხედარი". „ძეგლი". პროზაულ და დრამატულ თხზულებებთან ერთად პუშკინი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ქმნის შესანიშნავ პოემებს, ზღაპრებსა და ლექსებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია პოემა „ბრინჯაოს მხედარი"[1] („Медный всадник", 1833), რომელშიც პოეტი კვლავ უბრუნდება პეტრე პირველის თემას.

„ბრინჯაოს მხედარში" ავტორმა დააყენა სახელმწიფოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების პრობლემა. სახელმწიფოებრივ პრინციპს ნაწარმოებში განასახიერებს პეტრე I, ინდივიდუალურ, კერძო, პიროვნულ პრინციპს კი — ღარიბი პეტერბურგელი მოხელე ევგენი. ეს უკანასკნელი იყო იმ დიდგვაროვანი თავადაზნაურობის შთამომავალი, რომელმაც ახალ პირობებში ძალაუფლებაც დაკარგა და სიმდიდრეც. ევგენი ძლივს ირჩენს თავს საკუთარი შრომით და ოცნებობს ცოლად შეირთოს ვინმე პარაშა. მაგრამ ეს ოცნებაც განუხორციელებელი დარჩა, რადგან პარაშა დაიღუპა საშინელი წყალდიდობის დროს: ნაპირებიდან გადმოსულმა ნევამ უამრავი ხალხი იმსხვერპლა, მათ შორის პარაშაც. საცოლის დაღუპვით შეძრწუნებული ევგენი გაგიჟდება და ღამე ქუჩაში ხეტიალის დროს წააწყდება პეტრე პირველის ცნობილ ძეგლს — ბრინჯაოს მხედარს, რომელიც აღმართულია პეტერბურგში სენატის მოედანზე.

საცოდავი ევგენი მუშტით დაემუქრა „ბრინჯაოს ცხენზე ჯდომ გიგანტს", რადგან თავისი უბედურების მიზეზად იგი მიიჩნია: პეტრეს რომ სატახტო ქალაქი, პეტერბურგი, ისეთ ცუდ ადგილას არ აეშენებინა, სადაც მოსახლეობა წყალდიდობისაგან ხშირად ზარალდება, ევგენიც ბედნიერი იქნებოდა თავის პარაშასთან ერთად. შეშლილ ევგენის მოეჩვენა, რომ მისი დამუქრებით აღშფოთებული „ბრინჯაოს მხედარი" ამოძრავდა.

---

[1] ასე დაასათაურა ვ. გაფრინდაშვილმა პოემის ქართული თარგმანი.

ევგენი შეშინდა და გაიქცა, მაგრამ მას უკან მისდევდა მხედარი— „გამოჭენებულ მგრგვინავი რაშით“.

და მთელი ღამე საბრალო გიჟი,
სად არ წავიდა, ისმენდა შიშით,
რომ მას მოსდევდა მძიმე ჰენებით
იგი მხედარი მონაჩვენები.

(თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა)

ევგენი იღუპება. მოედანზე ამაყად აღმართული პეტრეს ძეგლი კი ურყევად დგას და თითქოს ზეიმობს გამარჯვებას. მას ვერაფერი დააკლო ვერც სტიქიის მრისხანებამ და ვერც პატარა ადამიანის პროტესტმა.

გვიხატავს რა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესთა შეჯახებას, პეტრესა და ევგენის კონფლიქტს, პოეტი იცავს პეტრეს სახელმწიფოებრივ პრინციპს, ამართლებს მის მოღვაწეობას, პეტერბურგის დაარსებას. მაგრამ ამავე დროს თანაუგრძნობს „საბრალო გიჟ“ ევგენის და ეცოდება ეს პატარა ადამიანი, რომელიც მეფის ხელისუფლებამ გააუბედურა. პოემაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ პეტრეს თვითმპყრობელობაც კი, რომელიც თავისი დროისათვის პროგრესული იყო, არ უზრუნველყოფდა პიროვნების ბედნიერებასა და თავისუფლებას, რომ პატარა ადამიანების ინტერესი მსხვერპლად ეწირებოდა სახელმწიფოებრივ ინტერესებს. საერთოდ, პუშკინი პეტრეს ყოველთვის თელიდა არა მარტო დიდ რეფორმატორად, არამედ აგრეთვე „თვითნება მემამულედ“, რომელიც, პოეტის სიტყვით, „თითქოს მათრახით წერდა თავის ტირანულ ბრძანებულებებს“.

ოცდაათიანი წლების ლირიკული შედევრებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ორი ლექსი, რომლებიც შექმნილია პუშკინის ცხოვრების მიწურულში. პირველი მათგანი უსათაუროა.

მიხაილოვსკოეში ნაცნობი ადგილების ნახვამ პოეტს მოგონებები აუშალა; გაიხსენა თავისი წარსული ცხოვრება, მოხუცი გადია, შარაგზაზე აღმართული სამი ფიჭვის ხე, რომლებიც ძველად თავიანთი შრიალით თითქოს მეგობრულად ესალმებოდნენ პოეტს. ახლაც ისეთივე შრიალი გააქვთ მათ, მაგრამ მათს ბებერ ფესვებთან ნორჩი ნერგები ამოსულა, „გაუხარია აქ მწვანე ოჯახს. ბუჩქები კი მათ ჩრდილქვეშ ბავშვებივით შეჯგუფებულან“. პოეტი ალერსიანად მიესალმება მათ.

თავისი ცხოვრების ამ ტრაგიკულ მომენტებშიც კი, როცა დევნილ და ტანჯულ პოეტს მოახლოებული სიკვდილის მწარე ფიქრები

ეუფლებოდა, ის ინარჩუნებდა ცხოვრებაზე ჯანსაღ შეხედულებას და გზას უღობავდა ახალ თაობას.

ამ ლექსის დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, სიკვდილის წინა ხანს პუშკინმა შექმნა საყოველთაოდ ცნობილი „ძეგლი“ (1836), რომელშიც შესანიშნავი პოეტური სიზუსტით შეაჯამა თავისი მოღვაწეობა და იწინასწარმეტყველა უკვდავება.

არ დაიტიროს დიდხანს ხალხი ჩემს ერთგულებას,
რადგან ნერგავდა კეთილ გრძნობებს ჩემი ჩონგური.
ჩემს სასტიკ დროში ვიქადაგე თავისუფლება
და შევრდომება სვედაჩაგრულის.

(თარგმ. ვ. წულუკიძისა).

პუშკინმა მართლაც უკვდავი ძეგლი დაიდგა როგორც რუს, ისე ქართველ და სხვა ხალხთა გულში.

პუშკინი ქართულ ლიტერატურაში. პუშკინის ნაწარმოებებმა — ორიგინალურმა თუ თარგმნილმა — დიდი პოპულარობა მოიპოვა ქართველთა შორის ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში.

ასზე მეტმა კაცმა თარგმნა რუსი გენიოსის თხზულებანი ქართულად. მათ შორის არიან XIX საუკუნის ოცდაათიანი წლების რომანტიკოსი პოეტებიც — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, მიხეილ თუმანიშვილი; ქართველი რეალისტებიც — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი; საბჭოთა საქართველოს სახელოვანი პოეტებიც.

აღსანიშნავია, რომ პუშკინის ცალკეულ ნაწარმოებთა თარგმნაში ერთგვარი შეჯიბრებაც კი იმართებოდა. „წინასწარმეტყველი“-თარგმნეს ს. რაზმაძემაც, ი. ჭავჭავაძემაც და თანამედროვე ქართველმა პოეტებმაც; „ძეგლი“ რვაჯერ ითარგმნა, ხოლო „ზღაპარი მებადურისა და ოქროს თევზის შესახებ“ სამჯერ გამოიცა ცალკე წიგნად.

1899 წლიდან მოყოლებული ჩვიდმეტჯერ გამოცემულა პუშკინის თხზულებათა თარგმანები. ეს მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1949—1952 წწ. პუშკინის ქართულად დაბეჭდილ ოთხტომეულში შეტანილია დიდი პოეტის ყველა ძირითადი თხზულება.

პუშკინმა საპატიო ადგილი დაიკავა ქართულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაშიც.

ოთხმოციან წლებში ქართულ პრესაში გაცხარებული დისკუსია გაიმართა პუშკინის ირგვლივ. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა სასტიკად გაილაშქრეს იმ ნიჰილიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ხალხოსნური ჟურნალი „ივედი“ იჩენდა პუშკინის მიმართ.

ფართოდ აღინიშნა საქართველოში პუშკინის დაბადების ასი წლისთავი.

იუბილესთან დაკავშირებით 1899 წ. პოეტის თხზულებათა თარგმანები ცალკე კრებულად გამოიცა. ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ სპეციალური საიუბილეო ნომერი გამოუშვა.

„ქართველებისათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრიად დიდია,— ნათქვამი იყო გაზეთის მოწინავე სტატიაში,— ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რაიმე ესწავლოს და პუშკინის შუზას არ დასწაფოდეს“.

1899 წ. პუშკინისადმი მიძღვნილი საღამოები გაიმართა თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავში, დუშეთში, ბაღდადში და სხვ.

განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა დიდი რუსი პოეტის იუბილეები საბჭოთა საქართველოში (1937, 1949 და 1974 წწ.). საღამოები მოეწყო ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქში, სამეცნიერო სესიები — მეცნიერებათა აკადემიაში, მწერალთა კავშირში და უმაღლეს სასწავლებლებში.

1971, 1974 წწ. თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა პუშკინისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციები.

იუბილეებთან დაკავშირებით ცალკე წიგნებად გამოიცა პოეტის თხზულებათა თარგმანები და გამოკვლევები მის ცხოვრება-შემოქმედებაზე. პუშკინს წერილები და ლექსები უძღვნეს ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა და გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა და კ. ჭიჭინაძემ, ალექსანდრე აბაშელმა, ირაკლი აბაშიძემ, კარლო კალაძემ და ბევრმა სხვა ცნობილმა ქართველმა პოეტმა.

მ. ი. ლერმონტოვი და მისი ეპოქა

მ. ლერმონტოვი მოღვაწეობდა ოცდაათიან წლებში. რუსეთის ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია „უდროობის ეპოქად“, „გარდამავალ ხანად“. რევოლუციონერთა პირველი თაობა ამ დროს უკვე განადგურებული იყო, მეორე თაობა კი (რაზნოჩინელები) სამოღვაწეო ასპარეზზე ჯერ არ იყო გამოსული. რევოლუციური აღმავლობის შუა პერიოდის რუსეთში შავბნელი რეაქცია მძვინვარებდა.

დეკაბრისტების აჯანყების განადგურებისთანავე ახალმა მეფემ — ნიკოლოზ პირველმა ბატონყმური სისტემისა და პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატის განმტკიცებისა და თავისუფალი აზროვნების კე-

რების მოსპობის მიზნით მრავალი ღონისძიება გაატარა. შექმნა ეგრეთ წოდებული მესამე განყოფილება და მას სათავეში ჩაუყენა თავისი უერთგულესი მოხელე, ჟანდარმთა შეფი ბენკენდორფი. ეს იყო პოლიციის უმაღლესი ორგანო, თვითმპყრობელობის „თვალი და ყური“, რომელიც სასტიკად სდევნიდა პოლიტიკურ „დამნაშავეებს“, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. იმავე წელს შეიქმნა ცენზურის ახალი წესდება, რომელსაც თანამედროვეებმა „ჩუგუნის წესდება“ უწოდეს, რადგან ის ჩუგუნის სიმძიმით დააწვა მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას. ყაზარმა და მეფის კანცელარია, ჟანდარმერია და საპყრობილე, ცენზურა და რეაქციული ჟურნალისტიკა, სახრჩობელა და მათრახი... ყველაფერი ჩაყენებული იყო „მავნე აზროვნებისა და მოქმედებისაგან“ თვითმპყრობელური სახელმწიფოს დასაცავად.

ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარებული იქნა განათლების მინისტრის უვაროვის ფორმულა: „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ხალხურობა“. ჩვენი ეკლესია, — ამტკიცებდა უვაროვი, — საზოგადოებრივი და ოჯახური ბედნიერების წყაროა. თვითმპყრობელობა — რუსეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული არსებობის მთავარი პირობაა, ხოლო ხალხურობა გულისხმობს რუსი ხალხის უსიტყვო მორჩილებას მეფისა და მემამულეებისადმი.

მთავრობის რეაქციული პოლიტიკისა და იდეოლოგიის აქტიურ პროპაგანდისტად გამოდიოდა რეაქციული პრესა და ლიტერატურა, ბულგარინი და გრეჩი, სენკოვსკი და კუკოლნიკი, მაგრამ ყოველივე ეს რუსეთის ცხოვრების ერთი მხარე იყო. მეორე მხრივ, თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი უფრო ღრმავდებოდა. რეაქციის გამარჯვება რევოლუციურ ძალებზე დროებით ხასიათს ატარებდა. მეფის მთავრობამ მკაცრი პოლიტიკური ზომებით ვერ შესძლო პროგრესული აზრის განვითარებისა და რევოლუციური მოძრაობის შეჩერება. 1825 წლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა ბატონყმობისა და თვითმყპრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ გლეხობის გამოსვლები; 1830—1831 წლებში ქოლერის ეპიდემიის დროს რუსეთი მოიცვა გლეხთა ამბოხებებმა, პოლონეთში დაიწყო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კავკასიაში — მთიელების გამოსვლები, ხოლო ევროპაში რევოლუციამ იფეთქა. ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში იწრთობოდა პროგრესულ მოაზროვნეთა ახალი თაობა — ლერმონტოვი, ბელინსკი, გერცენი, ოგარიოვი და სხვა სახელოვანი მოღვაწეები, რომლებიც ბევრად განსხვავდებოდნენ თავიანთი წინამორბედების — სენატის მოედნის გმირებისაგან.

თუ 1825 წლამდე რევოლუციური მოღვაწეობისა და რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ცენტრი პეტერბურგი იყო, ხო-

ლო მთავარი ფიგურა ახალგაზრდა ოფიცერი, დეკაბრისტების განადგურების შემდეგ, ასეთ ცენტრად გადაიქცა მოსკოვის უნივერსიტეტი, ხოლო მთავარ ფიგურად — სტუდენტი. ახალი თაობა სენატის მოედანზე ზარბაზნების გრიალმა და ბორკილების ჟღარუნმა გამოაფხიზლა, მან გააგრძელა პუშკინისა და 14 დეკემბრის გმირების ტრადიციები, მაგრამ ახალ ვითარებაში ძველი გზით არ წასულა. დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლის გზა დახშული იყო. მაშ სად იყო გამოსავალი? რა გზით უნდა წასულიყო რუსეთი? ამ საკითხებზე ცხარე კამათი დაიწყო, პირველ ყოვლისა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც გერცენმა „რუსული ცივილიზაციის ტაძარი“ უწოდა. ოცდაათიანი წლების დასაწყისში აქ სწავლობდნენ ლერმონტოვი, ბელინსკი, გერცენი, ოგარიოვი, სტანკევიჩი, ტურგენევი, გონჩაროვი და რუსული კულტურის მრავალი სხვა მოღვაწე. ისინი უნივერსიტეტში ქმნიდნენ წრეებს, სადაც გატაცებით სწავლობდნენ ფრანგულ უტოპიურ სოციალიზმსა და გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიას. ისინი სხვადასხვა რევოლუციურ და მეცნიერულ თეორიებში ეძებდნენ პასუხს იმ კარდინალურ სოციალურ საკითხებზე, რომლებიც მათ აღელვებდათ.

ოცდაათიანი წლების რეაქციის მძვინვარების ხანაში რუსულმა ლიტერატურამ წინა პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო მძაფრი კრიტიკულ-მამხილებლური ხასიათი მიიღო. ამ დროს გაისმა ლერმონტოვის მეამბოხე ხმა, შეიქმნა გოგოლის სატირული ნაწარმოებები. სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ბობოქარი ბელინსკი, ცარიზმის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა გერცენმა და ოგარიოვმა.

მ. ი. ლერმონტოვის ბავშვობა და ყრმობა. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდი. მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი დაიბადა 1814 წ. ქ. მოსკოვში. მამამისი იური პეტრეს ძე სამხედრო სამსახურიდან კაპიტნის ჩინით გადამდგარი ღარიბი აზნაური იყო, ხოლო დედა, მარიამ მიხეილის ასული არსენიევა, მდიდარ და გავლენიან თავადაზნაურულ წრეს ეკუთვნოდა.

პოეტის დედა მშობლების თანხმობის გარეშე მისთხოვდა ღარიბ აზნაურს და მომავალი პოეტის ბებიამ, მდიდარმა მემამულე ქალმა არსენიევამ სიძე თავიდანვე აითვალისწუნა.

ბავშვის დაბადების შემდეგ ლერმონტოვები მალე პენზის გუბერნიაში, არსენიევების მამულ თარხნებში, გადასახლდნენ. მომავალმა პოეტმა ბავშვობა სოფელში გაატარა. ხალხთან და ბუნებასთან სიახლოვეს ბავშვის პოლიტიკური და ესთეტიკური ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ძარღვიანი რუსული ენა და უბრალო ხალხური გამოთქმები მომავალმა პოეტმა გლეხებისაგან

ისწავლა, სოფელში იგი გაეცნო აგრეთვე ხალხურ თქმულებებს, ზღაპრებს, ისტორიულ სიმღერებს.

სამი წლის ასაკში პატარა მიხეილს დედა მოუკვდა. დავა სიძესა და სიდედრს შორის უფრო გაჰწვავდა. მდიდარმა არსენიევამ ღარიბ კაპიტანს აჯობა და შვილი წაართვა. პატარა ლერმონტოვი ბებიასთან გაიზარდა და მამის ცუდ დამოკიდებულებას, საკუთარ ხვედრს.

ცამეტი წლის განმავლობაში ლერმონტოვი უმთავრესად უცხოელ აღმზრდელ-მასწავლებელთა განუწყვეტელი გავლენის ქვეშ იზრდებოდა, ვითარდებოდა, იძენდა გონებრივ-ზნეობრივ საზრდოს. ფიზიკურად სუსტი ბავშვი მასწავლებლებს აოცებდა თავისი ნიჭითა და მეხსიერებით. მან სწრაფად შეისწავლა გერმანული, ინგლისური, ფრანგული ენები. 12—13 წლის ასაკში თავისუფლად კითხულობდა საზღვარგარეთული ლიტერატურის კლასიკურ ქმნილებებს, ევროპულ მწერლობაზე მას საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონდა. ლერმონტოვი დიდი სიყვარულით ეცნობოდა თავისი ქვეყნის ლიტერატურასაც. იგი განსაკუთრებით გატაცებული იყო პუშკინის რომანტიკული პოემებით.

არსენიევა არაფერს არ იშურებდა იმისათვის, რომ ნიჭიერი შვილიშვილისათვის მიეცა ფართო და ღრმა განათლება. იგი სხვა საგნებთან ერთად ლერმონტოვს მუსიკასა და ფერწერასაც ასწავლიდა.

მართალია, ლერმონტოვს 10—12 წლის განმავლობაში გარს ეხვეოდნენ უცხოელი აღმზრდელ-მასწავლებლები და მას არ ასწავლიდნენ რუსული ენის გრამატიკას, მაგრამ იგი ცხოვრობდა რუსი ხალხის გვერდით, დღენიადაგ ესმოდა გლეხების მოსწრებული და მახვილი მეტყველება.

ზამთარში შინაყმების ბავშვებთან ერთად თამაშობდა, ცეკვავდა, მღეროდა. ზაფხულში მათთან ერთად დადიოდა ტყეში, კრივზე. სოფელში ლერმონტოვი ხედავდა გლეხთა გაჭირვებასაც — მოუსავლიანობას, შიმშილს, „სალდათობას“, გაწკეპვას.

არსენიევა, თუმცა შედარებით თავშეკავებული, მაგრამ მაინც სასტიკი მებატონე იყო. უმნიშვნელო შეცდომისთვისაც კი საჯალაბოში წკეპლავდნენ მოსამსახურეებს, გაუგონრობისთვისაც კი „სალდათად“ აგზავნიდნენ. ლერმონტოვის ბიოგრაფის ვისკოვატოვის გადმოცემით, პატარა შვილიშვილი მივარდებოდა ხოლმე ბებიას, როდესაც იგი სჯიდა ყმა-გლეხებს და თავგამოდებით იცავდა მათ.

ბავშვისათვის სისტემატური განათლების მისაცემად არსენიევა 1827 წელს გადასახლდა მოსკოვს, ხოლო 1828 წელს მან ლერმონტოვი მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ პანსიონში მიაბარა, რომე-

ლიც მაშინ მთელ რუსეთში ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად ითვლებოდა. პანსიონის მასწავლებლებს შორის იყვნენ მოწინავე იდეების მატარებელი მეცნიერები. პანსიონში ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობდა დეკაბრისტული საზოგადოების ყოფილი წევრი ს. რანჩი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მაღალი გემოვნების ლიტერატორი და მთარგმნელი.

1830—1832 წლებში ლერმონტოვი ჯერ უნივერსიტეტის ეთიკურ-პოლიტიკურ, ხოლო შემდეგ სიტყვიერების ფაკულტეტზე სწავლობდა. ამ წლებში მოსკოვის უნივერსიტეტი რუსეთის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო. სწორედ უნივერსიტეტის სტუდენტთა წრეებმა მისცეს დასაბამი 40—50-იანი წლების რუსეთის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მოძრაობას. ამ პერიოდში იქ სწავლობდნენ გერცენი, ოგარიოვი, სტანკევიჩი, ბელინსკი, ტურგენევი და სხვა მრავალი რუსი გამოჩენილი მოღვაწე. ლერმონტოვი ჩაბმული არ ყოფილა არც სტანკევიჩის ფილოსოფიურ და არც გერცენის პოლიტიკურ წრეში, მაგრამ მასზე უთუოდ მოახდინა გავლენა უნივერსიტეტში შექმნილმა ვითარებამ.

უნივერსიტეტში ლერმონტოვს თავი ამაყად ეჭირა. იგი უკმაყოფილო იყო პროფესორების ლექციებით და ლიტერატურას დამოუკიდებლად სწავლობდა. როგორც ჩანს, უნივერსიტეტის პროფესორები ამას ამკარად გრძნობდნენ და მოინდომეს ლერმონტოვის თავიდან მოცილება. 1832 წელს პოეტი აიძულეს დაეწერა განცხადება უნივერსიტეტიდან განთავისუფლების შესახებ.

იმავე წელს ლერმონტოვი პეტერბურგს ჩავიდა და იქაურ უნივერსიტეტში შესვლა განიზრახა, მაგრამ ვერ მოახერხა. პეტერბურგის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოსკოვში გავლილი ორი კურსი მას არ ჩაუთვალა. ამის შემდეგ ლერმონტოვი იძულებული გახდა „გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალერიის იუნკრების სკოლაში" შესულიყო. ლერმონტოვი სამხედრო სასწავლებელში ორი წელი სწავლობდა. აქ გატარებული დრო პოეტისათვის მძიმე იყო. მის გარშემო გამეფებული ზნეობრივი თავაშვებულობა ხელს უშლიდა პოეტის შემოქმედებით საქმიანობას. 1834 წელს ლერმონტოვმა დაამთავრა ეს სასწავლებელი და კორნეტის ჩინით სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ლერმონტოვმა ჯერ კიდევ პანსიონში ყოფნის დროს დაიწყო. აღსანიშნავია პოეტის მრავალმხრივი ლიტერატურული ინტერესები. მან თავიდანვე მოჰკიდა ხელი, როგორც მცირე, ისე დიდ ჟანრს. იგი ლექსების პარალელურად წერდა პოემებს, დრამებს, პროზაულ ნაწარმოებებს.

მ. ლერმონტოვის ადრეულ ლირიკაში აშკარად ჩანს ახალგაზრდა პოეტის მეამბოხე სულისკვეთება. ლექსში „თურქის ჩივილი“ („Жалоба турка“), იგი გულისტკივილით ლაპარაკობს ადამიანების ჩაგვრაზე, მონობაზე, უსამართლობაზე, რომელიც გამეფებულია მის სამშობლოში. მართალია, პოეტი ყველაფერს თურქი ბიჭის პირით ბოგვითხრობს, მაგრამ მკითხველი აშკარად ხედავს რომ არაფერ შუაშია არც თურქი და არც თურქეთი. აქ ლაპარაკია რუს ადამიანებზე, რუსეთში გაბატონებულ მონობაზე.

კაცთა ცხოვრება ადრე ხდება იქ უმძიმესი,
იქ შეებას თან სდევს საყვედური, ვით განაჩენი:
დამონებული, ბორკილებში იქ კაცი კვნესის!...
იგი მხარეა, მეგობარო, სამშობლო ჩემი!

(თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა).

იმავე წელს დაწერილ ლექსში „პორტრეტი“ ლერმონტოვი თავისთავს თვლის „თავისუფლების მეგობრად“, ხოლო „წინასწარმეტყველებაში“ („Предсказание“) იმედს გამოთქვამს, რომ ჩაგვრა-მონობაზე დამყარებული ცხოვრება დაინგრევა, რომ ქვეყანას მოევლინება დაუნდობელი შურისმაძიებელი, რომელიც შეუბრალებლად დაამსხვრევს დესპოტურ წყობილებას, მის წინაშე დაემხობიან „გვირგვინი ხელმწიფისანი“.

მართალია, ორივე ლექსში სუბიექტურ-რომანტიკულ ასპექტშია წარმოდგენილი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, მათში მჩაგვრელებთან დაპირისპირებულია ძლიერი, ამაყი და ზვიადი შურისმაძიებელი, მაგრამ ჯაბუკი ლერმონტოვისათვის ამას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ იგი ცხოვრებამ თავიდანვე სერიოზულად ჩააფიქრა, რომ თავისუფლება, სამშობლოს კეთილდღეობა, ზიზღი ყოველგვარი ჩაგვრისა და დესპოტიზმისადმი მისი იდეალი გახდა.

მ. ლერმონტოვი თავის იდეალს უფრო კონკრეტულად გამოხატავს 1830—1831 წლების ლექსებში. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციური ამბებისადმი მიძღვნილი ლექსები. ჯაბუკი რუსი პოეტი მწუხარებით მიესალმება ფრანგ რევოლუციონერებს, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს შეფის წინააღმდეგ. ლერმონტოვი ამართლებს მეამბოხე ხალხს, რომელიც აჯანყდა იმისათვის, რომ მოიპოვოს თავისუფლება, დაანგრიოს სამეფო ტახტი (ლექსი „30 ივლისი“).

მ. ლერმონტოვის ადრინდელი ლირიკა გაჟღენთილია რევოლუციურ-რომანტიკული იდეებით, სევდიანობა და მწუხარება, ჰუმანიზმი და სულიერი ობლობა, პატრიოტიზმი, თავისუფლებისადმი უსაზღვრო

სიყვარული, ზიზღი ჩაგვრა-მონობისადმი და სხვ. ახასიათებს პოეტის ადრინდელ შემოქმედებას. ამ მხრივ, ჰაბუკი ლერმონტოვი აგრძელებს ლიტერატურაში დეკაბრისტების ტრადიციებს. ვერც მას წარმოუდგენია ცხოვრება ბრძოლისა და მოქმედების გარეშე, იტაცებს მძვინვარე ქარიშხალი, მძაფრი ღელვა და საბედისწერო შეჯახება.

მოსაწყენია, თუ უბრალოდ მიდის ცხოვრება.

საჭირო არის ვიმოქმედო, მსურს დღე ყოველი
უკვდავყო ისე, ვით აჩრდილი შუქის მთოველი
დიადი გმირის; და არ მესმის, თან მეძნელება
გავიგო რაა დაღლილობა და მოსვენება.

(ლექსიდან „1831 წლის 11 ივნისი".
თარგმ. კ. ნადირაძისა).

ჰაბუკი ლერმონტოვი არისტოკრატული საზოგადოების ღვიძლი შვილია. იგი ამ წრეში იზრდებოდა და მწიფდებოდა, მაგრამ ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად გააძლიერა პოეტის ტრაგიკული მდგომარეობა. ლერმონტოვმა თავიდანვე ნათლად დაინახა მაღალი საზოგადოების ცხოვრების უარყოფითი მხარეები, მისი გონებრივი სიჩლუნგე და ზნეობრივი გადაგვარება. მას შეზიზღდა თავისი წრე და იგრძნო ტრაგიკული სიმარტოვე.

პოეტის ადრინდელ ლექსებში ხშირად ვხვდებით სიყვარულისა და მეგობრობის მოტივებს, მაგრამ ორივე თემა მის მიერ თავისებურად არის დამუშავებული. ლერმონტოვის ინტიმური ლირიკა არსებითად არ არის სატრფიალო, რადგან პოეტს ნამდვილი სიყვარული და მეგობრობა შეუძლებლად მიაჩნია. ქალი, მისი აზრით, არ არის სანდო, ცბიერია. პოეტი თავის თავს მათხოვარს ადარებს, რომელსაც გაშვერილ ხელში ცივი ქვა ჩაუდეს (ლექსი „მათხოვარი" —„Нищий"), სამუდამო სიყვარული, პოეტის აზრით, შეუძლებელია, დროებითი კი არ ღირს, რადგან ის გონებას ცოტა ხნით შეაკრთობს, მაგრამ მერე კი მოწყენილობით მოგკლავს.

მ. ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება 1837—1841 წლებში. მ. ლერმონტოვი ერთ თავის ლექსში ამბობს, რომ მე ადრე დავიწყე და ადრე დავამთავრებო. ეს არის ჰაბუკი პოეტის საბედისწერო სიტყვები, რომლებიც, სამწუხაროდ, ახდა. ლერმონტოვი მართლაც ადრე მომწიფდა. იგი ადრე მომწიფდა მხატვრულად, ინტელექტუალურად. როგორც ზემოთ დავინახეთ, მის ადრინდელ ლირიკაში ნათ-

ლად ჩანს პოეტის პოლიტიკური, ფილოსოფიური, ესთეტიკური სიმწიფე. 30-იანი წლების მეორე ნახევარში ლერმონტოვი უკვე რუსეთის სრულიად ჩამოყალიბებული მეორე პოეტი იყო, მაგრამ რუსეთი ჯერ მას არ იცნობდა. პოეტი თავის ნაწერებს არსად არ ბეჭდავდა. მართალია, 1835 წელს მისი ერთ-ერთი პოემა „ჰაჯი-აბრაგი“ ჟურნალში დაიბეჭდა, მაგრამ ეს მოხდა ავტორის დაუკითხავად და თანაც საზოგადოების ყურადღება მას არ მიუპყრია.

1837 წელს, სევდითა და მწუხარებით აღსავსე მძიმე დღეებში, ლერმონტოვი აღიარებული იქნა რუსეთის პირველ პოეტად, დიდი პუშკინის ღირსეულ მემკვიდრედ.

დაჭრილი პუშკინი ჯერ კიდევ სარეცელზე სიკვდილს ებრძოდა, როცა პეტერბურგში ხმა გავრცელდა მისი სიკვდილის შესახებ. ხალხის მწუხარება და აღშფოთება ლერმონტოვმა გამოხატა. მისი ლექსი „პოეტის სიკვდილი“ მიმართულია არა მარტო საფრანგეთიდან გადმოხვეწილ მონარქისტ დანტესის წინააღმდეგ, რომელმაც არ დაინდო სხვა ხალხის გენია, არამედ რუსეთის არისტოკრატული საზოგადოების წინააღმდეგაც, რომელიც დევნიდა უბრწყინვალეს ნიჭს, რუსული პოეზიის მზეს, დიდებას.

მოჰკლეს პოეტი! — ღირსების სიტყვა —
დაეცა, ჰირმა არ გაახარა.
შურისმძიებელს გულს შერჩა ტყვია,
თავი ამაყი დაბლა დახარა!
ვეღარ გაუძლო სულმა პოეტის
შეურაცხმყოფელ წვრილმანებს ირგვლივ.
ქვეყნის ცრუ აზრებს, როგორც ყოველთვის,
აღუდგა ერთი... და მოკლეს იგი!
მოკლეს!.. რას გვარგებს გოდება ახლა,
ამაო ხმები ხოტბა-დიდების,
თავის მართლების ლეღლუღი, ჩმახვა?
როს განაჩენი შესრულდა ბედის!

(თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა).

მომაკვდავი პუშკინის ირგვლივ მწუხარების ნაცვლად პეტერბურგის ოფიციალურ არისტოკრატულ საზოგადოებაში ათასგვარი ჭორები ვრცელდებოდა. ამ ჭორების მიხედვით დამნაშავე იყო არა დანტესი, არამედ პუშკინი. აღშფოთებულმა ლერმონტოვმა თავის ლექსს დაუმატა კიდევ თექვსმეტი მრისხანე სტრიქონი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს პოეტის დაღუპვის ჭეშმარიტ მიზეზს, ააშკარავებს მის დაუძინებელ მტრებს.

თქვენ კი, ზეიადნო შთამომავალნო
იმ წინაპართა, ვინც სიბილწით განითქვნენ ძველად,
თქვენ, ბედის ბრუნვით დამცირებულ გვართ ნატამალნი
და ნამსხვრევები მონურ ჭუსლით რომ გაგითელავთ,
შიშარ ბრბოსავით ტახტის ირგვლივ ერთად რომ დგახართ,
თავისუფლების, დიდების და ნიჭის ჯალათნო!
კანონმდებლობის საფარველი თქვენ გიცავთ ახლა,
და თქვენს წინაშე სდუმს სიმართლე და სამართალი!..

აქ პოეტი ბრალს სდებს სამეფო ტახტის მსახურთ, რომელთა წინაპრებმაც სიბილწით გაითქვეს სახელი, ხოლო მათი ნაშიერნი კი თავისუფლების, დიდებისა და ნიჭის ჯალათებად მოევლინნენ ქვეყანას.

მ. ლერმონტოვის ლექსის უკანასკნელი თექვსმეტი სტრიქონი გაჟღენთილია არა მარტო მაღალი პოეტური კულტურით, მგზნებარებით, მხატვრული დახვეწილობითა და ოსტატობით, არამედ პათეტიკურ-ორატორული ხელოვნებითაც. ამ ლექსის მრისხანე სტრიქონები თითქოს ტრიბუნიდან წარმოსათქმელად დეკლამაციისათვის არის დაწერილი, დამწუხრებული პოეტი თითქოს მთელ ერს მიმართავს და მის წინაშე უყენებს ბრალდებას სამეფო კარსა და მის გარშემო შემოკრებილ არისტოკრატიულ ბრბოს.

მ. ლერმონტოვის ლექსმა „პოეტის სიკვდილი" რუსეთის საზოგადოებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მას იწერდნენ და ზეპირად სწავლობდნენ, ერცელდებოდა არა მარტო პეტერბურგსა და მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთში. ლექსის ერთი ეგზემპლიარი მიიღო ნიკოლოზ პირველმა წარწერით — „მოწოდება რევოლუციისაკენ". მეფემ ლერმონტოვის სასტიკი დასჯა გადაწყვიტა. მისი ბრძანებით პოეტი გადასახლებულ იქნა კავკასიის მოქმედ არმიაში.

1837 წლის მარტში ლერმონტოვი კავკასიისაკენ გაემგზავრა. გზაში იგი ავად გახდა და რამდენიმე ხნით სამკურნალოდ ქ. პიატიგორსკში დარჩა, შემდეგ კი სამხედრო გზით საქართველოს მიაშურა.

პოეტი საქართველოში ჩამოსვლას არ ნანობდა. სამხედრო გზის ბუნებამ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა: „როგორც კი მთები გადავლახე და საქართველოში აღმოვჩნდი, — სწერდა იგი თავის მეგობარს ს. რაევსკის, — ეტლზე ფარი ვთქვი და ცხენით განვაგრძე გზა: ავფოფხდი თოლიან ჯვრის მთაზე, სულ მაღლა. ეს არც ისე ადვილია. იქიდან ნახეთარი საქართველო ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე. არ ძალმიძს აგიხსნა ან აგიწერო ეს საოცარი გრძნობა. ჩემთვის მთის ჰაერი მალამოა. ეშმაკსაც წაუღია მოწყენილობა, გული ძლიერად ფეთქავს, მკერდით ვსუნთქავ, ამ წუთებს არაფერს ვარჩევ; ასე ვიჯდებოდი და მთელ სიცოცხლეს ამ გარემოს თვალიერებაში გავატარებდი".

1837 წლის შემოდგომაზე ნიკოლოზ პირველი თბილისში ჩამოვიდა. მეფემ აქ ჯარები დაათვალიერა. ერთ-ერთ საღამოს მას დარბაზობაც მოუწყვეს, სადაც სხვა რუს და ქართველ ოფიცრებთან ერთად ლერმონტოვიც იმყოფებოდა. იმპერატორზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკმა, სადაც ლერმონტოვი მსახურობდა. მეფის კარგი განწყობილებით ისარგებლეს და მოხუცი ქალის არსენიევას უმორჩილესი თხოვნა — შვილიშვილის რუსეთში დაბრუნების შესახებ,—მოახსენეს. მეფემ დააკმაყოფილა მემამულის თხოვნა. რამდენიმე თვის შემდეგ ლერმონტოვი პეტერბურგში დაბრუნდა.

მ. ლერმონტოვი დედაქალაქში ჩავიდა როგორც სახელმოხვეჭილი პოეტი. მას მთელი რუსეთი იცნობდა ლიტერატურული შედევრებით: „ბოროდინო“ „პოეტის სიკვდილი“, „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“ და სხვ.

პეტერბურგში ლერმონტოვი სამხედრო სამსახურთან ერთად მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. 1838—1840 წლებში მან დაწერა შესანიშნავი ლექსები: „ფიქრი“, „ხანჯალი“; „მშვიდობით დაუბანელო რუსეთო“, პოემები: „ტამბოველი ხაზინადარის ცოლი“; „მწირი“, „დემონი“, რომანი „ჩვენი დროის გმირი“ და სხვ. მაგრამ თუ, ერთი მხრივ, იზრდებოდა ლერმონტოვის როგორც მწერლის ავტორიტეტი რუსეთის პროგრესულ ინტელიგენციაში, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტად ღრმავდებოდა განხეთქილება პოეტსა და სამეფო კარის არისტოკრატულ საზოგადოებას შორის. განსაკუთრებით ცუდი თვალით უცქეროდა ამაყ პოეტს ნიკოლოზ პირველის ქალიშვილი, რომელსაც „ჩვენი დროის გმირი“ უზნეო რომანად მიაჩნდა. თანამედროვეთა ცნობით, 1840 წლის წინასაახალწლო ბალზე მას ლერმონტოვმა რაღაც აწყენინა. შინ დაბრუნებისას პოეტმა „ორკინის“ ლექსი დაწერა და „არისტოკრატულ ბრბოს“ სახეში ესროლა.

ო, როგორ მინდა ბრბოს დავუფრთხო წუთი ლხინისა
და მას თვალებში მივახალო ლექსი რკინისა,
სიმწრით და წყრომით გადმონთხეული!...

(თარგმ. ნ ა დ ი რ ა ძ ი ს ა).

1837 წელს ჟურნალ „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა ლერმონტოვის ლექსი „ბოროდინო“. სწორედ ამ დროს სამამულო ომის 25 წლისთავთან დაკავშირებით რუსულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი მოგონება, მოთხრობა, ლექსი დაიბეჭდა. ლერმონტოვის ლექსი „ბოროდინოც“ ამ იუბილეს გამოხმაურება იყო, მაგრამ ყველა სხვა საიუბილეო მხატვრული ნაწარმოებისაგან იგი განირჩევა იდეური მი-

დასახულობითა და მაღალი პოეტური კულტურით. „ბოროდინო“ პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსია, მაგრამ ლერმონტოვის პატრიოტიზმს არაფერი საერთო არ ჰქონდა ნიკოლოზ პირველის ოფიციალურ მყავე „პატრიოტიზმთან“. თავის ლექსში პოეტმა მიმართა წარსულის სასახელო დღეებს, რათა ისინი უნიათი და სამარცხვინო აწმყოსათვის დაეპირისპირებინა.

„ეს ლექსი, — წერდა ბელინსკი, — განირჩევა უბრალოებით, ბუნებრივობით. ჯარისკაცის ყოველი სიტყვა, მიუხედავად მათი ერთგვარი მოუხეშავ-უბრალოებისა, ძლიერია და აღსავსეა პოეზიით“. მართლაც, „ბოროდინოს“ ახასიათებს ხალხური ენისათვის დამახასიათებელი უბრალოება, სიცხადე და განსაცვიფრებელი მუსიკალური ჟღერადობა. ნაწარმოებისათვის უცხოა ის ყალბი ტონი და მტრისადმი ყოყოჩური დამოკიდებულება, რომელიც ახასიათებდათ სამამულო ომის თემაზე დაწერილ ბევრ ნაწარმოებს. პირიქით, დამარცხებული მტრისადმი ლერმონტოვი იჩენს თანმეკავებულ დამოკიდებულებას და აფასებს მის ძლიერებას.

1840 წელს ლერმონტოვს დუელი მოუხდა საფრანგეთის ელჩის შვილ დე ბარანტთან. მართალია, ლერმონტოვის წყალობით დუელი უსისხლოდ დასრულდა, მაგრამ იგი მაინც დასაჯეს. საპატიმროში პოეტი ბელინსკიმ ინახულა და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. ამ შეხვედრის შემდეგ დიდი რუსი კრიტიკოსი ლერმონტოვის ნიჭითა და აზრის სიღრმით აღტაცებული დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ ლერმოტოვი დამნაშავე არ იყო, მეფემ დუელში მონაწილეობისათვის იგი ისევ კავკასიაში გადაასახლა.

კავკასიაში ხელმეორედ გაძევებული ლერმონტოვი მეფის მითითებით ფრონტის მოწინავე ხაზზე იდგა. იგი მონაწილეობდა რუსეთის ჯარების სამხედრო მოქმედებაში. ერთ-ერთი შეტაკება ჩერქეზებთან მან მხატვრულად აღწერა ლექსში „ვალერიკი“, რომელშიც დიდი ჰუმანური გრძნობით არის დახატული მთიელებისა და რუსი ჯარის სისხლიანი შეტაკების საშინელი სურათი. ამ ლექსში პოეტი სასტიკად გმობს საზოგადოდ ომს, სისხლისღვრას და აიდეალებს ადამიანისათვის მისაბაძ ბუნებას, სადაც საოცარი სიმშვიდე და ჰარმონიულობა სუფევს.

„და მე ვფიქრობდი. კაეშნით სავსე:
ო, საცოდავი ადამიანი!
ნეტავი რა სურს? ... სუფთაა ზეცა,
ცის ქვეშ ადგილი ბევრია მისთვის,
მაგრამ ყოველთის, ქცეული მხეცად,
შურსა და მტრობას უძღვება რისთვის?“

(თარგმ. კ. ნადირაძისა)

1840—41 წლის ზამთრის ორი თვე ლერმონტოვმა პეტერბურგში გაატარა. დედაქალაქში პოეტი თავის ლიტერატურულ გეგმებზე საღამოებზე ხშირად ხვდებოდა ხოლმე რედაქტორებსა და რუსული ლიტერატურის სხვა გავლენიან პირებს. როგორც ჩანს, ლერმონტოვი სამხედრო სამსახურისათვის თავის დანებებას ფიქრობდა და საკუთარი ლიტერატურული ჟურნალის შექმნისათვის ემზადებოდა, მაგრამ შეებულების დამთავრებისთანავე წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო კავკასიაში. ამჯერად ლერმონტოვს კავკასიაში გამგზავრება აღარ სურდა. მისი ლიტერატურული გეგმები იფუშებოდა, საბედისწერო შეთქმულების ტრაგიკულ შედეგსაც იგი თითქოს წინასწარ გრძნობდა.

გზადაგზა ლერმონტოვმა კვლავ შექმნა ბრწყინვალე ლექსები: „დავა" („Спор"), „თამარი", „პაემანი" („Свидание"), და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ წელს შექმნა აგრეთვე ლექსი „სამშობლო" („Родина"). რომელშიც პოეტი რუსეთს აღიქვამს თავისი მშვენიერი ბუნებითა და გამორჩეული მშრომელი გლეხობით.

დაუპატიჟებელ წელს ლერმონტოვმა შექმნა ლექსი „წინასწარმეტყველი". აქ იგი კვლავ უბრუნდება ადრე დაწერილი ლექსის „პოეტის" თემას.

ლექსში „პოეტი" ლერმონტოვი პოეტის ხმას ადარებს ვეჩეს ზარს, რომელიც საბედისწერო ჟამს ხალხს თავს უყრიდა და მტერთან საბრძოლველად რაზმავდა. პოეტი ხალხის შემაკავშირებელი ტრიბუნია და არა წუნარი მგალობელი. ეს აზრია განვითარებული ლექსშიც „წინასწარმეტყველი". აქაც ლერმონტოვის კონცეფციით პოეტს დიდი საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი მოვალეობა აკისრია, მაგრამ ეს მოვალეობა მეტად მძიმეა, რადგან პოეტი ვალდებულია ამხილოს საზოგადოების მანკიერი მხარეები. ადამიანი კი, ლერმონტოვის აზრით, ბუნებით ისეთია, რომ ვერ იტანს თავისი საკუთარი მანკიერების მხილებას, ამიტომ იგი პოეტს — მამხილებელს სდევნის. აქედან გამომდინარეობს პოეტის მძიმე ხვედრი, მისი ტრაგიკული ბედი საზოგადოებაში.

ლექსი „წინასწარმეტყველი" მართლაც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. პიატიგორსკში დატრიალებული ტრაგედია იყო ლოგიკური დასასრული იმ ინტრიგებისა, რომელთა სათავეებიც პეტერბურგიდან მოდიოდა.

ლერმონტოვის მკვლელი, სულელი და რეგვენი მარტინოვი პოეტის მტრების ბრმა იარაღი იყო. მას ლერმონტოვი მოაკვლევინეს. დუელი შედგა 1841 წლის 15 ივლისს ქ. პიატიგორსკში მაშუკის მთაზე. ლერმონტოვმა გასროლის წინ სცადა შერიგება, მაგრამ მარტინოვმა უარი თქვა. პოეტმა თავისი დამბაჩა მაინც ზევით გაისროლა, რის შემდეგ

მარტინოვი მიუახლოვდა ლერმონტოვს, გულში დაუმიზნა და პირდაპირ ესროლა.

მთავრობამ არც მკვლელი და არც სეკუნდანტი არ დასაჯა. თანამედროვეთა გადმოცემით სამეფო კარი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა.

პოემები. მ. ლერმონტოვმა პოემების წერა ადრე დაიწყო. მისი პირველი რომანტიკული პოემები: „კავკასიის ტყვე", „ჩერქეზები" „კორსარი" დაწერილია 1828 წელს, ე. ი. პანსიონში სწავლის პირველსავე წელს. მართალია, სამივე ნაწარმოები მოწაფური ხასიათისაა, მათში პუშკინისა და ბაირონის რომანტიკული პოემების აშკარა გაელენა იგრძნობა, მაგრამ თავისთავად მოზარდის მუშაობის ფაქტი ისეთ ღრმულ და დიდ ჟანრზე, როგორიც ეს პოემებია, მეტად საგულისხმოა. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ლერმონტოვი თავის ადრინდელ პოემებში პუშკინთან შედარებით ეებებს უფრო მწვავე კონფლიქტს, მძაფრ სიტუაციას, დრამატულად დაძაბულ მომენტებს, უფრო ძლიერი ხასიათის ამაყ პერსონაჟებს.

მ. ლერმონტოვს სულ 30 პოემა აქვს დაწერილი. აქედან ოთხი მას დაუსრულებელი დარჩა, სამი დაწერილია გვარდიის იუნკერთა სკოლაში სწავლის დროს და ცენზურისათვის მიუღებელი შინაარსის გამო არ დაბეჭდილა. დანარჩენი 23 პოემა შეიძლება გავყოთ ორ კატეგორიად: რომანტიკულ და რეალისტურ პოემებად, რომელთაგანაც უმრავლესობას მაინც რომანტიკული პოემები შეადგენენ. აქედან აღსანიშნავია: „კალი", („Каллы"), „აულ ბასტუნჯი", „იზმაილ ბეი", „ჰაჯი აბრაგი", „აზრაილი", „სიკვდილის ანგელოზი", „ალსარება", „ბოიარინი ორშა", „მწირი", „დემონი".

ლერმონტოვის რომანტიკული პოემები თავიანთი ფორმითა და შინაარსით ტიპიურია. მათ ცენტრში, როგორც წესი, ძლიერი, ამაყი მეამბოხეა. სიუჟეტი ემსახურება ამ გმირის სულიერ განწყობილებათა გაშლის მიზანს. პოემაში პერსონაჟთა რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი. მთავარია რომანტიკული გმირის ხასიათის გახსნა და არა სახეების ფსიქოლოგიური მრავალფეროვნება. პოემის თითო-ოროლა პერსონაჟი მეორეხარისხოვანია და ისინი მთავარი გმირის ხასიათის გახსნის მიზანს ემსახურებიან.

მოქმედების ფონიც მთავარი გმირის ფსიქოლოგიურ ბუნებას შეეფერება. ისიც ისეთივე არაჩვეულებრივია, პირქუში, განსაკუთრებული, მძაფრი და ამავე დროს თვალწარმტაცი, როგორიც პოემის მთავარი გმირია. უმრავლეს შემთხვევაში ლერმონტოვის რომანტიკულ პოემებში მოქმედება იშლება კავკასიის ეგზოტიკური ბუნების ფონზე. ამ პოემების ლექსი უაღრესად რიტმულია, მუსიკალური და ძლიერი ექსპრესიისა.

მ. ლერმონტოვის რომანტიკული პოემებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია „იზმაილ ბეი“, „მწირი“ და „დემონი“.

„იზმაილ ბეი“ დაწერილია 1832 წელს. პოემის ცენტრშია ჩერქეზი თავადიშვილი იზმაილი, რომელიც ბავშვობაში მოსწყდა თავის კავკასიურ გარემოს და რუსეთში მოხვდა. იგი აქ ეზიარა რუსულ კულტურას, მიიღო ევროპული განათლება, მაგრამ ვერ გარუსდა, თვითმპყრობელური რუსეთისადმი სიძულვილი ბოლომდე შერჩა. იზმაილს სძულს რუსეთი, როგორც ქვეყანა, რომელმაც მისი სამშობლო დაიპყრო და დააკარგვინა დამოუკიდებლობა. ახალგაზრდა, ნიჭიერი და განათლებული იზმაილი ბრუნდება სამშობლოში იმისათვის, რომ ჩერქეზებს სათავეში ჩაუდგეს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მარცხს განიცდის. იზმაილი „გაორებული ადამიანი აღმოჩნდა. ცივილიზაციამ დაუკარგა ის თვისებები, რითაც იგი ადრე შეზრდილი იყო თავის ხალხთან, დაუკარგა მას პატრიარქალური ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები. ამ გარემოებამ გააუცხოვა იზმაილი, დააკარგვინა ჩერქეზების ნდობა და საბოლოოდ გააწყვეტინა მათთან კავშირი. ამრიგად, იზმაილი ისეთივე ტრაგიკულ მდგომარეობაში ექცევა, როგორც პუშკინის რომანტიკული გმირები. იგი მოსწყდა თავის საკუთარ გარემოს, მაგრამ ვერც სხვას შეეგუა.

მ. ლერმონტოვის რომანტიკულ პოემებს შორის ვაღალმხატვრული ფორმითა და იდეალური შინაარსით გამოირჩევა „მწირი“ (1840). თავდაპირველად ლერმონტოვმა პოემას „ბერი“ უწოდა, როგორც ჩანს, პოეტს არ უნდოდა თავისი გმირისათვის რუსული „მონახი“ დაერქმია, რადგან შინაგანი სულიერი მისწრაფებებითა და ხასიათით მწირი ბერს არ ჰგავს, მაგრამ სიტყვის ქართულად ხმარებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართული სიტყვა „ბერი“ რუსული „მონახის“ ზუსტი ადეკვატია. 1840 წელს, კავკასიაში ჩამოსვლის შემდეგ, ლერმონტოვმა თავისი პოემა „მწირით“ დაასათაურა, სიტყვით, რომლის სრული ეკვივალენტი რუსულ ენაში არ არის, და, ამავე დროს, ნაწარმოების გმირის ხასიათს ყველაზე უფრო მეტად შეეფერება. მართლაც, პოემის გმირი ბერია მხოლოდ თავისი ძდგომარეობით, სინამდვილეში მას არაფერი საერთო არა აქვს სასულიერო წოდებასთან. პირიქით, მწირი ვერ იტანს მონასტრის პირობებს, ვერ ეგუება საეკლესიო წესებს, ასკეტურ ცხოვრებას. იგი უთვისტომოა, ტანჯული, მაგრამ მეამბოხე სულის მატარებელი. კიდევ მეტი, მწირი შინაგანად არ არის მორწმუნე ადამიანი, მისთვის უცხოა ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის გავრცელებასაც მისი სამშობლოს მტრები ცდილობენ.

სიტყვა მწირი ქართულ ენაში ხშირად არ იხმარება და უნდა ვი-

ფიქრით, რომ ის პოეტს ქართველმა კაცმა უკარნახა პოემის წაკითხვის შემდეგ. ამის გარეშე შეუძლებელი იყო გმირის ხასიათისათვის ასეთი შესაფერისი სახელის მოძებნა.

„წმირის" ფაბულა მარტივია და საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი. საქართველოს სამხედრო გზით მომაკვალ რუს გენერალს თან მოჰყავდა მთებში ტყვედ ჩავარდნილი ექვსი წლის ბავშვი, რომელიც მას ავად გაუხდა და მცხეთაში ბერებს დაუტოვა. ჯვრის მონასტერში მუსულმანური სარწმუნოების ბავშვი ბერად უნდა აღეზარდათ, მაგრამ პატარა ნთელი ვერ ეგუება მონასტერში გამეფებულ საეკლესიო წესებს, ქრისტიანული სარწმუნოების მონა-მორჩილებას, ლოცვა-კურთხევას. მას განუწყვეტლივ აგონდება ის ბედნიერი დრო, როდესაც მთებში თავისუფლად, ლაღად ცხოვრობდა. იგი ხშირად ნატრობდა მონასტრიდან სამშობლოში გაქცევას, მაგრამ თავის საწადელის ასრულებას იგი დიდხანს ვერ ახერხებდა. შემოდგომის ერთ ჭარიშხლიან ღამეს ჰაბუკი მწირი გაიქცა მონასტრიდან, მაგრამ გზა აერია. სამი დღე-ღამის განმავლობაში ცდილობდა იგი სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. მწირმა სამშობლოსაკენ გზა ვერ გაიგნო. მრავალი ტანჯვა-წვალების შემდეგ იგი ღონემიხდილი უგრძნობლად დაეცა მიწაზე. ამ მდგომარეობაში იპოვეს ბერებმა ჰაბუკი და ისევ მონასტერში მიიყვანეს. სიკვდილის წინ მწირი მთელ თავის თავგადასავალს მოუთხრობს ბერს. არსებითად მწირის ეს აღსარება იქცა პოემის შინაარსად.

აღსარების დროს მწირი არ ნანობს სამი დღის ტანჯვა-წვალებას, ულრან ტყეში ხეტიალს, ვეფხვთან ბრძოლას და სხვა განსაცდელს. პირიქით, მაშინ იგი ბედნიერად გრძნობდა თავს იმიტომ, რომ თავისუფალი იყო. მონასტრის პირქუშ კედლების ნაცვლად უყურებდა და შეჰხაროდა მშვენიერ ბუნებას.

მწირი თავისი ძლიერი სულით, მტკიცე ნებისყოფით მოგვაგონებს ბაირონის აღმოსავლური პოემების გმირებს, მაგრამ მათგან განსხვავებით მისთვის უცხოა პესიმიზმი, სასოწარკვეთილება. მწირის სული სუფთაა, მთის ანკარა წყალივით კრიალა და გამჭვირვალე. მისთვის აუტანელია მონასტრის დახშული ატმოსფერო, კარჩაკეტილი ყოფა. მას სწყურია თავისუფლება, მოუსვენარი ცხოვრება. მწირისთვის ასევე უცხოა მონური მორჩილება, შერიგება და შეგუება იმასთან, რაც მის ბუნებას ეწინააღმდეგება, მაგრამ მის ოცნებას მაინც არ უწერია განხორციელება. მწირი სამშობლო მიწა-წყალს ვერ უბრუნდება, მონასტერში კვდება.

სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მონასტერი თვითმპყრობელური რუსეთის სიმბოლოდ

მიიღო, ხოლო მწერი მეამბოხე ადამიანად, რომელიც ვერ ეგუება პონობას და თავისუფლებისათვის იბრძვის.

პოემა ალსავსეა დრამატული მომენტებით, მაგრამ ის უფრო ლირიკულია. ლექსი ემოციურია, ღრმადი, მუსიკალური. მკითხველს ხიბლავს აგრეთვე საქართველოს ბუნების საუცხოო სურათები, რომლებიც ლერმონტოვს ჩვეული ოსტატობით აქვს დახატული.

მ. ლერმონტოვის პოემებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია „დემონი". მასზე პოეტი დიდხანს მუშაობდა — 1829 წლიდან სიკვდილამდე. პოემის პირველ რედაქციებში როგორც სახეები, ისე ფონი აბსტრაქტულია, განყენებული. მოქმედების ადგილი ესპანეთს ჰგავს, რომელსაც ლერმონტოვი არ იცნობდა. პოემის ბოლო ორ რედაქციაში მოქმედება საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების წიაღშია გაშლილი. უსახელო მონაზვნის სახეც შეცვლილია ქართველი თავადის ასულით — თამარით. ადრეულ რედაქციებთან შედარებით ბოლო რედაქციებში შეცვლილია აგრეთვე პოემის მთავარი გმირი დემონი და სხვა სახეები. ისინი უფრო კონკრეტული, ინდივიდუალური თვისებების მატარებელნი ხდებიან.

დემონური სახე ძალზე პოპულარულია ევროპულ ლიტერატურაში. მას ვხვდებით მილტონის „დაკარგულ სამოთხეში", გოეთეს „ფაუსტში", ალფრედ დე-ვინის პოემაში „ელოა", ბაირონის პოემებში, თომას მურის „ანგელოზთა სიყვარულში" და სხვ. ლერმონტოვი, რასაკვირველია, შესანიშნავად იცნობდა ამ ლიტერატურას და კიდევაც სარგებლობდა. მისი დემონი ბევრ რამეში წააგავს მათ სატანას. მაგრამ ამავე დროს მისგან განსხვავდება. უფრო მეტიც, ლერმონტოვის დემონი განსაკუთრებულია ევროპულ დემონურ ლიტერატურაში. იგი უველაზე განირჩევა თავისი შინაგანი ხასიათით, მისწრაფებებით, გარემოსადმი დამოკიდებულებით. ბაირონის, მურის და სხვ. სატანა თავისი ინტერესებით ორთოდოქსალური, ურყევი. თანმიმდევრულია. ის ბოროტი სულია და სიკეთე არ შეუძლია. ლერმონტოვის დემონიც ბოროტია, დევნილი, შეურიგებელი, ეგოისტი, მაგრამ ბოროტება მისთვის არ არის თვითმიზანი. პირიქით, მას უნდა სიკეთე, შერიგება. თამარისადმი სიყვარულით საკუთარი თავის სულიერ აღორძინებასა და ღმერთთან შერიგებას ფიქრობს, მაგრამ ამას ვერ აღწევს, რადგან თვით ღმერთია ამაში დამნაშავე.

დემონი გაორებულია თავისი მისწრაფებებით და ამდენად იგი არ შეიძლება ჩავთვალოთ აბსტრაქტული იდეის განსახიერებად. პირიქით, იგი კონკრეტული ადამიანური თვისებების მატარებელია.

მ. ლერმონტოვს დემონის გახორციელება, გაადამიანება იმისთვის დასჭირდა, რომ მისი პირით კონკრეტულად ეთქვა ქვეყნისათვის თავისი საკუთარი სათქმელი. მართლაც, დემონი მამხილებელია, უსამარ-

თლობის პოწინააღმდეგე. მას არ მოსწორნს ღმერთის სამართალი, მის მიერ მოწყობილი ქვეყანა. დედამიწაზე ვერ ხედავს იმ ჰარმონიას, რომელიც თითქოს ღმერთმა ადამიანებს შორის დააწესა.

შენ ღედამიწას დაეწყებ ცქერას.
სადაც ვერ ნახავ ვერც ნეტარებას
და ვერცა ხანგრძლივ მშვენიერებას,
სად სუფევს მხოლოდ ბოროტქმედობა.
მკაცრი სასჯელი. წერილმანი ენება,
სადაც უშიშრად არა ხერხდება
არც შეძენება, არც შეყვარება.

(თარგმ. კ. ჯაფარიძისა)

დემონი უარყოფის ამაყი სულია. მას არ გააჩნია პოზიტიური, კონსტრუქციული იდეები. მაგრამ ძლიერია იგი არსებულის კრიტიკით, ნგრევისადმი მისწრაფებით. ლერმონტოვის აზრით, დემონი ეგოიზმით დაბრმავებული ცილისმწამებელი არ არის, პირიქით, იგი კარგს ვერაფერს ხედავს ვერც ზეცაზე ანგელოზებს შორის და ვერც დედამიწაზე ადამიანებს შორის და ამაში დამნაშავეა ისევ შემოქმედი, ღმერთი. დემონიც ხომ თვით ღმერთმა გააჩინა და გააბოროტა თავისი უსამართლობით.

ლერმონტოვი თავის პოემაში მარტო სიძულვილს არ ქადაგებს. პირიქით, პოემის მიხედვით სიყვარული შეუძლია არა მარტო ადამიანს, არამედ ბოროტ სულსაც, ე. ი. იმას, ვისაც ქრისტიანული რელიგია აბსოლუტურად ბოროტად თვლიდა. მართლაც, დემონი არ არის ბოროტების იდეის სრული განსახიერება, მასში არის სიკეთის ჩანასახი და პრინციპულად შესაძლებელია მისი გარდაქმნა, აღორძინება.

პოემაში სიკეთის სრული განსახიერებაა დემონის ანტიპოდი — თამარი. თუ დევნილი ანგელოზის, დემონის სახეში ვხედავთ ადამიანის სულიერ თვისებებსა და მისწრაფებებს, თამარის სახეში პირიქით. იგი იდეალური გაანგელოზებული ადამიანია, რომლის მაღალი ზნეობრივი თვისებები ბევრად აღემატება ჩვეულებრივი ადამიანის ღირსებებს.

მ. ლერმონტოვის რეალისტური პოემებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე" (1837 წ.) ამ პოემას ბელინსკი რუსული პოეზიის მარგალიტად თვლიდა. მასში საუცხოოდ არის აღწერილი რუსი ხალხის ეროვნული თვისებები: სიმამაცე, თავისუფლების სიყვარული, შეუპოვრობა და სხვ. მოქმედება წარმოებს XVI საუკუნეში, მეფე ივანე მრისხანის დროს. მართალია, პოემაში ივანე მრისხანის ეპოქა არის აღწერილი, თვით მეფეც არის გამოყვანილი, მაგრამ თემატიკურად პოემა ისტორიულ ხასიათს არ ატარებს. ისტო-

რია არ იცნობს კირიბეევიჩს, კალაშნიკოვს და არც პოემაში აღწერილ ამბავს.

მთავარ მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან, ერთის მხრივ, ვაჭარი კალაშნიკოვი და მისი ლამაზი ცოლი, ხოლო, მეორეს მხრივ, ივანე მრისხანე და მისი საყვარელი ოპრიჩნიკი — კირიბეევიჩი. უკანასკნელს კალაშნიკოვის ცოლი შეუყვარდა და ნებით რომ ვერ დაიყოლია მას შეურაცხყოფა მიაყენა. კალაშნიკოვმა გადაწყვიტა შური ეძია და კრივში, რომელსაც ივანე მრისხანე დაესწრო, მოჰკლა კირიბეევიჩი. ივანე მრისხანემ სიკვდილით დასაჯა ვაჭარი, მაგრამ, ამავე დროს, მისი ოჯახი უზრუნველყო დახმარებით.

ეჭვგარეშეა, რომ „სიმღერა“ არ იყო ნაუცბათევად. თავის გასართობად შექმნილი ნაწარმოები, თუმცა თვით პოეტი ამბობს: („მე ეს სიმღერა დავწერე მოწყენილობის დროს, რათა რითიმე გავერთობილიყავ ავადმყოფობის დროს“). პოეტმა ასე ადვილად იმისათვის შეძლო ასეთი ნაწარმოების შექმნა, რომ, როგორც ბელინსკი აღნიშნავს, იგი უკვე მჭიდროდ შეესისხლხორცა იმ სიუჟეტს, ფაბულას და იმ ფორმას, რომელშიც მან ეს სიუჟეტი გაახვია. „სიმღერა კალაშნიკოვზე“ დაწერილია ხალხური სიმღერების მსგავსად ისეთი ოსტატობით და სრულყოფით, რომ შესაძლებელია ის მკითხველს ეგონოს ნამდვილი გულუბრყვილო ხალხური ნაწარმოები.

„სიმღერა“ მოყოლილია მეფანდურის პირით. თვით მეფანდურე, პოეტური ჩარჩო, რომელშიაც ჩასმულია „სიმღერა“ და ცალკეული მისი ნაწილებიც გაჟღენთილია ჭეშმარიტი ხალხური პოეზიით. თვით წვრილმანებშიც კი პოეტი იცავს ხალხური სიმღერის სულსა და იერს.

მართალია, „სიმღერა“ გვეჩვენება ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებად, მაგრამ ეს ასე არ არის. მასში ვერ ვხედავთ ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ სიმღერებთან ტექსტუალურ დამთხვევას: იგი არ წარმოადგენს სხვადასხვა ფერადოვანი ნაჭრების წმინდა მექანიკურ შეერთებას: მისი სახეები, ფორმები და განწყობილება მხატვრულად დამთავრებულია.

„სიმღერა“ ლერმონტოვის ორიგინალური ქმნილებაა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული ხალხურ პოეზიასთან. მასში ხალხური მოტივები, სახეები შედუღებულია პოეტის ინდივიდუალური შემოქმედების თავისებურებასთან. აქ მართალია, ვხვდებით ხალხური სასიმღერო შემოქმედების ტიპიურ ხერხებს: აღწერის ეპიურ დეტალებს, სინონიმურ გამოთქმათა შეერთებას, ტავტოლოგიებს, უარყოფით შედარებებს და სხვ., მაგრამ ყოველივე ამას არაფერი აქვს საერთო ხალხურობის დეკორაციულობასთან. ჩვენ ვერ ვგრძნობთ „სიმღერაში“ წამბაძველობას, ხელოვნურობას, ძალდატანებას.

შ. ლერმონტოვმა სასახელოდ დასძლია და დაიმორჩილა ხალხური სიმღერა, მაგრამ სიმღერამაც პოეტი მოაშორა საზიზღარ სინამდვილეს და გადაიყვანა შორეულ წარსულში. შეჰყარა მონოლითურ ადამიანებს. — ადამიანებს, რომლებიც ძლიერნი არიან როგორც სიყვარულში, ისე სიძულვილში.

სამი ბუმბერაზი სახე შექმნა ლერმონტოვმა თავის პატარა პოემაში და ყველა ეს სახე დახატა ისტორიული ეპოქის მშვენიერ ფონზე. პოეტი ბრწყინვალედ გაიცისკვიალა ივანე მრისხანეს ეპოქის სულით, გაიგო ის, როგორც ამის გაგება შეეძლო გენიოსს და წარმოსახა შესანიშნავი რელიეფურობით. ლერმონტოვის ჯადოსნური კალმის მოსმით ნათლად წარმოგვესახება ივანე მრისხანეს სასახლე, მისი ნადიმი, ოჯახური ცხოვრების სურათები, ვაჭრის დუქანი, კრივი და სხვა. „სიმღერის" ყველა ეს ღირსება მას ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებად წარმოგვიდგენს და ისტორიულ სიმღერებთან აკავშირებს. წმინდა ხალხურია თვით თხრობის ხასიათიც. თხრობა ეპიური სიმშვიდით, უბრალოდ, ტავტოლოგიებით მიედინება.

პოემა საინტერესოა თავისი იდეური შინაარსითაც. კალაშნიკოვი „ერისამე წოდების" წარმომადგენელია. იგი გამოყვანილია როგორც ძლიერი და ამაყი პიროვნება, რომელიც თავგანწირვით იცავს ცოლის სახელსა და საკუთარ ღირსებას.

„მესამე წოდების" წარმომადგენელი ვაჭარი მეფის თვალწინ მოკლავს მის საყვარელ ოპრიჩნიკს — გულად კირიბეევიჩს. ამით, როგორც ეს ა. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, ვაჭარმა სილა გააწნა თვით მეფე ივანე მრისხანეს.

რეალიზმის თვალსაზრისით უფრო ტიპიურია „ტამბოველი ხაზინადარის ცოლი" (1838). („Тамбовская казначейша"), თუ რომანტიკულ პოემებში მოქმედება წარმოებდა ეგზოტიკურ ფონზე, აქ ის გაშლილია უბრალო, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო გარემოში — რუსეთის პროვინციულ ქალაქ ტამბოვში. რეალურნი არიან აგრეთვე მოქმედი პირები, რომლებიც ხასიათდებიან არა გმირული ხასიათითა და საოცარი სულიერი ძალებით, როგორც ეს რომანტიკულ პოემებშია, არამედ სუსტი გრძნობებით, სუსტი ახრებითა და მისწრაფებებით. მათს ჩვეულებრივ ხასიათს შეეფერება აგრეთვე ამბავიც, რომელიც ავტორის მიერ მსუბუქი ირონიით არის გადმოცემული.

ტამბოვში მოულოდნელად დაბანაკდა ულანთა პოლკი, რომლის ერთ-ერთ ოფიცერს გარინს თვალში მოუვიდა ხანში შესული ხაზინადარის ბობროვსკის ახალგაზრდა ლამაზი ცოლი. ტრაგიკომიკურია შემთხვევა, რომელმაც ქარაფშუტა ულანს ხელში ჩაუგდო ხაზინადა-

რის ცოლი. ბობროვსკი გატაცებული იყო კარტის თამაშით. ხშირად იგი დაპატიჟებულ სტუმრებს დანიშნული კარტით ეთამაშებოდა და მისი ეშმაკობა რომ არ შეემჩნიათ, ქმრის დავალებით ხაზინადარს ცოლი მოთამაშეებს დაარიგებდა. ხაზინადარს კარგად მისდიოდა კარტის საქმეები სანამ არ შეხვდა გარინს, რომელმაც მოუგო ბობროვსკის ჯერ მთელი ქონება და ბოლოს ცოლი, რომელიც ამარტში შესულმა ხაზინადარმა კარტში სათამაშოდ გაიმეტა.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე პროვინციული ქალაქის სურათები, რომლებსაც პოეტი რეალისტური სტილით გვიხატავს. აქაც ლერმონტოვი ერიდება მუქ საღებავებს. ყველაფერი ნაჩვენებია მსუბუქი იუმორის გრძნობით.

დრამატურგია. მ. ლერმონტოვს დაწერილი აქვს ხუთი დრამატული ნაწარმოები: „ესპანელები“ (1830). „ადამიანები და ვნებანი“ (1830), „უცნაური კაცი“ („Странный человек“, 1831), „მასკარადი“ და „ორი ძმა“ (1836). აქედან იდეური და მხატვრული სრულყოფით გამოირჩევა „მასკარადი“, რომელიც მწერალმა 1835 წელს დაამთავრა, მაგრამ ცენზურამ მისი სცენაზე დადგმა აკრძალა. ამიტომ ლერმონტოვი ვერ მოესწრო თავისი პიესის სცენიურ განხორციელებას.

„მასკარადში“ ბევრი რეალისტური სურათია, მაგრამ მასში რომანტიკული ელემენტები სჭარბობს. პიესის მთავარი მოქმედი პირი არბენინი ამაყი, შეუპოვარი, სკეპტიციზმით შეპყრობილი ადამიანია. იგი გადამტერებულია თავის საკუთარ არისტოკრატიულ საზოგადოებაზე, სძულს ის. მართალია, ისიც ჩაფლულია მაღალი საზოგადოების ფუჭ ცხოვრებაში, ბანქოს მოთამაშეა, ეგოისტი, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით არბენინი ძლიერი პიროვნებაა, იგი ტრაგიკულად განიცდის თავისი ცხოვრების უაზრობას, უფერულობას. მისგან თავის დაღწევის მიზნით არბენინი ცოლად შეირთავს მეტად ნაზ და სათნო ქალს — ნინას, მაგრამ ვერც ოჯახმა გააბედნიერა ცხოვრების წინააღმდეგ ამხეჯრებული არბენინი. მას მტერმა ჩააგონა თითქოს ნინა ღალატობს მას და. ოტელოს მსგავსად ეჭვით შეპყრობილი, უდანაშაულო ნინას მოწამლავს და მოჰკლავს: მალე შეიტყობს, რომ ცოლს მისთვის არ უღალატნია და შეძრწუნებული ჭკუიდან იშლება.

ისევე, როგორც „დემონში“ აქაც ბოროტს უპირისპირდება კეთილი, გაავებულ არბენინს უპირისპირდება სიკეთითა და სათნოებით სავსე ნინა.

მ. ლერმონტოვს რეალისტურად აქვს დახატული კარტის მოთამაშეთა გარყვნილი წრე. ამ წრის ბინძურ სახეს ჰფარავს ნილაბი, რომლის ახდაც მოისურვა პიესის მთავარმა გმირმა არბენინმა და დაილუპა.

პროზა. ლერმონტოვის პროზა შედგება ორი დაუმთავრებელი და

ერთი დამთავრებული ნაწარმოებისაგან. პირველი მოთხრობა „ვადიმი“ (1832) ისტორიული ხასიათისაა. მასში აღწერილია პუგაჩოვის აჯანყების დრო. ფრიად საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა ლერმონტოვმა სრულიად დამოუკიდებლად მოჰკიდა ხელი პუგაჩოვის აჯანყების თემას სწორედ იმ წლებში, როდესაც მასზე ა. პუშკინი მუშაობდა.

ნაწარმოების მთავარი გმირი ვადიმი რომანტიკული ხასიათისაა, იგი მეამბოხეა, ამაყი და შურისმაძიებელი, მაგრამ მახინჯი. ფიზიკური ნაკლმა (კუზიანია) იგი კიდევ უფრო მეტად გააავა, გააბოროტა. გლეხთა აჯანყებას იგი იყენებს თავისი მიზნებისათვის. პუგაჩოველებს იმისათვის მიემხრობა, რომ შური იძიოს მემამულე პალიცინზე, რომელსაც მისი მამისათვის დიდი უბედურება მოუტანია.

მ. ლერმონტოვი თანაუგრძნობს პუგაჩოვს, ჰკიცხავს თავადაზნაურობას, მაგრამ ეჭვის თვალით უყურებს გლეხთა აჯანყების დადებით შედეგს.

1835 წელს ლერმონტოვმა დაწყო რომანის „თავადის ქალი ლიგოვსკაია“-ს („Княгиня Лиговская“) წერა, მაგრამ ვერც ეს დაამთავრა. აქ პირველად ეხედავთ პეჩორინს, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო „ჩვენი დროის გმირის“ დასრულებულ სახესთან, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ჩამოყალიბებული. „თავადის ასული ლიგოვსკაია“ პეტერბურგის არისტოკრატულ საზოგადოებას შეეხება. ნაწარმოების გმირი პეჩორინი მაღალ არისტოკრატულ წოდებას ეკუთვნის. იგი უკვე გრძნობს ამ საზოგადოების ნაკლს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მისული კონფლიქტამდე, მის მოურიდებელ კრიტიკამდე.

საყურადღებოა, ლარიბი მოხელის კრასინსკის სახე, რომელიც „პატარა ადამიანთა“ გალერეას მიეკუთვნება, მაგრამ იგი თავისი გაბედულებით, საკუთარი ღირსების დაცვის უნარით განსხვავდება პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკისა და სხვა მწერლების „პატარა ადამიანთა“ ტიპებისაგან.

„ჩვენი დროის გმირი“ („Герой нашего времени“) რომანი დაწერილია ძირითადად 1838—1839 წლებში. მწერალს მიზნად ჰქონდა დასახული თავის დროის ახალგაზრდის დახატვა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ იმ სახით, როგორსაც იგი ცხოვრებაში ხშირად ხვდებოდა და როგორც მას იგი აღიქვამდა. „ჩვენი დროის გმირი, მოწყალენო ხელმწიფენო, — წერს თვით ლერმონტოვი, — მართლაც, რომ პორტრეტია, მაგრამ გრთი კაცისა კი არა: ეს არის პორტრეტი მთელი ჩვენი თაობის ნაკლთაგან შეთხზული, მათი სრული, განვითარებული სახით“.

„ჩვენი დროის გმირი“ ხუთი ნაწილისაგან შედგება: „ბელა“, „მაჭისმა მაჭისმიჩი“, „ტამანი“, „თავადის ასული მერი“ და „ფატალისტი“.

რომანის თითოეულ ნაწილს აქვს თავისი საკუთარი სიუჟეტი და ცალკე დამოუკიდებელ ნაწარმოებს წააგავს, მაგრამ სინამდვილეში ერთი მთლიანი მხატვრული ტილოა, რომელსაც მტკიცე შინაგანი ლოგიკური კანონზომიერება გააჩნია. ეს კანონზომიერება ექვემდებარება ავტორის მიზანს — გვიჩვენოს რომანის მთავარი გმირის გრიგორ ალექსანდრეს ძე პეჩორინის ხასიათი, მისი ცხოვრება, შინაგანი სულიერი სამყარო, მისწრაფება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ რომანის ხუთივე ნაწილს აერთიანებს პეჩორინი. მისი ტიპის სრულყოფილი დახატვის მიზანს ემსახურება ყველაფერი, რაც კი მოცემულია ნაწარმოებში. გეოგრაფიული გარემო, მხატვრული სახეები და სხვ., მკითხველს ეხმარება რაც შეიძლება ღრმად და სრულად გაიგოს პეჩორინის ტიპი, გაიგოს იგი, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაყოფი, თავისი დროის გმირი.

„ჩვენი დროის გმირის“ პირველ ნაწილში „ბელა“ პეჩორინის ტიპს მწერალი არკვევს მთიელებთან დაპირისპირების საშუალებით. ბელა, კაზბიჩი, აზამატი — ბუნების შვილებია, ცივილიზაცია მათ ჯერ არ შეხებია, ამიტომ ისინი უშუალო, სტიქიური ხასიათისანი არიან, მოქმედებენ, ისე როგორც მათ ინსტინქტი, საკუთარი ბუნება კარნახობთ. მათთვის უცხოა თვითანალიზი, რაციონალისტური განსჯა, სულიერი გაორება, წინააღმდეგობებით აღსავსე ფიქრი და განცდა. ამიტომ ეს ადამიანები ძლიერი ნებისყოფის მქონენი არიან. მათი გადაწყვეტილება მტკიცეა და ურყევი, მოქმედება უანგარო, გულწრფელი. მთიელები ძლიერები არიან როგორც სიყვარულში, ასევე სიძულვილში — თუ შეუყვარდათ ვინმე, უყვართ მთელი არსებით, თუ სძულთ, ასევე სძულთ მთელი არსებით.

რომანის კონცეფციის მიხედვით, ადამიანი სწორედ ასეთი იბადება, მაგრამ შემდეგ მას ცვლის სოციალური გარემო, საზოგადოება. „ჩემი სული გარყვნა საზოგადოებამ, — ამბობს პეჩორინი. — ოცნება ჩემი დაუდგრომელია, გული უძღებია, ჩემთვის არაფერი კმარა. დარდსაც ისე უცებ ვეჩვევი, როგორც ტკბობას და სიცოცხლე ჩემი დღითი დღე ფუჭსავატი ხდება“.

პეჩორინი გაორებული პიროვნებაა. ერთი მოქმედებს, მეორე მსჯელობს პირველის მოქმედებაზე და აფასებს მას, ამიტომ იგი მერყევია თავის მოქმედებაში, სიყვარულში, საზოგადოდ გრძნობებში. მის მერყეობას, გაორებას ხშირად საბედისწერო შედეგები მოაქვს. პეჩორინი ფუჭსავატობაში აგდებს არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც, რომლებსაც იგი თავისი ცხოვრებით დაუკავშირდა. პეჩო-

რინდა ბელასადმი სიყვარულით ააწიოკა და უბედურება დაატეხა თავს ბუნების შვილებს. ისინი გათიშა და გადაამტერა ერთიმეორეს, გააუბედურა ბელა, კაზბიჩი, აზამათი, ტანჯვა და სიკვდილი მოუტანა მათ.

პეჩორინი ცივი აპათიითა და ღრმა ფილოსოფიური სკეპტიციზმით არის შეპყრობილი, მაგრამ მასში ხშირად იღვიძებს დაუცხრომელი მძაღვარება და შურისძიების გრძნობა უსამართლობის წინააღმდეგ. პეჩორინი ონეგინისაგან განსხვავებით უფრო აქტიურია, ენერგიული. იგი ნიჭიერია, ძლიერი ბუნების მქონე. მოწოდებულია საკაცობრიო კეთილი საქმეებისათვის, მაგრამ არავითარ სასარგებლოს არ აკეთებს და მთელ თავის ძალღონეს, ნიჭს წვრილმან ინტრიგებზე ხარჯავს. იგი თავისი კრიტიკული ალღოთი ცხოვრებისადმი და „მე"-ს დამოუკიდებლობით სხვებზე მაღლა დგას, მაგრამ უნარი არ შესწევს გაწყვიტოს კავშირი საზოგადოებასთან, რომელიც მას არ მოსწონს. პეჩორინის, როგორც პიროვნების, ღირსება-ნაკლოვანებები განპირობებული იყო 30-იანი წლების რუსეთის ცხოვრებით. ცხადია, ნიჭიერ პეჩორინს არ შეეძლო შესაფერი ადგილის პოვნა მაშინდელი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწრო და ბუნდოვან ასპარეზზე.

პეჩორინი წარსულს ეჭვის თვალით უყურებს, აწმყო აშკარად სძულს, და არც მომავლის იმედი გააჩნია. ამაში მდგომარეობს მისი ტრაგედია. პეჩორინს არ გააჩნია დადებითი იდეალი და არც ეძებს მას. მას, როგორც ჩანს, ოდესღაც ძლიერი სულიერი ძალები ჰქონია, მაგრამ ცხოვრებამ ჩაჰკლა ისინი, ამიტომ პეჩორინს დადებითი იდეალი კიდევაც რომ გააჩნდეს, საეჭვოა, შესძლებდა თუ არა მისი განხორციელებისათვის ბრძოლას.

მ. ლერმონტოვი, როგორც წესი, სხვა მხატვრულ სახეებთან დაპირისპირების საშუალებით ნათელს ხდის იმ მანკიერ თვისებებს, რომლებიც პეჩორინმა არისტოკრატული საზოგადოებისაგან შეიძინა. გამონაკლისს შეადგენს გრუშნიცკის სახე, რომელთანაც დაპირისპირებით ლერმონტოვი გვიჩვენებს პეჩორინის ღირსებებს.

გრუშნიცკი მთელი თავისი უბადრუკი არსებით მიისწრაფვის იმისაკენ, რომ საპატიო ადგილი დაიკავოს არისტოკრატულ საზოგადოებაში, იმ წრეში, რომელიც სძულს პეჩორინს. იგი გარეგნულად რაინდად გვიჩვენებს თავს, მაგრამ სინამდვილეში წვრილმანი ინტრიგანია, მხდალი და ჰორიკანა.

ასეთივეა მთლიანად რუსეთის მაღალი ფეოდალური არისტოკრატია, რომლის წარმომადგენლებსაც თავი მოუყრიათ პიატიგორსკში. ეს საზოგადოება ლერმონტოვს შუქი საღებავებით აქვს დახატული და მას იგი „წყალწყალა საზოგადოებას" უწოდებს.

საყურადღებოა რომანის სხვა მხატვრული სახეებიც. ექიმი ვერნერი პეჩორინის ერთადერთი მახლობელი მამაკაცია პიატიგორსკის „წყალწყალა საზოგადოებაში“. იგი ცივი სკეპტიკოს-მატერიალისტია, მის აზრებს პეჩორინი ძირითადად იზიარებს. ვერნერს ისევე როგორც პეჩორინს ეზიზღება არისტოკრატული საზოგადოება. იგი ცივი და გამჭრიახი გონების კაცია, მაგრამ ამავე დროს შინაგანად გულკეთილი, ჰუმანური.

ქალთა სახეებს შორის, ბელას გარდა, თავისი მოჰხიბლავი სილამაზით, გონიერებით და მაღალი სულიერი ღირსებებით გამოირჩევა თავადის ასული მერი. ისევე როგორც ბელა, მერიც მსხვერპლია საზოგადოებაზე გაავებული და გაბოროტებული კაცისა, რომელიც შურისძიების დროს ალარ არჩევს დამნაშავეს და უდანაშაულოს.

პეჩორინმა თავი შეაყვარა მერის, მაგრამ შემდეგ, როდესაც დარწმუნდა უმანკო ქალის თავდავიწყებულ სიყვარულში, თავი იჩინა ანალიტიკური გონების მკაცრმა მსჯავრმა, გაორებამ. მან იფიქრა, რომ მერის სიყვარული შეუღლებით დამთავრდებოდა და ეს უკანასკნელი კი სამუდამოდ დააკარგვინებდა თავისუფლებას. გადამწყვეტ მომენტში პეჩორინმა მერის განუცხადა არ მიყვარხარო.

ერთადერთი ქალი, რომელიც პეჩორინს უყვარს არის ვერა, მაგრამ ეს სახე შედარებით სქემატურია და სიყვარულიც დამაჯერებლობას მოკლებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მაქსიმ მაქსიმიჩის ბრწყინვალე მხატვრული სახე. ესეც პეჩორინის თავისებური ანტიპოდია — კონტრასტული ტიპი და უაღრესად კეთილი პიროვნება, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება კავკასიაში სამხედრო სამსახურში გაუტარებია. მას არ გააჩნია საკუთარი ოჯახი და არც იცის, რა არის ოჯახური ბედნიერება, მაგრამ სულითა და გულით ზრუნავს სხვისი ბედნიერებისათვის.

მაქსიმ მაქსიმიჩი ხალხის წიაღიდან გამოსული „პატარა ადამიანია“. მართალია, მან კაპიტნის ჩინს მიაღწია, მაგრამ მაინც სამხედრო იერარქიის დაბალ საფეხურზე დგას. იგი ღარიბია, არ გააჩნია განსაკუთრებული ინტერესები, ცხოვრების მიმართ რაიმე პრეტენზია, ამიტომ მაქსიმ მაქსიმიჩისათვის უცხოა ცხოვრებასთან რაიმე კონფლიქტი, დრამატული შეჯახება.

რომანის უკანასკნელი ნაწილი „ფატალისტი“ წარმოადგენს ნაწარმოების ფილოსოფიურ დასკვნას. მასში ავტორი ბედისწერით ხსნის ადამიანის ცხოვრების ყველა მოვლენას.

„ჩვენი დროის გმირი“ ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედების მწვერვალია, ერთ-ერთი დიდი მოვლენა XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ ლიტერატურაში. ის გამოირჩევა ბრწყინვალე ენით,

ბუნების საუკეთესო სურათებით, სულიერი ცხოვრების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით.

„ჩვენი დროის გმირში" შერწყმულია რომანტიკული და რეალისტური ელემენტები. ეს არის ბრწყინვალე ნაწარმოები, რომელმაც დასაბამი მისცა რუსულ ლიტერატურაში სოციალურ-ფსიქოლოგიურ რომანს.

ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში. ლერმონტოვის შემოქმედების მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი ქართველი მწერლები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. „კავკასია, პეშკინიაგან ყურადღებამიქცეული, — ვკითხულობთ ი. ჭავჭავაძის ივერიაში, — შეიქმნა საყვარელ საგნად მისი ღირსეული მოადგილისი მიხეილ ლერმონტოვისა, რომელმაც, საზოგადოდ, კავკასია და კერძოდ, საქართველო მრავალძხრივ აღბეჭდა თავისი მძლავრი პოეზიით, სავსე ლექსით"[1].

მ. ლერმონტოვის მხატვრულ შემოქმედებას კარგად იცნობდა აგრეთვე დიდი ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი, რომელიც რუს პოეტს ენათესაებოდა თავისი ზოგიერთი სოციალური და ფილოსოფიური პრტივით. შემთხვევითი არ არის, რომ ნ. ბარათაშვილი პირად წერილებში იხსენიებდა ლერმონტოვის ლექსებს.

მ. ლერმონტოვის მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50—60-იან წლებში დაიწყო საქართველოში. აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე თავიანთი ლიტერატურული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე გატაცებით თარგმნიდნენ ლერმონტოვის ლექსებს. პეტერბურგში სტუდენტობის დროს ი. ჭავჭავაძეს ქართულად უთარგმნია „დემონისა" და „მწირის" ნაწყვეტები. პოემა „დემონის" თავისუფალი თარგმანი „ქაჯის" სათაურით მოგვცა აგრეთვე ვაჟა-ფშაველამ.

90-იან წლებში პოეტმა გ. აბაშიძემ თარგმნა პოემა „მწირი", რომელსაც მალე მოჰყვა ლერმონტოვის ლირიკული ლექსების თარგმანებიც. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში უყურადღებოდ არ დარჩენილა არც ლერმონტოვის პროზა. მ. ყიფიანს ქართულად უთარგმნია „ჩვენი დროის გმირი" და დაუბეჭდავს ი. ჭავჭავაძის „მთამბეში".

აღსანიშნავია, რომ ქართული თეატრის სცენაზე პოპულარობით სარგებლობდა ლერმონტოვის პიესა „მასკარადი", რომელიც გ. წინამძღვრიშვილმა ქართულად თარგმნა 1864 წელს და ჟურნალ „ცისკარში" დაბეჭდა.

---

[1] „ივერია", 1899, № 109.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მწერლობაში ლერმონტოვის შემოქმედება დიდად იყო დაფასებული, XIX საუკუნის ქართველ მკითხველს არ ჰქონია თავის მშობლიურ ენაზე რუსი პოეტის ყველა მსატვრული ნაწარმოები. ამის სრული განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს დროში. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა თითქმის მთლიანად თარგმნეს ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება და დიდი რუსი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა საუსებით ხელმისაწვდომი გახადეს ქართველ მკითხველთა ფართო მასებისათვის.

ქართულ მეცნიერებაში ღირშესანიშნავი ადგილი დაიკავა ლერმონტოვის ლიტერატურული შემკვიდრეობის შესწავლამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი რუსი პოეტის საქართველოსთან ურთიერთობის საკითხების შესწავლა. ამ პრობლემას ქართულ და რუსულ ენაზე მიეძღვნა მრავალი საინტერესო გამოკვლევა.

ნ. ვ. გოგოლი

XIX საუკუნის 40—50-იანი წლების რუსული მხატვრული აზროვნების უდიდესი ალმავლობა გენიალური გოგოლის სახელთან არის დაკავშირებული. მას სამართლიანად თვლიან იმ კრიტიკულ-რეალისტური მიმართულების დამწყებად, რომელიც გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან რუსული კლასიკური ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზად გადაიქცა.

ბავშვობა და სიჭაბუკე. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა. ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი (1809—1852) დაიბადა უკრაინის ერთ-ერთ მივარდნილ სოფელ დიდ სოროჩინცში (მირგოროდის მაზრა, პოლტავის გუბერნია). მამამისი, ვასილი ათანასეს ძე გოგოლ-იანოვსკი, წვრილი მემამულე იყო. მას საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, გატაცებით უყვარდა პოეზია და თეატრი, უკრაინულ ენაზე წერდა კომედიებს და ამ კომედიების სცენაზე დადგმისას თვითონ ასრულებდა მთავარ როლებს. გოგოლის დედა მარია ივანეს ასული კოსიაროვსკაია შესანიშნავად იცნობდა უკრაინულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას და თავის ვაჟიშვილს, მომავალ მწერალს, ბავშვობიდანვე უნერგავდა დიდ სიყვარულს უკრაინული ხალხური შემოქმედებისადმი.

ნ. გოგოლმა ბავშვობა მიყრუებულ მშობლიურ სოფელ ვასილიევკაში გაატარა. მიუხედავად ამისა, გარემო მას ხელს უწყობდა ადრე

გაუკვირდა ინტერესი ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი. უკრაინის ბუნების თვალწარმტაცი სურათები, მოხეტიალე კობზარების სიმღერები, მოხუცების ნაამბობი ზაპოროჟიელ კაზაკთა გმირობის შესახებ, დედის ზღაპრები და საუბრები ღრმად ალიბეჭდა ნიჭიერი ბავშვის ცნობიერებაში.

1818 წელს გოგოლი მშობლებმა პოლტავის გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს ახლად გახსნილ ნეჟინის ლიცეუმში. სწორედ აქ სწავლის პერიოდში მომწიფდა გოგოლი, როგორც მომავალი, მწერალი და მოაზროვნე. ლიცეუმში გოგოლი ხარბად დაეწაფა მხატვრულ ლიტერატურას და თვითონაც დაიწყო წერა.

ნ. გოგოლის კომიკური ნიჭი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა სცენაზე. მომავალი დრამატურგი ნეჟინში ცხოვრების დროს უყვარდა მეტად თეატრალური ხელოვნებით იყო გატაცებული. იგი ხშირად მონაწილეობდა სპექტაკლებში, რომლებიც ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით იდგმებოდა გიმნაზიის თეატრის სცენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ლიცეუმში სწავლის დროს გოგოლს ლიტერატურაში დიდი წარმატებები ჰქონდა, იგი მაინც სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე ოცნებობდა.

1828 წლის ზაფხულში გოგოლმა ლიცეუმი დაამთავრა და იმავე წლის დეკემბერში თავისი ოცნების განსახორციელებლად პეტერბურგს გაემგზავრა.

პეტერბურგზე ახალგაზრდა გოგოლი დიდ იმედებს ამყარებდა. იგი ფიქრობდა, რომ სატახტო ქალაქში იპოვიდა მოღვაწეობის ფართო ასპარეზს, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. დედაქალაქმა რომანტიული ოცნებით გატაცებული ახალგაზრდა ცივად მიიღო.

პეტერბურგის ბიუროკრატიული ცხოვრების გაცნობის შემდეგ გოგოლი ხელს იღებს სახელმწიფო სამსახურის განზრახვაზე და კვლავ ლიტერატურულ ასპარეზზე ცდის ბედს.

1829 წლის მარტში მან ერთ-ერთ ჟურნალში მოათავსა ლექსი „იტალია", ხოლო სამი თვის შემდეგ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა პოემა „ჰანც კიუხელჰარტენი".

კრიტიკამ უცნობი მწერლის „ჰანც კიუხელჰარტენი" დაიწუნა. ჟურნალებმა გოგოლზე დამამცირებელი რეცენზიები დაბეჭდეს. შეურაცხყოფილმა ავტორმა თავისი წიგნის ყველა ეგზემპლარი უკან დაიბრუნა და დაწვა.

1829 წელს გოგოლი საზღვარგარეთ გაემგზავრა, მაგრამ იქიდან მალე დაბრუნდა და სამსახური დაიწყო. სულიერი ძალებიც მალე მოიკრიბა და უკრაინული მოთხრობების წერას შეუდგა. მწერალი ამ მოთხრობებზე დიდი გატაცებით მუშაობდა, რადგან მასალა მისთვის ნაცნობი, მახლობელი და საყვარელი იყო.

1831 წელს ჟურნალში „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ დაიბეჭდა გოგოლის პირველი უკრაინული მოთხრობა: „ბასავრუკი, ანუ ივანობის უქმისძალი“ „Басаврюк или вечер накануне Ивана Купала“ ამ ნაწარმოებმა მკითხველზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და დამწყებ მწერალს სახელი მოუხვეჭა.

იმავე წელს გოგოლი პუშკინს დაუახლოვდა, რასაც მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი რუსი პოეტი გახდა ახალგაზრდა პროზაიკოსის ლიტერატურული ხელმძღვანელი. პუშკინმა ალღო აუღო მის ნიჭს, პუშკინმა მისცა გეზი მის შემოქმედებას, მასთან დაახლოების შემდეგ გაიშალა და გაიფურჩქნა გოგოლის მხატვრული ნიჭი.

1831 წლის სექტემბერში გოგოლმა გამოსცა უკრაინული მოთხრობების პირველი კრებული: „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“ ნაწ. I. („Вечера на хуторе близ Диканьки“). პლეტნიოვის რჩევით მწერალი ისევ ფსევდონიმს ამოეფარა და წიგნი გამოვიდა ხელმოწერით: „მოთხრობები, მეფუტკრე რუდი პანკოს გამოცემული“.

გოგოლის მოთხრობებმა პუშკინი აღტაცებაში მოიყვანა. ყველა დარწმუნდა, რომ ახალგაზრდა გოგოლის სახით რუსულ ლიტერატურას შეემატა უნიჭიერესი მწერალი.

„საღამოებში“ სინთეზირებულია ორი სტილი: ზღაპრულ-რომანტიკული და საყოფაცხოვრებო-რეალისტური. როგორც ერთი ისე მეორე მომდინარეობს არა რომელიმე ლიტერატურული სკოლიდან, არამედ იმავე უკრაინული ხალხური ზეპირსიტყვაობიდან. მოთხრობებში უხვად გაბნეული ფანტასტიკური ამბების წყაროს წარმოადგენს არა რელიგიური მისტიციზმი, არამედ ზღაპრებსა და ლეგენდებში განსახიერებული მდიდარი ხალხური ფანტაზია.

ფანტასტიკურ ნაწილში გოგოლი აღწერს ადამიანის ბრძოლას ეშმაკებთან, კუდიანებთან, ჭაჯებთან, მაგრამ ამ ავ სულებთან ბრძოლას მწერალი ხშირად კომიკურ ფერებში გადმოგვცემს. ეშმაკი დახატულია ხალხური ფანტაზიის მიხედვით. ის თითქმის ყოველთვის დაკნინებულია და სასაცილო მდგომარეობაშია. ხშირად ის სხვადასხვა მანკიერი თვისებით ხასიათდება — ლოთია და გარყვნილი, ცბიერი და აბეზარი, ამავე დროს მშიშარაც. ძლიერი ადამიანები მის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის იმარჯვებენ.

მოთხრობაში „შობის წინა ღამე“ („Ночь перед рождеством“) გულადი კაზაკი ეშმაკს ადვილად დაიმორჩილებს. მჭედელი ვაკულა ეშმაკს აჯობებს როგორც გამბედაობით, ისე ჭკუით. იგი შეშინებულ ეშმაკს კისერზე შეაჯდება და აიძულებს გაფრინდეს ქ. პეტერბურგს

დედოფალთან, რათა ძვირფასი ფეხსაცმელი თხოვოს თავისი სატრფო ოქსანასთვის.

ფანტასტიკური ამბების გარდა კრებულ „საღამოებში“ ვხვდებით საყოფაცხოვრებო და რეალისტურ სურათებსაც, რომლებიც მწერალს უკრაინული სინამდვილიდან აქვს აღებული. მოთხრობა „სოროჩინის ბაზრობის“ პერსონაჟი ხივრია, მისი სულელი ქმარი სოლოფი ჩერევიკი, ხივრიას საყვარელი — მსუნაგი და მშიშარა მღვდლის შვილი, დაბოლოს მაზრის მთელი სურათი რეალისტურადაა დახატული.

კაზაკების მიმზიდველ პოეტურ სამყაროში განსაკუთრებით დიდი უპატივნება შეაქვს ფულს. სწორედ ფული ამახინჯებს კაზაკების მაღალ სულს, ჯანსაღ გრძნობა-გონებას. „საღამოებში“ ფული უმეტეს შემთხვევაში პერსონიფიცირებულია ავი სულების სახით. დიდძალი ქონების მფლობელნი ეშმაკები არიან.

გოგოლის „საღამოებში“ ვხვდებით, როგორც ცოცხალი იუმორით გაჯერებულ კომიკურ სიტუაციებს, ისე ტრაგიკულ ამბებსაც, რომლებიც ნაღვლიან აკორდებად ისმის ნაწარმოებში. ასეთია მაგალითად „მაისის ღამე, ანუ დამხრჩვალი ქალწული“ („Майская ночь или утопленница“).

ეს მოთხრობა საინტერესოა სოციალური თვალსაზრისითაც. მასში ჩანასახის სახით გვხვდება გოგოლის სოციალური სატირა, რომელიც მწერლის შემოქმედების შემდგომ რეალისტურ განვითარებაში მთავარ მამოძრავებელ ძალად გადაიქცევა.

ბურჟუაზიული მკვლევარები „საღამოებში“ უკრაინული ცხოვრების პოეტიზაციის მეტს ვერაფერს ხედავენ. ნამდვილად კი ამ ნაწარმოებში ვხედავთ არა მარტო პოეტურ სურათებსა და სახეებს, არამედ სოციალური სატირის ელემენტებსაც. როდესაც მწერალი ეხება ცხოვრების მახინჯ მხარეებს, მაშინ მისი წყნარი და მშვიდი ირონია მწარე დაცინვად გარდაიქმნება. მაგ. „მაისის ღამეში“ ძლიერი პოეტური გრძნობით არის აღწერილი ლეკოსა და განას სიყვარული, უკრაინის ღამაზი ბუნება, ხოლო სოფლის მუქთახორა, მედიდური და გარყვნილი მამასახლისი ისეა დახატული, რომ ის მხოლოდ სიზოსა და აღშფოთებას იწვევს.

ნ. გოგოლის სოციალურ სატირას ძირითადად ორი მიმართულება ჰქონდა. მწერალმა განსაცვიფრებელი მხატვრული სიძლიერით ამხილა როგორც ნიკოლოზ I-ის ბიუროკრატიული აპარატი, ისე მემამულეების გადაგვარება. საინტერესოა, რომ ორივე ამ მიმართულების საწყისები ჩანს უკვე „საღამოებში“. თუ „მაისის ღამეში“ მწერალი დასცინის სოფლის მამასახლისს და ამით საამკარაოზე გამოაქვს რეფორმამდელი რუსეთის პროვინციული მოხელის სისაძაგლე, მოთხ-

რობაში „ივან ფედოროვიჩ შპონკა და მისი დეიდა“ იგი ნიღაბს ხდის თავადაზნაურული კლასის ინერტულობასა და პარაზიტიზმს.

„საღამოებს“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გოგოლის შემოქმედებითი ზრდისათვის. რეალისტური და მამხილებელი ტენდენციების გაძლიერებამ მწერალი კრიტიკულ რეალიზმთან მიიყვანა.

„მირგოროდი“ (1835 წ.) გოგოლმა ორ ნაწილად დაბეჭდა. პირველ ნაწილში მან მოათავსა მოთხრობები: „ძველი დროის მემამულენი“ და „ტარას ბულბა“, ხოლო მეორეში — „ვიი“ და „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“.

მწერალმა „მირგოროდშიც“ უკრაინული სინამდვილე ასახა, მაგრამ „საღამოებთან“ შედარებით მან აქ გააძლიერა რეალისტურ-მამხილებელი მხარე. „მირგოროდში“ ავტორი გვევლინება უკვე არა როგორც უწყინარი გულუბრყვილო მეფუტკრე რუდი პანკო, რომელიც მხიარულად მოგვითხრობს უკრაინულ ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებს, არამედ როგორც მწერალი — სატირიკოსი, საგანგებით ჩამოყალიბებული რეალისტი — მამხილებელი. ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი გოგოლის შემოქმედებაში.

„მირგოროდი“ იწყება მოთხრობით „ძველი დროის მემამულენი“ („Старосветские помещики“). მასში დიდი ოსტატობით არის დახატული ხანში შესული ცოლ-ქმრის, აფანასი ივანოვიჩისა და პულხერია ივანოვნას, ამ ორი გულუბრყვილო მემამულის ფუჭი და უშინაარსო ცხოვრება.

ამ „გმირებს“ არ გააჩნიათ არავითარი საზოგადოებრივი, ეროვნული, გონებრივი ინტერესი. ისინი ეწევიან უფერულ, მცონარე, კარჩაკეტილ ცხოვრებას. არც ერთი მათი სურვილი, გოგოლის სიტყვით, არ სცილდება მათ საკუთარ ჭიშკარს, მათ საკუთარ „ქლიავითა და ვაშლით სავსე ბაღის ღობეს“. მთელ დღეს ისინი ჭამა-სმასა და ერთიმეორესთან უშინაარსო მასლაათში ატარებენ.

ძველი დროის მემამულენი ცრუმორწმუნენიც არიან. პულხერიამ საყვარელი კატის ტყეში გაქცევასა და გაველურებაში თავისი სიკვდილის მოახლოების ნიშანი დაინახა. იგი დარდმა შეიპყრო, ჭამის მადა დაკარგა, თავისი თავი დააჯერა, რომ მოკვდებოდა და ამ განცდით შეპყრობილი მართლაც მალე გარდაიცვალა.

ცოლის სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვეღარც აფანასიმ იცოცხლა. ისიც გარდაიცვალა. მათ სახლ-კარს ვიღაც შორეული ნათესავი დაეპატრონა. ახალი პატრონი დანგრეული მეურნეობის „გამოსწორებას“ შეუდგა, მაგრამ სინამდვილეში „ისე კარგად მოაწესრიგა ყველაფერი, რომ ექვსი თვის შემდეგ მამული მეურვეების ხელში გადავიდა“.

ასე დამთავრდა ძველი ყაიდის მემამულეების არსებობა.

ბ. ბელინსკის აზრით, აფანასი და პულხერია წარმოადგენენ პაროდიებს ნამდვილ ადამიანებზე. ისინი „რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სვამენ და ჭამენ, ჭამენ და სვამენ, მერე კი, როგორც ეს ძველთაგან მომდინარეობს, კვდებიან“.

ძველი დროის მემამულეთა ცხოვრებამ გოგოლს ნაღვლიანი ფიქრი აღუძრა. ამ ფიქრითაა გამსჭვალული მთელი მოთხრობა. ავტორის სიცილი ნაღვლიანია და ცრემლნარევი. პუშკინი სამართლიანად ამბობდა, რომ გოგოლის ეს მოთხრობა მგრძნობიარე იდილიაა, რომელიც თუმცა სიცილს გვგვრის, მაგრამ ეს სიცილი ცრემლნარევიაო.

ნ. გოგოლმა კიდევ უფრო მეტად შეაშფოთა მაშინდელი საზოგადოება რეალისტური ნაწარმოებით: „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“ („Повесть о том, как поссорился Иван Иванович с Иваном Никифоровичем“).

ივან ივანოვიჩი და ივან ნიკიფოროვიჩი „ძველი დროის მემამულეების“ გმირებზე უფრო უარესნი არიან. ამ ნაწარმოებში თავადაზნაურული კლასის სრული გადაგვარების სურათი უფრო მკვეთრია. აქ უფრო მუქი საღებავებითაა დახატული მემამულეების სისაძაგლე, უხამსობა და ანგარება. ივან ივანოვიჩი და ივან ნიკიფოროვიჩი პარაზიტები არიან; მათ არ შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ ისეთ საქმეს, რომელიც მათ სულიერად აამაღლებდა, გააკეთილშობილებდა. ამიტომ გამოუძებნა მწერალმა ამ ორ მემამულეს ისეთი „საზრუნავი“, რომელიც მათს ცარიელსა და მოდუნებულ ცხოვრებას შეავსებს და ააფორიაქებს, მაგრამ ამავე დროს კიდევ უფრო მეტად გააშიშვლებს და ცხადყოფს მემამულეთა პარაზიტიზმს, ზნეობრივსა და გონებრივ დაკნინებას.

ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩის ჟანგიანი თოფი მოეწონა. მან თავის მეგობარს სთხოვა დაეთმო ეს თოფი, თანაც სამაგიეროდ შეაჯერა ჯუხი ღორი და ორი ტომარა შვრია, მაგრამ ივან ნიკიფოროვიჩმა მტკიცედ უარი უთხრა, თანაც ლაპარაკის დროს მან წინდაუხედავად თავის მეგობარს ბატი უწოდა. ბატის ხსენებაზე ივან ივანოვიჩი, როგორც პატიემოყვარე აზნაური, აენთო, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ამის შემდეგ ძველი მეგობრები ერთიმეორეს მტრად გადაეკიდნენ.

ივან ივანოვიჩი თხუთმეტი წელი დაიარებოდა სასამართლოებში და ამტკიცებდა, რომ ის ბატი კი არა — სახელოვანი აზნაურია.

ეს უდიდესი უაზრობა იქცა იმ ორი ადამიანის ცხოვრების „აზრად“. ურთიერთშორის კინკლაობამ ამოავსო მათი ცხოვრების სიცარიელე, წვრილმანი ინტრიგანობა გახდა მათი არსებობის შინაარსი. უფრო მეტიც, ამ კინკლაობამ ჩაითრია მირგოროდის „რჩეული“ ადამიანები. მოსამართლე დემიან დემიანოვიჩის, გოროდნიჩისა და

ქალაქის სხვა მოხელეებისა და აზნაურების მთავარ საზრუნავ საქმედ გადაიქცა ივან ივანოვიჩისა და ივან ნიკიფოროვიჩის შერიგება. ჩვენს თვალწინ იშლება პატრიარქალური, პარაზიტული ცხოვრების გულშემზარავი სურათი. მოთხრობის ყველა პერსონაჟი უარყოფითია. მწერალი ივან ივანოვიჩებისა და ივან ნიკიფოროვიჩების საზოგადოებაში პატიოსან ადამიანებს ვერ პოულობს.

ერთადერთი ნათელი ფიგურა, რომელიც მთელ ნაწარმოებს შუქს ჰფენს ადამიანისადმი სიყვარულის მაღალი ჰუმანური გრძნობით, ეს არის თვით ავტორის „მე".

„მოწყენილობაა ამ ქვეყნად, ბატონებო!" — ამბობს მწერალი. მართლაც მოსაწყენი და ამაზრზენი უნდა ყოფილიყო ივან ივანოვიჩებთან და ივან ნიკიფოროვიჩებთან ცხოვრება, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის პირველი ნახევარი სულელურ მეგობრობაში გაატარეს, ხოლო მეორე ნახევარი უგუნურ მტრობასა და კინკლაობაში.

„ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან" წარმოადგენს ნაბიჯს წინ გოგოლის შემოქმედებაში. მწერალმა ამ ნაწარმოებით კიდევ უფრო გააღრმავა რუსული კრიტიკული რეალიზმი. მან გამოიჩინა სოციალურ მოვლენათა მხატვრულად განზოგადების დიდი უნარი, ცოცხალი და დამაჯერებელი ტიპების შექმნის ბრწყინვალე ნიჭი.

რეალისტური მოთხრობების გარდა, „მირგოროდში" მოთავსებულია გმირული ეპოპეა „ტარას ბულბა", რომელშიც გოგოლმა უკრაინელი ხალხის გმირი შვილების — ტარასის, ოსტაპისა და სხვათა პატრიოტიზმი და ზნეობრივი სიმშვენიერე დაუპირისპირა ვიწრო ეგოისტური ინტერესებით შეპყრობილ ივან ივანოვიჩებსა და ივან ნიკიფოროვიჩებს.

„ტარას ბულბა" გმირულ-ეპიკური ნაწარმოებია. მწერალმა მასში დიდი მხატვრული სიძლიერით აღწერა ის ბრძოლა, რომელსაც უკრაინელი ხალხი ზაპოროჟიელი კაზაკების მეთაურობით ეწეოდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XVI — XVII საუკუნეებში.

უკრაინის წარსული არ იცნობს ტარას ბულბას, როგორც ისტორიულ პიროვნებას და არც მის ვაჟებს, არც ის ამბავია ცნობილი, რომელიც გოგოლის ნაწარმოებშია აღწერილი. მიუხედავად ამისა, „ტარას ბულბაში" მოცემული ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ეპოქის კოლორიტი, ხასიათები და სხვ. ზედმიწევნით ისტორიულია და დამახასიათებელი XVI — XVII საუკუნეების უკრაინისათვის.

ზაპოროჟიეს სეჩი „ტარას ბულბაში" მონოლითურ ძალად გვევლინება. აქ გამეფებულია ერთმანეთისადმი ძლიერი სიყვარული, ხოლო მტრისადმი დაუნდობელი სიძულვილი. ამ სიყვარულს შეუკავშირებია კაზაკები ერთ მთლიან ორგანიზმად.

ყველა კაზაკმა კარგად იცის, რომ მათ ზაპოროჟიეში რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ერთნაირი ნაციონალური სულისკვეთება მოსდევთ, რომ მათ საერთო ტრადიცია გააჩნიათ და რომ ყველას სამშობლო რუსეთია.

„ტარას ბულბას“ მიხედვით სეჩი არ წარმოადგენს მებრძოლი კაზაკების უწესრიგო ბრბოს, პირიქით, სეჩს გააჩნია თავისი მტკიცე სოციალური სტრუქტურა, მას სათავეში კოშევოი უდგას. სეჩის ამ წინამძღოლსა და კაზაკებს შორის ურთიერთობა ემყარება ჰუმანურობასა და სამართლიანობას. კოშევოის უფლებები შეზღუდულია სეჩის საერთო კრების მიერ. წინამძღოლი ვალდებულია, კაზაკების ნება-სურვილს დაემორჩილოს არა მარტო მშვიდობიანობის პირობებში, არამედ ომის დროსაც. კოშევოი კაზაკების მსახურია და არა განუსაზღვრელი უფლებებით მოსილი დიქტატორი. კაზაკებს მისი შეცვლა შეუძლიათ ყოველთვის, როცა კი ისინი ამას მოისურვებენ.

ნ. გოგოლის სეჩი, ეს „უცნაური რესპუბლიკა“ რომელიც, მწერლის სიტყვით, „ნამდვილი იმ დროის მოთხოვნილება იყო“ დაპირისპირებულია თვითმპყრობელურ დესპოტურ სისტემასთან. ამაში გამოვლინდა გოგოლის დემოკრატიული ტენდენცია, მაგრამ აქვე საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ სეჩის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა მწერლისათვის არც იდეალური იყო და არც სანიმუშო. კაზაკების დემოკრატიზმი მხოლოდ შუა საუკუნეების დონეს შეეფერებოდა.

ნ. გოგოლის ისტორიული ეპოპეის მთავარი გმირია ტარას ბულბა. მწერალი მას გვიხატავს როგორც გულად ვაჟკაცს, უშიშარ რაინდს, მგზნებარე პატრიოტს, უაღრესად კეთილშობილ ადამიანს. როდესაც კიევის სასულიერო სასწავლებლიდან დაბრუნდნენ მისი ვაჟები, ტარასმა შეხვედრისთანავე თავისი უფროსი შვილი ოსტაპი კრივში გაიწვია და როცა დარწმუნდა მის ვაჟკაცობაში, მაშინღა გადაკოცნა ჭაბუკი. ტარასმა ერთი წლის უნახავი შვილები დედასთან მხოლოდ ერთ ღამეს გააჩერა, მეორე დღეს კი მათ ზაპოროჟიეს სეჩში უკრა თავი და თვითონაც თან გაჰყვა.

ტარას ბულბა თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტია. როდესაც მტრის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, იგი დაუყოვნებლივ ჩაება ომში თავისი შვილებითურთ. ტარასს უყვარდა შვილები, მაგრამ მათზე უფრო მეტად სამშობლო უყვარდა.

როდესაც უმცროსმა ვაჟმა, ანდრიამ სამშობლოს უღალატა პოლონელი ქალიშვილისადმი სიყვარულის გამო, ტარასმა იგი საკუთარი ხელით მოკლა.

„იდექ, არ გაინძრე! მე გშობე, მევე უნდა მოგკლა!“ — ასეთი სიტყვებით მიმართა მამამ უკანასკნელად თავის მოღალატე შვილს. ტა-

რასმა მოკლა შვილი, მაგრამ ის ცუდი მამა როდი იყო?! მშობლიური სიყვარული მან სამშობლოს ერთგულ უფროს ვაჟზე ოსტაპზე გადაიტანა.

ტარასის მგზნებარე პატრიოტიზმს, კეთილშობილურ და ვაჟკაცურ ხასიათს სხვა რაინდულ თვისებებთან ერთად მეგობრობის ძლიერი გრძნობაც ამშვენებს. როდესაც ტარასი მტრებმა ხელში ჩაიგდეს, ხეზე გააკრეს და ქვევიდან ცეცხლი წაუკიდეს, იგი იმ წუთს საკუთარ თავზე კი არ ფიქრობდა, არამედ საფრთხეში ჩავარდნილ მეგობრებზე. ცეცხლის ალში გახვეული ხიდან ამხანაგებს ხმას აწვდიდა, გზას ასწავლიდა. მას თვალები სიხარულით მხოლოდ მაშინ გაუბრწყინდა, როდესაც ამხანაგები სამშვიდობოზე გასული დაინახა.

მტრებმა ტარასს ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს იგი. „განა მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი ცეცხლი და სატანჯველი, ან ისეთი რამ, რომ რუსის ძლიერება დათრგუნოს?" — ამბობს ავტორი.

რუსი ერის დაუძლეველი სწრაფვა მომავლისაკენ „ტარას ბულბაში" მოცემულია სიმბოლურად. „მიცურავდნენ მარდად კაზაკები თავიანთი ორსაჭიანი ნავებით, მწყობრად უსვამდნენ ნიჩბებს, გვერდს უვლიდნენ მეჩხერ ადგილებს, აფრთხობდნენ, აფორიაქებდნენ ფრინველებს და ატამანზე ლაპარაკობდნენ".

ნ. გოგოლის აზრით, ასე მიიკვლევდა გზას მომავლისაკენ რუსი ერი, ასე სძლევდა იგი „მეჩხერ ადგილებს", ასე „აფორიაქებდა" მტრებს და სიამაყის გრძნობით ასე იგონებდა თავის სახელოვან გმირებს.

„პეტერბურგული მოთხრობები". ნ. გოგოლმა „პეტერბურგულ მოთხრობებში" შესანიშნავი ოსტატობით დაგვიხატა დიდი ქალაქის ცხოვრებისაგან დაბეჩავებული და შევიწროებული ადამიანების არსებობა. მწერალმა ცოცხლად დაგვისურათა ის სულის შემხუთავი ატმოსფერო, რომელიც შექმნა რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულმა მმართველობამ და რომელმაც სულიერად დაასახიჩრა ყველასაგან დამცირებული და შეურაცხყოფილი „პატარა ადამიანები".

„შეშლილის ჩანაწერების" („Записки сумасшедшего") გმირი პოპრიშჩინი პეტერბურგის ერთ-ერთი დეპარტამენტის ვითარებამ დააკნინა და სულიერად მოშალა. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი მანქანად იყო გადაქცეული; მის ერთადერთ მოვალეობას შეადგენდა „მისი აღმატებულებისათვის" ბატის ფრთისაგან კალმების დამზადება. როდესაც ამ „პატარა ადამიანმა" შეიგნო თავისი მძიმე საზოგადოებრივი მდგომარეობა და თავისი ტრაგიკული ბედი, იგი ისე ძლიერად შეძრწუნდა, რომ ჭკუიდან შეიშალა.

უფრო ძლიერი მხატვრულობით არის აღწერილი ღარიბი ჩინოვნიკის ცხოვრება მოთხრობაში „შინელი“, რომელიც 40-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში ერთ-ერთი დიდი მოვლენა იყო. მას სარჩულად უდევს მაღალჰუმანური იდეა. ცოცხალ იუმორთან ერთად აქ ავტორის სევდაც იგრძნობა.

მწერალი ცრემლნარევი სიცილით გვისურათებს „პატარა ადამიანს“ სულიერი დაქვეითებისა და დაღუპვის მიზეზს. ამ მიზეზს გოგოლი ეძებს არა ადამიანის სუბიექტურ სამყაროში, არამედ ობიექტურ პირობებში.

„შინელის“ მიხედვით „პატარა ადამიანი“ შეავიწროვა, დააბეჩავა და გამოათაყვანა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულმა რეჟიმმა.

მოთხრობის მთავარი გმირი აკაკი აკაკიევიჩ ბაშმაჩკინი ბუნებით ცუდი ადამიანი არ ყოფილა. მას შეიძლება ჰქონდა გარკვეული ადამიანური ინტერესები, მისწრაფებანი, იდეალი, მაგრამ ყველაფერი ეს პეტერბურგის ერთ-ერთ დეპარტამენტში სამსახურმა იმსხვერპლა.

აკაკი აკაკიევიჩი დაჩაგრული, დამცირებული, შეურაცხყოფილი ადამიანია. ის ჩინოვნიკურ-იერარქიული კიბის უდაბლეს საფეხურზე იდგა, მისი მოქმედება ბიუროკრატიულ აპარატში მანქანის უმარტივესი ნაწილის მექანიკურ მოქმედებას ჰგავდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება მას ხანგრძლივი წლების განმავლობაში ჩვევად გადაქცეოდა, მაგრამ თავის საქმეს იგი ასრულებდა შეუგნებლად, ავტომატურად.

დეპარტამენტმა ეს „პატარა ადამიანი“ სულიერად გამოფიტა და გონებრივად დააჩლუნგა. ქაღალდების მექანიკურმა გადაწერამ მას აზრი დაუხშო და ცნობიერება დაუბნელა. უფროსების ყვირილმა და დაშინებამ დააფრთხო, მხდალი და უსუსური გახადა. ჩინოვნიკების განუწყვეტელმა ცინიკურმა დამოკიდებულებამ, უხეირო ოხუნჯობამ მას დაუკარგა ადამიანური ღირსება, თავმოყვარეობა.

აკაკი აკაკიევიჩი ყოველგვარ შეურაცხყოფას უსიტყვოდ იტანს. მას მახლობელი არავინ ჰყავს. არც ქალი ჰყვარებია. საწყალ ჩინოვნიკს არაფერი არ ახარებს.

აკაკი აკაკიევიჩს ეშინოდა ყოველგვარი სიახლის, რასაც კი შეეძლო მისი ცხოვრების შეცვლა. როდესაც მკერავმა აკაკი აკაკიევიჩს გამოუცხადა, რომ მისი ძველი, ნაფლეთებადქცეული შინელის დაკერება აღარ მოხერხდება და ახლის შეკერვაა აუცილებელიო, ჩინოვნიკს თავზარი დაეცა არა მარტო იმიტომ, რომ ამაში ფული დაეხარჯებოდა, არამედ იმიტომაც, რომ მიჩვეული იყო თავის ძველ, გათხელებულ შინელს და ახლის ჩაცმა ვერ წარმოედგინა. აკაკი აკაკიევიჩს

საკმაოდ დიდი ხანი დასჭირდა იმისათვის, რომ გადაეწყვიტა ახალი შინელის შეკერვა, მაგრამ რაკი მიიღო ეს გადაწყვეტილება — ახალ შინელზე ოცნებამ — მისი გამოფიტული გონება მთლიანად შეიპყრო. სრულიად უბრალო რამ საწყალი ჩინოვნიკისათვის დიდ პრობლემად იქცა.

აკაკი აკაკიევიჩი კიდევ უფრო მეტად შეიცვალა და გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ოცნება სინამდვილედ იქცა და შეკერილი შინელი მკერავმა შინ მიუტანა.

სამწუხაროდ აკაკი აკაკიევიჩის ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. იმავე საღამოს წვეულებიდან შინ მიმავალს ქუჩაში ქურდებმა შინელი გახადეს. თავზარდაცემულმა „პატარა ადამიანმა“ მსხვილ მოხელეებს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ ამაოდ — ყურადღებაც არავინ მიაქცია. ბოქაულს აკაკი აკაკიევიჩი არ მოეწონა და მის პოლიტიკურ ერთგულებაშიც ეჭვი შეიტანა. ერთმა „წარჩინებულმა პირმა“ კი დახმარების ნაცვლად დატუქსა და შეაშინა. ამის შემდეგ თავზარდაცემული აკაკი აკაკიევიჩი ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ნ. გოგოლი, ერთი მხრივ, ცრემლნარევი ირონიით აგვიწერს აკაკი აკაკიევიჩის სულიერსა და გონებრივ უბადრუკობას, მეორე მხრივ კი მწარედ ამხელს „წარჩინებულ პირს“ — რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის ტიპიურ წარმომადგენელს, გულცივ კარიერისტსა და დესპოტს.

როგორც აკაკი აკაკიევიჩი ისე „წარჩინებული პირიც“ ბიუროკრატიულმა რეჟიმმა დაამახინჯა, მაგრამ სხვადასხვაგვარად: აკაკი აკაკიევიჩი დააშინა, დაუკარგა ადამიანური ღირსება, სულიერად გამოფიტა და გადამწერ მანქანად აქცია, ხოლო „წარჩინებული პირი“ გენერლის ჩინმა აქცია ზვიად, მკაცრ, ცივ და მიუკარებელ ადამიანად. „მისი სისტემის“ მთავარ საფუძველს სიმკაცრე შეადგენდა. „სიმკაცრე, სიმკაცრე და სიმკაცრე“ — ამბობდა იგი.

„შინელს“ XIX საუკუნის რუსული ლიტერატურისათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. პუშკინის „სადგურის ზედამხედველის“ შემდეგ ეს პირველი ნაწარმოები იყო, რომელშიც მკვეთრმეტყველურად აისახა „პატარა ადამიანის“ ტრაგედია. გოგოლის „შინელის“ გამოქვეყნების შემდეგ უველასაგან შეურაცხყოფილი და დამცირებული „პატარა ადამიანი“ XIX საუკუნის 40 — 50-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში იქცა ერთ-ერთ მთავარ ფიგურად. „ნატურალური სკოლის“ მწერლებმა გოგოლის ამ მოთხრობის უდიდესი ზეგავლენა განიცადეს. „ჩვენ უველანი ძმსი „შინელიდან“ გამოვედით“ — ამბობდა დოსტოევსკი გოგოლის შესახებ.

დრამატული თხზულებები. გოგოლმა დრამატულ ჟანრს ხელი მოჰკიდა იმ დროს, როდესაც რუსულ სცენაზე უშინაარსო მელოდრამა და უბადრუკი ვოდევილი იყო გამეფებული. ფონვიზინის, გრიბოედოვის, კაპნისტისა და კრილოვის მძაფრი სოციალური კომედიები ნიკოლოზ I-ის რეაქციის წლებში თეატრისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. სოციალური დრამა რუსული სცენიდან განიდევნა. იგი შეცვალა ფრანგულიდან გადმოკეთებულმა უშინაარსო ვოდევილმა და მელოდრამამ, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო რუსეთის ცხოვრებასთან, რუსი ხალხის ნაციონალურ ხასიათებთან.

გოგოლი თეატრალურ ხელოვნებასა და დრამატურგიაში მთავარ პრინციპად რეალიზმს აღიარებს. მისი აზრით, თეატრი ცხოვრების სარკეს უნდა წარმოადგენდეს. თავის ნაწარმოებში „სპექტაკლის შემდეგ" („Театральный разъезд") მწერალი მაყურებლის პირით ამბობს, „კომედია უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი და სარკე. მან ჩვენი ცხოვრება უნდა ასახოს სრული სიმართლით". ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი, გოგოლის აზრით, არ შეუძლია არც იაფფასიან ვოდევილსა და არც ყალბპათოსიან მელოდრამას.

რეალიზმის დამკვიდრებასთან ერთად გოგოლი მოითხოვდა რუსული თეატრის დემოკრატიზაციას, მის ხალხურობას.

გოგოლმა რეალისტური კომედიის შექმნა პირველად სერიოზულად სცადა 1832 — 1833 წლებში. მან დაიწყო მამხილებელი კომედიის „ვლადიმერის მესამე ხარისხის ჯვრის" („Владимир 3-ей степени") წერა. ამ სატირაში ფართოდ უნდა ასახულიყო რუსეთის უმაღლესი ბიუროკრატიული წრე და არისტოკრატიული საზოგადოება, მაგრამ დრამატურგს იგი არ დაუსრულებია. 1835 წლის ბოლოს გოგოლი გატაცებით შეუდგა „რევიზორზე" მუშაობას და მალე დაამთავრა, ხოლო 1836 წლის აპრილში იგი სცენაზე დაიდგა.

„რევიზორის" სიუჟეტი გოგოლს პუშკინმა მიაწოდა.

კომედიის გამოქვეყნებამ დიდი აურზაური გამოიწვია. სატახტო ქალაქის ბიუროკრატიამ კომედიაში თავისი თავი იცნო და ამით ის აღშფოთდა. ს. აქსაკოვის გადმოცემით, ავანტიურისტმა გრაფმა ტოლსტოიმ სახალხოდ განაცხადა, რომ გოგოლი რუსეთის მტერია, ამიტომ საჭიროა მას ბორკილები გაუყარონ და ციმბირში გაგზავნონ.

თუ ოფიციალური წრეები ზიზღითა და შიშით შეხვდნენ „რევიზორს", მოწინავე იდეების მატარებელმა ახალგაზრდობამ იგი კმაყოფილებით მიიღო. „ასეთი სრული პათოლოგიურ-ანატომიური კურსი

რუსი ჩინოვნიკების შესახებ გოგოლამდე არასოდეს არავის არ წაუკითხავს", — წერდა გერცენი.

„რევიზორი" სოციალური სატირაა, თუმცა პირველი შეხედვით კომედიის სიუჟეტი ანეგდოტურია. რუსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ ქალაქში რევიზორის მოლოდინით შეშინებული მოხელეები შემთხვევით გამვლელ ქარაფშუტა ახალგაზრდა ხლესტაკოვს შეცდომით რევიზორად მიიღებენ. ატყდება ორომტრიალი, ფაციფუცი, რომლის დროსაც თითოეული მოქმედი პირის ხასიათი ნათლად მჟღავნდება. მაგრამ გოგოლი ასახავს არა რომელიღაც პროვინციულ ქალაქში მომხდარ კერძო შემთხვევას, არამედ ნიკოლოზის დროინდელი სინამდვილის ტიპიურ მოვლენებს. მექრთამეობა, ქურდობა, უსამართლობა, გაუნათლებლობა, ბოროტმოქმედება, გამფლანგველობა, გაიძვერობა, ხალხის ექსპლუატაცია, შურიანობა, — აი თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო არა მარტო პროვინციელი მოხელეებისათვის, არამედ საერთოდ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რუსეთისათვის. სკვოზნიკ-დმუხანოვსკი, ლიაპკინ-ტიაპკინი, შპეკინი, ხლესტაკოვი, ზემლიანიკა და სხვა ტიპები გოგოლმა ცხოვრებიდან აიღო, ამიტომ „რევიზორში", პროვინციელ მოხელეებთან ერთად, თავიანთი თავი იცნეს პეტერბურგის მსხვილმა ბიუროკრატებმაც, ე. წ. „ტუზებმა".

კომედიაში დამაჯერებლადაა მოცემული პერსონაჟების ბუნება, მათი ბიწიერება მხოლოდ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული სისტემის დამპალ ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. ამიტომ თითოეული პერსონაჟის მანკიერება ამავე დროს იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უკუღმართობის მაჩვენებელია.

გოგოლის, როგორც დიდი მხატვრის, ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ცხოვრების ფართო მასშტაბით წარმოსახვა, ხასიათებისა და ტიპების სიმრავლე და მრავალფეროვნება. მისი გმირები ერთიმეორისაგან განსხვავებულ ტიპებს წარმოადგენენ. ყოველ მათგანს გააჩნია თავისი ინდივიდუალური სახე, სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები.

ტიპების ასეთი ინდივიდუალიზაცია მწერალს ხელს არ უშლიდა მოვლენებისა და სახეების ფართო განზოგადებაში. ინდივიდუალურ თვისებებთან ერთად ამ ტიპებში ჩაქსოვილი იყო ზოგადი ხასიათის თვისებებიც, რომლებიც შინაგანად ყველა პერსონაჟს ერთიმეორესთან აკავშირებდა. იდიოტიზმი და უვიცობა, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებისა და საზოგადოებრივი ინტერესების უქონლობა, მექრთამეობა და გამფლანგველობა, ძალმომრეობა და უპატიოსნობა, გონებრივი და სულიერი ცხოვრების სიღატაკე საერთო დამახასია-

თეატრალურ თვისებებს წარმოადგენს „რევიზორის“ ყველა პერსონაჟისათვის.

კომედიის მთავარი მოქმედი პირი, გოროდნიჩი სკვოზნიკ-დმუხანოვსკი ძველი ადმინისტრატორია. მან საკმაოდ „დიდი სკოლა“ გაიარა, ვიდრე მაღალ თანამდებობას მიაღწევდა. თავისი ამორალური შეხედულებანი და უზნეო ყოფაქცევა გოროდნიჩმა მონარქიულ-ბიუროკრატიულ აპარატში შეიძინა. იქ გახდა გაიძვერა და ქურდი, უხეში და გულქვა: იქ შეეჩვია მექრთამეობასა და სიცრუეს. ჩინოვნიკის ხანგრძლივმა პრაქტიკამ იგი დაარწმუნა, რომ თუ ადამიანს გააჩნია ჩინი და სხვისი დამორჩილების უფლება, მან ეს უნდა გამოიყენოს.

რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატიის მანკიერება „რევიზორში“ უმთავრესად სკვოზნიკ-დმუხანოვსკის სახეშია წარმოდგენილი, მაგრამ სახელმწიფო აპარატის უფრო ყოველმხრივი დახასიათების მიზნით გოგოლმა მასთან ერთად გამოიყვანა მოხელეების სხვა ტიპებიც. ამათგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია მოსამართლე ლიაპკინ-ტიაპკინი, რომელიც გაიძვერობასა და მექრთამეობაში გოროდნიჩს ბევრად არ ჩამოუვარდება. ეს „ვოლტერიანელი“ მთელ დროს ნადირობაში ატარებს, სამსახურში იშვიათად დადის, თავის მოვალეობას ცუდად ასრულებს, სიმართლის დადგენისათვის იგი თავს არასოდეს არ იწუხებს. მართალი ის იყო, ვინც მას კარგი ჯიშის მეძებარ ძაღლს მიართმევდა.

ხლესტაკოვი ნევის პროსპექტის „გმირია“ — ბალ-მასკარადებით გამოთაყვანებული, უგუნური, ინტელექტუალურად მოუმწიფებელი ადამიანი; ლაპარაკობს და მოქმედებს უაზროდ. ყველაზე უფრო კომიკურ მდგომარეობაში ის მაშინ ვარდება, როცა სხვის მიერ გავრცელებულ სიცრუეს მისი რევიზორობის შესახებ თვითონაც დაიჯერებს და თავს მართლაც რევიზორივით დაიჭერს.

პიესაში არც ვაჭრები გამოიყურებიან უკეთესად — ისინი სხვაგვარი საშუალებებით, მაგრამ ისევე უსინდისოდ ატყუებენ ხალხს, როგორც მოხელეები.

ყველა ეს გაიძვერა მოხელეები, ვაჭრები, პოლიციელები და მემამულეები ქალაქში ქმნიან მძიმე, გულშემზარავ ვითარებას, სადაც ექსპლუატატორული კლასების დაუწერავი კანონი — „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ — შეუბრალებლად მოქმედებს. ამ კანონს გაუცამტვერებია „რევიზორის“ გმირების ადამიანური ღირსებები, გადაუქცევია ისინი ეგოისტებად და წამგლეჯებად.

„რევიზორს“ მოქმედების კომედიას უწოდებენ. ეს ძირითადად სწორია. გოგოლი არღვევს მოქმედების ნელ, თანდათანობითი განვითარების ტრადიციულ კანონს და დასაწყისშივე კომედიის მთელი „მექანიზმი“ მოძრაობაში მოჰყავს. პიესის პირველსავე სცენაში გო-

ხლოდნიჩი თავის ხელქვეითებს რევიზორის მოსალოდნელ ჩამოსვლას აუწყებს. ეს ამბავი ყუმბარასავით სკდება. კომედიის „მექანიზმის“ ყველა ნაწილი მაშინვე ამოძრავდება, ყველა გმირის სახე და ხასიათი, გარდა ხლესტაკოვისა, მკითხველისათვის გასაგები ხდება. სიუჟეტის მთავარი ხაზი დინამიკურად ვითარდება, ერთგვარ წრეს აკეთებს, რომელიც ჩაითრევს ყოველ პერსონაჟს. კვანძის შეკვრის ტრადიციული კანონი, რომლის მიხედვითაც რომელიმე პირადული ხასიათის ამბავი უნდა განასკვულიყო ერთი და ორი მოქმედი პირის ჩარევით, გოგოლმა საკუთარი შეგნებულად დაარღვია და უარყო. გოგოლი იმ აზრისა იყო, რომ კვანძი ისეთი რამის გარშემო უნდა შეიკრას, რაც ყველა მოქმედ პირს ააღელვებს და თავის ორბიტაში ჩაითრევს. პიესის პირველმავე მოქმედებამ უნდა შეძრას მთელი მისი „მექანიზმი“, „არც ერთი ბორბალი არ უნდა დარჩეს დაუანგული“ და უსარგებლო“.

აღსანიშნავია ისიც, რომ გოგოლის პიესაში მამოძრავებელი ძალაა არა ერთი რომელიმე გმირი, არამედ იდეა, აზრი.

„რევიზორის“ ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს, აგრეთვე სატრფიალო ინტრიგის უქონლობა. მართალია, ხლესტაკოვი ერთსა და იმავე დროს ეარშიყება გოროდნიჩის ცოლსაც და ქალიშვილსაც, მაგრამ სიყვარულზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. დრამის შესაქმნელად, გოგოლის სიტყვით, სიყვარულის მოტივი აუცილებელი არ არის, რადგან ჩვენს დროში უფრო მეტ დრამატიზმს ქმნის ადამიანის სხვა მისწრაფებანი: „ახლა, ჩანს, ფულს, ხელსაყრელ ქორწინებას უფრო მეტი მაელექტრიზებელი ძალა აქვს, ვიდრე სიყვარულს“.

„რევიზორის“ თავისებურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იქ დადებითი გმირი არ გვხვდება. როგორც ცნობილია, მწერალს პეტერბურგისა და მოსკოვის თავადაზნაურული საზოგადოება აუმხედრდა იმის გამო, რომ მთელ ნაწარმოებში არც ერთი კეთილი ადამიანი არ მოიპოვებოდა.

1842 წელს გოგოლმა დაამთავრა და გამოაქვეყნა კომედია „ქორწინება“, რომელიც იმავე წელს პეტერბურგსა და მოსკოვის თეატრებს გადასცა დასადგმელად.

ამ კომედიაში ასახულია მაშინდელი ზნედაცემული საზოგადოების დამოკიდებულება ქორწინებისადმი. ეს თემა დიდ შესაძლებლობას აძლევდა მწერალს, მკითხველის თვალწინ გადაეშალა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ფენების მორალი, მათი სპეკულაციური დამოკიდებულება ოჯახის შექმნის საკითხისადმი. მწერალი გულისტკივილით უყურებდა საზოგადოებაში ქალის მძიმე, ტრაგიკულ მდგომარეობას. გოგოლი ხედავდა, რომ სატახტო ქალაქის „რჩეულმა წრემ“ ქალი ყიდვა-გაყიდვის საგნად გადააქცია.

საპატარძლოს, ვაჭრის ქალს აღათია ტიხონოვნას, საქმროები, პოდკოლესინი, იაიჩნიცა, ანუჩკინი და ჟევაკინი ისე უყურებენ, როგორც შემოსავლის ახალ წყაროს. არც ერთი მათგანი არ იცნობს კარგად საცოლეს, და არც აინტერესებთ მისი ახლოს გაცნობა, მისი ხასიათის გაგება. არც ერთ მათგანს არ უყვარს აღათია ტიხონოვნა და არც ფიქრობენ მის შეყვარებას. ყოველ საქმროს ორი ინტერესი ამოძრავებს — მატერიალური და ცხოველური. მათი აზრით, მთავარი ისაა, რომ ქალს კარგი მზითევი ჰქონდეს და „თეთრი, ფუნთუშა, ლოყაწითელი“ იყოს. ამიტომ თითოეული მათგანი აღათის ოთახში შესვლისას მგლური თვალებით ჯერ ავეჯს დააცქერდება, რომელიც სამზითვო სიაშია შეტანილი, ხოლო შემდეგ საპატარძლოს ტანს. ამგვარად, ნამდვილ სიყვარულს, გრძნობებს „ქორწინებაში“ ადგილი არა აქვს. ქალის დაუფლებისათვის საქმროთა ტრადიციული მეტოქეობა და ჭიშპობა ნაწარმოებში ავტორის მიერ პაროდირებულია. სატრფიალო მეტოქეობა დრამატურგმა შეცვალა „უხამსი ადამიანის“ ჩვენებით. ამ უხამსობის კრიტიკა წარმოადგენს კომედიის მამოძრავებელ იდეასა და მის მთავარ ძარღვს.

მწერალი გვიჩვენებს, რომ ფულისა და ქონების დაგროვების გამხრწნელი ძალა უდევს საფუძვლად ოჯახის „შექმნასა“ და ქორწინებას. ვიწრო ეგოისტურ-ობივატელური ცხოვრების ჭაობში ჩაფლული ადამიანი, გოგოლის აზრით, არ შეიძლება კეთილშობილური გრძნობების მატარებელი იყოს, არ შეიძლება ასეთ ადამიანს ნამდვილად უყვარდეს ქალი, ან მეგობარი. მწერლის აზრით, ზნეობრივად გადაგვარდნენ ის ადამიანები, რომლებიც მთელ სიცოცხლეს უაზრო გართობასა და ღრეობაში ატარებდნენ.

თუ „რევიზორში“ მთავარი ყურადღება ეთმობა მოქმედების დინამიკურ განვითარებას, „ქორწინებაში“ მოქმედების ტემპი შენელებულია, დრამატურგისათვის აქ მთავარია ხასიათების ღრმა და დეტალური სოციალურ-ფსიქოლოგიური დამუშავება.

„ქორწინება“ საყოფაცხოვრებო თემაზეა დაწერილი, ამიტომ მისი მასშტაბიც უფრო მცირეა, ვიდრე „რევიზორისა“. „ქორწინებაში“ ჩინოვნიკობა წარმოდგენილია არა ადმინისტრაციული მოქმედების ასპარეზზე, არამედ ოჯახში, საყოფაცხოვრებო პირობებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პერსონაჟების ზნეობრივი ცხოვრების დახატვას აქ ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა, თუმცა მისი ზნეობრივი სიმახინჯე აქ სოციალური მიზეზებით არის ახსნილი. გოგოლის დრამატურგიის სწორედ ეს პრინციპები განავითარა ა. ოსტროვსკიმ 50 — 60 წლებში. მან სინამდვილის ასახვის მასშტაბი შეამცირა და როგორც

წესი, დრამის ცენტრში, ოჯახი დააყენა. ადამიანის სოციალური სახე, მისი ზნეობრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი მისწრაფებანი დაგვიხატა ვიწრო ინტიმურ ფონზე.

„მკვდარი სულები". „რევიზორის" ირგვლივ ატეხილმა საშინელმა ალიაქოთმა გოგოლზე უარყოფითად იმოქმედა. „თანამედროვე მწერალი, მწერალი კომედიისა, მწერალი მორალისა, — სჯობს სამშობლოდან გადაიხვეწოს", — გულისტკივილით სწერდა გოგოლი პოგოდინს.

1836 წლის 6 ივნისს ნ. გოგოლმა მართლაც დატოვა თავისი საყვარელი სამშობლო და დიდი ხნით გაემგზავრა საზღვარგარეთ. თორმეტი წლის განმავლობაში რუსეთში იგი მხოლოდ ორჯერ ჩამოვიდა; 1839 წელს და 1841 წელს „მკვდარი სულების" დასაბეჭდად.

ნ. გოგოლმა „მკვდარ სულებზე" მუშაობა 1835 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მისი სიუჟეტიც გოგოლს პუშკინმა მისცა.

„მკვდარი სულები" გოგოლის ცენტრალური ნაწარმოებია. მწერლის მამხილებელი კრიტიკული რეალიზმი და გენიალური მხატვრული ნიჭი მთელი სისრულით სწორედ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა. გოგოლს თავდაპირველად სურდა „მკვდარ სულებში" დაეხატა რუსეთის ცხოვრების ერთი ტიპიური მხარე, მაგრამ საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ მწერალმა პოემის მასშტაბი უფრო გაზარდა. გოგოლის ნაშინდელი წერილებიდან ჩანს, რომ მას განზრახული ჰქონდა „მკვდარი სულების" სამ ტომად დაწერა. პირველ ტომში მას სურდა აეხახა რუსეთის ცხოვრების უარყოფითი მხარეები. მეორე ტომში პოემის მთავარი გმირი ჩიჩიკოვი ზნეობრივად უნდა განწმენდილიყო. მესამეში ყველა უარყოფითი პირი მორალურად უნდა გაჯანსაღებულიყო, მათთან ერთად უნდა გამოჩენილიყვნენ იდეალური გმირებიც — მომავალი რუსეთის საუკეთესო ადამიანები.

ნ. გოგოლმა „მკვდარი სულების" დასახული გეგმა ვერ განახორციელა. მან მხოლოდ პოემის პირველი ტომი დაწერა. მართალია, მუშაობდა მეორე ტომზეც, მაგრამ აქ მწერალი დამარცხდა. სიკვდილის წინ, რამდენიმე დღით ადრე, მან მეორე ტომი, თერთმეტი წლის ნამუშევარი, საკუთარი ხელით დაწვა. მისგან მხოლოდ ნაწყვეტები შემოგვრჩა.

„მკვდარი სულების" პირველ ტომში დიდმა მწერალმა გასაოცარი მხატვრული სიძლიერით გვიჩვენა ბატონყმური რუსეთი. მან რეალისტურად დახატა ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთი თავისი დაქვეითების გზაზე დამდგარი ფეოდალური მეურნეობითა და მოშლილი თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული აპარატით.

ნაწარმოების მთავარი გმირია პავლე ივანეს ძე ჩიჩიკოვი, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთად ჩაცმული და ზრდილობიანი კაცი, რომელიც მოსწრებული სიტყვებით, კომპლიმენტებითა და ეშმაკური ქცევით ადვილად ახერხებს გამოუცდელი ადამიანის გულის მონადირებას. ჩიჩიკოვს შეგუების განსაკუთრებული უნარი აქვს, რაზედაც არ უნდა ჩამოაგდონ მასთან ლაპარაკი, ყველაფერზე შეუძლია გასაუბრება.

ასეთი თვისებებითა და ქცევით ჩიჩიკოვმა სწრაფად მოინადირა გუბერნიის მოხელეთა გული. ყველა მოხიბლა და აალაპარაკა. მართლაც, გუბერნატორი, პროკურორი, პალატის თავმჯდომარე, პოლიციმეისტერი და სხვები სულ ჩიჩიკოვის გულკეთილობაზე, სათნოებაზე, თავაზიანობასა და სიდარბაისლეზე მსჯელობდნენ.

შეგუებისა და მლიქვნელობის უნარი ჩიჩიკოვმა მოწაფეობაშივე გამოიმუშავა. ამავე დროს, მან მთელი არსებით შეიყვარა ფული და დღედაღამ ფულის მოხვეჭაზე ზრუნავდა. ჯერ კიდევ სკოლაში ყოფნის დროს სპეკულაციითა და სხვადასხვაგვარი კომბინაციებით საკმაო თანხა შეაგროვა. შემდეგ, როდესაც სასწავლებელი დაამთავრა და სამსახური დაიწყო, მექრთამეობით, სახაზინო ფულის მითვისებითა და ათასჭვარი ხრიკებით ცდილობდა გამდიდრებულიყო. N ქალაქსაც ფულის შოვნის მიზნით ესტუმრა.

ჩიჩიკოვმა ხელი მოჰკიდა მეტად რთული და ორიგინალური კომბინაციის განხორციელებას. მან განიზრახა შეესყიდა მკვდარი სულები, ესე იგი გარდაცვლილი ყმა გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ სარევიზიო სიებიდან ამოშლილი არ იყვნენ და ამიტომ ფორმალურად ცოცხლებში ითვლებოდნენ. ჩიჩიკოვს განზრახული ჰქონდა ამ მკვდარი სულების შესყიდვის შემდეგ მიეღო მამულები ხერსონის გუბერნიაში და ისინი იქ „დაესახლებინა". ბოლოს, დააგირავებდა მათ, სახაზინიდან გირაოს ფულს მიიღებდა და სამუდამოდ გადაიმალებოდა.

ნაწარმოების პირველ თავში გოგოლი გვიხატავს ერთ-ერთი საგუბერნიო ქალაქის ცხოვრებას. ავტორი ამ ქალაქს N-ით აღნიშნავს (საკუთარ სახელს არ არქმევს) და ამით მის ტიპიურობაზე მიუთითებს. ამავე დროს, მწერალი ხაზს უსვამს, რომ ქალაქი N მდებარეობდა სატახტო ქალაქთან ახლოს, რომ მისი ადმინისტრაცია თავისი „მოღვაწეობითა" და ყოფაქცევით პეტერბურგისა და მოსკოვის ბიუროკრატიას ჰბაძავდა.

ნ. გოგოლი მკვეთრი სატირული ფორმებით გვიხატავს გუბერნიის მსხვილი ჩინოვნიკების — გოროდნიჩებისა და ლიაპკინ-ტიაპკინების მოდგმას. მართალია, „მკვდარი სულების" მსხვილი ჩინოვნიკები გა-

რეგნულად ისეთი მსეცური თვისებების მატარებელნი არ არიან, რო-
გორსაც ავლენენ „რევიზორის“ ჩინოვნიკები, მაგრამ მათზე უფრო
დიდ გაიძვერობას ამჟღავნებენ. N ქალაქის გუბერნატორი გოროდ-
ნიჩივით არ ყვირის, ფეხებს არ აბრაგუნებს, პირიქით, ის გარეგნუ-
ლად წუნარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მას თავი მოაქვს
განათლებულ, პატიოსან კაცად, მაგრამ სინამდვილეში ის „პირველი
ყაჩაღია“. ქალაქში და უჭკუო ბიუროკრატი. დროს ქეიფში, ბალ-მას-
კარადებსა და სალეჩაქეების ჭსოვაში ატარებს.

ჩინოვნიკები გონებაშეზღუდული ადამიანები არიან. ხლესტაკოვის
რევიზორად მიჩნევისა არ იყოს, „მკვდარ სულებში“ ჩიჩიკოვის
გაღმერთება მარტო მის მოხერხებულობას კი არ მიეწერება, არამედ
ჩინოვნიკების გონებრივი უბადრუკობის შედეგიც არის.

ნ. გოგოლმა „მკვდარ სულებში“ შექმნა რუსი მემამულის ხუთი
უკვდავი სატირული ტიპი: ნოზდრიოვის, სობაკევიჩის, მანილოვის,
კორობოჩკასი და პლიუშკინისა. ამ ტიპების დახატვით მწერალმა გა-
მოააშკარავა ბატონყმური ინსტიტუტის სრული უვარგისობა და რუ-
სეთის თავადაზნაურული კლასის გადაგვარება.

მწერალი ყველაზე უწინ გვაცნობს მანილოვს. მისი მსგავსი ადა-
მიანები, — ამბობს ავტორი, — ხშირად გვხვდებიან, მაგრამ მათი
პორტრეტის დახატვა ძნელია, რადგან მათ არ გააჩნიათ გარკვეული
სახე. მანილოვის ხასიათში არც ერთი თვისება მკვეთრად გამოსახუ-
ლი არ იყო. თავადაზნაურობაში ყველა ჯურის ადამიანები მოიპოვე-
ბოდნენ, ყველას ჰქონდა რაიმე ადვილად გამოსაცნობი უარყოფითი
თვისება, მაგრამ მანილოვის სიმახინჯის ერთბაშად ამოხსნა ჭირდა.

მანილოვი ოცნებით იყო გართული, მაგრამ „ღმერთმა უწყის, რა-
ზე ოცნებობდა იგი“. მას მეურნეობა ელუპებოდა, შემოსავალი ყო-
ველწლიურად უმცირდებოდა, მაგრამ მისი მოწესრიგებისათვის ხელ-
საც არ ანძრევდა. ამ ზარმაცი და ფუჭი მეოცნების გონება დასტრი-
ალებდა იმას, რისი განხორციელებაც მას არ შეეძლო.

მანილოვი განათლებული კაცია, მაგრამ უქნარაა. წიგნებს ის არ
კითხულობს. მის კაბინეტში ორი წელიწადი ეგდო მე-14 გვერდზე
გადაშლილი წიგნი. ეს არის პარაზიტი, უმწეო, ცხოვრებისათვის ზედ-
მეტი ბარგი. მართალია, მას სიბოროტის ჩადენის თავი არა აქვს,
მაგრამ მისი არსებობა თავისთავად უდიდესი ბოროტებაა. ამ მემა-
მულის დაშაქრულ და სენტიმენტალურ ხასიათში იმალება თავადაზ-
ნაურული პარაზიტიზმი.

„მკვდარი სულების“ მე-3 თავში გოგოლს გამოყვანილი ჰყავს
რუსი მემამულე ქალის — კორობოჩკას ტიპი. კორობოჩკა გონება-
ბნელი, ძუნწი, ცრუმორწმუნე, უკიდურესად ჩამორჩენილი ქალია.
მის არსებაში არც ერთი კეთილი ადამიანური სურვილი, არც ერთი

კეთილშობილური მისწრაფება არ ბოგინობს. კორობოჩკა რეგვენია. მისი ცნობიერება ისეა ხავსმოკიდებული და დაბნელებული, რომ არაფრის ათვისება არ შეუძლია. მან იცის მხოლოდ ის, რომ არავის არაფერი მისცეს, ვაჭრებს პროდუქტები მიჰყიდოს ძვირად და ვაჭრობაში არ მოტყუვდეს. თუ კორობოჩკა რამეს დაიჟინებს, ვერავითარი ძალა მას ვეღარ გადაათქმევინებს და უკან ვერ დაახევინებს. „ათასი ცხადზე უცხადესი საბუთი რომ წარუდგინო, ყველას აისხლეტს და ისე გაძმოგიგდებთ, როგორც კედელზე მიხლილ რეზინის ბურთს“.

კორობოჩკას ტიპში გოგოლმა ასახა რეფორმამდელი რუსეთის თავადაზნაურობის პატრიარქალური ჩამორჩენილობა, მათი სულიერი ცხოვრების სიღატაკე და უბადრუკობა.

მანილოვებისა და კორობოჩკების გარდა, თავადაზნაურობამ აყალ-ბაყალის მოყვარული, ლოთი და მოჩხუბარი ნოზდრიოვებიც მოამრავლა.

ნოზდრიოვი მოქმედების უნარიანობით მანილოვს უპირისპირდება. იგი მოძრავია, მარჯვე, შფოთიანი, ენერგიული. მანილოვისა და კორობოჩკასაგან განსხვავებით ნოზდრიოვი კარჩაკეტილ პატრიარქალურ ცხოვრებას არ ეწევა, მაგრამ მისი აქტიურობა უარყოფითი ხასიათისაა; მთელი ენერგია ამ ადამიანს ხაზინაში „ისტორიებში“ ებარჯება. ნოზდრიოვს სახლში ყოფნა არ უყვარს. იგი ბაზრის შფოთიანი გმირია. ბაზარზე ყიდულობს ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდება, მაგრამ იმავე ბაზარზე მთელ თავის ნავაჭრს ბანქოს თამაშში აგებს.

ნოზდრიოვი ჩხუბის მოყვარული „რაინდია“, სადაც ის მოხვდება იქ უეჭველად აყალმაყალი ატყდება; ქეიფს, როგორც წესი, ის ამთავრებს ჩხუბით.

ამ ტიპით გოგოლმა კიდევ უფრო მკვეთრად გაუსვა ხაზი იმას, თუ როგორ არიან დაბდგარი დაქვეითების გზაზე არა მარტო უმოქმედო მანილოვები, არამედ მოქმედი, ტრაბახა და მატყუარა ნოზდრიოვებიც, რომ თავადაზნაურული კლასის უმოქმედობაზე უფრო უარესი და აუტანელი მისი მოქმედება და „საქმიანობაა“.

სობაკევიჩი ეკუთვნის თავადაზნაურული კლასის იმ ნაწილს, რომელიც სრულიად ვერ დააბნია და ვერ ამოაგდო კალაპოტიდან ბურჟუაზიული ელემენტების გაძლიერებამ, პირიქით, ახალ პირობებს იგი მარჯვედ შეეგუა და მტკიცედ შეითვისა ახალი ცხოვრების მთავარი პრინციპი — დაგროვების პრინციპი. სობაკევიჩს არა სჩვევია თავადაზნაურული მოშაქრული სენტიმენტალიზმი, უსაგნო ფანტაზიორობა. მას არც ფუჭსაუბატრი, დარდიმანდული დროსტარება უყ-

ვარს. იგი რეალისტური ხასიათის კაცია, ყველა საგანს თავის საკუთარი, პრაქტიკული თვალით უცქერის.

სობაკევიჩი უხეშია, გაუნათლებელი, ბრიყვი, მაგრამ ამავე დროს ეშმაკი და გაიძვერა. ფეოდალურ-პატრიარქალური ცხოვრება მას ხელს არ უშლის, ფხიზელი კომერსანტი იყოს. როდესაც ჩიჩიკოვმა სობაკევიჩს შორიდან ჩამოუგდო სიტყვა მკვდარ სულებზე, ეს უკანასკნელი მაშინვე მიხვდა, რაც უნდოდა მის სტუმარს. „მაშ თქვენ მკვდარი სულები გნებავთ? ეს შეკითხვა ისე მარტივად მისცა სობაკევიჩმა, თითქოს პურის ან სხვა რომელიმე პროდუქტის გაყიდვას ეხებოდა".

სობაკევიჩს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მან უშუალოდ საქმეზე იცოდა გადასვლა. ჩიჩიკოვს მკვდარი სულები შესთავაზა და თანაც თითო სული ას მანეთად დაუფასა. იქვე სობაკევიჩმა ძალზე შეაქო გარდაცვლილი გლეხები. ჩიჩიკოვი ამაოდ უმტკიცებდა სობაკევიჩს, რომ მკვდრების ღირსების ჩამოთვლას აზრი არა აქვს,ისინი გახრწნილ ლეშს წარმოადგენენ და არავითარი ფასი არ გააჩნიათო. სობაკევიჩმა მშვენივრად იცოდა, რომ მკვდარ სულებს არავითარი ფასი არ ჰქონდათ, მან ისიც იცოდა, რომ მათი ქება სასაცილო იყო, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩიჩიკოვს მკვდარი სულები ბნელი საქმეებისათვის სჭირდებოდა და, ამიტომ, ყოველმხრივ ცდილობდა მომენტით ესარგებლა და თავისი სტუმრისათვის რამდენიმე ასეული მანეთი წაეგლიჯა.

სობაკევიჩს ბურჟუაზიული თვისებები ახასიათებს, მაგრამ ბურჟუაზიული ტიპი მაინც არ არის. ეს რუსი მემამულეა, რომელმაც გამდიდრების ბურჟუაზიული ხერხები კარგად შეითვისა და გამოიყენა.

მართალია, სობაკევიჩი მოქმედია, მაგრამ მისი მოქმედებისა და ცხოველური არსებობის ერთადერთ მიზანს შეადგენს საკუთარი კუპის ამოვსება. მისი ფიქრი და ზოგჯერ ოცნებაც კი სამზარეულოს არ სცილდება.

სობაკევიჩის ტიპის შექმნით გოგოლმა გვიჩვენა თავადაზნაურობის დაქვეითების კიდევ უფრო დაბალი საფეხური ნოზდრიოვთან შედარებით, მაგრამ სობაკევიჩის სახით გოგოლს თავადაზნაურობაში ადამიანური თვისებების დაკარგვის პროცესი არ დაუმთავრებია, პირიქით, ეს ტიპი მწერლისათვის წარმოადგენდა გაბატონებული კლასის გადაგვარების მხოლოდ ერთ-ერთ სტადიას, რომლის შემდეგაც ავტორმა დახატა უფრო გულშემზარავი „გმირი" — ცოცხლივ ლეშად გადაქცეული მემამულე პლიუშკინი, რომელსაც ადამიანის სახე მთლიანად დაკარგული აქვს. მანილოვიდან მომდინარე გახრწნის პროცესი აქ უკიდურესობას აღწევს.

„რაოდენ არარაობამდე, წვრილმანობამდე და სისაძაგლემდე არ ეშვება ადამიანი", — ამბობს გოგოლი პლიუშკინის შესახებ. მწერლის აზრით, პლიუშკინს საფლავი სჯობია, რადგან საფლავზე დაიწერება: „აქ განისვენებს ადამიანი, ხოლო პლიუშკინის მკვდარ სახეზე ასეთ სიტყვებს ვერ ამოიკითხავთ".

ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელმა ბურჟუაზიულმა პირობებმა პლიუშკინსაც გაუღვიძა დაგრეგების სიყვარული, მაგრამ სობაკევიჩისაგან განსხვავებით ამ მემამულის მოქმედებაში დაგროვებამ სხვაგვარი, სპეციფიკური ფორმა მიიღო. გოგოლის ეს ძუნწი არა ჰგავს პუშკინის, ბალზაკის, გ. ერისთავისა და სხვა მწერლების ტიპებს. პლიუშკინის სიძუნწე უფრო მახინჯ და საზიზღარ ფორმებში ვლინდება. ამიტომ იგი, როგორც ადამიანი, უფრო გულშემზარავია და საზიზღარი.

პლიუშკინი ფულის მაგიერ ნივთებს იპარავს და აგროვებს; ხოლო გლეხებს შიმშილით ხოცავს. მას შეუძლია ფულის შოვნა პროდუქტების გაყიდვით, მაგრამ პლიუშკინი პროდუქტებს არ ჰყიდის, გაძვირების მოლოდინში იგი ყველაფერს სახლში ალპობს.

სიძუნწემ, დაგროვების უსაზღვრო ჟინმა, მხეცურმა ეგოიზმმა პლიუშკინს ყოველგვარი ადამიანური გრძნობები ჩაუკლა, მათ შორის მშობლის გრძნობაც. სიძუნწემ შვილებიც კი დააღუპვინა. მართალია, ერთი ქალიშვილი, ალექსანდრა შერჩა, მაგრამ გათხოვების შემდეგ პლიუშკინმა ახლოსაც აღარ გაიკარა იგი, აღარც დახმარება გაუწია მას.

სტუმრებზე ხარჯი რომ არ გაეწია, პლიუშკინმა ზურგი შეაქცია ყველას: ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს, სახლში არავის უშვებდა. ბოლოს ყველა მახლობელი ჩამოსცილდა, მარტო დარჩა ნადირივით და თავის სოფელში მშიერი მგელივით დაძრწოდა.

პლიუშკინი ადამიანებს გაურბოდა არა მარტო სიძუნწის, არამედ შიშის გამოც. იგი ყველა ადამიანში თავის მტერს ხედავდა; მუდამ გაძარცვა და ძალადობა ელანდებოდა, სულ ეჩვენებოდა, თითქოს მის მიერ დაგროვილ ქონებას სხვები იტაცებენ, ამიტომ იგი ყოველთვის მოუსვენრად იყო; თითოეულ ნივთს დაჰკანკალებდა, ეშინოდა არ დაჰკარგოდა. პლიუშკინი მთელი თავისი არსებით ნივთებზე იყო შეყვარებული. დამპალი პროდუქტებით გამოტენილი საწყობები, ნაგვის ყუთად გადაქცეული ოთახი — აი, რა ასულდგმულებდა მას. თვით პლიუშკინიც ისევე ლპებოდა და იხრწნებოდა, როგორც მისი ქონება.

პლიუშკინის სახე ფართოდ განზოგადებული სატირული ტიპია. მისი შექმნით მწერალმა ნიღაბი ახადა რუსეთის თავადაზნაურობას. დღეს ჩვენ პლიუშკინის სახეში შეიძლება შევიცნოთ თანამედროვე კაპიტალისტები, რომელთაც მხეცურმა ეგოიზმმა, კაპიტალის დაგ-

როვების მგლურმა წყურვილმა ადამიანური სახე სრულიად დაუკარგათ.

ნ. გოგოლი ოპტიმისტურად უცქეროდა რუსი ხალხის სულიერ შესაძლებლობებს. მწერალი დარწმუნებული იყო, რომ „რუსული სული უთვალავი სიმდიდრის“ მფლობელია, რომ ჩიჩიკოვებს, პლიუშკინებს, მანილოვებს, სობაკევიჩებს შეცვლის ძლიერი ვაჟკაცი, „ღვთაებრივი სათნოებით“ დაჯილდოებული, მშვენიერი რუსი ქალიშვილი, „რომლის მსგავსიც მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება“. დიდი პატრიოტი გრძნობდა, რომ მომავალში რუსეთი საპატიო ადგილს დაიკავებდა მთელ მსოფლიოში.

გოგოლს თავადაზნაურული იდეოლოგიური შეზღუდულობა ხელს უშლიდა ნათლად გაერკვია რუსეთის ეს მომავალი. მისთვის ნათელი არ იყო რუსეთის განვითარების ისტორიული გზა, მაგრამ თავისი ქვეყნის პროგრესის დიდი იმედი ჰქონდა. „განა შენც ასეთი არა ხარ, რუსეთო, რომ მკვირცხლ ტროიკასავით მიჰქრიხარ მძაფრად? შენს ფეხთა ქვეშ კვამლსავით ბოლდება გზა, ჭრგვინავენ ხიდები, ყველაფერი სულ უკან გრჩება, უკან გრჩება...“ „რუსეთო, საით მიჰქრიხარ?!“ — ეკითხება მწერალი თავის ქვეყანას, მაგრამ ავტორს პასუხის გაცემა უჭირს.

მოღვაწეობის უკანასკნელი წლები. ორმოციან წლებში, როდესაც რუსეთში დაიწყო ბრძოლა რევოლუციონერ-დემოკრატებსა და რეაქციონერებს შორის, მწერალი ვერ გაერკვა შექმნილ მდგომარეობაში, სამშობლოდან შორს გადახვეწილმა ალღო ვერ აუღო ახალ პირობებს და იდეოლოგიურ ჩიხში მოემწყვდა.

1844 — 1847 წლებში გოგოლი გამოსავალს ეძებდა იდეოლოგიური კრიზისიდან. მისი წიგნი „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“ („Выбранные места из переписки с друзьями“) მიზნად ისახავდა ამ კრიზისიდან გამოსვლას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

„რჩეულ ადგილებში“ გოგოლი მემამულეებს ურჩევდა, გამსჭვალულიყვნენ ქრისტიანული სულისკვეთებით, მოყვარულ მამებად მოვლენოდნენ თავიანთ ყმებს; გლეხებს კი მიმართავდა: „მამების“ (მემამულეების) გამგონე შვილები იყავითო. მსხვილ ჩინოვნიკებს არიგებდა, რომ არა მარტო თვითონ გამოსწორებულიყვნენ, არამედ წესიერად აღეზარდათ თავიანთი ხელქვეითებიც... ერთი სიტყვით, გოგოლი ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს ზნეობრივი გაუმჯობესების „რეცეპტს“ აძლევდა და ამ გზით ფიქრობდა იდეალური ცხოვრების დამყარებას. ამავე დროს, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ერთგულ დამცველადაც გამოდიოდა.

„რჩეული ადგილები“ 1847 წლის იანვარში დაიბეჭდა. წიგნმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია რუსული საზოგადოების პროგრესულ ნაწილში. ამ წიგნს უარყოფითად შეხვდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა და მკითხველთა ფართო წრეები.

გოგოლი მწარედ განიცდიდა ამ კრიტიკას. მასზე განსაკუთრებით ძლიერად იმოქმედა ბელინსკის გამოსვლამ ჟურნალ „სოვრემენნიკში“. სანუგეშოდ ნ. გოგოლმა ბელინსკის კრიტიკა სწორად ვერ გაიგო. მაშინ ავადმყოფმა ბელინსკიმ დაწერა ცნობილი „წერილი გოგოლს“, რომელიც რევოლუციური აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ვ. ი. ლენინი მას მაღალ შეფასებას აძლევდა.

დიდმა რუსმა კრიტიკოსმა თავის წერილში გოგოლთან კამათი პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა. მისი აზრით, აქ საქმე ეხებოდა არა მარტო გოგოლს, როგორც პიროვნებასა და მწერალს, არამედ გოგოლზე უფრო მაღალ საგანს, „აქ საქმე ეხება ჰეშმარიტებას, რუს საზოგადოებას, რუსეთს“, — წერდა ბელინსკი.

ბ. ბელინსკიმ თავის გენიალურ წერილში სასტიკად გაილაშქრა თვითმპყრობელობის, ბატონყმობისა და ეკლესიის წინააღმდეგ.

1848 წელს ნ. გოგოლი საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ მან „მკვდარი სულების“ მეორე ტომი დაამთავრა და მისი რამდენიმე თავი უახლოეს მეგობრებს წაუკითხა. მწერლის ამხანაგებს ნაწარმოები მოეწონათ, მაგრამ თვით მწერალი უკმაყოფილო იყო. ავტორის იდეოლოგიური მერყეობა გამომჟღავნდა „მკვდარი სულების“ მრავალრიცხოვან შესწორებებში. გოგოლი ამ მერყეობამ სულიერად მოქანცა. იგი აშკარად გრძნობდა თავისი შემოქმედებითი ენერგიის გამოფიტვას. მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. მწერალი ხშირად ფიქრობდა სიკვდილზე, კარჩაკეტილად ცხოვრობდა, გაურბოდა ამხანაგებს, „სულიერი განწმენდის“ მიზნით მთელ დღეებს საეკლესიო წიგნების კითხვაში ატარებდა.

ნ. გოგოლის რელიგიურ-მისტიკური განწყობილებით ისარგებლეს ეკლესიის ბნელმა მსახურებმა. ავადმყოფ მწერალს მოსკოვში დაუახლოვდნენ მისტიციზმით შეპყრობილი ადამიანები.

1852 წლის 25 თებერვალს, ღამით, რელიგიური მისტიციზმით შეპყრობილმა მწერალმა თავისი ხელით დაწვა „მკვდარი სულების“ მეორე ტომის ხელნაწერი. 9 დღის შემდეგ, 4 მარტს, ფიზიკურად და სულიერად ღატანჯული გოგოლი გარდაიცვალა.

ნ. გოგოლი ქართულ ლიტერატურაში. თავის შესანიშნავ წერილ-

ში „რამდენიმე სიტყვა პუშკინის შესახებ“ ნ. გოგოლი აღტაცებით ლაპარაკობს „მშვენიერ საქართველოსა“ და „მარადიული თოვლით დაფარულ გოლიათ კავკასიონზე“, სადაც „რუსეთის განუზომლობა წყდება ცამდიბჯენილი შთებით და სადაც მას სამხრეთი ელამუნება“. პუშკინი, გოგოლის აზრით გამსჭვალული იყო „სამხრეთის სულით, მშვენიერი საქართველოს ჰალებით“, დიდი პოეტი „თავის ქმნილებებში უფრო ცეცხლოვანი და მგზნებარეა იქ, სადაც მისი სული სამხრეთს შეეხო“.

თვითონ ნ. გოგოლი საქართველოში არასოდეს ყოფილა და არ აუსახავს ის თავის მხატვრულ ნაწერებში, მაგრამ მწერლის სული ჩვენს სამშობლოს სხვა მხრივ შეეხო. ნ. გოგოლის შემოქმედებამ საპატიო ადგილი დაიკავა ქართულ ლიტერატურაში.

მთელი საუკუნის მანძილზე ითარგმნება ქართულ ენაზე და იდგმება სცენაზე რუსი გენიოსის უკვდავი დრამატული ქმნილებები.

ნ. გოგოლი ქართველი კლასიკოსებისათვის ერთ-ერთი საყვარელი და მახლობელი მწერალი იყო. ი. ჭავჭავაძე თავის შემოქმედებით მეთოდის გამომუშავების დროს იყენებდა დიდი რუსი მწერლის კრიტიკულ-რეალისტურ მეთოდს.

ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძის სიცოცხლეში ქართველი კრიტიკოსების მიერ არაერთხელ ყოფილა აღნიშნული „კაცია—ადამიანისა?!“ და ნ. გოგოლის „ძველი დროის მემამულეების“ ერთგვარი მსგავსება, რაც ილიას არ უარუყვია.

დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა, თავისი სიყვარული და აღტაცება რუსული ლიტერატურის გიგანტის წინაშე გამოხატა ლექსში „გოგოლის ხსოვნას“. ეს ლექსი აკაკიმ წაიკითხა გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც ქართველმა დრამატულმა საზოგადოებამ 1886 წლის 6 მაისს „რევიზორის“ დადგმიდან 50 წლისთავის შესრულების აღსანიშნავად გამართა. ამ ლექსის შესახებ ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ „ჩვენმა პოეტმა აკაკიმ ქართული ერის სახელით დაადგა გვირგვინი გოგოლის სურათს და მშვენიერი ლექსიც წარმოთქვა“.

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მწერალი ი. გოგებაშვილი ნ. გოგოლს ქართული ლიტერატურის მოღვაწეთათვის სანიმუშო მწერლად თვლიდა. „აუცილებლად საჭიროა, — წერდა იგი, — რომ ჩვენმა ბელეტრისტებმა მაინც (თუ სხვებმა ვერა) წერაში მიჰბაძონ არა იმათ, რომელნიც დაიკვეხებენ ხოლმე: — კალმის წვერს დავაფურთხე და სტატია გამოვაცხვეო, არამედ იმისთანა მაღალნიჭიერ ავტორებს როგორიც იყო გოგოლი...“

აღსანიშნავია ისიც, რომ ი. გოგებაშვილი თავის ნაწერებში ხშირად იყენებდა ნ. გოგოლის მხატვრულ სახეებს. მან ქართველი „სო-

ბაკევიჩები“ უწოდა ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომელთა დემოკრატიზმი ისევე საეჭვო იყო, როგორც ამერიკელი პლანტატორებისა, რომლებიც მდაბიო ხალხის დამონებას ცდილობდნენ და დემოკრატების სახელი კი მიითვისეს.

ნ. გოგოლის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისეთი მოღვაწენი, როგორიცაა: ნ. ნიკოლაძე, ნ. ავალიშვილი, ა. ფურცელაძე და სხვ., რომლებმაც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში არაერთხელ გამოთქვეს თავიანთი აზრი ნ. გოგოლის შემოქმედების შესახებ.

ქართველ პროგრესულ საზოგადოებას კარგად ესმოდა, რომ ნ. გოგოლის შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების საქმეში. ამიტომ დიდი ყურადღება ექცეოდა რუსი მწერლის მხატვრული ნაწერების ქართულ ენაზე თარგმნას.

ნ. გოგოლის თხზულებების ქართულად თარგმანი დაიწყო გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. 1871 წ. გ. წერეთლის ჟურნალ „კრებულის“ მეორე და მესამე წიგნებში დაიბეჭდა ნ. გოგოლის მოთხრობა „რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“ (მთარგმნელი გ. ჩიქოვანი); ამავე წელს „კრებულმა“ დაბეჭდა ი. მესხის მიერ გადმოთარგმნილი „შინელი“. XIX ს. 80—90-იან და 900-იან წლებში ქართულ ენაზე გადმოითარგმნა ნ. გოგოლის „რევიზორი“, „ტარას ბულბა“, „შეშლილის ჩანაწერები“. ქართულ სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა კომედია „რევიზორი“.

ნ. გოგოლის შემოქმედება ქართველი მკითხველისათვის უფრო პოპულარული და ხელმისაწვდომი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დიდი რუსი მწერლის თითქმის ყველა მთავარი ნაწარმოები გადმოითარგმნა ქართულ ენაზე და ცალკე წიგნებად გამოიცა.

ორმოციანი წლების ლიტერატურული მოძრაობა. ბ. გ. ბელინსკი

ეპოქა. სლავოფილები და მედასავლეთეები. ორმოციან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ბატონყმური სისტემის კრიზისი, გლეხთა ექსპლუატაცია, მეფის მოხელეთა თარეში. ყოველივე ეს იწვევდა ჩაგრული ხალხის უკმაყოფილებასა და მღელვარებას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას და თავისებურ დაღს ასვამდა ეპოქის საზოგადოებრივ-იდეურ მოძრაობას.

ამ მოძრაობაში სამი ძირითადი მიმართულება, სამი ჯგუფი ჩამოყალიბდა: სლავოფილები, მედასავლეთე ლიბერალები და რევოლუციონერი დემოკრატები. მათ შორის კამათი და ბრძოლა გაჩაღდა უმთავრესად რუსეთის მომავალ ბედზე.

სლავოფილები (სლავების მოყვარულნი, славянофилы) — ა. ხომიაკოვი, ძმები აქსაკოვები, ძმები კირეევსკები და სხვ. — თავს „პატრიოტებად" თვლიდნენ და ფეოდალურ რუსეთს ბურჟუაზიულ ევროპას უპირისპირებდნენ. მათი აზრით, რუსები და საერთოდ სლავები, საბედნიეროდ, მკვეთრად განსხვავდებოდნენ ევროპელებისაგან როგორც სარწმუნოებით, ისე პოლიტიკური მმართველობითა და საზოგადოებრივი ყოფით.

დასავლეთ ევროპაში, — ამბობდნენ ისინი, — კათოლიკური და პროტესტანტული სარწმუნოებაა გაბატონებული, იქ ეკლესია სამღვდელოების ეგოიზმზე შენდება და საზოგადოებას რყვნის, ჩვენში კი „ჭეშმარიტი სარწმუნოებაა" — მართლმადიდებლობა, რაც ესოდენ შეესაბამება სლავთა ღვთისმოყვარე და კაცთმოყვარე ბუნებას.

ევროპელები, — სლავოფილთა სიტყვით, — შეპყრობილნი არიან ეგოიზმით, ისინი ერთმანეთს მტრობენ, ებრძვიან და ამიტომ იძულებულნი არიან უფლებრივი ნორმები (ხელოვნური კანონები) დააწესონ, კონსტიტუციები შექმნან. ჩვენში კი ასეთი რამ საჭირო არ არის, რადგან აქ ადამიანთა შორის ომობა, სიყვარული და ურთიერთნდობა სუფევსო. რუსეთისათვის მისაღებია არა დასავლეთ ევროპის პოლიტიკური წყობა, ბურჟუაზიული პარლამენტი, არამედ თვითმპყრობელობა, რომელიც საკუთრებით შეესაბამება რუსულ ხასიათსო.

განსაკუთრებით აიდეალებდნენ სლავოფილები XVII საუკუნის მეფე ალექსი მიხეილის ძეს, რომელიც ხალხს თითქოს ღმობიერად ექცეოდა, აზრის თავისუფლებას არ ბოჭავდა, სათათბირო ყრილობებს იწვევდა და ა. შ. სამაგიეროდ, სლავოფილები ჰგმობდნენ პეტრე პირველსა და მის რეფორმებს, რომელთა შედეგად რუსეთი ევროპისაკენ შეტრიალდა და ამით თითქოს საკუთარ სწორ გზას აცდა.

რაც შეეხება საზოგადოებრივ-ყოფით ურთიერთობას, სლავოფილებს მიაჩნდათ, რომ რუსეთისათვის მისაღებია არა კერძო საკუთრებაზე და ეგოიზმზე აგებული ინდივიდუალისტური ურთიერთობა, რაც დასავლეთ ევროპაშია გაბატონებული, არამედ თემური ყოფა (общинный быт), რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს რუსთა კოლექტიურობის გრძნობას, მათ ურთიერთნდობა—გამტანიანობასა და სიყვარულს.

მაშასადამე, — ასკვნიდნენ სლავოფილები, — რუსეთი უნდა გაჰყვეს არა დასავლეთ ევროპის „დამღუპველ" ბურჟუაზიულ გზას, არა-

შიდ ამ „ეროვნულ" დამოუკიდებელ გზას, რომლითაც მას უვლია წარსულში — პეტრე პირველის რეფორმებამდე.

სლავოფილები ბევრს ლაპარაკობდნენ რუსეთის განსაკუთრებულ მისიაზე მსოფლიოში, სამშობლოსადმი სიყვარულზე, „ეროვნული სულისა და ღირსების" დაცვაზე, პატრიოტიზმზე. მაგრამ მათი „პატრიოტიზმი" ყალბი იყო, რადგან ისინი აიდეალებდნენ ფეოდალურ-პატრიარქალურ წარსულს, ძველ წეს-ჩვეულებებსა და დრომოჭმულ ტრადიციებს. სლავოფილების თეორია ენათესავებოდა „ოფიციალური ხალხურობის თეორიას", რომელიც ცნობილმა რეაქციონერმა მინისტრმა უვაროვმა ათიოდე წლით ადრე წამოაყენა („მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ხალხურობა").

ჩართალია, სლავოფილები ხშირად მეფის მთავრობის უკმაყოფილებას იწვევდნენ, რადგან კიცხავდნენ ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა სისასტიკეს, ბატონყმობას, მოითხოვდნენ სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ძირითადად სლავოფილური მიმართულება კონსერვატიული იყო და სამოციან წლებში იგი ოფიციალურ იდეოლოგიაში გადაიზარდა.

სლავოფილების პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები უმთავრესად იბეჭდებოდა ჟურნალში „მოსკვიტიანინ", რომელიც 1841 წლიდან მოსკოვში გამოდიოდა ნ. პოგოდინის რედაქტორობით. ეს ნაწარმოებები დიდი ღირსებით არ გამოირჩეოდა და მათ რუსულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებიათ.

სლავოფილების საპირისპირო ჯგუფს წარმოადგენდნენ ევრეთ წოდებული მედასავლეთეები (западники), რომლებიც უარყოფდნენ რუსეთის განვითარების განსაკუთრებულ გზას და თვლიდნენ, რომ მისთვისაც იგივე გზა არსებობს, რომელიც დასავლეთის ქვეყნებმა უკვე გაიარეს და რომ ევროპისათვის ფეოდალიზმი უკვე განელილი საფეხურია. რუსეთი კი კვლავ ჩამორჩენილ ფეოდალურ სახელმწიფოდ რჩება. მედასავლეთეთა სიტყვით, საჭიროა ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ბატონყმობის მოსპობა, თვითმპყრობელობის შეცვლა დემოკრატიული მმართველობით, ევროპული კულტურის, სწავლა-განათლების ათვისება-გამოყენება, მრეწველობის განვითარება და ა. შ.

დასაწყისში მედასავლეთეები ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ, მაგრამ შემდგომ მათ შორის განხეთქილება მოხდა და ორი ჯგუფი წარმოიშვა: ლიბერალური — გრანოვსკი, ბოტკინი, კაველინი, ტურგენევი და სხვები, და რევოლუციურ-დემოკრატიული — ბელინსკისა და გერცენის მეთაურობით. ამ ორ ჯგუფს შორის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა ორმოციანი წლების შუახანებში. ბელინსკი და გერცენი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, ებრძოდნენ, ერთი მხრივ, სლავოფილების ფსევდო-პატრიოტიზმსა და კონსერვატიულ-პატრ-

აზრალურ იდეოლოგიას. მეორე მხრივ — მეზარჯვენე მედასავლეთეებს, რომლებიც გამოდიოდნენ ლიბერალურ-კოსმოპოლიტური თეორიებით, მოითხოვდნენ რუსეთის ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას, ხშირად აშყლავნებდნენ სამშობლოსადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, ხოლო ბურჟუაზიული ევროპისადმი ბრმა წამბაძველობასა და ქედმოხრას.

ბელინსკისა და გერცენის რწმენით, აუცილებელი იყო რუსეთში გაბატონებული ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოსპობა რევოლუციურ-დემოკრატიული გზით, სოციალისტური საზოგადოების შექმნა, რუსული და ევროპული კულტურების ათვისება, ხალხში სწავლა-განათლების შეტანა. ეს იყო ყველაზე უფრო პროგრესული მიმდინარეობა ორმოციანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოძრაობაში.

„ნატურალური სკოლა“. ორმოციანი წლების დასაწყისში რუსეთში წარმოიშვა ეგრეთ წოდებული ნატურალური სკოლა, რომლის ბელადი, პროპაგანდისტი და იდეური სულისჩამდგმელი იყო დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი. ახალ მიმართულებას „ნატურალური სკოლა“ რეაქციონერმა ჟურნალისტმა ფ. ბულგარინმა უწოდა, ხოლო ბელინსკიმ ეს ტერმინი მიიღო და გამოიყენა კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურის აღსანიშნავად (მაშინ ტერმინი „რეალიზმი“ არ არსებობდა).

„ნატურალური სკოლის“ წარმომადგენლები იყვნენ: ნ. ნეკრასოვი, რომელმაც ორმოციან წლებში გამოაქვეყნა ნარკვევი „პეტერბურგის კუთხეები“ და რამდენიმე საინტერესო ლექსი („გზაში“, „სამშობლო“, „იავნანა“), ი. ტურგენევი — შესანიშნავი „მონადირის ჩანაწერებით“, ი. გონჩაროვი — ავტორი ორმოციან წლებში დაბეჭდილი რომანისა „ჩვეულებრივი ისტორია“, ა. გერცენი („დოქტორი კრუპოვი“, „ვინ არის დამნაშავე?!“, „ქურდბაცაცა კაჭკაჭი“), თ. დოსტოევსკი („საბრალო ადამიანები“), დრამატურგი ა. ოსტროვსკი, სატირიკოსი მ. სალტიკოვ-შჩედრინი, პროზაიკოსები დ. გრიგოროვიჩი, ვ. დალი და სხვ.

ეს იყო ეპოქის ყველაზე უფრო მოწინავე ნიჭიერ ახალგაზრდა რეალისტ-ლიტერატორთა ჯგუფი. მათი ნაწარმოებები იბეჭდებოდა უმთავრესად პროგრესულ ჟურნალებში — ჯერ „Отечественные записки“-ში („სამამულო ჩანაწერები“), ხოლო შემდეგ „Современник“-ში („თანამედროვე“), რომელსაც 1847 წლიდან სათავეში ჩაუდგა ნ. ნეკრასოვი. ნეკრასოვის რედაქციით გამოიცა აგრეთვე „ნატურალური სკოლის“ ცნობილი კრებულები „Физиология Петербурга“ („პეტერბურგის ფიზიოლოგია“, ორ ნაწილად 1844—1845 წწ.)

და „Петербургский сборник“ („პეტერბურგის კრებული“, 1846).

ბ. ბელინსკი სამართლიანად თვლიდა, რომ „ნატურალური სკოლა“ წარმოადგენს რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების, კერძოდ, ნ. გოგოლის კრიტიკული რეალიზმის კანონზომიერ განვითარებას („გოგოლის სკოლა“). ამ სკოლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: სინამდვილის სწორად, შეუფერავად ასახვა, სოციალური ბოროტების მხილება, ქალაქისა და სოფლის ღატაკთა ცხოვრების აღწერა.

დასაწყისში „ნატურალისტთა“ საყვარელ ჟანრს წარმოადგენდა „ფიზიოლოგიური ნარკვევი“, რომელშიც ზუსტად და მართლად იყო გადმოცემული „პატარა ადამიანების“ ყოფა, შემდგომ კი — ორმოციანი წლების მეორე ნახევარში — ისინი ქმნიან სოციალურ-ფსიქოლოგიურ რომანებს, მოთხრობებსა და სხვა ჟანრის ნაწარმოებებსაც.

როცა „წმინდა ხელოვნების“ დამცველმა ესთეტებმა და ყველა ჯურის რეაქციონერებმა ნატურალისტთა „ბინძური ლიტერატურის“ წინააღმდეგ გაილაშქრეს, ბელინსკიმ მათ საკადრისი პასუხი გასცა. იგი წერდა:

„ნატურალური სკოლის მწერლებს ბრალს სდებენ, რომ მათ უყვართ დაბალი ფენების ადამიანთა ცხოვრების ასახვა, რომ მათ თავიანთი მოთხრობების გმირებად გამოჰყავთ გლეხები, მეეზოვეები, მეეტლეები, აღწერენ მშიერ-ღატაკთა თავშესაფარ კუთხეებს“...

„ბუნება, — პასუხობდა ბელინსკი არისტოკრატ ლიტერატორებს, — ხელოვნების მუდმივი ნიმუშია, ბუნების უდიდესი და უკეთილშობილესი საგანი ადამიანია და განა გლეხი ადამიანი არ არის? რა უნდა იყოს საინტერესო ტლანქ, გაუნათლებელ ადამიანში? როგორ თუ რა? — მისი სული, ჭკუა, გული, გრძნობა, მიდრეკილებანი, — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც განათლებულ ადამიანშია...“

„ნატურალური სკოლის“ მწერალთა შემოქმედება ბელინსკის მიაჩნდა ახალი, კეთილშობილური, ჰუმანური საზოგადოებრივი აზრის გამოვლინებად, ლიტერატურის ცხოვრებასთან უფრო მეტად დაახლოების ნიშნად, კრიტიკული რეალიზმისა და დემოკრატიზმის დიდ მონაპოვრად.

ბ. გ. ბელინსკის ცხოვრების გზა. ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი (1811—1848) დაიბადა ფინეთის ჭალაჭ სვეაბორგში, სადაც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზა იმყოფებოდა და, სადაც მოგვიანებით კრიტიკოსის მამა სამხედრო მკურნალად მუშაობდა. პირველი ხუთი წელი ბავშვმა სვეაბორგში გაატარა, შემდეგ კი ბელინსკის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სამშობლოში — პენზის გუბერნიის

სამაზრო ქალაქ ჩემბარში. აქ პატარა ბესარიონი სიღარიბეში იზრდებოდა.

ბ. ბელინსკი ჯერ ჩემბარის სამაზრო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი — 1825 წლიდან — პენზის გიმნაზიაში. სწავლა-აღზრდა ორივე სასწავლებელში ცუდად იყო დაყენებული და ბ. ბელინსკი კოდნას მეტწილად თვითგანვითარების გზით იძენდა. 1829 წლის შემოდგომაზე ბელინსკი მოსკოვს გაემგზავრა და იქაურ უნივერსიტეტში შევიდა, იგი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მოეწყო სახაზინო ხარჯზე, რადგანაც მშობლებს მისთვის დახმარების გაწევა არ შეეძლოთ.

მოსკოვის უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა სტუდენტთა გონებრივ მოთხოვნილებებს და ამიტომ ისინი ბევრს მუშაობდნენ დამოუკიდებლად, აყალიბებდნენ წრეებს, აწყობდნენ დისკუსიებს. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბ. ბელინსკისათვის. სტუდენტთა შორის იმ ხანებში იყვნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, მომავალი სახელოვანი მოღვაწეები: ა. გერცენი, ნ. ოგარიოვი, მ. ლერმონტოვი, მ. ბაკუნინი, ნ. სტანკევიჩი და სხვანი.

1831 წელს ბ. ბელინსკიმ საცენზურო კომიტეტს წარუდგინა თავისი დრამა „დიმიტრი კალინინი“. ეს იყო, თვით ავტორის სიტყვით, „პირველი მოუმწიფებელი ნაწარმოები“, მაგრამ მასში მკვეთრად გამოვლინდა მრისხანე პროტესტი მემამულეთა წინააღმდეგ, რომლებსაც ბ. ბელინსკი სისხლისმსმელ ნიანგებსა და გველებს ადარებდა.

საცენზურო კომიტეტმა, რომელშიც უნივერსიტეტის პროფესორებიც შედიოდნენ, დრამა შეაფასა როგორც „უზნეო ნაწარმოები“. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ბ. ბელინსკიზე მკაცრი ზედამხედველობა დააწესეს და გადაწყვიტეს პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე თავიდან მოეშორებინათ იგი. 1832 წელს ბ. ბელინსკი უნივერსიტეტიდან გარიცხეს ვითომ აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, სინამდვილეში კი მოიცილეს თავიდან როგორც პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანი.

უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ ბ. ბელინსკი დარჩა უბინაოდ, უწიგნოდ, შიშველ-ტიტველი (უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მას სახელმწიფო ტანსაცმელიც კი წაართვა). ამიერიდან ის იძულებულია ლუკმაპურის საშოვნელად ყოველგვარ საქმეს მოჰკიდოს ხელი: მისცეს გაკვეთილები, შეასრულოს წვრილმანი ლიტერატურული სამუშაო, თარგმნოს ბულვარული რომანები...

ამავე დროს ბ. ბელინსკი დაუახლოვდა ნ. სტანკევიჩის წრეს, რომელშიც გატაცებით სწავლობდნენ გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიას.

1832 წლის გაზაფხულზე ბ. ბელინსკი გაეცნო პროფ. ნ. ნადეჟდინს, რომელიც გარდა იმისა, რომ ასრულებდა პედაგოგიურ სამუშაოს, რედაქტორობდა ჟურნალ „ტელესკოპს“. ნადეჟდინი დარწმუნდა ახალგაზრდა კრიტიკოსის ნიჭში და მიიწვია იგი თავის ჟურნალში თანამშრომლად. აქ ბ. ბელინსკიმ მალე ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ზოგჯერ რედაქტორის მოვალეობასაც კი ასრულებდა. 1834 წელს „ტელესკოპის“ დამატება „მოლვაში“ („ხმა“) ბ. ბელინსკიმ გამოაქვეყნა თავისი პირველი დიდი კრიტიკული სტატია „ლიტერატურული ოცნებანი“ („Литературные мечтания“), რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი ესთეტიკური შეხედულებანი. ამ ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში და ავტორს ნიჭიერი კრიტიკოსის სახელი მოუპოვა. ეს სახელი კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იმავე „მოლვასა“ და „ტელესკოპში“ დაიბეჭდა ბ. ბელინსკის ახალი სტატიები ნ. გოგოლზე, ე. ბარატინსკიზე, ა. კოლცოვსა და სხვა მწერლებზე.

მაგრამ 1836 წლის შემოდგომაზე „ტელესკოპი“ მთავრობამ აკრძალა. ამის შემდეგ ბ. ბელინსკი კვლავ გაჭირვებაში ჩავარდა.

1839 წლის შემოდგომაზე ბ. ბელინსკი გადავიდა პეტერბურგში. ამ ქალაქში იგი მალე გადაიქცა რუსული ლიტერატურის იდეურ ხელმძღვანელად და მოწინავე მწერალთა ორგანიზატორად. აქ იგი შეხვდა ნ. გოგოლს, მ. ლერმონტოვს, გაიცნო ი. ტურგენევი, „აღმოაჩინა“ და მფარველობა გაუწია ჯაბუკ ნ. ნეკრასოვს. ბელინსკის ბინა გადაიქცა მაშინდელი მოწინავე მწერლების შეკრების ადგილად. აქ წაიკითხა ი. გონჩაროვმა თავისი „ჩვეულებრივი ისტორია“, აქვე მაღალი შეფასება მიიღო თ. დოსტოევსკის „საბრალო ადამიანებმა“; აქ იყრიდნენ თავს „ნატურალური სკოლის“ ლიტერატორები... და ყველა მათგანი ბ. ბელინსკში ხედავდა გულისხმიერ მეგობარსა და მსრუნველ მასწავლებელს, ღრმად მოაზროვნე კრიტიკოსსა და უკეთილშობილეს მოქალაქეს. მან იშვიათი პოპულარობა მოიპოვა მთელ რუსეთში.

ამავე დროს, საქმოსანი ა. კრაევსკი — ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ რედაქტორი — უმოწყალოდ ყვლეფდა დიდ კრიტიკოსს: აუარებელ სამუშაოში სრულიად უმნიშვნელო გასამრჯელოს აძლევდა. ბ. ბელინსკის წყალობით „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ გადაიქცა იმ დროის ყველაზე უფრო მოწინავე და პოპულარულ ჟურნალად; ა. კრაევსკი მდიდრდებოდა, ხოლო ბ. ბელინსკი აუტანელი შრომისაგან ავადმყოფდებოდა.

ბოლოსდაბოლოს მან ვეღარ აიტანა ა. კრაევსკისთან კატორღული მუშაობა და 1846 წელს კავშირი გაწყვიტა მასთან. ბელინსკი გადავიდა სამუშაოდ ჟურნალ „სოვრემენნიკში“, რომელსაც მაშინ სათა-

ვეში ჩაუდგნენ ნ. ნეკრასოვი და ი. პანაევი. ბ. ბელინსკი გახდა „სოვრემენნიკის“ ერთ-ერთი ძირითადი თანამშრომელი და ჩვეული ენერგიით განაგრძო მოღვაწეობა.

1848 წელს ბელინსკი გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

ბ. ბელინსკი როგორც კრიტიკოსი. ლიტერატურული კრიტიკა რუსეთში ბ. ბელინსკამდეც არსებობდა, მაგრამ კლასიციზმის ეპოქის „ტრადიციული კრიტიკა“ კმაყოფილდებოდა ცალკეული ნაწარმოებების შეფასებით იმ დოგმატური „წესების“ მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ ძველად და ყველა მწერლისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა. ეს იყო ფორმალური, ზერელე და წვრილმანი კრიტიკა. ის მოითხოვდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი „კანონების“ მკაცრად დაცვას, ქედს იხრიდა „ავტორიტეტების“ წინაშე, მთავარ ყურადღებას აქცევდა მხატვრული ნაწარმოებების რომელიმე ცალკეულ მხარეს და აფასებდა მას არისტოკრატიული გემოვნების თვალსაზრისით.

ოციან წლებში, რომანტიზმისა და კლასიციზმის ცხარე ბრძოლის ჟამს, რუსმა რომანტიკოსებმა მკაცრად გაილაშქრეს დოგმატური კრიტიკის წინააღმდეგ, წამოაყენეს „შემოქმედების თავისუფლების“ პრინციპი და კრიტიკას უფრო სერიოზული და მებრძოლი ხასიათი მისცეს.

მაგრამ მხოლოდ ბ. ბელინსკის ხვდა წილად ახალი რუსული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებლის საპატიო როლი, მხოლოდ მან შესძლო მიეცა კრიტიკისათვის დიდი საზოგადოებრივი შინაარსი და რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით გადაეჭრა ეპოქის საჭირბოროტო სოციალური, პოლიტიკური და ლიტერატურული პრობლემები. თავისი დროის მატერიალისტურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით ბ. ბელინსკიმ რუსეთში პირველმა ჩამოაყალიბა ვეშმარიტად მეცნიერული ესთეტიკა, რუსულ ხელოვნებაში დაამკვიდრა რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპები, რუსული ლიტერატურა წარმართა ერთადერთ სწორი — რეალისტური გზით.

ბ. ბელინსკი, ცხადია, ერთბაშად არ გაბედარა არც რევოლუციონერ-დემოკრატი და არც რუსული რეალისტური კრიტიკის მამამთავარი. მისი შეხედულებები იცვლებოდა და იხვეწებოდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

1834 წლიდან მოყოლებული, როდესაც გამოქვეყნდა ბ. ბელინსკის პირველი სერიოზული ნაშრომი, მან განვლო იდეურ-შემოქმედებითი მომწიფების რთული გზა. მისი შეხედულებები განვითარდა იდეალიზმიდან მატერიალიზმამდე, აბსტრაქტული განმანათლებლო-

ბიდან რევოლუციურ დემოკრატიზმამდე, ხელოვნების იდეალისტურ-რომანტიკული გაგებიდან მატერიალისტურ ესთეტიკამდე. ბ. ბელინსკის შემოქმედება იყოფა ორ პერიოდად: პირველი პერიოდი მოიცავს 1834 — 1839 წლებს, როცა იგი მოსკოვში მოღვაწეობდა, მეორე კი — ორმოციან წლებს („პეტერბურგის პერიოდი").

ოცდაათიან წლებში, დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის პირობებში, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის საშუალება აღარ არსებობდა და ამიტომ რუსეთის მოწინავე განათლებულმა საზოგადოებამ საჭირბოროტო საკითხების ახსნა-განმარტების ძიება დაიწყო სხვადასხვა თეორიასა და ფილოსოფიურ სისტემაში. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ა. გერცენისა და ნ. სტანკევიჩის წრეები მოსკოვის უნივერსიტეტში. ბ. ბელინსკი, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებული იყო სტანკევიჩის წრესთან და განიცდიდა შელინგის იდეალისტური ფილოსოფიის ზეგავლენას, ხოლო შემდგომ — ჰეგელის გავლენას. ორმოციან წლებში კი ბ. ბელინსკი წარმოგვიდგება როგორც მატერიალისტი, სოციალისტ-უტოპისტი და რევოლუციონერ-დემოკრატი, როგორც მგზნებარე მებრძოლი ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ, როგორც ექსპლუატირებულ გლეხთა მასების იდეოლოგი..

თავისი ცხოვრება-შემოქმედების მეორე პერიოდში დიდმა კრიტიკოსმა ფილოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა შეცვლასთან ერთად, ბუნებრივია, შეიცვალა ესთეტიკური შეხედულებებიც. ორმოციან წლებში მან ჩამოაყალიბა ხელოვნების ახალი, მატერიალისტური თეორია.

თუ ოცდაათიან წლებში ბ. ბელინსკი პოეტს უყურებდა როგორც პასიურ შემოქმედს, რომელიც შთაგონების ჟამს ღვთაებრივ იდეას გამოხატავს თავის თხზულებაში, ორმოციან წლებში იგი გადაჭრით უარყოფდა თეზისს ლიტერატურის „ღვთაებრიობის" შესახებ, თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის" და დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ ლიტერატურა ხალხის ინტერესებს დაქვემდებარებოდა. „ხელოვნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურის უფლების წართმევა, — წერდა ბ. ბელინსკი „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვაში", — ნიშნავს არა მის ამაღლებას, არამედ მის დამცირებას, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს წაართვა მას ყველაზე ცხოველი ძალა, ესე იგი აზრი, აქციო რაღაც სიბარიტიული განცხრომის საგნად, უსაქმო მცონარეთა სათამაშოდ".

ამ დროიდან კრიტიკოსი იმ აზრისაა, რომ მწერლის მთავარ ამოცანას შეადგენს ცხოვრების რეალისტურად ასახვა. „ხელოვნება, —

წერს იგი, — არის სინამდვილის წარმოსახვა, განმეორებული, თითქოს ხელახლა შექმნილი სამყარო".

მაგრამ სინამდვილის სწორად ასახვისას მწერალმა უნდა გამოავლინოს მისადმი საკუთარი დამოკიდებულება, შეაფასებს მისცეს ასახულ მოვლენებს. მაშასადამე, ხელოვნება უნდა იყოს არა ობიექტივისტურ-ფოტოგრაფიული, არამედ კრიტიკულ-რეალისტური, ე. ი. ისეთი, რომელიც შეიცავს სუბიექტურ ელემენტსაც, „იმ ღრმა, ყოვლისშემცველ და ჰუმანურ სუბიექტურობას, რომელიც მხატვარში პოვებს მგზნებარე გულის ადამიანს" და არა პასიურ მჭვრეტელს. „პოეტს საკუთარ ასახვებში შეაქვს ცოცხალი პირადი აზრი, რომელიც მათ აძლევს მიზანსა და აზრს".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბ. ბელინსკი იბრძოდა ჭეშმარიტი რეალიზმისათვის, რომელიც არა მარტო ასახავს მოვლენის გარეგნობას, არამედ საფუძვლიანად ხსნის მის შინაარსს.

ხელოვნების სპეციფიკის შესახებ ამ მსჯელობასთან დაკავშირებით საინტერესოა ბ. ბელინსკის აზრი ხელოვნებისა და მეცნიერების მსგავსება-განსხვავებაზე. კრიტიკოსის სწორი შენიშვნით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „არა შინაარსით, არამედ მოცემული შინაარსის მხოლოდ დამუშავების ხერხით. ფილოსოფოსი მსჯელობს სილოგიზმებით, პოეტი სახეებითა და სურათებით, ხოლო ორივე ლაპარაკობს ერთსა და იმავეს... ერთი ამტკიცებს, მეორე აჩვენებს და ორივე გვარწმუნებს, ერთი ლოგიკური დასკვნებით, მეორე კი სურათებით".

თავისი ახალი ესთეტიკური კონცეფცია ბ. ბელინსკიმ ბრწყინვალედ გაატარა რუსი მწერლების შემოქმედების კონკრეტულ ანალიზში; პროგრესულმა მსოფლმხედველობამ და მაღალმა ესთეტიკურმა გემოვნებამ მას საშუალება მისცა განესხვავებინა მოწინავე და ჭეშმარიტად მხატვრული მწერლობა იმ კონსერვატიული და უნიჭო ლიტერატურული ქმნილებებისაგან, რომელთა პოპულარიზაციას თავგამოდებით ეწეოდნენ მმართველი წრეები და რეაქციონული ჟურნალები. ბ. ბელინსკიმ გააცამტვერა „ყალბი და ამაო მიმართულება" რუსულ ლიტერატურასა და კრიტიკაში, თამამად შეუტია და დაამხო კუკოლნიკი, ბენედიქტოვი და სხვა „გაბერილი ავტორიტეტები". ამავე დროს, იგი ბულგარინის, შევირიოვისა და სხვა რეაქციონერი ჟურნალისტებისაგან თანმიმდევრულად იცავდა რეალისტურ მიმართულებას: ა. პუშკინს, მ. ლერმონტოვს, ნ. გოგოლსა და „ნატურალური სკოლის" მწერლებს, რომელთაც კრიტიკოსმა სპეციალური სტატიები უძღვნა.

ა. პუშკინის შესახებ შთაგონებით დაწერილ ერცელ გამოკვლე-

ვაში (1843 — 1846), რომელიც თერთმეტი სტატიისაგან შედგება, ბ. ბელინსკიმ მოგვცა არა მარტო დიდი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი, არამედ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურის მეცნიერული მიმოხილვაც. ბ. ბელინსკი ა. პუშკინს განიხილავს წარსულ ლიტერატურასთან ორგანულ კავშირში და დიდად აფასებს მას როგორც „თავისი ეპოქის ნამდვილ ამსახველს", „სინამდვილის პოეტს", შესანიშნავ რეალისტსა და ხელოვნური სიტყვის გენიალურ ოსტატს.

ა. პუშკინის მემკვიდრედ ბ. ბელინსკი თვლიდა მ. ლერმონტოვს, რომლის ლექსებსა და „ჩვენი დროის გმირს" სპეციალური სტატიები მიუძღვნა.

ნ. გოგოლში ბ. ბელინსკი ხედავდა ახალი, მამხილებლურ-რეალისტური ეტაპის წამომწყებ მწერალს. გოგოლი არის, — ამბობს იგი, — გენიალური, ყველაზე უფრო თანამედროვე, ნაციონალური და სოციალური მწერალი.

ბ. ბელინსკი იყო მოწინავე რეალისტური მწერლობის გულისხმიერი მეგობარი და ხელმძღვანელი, კერძოდ, ნ. გოგოლის დიდი თაყვანისმცემელი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა გაელაშქრა შეცდომების წინააღმდეგ, თუნდაც ისინი დაეშვა საყვარელ მწერალს. ამ მხრივ დამახასიათებელია 1847 წელს ბ. ბელინსკის მიერ ნ. გოგოლისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა დიდი კრიტიკოსის მგზნებარე რევოლუციურ-დემოკრატიული ბუნება. ამ წერილში ბ. ბელინსკიმ მკაცრად გააკრიტიკა 1847 წლის დასაწყისში ნ. გოგოლის მიერ გამოქვეყნებული რეაქციული წიგნი — „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან".

„ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ცხადნოჩინცების მიერ თავადაზნაურთა სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ბ. ბელინსკიც იყო. მისი ცნობილი „წერილი გოგოლისადმი", რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებდა, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო, რომელმაც დღემდეც უდიდესი ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა".[1]

ბ. ბელინსკიმ რუსეთში საფუძველი ჩაუყარა მატერიალისტურ ფილოსოფიას, რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებსა და რეალისტურ ესთეტიკას. ბ. ბელინსკის შეხედულებები სამოციან წლებში მტკიცედ დაიცვეს და განავითარეს ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლიუბოვმა და მათმა სახელოვანმა თანამოაზრეებმა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, 1951, გვ. 239.

ბ. ბელინსკი და ქართული ლიტერატურა. ბ. ბელინსკიმ პირველმა გაარკვია კავკასიის გავლენა რუსული ლიტერატურის განვითარებაში და მას პუშკინის, ლერმონტოვისა და გრიბოედოვის პოეტური სამშობლო უწოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი როლი, რომელიც ბ. ბელინსკის მდიდარმა მემკვიდრეობამ შეასრულა ქართული მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურის წინსვლაში. ცნობილია, რომ ბ. ბელინსკის ცხოველმყოფელი გავლენა განიცადეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვა ქართველმა მოღვაწეებმა, რომლებმაც გასული საუკუნის ორმოცდაათიან და სამოციან წლებში პეტერბურგში მიიღეს განათლება. მაშინ რუსეთში უკვე არსებობდა ა. პუშკინისა და ბ. ბელინსკის მიერ შექმნილი მძლავრი რეალისტური ლიტერატურა და რეალისტური კრიტიკა, ახალი სალიტერატურო ენა და ესთეტიკა. საქართველოში კი ყოველივე ეს უნდა შეექმნათ ახალი თაობის წარმომადგენლებს — თერგდალეულებს.

და აი, სამოციან წლებში ახალი თაობის ხელმძღვანელმა ილია ჭავჭავაძემ საქართველოში, ისე როგორც ადრე პუშკინმა და ბელინსკიმ რუსეთში, მძაფრი ბრძოლა გააჩაღა იმისათვის, რომ ლიტერატურაში დაემკვიდრებინა ახალი ენა, შეექმნა რეალისტურ-დემოკრატიული ლიტერატურა და კრიტიკა. ამ ბრძოლაში, ცხადია, თერგდალეულები და მათი ბელადები შემოქმედებითად იყენებდნენ, პირველ რიგში, რუსეთის გამოცდილებას; კერძოდ, ბ. ბელინსკის შესანიშნავ შრომებს.

ბ. ბელინსკისადმი, როგორც ავტორიტეტული მასწავლებლისადმი, პატივისცემა და სიყვარული გამოსჭვივის როგორც ი. ჭავჭავაძის წერილებში („ორიოდე სიტყვა", „პასუხი"...), ისე ჟურნალ „საქართველოს მოამბეში", რომელიც 1863 წელს თერგდალეულებმა დააარსეს ი. ჭავჭავაძის მეთაურობით.

ბ. ბელინსკის მოღვაწეობის მაღალი შეფასება მოცემულია აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვა გამოჩენილ ქართველ სამოციანელთა შრომებშიც.

საერთოდ ბ. ბელინსკიმ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული რეალისტური ლიტერატურისა და კრიტიკის განვითარებას.

ა. ი. გერცენი

ა. გერცენის ადგილი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, მისი როლი რევოლუციის მომზადებასა და XIX საუ-

კუნის რუსული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში შესანიშნავად განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა. დიდი რუსი მოაზროვნის ფილოსოფიური და პოლიტიკური მოძღვრების საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედების ბრწყინვალე დახასიათება მოცემულია ვ. ი. ლენინის შრომაში „გერცენის ხსოვნას“.

ვ. ი. ლენინის აზრით, „გერცენი ეკუთვნოდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას“ [1]. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა როგორც დეკაბრისტების მემკვიდრე, მაგრამ XIX საუკუნის 40-იან წლებში ავიდა ისეთ სიმაღლეზე, რომ გაუთანასწორდა თავისი დროის ევროპის უდიდეს მოაზროვნეებს. გერცენმა ჰეგელის დიალექტიკა შეითვისა და გაიგო, როგორც რევოლუციის ალგებრა. კიდევ მეტი: გერცენი ჰეგელზე უფრო შორს წავიდა მატერიალიზმისაკენ ფოიერბახის კვალდაკვალ.

ა. გერცენის ცხოვრება და მოღვაწეობა. ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი (1812—1870) დაიბადა 6 აპრილს მოსკოვში. იგი მდიდარი აზნაურის იაკოვლევისა და გერმანელი გუვერნიორი ქალის ლუიზა ჰააგის ქორწინებისგარეშე შვილი იყო. მამამ ოფიციალურად გამოაცხადა ალექსანდრე თავის შვილად და მისცა გვარი გერცენი (გერმანული სიტყვიდან Herz — გული). პატარა გერცენი ბავშვობაში მამის ოჯახში მოწმე იყო ყმა-გლეხების დამცირებისა და არაადამიანური ჩაგვრისა. ბატონყმური ცხოვრების სისასტიკემ იგი პოლიტიკურად ნაადრევად მოამწიფა. ბავშვობაშივე ჩაეწერგა გერცენს სიძულვილი მონობისადმი, ყოველგვარი ჩაგვრისა და უსამართლობისადმი. ბავშვის დაახლოებას ყმა-გლეხებთან ხელს უწყობდა აგრეთვე „უკანონო შვილის“ „ყალბი მდგომარეობა“, რომელიც გაბატონებული იყო პატარა გერცენის ირგვლივ.

თვითნებობისადმი დაუცხრომელ სიძულვილს კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა რილეევისა და პუშკინის აკრძალული ლექსები, რომლებსაც გერცენი ფარულად შოულობდა და კითხულობდა. მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში იგი გაეცნო აგრეთვე ფრანგი და გერმანელი განმანათლებლების მხატვრულ შემოქმედებას. პატარა გერცენი დიდი გატაცებით კითხულობდა ვოლტერის, შილერის, გოეთეს, ბომარშეს, რუსოს ნაწერებს.

გერცენი იზრდებოდა და გონებრივად მწიფდებოდა რუსეთის სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 11.

ზოგადოების პატრიოტული შემართების წლებში. ამ საზოგადოებისათვის 1812 წლის სამამულო ომი გარდასული ისტორიული ამბავი კი არ იყო, არამედ გუშინდელი დღე, რომელიც მან მწვავედ განიცადა. „მოყოლილი ამბები მოსკოვის ხანძრის შესახებ, — წერს გერცენი „ნამყო და ნააზრევში“, — ბოროდინოს ბრძოლაზე, ბერეზინის შესახებ, პარიზის აღებაზე ჩემთვის აკვნის სიმღერები, საბავშვო ზღაპრები, ჩემი ილიადა და ოდისეა იყო“. მაგრამ გერცენზე უფრო ძლიერი გაელენა 1825 წლის სისხლიანმა ამბებმა მოახდინეს, რომლებმაც იგი პოლიტიკურად გამოაფხიზლა. განსაკუთრებით აღშფოთა იგი დეკაბრისტების მეთაურთა სიკვდილით დასჯამ, რუსეთის საზოგადოების რჩეულთა ციმბირში გადასახლებამ. 14 წლის ჰაბუკმა თავის მეგობარ ოგარიოვთან ერთად მოსკოვში ფიცი დადო შურა ეძია „წამებულთათვის, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ“.

1829 წელს გერცენი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებაზე. ამ დროისათვის მოსკოვის უნივერსიტეტი გადაქცეული იყო რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნების დიდ კერად. დეკაბრისტების აჯანყების დამარცხების შემდეგ, XIX საუკუნის 30 — 40-იან წლებში რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის, და ყაზოგადოდ, გონებრივმა ცენტრმა მოსკოვში გადაინაცვლა. მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტში გაცხოველებული ფილოსოფიური და პოლიტიკური მოძრაობა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტანკევიჩის ფილოსოფიური და გერცენის პოლიტიკური წრეები, რომლებშიც ჩაბმული იყო იმდროინდელი მოწინავე რუსი სტუდენტი ახალგაზრდობა.

უნივერსიტეტში, თავის უახლოეს მეგობარ ოგარიოვთან ერთად, გერცენი გატაცებით კითხულობდა ფრანგი უტოპისტ-სოციალისტების, გერმანელი ფილოსოფოსებისა და გამოჩენილი ევროპელი მწერლების ნაწერებს. უნივერსიტეტის წლები გერცენის ცხოვრებაში ინტელექტუალური მომწიფების წლებია, მაგრამ იგი არასოდეს არ მისდევდა ევროპელ ფილოსოფოსებს როგორც მოკრძალებული მოწაფე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავის ერთ-ერთ წერილში ოგარიოვს სწერდა, რომ ჩვენ შელინგს უნდა გავცდეთ, მოვახდინოთ მისი მოძღვრების მოდიფიკაცია, უკუვაგდოთ მისგან ბევრი რამ და დავიტოვოთ მხოლოდ მეთოდები, რადგან „შელინგი მივიდა მისტიკურ კათოლიციზმთან, ხოლო ჰეგელი — დესპოტიზმთან“.

1833 წელს გერცენმა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, მაგრამ მალე — 1834 წლის 21 იელისს იგი დააპატიმრეს ანტითვით-

მპყრობელური ასრების პროპაგანდისათვის და 1835 წლის მარტში პერმში გადაასახლეს, იქიდან — ვიატკაში, ხოლო 1838 წელს — ვლადიმირში. აქ გერცენმა ცოლად შეირთო ნატალია ალექსანდრეს ასული ზახარინა.

გადასახლებაში მყოფი გერცენი აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. აქ შექმნა მან მთელი ციკლი რომანტიკული ნაწარმოებებისა, რომლებსაც უმთავრესად ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდათ. ისტორიულ-დრამატულ სცენებში „ლიცინია", „ვილიამ პენი" და სხვ. გერცენი გვიხატავს ღარიბებისა და მდიდრების მწვავე სოციალურ ანტაგონიზმს.

1839 წელს გერცენი გაათავისუფლეს, მაგრამ მალე — 1841 წ. კვლავ გადაასახლეს ნოვგოროდში, საიდანაც იგი ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. გადასახლებაში ყოფნის დროს გერცენი კიდევ უფრო კარგად გაეცნო რუსეთის ცხოვრებას, თავისი თვალით ნახა ბატონყმური სოფლის სიდუხჭირე. გადასახლებაში ყოფნის დამთავრებასთან ერთად დამთავრდა აგრეთვე მწერლის რომანტიზმი, მისი მხატვრული შემოქმედების ადრეული პერიოდი. 1842 — 1847 წლებში გერცენი მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრობდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ა. გერცენი გადასახლებიდან დაბრუნდა სწორედ იმ დროს, როდესაც პეტერბურგსა და მოსკოვში ცხარე ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ბრძოლები მიმდინარეობდა. გერცენი დაუყოვნებლივ ჩაება ამ ბრძოლებში. მან ზედიზედ გამოაქვეყნა მხატვრული, პუბლიცისტური, ფილოსოფიური ნაწერები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფილოსოფიური შრომები „დილეტანტიზმი მეცნიერებაში" („Дилетантизм в науке", 1843). და „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ" („Письма об изучении природы" 1345 — 1846). ამ შრომებში გერცენი იძლევა მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების ბრწყინვალე ანალიზს. 40-იან წლებში, როდესაც ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიით გაბრუებული რუსეთის ინტელიგენცია სინამდვილის გამართლების მოლიპულ გზას დაადგა, გერცენმა იმავე ფილოსოფიიდან რევოლუციური დასკვნები გამოიტანა. მან შესანიშნავად გაიგო ჰეგელის დიალექტიკის რევოლუციური არსი და ის ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოიმარჯვა. „XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მან შეძლო ასულიყო აზრით სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გატოლებოდა. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ეს

დიალექტიკა წარმოადგენს რევოლუციის ალგებრას. იგი წაიღო ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ... გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე" [1].

1847 წელს მთავრობის მუდმივი დევნით შევიწროებული გერცენი საბუდამოდ გადასახლდა უცხოეთში. „მე მიზიდავდა თავისუფალი ბრძოლის შესაძლებლობა და თავისუფალი სიტყვა, ვეძებდი დამოუკიდებელ ასპარეზს", — ასე ახსნა გერცენმა თავისი გადასახლება უცხოეთში.

ა. გერცენი საფრანგეთში სწორედ 1848 წლის რევოლუციის წინახანებში ჩავიდა. იგი უშუალო მონაწილე იყო რევოლუციური გამოსვლებისა, რაზედაც იგი ადრე დიდ იმედებს ამყარებდა. გერცენს ეგონა, რომ 1848 წლის საფრანგეთის რევოლუცია განახორციელებდა იმ მაღალ იდეალებს, რომლებსაც ჰქადაგებდნენ ფრანგი განმანათლებლები და სოციალისტები და, რომლებსაც იგი მხურვალედ ფიქარებდა, მაგრამ მოტყუვდა. რევოლუციაში პროლეტარიატი დამარცხდა, ძალაუფლება ხელთ იგდო კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, რომელსაც სოციალისტურ იდეებთან არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო. 1848 — 1850 წლებში გერცენი თვალყურს ადევნებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის განვითარებას და საბოლოოდ რწმუნდება, რომ ბურჟუაზიული ევროპა უძლურია შეასრულოს სოციალიზმის განხორციელების დიადი მისია.

1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის ხასიათში გერცენი ვერ გაერკვა; მართალია, მან სწორად გააკრიტიკა ბურჟუაზია, მაგრამ ვერ შეაფასა პროლეტარიატის ისტორიული როლი. ამან გამოიწვია რუსი რევოლუციური დემოკრატის სულიერი დრამა, მისი ადრინდელი ილუზიების კრახი. „გერცენის სულიერი დრამა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ნაყოფი და ანარეკლი იყო, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უკვე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო" [2].

ა. გერცენის სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა იმ ტრაგიკული ამბების შედეგად, რომლებიც მას 1851 — 1852 წლებში თავს დაატყდა. 1851 წლის აპრილში სენატმა გერცენს ყველაფერი, რაც კი მას რუსეთში გააჩნდა ჩამოართვა და რუსეთიდან სამუდამოდ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 12.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 13.

გარიყულად გამოაცხადა. იმავე წლის შემოდგომაზე გემის ჩაძირვის დროს დაეღუპა დედა და ვაჟიშვილი, ხოლო გაზაფხულზე მოუკვდა მეუღლე. გერცენმა მწვავედ განიცადა ეს შემაძრწუნებელი ამბები, მათ კიდევ უფრო მეტად გააძლიერეს მისი სულიერი დრამა, მაგრამ ვერ გასტეხეს. სწორედ ამ პერიოდში მან ფართო პუბლიცისტური მუშაობა გააჩაღა ჯერ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ შვეიცარიაში. აქ გამოაქვეყნა შრომები „იმ ნაპირიდან“ („С того берега“), „რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ რუსეთში“ „О развитии революционных идей в России“ და სხვ. აქ ჩამოაყალიბა მან თავისი „რუსული სოციალიზმის“ თეორია.

ამ თეორიის მიხედვით ბურჟუაზიული საზოგადოება გაიხრწნა, გადაგვარდა, მან „სოციალური ანტროპოფაგია“ განიცადა. ევროპას არ ძალუძს სოციალიზმზე გადასვლა, რადგან მას არ გააჩნია ისეთი ჭეშმარიტად სოციალისტური ბუნების მქონე საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ ბურჟუაზიის ბატონობას. ასეთი ძალა, სოციალისტური ბუნების მატარებელი, გერცენის აზრით, რუსეთის გლეხობაა. რუსული გლეხური თემი, რომელსაც გააჩნდა კოლექტიური საკუთრება მიწაზე, მომავალი სოციალისტური საზოგადოების ჩანასახია.

ა. გერცენის „რუსული სოციალიზმის“ თეორია, რასაკვირველია, არ არის სწორი. რუსმა უტოპისტ-სოციალისტმა ვერც მუშათა სოციალისტური ბუნება გაიგო და ვერც მისი ისტორიული როლი შეაფასა. გერცენი შეცდა აგრეთვე გლეხური თემის გაგებაში, რომელსაც სოციალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა — არც ფსიქოლოგიური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით. თანაც თემის არსებობა რუსეთის პატრიარქალური ჩამორჩენილობის ნაშთი იყო და მისი მოსპობა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ისტორიულად გარდუვალი უნდა ყოფილიყო.

გერცენის „რუსულ სოციალიზმს“, რომელსაც მეცნიერული სოციალიზმის თეორიასთან არსებითად არაფერი საერთო არა აქვს, დადებითი, რევოლუციური მხარეებიც გააჩნია. ამ თეორიის მიხედვით სოციალიზმის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოსპობა, ამიტომ გერცენი თავის ნაწერებში დაუცხრომლად ამხელდა რუსეთის სინამდვილეს, ებრძოდა მას, როგორც რუსი ხალხის უბოროტეს მტერს.

ა. გერცენმა პირველმა დაანახვა ევროპელ მკითხველებს, რომ რუს ხალხს გააჩნია უდიდესი შინაგანი სულიერი ძალა, რომ მას შეუძლია მომავალში დიადი სოციალური გარდაქმნების მოხდენა, თუ კი იგი გათავისუფლდება ბატონყმური უღლისაგან.

შრომაში „რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ რუსეთში“ გერცენმა ევროპელ მკითხველს რუსული კულტურის განვითარების ვრცელი და ღრმა დახასიათება მისცა. განსაკუთრებული სიყვარულით მოუთხრო მან დეკაბრისტების, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის მოღვაწეობის შესახებ.

1852 წლის აგვისტოში გერცენი საცხოვრებლად ლონდონში გადაიცა. აქ იგი შეუდგა რუსული სტამბის მოწყობის სამზადისს. 1853 წელს პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემის მიზნით შექმნა „თავისუფალი რუსული სტამბა“. გერცენის ცენზურით შეუბოჭავმა თავისუფალმა პრესამ დიდი რევოლუციური როლი შეასრულა. ათასობით იქნა შემოტანილი გერცენის პოლიტიკური პროკლამაციები, რომლებშიც დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ხალხს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ.

ყირიმის კამპანიის პერიოდში გერცენმა კიდევ უფრო მეტად გააფართოვა თავისი საგამომცემლო მოღვაწეობა. 1855 წლიდან მან დაიწყო ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდას“ („პოლარული ვარსკვლავი“) გამოცემა. თავის პირველ ჟურნალს გერცენმა რილეევისა და ბესტუჟევის ალმანახის სახელწოდება მისცა და ყდა სიკვდილით დასჯილი დეკაბრისტების სურათით დაამშვენა.

1857 წლის 1 ივლისიდან გერცენი ოგარიოვთან ერთად გაზეთ „კოლოკოლის“ („ზარის“) გამოცემას შეუდგა. პირველ ხანებში გაზეთი თვეში ერთხელ, ხოლო შემდეგ ორჯერ გამოდიოდა. „კოლოკოლი“ რუსეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. იგი სწვდებოდა რუსეთის თითქმის ყველა კუთხეს და სწრაფად ვრცელდებოდა. გერცენმა რუსეთში შექმნა ინფორმაციის მიღების ფართო ქსელი. მას წერილებს აწვდიდნენ არა მარტო საზღვარგარეთ მყოფი რუსი მოღვაწეები, არამედ რუსეთში მცხოვრები არალეგალური კორესპონდენტებიც, რომლებიც სისტემატურად უგზავნიდნენ გერცენს ინფორმაციებს.

„კოლოკოლის“ მთავარი თემა ბატონყმობა იყო. მის ფურცლებზე უველაზე უფრო ხშირად იბეჭდებოდა მამხილებელი წერილები თავადაზნაურობის უმსგავსოებისა და გლეხობის აუტანელი მდგომარეობის შესახებ. ფარული კორესპონდენტების ფართოდ ორგანიზებული ქსელი გერცენს შესაძლებლობას აძლევდა მკითხველისათვის ეცნობებინა მებატონეთა დანაშაულებრივი მოქმედება, დაეხატა ბატონყმურ საშინელებათა შემაძრწუნებელი სურათები. „კოლოკოლი“ ეხმაურებოდა აგრეთვე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსაც. სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს, რომლებიც რუსეთის მთავრობის ძალადობას, პოლიტიკურ რეპრესიებსა და თვითნებობას შეეხებოდა.

ფრიად საყურადღებოა, რომ გერცენი დიდ ინტერესს იჩენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ლონდონში მას დაასტუმრებული ჰყავდა პოლონელი, ქართველი და ჩაგრული ერების სხვა პოლვაწეები. გერცენის გასეთმა მხარი დაუჭირა პოლონელ მეამბოხეებს და მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის რეაქციული და ლიბერალური პრესა, რომელიც პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებით შოვინისტურ პროპაგანდას ეწეოდა.

მაგრამ გერცენი კარდინალურ სოციალურ საკითხებში თანმიმდევრობას ვერ იჩენდა. იგი ერთხანს დიდ იმედებს ამყარებდა ალექსანდრე მეორეზე, ეგონა, რომ მეფე გლეხობას ბატონყმური უღლისაგან გაათავისუფლებდა, რომ ხალხს თავისუფლებას მისცემდა. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა გერცენის ეს შეცდომა, აღნიშნა რომ „ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნოსოლოვიევიჩი, რომლებიც რევოლუციონერ-რაზნოჩინცების ახალ თაობას წარმოადგენდნენ, ათასჯერ მართალი იყვნენ, როცა უსაყვედურებდნენ გერცენს ამ გადახვევას დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ“ [1].

მაგრამ გერცენი მალე გაერკვა შექმნილ ვითარებაში. იგი მიხვდა, რომ მეფე და მისი საგლეხო რეფორმა რუსეთის გლეხობას ვერ გაათავისუფლებდა. 60-იან წლებში გერცენი უშიშრად იდგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი „კოლოკოლში“ რუს ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. „შენ გძულს მემამულე, — მიმართავდა გერცენი რუს გლეხებს „კოლოკოლის“ ერთ-ერთ ნომერში, — გძულს მოხელე, გეშინია მათი და საცვებით მართალი ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ გჯერა მეფისა, მღვდელმთავრისა ნუ გჯერა მათი. მეფე მათთანაა“.

დაწყებული 60-იანი წლებიდან სიკვდილამდე გერცენის მსოფლმხედველობა განუწყვეტლივ მემარცხენე გზით ვითარდებოდა. მან კავშირი გაწყვიტა არა მარტო რუს ლიბერალებთან, არამედ ანარქისტ ბაკუნინთანაც და სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში „თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ ინტერნაციონალს, იმ ინტერნაციონალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი“ [2].

გერცენის უკანასკნელ შრომებში აშკარად ჩანს, რომ რევოლუციონერმა დემოკრატმა დაიწყო უტოპისტ-სოციალისტური იდეებისაგან განთავისუფლება, მან დაიწყო მუშათა კლასის ისტორიული როლის აღიარება საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნაში. ნათელია აშკარად ხედავდა, რომ მუშათა კლასი რევოლუციური აღმაველობის გზით მიემართებოდა, რომ მშრომელი ხალხი ამზადებდა

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 16.

[2] იქვე.

დიდ ისტორიულ გადატრიალებას, მაგრამ, სამწუხაროდ, გერცენი ამ გადატრიალებას — პარიზის კომუნას — ვერ მოესწრო. 1870 წელს იგი პარიზში გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

ამრიგად, გერცენი იყო უტოპისტ-სოციალისტი იმდენად, რამდენადაც საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მამოძრავებელ ძალას ხედავდა არა მუშათა კლასში, არამედ გლეხობაში, მაგრამ იგი იყო არა მარტო უტოპისტ-სოციალისტი, არამედ და უმთავრესად, რევოლუციური დემოკრატი, რადგან ქადაგებდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის რევოლუციური გზით მოსპობას.

ა. გერცენი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიარაღებული იყო მარქსამდელი აზროვნების ყველაზე უფრო მოწინავე თეორიით. იგი ყოველგვარ მოვლენებს დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისით ხსნიდა. მართალია, გერცენმა ვერ შიაღწია ისტორიულ-მატერიალიზმს, მან ვერ გამოიყენა დიალექტიკური მატერიალიზმის კანონები საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაში, მაგრამ მისი პოლიტიკური და ფილოსოფიური თეორიის განვითარება აქეთკენ მიემართებოდა.

მხატვრული შემოქმედება. გერცენის ნაწერები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: ერთ ჯგუფში შედიან ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნაწერები, ხოლო მეორეში — მხატვრული. პირველი ჯგუფის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „დილეტანტიზმი მეცნიერებაში“, „რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ რუსეთში“, „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“, „იმ ნაპირიდან“, და სხვ. მეორე ჯგუფს კი მიეკუთვნებიან მოთხრობები: „ექიმი კრუპოვი“, „ქურდბაცაცა კაჭკაჭი“ („Сорока-воровка“) და რომანი „ვინ არის დამნაშავე?“ ცალკე უნდა გამოვყოთ გერცენის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მემუარული ნაწარმოები „ნამყო და ნააზრევი“ („Былое и думы“).

ბელეტრისტული ნაწარმოებების საშუალებით გერცენი ქადაგებდა იმავე რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, რომლებსაც იგი ლოგიკური ცნებებით პუბლიცისტურ ნაწერებში ამტკიცებდა. გერცენისათვის მხატვრული სიტყვა იყო ბასრი იარაღი, რომლის საშუალებითაც ებრძოდა თვითმპყრობელობასა და ბატონყმობას.

ა. გერცენი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით. ჯერ კიდევ 30-იანი წლების რომანტიკულ ნაწარმოებებში: „პირველი შეხვედრა“, „ლეგენდა“, „ლიცინია“, „ეილიამ პენი“,

„ელენე“ და სხვ. ახალგაზრდა მწერალი ზიზღით ისსენიებს ცხოვრების მახინჯ მხარეებს, უსამართლობას, ადამიანის ჩაგვრა-მონობას, მაგრამ სოციალური პრობლემებისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად გერცენის ადრინდელ შემოქმედებას მაინც აკლია მხატვრულობა, ორიგინალობა. გერცენი, როგორც ბელეტრისტი, როგორც კრიტიკული რეალისტი, ჩამოყალიბდა 40-იან წლებში.

„ვინ არის დამნაშავე?“ (1847). 1840—41 წლებში ჟურნალში „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ იბეჭდებოდა გერცენის მხატვრული ნარკვევები ისკანდერის ხელმოწერით. აქედან დაწყებული ეს ხელმოწერა იქცა გერცენის მუდმივ ფსევდონიმად. ნარკვევებს დიდი წარმატება ჰქონდათ, რადგან მათში პირველად იჩინა თავი გერცენის რეალისტურმა ტენდენციებმა.

ამ წარმატებებით წახალისებულმა გერცენმა გადაწყვიტა უფრო დიდ ჟანრზე გადასვლა და დაიწყო წერა რომანისა „ვინ არის დამნაშავე?“ 1847 წელს დაასრულა იგი და დაბეჭდა ჟურნალ „სოვრემენნიკში“.

ა. გერცენი თავის რომანში შეეხო მრავალ საჭირბოროტო საკითხს: ბატონყმობის, ოჯახის, აღზრდის, პიროვნების თავისუფლების, ინტელიგენციის ბედის, ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სხვ. მაგრამ ამ მრავალ პრობლემათა შორის ბატონყმობის საკითხი მთავარია. ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ანტიბატონყმური მაძხილებელი პათოსით.

რომანის სიუჟეტს საფუძვლად უდევს მძიმე დრამა, რომელსაც განიცდიან ნაწარმოების მთავარი გმირები, ზნეობრივად ამაღლებული კეთილშობილი ადამიანები. ზნედაცემული დესპოტი ნეგროვის ოჯახში იზრდება მისი უკანონო ქალიშვილი ლიუბენკა, რომელიც ყოველგვარ დაცინებას განიცდის იმიტომ, რომ მისი დედა გლეხია. ამ კეთილშობილ გოგონას გული სიკეთითა და მაღალი ჰუმანური გრძნობებით აქვს სავსე. მას უყვარს ჩაგრული ადამიანები, რომლებიც ნეგროვის ოჯახში სასტიკ ტანჯვა-წვალებას განიცდიან. ლიუბენკა გონებრივადაც ძალე მომწიფდა, რასაც, განსაკუთრებით, ხელი შეუწყო ახალგაზრდა რაზნოჩინელმა დიმიტრი კრუციფერსკიმ — ნეგროვის ვაჟიშვილის მასწავლებელმა.

კრუციფერსკისა და ლიუბენკას ერთიმეორე შეუყვარდებათ. ნეგროვი, რომელიც ნატრობდა „უკანონო“ ქალიშვილის თავიდან მოცილებას, მათ შეუღლებას ვერ არ გადაეღობა. პირიქით, იგი სიძეს საჭმისახურს ეშოვის და ახლად შეუღლებულთ ცალკე დაასახლებს.

ლიუბენკამ პირველ ხანებში თავი ბედნიერად იგრძნო, რადგან

თავისი ბედი დაუკავშირა ადამიანს, რომელიც არაფრით არ ჰგავდა გადაგვარებულ ნეგროვებს. კიდევ უფრო ბედნიერი იყო კრუციფერსკი. მას თავდავიწყებით უყვარდა ცოლი. ეს სიყვარული გახდა მისი ცხოვრების აზრი, სიცოცხლის მიზანი.

მაგრამ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახური მყუდროება დიდხანს არ გაგრძელებულა. მოულოდნელად გამოჩნდა ახალგაზრდა თავადიშვილი ვლადიმერ ბელტოვი, რომელიც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ თავის კარ-მიდამოს დაუბრუნდა. ბელტოვი და კრუციფერსკი უნივერსიტეტის ამხანაგები იყვნენ და ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. ბელტოვის გაცნობის შემდეგ ლიუბენკამ იგრძნო, რომ მის ქმარს არ შეეძლო მის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ლიუბენკას აზრით, სულ სხვა იყო ბელტოვი — განათლებული, ლამაზი, სულიერად ამაღლებული კაცი. აი, ვინ უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრების ნამდვილი გმირი, ფიქრობდა ლიუბენკა და იტანჯებოდა. ლიუბენკას და ბელტოვს ერთიმეორე შეუყვარდებათ, კრუციფერსკი მალე მიხვდება თავის უბედურებას და დარდის მოსაკლავად ღვინის სმას დაიწყებს. ლიუბენკას არ შეუძლია ოჯახის დანგრევა, შეყვარებულებს ებრალებათ საწყალი კრუციფერსკი და გადაწყვეტენ სამუდამოდ დაშორებას. ბელტოვი ისევ სამოგზაუროდ გადაიკარგება, მაგრამ კრუციფერსკების ოჯახი ვეღარ გამთელდება. ის უბედური იყო, დაინგრა, სამი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ვინ არის დამნაშავე? სვამს კითხვას გერცენი. პირდაპირ არ პასუხობს, მაგრამ რომანის მთელი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დამნაშავეა ცხოვრება, რუსეთის სინამდვილე, რომელიც ადამიანს ზღუდავდა და არ აძლევდა მოქმედების ფართო ასპარეზს. ლიუბენკას, ბელტოვის, კრუციფერსკის ცხოვრების აზრი სიყვარული იყო, მათ არ გააჩნდათ მაღალი იდეალები, საზოგადოებრივი ინტერესები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვდა მათგან შრომას, ბრძოლას. ეს უკანასკნელი ააცდენდა მათ უბედურებას, კატასტროფას, მაგრამ, ავტორის აზრით, არც ამაში იყვნენ დამნაშავენი მისი რომანის გმირები.

კრუციფერსკი რაზნოჩინელია, მაგრამ ჩუსტი, მას არც ნებისყოფა გააჩნია და არც საჭირო შინაგანი სულიერი ძალები იმისათვის, რომ ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდეს. თანაც მას მაღალ იდეალზე და დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე წარმოდგენა არა აქვს. ჩამორჩენილ ბატონყმურ რუსეთში კრუციფერსკის შეგნებას ჯერ კიდევ არ გაუღვიძია.

კრუციფერსკისაგან განსხვავებით ბელტოვი ეძებს სამოღვაწეო ასპარეზს, მან ბევრი იმოგზაურა საზღვარგარეთ, რუსეთში, ბევრი რამ ნახა, ბევრგან სცადა თავისი ნიჭის გამოყენება, მაგრამ ყველგან

მარცხი განიცადა. ერთხანს ბელტოვი კანცელარიაშიც მსახურობდა, მაგრამ მისი განათლება, ნიჭი, ინტერესები მეფის ბიუროკრატიულ აპარატს არ სჭირდებოდა. შემდეგ ბელტოვმა ხელი მოჰკიდა მეცნიერებას, ფერწერას, მაგრამ ორივე მობეზრდა, თავი დაანება. აქ თავი იჩინა იმ საერთო მანკმა, რომლითაც დაავადებული იყვნენ მისი წინამორბედები — ონეგინი და პეჩორინი. ბელტოვიც „ზედმეტი ადამიანია", არც მას გააჩნია პრაქტიკული მოღვაწეობის უნარი, მას არც იდეალი აქვს და არც მისი განხორციელებისათვის შესწევს მოქმედების უნარი, მაგრამ, როგორც ეს დობროლიუბოვმა შენიშნა, ბელტოვი ონეგინისა და პეჩორინისაგან განსხვავდება. იგი ბევრად უფრო მაღლა დგას. ბელტოვისათვის არ არის დამახასიათებელი არც პეჩორინელი ეგოცენტრიზმი და არც ცივი სკეპტიციზმი. გერცენის გმირი ჰუმანურია, მას შეუძლია სიყვარული, სიკეთე. მან ვერ ნახა ცხოვრებაში თავისი შესაფერი ადგილი, გული გაუტყდა და ეგონა, რომ ინტიმურ ცხოვრებაში მაინც იპოვიდა ბედნიერებას, მაგრამ ბედმა არც აქ გაუღიმა. მისი ბედნიერება ინტიმურ სფეროშიც შეუძლებელი აღმოჩნდა.

როგორც ბელტოვზე, ასევე კრუციფერსკიზე მაღლა ლიუბენკა დგას. იგი ახლოა ხალხთან. „ჩანს, რომ დედაჩემის გლეხური სისხლი შემრჩა ძარღვებში", — წერს იგი თავის დღიურში.

ლიუბენკა უფრო ძლიერი გრძნობებისა და ნებისყოფისაა, იგი მოწოდებულია აქტიური მოქმედებისათვის, საგმირო საქმეებისათვის. „იგი ვეფხვის ლეკვია, რომელსაც თავისი ძალა შეგნებული არა აქვს", — ამბობს მასზე ექიმი კრუპოვი.

ლიუბენკა წინამორბედია ჩერნიშევსკის ახალი ადამიანის — ვერა პავლეს ასულისა.

„ქურდბაცაცა კაჭკაჭი" და „ექიმი კრუპოვი". „ქურდბაცაცა კაჭკაჭის" წერა გერცენმა 1846 წელს დაამთავრა, მაგრამ ის ჟურნალ „სოვრემენნიკში" 1848 წელს დაიბეჭდა. მოთხრობის სიუჟეტს საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს, რომელიც გერცენმა გამოჩენილი რუსი მსახიობისაგან მ. ს. შჩეპკინისაგან გაიგო.

ისე როგორც „ვინ არის დამნაშავე?" ამ ნაწარმოების მთავარი თემაც ბატონყმობაა. მასში აღწერილია ნიჭიერი გლეხის გოგოს ანიუტას ტრაგიკული ბედი.

ბატონმა თავის შინაურ თეატრში შენიშნა, რომ მისი ყმა გოგო ანიუტა დაჯილდოებული იყო მსახიობის ნიჭით. თეატრალური განათლების მისაღებად მან იგი საზღვარგარეთ წაიყვანა. ანიუტა, მართლაც, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი აღმოჩნდა, მაგრამ მისი სოციალური მდგომარეობა ვერც ნიჭმა და ვერც ევროპულმა გა-

ნათლებამ ვერ შეცვალა. როდესაც სამშობლოში დაბრუნდა მისი მეუღლე ბატონი უეცრად გარდაიცვალა; ახალი ბატონი ტლანქი, დესპოტი და ზნედაცემული აღმოჩნდა. იგი ანიუტას ისე ექცევა, როგორც მონას, თანაც მოინდომებს ლამაზი ანიუტას მხევლად გადაქცევას, მაგრამ მსახიობი ქალი წინააღმდეგობას გაუწევს. გაავებული ბატონი ანიუტას კიდევ უფრო მეტად დაუწყებს დევნას, აყენებს შეურაცხყოფას და მას უდროოდ უსპობს სიცოცხლეს.

ღნიშვიერესი მსახიობი ქალი დაიღუპა ისე, რომ რუსეთმა მის შესახებ ვერაფერი გაიგო. ასე იღუპება მრავალი ნიჭიერი ადამიანი ბატონყმურ რუსეთში; ბატონყმობა მტერია ნიჭის, განათლების, ხელოვნების იმიტომ, რომ ის ბოჭავს მრავალმილიონიანი გლეხობის ინტელექტუალურ განვითარებას. ანიუტამ შემთხვევით მიიღო განათლება, მაგრამ ისიც დაღუპეს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს გერცენის ამ პატარა მოთხრობიდან.

„ქურდბაცაცა კაჭკაჭში" ქალის ემანსიპაციის პრობლემაც არის დასმული. მოთხრობის დასაწყისში, სადაც სლავიანოფილი და მედასავლეთე კამათობენ რუსი ქალის საზოგადოებრივი როლის შესახებ, გერცენი იცავს რუს ქალს, მისი პიროვნების მოქალაქეობრივ ღირსებასა და უფლებას. ავტორი გვიჩვენებს სლავიანოფილების თეორიის უსუსურობას, რომლის მიხედვითაც რუსი ქალი ოჯახისათვის არის მოწოდებული და არა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, რომ რუს ქალს არ სჭირდება არც თეატრი და არც სხვა რომელიმე სამოღვაწეო სარბიელი, ეს მას კი არ აამაღლებს, არამედ დაამცირებს, დაუკარგავს ქალურ ღირსებას.

1846 წელს არის დაწერილი აგრეთვე მოთხრობა „ექიმი კრუპოვი", რომელიც არსებითად მხატვრული ენით დაწერილი მძაფრი პოლიტიკური პამფლეტია. მოთხრობა წარმოდგენილია როგორც გამოცდილ ექიმ-მატერიალისტის კრუპოვის ავტობიოგრაფიის ერთი ნაწყვეტი. მრავალწლიანმა სამკურნალო პრაქტიკამ ექიმი კრუპოვი დაარწმუნა, რომ კაცობრიობის პრივილეგირებული ნაწილი ფსიქიურად არის დაავადებული, რომ ადამიანთა ისტორია შეშლილთა ბიოგრაფიაა, რომ სიგიჟემ მოიცვა მთელი მსოფლიო, როგორც დასავლეთი, აგრეთვე აღმოსავლეთი. ამ დაავადებას გადაურჩნენ მხოლოდ გლეხები და ხელოსნები, მაგრამ პარაზიტული წოდების ავადმყოფობა, მათზედაც უარყოფითად მოქმედებს.

მოთხრობაში გამოყვანილია პატარა ბიჭი ლიოვკა, რომელსაც არანორმალურ ბავშვად თვლიან და აბუჩად იგდებენ. მართლაც, ლიოვკამ ვერ ისწავლა, მაგრამ ზნეობრივად ის უფრო მაღლა დგას,

ეიდრე ნასწავლი ადამიანები. კრუპოვის აზრით, გიჟი ის არის ვინც ეგოისტია, წამგლეჯი, ზნედაცემული და არა ლიოვკა, რომელსაც უყვარს ბუნება, მეგობარი და მათდამი საოცარ ერთგულებას იჩენს.

„ნამყო და ნააზრევი“. ეს ნაწარმოები გერცენმა თავისი სიცოცხლის მიწურულში დაასრულა. „ნამყო და ნააზრევი“ მემუარულ ჟანრს ეკუთვნის. ეს არის ავტორის თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ნანახის, განცდილისა და ნააზრევის ისტორია. ამ ხნის განმავლობაში გერცენი რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ცენტრში იდგა და მას ადვილად შეეძლო მთელი ეპოქის ისტორიაზე ლაპარაკი. მას ჰქონდა მდიდარი მასალა, პირადი დაკვირვებებით მიღებული მრავალი შთაბეჭდილება და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის დიდი პრაქტიკა.

„ნამყო და ნააზრევი“ არ არის ბელეტრისტული ნაწარმოები, მაგრამ მისი ენა ხატოვანებით, ძარღვიანობით, ემოციური სიმძაფრით არ ჩამოუვარდება პირველხარისხოვანი რომანების ენას. იგივე ითქმის სახეებზე. გერცენმა შექმნა თანამედროვეთა ისეთი ბრწყინვალე პორტრეტები, რომლებიც როგორც ისტორიულ-ბიოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით მემუარულ ლიტერატურაში დღემდე მიუწვდომელ დონეზეა. ასეთებია ბელინსკის, ოგარიოვის, გრანოვსკის, ბოტკინის, ბაკუნინის, ლუი ბლანის და სხვა რუს და ევროპელ მოღვაწეთა სახეები.

„ნამყო და ნააზრევში“ ბრწყინვალედ არის დახატული გერცენის ცოლის სახე, შემკული მაღალი სულიერი ღირსებებით, ქალური სინაზითა და სიამაყის გრძნობით. ასევე დიდი ადგილი უკავია ნაწარმოებში ავტორის სიყრმის მეგობარს ოგარიოვს, რომლის შესახებაც იგი წერდა, — „ეს ადამიანი მჭირდება, იგი აუცილებელია ჩემთვის; მე უიმისოდ დაუმთავრებელი პოემის ერთი ტომი, ნაწყვეტი ვარ“.

„ნამყო და ნააზრევში“ დაწვრილებით არის აღწერილი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება—დაწყებული დეკაბრისტების აჯანყებიდან. ვრცლად არის მოთხრობილი 30-იანი წლების მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა წრეების შესახებ, სლავოფილებისა და მედასავლეთეების ბრძოლის, 40-იანი წლების რუსული რევოლუციური აზროვნების ჩამოყალიბების შესახებ და სხვ. მკითხველის თვალწინ დგებიან რუსი მოღვაწეები: ჩაადაევი, ოგარიოვი, სტანკევიჩი, ბაკუნინი, ბელინსკი, ბოტკინი, გრანოვსკი, ხომიაკოვი, აქსაკოვი, კირეევსკი და სხვები, რომლებიც მონაწილეობდნენ რუსეთის საზოგადოებ-

რევ მოძრაობაში და, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერცენს:

„ნამყო და ნააზრევში“ დაწვრილებით არის გადმოცემული აგრეთვე ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს იმ მნიშვნელოვან მოვლენათა შესახებ, რომელთა მონაწილე ან მოწმე თვითონ იყო. გერცენი გვიხატავს დასავლეთ ევროპის იმ მოღვაწეთა სახეებსაც, რომლებთანაც მას უშუალო კავშირი ჰქონდა. ასეთებია ლუი ბლანი, პრუდონი, ვიქტორ ჰიუგო, მიცკევიჩი და სხვ.

გერცენის მემუარებში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე მოწინააღმდეგე ბანაკის სატირულ სახეებს. ავტორი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს ვიატკისა და ნოვგოროდის მოხელეთა ბნელსა და ბინძურ საქმეებზე, შეუბრალებელი ბენკენდორფის ვერაგობაზე, მისი მოადგილის დუბელტის გაიძვერობაზე და უპირველეს ყოვლისა ჯალათ ნიკოლოზ პირველზე.

ა. გერცენი და ქართველი მოღვაწეები. ქართველი მოღვაწეებისათვის გერცენი მახლობელი იყო არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული იდეებითაც. ქართველებზე არ შეიძლება დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა გერცენის გამოსარჩლებას აჯანყებული პოლონელების მიმართ. დიდი რუსი დემოკრატის გამოქომაგებას, რა თქმა უნდა, საზოგადოდ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოლონელთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებისათვის.

თვით გერცენი, ოგარიოვთან ერთად, საერთო რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდ იმედებს ამყარებდა კავკასიის ხალხებზე. ახლად აღმოჩენილი მასალებიდან ირკვევა, რომ გერცენის ვარაუდით რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებაში რუს ხალხთან ერთად გარკვეული როლი კავკასიასაც უნდა შეესრულებინა.

ა. გერცენთან პირადი და იდეური ურთიერთობა ბევრ ქართველ მოღვაწეს ჰქონდა. აკაკი წერეთელი ავტობიოგრაფიულ „თავგადასავალში“ წერს, — რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა კარგად იცნობდა გერცენს. ამასვე ადასტურებენ ქართული ლიტერატურის ცნობილი მოღვაწეები სოფრომ მგალობლიშვილი და იაკობ მანსვეტაშვილი.

ა. გერცენთან განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნიკო ნიკოლაძე. „1864 წლის შემოდგომაზე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მე საზღვარგარეთ, პარიზში გამგზავრება მოვახერხე. წლის ბოლოს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მე აქ მომძებნა ა. გერცენმა იმ ზამთარს და 1865 წლის გაზაფხულზე გერცენი ყოველთვის მნახუ-

ლობდა ხოლმე პარიზზე გავლით მგზავრობისას. გერცენმა დამითანხმა, მისი „კოლოკოლისათვის“ დამეწერა სტატია გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში. მე დიდხანს უარზე ვიდექი, მაგრამ ბოლოს მაინც მძლია მისმა სიყვარულმა და მივეცი სტატია, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია იმდროინდელ პრესაში“.

ნ. ნიკოლაძის სტატიამ, „გლეხთა' განთავისუფლება საქართველოში“, მართლაც დიდი აურზაური გამოიწვია, რადგან ქართველმა მოღვაწემ ისევე როგორც ნ. ჩერნიშევსკიმ, რეფორმას უარყოფითი შეფასება მისცა, მას „ცრუგანთავისუფლების კომედია“ უწოდა. ამ სტატიის შემდეგ „კოლოკოლში“ დაიბეჭდა ნიკოლაძის რამდენიმე წერილი: „ჩვენი მომავალი ადვოკატები „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ წინაშე“, „იელისის დღეები თბილისში“ და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ა. გერცენთან პირადი ნაცნობობა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილს. გერცენი ავადმყოფ დოდაშვილს შეხვდა ვიატკაში, სადაც ქართველი მოღვაწე 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იყო გადასახლებული.

ა. გერცენის ნაწერების დაბეჭდვა მეფის ცენზურას აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად ქართულ ჟურნალ „კრებულის“ პირველსავე ნომერში „ექიმი კრუპოვის“ თარგმანი გამოჩნდა. მოთხრობის ავტორი დასახელებული არ იყო, მაგრამ მიაწერეს — „რუსულიდან“, ბოლოში კი მთარგმნელის გვარი — გ. ცაგარელი.

ნ. გ. ჩერნიშევსკი და 1860-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა რუსეთში

ახალი ეტაპი განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ლიტერატურის ისტორიაში. რევოლუციონერი დემოკრატები. 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციას მეფის რუსეთმა რეაქციის გაძლიერებით უპასუხა. აქედან დაიწყო ეგრეთ წოდებული ბნელი შვიდწლეულის ხანა, რომელიც 1855 წლამდე გაგრძელდა. ამ დროს ბელინსკი უკვე აღარ იყო ცოცხალი. გერცენი საზღვარგარეთ მოღვაწეობდა, მოწინავე ძალები სასტიკ დევნას განიცდიდნენ, ჟურნალისტიკა და ლიტერატურა საშინელ საცენზურო პირობებში ჩავარდა.

„ბნელ შვიდწლეულს“ მოჰყვა არნახული აღმავლობა რუსეთის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში — სამოციანი წლების სახელოვანი ეპოქა. 1855 წელს ყირიმის ომი მეფის რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. ომმა განსაკუთრებით გამოააშკარავა რუსეთის

ეკონომიკური და ტექნიკური ჩამორჩენილობა, ბატონყმობისა და თვითმპყრობელური რეჟიმის დრომოჭმულობა. გლეხთა აჯანყებები გაბატონებული წყობილების წინააღმდეგ მთელ რუსეთს მოედო. ალექსანდრე მეორემ, რომელიც ნიკოლოზ I-ის სიკვდილს შემდეგ 1855 წ. ავიდა ტახტზე, იფიქრა: უკეთესია გლეხები „ზევიდან“ გავათავისუფლოთ, სანამ ისინი დაგვაბრუნებდნენ.

გლეხთა საკითხი ეპოქის ცენტრალურ საკითხად იქცა. მის გარშემო დიდი კამათი და ბრძოლა გაჩაღდა საზოგადოების ყველა ფენაში. ძირითადად კი ორი მიმართულება დაისახა: ლიბერალური და რევოლუციურ-დემოკრატიული. ლიბერალები უმთავრესად თავადაზნაურობის ინტერესებიდან გამოდიოდნენ. მართალია, ისინიც კიცხავდნენ ბატონყმობას, მემამულეთა და მოხელეთა სისასტიკე-თვითნებობას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდნენ გლეხების განთავისუფლებას „ზევიდან“, რეფორმის გზით, უმიწაწყლოდ.

გლეხთა ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებად გამოდიოდნენ რევოლუციონერ-დემოკრატები — ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ხელმძღვანელობით. ისინი სათავეში ჩაუდგნენ დემოკრატიულ ძალებს და ბრძოლა გააჩაღეს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დასამხობად „ქვევიდან“, გლეხური რევოლუციის გზით.

„1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომლებიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს“ [1].

რევოლუციონერ-დემოკრატები (მათ ხშირად უწოდებენ აგრეთვე გლეხურ ანუ მუჟიკურ დემოკრატებს, რაზნოჩინელებს, სამოციანელებს, განმანათლებლებს) წარმოადგენენ რუს რევოლუციონერთა მეორე თაობას. პირველი თაობისაგან — დეკაბრისტებისაგან ისინი განსხვავდებოდნენ როგორც თავიანთი წარმოშობით, ისე ცხოვრების ველობით. დეკაბრისტები თავადაზნაურთა წრიდან გამოსული რევოლუციონერები იყვნენ. ისინი ებრძოდნენ ბატონყმობასა და ცარიზმს, მაგრამ თავიანთი მიზნების განხორციელებას სამხედრო გადატრიალების გზით ცდილობდნენ, გლეხობისაგან შორს იდგნენ და სახალხო აჯანყებას გაურბოდნენ. რევოლუციონერ-დემოკრატები კი „რაზნოჩინული“ წარმოშობის მოღვაწეები იყვნენ (სასულიერო პირების, მეშჩანების, წვრილი მოსამსახურეების შვილები), ისინი ხალხთან ახლოს იდგნენ, გლეხთა ინტერესებს გამოხატავდნენ და გლეხური რევოლუციისათვის იბრძოდნენ.

ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და მათმა თანამებრძოლებმა სა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, 1951, წ., გვ. 128 — 129.

მოციან წლებში განაგრძეს და გააღრმავეს თავიანთი უშუალო წინამორბედის — ბელინსკის ტრადიციები და ნიადაგი მოუმზადეს მესამე თაობას — პროლეტარ-რევოლუციონერებს, რომელთაც სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინი.

ამგვარად, დაახლოებით 1855 წლიდან რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში იწყება ახალი რევოლუციურ-დემოკრატიული ეტაპი. ამიერიდან საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებენ „რაზნოჩინელები". ეს იყო უაღრესად ნაირფერ, ფართოდ ერუდირებულ, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ მოღვაწეთა პლეადა. ისინი მრავალმხრივ ლეგალურ და ფარულ პრაქტიკულ-რევოლუციურ და თეორიულ მუშაობას ეწეოდნენ.

გლეხთა აჯანყების შედეგად რუსეთში 1859 — 61 წწ. რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ იგი რევოლუციაში ვერ გადაიზარდა. 1861 წელს მეფის მთავრობამ ბატონყმობა რეფორმის გზით გააუქმა, გლეხები უმიწაწყლოდ გაათავისუფლა. ლიბერალები ამ ღონისძიებას შეესალმნენ, რევოლუციონერ-დემოკრატებმა და გლეხობამ კი ახალი ძალით განაგრძეს ბრძოლა, რადგან რეფორმა მებატონეთა სასარგებლოდ გატარდა. სამწუხაროდ, ეს ბრძოლა გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდა: 1862 წელს ჩერნიშევსკი ციხეში ჩასვეს და ორი წლის შემდეგ კატორღაში გაგზავნეს, დობროლიუბოვი 1861 წ. ტუბერკულოზით გარდაიცვალა, ბევრი მათი თანამებრძოლი საპყრობილეში აღმოჩნდა, ზოგიერთი იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო, ზოგი კი სასტიკ საცენზურო პირობებში დადუმდა. რეაქცია თავის გამარჯვებას ზეიმობდა.

ჟურნალი „სოვრემენნიკი". 60-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდა ჟურნალისტიკა, განსაკუთრებით — რევოლუციონერ-დემოკრატების ორგანო „სოვრემენნიკი" („თანამედროვე"). ეს ჟურნალი ა. ს. პუშკინმა დააარსა 1836 წელს. პუშკინის სიკვდილის შემდეგ (1837) „სოვრემენნიკი" დაკნინდა, მაგრამ 1847 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა ნ. ნეკრასოვი, რომელმაც ჟურნალის გარშემო დარაზმა ეპოქის საუკეთესო ლიტერატურული ძალები — ბელინსკი, გერცენი, ოგარიოვი, ტურგენევი, დოსტოევსკი, გრიგოროვიჩი და სხვ. ბელინსკის გარდაცვალებამდე (1848) ეს იყო ყველაზე უფრო რევოლუციური და პოპულარული ჟურნალი რუსეთში.

„ბნელი შვიდწლეულის" მძიმე პირობებში მისი როლი დაქვეითდა, მაგრამ სამოციან წლებში იგი გადაიქცა რაზნოჩინელთა რევოლუციურ ტრიბუნად. ჟურნალში წამყვან როლს ასრულებდნენ ჩერნი-

შევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატები. მათთან ერთად 1855—58 წლებში „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა აგრეთვე ტურგენევის, გონჩაროვის, ლევ ტოლსტოის, გრიგოროვიჩის და სხვა მწერალთა თხზულებები. მაგრამ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით რახნოჩინელებსა და ლიბერალებს შორის უთანხმოება თანდათან გაძლიერდა და 1860 წელს განხეთქილებით დამთავრდა. ორ ბანაკს შორის განხეთქილების საბაბად გადაიქცა ნ. დობროლიუბოვის რეცენზია („როდისღა დადგება ნამდვილი დღე?“) ი. ტურგენევის რომანზე „წინადღით“ (1859). ჟურნალის რედაქტორმა, ნ. ნეკრასოვმა, დობროლიუბოვის ხელნაწერი ტურგენევს დაბეჭდვამდე გააცნო. ტურგენევს არ მოეწონა რეცენზიაში გატარებული რევოლუციური აზრები და ნეკრასოვს ულტიმატუმი წაუყენა: თუ ამ სტატიას დაბეჭდავ, მე შენთან მეგობრობას და თანამშრომლობას შევწყვეტ, აირჩიე — ან მე, ან დობროლიუბოვი. რედაქტორი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მას არ უნდოდა თავისი ძველი მეგობრისა და ნიჭიერი მწერლის — ტურგენევის ჩამოშორება, მაგრამ პრინციპულობა გამოიჩინა და დობროლიუბოვის სტატია დაბეჭდა. ამის შემდეგ, ტურგენევმა და ლევ ტოლსტოიმ, გონჩაროვმა და სხვა ლიბერალურად განწყობილმა მწერლებმა „სოვრემენნიკში“ თანამშრომლობა შეწყვიტეს.

ამიერიდან ჟურნალი მთლიანად რევოლუციონერ-დემოკრატების მებრძოლ ორგანოდ გადაიქცა. „სამმა ნიკოლოზმა“ (ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლიუბოვმა და ნ. ნეკრასოვმა) ჟურნალის გარშემო შემოიკრიბეს რევოლუციურად განწყობილი მწერლები და გაბედული იერიში მიიტანეს დრომოჭმული წესწყობილების წინააღმდეგ. „სოვრემენნიკი“ უშიშრად ამხელდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დამცველებს, რეაქციონერებსა და ლიბერალებს, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მოწინავე საზოგადოებაში. ჟურნალს გატაცებით კითხულობდა და მის დიდ გავლენას განიცდიდა სხვადასხვა ეროვნების მოწინავე ახალგაზრდობაც, მათ შორის — ქართველი სტუდენტობა. ამაზე მეტყველებს მოგონებანი ნიკო ნიკოლაძისა, რომელიც სამოციან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა [1].

---

[1] ვინაიდან XIX საუკუნეში საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში ეწაფებოდა უმაღლეს განათლებას. სამოციან წლებში მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტში 30-ზე მეტი ქართველი პაბუკი სწავლობდა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.).

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბითა და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას. რანაირად გვიფეთქავდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტკბილი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია!“.

საგლეხო რეფორმის შემდეგ მეფის მთავრობამ „სოვრემენნიკის“ წინააღმდეგ რეპრესიები გააძლიერა. ჯერ ჟურნალის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი მ. მიხაილოვი დააპატიმრა, შემდეგ — 1862 წელს — თვით ნ. ჩერნიშევსკი ჩასვა ციხეში; იმავე წელს „სოვრემენნიკი“ რვა თვით აკრძალეს. მაგრამ როცა იგი კვლავ გამოიცა 1863 წელს, მკითხველი საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჟურნალი მტკიცედ განაგრძობს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ტრადიციებს. ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, პომიალოვსკი, რეშეტნიკოვი, ანტონოვიჩი და სხვანი, მიუხედავად სასტიკი ცენზურისა, მაინც ახერხებდნენ რეაქციონერებისა და ლიბერალების მხილებას, მოწინავე იდეების პროპაგანდას, რევოლუციური ნაწარმოებების ბეჭდვას. მრავალი გაფრთხილების შემდეგ 1866 წელს მეფის მთავრობამ სამუდამოდ აკრძალა „სოვრემენნიკის“ გამოცემა.

სამოციანი წლების სხვა მოწინავე პერიოდული ორგანოებიდან აღსანიშნავია „სვისტოკი“ („სასტვენი“), რომელიც 1859 წლიდან ნ. დობროლიუბოვის ხელმძღვანელობით გამოდიოდა (როგორც „სოვრემენნიკის“ დამატება) და, რომელშიც უმთავრესად სატირული სტატიები, ლექსები და პაროდიები იბეჭდებოდა. იმავე წლიდან გამოდიოდა ჟურნალები „ისკრა“ („ნაპერწკალი“) და „რუსსკოე სლოვო“ („რუსული სიტყვა“). უკანასკნელის წამყვანი თანამშრომელი იყო ნიჭიერი კრიტიკოსი დემოკრატი დ. პისარევი.ჩამოთვლილი ჟურნალები თავისი იდეური მიმართულებით „სოვრემენნიკს“ უახლოვდებოდნენ. ისინი დაუნდობლად ამხელდნენ რეაქციულ პრესას, კერძოდ, ა. კატკოვის ჟურნალ „რუსსკი ვესტნიკს“ („რუსული მოამბე“).

ახალი მოვლენები მხატვრულ ლიტერატურაში. განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა პერიოდმა, საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობამ სამოციან წლებში ხელი შეუწყო მხატვრული ლიტერატურის სწრაფ განვითარებას და მასში ახალი მი-

მართულებების, ახალი ყანრებისა და გმირების წარმოშობას. ლიტერატურა კიდევ უფრო დაუახლოვდა ხალხის ცხოვრებასა და ინტერესებს, რეალიზმმა უფრო ღრმა, დემოკრატიული ხასიათი მიიღო, მწერლებმა თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში ეპოქის აქტუალური საკითხები დასვეს და ახლებურად გადაჭრეს.

ი. ტურგენევმა თავის რომანებში („წინადღით", „მამები და შვილები" და სხვ.) დამაჯერებელი მხატვრული ძალით გვიჩვენა, რომ ახალი დროის გმირები არიან არა პეჩორინები და ონეგინები, არამედ რაზნოჩინელი ინსაროვები და ბაზაროვები. ი. გონჩაროვის „ობლომოვი" მოწმობდა .ფეოდალურ-პატრიარქალური კლასის სრულ დეგრადაციასა და განწირულებას. ლევ ტოლსტოის გმირები გრძნობდნენ პრივილეგიური საზოგადოების სიყალბესა და პარაზიტიზმს, ისინი შინაგან ტანჯვას განიცდიდნენ და ხალხთან დაახლოებას ცდილობდნენ. ა. ოსტროვსკი თავის პიესებში ამხელდა „ბნელი სამეფოს" შემაბრუნებელ ზნე-ჩვეულებებს.

ვინაიდან განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში „რაზნოჩინელები" ჩაუდგნენ, ბუნებრივია, ლიტერატურაშიც განსაკუთრებული სიმძლავრით გაგვითარდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს თვით ჩერნიშევსკის მრავალმხრივი მოღვაწეობა და, კერძოდ, მისი რომანი „რა ვაკეთოთ?", რომელიც რაზნოჩინელთა საპროგრამო ნაწარმოებად გადაიქცა. მკვეთრად გაისმოდა შესანიშნავი რევოლუციონერი პოეტის ნეკრასოვის სევდითა და რისხვით აღსავსე ხმა ჩაგრული ხალხის დასაცავად. სალტიკოვ-შჩედრინმა თავისი გენიალური სატირა მიმართა ბატონყმობისა და ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. გლებ უსპენსკიმ და სხვა მოწინავე მწერლებმა დიდი სიმართლითა და თანაგრძნობით აგვიწერეს „პატარა ადამიანების" სიღატაკე და გაჭირვება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „დაბალი" წარმოშობის მთელი დასის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე. სამოციან წლებში „სოვრემენნიკისა" და სხვა მოწინავე ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე ქვეყნდებოდა და ფართოდ ვრცელდებოდა ნ. პომიალოვსკის, ფ. რეშეტნიკოვის, ნ. უსპენსკის, ვ. სლეპცოვისა და სხვა დემოკრატ ბელეტრისტთა მოთხრობები, რომანები და ნარკვევები.

ღარიბი დიაკვნის შვილმა, ნიჭიერმა მწერალმა ნიკოლოზ პომიალოვსკიმ თავის „მოლოტოვსა" და „მეშჩანურ ბედნიერებაში" („Мещанское счастье") შესანიშნავად აღწერა რაზნოჩინელი ინტელიგენტის მოლოტოვის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ხოლო „ნარკვევებში ბურსის შესახებ" („Очерки бурсы") სასტიკად ამხილა სასულიერო სასწავლებლებში გამეფებული სისაძაგლენი. გლეხთა აუტანელი სიღატაკის, უუფლებობისა და უვიცობის მართალი, შე-

მაძრწუნებელი სურათები დახატეს თავიანთ მოთხრობებსა და ნარკვევებში ღარიბი დიაკვნის შვილმა თევდორე რეშეტნიკოვმა („Подлиповцы“) და სოფლელი მღვდლის შვილმა ნიკოლოზ უსპენსკიმ. ვასილ სლეპცოვი „მძიმე ხანაში“ („Трудное время“) მკაცრად აკრიტიკებდა საგლეხო რეფორმას და რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა მოთხრობის მთავარი გმირის პირით.

დემოკრატიულ პროზასთან ერთად სამოციან წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რევოლუციურ-სატირული პოეზია, რომელსაც პირობითად ნეკრასოვის სკოლას უწოდებენ. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ: მიხეილ მიხაილოვი (ჩერნიშევსკის მეგობარი, „სოვრემენნიკის“ აქტიური თანამშრომელი, რომელმაც ცხოვრების ბნიშვნელოვანი ნაწილი საპყრობილეში და გადასახლებაში გაატარა); ვასილ კუროჩკინი (სატირულ ჟურნალ „ისკრას“ ხელმძღვანელი, ნიჭიერი პოეტი და მთარგმნელი); დიმიტრი მინაევი („ისკრას“ ერთ-ერთი პოეტი); ნიკოლოზ დობროლიუბოვი, რომელიც თავის მახვილ პოლიტიკურ და სატირულ ლექსებს მეტწილად „სვისტოკში“ ბეჭდავდა და სხვ.

სამოციან წლებში, კლასთა ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის საწინააღმდეგო მიმართულებებიც ჩამოყალიბდა. შეიქმნა, მაგალითად, „ანტინიჰილისტური“ რომანები (კრესტოვსკი და სხვ.) „წმინდა პოეზიისათვის“ დამახასიათებელი ლექსები (ფეტი, მაიკოვი და სხვ.)

ორმა ძირითადმა მიმართულებამ თავი იჩინა სამოციანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაშიც: ერთი მხრივ, ა. დრუჟინინი და მისი თანამოაზრე ლიბერალები, რომლებიც „წმინდა ხელოვნების“ იდეალისტურ თეორიას ქადაგებდნენ, მეორეს მხრივ კი — ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ლიტერატურა მართლად ასახავდეს ცხოვრებას, ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, ხელს უწყობდეს საზოგადოების წინსვლას.

ნ. ჩერნიშევსკის ცხოვრება და მოღვაწეობა. სამოციანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული ბრძოლების ცენტრში იდგა ნ. ჩერნიშევსკი. ის იყო რუს რევოლუციონერთა მეორე თაობის ღირსეული ბელადი, „დიდი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი“ (კ. მარქსი), ფილოსოფოსი და ეკონომისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მწერალი. ვ. ი. ლენინის სიტყვით, ნ. ჩერნიშევსკი იყო მარქსამდელი მატერიალისტური ფილოსოფიისა და უტოპიური სოციალიზმის უდიდესი წარმომადგენელი, მგზნებარე რევოლუციონერ-დემოკრატი, გლეხური რევოლუციის იდეოლოგი.

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი (1828 — 1889) დაიბადა ქ. სარატოვში, განათლებული მღვდლის ოჯახში. იგი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, სადაც გამოირჩეოდა ნიჭით, ცოდნითა და სიბეჯითით. 16 წლის ახალგაზრდა თავისუფლად ფლობდა ლათინურ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს, იცოდა აგრეთვე ძველი არაბული, სპარსული და პოლონური ენები.

რადგანაც სასულიერო კარიერა ჩერნიშევსკის არ იზიდავდა, 1846 წ. მან მიატოვა სემინარია და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდა. აქ ჰაბუკი განსაკუთრებით ხარბად დაეწაფა ცოდნას; იგი გატაცებით სწავლობდა ბელინსკის, ჰეგელის, სენ-სიმონის, ფოიერბახის თხზულებებს, მონაწილეობდა სტუდენტთა წრეებში, სადაც ხშირად მსჯელობდნენ საპერბოროტო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. უნივერსიტეტში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობა — სოციალურ-უტოპისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებები.

1850 წ. ჩერნიშევსკიმ უნივერსიტეტი დაამთავრა და მშობლიურ სარატოვს დაუბრუნდა, სადაც მასწავლებლობა დაიწყო გიმნაზიაში. იგი შესანიშნავი პედაგოგი იყო. „მე ისეთ რამეებს ვლაპარაკობ კლასში, რასაც კატორღის სუნი უდისო", — წერდა ჩერნიშევსკი.

— ჩვენში მალე ამბოხება მოხდება, — ეუბნებოდა იგი თავის საცოლეს, — და მე მასში უსათუოდ მივიღებ მონაწილეობას.

1853 წელს ჩერნიშევსკიმ ცოლად შეირთო სარატოველი ექიმის ქალიშვილი ოლღა სოკრატეს ასული ვასილიევა და იმავე წელს პეტერბურგში გადასახლდა. იქ იგი ჯერ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი"-ში თანამშრომლობდა, შემდეგ კი ნეკრასოვს დაუახლოვდა და მისი „სოვრემენნიკის" წამყვანი თანამშრომელი გახდა. ამავე დროს, ჩერნიშევსკიმ პეტერბურგის უნივერსიტეტში სამაგისტრო გამოცდები ჩააბარა და დისერტაცია წარადგინა დასაცავად. დისერტაციაში — „ხელოვნების ესთეტიკური მიმართებანი სინამდვილესთან" — ახალგაზრდა მეცნიერი იცავდა მატერიალისტური, რეალისტური ესთეტიკის პრინციპებს და გაბედულად ილაშქრებდა იდეალიზმის წინააღმდეგ ფილოსოფიასა და ხელოვნებაში. დისერტაციის დაცვა შედგა 1855 წლის გაზაფხულზე. ამ დროს ჩერნიშევსკი უკვე საკმაოდ ცნობილი ავტორი იყო. აუდიტორია, რომელშიც დაცვა მიმდინარეობდა, ხალხით გაიჭედა. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა აღფრთოვანებით უსმენდა ჩერნიშევსკის, რომელიც ესოდენ მტკიცედ და დამაჯერებლად იცავდა თავის დებულებებს. დისერტაციის გარშემო გამართული პაექრობა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა.

„სოვრემენნიკში“ ჩერნიშევსკი ხელმძღვანელობდა ორ უმნიშვნელოვანეს განყოფილებას — პოლიტიკურსა და ლიტერატურულ-კრიტიკულს. 1857 წელს მან ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილება გადასცა თავის ახალგაზრდა თანამოაზრეს ნ. დობროლიუბოვს (რომელმაც ის-ის იყო უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა), თვითონ კი მთლიანად თეორიულ-პოლიტიკური და პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობა განაგრძო. სწორედ ამ დროს მთავრობამ ჟურნალ-გაზეთებს ნება დართო გამოეთქვათ აზრები გლეხთა მომავალი განთავისუფლების შესახებ. ჩერნიშევსკის ყურადღების ცენტრშიც ეს საკითხი დადგა. გამოდიოდა რა მრავალმილიონიანი ყმა-გლეხების ინტერესებიდან, იგი მოითხოვდა მათს განთავისუფლებას მიწიანად.

1861 წლის საგლეხო რეფორმას ჩერნიშევსკიმ უპასუხა პროკლამაციით „მებატონე გლეხებს“, რომელშიც გლეხობას რეფორმის მტაცებლურ ხასიათს განუმარტავდა და ამბოხებისაკენ მოუწოდებდა. ჩერნიშევსკი თავის გარშემო რაზმავდა რუსეთის მოწინავე ძალებს. მის ბინაზე იკრიბებოდნენ რუსი, პოლონელი, ქართველი ახალგაზრდები. ჩერნიშევსკი მრავალმხრივ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა. 1861 წელს მთავრობამ მასზე პოლიტიკური ზედამხედველობა დააწესა და მისი დაპატიმრება გადაწყვიტა. მაგრამ ჩერნიშევსკი მეტად ფრთხილად მოქმედებდა. ჯაშუშებმა „საჭირო მასალა“ ვერ იხელთეს და ამიტომ ფალსიფიკაციას მიმართეს.

1862 წ. ივლისში ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. თითქმის ორ წელს გრძელდებოდა საქმის გამოძიება. მთავრობას ჩერნიშევსკის რევოლუციური მოღვაწეობის დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნდა, ამიტომ საგამომძიებლო კომისია ყალბ „დოკუმენტებს“ და ცრუმოწმეებს იშველიებდა. მაგრამ ჩერნიშევსკი ამხელდა მათ სიყალბეს, პროტესტის ნიშნად მან შიმშილობაც კი გამოაცხადა, რომელიც ცხრა დღეს გაგრძელდა.

ამავე დროს, ციხის საკანში გამომწყვდეული ჩერნიშევსკი ინტენსიურად მუშაობდა. ციხეში დაწერილის მოცულობა ორას თაბახს აღემატებოდა. საპატიმროში დაწერა მან ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, მათ შორის ცნობილი რომანი „რა ვაკეთოთ?“

1864 წლის მარტში ჩერნიშევსკი გადაასახლეს ციმბირში, სადაც მან თითქმის ოცი წელი გაატარა. მიუხედავად აუტანელი პირობებისა, ჩერნიშევსკის ციმბირშიც არ მოუხრია ქედი მოძალადეთა წინაშე, იქაც ბევრს მუშაობდა — კითხულობდა, წერდა. ციმბირში შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „პროლოგი“.

რუსეთის მოწინავე საზოგადოება ვერ ურიგდებოდა ჩერნიშევსკის „პოლიტიკურ სიკვდილს“ (კ. მარქსი). რევოლუციონერებმა ორ-

ჯერ სცადეს მისი ფარულად დახსნა ციმბირიდან, მაგრამ გაქცევის ცდა წარმატებით ვერ დამთავრდა. ჩერნიშევსკი მხოლოდ 1883 წელს გაანთავისუფლეს და ასტრახანში ცხოვრების ნება დართეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. შერყეული ჯანმრთელობისა და მძიმე პირობების მიუხედავად იგი აქაც წერდა და თარგმნიდა. სწორედ, მაშინ გამოაქვეყნა მან „მასალები დობროლიუბოვის ბიოგრაფიისათვის“.

1889 წელს ჩერნიშევსკის ნება მისცეს დაბრუნებულიყო მშობლიურ სარატოვში. იმავე წელს იგი გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით.

ჩერნიშევსკის ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი. სამოციან წლებში რუსეთში გაბატონებული იყო ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის იდეალისტური ესთეტიკა, რომელიც ამტკიცებდა, რომ „აბსოლუტური სული“ ანუ იდეა (ღმერთი) პირველადია, მატერიალური სამყარო (სინამდვილე, ცხოვრება) კი მეორადი, რომ ჰეშმარიტი სილამაზე, მშვენიერება არსებობს პირველადში და ხელოვანი, მწერალი უნდა ასახავდეს აბსოლუტურ იდეას და არა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს იყო „წმინდა ხელოვნების“ („ხელოვნება ხელოვნებისათვის“) რეაქციული თეორია.

ჩერნიშევსკიმ თავის მრავალ შრომაში, განსაკუთრებით კი დისერტაციაში „ხელოვნების ესთეტიკური მიმართებანი სინამდვილესთან“ („Эстетические отношения искусства к действительности“) დამაჯერებლად გააკრიტიკა ეს იდეალისტური თეორია და მკაფიოდ ჩამოაყალიბა მატერიალისტური ესთეტიკა, რომელიც ბელინსკის მოძღვრების განვითარებას წარმოადგენდა.

ჩერნიშევსკის ესთეტიკური კონცეფცია მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: პირველადი არის მატერია, ობიექტური რეალობა. რეალური ცხოვრება (ადამიანთა ურთიერთობა და ბუნება) წარმოადგენს ლიტერატურისა და ხელოვნების წყაროს, მათი ასახვის ობიექტსა და შინაარსს. ჰეშმარიტი სილამაზე, მშვენიერება რეალურ სინამდვილეში არსებობს და ხელოვნებაც სწორედ მას ასახავს. მშვენიერება ცხოვრებაში უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ცხოვრება მაღლა დგას. ნამდვილი, ცოცხალი ვარდი უფრო ლამაზია, ვიდრე მისი სურათი. „მშვენიერი არის ცხოვრება“, — ასკვნის ჩერნიშევსკი. მაგრამ მან კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ყველაფერი მშვენიერი არაა. ამიტომ ჩერნიშევსკი ზემოთქმულ ფრაზას ასე აგრძელებს: „მშვენიერია არსება, რომელშიაც ჩვენ ვხედავთ იმდაგვარ ცხოვრებას, როგორიც

ის უნდა იყოს ჩვენი გაგებით". შემდეგ ავტორი ავითარებს კლასობრივ თვალსაზრისს ხელოვნებაზე და სწორად მიუთითებს, რომ, მაგალითად, გლეხს და არისტოკრატს სულ სხვადასხვაგვარი წარმოდგენა აქვთ ქალის სილამაზეზე. გლეხისათვის ლამაზია ჯანმრთელი, შრომისუნარიანი, გამრჯე ქალი, არისტოკრატისთვის კი — „ჰაეროვანი", ფერმკრთალი არსება. მაშასადამე, — ამტკიცებს ჩერნიშევსკი, — სილამაზის ცნება განპირობებულია ადამიანის სოციალური ცხოვრების პირობებითა და მისი დამოკიდებულებით შრომისადმი.

ხელოვნება სინამდვილეს ასახავს, მაგრამ არა პასიურად, სარკისებურად, ფოტოგრაფიულად, არამედ შემოქმედებითად. მწერალი, ხელოვანი განურჩევლად კი არ აღწერს ცხოვრების ყოველგვარ მოვლენებს, არამედ მხოლოდ იმას, რაც ავტორის წარმოდგენით დამახასიათებელი (ტიპიური) და საინტერესოა. მეტიც, ავტორი უნდა ამყღავნებდეს საკუთარ დამოკიდებულებას ამ მოვლენებისადმი. იძლეოდეს მათს ახსნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურა, ხელოვნება უნდა იყოს ერთგვარი სახელმძღვანელო მკითხველთათვის, მას განაჩენი უნდა გამოჰქონდეს სინამდვილის მიმართ.

გასაგებია, რომ ცხოვრებიდან ტიპიური მოვლენების შერჩევაში, მათს სწორად ასახვასა და განსჯაში უდიდეს როლს ასრულებს თვით ავტორის მსოფლმხედველობა, მისი პოზიციები. მწერალს, ხელოვანს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე. მაშასადამე, მას ფრიად სპატიო და სპასუხისმგებლო საზოგადოებრივი ფუნქცია აკისრია. „ხელოვნება ხელოვნებისათვის" ისეთივე უცნაური რამაა, როგორც „მეცნიერება მეცნიერებისათვის", „სიმდიდრე სიმდიდრისათვის". ყოველგვარი ხელოვნება დამოკიდებულია ცხოვრებაზე და იგი იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად სწორად ასახავს სინამდვილეს, როგორ ემსახურება ცხოვრებას, რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, რამდენად უწყობს ხელს საზოგადოების წინსვლას.

ჩერნიშევსკის მატერიალისტურ-რევოლუციურ ესთეტიკასთან მჭიდრო კავშირშია მისი ლიტერატურულ-კრიტიკული შრომები. ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ (1848), იდეალისტური ესთეტიკის წარმომადგენლები ცდილობდნენ მისი ტრადიციების მივიწყებას და მისი მოძღვრების ფალსიფიკაციას. ამავე დროს, სამოციან წლებში ისინი ერთმანეთს უპირისპირებდნენ პუშკინისა და გოგოლის შემოქმედებას, ამტკიცებდნენ რომ გოგოლი „დიდაქტიკოსია", პუშკინი კი „წმინდა ხელოვნების" წარმომადგენელი, რომ რუსული ლიტერატურა უნდა გაჰყვეს პუშკინის ტრადიციას და უარყოს გოგოლის კრიტი-

ული რეალიზმი. ჩერნიშევსკიმ იერიში მიიტანა ამ ყალბ შეხედულებაზე. მან პუშკინის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებსა და ნაშრომში „გოგოლისეული პერიოდის რუსული ლიტერატურის ნარკვევები“ („Очерки гоголевского периода русской литературы“) სწორად დაახასიათა ბელინსკის შემოქმედება, დაიცვა და განავითარა იგი. ამავე დროს ლიბერალი კრიტიკოსების საწინააღმდეგოდ ჩერნიშევსკი თვლიდა, რომ პუშკინი იყო არა „წმინდა ხელოვნების“, არამედ რეალისტური ხელოვნების წარმომადგენელი.

ჩერნიშევსკიმ რეალისტური ტრადიციების განვითარება და გაღრმავება დაინახა გოგოლის შემოქმედებაში და მ. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებებში „საგუბერნიო ნარკვევები“, რომელსაც მან სპეციალური სტატია მიუძღვნა. დიდი კრიტიკოსის აზრით, თუ გოგოლი თავის ესხმოდა მეფის რუსეთში გავრცელებულ პარაზიტიზმსა და მექრთამეობას, სალტიკოვ-შჩედრინი უფრო შორს მიდის და გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებიც ასეთ მახინჯ მოვლენებს წარმოშობენ.

ნ. ჩერნიშევსკი გამოეხმაურა ლევ ტოლსტოის პირველ ნაწარმოებებს („ბავშვობა და ყრმობა“, „სამხედრო მოთხრობები“), რომლებიც ორმოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა, და სწორად შეაფასა დამწყები მწერლის თავისებურება. ტოლსტოის ნიჭის ძალა, ჩერნიშევსკის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიჩვენებს ადამიანის „სულის დიალექტიკას“, იძლევა ფსიქიური პროცესების ღრმა ანალიზს; გარდა ამისა, ტოლსტოის დადებითი გმირები მიილტვიან პორალური სისპეტაკისაკენ; ცდილობენ განიწმინდონ იმ მავნე და მახინჯი ჩვევებისაგან, რომლებიც მათ „მაღალ საზოგადოებაში“ გამოეშუშავდათ. ჩერნიშევსკი წერდა, რომ ტოლსტოი ამ თვისებებს მომავალშიც შეინარჩუნებსო. კრიტიკოსის სიტყვები სავსებით გამართლდა.

სტატიაში „ცვლილებათა დასაწყისი ხომ არაა?“ („Не начало перемены?“) ჩერნიშევსკიმ დემოკრატი ბელეტრისტის ნიკოლოზ უსპენსკის მოთხრობების ანალიზთან დაკავშირებით გააკრიტიკა სენტიმენტალური მიმართულება ლიტერატურაში და მას „შეუფერავი რეალიზმი“ დაუპირისპირა. საჭიროა არა დაბეჩავებულ გლეხთა იდეალიზაცია, არა სიბრალულის გამოწვევა მათ მიმართ, არამედ მათი სიაქაოს შეუფერავად, მართლად ჩვენებაო, — ამტკიცებდა კრიტიკოსი.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია დასმული ჩერნიშევსკის წერილში „რუსი ადამიანი პაემანზე“ („Русский человек на rendez-vous“) ავტორი ქვესათაურში მიუთითებს, რომ სტატიაში გამოთქმული აზრები მას დაებადა ი. ტურგენევის მოთხრობა „ასიას“ კითხვის დროს. ასია ძლიერ გრძნობასა და ხასიათის სიმტკიცეს ამჟღავნებს,

ვაჟი კი გადამწყვეტ მომენტში სიმხდალესა და გაუბედაობას იჩენს. ჩერნიშევსკი ამ უბადრუკი გმირის საქციელს იყენებს ლიბერალურ თავადაზნაურთა გასაკრიტიკებლად. ლიბერალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისევე როგორც „ასიას“ გმირი პირად ცხოვრებაში, „ხასიათის საძაგელ უსუსურობას“ ამჟღავნებენ. ასეთი „ზედმეტი ადამიანები“, კრიტიკოსის აზრით, სამოციან წლებში გმირებად არ გამოდგებიან, თავადაზნაური ლიბერალები საზოგადოებას სათავეში ვერ ჩაუდგებიან, ახლა საჭიროა ახალი ტიპის მოღვაწეები, რომლებიც გამოირჩევიან ხასიათის სიმტკიცით, საქმიანობით, დემოკრატული რწმენით, ხალხისათვის თავდადებით. ასეთი დადებითი გმირები თვით ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა რომანში „რა ვაკეთოთ?“

„რა ვაკეთოთ?“ რუსული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის განვითარებაში ჩერნიშევსკიმ განსაკუთრებული როლი შეასრულა არა მარტო როგორც დიდმა რევოლუციონერ-დემოკრატმა, მეცნიერმა და კრიტიკოსმა, არამედ როგორც შესანიშნავმა მწერალმაც. მხატვრულ ნაწარმოებებს იგი წერდა პაბუკობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე. მას არა ერთი მოთხრობა, პიესა და რომანი შეუქმნია. მათ შორის გამოირჩევა რომანი „რა ვაკეთოთ?“ („Что делать?“).

ეს ნაწარმოები ჩერნიშევსკიმ ოთხ თვეში (1862 წლის დეკემბრიდან 1863 წლის მარტამდე) დაწერა პეტრე-პავლეს ციხეში პატიმრობის დროს. თავისი რევოლუციური იდეები ავტორმა ისე მოხერხებულად შენიღბა, რომ გამომძიებელმა მასში „საზიანო“ ვერაფერი ვაინახა და ხელნაწერი ციხიდან გაუშვა, ხოლო „სოვრემენნიკის“ ცენზურამ წაუკითხავად დართო თხზულების გამოქვეყნების ნება რედაქციას, რადგან ხელნაწერს ციხის ბეჭედი ჰქონდა დასმული. ამგვარად, რომანი 1863 წლის გაზაფხულზე დაიბეჭდა „სოვრემენნიკში“.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაწარმოები უდიდესი წარმატებით გავრცელდა მკითხველ საზოგადოებაში, მეფის ცენზურა მიხვდა თავის შეცდომას და აკრძალა „სოვრემენნიკის“ ის ნომერი, რომელშიც „რა ვაკეთოთ?“ გამოქვეყნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. რომანს გატაცებით კითხულობდა და ავრცელებდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა.

„რა ვაკეთოთ?“ თვით სათაური მიგვითითებს, რომ ეს საპროგრამო ნაწარმოებია. მასში დასმულია გასული საუკუნის სამოციანი წლების აქტუალური საკითხები. დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი ეზოპეს ენით ლაპარაკობს იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს პროგ-

რესულად მოაზროვნე საზოგადოებამ, როგორ უნდა ცხოვრობდეს და იბრძოდეს ყველა მოწინავე ადამიანი მომავალი კომუნისტური წყობილების დამკვიდრებისათვის.

დამახასიათებელია აგრეთვე ქვესათაური—„მოთხრობებიდან ახალი ადამიანების შესახებ“. რომანში მთავარ გმირებად პირველად წარმოგვიდგებიან რევოლუციონერი დემოკრატები. ამ გმირებს ავტორი ორ კატეგორიად ყოფს — ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ანუ განსაკუთრებულ ახალ ადამიანებად. პირველებს მიეკუთვნებიან ლოპუხოვი, კირსანოვი და ვერა პავლოვნა როზალსკაია. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა, ავტორის აზრით, სანიმუშო უნდა გახდეს ყველასათვის.

ლოპუხოვი და კირსანოვი თავიანთი წარმოშობით, აღზრდითა და საქმიანობით მჭიდროდ არიან ხალხთან დაკავშირებული. ლოპუხოვი ხელოსნის შვილია, კირსანოვი მოხელისა. ავტორის სიტყვით, „ლოპუხოვი თითქმის ბავშვობიდან შრომობდა საარსებო წყაროს მოსაპოვებლად; კირსანოვი 12 წლის ასაკიდან ეხმარებოდა მამას ქაღალდების გადაწერაში“. მათ საკუთარი შრომითა და გარჯით გაიკაფეს გზა ცხოვრებაში, სამედიცინო განათლება მიიღეს. კირსანოვი მედიცინის პროფესორი გახდა, ლოპუხოვმა მრეწველობაში დაიწყო მუშაობა. ისინი უაღრესად სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანები არიან. ახალი წარმოშობის „ზედმეტი ადამიანებისაგან“ განსხვავებით ამ „ახალ ადამიანებს“ ახასიათებთ სიტყვისა და საქმის განუყოფლობა. „თითოეული მათგანი, — ავტორის თქმით, — გაბედული, ურყევი ადამიანია, თავისი სიტყვის პატრონი, თითოეულს საქმე ეხეოხება“.

ლოპუხოვი და კირსანოვი, როგორც „რაზნოჩინელები“, ნაწილობრივ მოგვაგონებენ ი. ტურგენევის ბაზაროვს რომანიდან „მამები და შვილები“, მაგრამ მისგან განსხვავებით ჩერნიშევსკის გმირები სრულებითაც არ უარყოფენ სიყვარულს, პოეზიასა და ხელოვნებას. პირიქით, კირსანოვს ძალიან უყვარს მუსიკა, ოპერა, ლოპუხოვი რიგიანად უკრავს ფორტეპიანოზე, მათ ძლიერად აქვთ განვითარებული სილამაზისა და ბუნების გრძნობა. ცალმხრივ ნიჰილისტ ბაზაროვს ჩერნიშევსკი უპირისპირებს მრავალმხრივ განვითარებულ „ახალ ადამიანებს“, ნამდვილ რაზნოჩინელებს. მათი მაღალი იდეალები და ინტერესები გამორიცხავს უხამსობასა და მოწყენილობას. ლოპუხოვისა და კირსანოვის წრეში ყოველთვის საქმიანი, მეგობრული და მხიარული ატმოსფერო სუფევს.

ჩერნიშევსკის გმირები ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ ეგრეთ წოდებული გონივრული ეგოიზმის თეორიით. ამ თეორიის თანახმად,

ყველა ადამიანი ეგოისტია და იგი ყოველთვის საკუთარი ინტერესებიდან გამოდის. მაგრამ ეგოიზმი ორგვარია: ცხოველური და გონივრული. ცხოველისაგან განსხვავებით გონიერმა არსებამ იცის, რომ მისი პირადი ინტერესები გადაჯაჭვულია საზოგადოების ინტერესებთან, რომ მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე. როცა მეცნიერი დღე-ღამეს ასწორებს ახალი აღმოჩენის ძიებაში, იგი მოქმედებს როგორც ეგოისტი. კვლევა-ძიება პირადად მას ჰგვრის სიამოვნებასა და ბედნიერებას. აღმოჩენა მას მოუხვეჭს სახელს, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებასაც მოუტანს სარგებლობას. როცა ადამიანი საერთო საქმისათვის იბრძვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის თავსაც კი სწირავს, იგი ასეთ ბრძოლაში მორალურ კმაყოფილებას ჰპოვებს, ე. ი. ეგოისტურად იქცევა. აქედან, დაე ნურავინ დაიტრაბახებს: მე ჩემი ინტერესები საზოგადოების ინტერესებს ვანაცვალეო. ჩერნიშევსკის სურს თქვას: ვისაც სალხისათვის სამსახური, რევოლუციური მოღვაწეობა მიაჩნია არა პირად სიამოვნებად, ორგანულ მოთხოვნილებად, არამედ მძიმე ტვირთად, არასასიამოვნო მოვალეობად, მსხვერპლის გაღებად, და ვინც საზოგადოებას ამადლის, დაე ნუ ეწევა ასეთ მოღვაწეობასო.

„გონივრული ეგოიზმი" რევოლუციონერ-დემოკრატთა მორალური პრინციპია. თვით ჩერნიშევსკის მთელი მოღვაწეობა (როგორც დაპატიმრებამდე, ისე საპყრობილესა და გადასახლებაში) ამ პრინციპის განსახიერება იყო. მისი რომანის გმირებიც თავს ბედნიერად მაშინ გრძნობენ, როცა სხვებისათვის სიხარული და ბედნიერება მოაქვთ. მაგალითად, როცა ლოპუხოვმა გაიგო, რომ ვერა პავლოვნა მშობლებთან მძიმე პირობებში ცხოვრობდა, რომ ისინი ქალს ძალით გათხოვებას უპირებდნენ მდიდარ საქმროზე, მან ყველაფერი იღონა ქალის გასათავისუფლებლად, ფიქტიური ქორწინებაც კი შესთავაზა, სწავლა მიატოვა და სამსახური დაიწყო, რათა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ახალი ცხოვრების გზაზე დამდგარი ვერა პავლოვნასათვის. საერთოდ, „ახალი ადამიანები" ქალის მიმართ ღრმა პატივისცემასა და მეგობრულ დამოკიდებულებას იჩენენ, მისი ემანსიპაციისათვის იბრძვიან, თვლიან, რომ ქალსაც ისევე შეუძლია იმოღვაწეოს, როგორც მამაკაცს. ამის მაგალითია ვერა პავლოვნა — ჭკვიანი, ნიჭიერი, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანი, რომელიც თავს აღწევს მშობელთა მონურ უღელს, ცდილობს სხვა ქალებიც გაათავისუფლოს და ცხოვრების ნათელ გზაზე დააყენოს. ამ მიზნით იგი აწყობს სამკერვალო სახელოსნოს, რომლებშიც მუშა ქალები ახლებურად შრომობენ და ცხოვრობენ. ვერა პავლოვნა შესანიშნავ ორგანიზატორულ ნიჭს ამჟღავნებს. ამავე დროს, იგი ეუფლება მედიცინას, შეერს კითხულობს, შრომობს, გატაცებულია მუსიკით, შესანიშ-

ნავად მღერის. საერთოდ, ვერა პავლოვნა ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებაა. მისი დამახასიათებელი თვისებებია აგრეთვე უდიდესი ვულწრფელობა და სიმართლისმოყვარეობა. როცა მას კირსანოვი შეუყვარდა, გულახდილად გაუმხილა თავისი გრძნობა ქმარს — ლოპუხოვს. თავის მხრივ, ლოპუხოვი, როგორც „გონივრული ეგოისტი“, ვითომ თავს იკლავს (სინამდვილეში კი ოჯახსა და სამშობლოს მიატოვებს) და ამით ვერა პავლოვნასა და თავის მეგობარ კირსანოვს „გზას უთავისუფლებს“, საშუალებას აძლევს დაქორწინდნენ და ბედნიერად იცხოვრონ.

„ჩვეულებრივ ახალ ადამიანთა“ გარდა რომანში ვხვდებით „არაჩვეულებრივ ანუ განსაკუთრებულ ადამიანს“ — რახმეტოვს. ამ სახით ჩერნიშევსკიმ დაგვიხატა პროფესიონალი რევოლუციონერი, ბელადი. დასაწყისში იგი წარმოგვიდგება როგორც რიგითი ნიჰილისტი ახალგაზრდა. შემდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს, რახმეტოვი უახლოვდება მოწინავე ადამიანებს, განსაკუთრებით — კირსანოვს, დიდი ინტერესით სწავლობს სოციალისტ-უტოპისტების თეორიებს, ფილოსოფიას, ისტორიას, გატაცებით კითხულობს წიგნებს, ღრმად ითვისებს რევოლუციურ იდეებს და ბოლოს „ხალხში სიარულს“ იწყებს, რათა უკეთ შეისწავლოს ცხოვრება და მომავალი ბრძოლებისათვის გამოიწრთოს.

რახმეტოვი არისტოკრატთა წრიდან გამოვიდა, მაგრამ თავის კლასს განუდგა, ხალხის მხარეზე გადავიდა, მემკვიდრეობის მიღებისთანავე მიწიანად გაანთავისუფლა თავისი გლეხები და მათი ინტერესების დამცველი გახდა. ეს შემთხვევითი ამბავი არაა. ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისას გაბატონებული წრეებიდან გამოსული პირები ხშირად გადასულან ხალხის მხარეზე. რახმეტოვი რევოლუციური ბრძოლებისათვის ემზადება. მან კარგად იცის, რომ ბელადის ძალა ხალხთან კავშირშია და ამიტომ ყურადღებით სწავლობს მშრომელთა ცხოვრებას, თვითონაც მათთან ერთად მუშაობს შეშის მხერხავად, ქვის მთლელად, ბურლაკად... იცის აგრეთვე, რომ მას, როგორც რევოლუციონერს, შეიძლება ბევრი ტანჯვა და წამება შეხვდეს ცხოვრებაში. ამიტომ ორგანიზმს იკაჟებს, წვრთნის: ფიზიკურად ვარჯიშობს, ქეჩაზე იძინებს, ლურსმნებიან საწოლზეც კი წვება...

„მე რახმეტოვის შესახებ იმაზე მეტი ვიცი, რასაც ვამბობ“, — წერს ჩერნიშევსკი. ავტორი გადაკრული სიტყვებით მიგვახვედრებს, რომ მისი რომანის „განსაკუთრებული“ გმირი ფარული ორგანიზაციის წევრია და იატაკქვეშა მუშაობას ეწევა. „მას მუდამ უამრავი საქმე ჰქონდა, — ვკითხულობთ ნაწარმოებში, — ისეთი საქმეები, რომლებიც მას პირადად არ ეხებოდა. პირადი საქმეები რომ მას არ

ჰქონდა, ეს ყველამ იცოდა... იგი შინ იშვიათად იყო, სულ დადიოდა — ფეხით ან ეტლით, უფრო ხშირად ფეხით. მასთან ბინაზე მუდამ სხვადასხვა პირები დადიოდნენ; ამისათვის მას დაწესებული ჰქონდა დრო — შუადღის ორი საათიდან სამამდე შინ უნდა ყოფილიყო... მაგრამ ხშირად იგი რამდენიმე დღით ტოვებდა ბინას. მაშინ მის ნაცვლად ოთახში იჯდა და მომსვლელებს ღებულობდა ერთი მისი მეგობარი, სულითა და გულით მისი ერთგული და სამარესავით მდუმარე".

რახმეტოვიც „გონივრული ეგოიზმის" პრინციპით ხელმძღვანელობს ცხოვრებაში. ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, მძიმე და სახიფათო მოღვაწეობაში პოვებს იგი უდიდეს მორალურ კმაყოფილებას, პირად ბედნიერებას. ამ გმირში განსახიერებულია რუს რევოლუციონერ-დემოკრატთათვის დამახასიათებელი თვისებები: მორალური სიფაქიზე, რკინისებური ნებისყოფა, ფართო ერუდიცია.

„ჩვეულებრივი ახალი ადამიანი" ყველას შეუძლია გახდეს, „განსაკუთრებული ადამიანი" კი — მხოლოდ რჩეულთ, რევოლუციონერთა მომავალ ბელადებს. „ისინი ცოტანი არიან, მაგრამ მათი წყალობით ყველას ცხოვრება აყვავდება" — წერს ჩერნიშევსკი.

რომანში მთავარია რევოლუციისა და სოციალიზმის პრობლემატიკა. არსებული წესწყობილება რევოლუციის გზით უნდა მოისპოს და ახალი, სოციალისტური წყობა დამყარდეს, — ასეთია ნაწარმოების ძირითადი აზრი, რომელსაც ჩერნიშევსკი მკითხველს უნერგავს სხვადასხვა ლიტერატურული ხერხის გამოყენებით, შენიღბულად, ქარაგმებით. ასე, მაგალითად, ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმარში დახატულია თვალწარმტაცი სურათი კომუნისტური საზოგადოებისა, სადაც უკვე მოსპობილია კლასობრივი წინააღმდეგობა, ომები და ადამიანების ჩაგვრა. იქ ყველა შრომობს შეძლებისდაგვარად და ღებულობს თავისი მოთხოვნილების მიხედვით. შრომა მექანიზებულია, სამუშაოს ასრულებენ მანქანები, რომლებსაც მართავენ ადამიანები. ყველას ძლიერად აქვს განვითარებული პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის, მეგობრობისა და კეთილშობილების გრძნობები.

„მომავალი ბრწყინვალე და მშვენიერია. შეიყვარეთ იგი, ისწრაფეთ მისკენ, იშრომეთ მისთვის, მოიახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ იქიდან. დღევანდელში ყველაფერი, რისი გადმოტანაც კი შეგიძლიათ!" — ასეთი მოწოდებით მიმართავს ჩერნიშევსკი თავის თანამედროვეებს. მაგრამ ავტორი მხოლოდ მოწოდებით არ კმაყოფილდება, არამედ იმასაც გვიჩვენებს, თუ რისი გადმოტანა შეიძლება დღევანდელში, წარმოგვიდგენს „ახალ ადამიანებს" — რახმეტოვს, კირსანოვს, ლოპუხოვს, ვერა პავლოვნას, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი მორალური თვისებები, ხალხისათვის თავდადება, ახლებური ურთიერთობანი

პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქმიანობაში. ვერა პავლოვნას მიერ დაარსებულ სამკერვალოში ვხედავთ სოციალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. აქ შრომის ექსპლოატაციას აღგილი არა აქვს. სახელოსნოს მართვა-გამგეობაში უშუალოდ მონაწილეობენ მუშები.

რომანში აღწერილი სოციალისტური წყობილების სურათი მოგვაგონებს სენ-სიმონის, ფურიეს და სხვა სოციალისტ-უტოპისტების მიერ დახატულ მომავალი სოციალისტური საზოგადოების სურათებს. ჩერნიშევსკი სოციალისტ-უტოპისტი იყო და ფიქრობდა, რომ სოციალიზმს შეიძლება მივაღწიოთ გლეხთა თემური წყობილების გზით. მაგრამ ამავე დროს იგი იყო რევოლუციონერ-დემოკრატი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მემამულეები გლეხობას ნებაყოფლობით არ დაუთმობდნენ მიწებსა და ძალაუფლებას და რომ ამიტომ აუცილებელია გაბატონებული კლასების დამხობა რევოლუციის გზით. ჩერნიშევსკის რწმენით, რუსეთში რევოლუცია მოკლე ხანში გაიმარჯვებდა. თავის რომანში იგი გვიხატავს სევდით შეპყრობილ, შავებში ჩაცმულ ქალს, რომლის ქმარი საპყრობილეში ჩასვეს, ნაწარმოების ბოლო თავში კი სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ. ამ თავს ეწოდება „დეკორაციის შეცვლა“ (იგულისხმება არსებული წყობილების შეცვლა). აქაც იგივე ქალია გამოყვანილი, მაგრამ არა შავებში, არამედ ვარდისფერ კაბაში. ქალი თავის მეგობართან ერთად ეტლით მიიჩქარის პასაჟისაკენ [1], სადაც მისმა მეგობარმა მიტინგზე სიტყვა უნდა წარმოთქვას. მათი გზის აღწერით ავტორი მიგვახვედრებს, რომ ეტლი პეტრე-პავლეს ციხიდან მიემართება. ამ ეპიზოდის გაშიფვრა ადვილია: რევოლუციამ გაიმარჯვა, პოლიტიკური პატიმრები ციხიდან გაანთავისუფლეს, განთავისუფლდა ამ ქალის მეგობარიც (ჩერნიშევსკი თავის თავს გულისხმობს), რომელიც საპატიმროდან თავის მეუღლესთან ერთად პირდაპირ მიტინგზე მიემართება სიტყვის წარმოსათქმელად.

ჩერნიშევსკის რომანმა უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციური აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში. ამ ნაწარმოების გავლენით ჯერ კიდევ სამოციან წლებში ყალიბდებოდა სახელოსნოები, „კომუნები“. მის გმირებს ბაძავდნენ მოწინავე ახალგაზრდები. რომანი სახელმძღვანელო დოკუმენტად გადაიქცა რევოლუციონერთა თაობებისათვის, მათ შორის — სოციალ-დემოკრატებისათვის.

---

[1] პასაჟში სამოციან წლებში რევოლუციურად განწყობილი საზოგადოება იკრიბებოდა.

ჩერნიშევსკი და ქართველი მოღვაწეები. ჯერ კიდევ 1855 წელს ჩერნიშევსკიმ „სოვრემენნიკში“ რეცენზია დაბეჭდა თბილისში გამოცემულ ალმანახ „ზურნაზე“ და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ქართულ ლიტერატურას. იმავე ხანებში დიდმა კრიტიკოსმა მაღალი შეფასება მისცა რაფიელ ერისთავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომს თუშ-ფშავ-ხევსურეთზე.

გასული საუკუნის სამოციან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობიდან ბევრი პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის და მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ლუკა ისარლიშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს: „იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც ჩერნიშევსკის ოჯახში დადიოდნენ, მე მახსოვს ნ. ი. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ვ. ღოღობერიძე, ეჯუბოვი და სხვ. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით კავკასიელებიდან ბ. ლ. ღოღობერიძე ხშირად თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან“.

ქართველი სტუდენტებიდან ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩერნიშევსკის ოჯახთან ნიკო ნიკოლაძეს. თავის მოგონებებში იგი მოგვითხრობს, თუ რა დიდ გავლენას ახდენდა ჩერნიშევსკი ახალგაზრდებზე. ეს არც ჯაშუშებისათვის დარჩენილა შეუმჩნეველი. ერთმა მათგანმა მთავრობასთან დაასმინა: „ნიკოლაძე აღტაცებულია ჩერნიშევსკით და მას ყველაზე მაღლა აყენებს. იგი მთლიანად ჩერნიშევსკის იდეებითაა გამსჭვალული და მისი აზრით, არასოდეს არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია ისეთი ტალანტი, როგორიც ჩერნიშევსკია“.

ქართველ სამოციანელთა სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებანი ყალიბდებოდა ჩერნიშევსკის და მისი თანამოაზრეების უშუალო გავლენით. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა თერგდალეულები თავიანთ შრომებში შემოქმედებითად იყენებდნენ ჩერნიშევსკის მემკვიდრეობას, ხშირად მოჰყავდათ მისი აზრები და ციტატები, თუ2ცა გვარს არ ასახელებდნენ და წერდნენ: „დიდი რუსი ადამიანი“. „ჟურნალ „სოვრემენნიკის“ ცნობილი თანამშრომელი“, „ავტორი შრომისა ლესინგზე.“ და სხვ. (ჩერნიშევსკის ხსენება ცენზურის მიერ აკრძალული იყო). მაგალითად, ჟურნალ „კრებულში“ ნ. ნიკოლაძეს ავტორის დაუსახელებლად მოჰყავს ციტატა რომანიდან „რა ვაკეთოთ?“ („მომავალი ბრწყინვალე და მშვენიერია“...), შემოქმედებითად იყენებს სტატიას „ცვლილებათა დასაწყისი ხომ არაა?“ და სხვ. ა. ფურცელაძე გაზეთ „დროებაში“ (1867 წ.) აგრეთვე ავტორის დაუსახელებლად ქება-დიდებას ასხამს რომანს „რა ვაკეთოთ?“.

მოწინავე ქართველი მოღვაწეები ჩერნიშევსკის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას ეწეოდნენ არა მარტო თავიანთ სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც. ასე, 1868 წ. ჟენევაში ნ. ნიკოლაძე ელპიდინთან ერთად შეუდგა ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას და პირველი ტომის შესავალი წერილი თვითონ დაწერა. ციმბირში გადასახლებული ჩერნიშევსკის გასანთავისუფლებლად გაჩაღებულ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნ. ნიკოლაძე, ივ. თარხნიშვილი და სხვები, ხოლო გადასახლებიდან დაბრუნებულ დიდ რუს კრიტიკოსთან ოთხმოციან წლებში მიმოწერა ჰქონდათ ნ. ნიკოლაძეს, გ. ჩიჩუას და სხვა ქართველ მოღვაწეებს.

„შემიძლია დაგარწმუნოთ,—წერდა ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის,—რომ ჩემს თავს უსაზღვროდ ბედნიერად ჩავთვლიდი, თუ რითიმე მაინც გასიამოვნებდით, ან გამოსადეგი ვიქნებოდი თქვენთვის ყოველივე იმის სამაგიეროდ, რითაც მე დავალებული ვარ თქვენგან ჩემი გონებრივი და ზნეობრივი განვითარებით“.

ნ. ა. ნეკრასოვი

ნ. ნეკრასოვი XIX საუკუნის 40—70-იანი წლების რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის მეთაური იყო. მის პოეტურ შემოქმედებაში ყველაზე უფრო ღრმად და სრულად გამოიხატა ის იდეები, რომლებსაც გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ქადაგებდნენ. პოეტმა მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე მოახმარა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ცხოვრების გზა. ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი. ნიკოლოზ ალექსის ძე ნეკრასოვი (1821—1878) დაიბადა 4 ნოემბერს პოდოლსკის გუბერნიის სოფ. ნემიროვში მემამულის ოჯახში. მამამისი საშინელი დესპოტი, გადაგვარებული ადამიანი იყო. სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ იგი იაროსლავლის მახლობლად სოფ. გრეშნევში დასახლდა, სადაც ნეკრასოვმა თავისი ბავშვობა გაატარა. იგი მოწმე იყო იმ საშინელი ძალადობისა, რომელსაც მისი მამა იჩენდა ყმა-გლეხებისა და საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ. პოეტის დედა ბეჯად სათნო და ფაქიზი სულის ქალი იყო. პატარა ნიკოლოზს ხშირად უნახავს ალვირახსნილი მამის მიერ გალანძღული და გაროზგილი მწუხარე დედის ცხარე ცრემლები.

ნ. ნეკრასოვს ბავშვობიდანვე შესძულდა მტარვალი მამა, შესძულდა არა მარტო იმიტომ, რომ დედას აწამებდა, არამედ იმიტომაც, რომ იგი ულმობლად ჩაგრავდა და აწიოკებდა გლეხებს.

გრეშნევის ახლოს გადიოდა ვლადიმირის ცნობილი შარაგზა, რომლითაც მიჰყავდათ ციმბირში გადასასლებული პატიმრები. პატარა ნეკრასოვს ბევრჯერ უნახავს ბორკილგაყრილ ადამიანთა ტანჯვა-წამება. მის ბებიაერუბაში სამუდამოდ აღიბეჭდა პატიმართა გაწამებული სახეები, მათი საზარელი გმინვა და ვაება.

გრეშნევს ახლოს ჩაუდიოდა მდინარე ვოლგა. ნეკრასოვი თავისი თვალით ხედავდა იმ წამებას, რომელსაც განიცდიდნენ მძიმე ჯაჭანში შებმული ბურლაკები. მას ბევრჯერ მოუსმენია მათი გულის სიღრმეში ჩაშენებული სევდიანი სიმღერები.

ყველაფერმა ამან ნეკრასოვს ჩაუნერგა ღრმა სიყვარული ჩაგრული ადამიანებისადმი, ამავე დროს სიძულვილი ბატონყმობისადმი და რწმენა ხალხის შინაგანი სულიერი ძალებისა, რომელიც შემდეგ მთელ მის მხატვრულ შემოქმედებას ასაზრდოებდა.

1832 წელს ნეკრასოვი იაროსლავლის გიმნაზიაში მიაბარეს. აქ იგი გაიტაცა გარეშე წიგნების კითხვამ. დაიწყო ლექსების წერაც. საწავლებელში ნეკრასოვმა მეექვსე კლასამდე მიაღწია, რის შემდეგ იგი ცოტა ხნით სოფელში წავიდა.

1838 წელს მამამ იგი პეტერბურგს გაგზავნა სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად, მაგრამ ლიტერატურით გატაცებულ ნეკრასოვს სამხედრო კარიერა არ აინტერესებდა და პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა. ამმა მამამ „ურჩ შვილს“ მატერიალური დახმარება შეუწყვიტა და ულუკმაპუროდ დატოვა.

1840 წელს ნეკრასოვმა თავისი ლექსების პირველი კრებული „ოცნებანი და ხმები“ („Мечты и звуки“) გამოსცა, მაგრამ მარცხი განიცადა. პათეტიკურ-რომანტიკული ლექსების კრებულმა, რომელიც მიმბაძველობით ხასიათს ატარებდა, მკითხველის მოწონება ვერ დაიმსახურა. ბელინსკიმ დამწყები პოეტის ლექსები სასტიკად გააკრიტიკა, მაგრამ ნეკრასოვმა გული არ გაიტეხა, ლიტერატურას თავი არ დაანება. 1841 — 1845 წწ. იგი წერდა ფელეტონებს, კრიტიკულ წერილებს, მოთხრობებს, რომანს. იმავე წლებში დაუახლოვდა პოეტი ბელინსკის, რომელიც მალე მისი საყვარელი მასწავლებელი გახდა.

ბელინსკისთან დაახლოებამ სავსებით შეცვალა ნეკრასოვის მხატვრული შემოქმედების ხასიათი, მისი იდეური შინაარსი, სტილი. მალე ნეკრასოვი გახდა ყველაზე უფრო თვალსაჩინო წევრი ბელინსკის იმ კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურული წრისა, რომელიც „ნატურალური სკოლის“ სახელწოდებითაა ცნობილი. თავის მხრივაც, პოეტმა საგამომცემლო მოღვაწეობით დიდი როლი შეასრულა „ნატურალური სკოლის“ შექმნაში და ბელინსკის ირგვლივ ორმოციანი წლების პროგრესულად მოაზროვნე რუს მწერალთა დარაზმვაში.

1845 — 1846 წლებში ნეკრასოვმა გამოსცა ალმანახები „პეტერბურგის ფიზიოლოგია“ და „პეტერბურგის კრებული“. ამ კრებულებში მან პრაქტიკულად სცადა ბელინსკის ესთეტიკური პრინციპების განხორციელება, გოგოლისებური კრიტიკული რეალიზმის გაღრმავება და განვითარება.

„პეტერბურგის კრებულში“ დაბეჭდილი ლექსები „გზაში“ და „იავნანა“ მაშხილებლურ ხასიათს ატარებს. პირველში აღწერილია გლეხი ქალის ტრაგიკული მდგომარეობა, რომელიც ბატონყმური ძალადობის მსხვერპლი გახდება. ამ ლექსმა ბელინსკი აღტაცებაში მოიყვანა. „თქვენ იცით, რომ პოეტი ხართ — და პოეტი ჭეშმარიტი!“ აღელვებული ხმით უთხრა დიდმა კრიტიკოსმა ნეკრასოვს. კიდევ უფრო ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა მეორე ლექსმა „იავნანამ“. მასში პოეტმა მწარედ დასცინა იმ თავადაზნაურულ ახალგაზრდობას, რომელიც მოხელეობასა და მაღალ ჩინებზე ოცნებობდა. „იძინე მშვიდად, სანამ უდანაშაულო ხარ, — მიმართავს ავტორი აზნაურის ბავშვებს, — გაიზრდები, გარეგნულად მოხელე გახდები, სულით კი საძაგელი, იყიდი მრავალსართულიან სახლს, მიიღებ დიდ ჩინს, გახდები ბატონი, ეემამულე და მთელ შენს უაზრო ცხოვრებას ჯისაძაგლეში გაატარებ“.

1846 წელს ნეკრასოვმა იჯარით აიღო ჟურნალი „სოვრემენნიკი“. იმავე წლიდან ამ ჟურნალში თანამშრომლობა დაიწყო ბელინსკიმ და მალე მის გარშემო თავი მოიყარეს რუსული ლიტერატურის საუკეთესო ძალებმა.

„სოვრემენნიკს“ ნეკრასოვი ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. რუსული ჟურნალისტიკის ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია როგორც იდეური, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესო და მიმზიდველად. ოცი წლის განმავლობაში ნეკრასოვი თავდადებულად იბრძოდა იმისათვის, რომ მისი ჟურნალი გამხდარიყო მოწინავე პროგრესული იდეების მატარებელი, რევოლუციონერ-დემოკრატთა მებრძოლი ორგანო. მან, როგორც რედაქტორმა, პირველმა გაუხსნა სამწერლო მოღვაწეობის გზა დოსტოევსკის, ლევ ტოლსტოის, გონჩაროვს, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს და ბევრ სხვა გამოჩენილ რუს მოღვაწეს.

1848 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში შავი რეაქციის პერიოდი იწყება. ამ პერიოდში (1848 — 1855 წწ.) ნეკრასოვი დაუკხრომლად ებრძოდა გამძვინვარებული მეფის ცენზურას, რომელიც ჟურნალის ყოველი ნომრის სტატიების ნახევარზე მეტს ჰკრძალავდა. სწორედ იმ დროს, როდესაც, გერცენის სიტყვით რომ ვთქვათ, „ბნელი, შეიდწლიანი ღამე გადაეფარა რუსეთს“, ნეკრასოვმა შეძლო „სოვრემენნიკისათვის“ შეენარჩუნებინა

პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება, ხოლო სამოციანი წლების დასაწყისიდან ეს ჟურნალი რევოლუციონერ-დემოკრატთა მებრძოლ ტრიბუნად იქცა. ფეტის, ტურგენევის, გონჩაროვის, ლევ ტოლსტოის, გრიგოროვიჩის და სხვა ლიბერალთა რაფინირებული და ესთეტიკურად დახვეწილი ნაწარმოებები შეიცვალა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ანტონოვიჩისა და სხვა რევოლუციურ-დემოკრატთა პოლიტიკური, ფილოსოფიური და ესთეტიკური სტატიებით, მგზნებარე ლექსებითა და პროკლამაციებით.

„სოვრემენნიკის“ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების გამო ნეკრასოვს ლიბერალურად განწყობილმა ყოფილმა მეგობრებმა — ტურგენევმა, დრუჟინინმა, გრიგოროვიჩმა, ანენკოვმა, ფეტმა — ზურგი შეაქციეს. პოეტი მძიმედ განიცდიდა გამოჩენილ რუს მწერალთა ჩამოშორებას, მათთან კავშირის გაწყვეტას, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა — ჟურნალში რევოლუციურ-დემოკრატებისა და ლიბერალების ერთად დატოვება შეუძლებელი იყო, მას უნდა აერჩია ან პირველი ან მეორე ბანაკი. ნეკრასოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ განხეთქილების დროს მან აირჩია ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციური ბანაკი. მაგრამ მალე მთელმა რუსეთმა დიდი დანაკლისი განიცადა — დობროლიუბოვი გარდაიცვალა, ხოლო ჩერნიშევსკი ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს, მერე კი ციმბირში გადაასახლეს. ამის შემდეგ, მარტოდ დარჩენილმა ნეკრასოვმა ლიბერალური მერყეობა დაიწყო, რაც მისი პირადი სისუსტით აიხსნება. პოეტმა სახოტბო ოდა უძღვნა პოლონეთის აჯანყების ჩამქრობ მ. ნ. მურავიოვს, რომელზედაც დამოკიდებული იყო ჟურნალის ბედი. მაგრამ „სოვრემენნიკი“ დახურვას მაინც ვერ გადაურჩა, 1866 წელს მთავრობამ ის სამუდამოდ აკრძალა.

ახალმა თაობამ ნეკრასოვს არ აპატია მერყეობა და მწვავე გულისტკივილი აგრძნობინა თავის საყვარელ პოეტს. ნეკრასოვმა თავისი „ყალბი ხმა“ მაშინვე დაჰგმო და ინანა. ეს ლიბერალური ცოდვები ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, რომელიც 1912 წელს სტატიაში „კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიაზე“ წერდა: „ნეკრასოვი, როგორც პირადად სუსტი ადამიანი, მერყეობდა ჩერნიშევსკისა და ლიბერალებს შორის, მაგრამ მთელი მისი სიმპათია ჩერნიშევსკის მხარეზე იყო. ნეკრასოვი ამაზე პირადი სისუსტის გამო სცოდავდა ლიბერალური პირფერობის კილოთი, მაგრამ თვითონვე მწარედ დასტიროდა თავის „ცოდვებს“ და საჯაროდ ინანიებდა მათ“ [1]...

1868 წელს ნეკრასოვმა კვლავ იჯარით აიღო კრაევსკის ჟურნალი „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“. ამ ჟურნალის გარშემო მან შემოიკრიბა

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 287.

60 — 70-იანი წლების ისეთი გამოჩენილი მწერლები და პუბლიცისტები, როგორიც იყვნენ სალტიკოვ-შჩედრინი, ოსტროვსკი, გლებ უსპენსკი, ზლატოვრატსკი, ლავროვი, მიხაილოვი და სხვები. ჟურნალი თავიდანვე „სოვრემენნიკის“ რევოლუციურ-დემოკრატიული ხაზის გაგრძელებას ცდილობდა, მაგრამ რეაქციის წლებში მას არ შეეძლო ისეთი პოლიტიკური სიმახვილის გამოჩენა, როგორსაც 60-იან წლებში „სოვრემენნიკი“ იჩენდა. 70-იან წლებში „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ მაინც რევოლუციურ-ნაროდნიკულ იდეებს ჰქადაგებდა.

თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში ნეკრასოვი ხშირად ავადმყოფობდა. 1876 წელს მას ნაწლავის კიბო გაუჩნდა. ამ საშინელი ავადმყოფობით პოეტი ხითხმის ორი წელი იტანჯებოდა, მაგრამ მაშინაც მას ხელიდან არ გაუშვია კალამი. ნეკრასოვის მძიმე ავადმყოფობამ მთელი რუსეთი შესძრა. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საყვარელი პოეტის ტრაგიკულ მდგომარეობას.

ნ. ნეკრასოვი გარდაიცვალა 1878 წლის 8 იანვარს. მისი დასაფლავება გადაიქცა რევოლუციური იდეებით გატაცებული ახალგაზრდობისა და პეტერბურგის მუშების მძლავრ დემონსტრაციად. სასაფლაოზე ნეკრასოვის შესახებ მრავალი მგზნებარე სიტყვა ითქვა. როდესაც დოსტოევსკიმ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში თქვა, ნეკრასოვი როგორც პოეტი შეიძლება დავაყენოთ მომდევნო სიმაღლეზე პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგო, ხალხში გაისმა შეძახილები: — უფრო მაღლა! უფრო მაღლა!

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ნეკრასოვის შემოქმედებას. „ნეკრასოვი და სალტიკოვი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლებულობის შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიძულვილს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი“ [1].

ნეკრასოვი პოეზიის დანიშნულების შესახებ. XIX საუკუნის 40—50-იანი წლების ცხოვრებამ რუსული მწერლობის წინაშე ახალი ამოცანები დასახა. გოგოლის კრიტიკული რეალიზმის გაღრმავება და განვითარება, რომელსაც ბელინსკი ჰქადაგებდა, ნიშნავდა ლიტერატურის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას ცხოვრებასთან, ხალხთან. თანაც პოეტს არა მარტო უნდა დაეხატა ხალხის ცხოვრება, არამედ გამოეთქვა მისი წუხილი, მისი აზრი, მისწრაფება, ინტერესი. პოეტი

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 54.

უნდა ვამსდარიყო ხალხის მესაიდუმლე, მისი ქომაგი, მასწავლებელი.

მართალია, ქვეყნისა და ხალხის სამსახურს უფრო ადრე დეკაბრისტები ჰქადაგებდნენ, მაგრამ ისინი ხალხისაგან შორს იდგნენ, მას არ იცნობდნენ, ამიტომ ხალხის სულიერი ტკივილების გამოხატვა მათ არც შეეძლოთ. 20 — 30-იანი წლების დეკაბრისტულ ლიტერატურაში ხალხის ცნებას აკლდა ის კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც მიეცა მას 40-იან წლებში. ამიერიდან ამ ცნებაში იგულისხმებოდა უკვე მრავალმილიონიანი გლეხობა, ერის ყველაზე უფრო დიდი ნაწილი, რომელიც თავისი უუფლებობითა და აუტანელი ცხოვრებით უპირისპირდებოდა თავადაზნაურობას, გაბატონებულ კლასს. სწორედ, ამ უუფლებო, ჩაგრული ხალხის ჭეშმარიტ პოეტად იქნა აღიარებული ნეკრასოვი. „დე, ნუ წაიკითხავს ჩემს ლექსებს მაღალი საზოგადოება, მე მისთვის არ ვწერ, — სწერდა პოეტი პ. ვ. ბოტკინს, რომელმაც ნეკრასოვს მებოსტნეებისა და მეეტლეების მწერალი უწოდა, — უფლება გაქვთ დამცინოთ მე: თქვენ კიდევ უფრო მეტად გაგაცინებთ და გაგაკვირვებთ, თუ გეტყვით ჩემს აშკარა აზრს, რომ ჩემი ავტორული თავმოყვარეობა მთლიანად დაკმაყოფილებული იქნება, თუ რუსი გლეხი წაიკითხავს ჩემს ლექსებს, თუნდაც ჩემი სიკვდილის შემდეგ".

პოეტის ამ სიტყვებში ნათლად არის მითითებული საკუთარი შემოქმედების დანიშნულებაზე. მის დემოკრატიულ მიმართულებაზე.

ნ. ნეკრასოვის შემოქმედება თემატიკურად მდიდარია და მრავალფეროვანი. პოეტი თავისი ლექსებისათვის თემას ცხოვრების ყველა კუნჭულში პოულობდა. ის რაც ძველად არაპოეტურ საგნად იყო მიჩნეული, ნეკრასოვმა თავისი პოეტური მუზის შთამაგონებელ წყაროდ აქცია. ის რაც წინათ ხელოვნების ესთეტიკური წრის მიღმა იყო, ნეკრასოვმა ხელოვნების ესთეტიკური სფეროს ცენტრში მოაქცია. დემოკრატიული ფენებიდან პოეზიაში შემოვიდნენ ახალი მხატვრული სახეები: ღარიბი ხელოსანი, მშიერი მეეტლე, ფერმიხდილი ასთამაწყაობი, პატივაყრილი ქალი, მძიმე შრომისაგან წელმოწყვეტილი გლეხი, უმზეო სარდაფებიდან გამოსული ფერმკრთალი ბავშვები. და სხვ.

50 — 60-იან წლებში რუსეთში ცხარე კამათი იყო ხელოვნების დანიშნულების შესახებ. თავადაზნაურული ლიბერალური მწერლობა „წმინდა ხელოვნების" იდეას იცავდა, ხოლო რევოლუციონერი დემოკრატები იბრძოდნენ ხელოვნების მაღალიდეური შინაარსისათვის. მათი აზრით, ხელოვნება თავისთავს კი არა ხალხს უნდა ემსახურებოდეს. ამ ბრძოლაში გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის გვერდით იდგა ნეკრასოვი. იგი ცდილობდა, რომ თავის მხატვრულ

შემოქმედებაში პრაქტიკულად განხორციელებინა რევოლუციური დემოკრატების ესთეტიკური თეორია.

ლექსში „მუზა" ნეკრასოვი ორგვარ მუზას აღიარებდა: ერთი ნაზი, სათნო, უნებელი, ვარდ-ბულბულის მუზაა, რომელიც გაურბის ცხოვრებას და შთაგონების წყაროს განებივრებული ადამიანის სუბიექტურ ინტიმურ განცდებში ეძებს, ხოლო მეორე მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გაღვენთილი მუზა; მუზა, რომელიც შთაგონების წყაროს დემოკრატიულ ფენებში ეძებს, მუზა მრისხანე, მებრძოლი, მართალი, დამცველი ღარიბებისა, ქოხებში მცხოვრებლებისა, სადაც შიმშილი, სიცივე და ავადმყოფობა მძვინვარებს.

„წინდა პოეზიის" წინაალმდეგ ნეკრასოვი სხვა ლექსებითაც გამოვიდა, მაგრამ ყველაზე უფრო სრულად თავისი აზრი პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ ჩამოაყალიბა ლექსში „პოეტი და მოქალაქე". ეს ლექსი რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოეზიაში საპროგრამო ნაწარმოებად ითვლება. ის დიალოგის სახით არის დაწერილი. პოეტი და მოქალაქე კამათობენ ადამიანის ცხოვრების მიზნებზე, ხელოვნებისა და პოეტის დანიშნულებაზე, მოქალაქისა და პოეტის მოვალეობის შესახებ თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ნეკრასოვი მოქალაქის სიტყვებით სასტიკად ჰკიცხავს პოეტს, რომელიც გაურბის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ერიდება თავისი დროის მტკივნეულ საკითხებს:

ვისაც აქვს შენებრ ნიჭი, უნარი,
სამარცხვინოა იყო მძინარი;
სამარცხვინოა კვლავ უფრო მეტად,
როდესაც ვისმენთ ირგვლივ ვაებას,
წერდე პუნჯების სილამაზეზე,
ან ტურფა სატრფოს უძღვნიდე ქებას.

მოქალაქის აზრით, უვარგისია პოეტი, რომელიც სამშობლოს ბედს გულგრილად უცქერის:

სამშობლოსათვის ცეცხლში ჩავვარდი,
შოვედ რწმენისა და ტრფობისათვის...
მოვიდ ამაყად, დაუძრახველი.
ეს ოცვანწირვა არ არის ფუჭი,
სიცხლე ტყუილად არ იღერის ცხელი.
შენ კი პოეტო! რწმენულო ზეცით,
სიმართლის შენგან რომ ელის ვერი,
არ დაიჯერო, რომ შენი ქნარის
არ იყოს ღირსი კაცი მშიერი.

(თარგმ. გრ. ცეცხლაძისა)

ამ შესანიშნავი ლექსის დედააზრი მოქალაქის მიერ პოეტისადმი მიმართულ შემდეგ სიტყვებშია: „არ გეკადრება შენ პოეტობა, — მოქალაქის კი მუდამ გაქვს ვალი“. ბევრია ვაჭარი, კადეტი, მოხელე, აზნაური, „საკვარისი ვყავს თუნდ პოეტებიც“, სენატორებიც, პლანტატორებიც. მაგრამ ყველაზე მეტად გვჭირდება მოქალაქე, ე. ი. ადამიანი, რომელიც იბრძოლებს ხალხის საკეთილდღეოდ.

ნეკრასოვი, როგორც პოეტი ნოვატორი იყო. მან თავისი ლექსების პირველი კრებულის მარცხის შემდეგ აშკარად იგრძნო, რომ ახალი იდეების გამოსახატავად საჭირო იყო ახალი სტილი, ახალი პოეტური ფორმა. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის კლასიკურ ლექსს, ახალი პირობების შესაბამისად, შინაარსის დემოკრატიზაციასთან ერთად სჭირდებოდა ფორმის დემოკრატიზაციაც. 40 — 50-იან წლებში ნეკრასოვი ეძებს პოეტური ნარმოსახვის ახალ ფორმას, ახალ სტილს. იგი არ კმაყოფილდება შხოლოდ და მხოლოდ დეკაბრისტი პოეტების, პუშკინის, ლერმონტოვის პოლიტიკური ლირიკის გამოყენებით, ღრმად სწავლობს და უხვად იყენებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებასაც, მის პოეტურ ხერხებს, ენას, სტილს.

ნეკრასოვის ახალ ნაწარმოებებში ენა საგრძნობლად იცვლება, როგორც ლექსიკურად, ასევე სინტაქსურად. ის უბრალო ხალხის სასაუბრო ენას უახლოვდება.

ხალხური ზეპირსიტყვიერებით უფრო უხვად სარგებლობდა ნეკრასოვი პოემების შექმნის დროს. ნეკრასოვმა შექმნა რუსული პოეზიის ისტორიაში ახალი რეალისტური პოემა, რომელიც არსებითად განსხვავდება პუშკინისა და ლერმონტოვის პოემების კლასიკური ფორმისაგან და, რომელშიც ოსტატურად არის გამოყენებული რუსული ხალხური ეპოსი.

ლირიკა. ნ. ნეკრასოვის შემოქმედება თემატურად მდიდარია. მისი კალამი შეეხო რუსეთის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, ყველა წოდებას, ეპოქის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. მაგრამ პოეტის შემოქმედებაში მთავარ ადგილს მაინც ორი თემა იკავებს — სოფლისა და ქალაქის, განსაკუთრებით კი სოფლის.

40-იან წლებში ნეკრასოვმა პეტერბურგის უბრალო, დამცირებულსა და შეურაცხყოფილ ადამიანს, მშიერ ხელოსანსა და მეეტლეს ბევრი ლექსი მიუძღვნა. პეტერბურგულ ლექსებში სასტიკად არის გაკიცხული რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული მანქანა, სატახტო ქალაქის არისტოკრატია, მოხელეები.

ასეთი ლექსებიდან აღსანიშნავია: „თუ ბნელ ქუჩაში ღამით მივდივარ“ („Еду ли ночью по улице темной“), „ლოთი“, („Пьяни-

.ца"), „ქურდი" („Вор"), „საავადმყოფოში" („В больнице") და სხვ. პირველში პოეტი მოგვითხრობს შემაძრწუნებელ ტრაგიკულ ამბებს. დამშეულ ცოლ-ქმარს ერთი ნატეხი პურიც არ გააჩნიათ, რომ მოჰკვდავ ბავშვს მისცენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვი მოკვდება. მაგრამ მშობლებს კუბოს ფული არა აქვთ, რომ შვილი დამარხონ. დაღონებული დედა ადგება, ქუჩაში გავა იმისათვის, რომ მეძავეობით ფული იშოვოს. ქმარი მიხვდება, მაგრამ ბოლმას გულში მოიკლავს. დილით ქალი მოიტანს მიცვალებული ბავშვისათვის კუბოს, ხოლო მშიერი ქმრისათვის კი ერთ ნატეხ პურს.

ნ. ნეკრასოვმა ორმოციან წლებშივე დაიწყო, აგრეთვე, ლექსების წერა ბატონყმურ სოფელზე. მალე ამ თემამ პოეტის შემოქმედებაში მთავარი ადგილი დაიჭირა.

ლექსში „მივიწყებული სოფელი" („Забытая деревня", 1855) დახატულია ბატონყმური სოფლის მძიმე სურათი. ის მიმართულია ლიბერალური ინტელიგენციის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც 40 — 50-იან წლებში მემამულეებს გლეხების ბატონებად კი არა, არამედ პატრონებად თვლიდა. პოეტი მოგვითხრობს ერთ-ერთი მემამულის „პატრონობის" ნაღვლიან ისტორიას. ბატონს მიუტოვებია თავისი სოფელი და ქალაქში დროს ატარებს. მისი გლეხები კი უკიდურეს გაჭირვებაში არიან. მეზობელი მემამულე მათ ავიწროებს, სახნავ მიწას ართმევს, მაგრამ გლეხებს პატრონი არა ჰყავთ, თავი ვერ დაუცავთ. გლეხ ნენილას საცხოვრებელი ქოხი ენგრევა, მაგრამ ტყიდან ხეები ბატონის ნებართვის გარეშე ვერ გამოუტანია, ახალგაზრდა ნატაშას დიდი ხანია გათხოვების დრო დაუდგა, მაგრამ ბატონის ნებართვის გარეშე გათხოვების ნება არა აქვს. ყოველი მათგანი ხელებშეკრულია, ყველა ბატონის ჩამოსვლას ელოდება. მაგრამ დრო გადის, ბატონი კი არ ჩანს. ბოლოს ბატონს მკვდარს ჩამოასვენებენ. მიცვალებულს ჩამოჰყვება მემკვიდრე, რომელიც მკვდარს დაასაფლავებს, მეორე დღეს კარეტაში ჩაჯდება და ისევ ქალაქს გაემგზავრება. გლეხობა ისევ „უპატრონოდ" დარჩა.

ნეკრასოვის პოეზიაში თავისი მონუმენტურობითა და სოციალური სიმძაფრით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ლექსი „ფიქრები სადარბაზო შესასვლელთან" („Размышления у парадного подъезда", 1858). ამ ლექსში დახატულია ჩაგრული გლეხობის მდგომარეობა. პოეტი მოგვითხრობს შორეული გუბერნიიდან სატახტო ქალაქში ჩამოსული გლეხების გაჭირვებაზე. იმისათვის, რომ ხსნა და სამართალი ითხოვონ, გლეხები ბატონის სახლის სადარბაზო კარს მიადგნენ, მაგრამ მეკარემ ისინი შინ არ შეუშვა, რადგან დიდებულ „ბატონს დაგლეჯილი ბრბო არ უყვარდა". გაჭირვებულმა გლეხებმა

სატახტო ქალაქში ვერ ნახეს სამართალი. ისინი „სადარბაზო კარებიდან“ ცხოველებივით გარეკეს პოლიციელთა და მეეზოვეთა საშუალებით. გულუბრყვილო გლეხები ახლა კი მიხვდნენ, რომ უსამართლობა მოდიოდა იქიდან, სადაც „სამართალი იბადებოდა“. მათ ხელი ჩაიქნიეს და დაცვეთილი ქალამნებითა და დასისხლიანებული ფეხებით, მშივრები გზას გაუდგნენ.

ნაღვლიან აკორდად ისმის ლექსის დასასრული:

გამოიღვიძებ ავსებული ჯანით ძლიერით,
თუ კვლავ მორჩილმა უკუღმართი ბედისწერისა,
რაც კი შეგეძლო, შეასრულე შენ ყველაფერი,
შექმენ სიმღერა ნაღვლიანი, მსგავსი კვნესისა,
და საჭედამდე განისვენე შენ სულიერად?

(თარგმ. გრ. ცეცხლაძისა)

ნაგრამ ნეკრასოვს ყოველთვის სწამდა, რომ რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობას უდიდესი სულიერი ძალღონე შესწევდა, რომ ადრე თუ გვიან ის ნიაღვარივით წალეკავდა თავის მჩაგვრელებს. სწორედ ასეთი რწმენაა გამოთქმული ლექსში „რკინიგზა“ (1864). ეს ლექსი ოთხ ნაწილად იყოფა.

პირველ ნაწილში ჩვენ ვხედავთ შემოდგომის ბუნებას, თვალწარმტაც პეიზაჟს, რომელსაც გარკვეული სოციალური ფუნქცია აკისრია. პოეტს ბუნების სურათის დახატვა დჭირდა იმისათვის, რომ მისი სიმშვენიერე დაეპირისპირებინა იმ „სისაძაგლისათვის“, რომელიც ადამიანთა ურთიერთობაშია გამეფებული. „ბუნებაში არ არის სისაძაგლე... ყველაფერი მშვენიერია, მთვარით შუქმოფენილი“.

მეორე ნაწილში აღწერილია ტანჯვა-წვალება, რომელიც გლეხობას გადახდა რუსეთის პირველი რკინიგზის გაყვანის დროს პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. ლექსში დაწვრილებით არის გადმოცემული ის დიდი მსხვერპლი, რომელიც ხალხმა ამ მშენებლობის დროს გაიღო. პოეტის აზრით, პეტერბურგ-მოსკოვის რკინიგზა ხალხის მიერ არის გაყვანილი, მისი რელსები თავიდან ბოლომდე ადამიანთა ძვლებზეა დაწყობილი. ნეკრასოვი ლექსში გვიჩვენებს იმ ადამიანთა შემაძრწუნებელ ლანდებს, რომლებიც თაეიანთ ნაღვლიან სიმღერაში მოგვითხრობენ საშინელ მწუხარებაზე, რომელიც მათ რკინიგზის მშენებლობის დროს განიცადეს.

ლექსის მეხუთე და მეოთხე ნაწილში ნეკრასოვი გვიჩვენებს რკინიგზის მშენებელთა წინაშე დამნაშავე ადამიანებს. მჩაგვრელთა ერთ-

ერთი წარმომადგენელია გენერალი, რომლის აზრით, რუსი ხალხი ღვთებრივია და ბარბაროსებისაგან შემდგარი უზარმაზარი ჯოგია, ოპელსაც ცხოლოდ ნგრევა შეუძლია და არა აშენება.

არანაკლებ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს მტაცებელი კაპიტალისტის სახე, რომელიც დაუზოგავად ყვლეფს რკინიგზის მშენებელ მუშებს. იგი ატყუებს დაბეჩავებულ გლეხებს ზომა-წონასა და ანგარიშსწორებაში.

ლექსში „რკინიგზა“ ჩვენ გაკვრით ვხედავთ მტაცებელთა სხვა სახეებსაც. ესენია: ათისთავები, რომლებიც ენერგიულად მოქმედებენ მუშების ძარცვაში, პოლიციის მოხელეები, უფროსების ბრძანებით უმოწყალოდ რომ რიზგავენ მუშებს და სხვ.

იმის მიუხედავად, რომ ლექსში „რკინიგზა“ დახატულია ხალხის ტანჯვა-ვაების საშინელი სურათი, ავტორი მაინც არ ეძლევა სასოწარკვეთილებას. ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე თან სდევს ოპტიმისტურ-მაჟორული აკორდი, რომელიც გამოპირობებულია ლირიკული გმირის ღრმა რწმენით ხალხის უსაზღვრო ძალებისადმი.

ოიახ. აიტანს ყოველივეს და ღია მკერდით
გზას გაიკაფავს მომავლისკენ, ნათელს და დიადს...

ამბობს პოეტი თავის ხალხზე.

ნ. ნეკრასოვი იყო რევოლუციონერ-დემოკრატი. იგი პოეზიაში უმღეროდა ძირითადად იმ იდეებს, რომლებსაც პოლიტიკურ-კრიტიკულ და ფილოსოფიურ-ესთეტიკური შრომებში ჰქადაგებდნენ ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები.

ნ. ნეკრასოვის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია რევოლუციური სულისკვეთებით, მაგრამ ყველა ნაწარმოებში ერთნაირად არ იგრძნობა პოეტის მეამბოხე სული, ბრძოლისაკენ მოწოდება.

რევოლუციური პათოსით განირჩევა ლექსი „სიმღერა ერიომიკოსათვის“ („Песня Ерёмушке“, 1858), რომელიც აგებულია გადიისა და მგზავრის სიმღერებზე. ორივენი ბავშვს უმღერიან. პირველი ურჩევს, რომ იყოს გაქნილი და მომთმენი, იაროს ცხოვრებაში სხვის მიერ გათელილი გზით, ქედი მოიხაროს ძლიერთა წინაშე, რათა ხალხში გამოვიდეს, დიდკაცებში ტოლ-მეგობრები გაიჩინოს, ცხოვრება ლხენად გადაიქციოს. ცხოვრების სულ სხვა გზას უსახავს ბავშვს მგზავრი, რომელიც გადიას წაართმევს მას და სხვაგვარ ჰანგზე უმღერებს. მგზავრის პირით პოეტი პატარა ერიომიკოს მომავალში ბრძოლისაკენ

ბოუწოდებს, მას უნდა რომ ერიომიკო „უსამართლობას, ბნელსა და პოროტს „მოევლინოს“ ვით რისხვა ზეცით“.

თავისუფლება, ძმობა, ერთობა,
გიყვარდეს მუდამ, შესწირე თავი
იმათ სამსახურს და ეროვნულებას.

(თარგმ. გრ. ცეცხლაძისა)

თავისუფლების ეს ლექსი 60-იანი წლების რაზნოჩინული ახალგაზრდობის საყვარელ სიმღერად იქცა. ნ. დობროლიუბოვი ერთ-ერთ წერილში სწერდა: „ზეპირად ისწავლე და ყველას, ვისაც იცნობ, შეასწავლე ნეკრასოვის „სიმღერა ერიომიკოსათვის“... გახსოვდეს და გიყვარდეს ეს ლექსი“.

ნ. ნეკრასოვის რევოლუციური ლირიკიდან აღსანიშნავია აგრეთვე ლექსები ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, შევჩენკოს შესახებ. მათში პოეტი გვიხატავს გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მებრძოლ სახეებს.

პოემები. 50-იანი წლებიდან ნეკრასოვმა ლექსებთან ერთად ლირიკული პოემების წერასაც მოკიდა ხელი. ორი ათეული წლის განმავლობაში მან შექმნა მრავალი საინტერესო პოემა. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „მეწვრილმანეები“ („Коробейники“),„ყინვა ცხვირწითელა“ („Мороз, красный нос“), „პაპა“ („Дедушка“), „რუსი ქალები“ („Русские женщины“), „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ („Кому на Руси жить хорошо“).

პოემაში „მეწვრილმანეები“ (1861 წ.) აღწერილია გლეხი გოგო კატუშასა და ვანიას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ნაწარმოების პირველ თავში ნათელი ფერებით არის დახატული ახალგაზრდების სპეტაკი და ამაღელვებელი ურთიერთობა, მაგრამ პირველი ორი სიმღერის მაჟორული აკორდი მალე იცვლება მწუხარებით. ახალგაზრდა შეყვარებულების სიხარულსა და ბედნიერებას ჯერ დროებითი განშორება დაარღვევს, ხოლო შემდეგ ტრაგიკული სიკვდილი. საქორწილო ფულის საშოვნელად წასულ ვანიას უკან დაბრუნების დროს გზაში ტყის მცველი დაუხვდება და მოჰკლავს. ბედნიერად შეუღლებას პოემის გმირები ვერ ეღირსნენ. ბატონყმურ სოფელში ასეთი ბედნიერება საზოგადოდ გლეხი ახალგაზრდებისათვის შეუძლებელი იყო. ასეთია პოემის დედააზრი.

პოემა „მეწვრილმანეები" — პირველი ნაწარმოებია ნეკრასოვის შემოქმედებაში, რომელიც უმთავრესად გლეხებისათვის არის დაწერილი. შემთხვევითი არ არის, რომ ნეკრასოვმა ეს პოემა უძღვნა გლეხ გაბრიელ იაკობის ძეს. პოემა დაწერილია სადა ხალხური ენით. მასში უხვად არის გამოყენებული ხალხური გამოთქმები და, საერთოდ, ფოლკლორული მასალა. ყველაფერი ეს აიხსნება ავტორის მიზანდასახულობით — ნაწარმოები საინტერესო, სასარგებლო და გასაგები გახადოს ხალხისათვის.

ამავე მიზანს ისახავს ნეკრასოვი მომდევნო პოემაში „ყინვა ცხვირწითელა".

„ყინვა ცხვირწითელა" (1864) შედევრია არა მარტო ნეკრასოვის შემოქმედებაში, არამედ XIX საუკუნის რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში. პოეტს არცერთი სხვა ნაწარმოების შექმნის დროს ისე ღრმად არ ჩაუხედავს ხალხის სულიერ ცხოვრებაში და ისე ძლიერად არ განუცდია მისი ტკივილები, როგორც ამ პოემის შექმნის დროს. ხალხური პოეზიის ფორმების გამოყენებასა და ნაწარმოების სტილის დახვეწაში ნეკრასოვმა მიაღწია საოცარ წარმატებებს.

პოემა „ყინვა ცხვირწითელა" ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილს „გლეხის სიკვდილი" ეწოდება და მასში გადმოცემულია ფიზიკური ჯაფით გატეხილი გლეხკაცის პროკლეს სიკვდილი და მისი სუსხიან ზამთარში დასაფლავება. მეორე ნაწილში დახატულია უფრო მძიმე ტრაგიკული სურათი. პოეტი მოგვითხრობს დაქვრივებული ქალის დარიას მწუხარებას, რომელსაც თავს დაატყდა ქმრის სიკვდილი, მის სულიერ სიმტკიცეს, გმირობას და, საბოლოოდ გლეხი ქალის გარდუვალ ხვედრს — მძიმე ფიზიკური ჯაფით გამოწვეულ უდროო სიკვდილს.

სასაფლაოდან დაბრუნებულ დარიას შინ დახვდებიან მშიერი და სიცივისაგან გათოშილი ბავშვები. დამწუხრებულ დედას სევდის გრძნობა სრულიად ვერ ტეხს, იგი ბავშვებს მეზობლებს მიაბარებს და თვითონ კი ტყეში შეშის მოსატანად მიდის.

პოემის მეორე ნაწილში ნეკრასოვი დაწვრილებით გადმოგვცემს ტყეში წასული ქალის მძიმე განცდებსა და ფიქრებს მომავალი ცხოვრების შესახებ. დარიას მწარე ხვედრი, რომელსაც სარჩენად პატარა ბავშვები დარჩა, მძიმეა, მაგრამ ის დამახასიათებელია საზოგადოდ გლეხი ქალისათვის, ნეკრასოვი, როგორც დარიას სახის, ასევე მისი მწარე ბედის ფართო სოციალურ განზოგადოებას იძლევა.

დარიას სახე პოეტს დიდი მხატვრული შთაგონებით აქვს დახატული. მასში ჩაქსოვილია ნეკრასოვის დიდი სიყვარული ძლიერი სულისა და ნებისყოფის მატარებელი რუსი ქალისადმი.

პოემის პირველ ნაწილში საოცარი მხატვრული სიძლიერით არის

დახატული აგრეთვე რუსული ზამთრის ნაღელიანი პეიზაჟი, სეედის შომგვრელი სოფლის სასაფლაო, მისკენ მიმავალი მარხილი, რომელზეც მიცვალებული ასვენია და მას უკან დამწუხრებული ადამიანები თავჩაღუნულები მისდევენ.

უფრო ძლიერად არის დახატული რუსული ზამთრის გრანდიოზული სურათი პოემის მეორე ნაწილში. აქ ყინვა განსახიერებულია „ყინვა — მოურავში“. რომელიც გამეფებულია მთელ არემარეში, ძვინვარებს ტყეებსა და ველებში. ყინვა — მოურავი დარიასაც მოეპრება, დარდისა და ჯაფისაგან მოქანცულ ქალს ხეზე ზეზეურად მიაყინავს და მოჰკლავს, მაგრამ ის გლეხის ქალს მორალურად ვერ აშარცხებს. დარია ვერ გატეხა ვერც დარდმა, ვერც ტყეში მარტოდ დარჩენილი ადამიანის შიშმა და ვერც ფიზიკურმა ტკივილებმა. იგი გაიყინა იმის შემდეგ, რაც ხეების დაჭრა და დაპობა დაამთავრა და ხეზე მიეყრდნო.

ნ. ნეკრასოვმა რუსი ქალის სულიერ სიმტკიცესა და გმირობას მიუძღვნა პოემა „რუსი ქალები“.

„რუსი ქალები“. „პაპა“. (1871—1872). 70-იან წლებში, რევოლუციურ-ნაროდნიკული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, ნეკრასოვი დეკაბრისტული თემატიკის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. პოეტისათვის ამ თემას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და თანადროულიც, რადგან 60—70-იანი წლების რევოლუციონერებისათვის დეკაბრისტები იყვნენ არა მარტო უშუალო წინამორბედები, არამედ გუშინდელი დღის რევოლუციური თავგანწირვის ცოცხალი მაგალითებიც. პოემაში „რუსი ქალები“ ნეკრასოვი განაგრძობს დადებითი გმირის მხატვრულ დამუშავებასა და მის იდეურ-ესთეტიკურ სრულყოფას, გლეხი ქალის დარიას დადებითი ტიპიდან იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალის სახის შექმნაზე გადადის.

„რუსი ქალების“ სიუჟეტს საფუძვლად ისტორიული ფაქტი უდევს. დეკაბრისტების გადასახლების შემდეგ, ზოგიერთი დეკაბრისტის ცოლმა გადაწყვიტა, რომ ქმრის მძიმე ხვედრი გაეზიარებინა. ამ მიზნით ისინი საკუთარი სურვილით ციმბირს გაემგზავრნენ. ნეკრასოვმა ორი მათგანის გმირული თავგადასავალი დიდი მხატვრული ოსტატობით აგვიწერა პოემაში, რომელსაც თავდაპირველად მან „დეკაბრისტი ქალები“ უწოდა.

პოემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში აღწერილია ტრუბეცკაიას გამგზავრება ქმართან ციმბირში. დაწვრილებით არის გადმოცემული ის რეაქცია, რომელიც გამოიწვია რუსი ქალების ციმბირს გამგზავრებამ. მთავრობამ ყოველგვარი ღონე იხმარა, რომ

ქალები გზიდან უკან დაებრუნებინა, ირკუტსკის გუბერნატორმა ათასგვარი დაბრკოლება შეუქმნა ტრუბეცკაიას, მან სასტიკადაც გაჰკიცხა დეკაბრისტი ქალის საქციელი, შაგრამ იგი ვერაფერს გახდა. პოეტმა ფართოდ განაზოგადა ირკუტსკის გუბერნატორისა და ტრუბეცკაიას შეხვედრის სურათი და დაგვიხატა რევოლუციონერი ქალისა და ნიკოლოზ პირველის დროინდელი ბიუროკრატ გორცის შეჯახების შესანიშნავი სურათი. ტრუბეცკაია მოურიდებლად ამხელს სამეფო კარის საზოგადოებას და იგი გვევლინება არა მარტო დეკაბრისტის ერთგულ მეუღლედ, არამედ მისი იდეების მატარებელ რევოლუციონერადაც.

ფსიქოლოგიურად უფრო მძაფრ სიტუაციაში გვიხატავს ნეკრასოვი დეკაბრისტ ვოლკონსკის მეუღლეს, რომლის სახეც მოცემულია დინამიურად. ვოლკონსკაიას სულიერი და იდეური ამაღლება ხდება წინააღმდეგობათა გადალახვის შედეგად. დეკაბრისტი ქალი ჯერ მამასთან გადაიტანს მძიმე ბრძოლას იმის გამო, რომ იგი ციმბირს ქმართან გამგზავრების ნებას არ აძლევს, შემდეგ კი, როდესაც იგი გაემგზავრება, დიდების შარავანდედით მოსილს ხალხი ყველგან დიდი თანაგრძნობით ხვდება.

თავისი შინაგანი მძაფრი დრამატიზმით, განსაკუთრებით ამაღელვებელია ციმბირში ცოლ-ქმრის შეხვედრის სურათი, რომელიც პოეტს დიდი მხატვრული შთაგონებით აქვს დახატული. როდესაც ვოლკონსკაიამ ბორკილებგაყრილი ქმარი დაინახა მაღაროების ჯურღმულში, მაშინ უფრო ნათლად დაინახა ის სულიერი სიდიადე, რომელიც მის ქმარსა და საზოგადოდ დეკაბრისტების საქმეს გააჩნდა. ამიტომ, სანამ ქმარს გადაეხვეოდა, მან ბორკილების წინ დაიჩოქა და ემთხვია, როგორც წმინდა საქმისათვის დამსახურებული სასჯელის სიმბოლოს. აქ რუსი ქალის სულიერი, ზნეობრივი და იდეური განვითარების პროცესი უმაღლეს წერტილს აღწევს. ვოლკონსკაია წარმოგვიდგება, როგორც ზნეობრივად ამაღლებული, ჰეშმარიტი მოქალაქე, რომელიც კატორღელი დეკაბრისტი ქმრის მეგობარი და თანამოაზრეა.

ნ. ნეკრასოვს დეკაბრისტების თემაზე აქვს დაწერილი, აგრეთვე პოემა „პაპა“ (1871), რომლის სიუჟეტსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი. პოემის თემა შთაგონებულია ცნობილი დეკაბრისტის ვოლკონსკის დაბრუნებით გადასახლებიდან.

პაპის სახით პოემაში მოცემულია სულიერად მტკიცე ადამიანი, რომელიც ვერ გატეხა ოცდაათწლიანმა კატორღამ და ისევე ხალხის თავისუფლებაზე და ბედნიერებაზე ფიქრობს. პაპა ყოველი ქეთილშობილი ადამიანის უმაღლეს მოქალაქეობრივ დანიშნულებად თელის

ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას. მას ღრმად სწამს, რომ ეს ბრძოლა ოდესღაც შედეგს მოიტანს:

ერთხელც არის დაუდგება
თავის ჯერი ყოველ მხარეს.
არა ჩლუნგი მორჩილება,
ერთობლივი გასჭრის ძალა;
ბედის გრგვინვა მხარეს სრულად
შეაბრუნებს ყირამალა.

(თარგმ. გრ. ცეცხლაძისა)

„პაპას" სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. პოემაში პაპა თავის შვილიშვილ საშას უხნის, თუ როგორი გაჭირვებით ცხოვრობს გლეხობა, ამასთანავე უნერგავს მოქალაქეობრივი მოვალეობის იდეებს. პაპა ასაკით წარსულს ეკუთვნის, მაგრამ საშას სახით იგი ამზადებს თავის შემცვლელს. ამას ადასტურებს პოემის დასასრული:

დრო მიფრინავს და ყმაწვილი
წარმატებას იჩენს დიდსა...
დიდზე უკეთ მოგიყვებათ
ბევრ რამეს ჩვენს ცხოვრებაზე.
სძულს ბრიყვი და ავი კაცი,
სურს კეთილი ღარიბთათვის...

„ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად". ეს პოემა ნეკრასოვის მხატვრული შემოქმედების მწვერვალია. მის შექმნაზე იგი 1863 წლიდან სიკვდილამდე მუშაობდა, მაგრამ მაინც ვერ დაასრულა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნაწარმოები როგორც იდეურად, ასევე მხატვრულად მთლიანია და დაუსრულებლობა ვერ ამცირებს მის მაღალ ღირსებას.

პოემის სიუჟეტი მარტივია. ნასესხებია ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან და ზღაპრის სიუჟეტს მოგვაგონებს.

„ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" ფართო ეპიკური ტილოა, რომელშიც რეალისტურად არის ასახული რეფორმამდელი და რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის სინამდვილე. რუსი ხალხის ცხოვრება, მისი ბედი, სულიერი მისწრაფებები პოემის თემატიური ღერძია.

პოემა ოთხი თავისაგან შედგება: „პროლოგი", „გლეხი ქალი", „ნაბოლარა" და „ლხინი საქეყნო". ნაწარმოების შინაარსი მარტივ

ფაბულაზეა აგებული: ერთ დიდ შარაგზაზე შეკრებილა შვიდი დროებით ვალდებული გლეხი და დაობენ იმის შესახებ, თუ „ვინ ცხოვრობს რუსეთში მხიარულად და ლაღად“: მემამულე, მოხელე, მღვდელი, მინისტრი თუ მეფე? ბოლოს რომ ვერ შეთანხმდნენ, გლეხებმა გადაწყვიტეს ემოგზაურათ მთელ რუსეთში და მანამ არ დაბრუნებოდნენ თავიანთ ოჯახებს, ვიდრე ნათლად არ გაარკვევდნენ ამ საკითხს, თავიანთი თვალით არ ნახავდნენ ბედნიერ კაცს.

პოემის ასეთი ზღაპრული დასაწყისი: დავა — ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად, ჯადო-სუფრა, რომელიც გლეხებმა პატარა ჩიტის შთაგონებით იპოვეს და სხვ. ოდნავადაც არ არღვევს ნაწარმოების რეალისტურ ხასიათს. პირიქით, ფოლკლორული ელემენტების ჭარბად გამოყენება ესთეტიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად ხდის პოემას ხალხის გემოვნებისათვის შესაფერის ნაწარმოებად, აძლიერებს მის ხალხურ კოლორიტს.

მოხეტიალე გლეხების დახატვა — ფათერაკიანი თავგადასავლით ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის არის დამახასიათებელი. ეს ხერხი ნეკრასოვს ამოუწურავ საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით დახატოს რუსეთის სინამდვილე. მართლაც, ჩვენ ვხედავთ გლეხების მოგზაურობას რუსეთის ვრცელ მიწა-წყალზე და რუსეთის ცხოვრების, გრანდიოზულ სურათებს, ვეცნობით რუსი ხალხის, განსაკუთრებით კი გლეხობის ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებებს, ფიქრებს, განწყობილებებსა და სულიერ მისწრაფებებს.

პოეტის თავდაპირველი ჩანაფიქრით გლეხები უნდა შეხვედროდნენ არა მარტო ხუცესს, მემამულეს და გლეხის ქალს მატრიონა ტიმოფეევნას, არამედ მოხელეს, ეაჭარს, მინისტრსა და თვით მეფეს, მაგრამ მან ეს ჩანაფიქრი პრაქტიკულად ვერ განახორციელა.

თავისთავად კითხვა — ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად? მეტად მნიშვნელოვანია და საინტერესო. მასზე პასუხის გაცემა მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა არის კარგი, ვინ ჩაითვლება ბედნიერ ადამიანად. ნეკრასოვი ამ საკითხს წყვეტს არა საყოფაცხოვრებო და ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით, არამედ ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების — მაღალი ეთიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისით.

სწორედ ამ თვალსაზრისით ქმნის იგი იდეალური გმირის გრიშა დობროსკლონოვის ტიპს. გრიშა ღარიბი მედავითნის შვილია, მას უყვარს გლეხობა, ოცნებობს ხალხის ნათელ მომავალზე და იბრძვის მისი განთავისუფლებისათვის. ეს გარემოება დობროსკლონოვს აქცევს ჰეშმარიტად ბედნიერ კაცად. პოეტის აზრით, რევოლუციური მოღვაწეობა ყოფილა ადამიანის საქმიანობის ყველაზე უფრო კეთილშობილური ფორმა, რომელსაც მოაქვს უდიდესი ბედნიერება.

ბედნიერია ის, ვინც ემსახურება ხალხს, ვინც იბრძვის მისი განთავისუფლებისათვის, კეთილდღეობისათვის. ასეთი აზრია გატარებული ნეკრასოვის პოემაში „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“.

გრიშა დობროსკლონოვის პროტოტიპია 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატების ბრწყინვალე წარმომადგენელი დობროლიუბოვი. პოეტს უნდოდა, რომ გრიშა დობროსკლონოვი ყოფილიყო პოემის მთავარი გმირი, მაგრამ, როგორც ჩანს, ცენზურამ მას ხელი შეუშალა. ამიტომ ეს სახე შედარებით მკრთალია და ნაკლებად დამუშავებული.

პოემის მთავარი გმირებია რუსეთის მრავალმილიონიანი გლეხობის წარმომადგენლები, რომელთა ტიპებიც უფრო სრულყოფილად არის დამუშავებული. ასეთებია: იაკიმ ნაგოი, ერმილ გორინი, პაპა სავლე — დიდი რუსეთის გოლიათი, გლეხის ქალი მატრიონა ტიმოფეევნა, მონური მორჩილების გლეხი იპატი, ვლასი და სხვ.

გლეხობა პოემაში. პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ უმთავრესად გლეხობას შეეხება. ნეკრასოვის ყურადღების ცენტრში ყველგან გლეხობის საკითხი დგას. ეს საკითხი აღელვებს პოეტს და მის მხატვრულ გაშუქებას უთმობს ყველაზე მეტ ადგილს.

მართალია, ნაწარმოების ზოგიერთ თავში ნაჩვენებია რეფორმამდელი გლეხობის მდგომარეობა, მაგრამ მასზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ადგილი რეფორმის შემდგომდროინდელი რუსეთის ცხოვრების მხატვრულ ასახვას აქვს დათმობილი.

ნ. ნეკრასოვის აზრით, 1861 წლის რეფორმამ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გააუარესა, მარტო იურიდიულმა განთავისუფლებამ გლეხს არაფერი მისცა, ისინი ისევ უმწეოდ დარჩნენ.

გლეხთა ჰირ-ვარამზე მიგვითითებს თვით გეოგრაფიული სახელწოდებები იმ გუბერნიებისა, მაზრებისა და სოფლებისა, საიდანაც გლეხები არიან. ასეთებია: „დაძონძილეთი“, „დაფლეთილეთი“, „ფეხშიშველეთი“, „უმოსავლეთი“, „შიშიანეთი“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ნეკრასოვი ხალხოსნების მსგავსად გლეხებს არ იდეალებს. იგი რეალისტურად გვიხატავს, როგორც მათ ცხოვრებას, აგრეთვე მათ ტიპებს. გლეხობა პოემაში ორ ძირითად ტიპად არის წარმოდგენილი: პირველი, აქტიურად მოქმედი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი ცხოვრების მიმართ და მეორე, — ბედის მორჩილი, პასიურ ადამიანთა ტიპი.

პირველი ჯგუფის წარმომადგენელია მოხუცი გლეხი იაკობ ნაგოი, რომელიც კარგად არის მიხვედრილი სოციალურ უსამართლო-

ბას. მან ისიც კი იცის, რომ ღმერთი ამ უსამართლობის ერთ-ერთი მონაწილეა, რომ მისი შრომის ნაყოფს უსინდისოდ ინაწილებენ მემამულეები, მოხელეები და ხუცები:

მეშაობ მხოლოდ შენ ერთადერთი
და სამუშაოს როს დაამთავრებ,
ხედავ იქვე დგას სამი მოწილე:
ღიდი ხელმწიფე, ბატონი, ღმერთი.

იაკობ ნაგოი მეამბოხე სულის მატარებელი გლეხია. იგი ვაქაცურად უმცლავდება გლეხკაცის მუდმივ ხვედრს — ათასგვარ ჭირვარამს, მას ღრმად სწამს მშრომელი ხალხის ბუმბერაზული ძალა და შეგნებული აქვს მისი მნიშვნელობა. ყოველი გლეხის სული, — ამბობს იაკობი, — შავ ღრუბელს ჰგავს, რომელიც გასაავდრებლადაა მომზადებული. იგი პირქუშია, მრისხანე, საიდანაც მეხი დასჭექს, სისხლის წვიმა წამოვა.

ძალზე სიმპათიურია აქტიური ბუნების, ყველაზე უფრო ჭკვიანი გლეხი ერმილ გორინი. მან თავისი პატიოსანი შრომით, ჩაგრული გლეხებისადმი სიყვარულითა და უანგარო სამსახურით ხალხის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. გორინმა გლეხების მხარდაჭერით, საჯარო ვაჭრობის დროს, ვაჭარ ალტინნიკოვს კოვზი ნაცარში ჩაუგდო და აჯობა, ღარიბმა კაცმა გლეხების დახმარებით წესქვილი შეისყიდა. გორინის გამჭრიქვების სურათით ნეკრასოვმა მკითხველს უჩვენა, თუ რა დიდი ძალა შეიძლება გაჩნდეს გლეხთა დარაზმულობითა და ერთიმეორის მხარდაჭერის შედეგად. ერმილ გორინი გლეხობის ისეთი თავკაცია, რომელსაც გააჩნია ყველა საჭირო თვისება და მომზადება იმისათვის, რომ სათავეში ჩაუდგეს ხალხს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი მემამულე ობრუკოვის ყმაგლეხების ამბოხების დროს მეთაური იყო და ამიტომაც ჩასვეს ციხეში.

კიდევ უფრო მეტი ძალით მჟღავნდება რუსი ხალხის ბუნება, პროტესტანტული სული სავლე გოლიათის სახეში. პაპა სავლე ძველი, რეფორმამდელი ყაიდის გლეხია, მაგრამ მისი გიგანტური ფიზიკური და სულიერი ძალები აშკარად მიგვითითებს ხალხის რევოლუციური შეგნების გაღვივებაზე. სავლე მეამბოხე სულის მატარებელია, შეურიგებელი, უშიშარი, მედგარი. მან გლეხების სასტიკი მჩაგვრელი მოურავი ვინმე გერმანელი ფოგელი, რომელიც სოფელს შავი ჭირივით გაუჩნდა, ცოცხლად დამარხა ორმოში და ოცი წელი კატორღაში გაატარა. სავლე არ ნანობს კაცის მოკვლას და არც მი-

აჩნია მას ეს ცოდვად. პირიქით, იგი ამაყობს, რომ „დაღდასმულია" (ე. ი. კატორღელია) და არა „მონა".

ადამიანის ცოდვისა და შურისძიების გრძნობის შესახებ ნეკრასოვი კიდევ უფრო ნათლად ლაპარაკობს პოემის იმ ნაწილში, სადაც ჩართულია ლეგენდა „ორი დიდად ცოდვილიანი ამბავი", ამ ლეგენდის მიხედვით ხალხის მჩაგვრელის მოკვლა ცოდვად არ ჩაითვლება, პირიქით, ამით შეიძლება ბოროტმოქმედმა თავისი ცოდვები გამოისყიდოს. ნაავაზაკარი კუდიანარი თავისი წარსული ცოდვებისაგან განიწმინდება მას შემდეგ, რაც იგი მოკლავს ხალხის მტანჯველ პან გლუხოვსკის.

სულიერი ძალებით გოლიათ სავლეს დონეზეა გლეხის ქალი მატრიონა ტიმოფეევნა. მას მრავალი გასაჭირი, უბედურება, ჩაგვრა და დამცირება შეხვდა ცხოვრებაში, მაგრამ ვერაფერმა გატეხა. მატრიონა ტიმოფეევნამ ბოლომდე დაიცვა თავისი ნათელი პიროვნება, სპეტაკი და, ამავე დროს, გაუტეხავი ამაყი სული. იგი აქტიურია, მართალი, პატიოსანი. მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, მას იმის უნარიც კი შესწევს, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ძალმომრეობას. მატრიონა ტიმოფეევნა თავიდან იშორებს გამხეცებულ მოურავს, რომელსაც სურს საყვარლად გაიხადოს იგი; წყევლა-კრულვით უმასპინძლდება მოხელეებს, რომლებიც ბავშვის სიკვდილის ვითარების გამოძიების დროს დამწუხრებულ დედას ცილისწამებით გულს უკლავენ.

მატრიონა ტიმოფეევნა მებრძოლი სულისკვეთების მატარებელია. მას მეტად მძიმე და რთულ ვითარებაში ბევრჯერ გამოუჩენია გამბედაობა. ამ ქალმა მამასახლისს შვილი ხელიდან გამოსტაცა და არ გააროზგინა, ჭმარი რეკრუტისაგან დაიხსნა, ბევრჯერ გადაარჩინა უდანაშაულო ადამიანი შეურაცხყოფისაგან და ა. შ.

მეამბოხეთა გარდა პოემაში ნეკრასოვი გვიხატავს მონური სულისკვეთების მატარებელ გლეხებსაც. პოეტი მათ მიმართ დაუნდობელია და მკაცრი, ჰგმობს მათს ადამიანობას, ქაცობას:

არ ვარგა ზოგი ყმა ქაცად,
ხშირად ძაღლსა ჰგავს ბედკრული,
რაც უფრო სჯიან მას მკაცრად,
მით უფრო არის ერთგული.

ასეთია ქედმოხრილი ლაქუცა, მონად ქცეული შინაყმა იპატი, რომელსაც ვრავითარი ადამიანური ღირსება არ გააჩნია. თავდავიწყებითაა შეყვარებული თავის უჭკუო ბატონზე და აღტაცებით ლაპარაკობს მის საზიზღარ საქმეებზე.

ბატონის ერთგული ყმაა, აგრეთვე, იაკობი, რომელიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა თავის ბატონს. მას ისე უყვარდა და ანებივრებდა, როგორც ბავშვს, მაგრამ სიკეთე არ დაუფასდა. ბოლოს ბატონის უსამართლობა მან ვეღარ აიტანა, ეტლით ტყეში გაიტაცა იგი და მის თვალწინ მაღალ ხეზე თავი ჩამოიხრჩო.

პოემაში ვხედავთ იპატსა და იაკობზე უფრო უღირს გლეხებსაც. მათ შორის არიან მოძმეთა მოღალატენიც, ჯაშუშები და სულმდაბალი ადამიანები, რომლებიც ხალხს დიდ ზიანს აყენებენ.

მემამულეთა სახეები. პოემაში მებატონეთა წოდების მრავალ წარმომადგენელთა შორის ღრმა სოციალური განზოგადოებით, გროტესკული ელემენტების სიჭარბითა და პოლიტიკური სიმკვეთრით განირჩევიან ობოლტ ობოლდუევისა და უტიატინის მხატვრული სახეები. პოეტი მწარე ირონიით გვიხატავს მუქთახორა აზნაურის ობოლტ ობოლდუევის ტიპს, რომელიც უკმაყოფილოა ბატონყმობის მოსპობით და ძველ დროს მისტირის. მემამულე სიამოვნებით იგონებს რეფორმამდელ დროს, როდესაც მიწასთან ერთად გლეხებიც მის კერძო საკუთრებას შეადგენდნენ:

ვისაც მინდოდა, შევიბრალებდი,
ვისაც მინდოდა, მკაცრად დავსჯიდი;
კანონი — ჩემი სურვილი იყო,
მეშტი კი — ჩემი პოლიციელი.

(თარგმ. გრ. ცეცხლაძისა)

ობოლტ ობოლდუევი ამაყობს, რომ უსაქმურ ცხოვრებას ეწევა, რომ ფიზიკური შრომა სძულს, სათუთად უფრთხილდება თავისი წოდების კეთილშობილურობას.

უფრო საზიზღარია თავადი უტიატინი, რომელსაც ნაბოლარას ეძახიან. ამ ტიპის შექმნის დროს პოეტი უფრო მძაფრ სატირულ ხერხს მიმართავს, მას უფრო დაუნდობლად, მუქი საღებავებით გვიხატავს. გამოთაყვანებულ თავადს დაკარგული აქვს რეალობის გრძნობა, ნორმალური აზროვნების უნარი. უტიატინს ჰგონია, რომ ბატონყმური ურთიერთობა მარადიულია, ამიტომ იგი რეფორმების შემდეგაც განაგრძობს ძველებურ ცხოვრებას. ბებერი თავადი სიკვდილამდე ძველი ილუზიებით ცხოვრობდა, შვილებმა მას არ გააგებინეს ბატონყმობის გადავარდნის ამბავი. ამიტომ ეს ნაბევრად გიჟი ბებერი ძველებურად იძლევა ათასგვარ სულელურ ბრძანებებს. იგი ხან გლეხის გაროზგვას მოითხოვს, ხან ექვსი წლის ბიჭზე სამოცდა-

ათი წლის დედაბრის მითხოვებას და სხვ. უტიატინი გამოსულელებულია, მაგრამ ლოგიკის თვალსაზრისით, იგი აკეთებს ყოველივე იმას, რასაც გააკეთებდა ჭკუაზემყოფი ბატონყმური ურთიერთობის დროს. მართალია, გლეხები ფორმალურად ასრულებენ უტიატინის ბრძანებებს, მაგრამ ეს მათ ძვირად უჯდებათ.

პოემის მხატვრული ღირსებები. „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ მონუმენტური ეპიკური ნაწარმოებია. ნეკრასოვის პოეტური ნიჭის ბრწყინვალება ყველაზე უფრო სრულად მასში გამომჟღავნდა. თავისი მოტივებით პოემა მრავალფეროვანია. მასში ჩვენ ვხედავთ რევოლუციურ პათეტიკას, ღრმა სევდიან ლირიზმს, გესლიან სატირას, მწარე ირონიას, ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელ მშვიდ ეპიკურ თხრობას, ბუნების სიმშვენიერით მოჯადოებული პოეტის ლირიკულ წიაღსვლებს, გლეხკაცის ტანჯვით გამოწვეულ ნაღვლიან გოდებას და სხვ.

ნ. ნეკრასოვი პოემაში უხვად იყენებს ფოლკლორულ მასალასა და მის მხატვრულ ხერხებს. შვიდი გლეხკაცის ხეტიალი, ჯადოსნური სუფრა და სხვა მრავალი მხატვრული ელემენტი პოეტს მოტანილი აქვს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან.

პერსონაჟების ენა ინდივიდუალიზებულია და უაღრესად ორიგინალური. ყოველი სოციალური წოდების წარმომადგენლის ენა ლექსიკური და ინტონაციური თავისებურებით გამოირჩევა. ნაწარმოებში უხვადაა გამოყენებული ხალხური ანდაზები და ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმები. პოეტი ასევე უხვად იყენებს ხალხში გავრცელებულ სწარტ, მოსწრებულ სიტყვებს, ხატოვან გამოთქმებს, იდიომებს, ეპითეტებსა და მეტაფორებს. ყველაფერი ეს უფრო მეტად ამაღლებს პოეტური მეტყველების კულტურას, აფერადოვნებს სტილს, აძლიერებს პოემის მუსიკალურ ღერადობას.

ნ. ნეკრასოვი ქართულ ლიტერატურაში. საქართველოში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების განვითარებას ხელს უწყობდა არა მარტო ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეების გავრცელება, არამედ ნეკრასოვის მხატვრულ ნაწარმოებთა უაღრესად დიდი პოპულარობაც. ი. მანსვეტაშვილი თავის მემუარებში წერს, რომ პოემამ „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. „მახსოვს, — წერს იგი, — თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა ვიქნებოდი, რომ მანგლისში ავარაკად ყოფნის დროს ხელში ჩამივარდა. პოემა, რამდენიმეჯერ გადავიკითხე და ისეთ სიამოვნებას

მაგრძნობინებდა, რომ მეხსიერებაში ღრმად ჩამებეჭდა და მთელი ნაწყვეტები ზეპირად შემეძლო მეთქვა“.

ქართული კრიტიკა ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა ნეკრასოვის შხატვრულ შემოქმედებას. 1867 წლის გაზეთ „დროებაში“ (№ 35) დაბეჭდილია წერილი „შესრულებული სურათები“, რომელშიც მოცემულია დიდი რუსი პოეტის მაღალი შეფასება. წერილის ავტორის აზრით, ნეკრასოვმა პირველმა მისცა რუსულ ლიტერატურაში პოეზიას სასარგებლო მიმართულება და მისი პოეზია სანიმუშო გახდა არა მარტო რუსული მწერლობისათვის, არამედ 60-იანი წლებისა და შემდეგი თაობის ქართველი პოეტებისათვისაც.

ნ. ნეკრასოვის პოეზიის პოპულარობაზე ლაპარაკობს აგრეთვე ისიც, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ენაზე ითარგმნა რუსი პოეტის მრავალი ლექსი. მათ შორის „პოეტი და მოქალაქე“, „ნატვრა“, „კარგი ზნის კაცი“, „ფიქრები სადარბაზო შესასვლელთან“, „მებაღე“.

ქართულ ლიტერატურაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე ნეკრასოვის ჟურნალი „სოვრემენნიკიც“. როგორც ცნობილია, ამ ჟურნალის რედაქციასთან სამოციან წლებში ბევრი ქართველი ახალგაზრდა იყო დაახლოებული.

ნ. ნიკოლაძე პირადად იცნობდა ნ. ნეკრასოვს და მის ჟურნალში დაბეჭდილი აქვს მოთხრობა „პროვინციული სურათები“.

ნ. ნეკრასოვის დასაფლავების პროცესი ქართველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით გააცნო აკაკი წერეთელმა. პოეტის გარდაცვალებას გამოეხმაურა აგრეთვე ი. ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“, რომელიც წერდა: „ნეკრასოვი იყო ამ უკანასკნელ ოცდაათი წლის განმავლობაში ერთი გამოჩენილი მშრომელი რუსულ ლიტერატურაში და ჟურნალისტიკაში და თავისი ლექსებით ისეთი ადგილი ეჭირა, რომ ვერც ერთი პოეტი რუსეთისა ვერ შეედრებოდა“.

ნეკრასოვის შემოქმედება უფრო პოპულარული და მახლობელი გახდა ქართველი ხალხისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ; ქართულ ენაზე გადმოთარგმნილ იქნა თითქმის ყველა მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

ი. ა. გონჩაროვი

ი. ა. გონჩაროვი რუსული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. XIX საუკუნის 40—50-იან წლებში მან დიდი როლი შეასრულა რუსული პროზის განვითარებაში, სახელი გაითქვა როგორც რეალისტური რომანის ბრწყინვალე ოსტატმა. მის მონუ-

შენტურ რომანებს გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა არა მარტო ლიტერატურული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც.

ბავშვობა და ახალგაზრდობა. ადრეული შემოქმედება. ივანე ალექსანდრეს ძე გონჩაროვი (1812—1891) დაიბადა ქ. სიმბირსკში (ახლანდელი ულიანოვსკი). მწერლის მამა აზნაური იყო, მაგრამ მის ძირითად საქმიანობას პურით ვაჭრობა შეადგენდა. სიმბირსკის ვაჭრების მიერ იგი რამდენიმეჯერ ქალაქის თავად იყო არჩეული. ი. გონჩაროვის დედაც ვაჭრის ოჯახიდან იყო გამოსული. მომავალმა მწერალმა ბავშვობა თავის სამშობლო ქალაქში გაატარა. იგი ფუფუნებაში იზრდებოდა.

1820 წელს ი. გონჩაროვი მიაბარეს კერძო პანსიონში, ხოლო ორი წლის შემდეგ მოსკოვის კომერციულ სასწავლებელში, რომელსაც პატარა გონჩაროვის გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეეძლო.

სკოლით იმედგაცრუებული გონჩაროვი ენერგიულად შეუდგა თვითგანვითარებას, ხარბად დაეწაფა რუსულსა და ევროპულ ლიტერატურას; გატაცებით კითხულობდა პუშკინის, ჟუკოვსკის, ბაირონისა და სხვა მწერლების ნაწერებს.

ი. გონჩაროვის მოგონებებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში მისი ყველაზე უკეთესი მასწავლებელი და მეგობარი ნ. ტრეგუბოვი ყოფილა. სწორედ მისი წყალობით დაუახლოვდა გონჩაროვი სიმბირსკელ დეკაბრისტებსა და მასონებს. განსაკუთრებით ახლოს ყოფილა იგი ნ. ტრეგუბოვის მეგობარ, ცნობილ ქართველ ნუმიზმატიკოს მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილთან.

ეს ქართველი თავადიშვილი განათლებული და მაშინდელი დროისათვის პროგრესული იდეებით გამსჭვალული ადამიანი იყო. ქ. სიმბირსკში მან დააარსა მასონთა ლოჟა, ამავე დროს დაუახლოვდა დეკაბრისტებს. 1826 წელს იგი დეკაბრისტების საქმის გამო დააპატიმრეს. 1839 — 1843 წწ. მსახურობდა ქ. თბილისში ამიერკავკასიის საბაჟოს გამგედ. გენიალურმა ქართველმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა სწორედ მას მიუძღვნა თავისი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“.

როგორც მწერლის მოგონებებიდან ჩანს, იგი ძალზე დაინტერესებულა ნ. ბარათაშვილის პიროვნებით. ი. გონჩაროვი თვალყურს ადევნებდა მის მოღვაწეობას.

1829 წელს ი. გონჩაროვი კომერციული სასწავლებლიდან გამოვიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სიტყვი-

ერების ფაკულტეტზე შევიდა. ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტი რუსეთის უმნიშვნელოვანესი გონებრივი ცენტრი იყო. პროგრესული იდეებით გატაცებული სტუდენტები ჩაბმულნი იყვნენ სტანკევიჩის ფილოსოფიურსა და გერცენის პოლიტიკურ წრეებში. გონჩაროვმა თავიდანვე პოლიტიკური პასიურობა გამოიჩინა. იგი არ ჩაბმულა სტუდენტთა გაცხოველებულ მოძრაობაში და არავითარი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია პოლიტიკურ-ფილოსოფიური პრობლემებისადმი.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1834 წელს გონჩაროვი ქ. სიმბირსკში დაბრუნდა და გუბერნატორის კანცელარიაში დაიწყო მუშაობა. პროვინციულ ქალაქში დიდხანს ცხოვრება მან ვერ შეძლო. იგი შემოქმედებითი შრომისაკენ მიიღტვოდა და ამისათვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზს ეძებდა. 1835 წელს გონჩაროვი პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტში თარჯიმანის თანამდებობაზე მოეწყო. სამსახურში ყოფნის დროს მწერალმა კარგად შეისწავლა რუსეთის კომერციულ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც მთელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქმეს განაგებდა. აქ გაეცნო რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, რომლებიც შემდეგ მწერალმა პეტრე ადუევისა და შტოლცის ტიპების შექმნისას გამოიყენა.

1842 წელს გონჩაროვმა დაწერა მოთხრობა „ივანე საბას ძე პოდჟაბრინი“, რომელიც ექვსი წლის შემდეგ ჟურნალ „სოვრემენნიკში“ დაბეჭდა. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ლიტერატურულ ესკიზს შომავალი დიდი რომანებისათვის.

„ჩვეულებრივი ისტორია“. 1847 წელს ჟურნალ „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა ი. გონჩაროვის პირველი რომანი „ჩვეულებრივი ისტორია“ („Обыкновенная история“).. კრიტიკამ რომანი მოიწონა. ბ. ბელინსკიმ მას „რუსული ლიტერატურის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი“ უწოდა.

„ჩვეულებრივ ისტორიაში“/ აღწერილია რომანტიკული ილუზიებით შეპყრობილი ახალგაზრდის ალექსანდრე ადუევის ცხოვრება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი თავის სოფელს უბრუნდება, მაგრამ პროვინციული ცხოვრება არ აკმაყოფილებს. მისი სურვილია ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლა. იგი ოცნებობს წმინდა სიყვარულზე, პოეზიაზე, მეგობრობასა და სახელის მოხვეჭაზე. მას სწყუროდა განეცადა ვნებათა ძლიერი ღელვა, „კოლოსალური სიყვარული“. ასეთი ილუზიებით შეპყრობილი ალექსანდრე პეტერბურგს ჩავიდა. აქ იგი შეხვდა ბიძას, პეტრე ადუევს, რომელმაც

თავისი ძმისწულის მისწრაფებებს „რომანტიკული სისულელეები“ უწოდა. ცხოვრებაში გამოცდილმა ბურჟუამ ახალგაზრდა ენთუზიასტს ურჩია ხელი აეღო უსაგნო ოცნებაზე და პრაქტიკულ საქმიანობას შესდგომოდა. უმცროსი ადუევი მართლაც დარწმუნდა, რომ იგი ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო და ცხოვრებისა არა იცოდა რა. რომანტიკოსმა დაინახა, რომ ბურჟუაზიული პრაქტიციზმი, რომელიც დიდი ქალაქის ცხოვრების ყველა სფეროში იჭრებოდა, შეუბრალებლად ამსხვრევდა მის თავადაზნაურულ რომანტიკულ ილუზიებს. მან ვერ ნახა პეტერბურგში პოეტური ცხოვრება, აქ მისი პოეზია უსარგებლო აღმოჩნდა. ლექსების მაგიერ მოსთხოვეს წერილები აგრონომიულ საკითხებზე. წმინდა სიყვარულის მაგიერ ღალატი იგემა და, ბოლოს, ვერც იდეალური მეგობრობა ჰპოვა და ვერც სახელი მოიხვეჭა. იმედგაცრუებული ალექსანდრე ადუევი ისევ თავის აზნაურულ სახლ-კარს დაუბრუნდა, მაგრამ ზნეობრივად დაჩანცული, იქაც ვერ შეეგუა ცხოვრებას. სოფელში ადუევი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ადამიანის ჰეშმარიტი დანიშნულებაა პირადი ცხოვრების გაუმჯობესება. და ამ დროიდან იგი უკვე კარიერასა და გამდიდრებაზე ფიქრობს. ამ მიზნის განსახორციელებლად ისევ პეტერბურგს მიაშურა. იქ იგი კვლავ ხვდება თავის მდიდარ ბიძას, მაგრამ უკვე სულიერად და ფიზიკურად გატეხილს. პეტრე ადუევი უფრო მეტად გამდიდრებულიყო, ბტატსკი სოვეტნიკის ჩინიც მიეღო, მაგრამ ოჯახური ბედნიერებისათვის ვერ მიეღწია. პირიქით, ბურჟუაზიულ პრაქტიციზმს, ინდივიდუალიზმს იგი სულიერად გამოეფიტა; ვიწრო ანგარიშიანობას ჩაეკლა მისი გრძნობები. პეტრე ადუევი ფიქრობდა, რომ მატერიალური სიმდიდრე და კომფორტი ოჯახურ ბედნიერებას მოუტანდა, მაგრამ მოტყუვდა. მის ცოლს, ჰკვიანსა და გულკეთილ ლიზავეტა ალექსანდროვნას, ქმრის სახლში სული შეხუთოდა, უსულგულო და ცოე ბურჟუაზიულ ატმოსფეროს იგი დაეავადმყოფებინა.

XIX ს. 40-იანი წლების რუსული ლიტერატურისათვის „ჩვეულებრივი ისტორიის“ თემა ახალი არ ყოფილა. მეოცნებე იდეალისტის სახე ჯერ კიდევ პუშკინმა, ლერმონტოვმა, გოგოლმა და სხვა რუსმა მწერლებმა დახატეს. გონჩაროვმა გვიჩვენა მხოლოდ ამ ტიპის განვითარება-გაკოტრება და მარცხი ახალ პირობებში, 40-იან წლებში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კონსერვატიული რომანტიზმისა და რეალიზმის დაპირისპირებაში დიდმა რეალისტმა ღრმა სოციალური აზრი ჩააქსოვა. „ჩვეულებრივ ისტორიაში“ რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილი ალექსანდრე ადუევის გაკრიტიკება თავად-

აზნაურული კლასის გაკრიტიკებას ნიშნავდა, ხოლო რომანტიკული ილუზიების უარყოფა თავადაზნაურული მსოფლმხედველობის უარყოფას მოასწავებდა. მწერალმა ორივე სახე განაზოგადა.

ი. გონჩაროვმა ფუჭ მეოცნებეებს საქმიანი ბურჟუა დაუპირისპირა. პეტრე ადუევი მთელი თავისი შეგნებითა და მსოფლმხედველობით ბურჟუაზიული ტიპია. მას სძულს თავადაზნაურული მორალი, ადათ-წესები. იგი მტერია სიზარმაცისა, მელანქოლიისა. მისი აზრით, რომანტიზმი ადამიანს სასარგებლო საქმეებს აშორებს, ადუნებს მას და პარაზიტული ცხოვრების მორევში ითრევს. უფროსი ადუევი ყველაფერს სარგებლიანობის თვალსაზრისით უყურებს, ცოდნა, განათლება და იდეალური სიყვარული მას არაფერს ნიშნავს. მისი აზრით ხელოვნება, რომელზეც ძმისწული ოცნებობდა, მოსაწონია მხოლოდ მაშინ, თუ იგი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

გონჩაროვმა „ჩვეულებრივ ისტორიაში“ კრიტიკა უმთავრესად თავადაზნაურული კლასის წინააღმდეგ მიმართა, მაგრამ მას არ გამოპარვია ბურჟუაზიული კლასის შანკიც. ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასასრულს, როცა რუსეთის ბურჟუაზია ახლად იდგამდა ფეხს, დიდმა რომანისტმა გვიჩვენა ამ კლასის უკურნებელი სენი — ვიწრო პრაქტიციზმი, ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, იდეური და ზნეობრივი სიღატაკე.

ი. გონჩაროვის რომანის ღირსება თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ტიპების დაპირისპირებით არ განისაზღვრება. „ჩვეულებრივ ისტორიაში“ ნაჩვენებია მთავარი პერსონაჟების სოციალური გარემო. შესანიშნავად არის დახატული თავადაზნაურული კლასის წარმომადგენელთა კარ-მიდამო, პროვინციული მემამულეების ჩამორჩენილობა, მათი პატრიარქალური ზნე-ჩვეულებანი. მართალია, მწერალს ეს სოციალური გარემო ისეთი მუქი ფერებით არ დაუხატავს, როგორადაც წარმოგვიდგინეს ფონვიზინმა, გოგოლმა და სხვა რუსმა მწერლებმა, მაგრამ სამაგიეროდ „ჩვეულებრივი ისტორიის“ ავტორმა თავადაზნაურული კლასის სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებაში დიდ სიღრმეს მიაღწია.

გონჩაროვის პირველ რომანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის 40 — 50-იანი წლების რუსული რეალიზმის განვითარებისათვის. ამ ნაწარმოებით მწერალმა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა „ნატურალურ სკოლაში“. მართალია, „ჩვეულებრივ ისტორიას“ აკლდა ისეთი მწვავე პოლიტიკური ტენდენციები, როგორიც ჰქონდა გერცენის ნაწარმოებს „ვინ არის დამნაშავე?“, სალტიკოვ-შჩედრი-

ნის „დახლართულ საქმეს“, მაგრამ მასში ფართოდ აისახა რუსეთის სინამდვილე, 40 — 50-იანი წლების სოციალური წინააღმდეგობანი.

„ჩვეულებრივ ისტორიას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით გონჩაროვის შემოქმედებითი განვითარებისთვისაც. ეს რომანი, როგორც მწერალი საკუთარ კომენტარებში წერდა, შემდგომი დიდი რომანების კარიბჭე იყო.

„ობლომოვი“. 1859 წელს ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ დაიბეჭდა რომანი „ობლომოვი“. ეს ნაწარმოები, რომელზედაც მწერალი ათი წლის განმავლობაში მუშაობდა, ცენტრალურ ადგილს იკავებს მთელ მის შემოქმედებაში. „ობლომოვის“ გამოსვლას დიდი აღტაცებით შეხვდა პოწინავე კრიტიკა. ი. გონჩაროვის ამ ახალი რომანის განხილვას დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატმა ნ. დობროლიუბოვმა სპეციალური სტატია მიუძღვნა („რა არის ობლომოვშჩინა“).

XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში „ობლომოვი“ ერთ-ერთი დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო. ამ ნაწარმოებს უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რომანი სწორედ იმ დროს დაიბეჭდა, როდესაც ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. რუსეთის საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა გონჩაროვის ახალ ნაწარმოებში ყირიმის ომში შერცხვენილი თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის კრიტიკა დაინახა.

ეს არცაა გასაკვირი. „ობლომოვი“, რომელშიც ასახულია რუსეთის ცხოვრების საკმარისად დიდი პერიოდი, — XIX საუკ. 20-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე, თავისი იდეური შინაარსით მამხილებლურია, ანტიბატონყმურია. მწერალმა შეძლო, დიდი მხატვრული სიძლიერით აესახა ფეოდალიზმის დაშლა, თავადაზნაურული კლასის ეკონომიკური, სოციალური და გონებრივი დაქვეითება.

„ობლომოვში“ მთელი სისრულით გამოვლინდა გონჩაროვის მხატვრული მეთოდისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ეპოქის მრავალმხრივი, ენციკლოპედიური ჩვენება, მოვლენათა რეალისტური ასახვა და ფართო მხატვრული განზოგადება. ტიპების ღრმა სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზი.

მწერალმა ფართო მხატვრულ ტილოზე დახატა ბატონყმური რუსეთის ცხოვრება. მოურიდებლად გვიჩვენა მთავარი სოციალური სატკივარი, რომელიც ბატონყმურ რუსეთს აწუხებდა. ობლომოვის ტიპის შექმნით გონჩაროვმა მხატვრულად განაზოგადა ფეოდალური ჩამორჩენილობა, უძრაობა, პარაზიტიზმი.

რომანის მთავარი გმირის — ილია ილიას ძის სოფელი ობლომოვკა, ბატონყმური რუსეთის სოფელი, ჩამორჩენილი და მიყრუებულია. იქაური ცხოვრება „წუნარი მდინარის“ დინებას ჰგავს. ობლომოველი მემამულეები არაფერში არ ჩქარობდნენ, ცხოვრობდნენ ძველი, პატრიარქალური ადათ-წესების მიხედვით, გაურბოდნენ ყოველგვარ სიახლეს, რომელსაც მამა-პაპური მყუდრო ცხოვრების დარღვევა შეეძლო.

ობლომოვკაში მთავარი საჭმელზე ზრუნვა იყო. შუადღემდე ისინი სადილის მომზადებაში იყვნენ გართულნი, შუადღისას ჭამდნენ და შემდეგ ყველა იძინებდა. ობლომოველების ძილი მწერლის მიერ სიმბოლურადაც არის გააზრებული, „ეს რაღაც ყოვლისშთანთქმელი, ყოვლისშემძლეველი ძილი იყო, რომელიც თვით სიკვდილს წააგავდა. ყველაფერი მიმკვდარებულა, მხოლოდ ხაინ-ხაინი ხვრინვა მოისმის ყოველი კუთხიდან“. ძილის შემდეგ ობლომოველები ჩაის სვამდნენ, ხოლო შემდეგ ვახშმისათვის იწყებდნენ მზადებას; საღამოთი ჭამით გულს იჯერებდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ინატრებდნენ, რომ მეორე დღეც ასეთივე ყოფილიყო, და იძინებდნენ. მათ ცხოვრება ესმოდათ „როგორც მოსვენებისა და უმოქმედობის იდეალი, რომელსაც დროდადრო სხვადასხვა არასასიამოვნო მოვლენები არღვევდა: მაგალითად, ავადმყოფობა, ზარალი, ჩხუბი და, სხვათა შორის, შრომაც“. შრომა ობლომოველებს სძულდათ და საშინელ სასჯელად მიაჩნდათ.

ასეთ სოციალურ გარემოში აღიზარდა რომანის მთავარი გმირი ილია ილიას ძე ობლომოვი.

ბუნებით იგი ცოცხალი, ცნობისმოყვარე ბავშვი იყო, მაგრამ მშობლებმა გაანებივრეს, სიზარმაცესა და უდარდელობას მიაჩვიეს. პატარა ილია სათუთად ამოსულ „ეგზოტიკურ ყვავილს ჰგავდა“. მას ციც ნიავს არ აკარებდნენ, შინიდან გარეთ არ უშვებდნენ, თავს ევლებოდნენ. საკმარისი იყო ბავშვი ეზოს გასცილებოდა, რომ მთელი ობლომოვკა ფეხზე დადგებოდა. ყველა, დიდი და პატარა, თავზარდაცემული ყვირილით დარბოდა სოფელში და პატარა ბატონს გულგახეთქილი ეძებდა.

ი. გონჩაროვმა „ობლომოვის სიზმარში“ დაგვანახა, რომ თავადაზნაურულ გარემოში ბავშვის ნორმალური აღზრდა-განვითარება შეუძლებელია. ილია ობლომოვის ცუდი აღზრდა, მწერლის აზრით, შემთხვევითი არ არის. პარაზიტიზმს, შრომისადმი სიძულვილს, უდარდელობას, ფეოდალურ-პატრიარქალური გარემო ბადებს.

ი. გონჩაროვმა დახატა თავისი გმირის განვითარების მხოლოდ ოთხი ეტაპი: ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე და მოწიფულობა, ხოლო ობლომოვის სიბერე აღარ გვიჩვენა, რადგან გმირის სულიერი ძალე-

ბი ახალგაზრდობაშივე ჩაკვდა, გაიხარჯნა, იგი პათოლოგიურ პიროვნებად იქცა და ამიტომ მისი სიკვდილ პიბერეში შესვლამდე იყო გარდუვალი.

ილია ობლომოვი ბავშვობიდანვე შეიპყრო თავადაზნაურულმა სატკივარმა — „ობლომოვშჩინამ“. შემდეგ წლებში მისი გაჯანსაღება შეუძლებელი აღმოჩნდა. მართალია, განათლება მან პანსიონსა და უნივერსიტეტში მიიღო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ იხსნა „ობლომოვშჩინისაგან“. მის ცოდნას პრაქტიკასთან კავშირი არ ჰქონდა — „მისთვის ცხოვრება თავისთვის არსებობდა, მეცნიერება კი — თავისთვის“.

ილია ობლომოვის უნაწეობა უფრო მეტად სამსახურში ყოფნის დროს გამოიკვეთნდა. აქ მას არ გამოადგა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა. ბოვლემარე და ყურადღებაგაფანტულმა ობლომოვმა ასტრახანში გასაგზავნი საჭირო ქაღალდი არხანგელსკში გაგზავნა და ამის გამო შეშინებულმა თავი დაანება სამსახურს.

ამის შემდეგ, ილია ობლომოვმა ყველაფერზე გული აიყარა და სახლში ჩაიკეტა. ძილი და ჭამა-სმა გახდა მისი ცხოვრების შინაარსი. მას ეზარებოდა არა მარტო შინიდან გარეთ გამოსვლა, არამედ ერთი ოთახიდან მეორეში გასვლაც. თავს ყველაზე უფრო უკეთესად მწოლიარე მდგომარეობაში გრძნობდა.

ობლომოვი სრული შეგნებით იყო ზარმაცი, უმოძრაო. მას სხვანაირად ვერ წარმოედგინა ბატონის ცხოვრება. ის თავის შინაყმას ზაქარს სიამაყის გრძნობით ეუბნებოდა, რომ გასუქებულია და არაფერი არ აკლია, რომ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თვითონ ერთხელაც არ ჩაუცვამს წინდები. იგი დასცინის „სხვებს“, რომლებიც თვითონ იწმენდენ ფეხსაცმელს, თვითონვე იცვამენ ტანსაცმელს, საქმეს აკეთებენ. ობლომოვს სასტიკ შეურაცხყოფად მიაჩნია, თუკი ვინმე მას ასეთ ადამიანებს შეადარებს.

ობლომოვი ფუჭი მეოცნებე იყო. მის ოცნებას უმეტეს შემთხვევაში რეალური საგანი არ გააჩნდა. მაგალითად, პირადმა მწოლიარე თავს ნაპოლეონად წარმოიდგენდა, ანდა, მასზე უფრო დიდ მხედართმთავრად. მაშინ იგი აწყობდა ომებს, განაგებდა მსოფლიოს ბედს, ანადგურებდა ქალაქებს და ამავე დროს სულგრძელობას იჩენდა დამარცხებულების მიმართ. ამის შემდეგ, ილია თავს კმაყოფილად გრძნობდა, მეორე გვერდზე გადაბრუნდებოდა და ძილს მიეცემოდა.

ობლომოვი ხანდახან ოცნებობდა ისეთ საქმეებზეც, რომელთა განხორციელებაც საერთოდ შეიძლებოდა, მაგრამ სიზარმაცის გამო მას არ შეეძლო მისი გაკეთება. მაგალითად, რამდენი წელი ოცნებობდა ობლომოვკის განახლებაზე, ახალი მშენებლობის წამოწყება-

ზე, მეურნეობის გაუმჯობესებაზე. საამისო გეგმის შედგენასაც ფიქრობდა. მაგრამ არ გააკეთა.

ილია ობლომოვს ცხოვრებისა ეშინოდა, ემალებოდა, გაურბოდა მას, მაგრამ მის ნაშუქში თვით ცხოვრება იჭრებოდა „ოჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრება გვერჩის, ყველგან გვწვდება ადამიანს" — ობრაზდა ის.

„ობლომოვშჩინა", როგორც სოციალური ბოროტება, თავადაზნაურული კლასის სატკივარს წარმოადგენდა. ამიტომ პარაზიტიზმისაგან ილია ობლომოვის განკურნება შეუძლებელი იყო. გონჩაროვი რომანში გვიჩვენებს, თუ როგორ ეცადნენ ოლღა ილინსკაია და შტოლცი ობლომოვის სულიერ აღორძინებას. ილინსკაიასადმი სიყვარულმა ერთხანს მართლაც ობლომოვს სიცოცხლე შუაბერა, რაღაც ნაპერწკალი გაადვივა მის გულში, მაგრამ მოსალოდნელი ცეცხლი არ აინთო.

ილია ობლომოვი ბუნებით ცუდი ადამიანი არ ყოფილა, ბავშვობისას ცნობისმოყვარე, გონიერი, გულკეთილი იყო, ზოგიერთი კეთილშობილური თვისება მას შემდეგშიაც შერჩა.

მწერალი, რა თქმა უნდა, სწორად მოიქცა, რომ ობლომოვი ბოროტ ადამიანად არ გამოიყვანა. მაშინ მკითხველს „ობლომოვშჩინა" შეეძლო ეწსნა არა სოციალური მიზეზებით, არამედ ილია ილიას ძის პირადი, სუბიექტური თვისებებით. რომანის მიხედვით, ობლომოვი პატიოსანია, გულკეთილი, მის გულში ბევრი კეთილშობილური გრძნობა ღვივის, მაგრამ „ობლომოვშჩინამ", როგორც სოციალურმა ბოროტებამ, ყველაფერს ნაგავი გადააყარა, ყოველივე კარგი სამუდამოდ დამარხა. ობლომოვის სიზარმაცის მიზეზს შრომისაგან მოწყვეტა წარმოადგენს. ილია სიზარმაცემ, უნებისყოფობამ, გარემოს მონად გადააქცია.

ობლომოვს ჰყავდა ყმები, ჰქონდა მეურნეობა, კარ-მიდამო, მაგრამ ყველაფერი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მან არ იცოდა, როდის ხნავდნენ მიწას, როდის იღებდნენ მოსავალს, რაზედნის იღებდნენ, როგორ ყიდდნენ მას. მან იცოდა მხოლოდ ის, რომ მოურავს დროდადრო ფული უნდა გამოეგზავნა მისთვის.

ი. გონჩაროვმა თავადაზნაურულ ტიპს, ობლომოვს, ბურჟუაზიული ტიპი, შტოლცი დაუპირისპირა. ილიასაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი ენერგიულია, შრომისმოყვარე, ოპტიმისტი. მისთვის შრომა ცხოვრების აზრსა და შინაარსს წარმოადგენს. შტოლცი მტკიცე ნებისყოფის ადამიანიც არის. იგი თუ რაიმე მიზანს დაისახავს, კიდევაც იბრძვის მისი განხორციელებისათვის. მას სიძნელეებისა არ ეშინია, პირიქით, მასთან ბრძოლაში კაჟდება. შტოლცი ისეთივე განათლებული კაცია, როგორც ობლომოვი, მაგრამ, თავისი მეგობრი-

საგან განსხვავებით მეოცნებე არ არის. ის საქმის კაცია, რეალისტია, სძულს ილუზიები, რაც, მისი აზრით, ადამიანს ცხოვრებას აშორებს და ადუნებს.

შტოლცის სახით გონჩაროვს უნდოდა დაეხატა ახალი, ბურჟუაზიული ტიპი, რომელსაც დრომოჭმული თავადაზნაურობა უნდა შეეცვალა. შემთხვევითი არ არის, რომ ობლომოვის მთელი ქონება, მეურნეობა მის ხელში გადადის. იგი გახდება თავადაზნაურული კარმიდამოს ბატონ-პატრონი, ობლომოვის ვაჟიშვილის აღმზრდელი და ოლღას მეუღლე.

იმის მიუხედავად, რომ შტოლცი ენერგიული და შრომისმოყვარეა, იგი დადებითი გმირი მაინც არ არის. ისევე როგორც პეტრე ადუევი, შტოლციც ბურჟუაზიული პრაქტიციზმითა და ინდივიდუალიზმით არის შეზღუდული, შრომა უყვარს, მაგრამ მისი შრომა ვიწრო ეგოისტურ მიზნებს ემსახურება და არა აქვს არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

შტოლცი შეზღუდულია არა მარტო იდეურად, არამედ ზნეობრივადაც: ბურჟუაზიულ პრაქტიციზმს, მშრალ რაციონალიზმს, სიმდიდრისა და კომფორტისადმი უსაზღვრო მისწრაფებას გაუღარიბებია მისი გრძნობათა სამყარო. იგი გულგამოფიტული და ვიწრო იდეალის ადამიანია. სწორედ ამიტომ ვერ შეეგუა მას მაღალი, კეთილშობილური იდეალის მაძიებელი, მგზნებარე გულის ოლღა ილინსკაია.

შტოლცის სახით მწერალმა ვერ შექმნა ახალი ადამიანის ტიპი, მაგრამ, იბადება კითხვა: არის თუ არა ეს სახე ტიპიური? რა თქმა უნდა, არის. მართალია, ობლომოვის სახესთან შედარებით შტოლცი უფრო მკრთალია, მაგრამ გონჩაროვმა მისი საშუალებით მაინც შეძლო ბურჟუაზიული კლასისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ბრწყინვალე განსახიერება. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალმა ამ ტიპს მიაწერა ზოგიერთი ისეთი ზნეობრივი ხასიათის ღირსება, რაც დამახასიათებელი არ იყო ბურჟუაზიისათვის. შტოლცი კაცთმოყვარეა, მაგრამ მის მოქმედებაში ეს არ ჩანს. გონჩაროვი ემეტეს შემთხვევაში გვიჩვენებს არა მისი მოღვაწეობის პროცესს, არამედ შედეგს.

რომანის დადებითი გმირია, როგორც ნ. დობროლიუბოვმა შენიშნა, არა შტოლცი, არამედ ოლღა ილინსკაია. გონჩაროვმა, დიდი მხატვრული ოსტატობით გვიჩვენა ამ მოწინავე რუსი ქალის ზნეობრივი სახე, მისი საზოგადოებრივი შეგნების ზრდა-განვითარება. ოლღა ილინსკაია დიდსულოვანი და გონებაგახსნილი ქალია. მას არ შეუძლია პასიურად უცქირის ცხოვრებას, ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტოს, ის მოუსვენრად ეძებს ახალს, უფრო უკეთესს, კეთილშობილურს. მისი

გული მუდამ საქმისათვის, მოღვაწეობისათვის ძგერს. ობლომოვს რომ დაუახლოვდა, მან გადაწყვიტა გარდაექმნა იგი, განეახლებინა მისი ცხოვრება. ოლღას სიყვარულმა მართლაც ცოტა ხნით გამოაფხიზლა ობლომოვი, მაგრამ საბოლოოდ ქალი მაინც მოტყუედა — „ობლომოვშჩინით“ დაავადებული მომაკვდავი აზნაური სიცოცხლეს ვერ დაუბრუნა.

ობლომოვთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ოლღა ცოლად გაჰყვა შტოლცს. ის ფიქრობდა, რომ ახლა მაინც პოვებდა სულიერ საზრდოს, ქმარი შესაფერის საქმეს გაუჩენდა, მაგრამ ოლღა აქაც მოტყუვდა — მისი ქმრის საქმიანობა ვიწრო და ეგოისტური იყო. ოლღა ვერც მატერიალურმა უზრუნველყოფამ და კომფორტმა დააკმაყოფილა, პირიქით, შესძულდა იგი. შტოლცი აშკარად გრძნობდა ოლღას სულიერ ტკივილებს და შეწუხებული არწმუნებდა: „შენი წუხილი საკაცობრიო ხასიათისაა, ჩვენ ტიტანები ხომ არა ვართ, რომ დიდ პრობლემებზე ვიფიქროთო“. 60-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრიემა ცხოვრებამ სამოღვაწეოდ აანთო ილინსკაიას გული და მისი ჩაქრობა ბურჟუაზიულ პრაქტიკოსს არ შეეძლო.

ილინსკაიას ტიპის შექმნით დიდმა რომანისტმა გვიჩვენა რუსი ქალის სულიერი კრიზისი, რომელიც წარმოიშვა ახალი, რაზნოჩინულ-დემოკრატიული იდეების განვითარებისა და ფეოდალური სამყაროს ნგრევის პროცესში.

თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულმა ლიბერალიზმმა გონჩაროვს ხელი შეუშალა სულიერი კრიზისიდან გამოეყვანა თავისი გმირი, გაეთავისუფლებინა შტოლცის სულისშემხუთავი ოჯახიდან, მიეცა მისთვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი. თუმცა, როგორც ნ. დობროლიუბოვმა შენიშნა, მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ადრე თუ გვიან ოლღა შტოლცს თავს დაანებებდა.

რომანის მთავარი პერსონაჟებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ობლომოვის შინაყმა ზაქარიც. ეს უკანასკნელი ობლომოვკაშია აღზრდილი და თავისი ბატონის ერთგული მონაა, იგი მზად არის თავი დასდოს მისთვის. ობლომოვკამ მასაც დაასვა თავისი დაღი. იგი მოუქნელია, უხეში და ზარმაცი. მისი ბატონის სახლი ყოველთვის მტვრით სავსე და დაულაგებელია.

ზაქარი ცრუ და ეშმაკიც არის. ხშირად ფულს პარავს და ატყუებს ობლომოვს. ეტყობა, ობლომოვკამ მას სიზარმაცე და ერთგულება ჩაუნერგა, პეტერბურგმა კი — სიცრუე და ეშმაკობა.

რომანი „ობლომოვი“ თავისი იდეური შინაარსით ანტიბატონყმური ხასიათისაა. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ხელში ეს ნაწარმოები საუკეთესო იარაღს წარმოადგენდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. რომანი გამოვიდა საზოგადოებრივი აღტკინების

ეპოქაში საგლეხო რეფორმამდე გაცხარებული კამათის დროს, და გაგებულ იქნა როგორც მოწოდება უძრაობისა და გაყინვის წინააღმდეგ. მართალია, „ობლომოვში" რევოლუციურ-დემოკრატიული აზრები აღ ყოფილა გატარებული, მაგრამ თხზულება საუკეთესო მასალას შეიცავდა რევოლუციური დასკვნებისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ნ. დობროლიუბოვმა „ობლომოვიდან" რევოლუციური დასკვნები გამოიტანა. მან გონჩაროვის მხატვრული სახეები ლოგიკურ განვითარებაში განიხილა და „ობლომოვშჩინა" ფეოდალური რუსეთის ცხოვრების უსაზიზღრეს მოვლენად ჩათვალა. ამასთანავე, კრიტიკოსმა „ობლომოვშჩინის" სენით შეპყრობილად აღიარა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული აპარატის მსხვილი მოხელეებიც.

ი. გონჩაროვის რომანი გამოირჩევა როგორც იდეურობით, აგრეთვე მაღალი მხატვრული ღირსებითაც. „ობლომოვში" ამბავი ეპიკური სიმშვიდით ვითარდება. მწერალი დეტალურად ასახავს ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენებს; მისი ანალიზი ღრმა არის და ზუსტი. იგი არ იძირება შიშველ ნატურალიზმში; ყოველ საგანს სინჯავს, ამოწმებს, სხვადასხვა მხრიდან გვიჩვენებს, მაგრამ ამას სჩადის არა იმისათვის, რომ ხელიდან გაუშვას არსებითი, ტიპიური, არამედ იმისათვის, რომ მოვლენას სრულყოფილ ასახვასა და მხატვრულ განზოგადოებას მიაღწიოს.

ი. გონჩაროვი რუსული სალიტერატურო ენის საუკეთესო ოსტატია. მისი ენა დახვეწილია, ძარღვიანი და სურათოვანი. რუსული ლიტერატურის ისტორიაში იგი ცნობილია, როგორც პუშკინისა და გოგოლის სალიტერატურო ენის საუკეთესო მემკვიდრე. რომანი „ობლომოვი" თავისუფალია ენობრივი ჟარგონისა და პროვინციალიზმისაგან.

„უფსკრული". ი. გონჩაროვის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები. რომანი „უფსკრული" („Обрыв") გონჩაროვმა ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჩაიფიქრა, მაგრამ 60-იან წლებში მწერლის შემოქმედებით ფანტაზიაში მან არსებითი ხასიათის ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები ძმთავრესად რომანის იდეურ შინაარსს შეეხებოდა: სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ცვლილებებს ნაწარმოები არ გაუუმჯობესებია. პირიქით, უარყოფითად იმოქმედა მის ღირსებაზე, რადგან „უფსკრულში" თავი იჩინა იმ იდეურ-პოლიტიკურმა ჩავარდნებმა, რომელიც გონჩაროვმა 60-იანი წლების მეორე ნახევარში განიცადა.

ცნობილია, რომ 1858—1861 წწ. რუსეთში გლეხთა მღელვარებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ხოლო რევოლუციონერ-დემოკრატებსა და ლიბერალებს შორის ბრძოლა გამწვავდა. სამოციანელებმა გადამწყვე-

ტი იერიშის მიტანა დაიწყეს თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. რევოლუციურმა სიტუაციამ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ლიბერალები შეაშინა. მათ ჟურნალ „სოვრემენნიკში“ ბრძოლა გაუმართეს ჩერნიშევსკის მომხრეებს და რეაქციისაკენ გადაიხარნენ. 1861 წ. საგლეხო რეფორმები ლიბერალებმა აღტაცებით მიიღეს. გონჩაროვი ლიბერალთა ბანაკში აღმოჩნდა და რევოლუციონერ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება.

მეფის მთავრობამ ი. გონჩაროვის ლიბერალიზმი დააფასა: 1862 წ. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური გაზეთის „სეევერნაია პოჩტას“ („ჩრდილოეთის ფოსტა“) რედაქტორად დანიშნა, 1863 წ. გადაიყვანეს წიგნების ბეჭდვის საქმეთა საბჭოს წევრად, ხოლო 1865 წლიდან მას ვხედავთ ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს წევრად.

ი. გონჩაროვმა ყველა ეს თანამდებობა არაერთხელ გამოიყენა რევოლუციონერ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პისარევის რადიკალურ-დემოკრატიულ ჟურნალ „რუსსკოე სლოვოს“ დახურვაში. ამ ჟურნალს იგი რამდენიმეჯერ დაესხა თავს და ბრალი დასდო „მატერიალიზმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის“ პროპაგანდაში. 1863—1864 წწ. გონჩაროვი არ მოერიდა „სოვრემენნიკისა“ და ნ. ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ კრიტიკას.

როგორც ი. გონჩაროვის წერილებიდან ჩანს, 60-იან წლებში „უფსკრულზე“ მუშაობის პერიოდში, მას ძალიან აღელვებდა ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მან რომანში დიდი ადგილი დაუთმო რევოლუციონერების კრიტიკასაც.

„უფსკრულის“ ცენტრში დგას მდიდარი, ნიჭიერი ახალგაზრდა რაისკი. იგი მოქანდაკეც არის, მხატვარიც და მწერალიც. იმის მიუხედავად, რომ მას ხელოვნების ამ დარგში ნიჭიც აქვს და განათლებაც, მაინც ვერ აღწევს წარმატებას ვერც ერთ დარგში. რაისკის წარუმატებლობის მიზეზია იგივე „ობლომოვშჩინა“. რაისკი იმავე სოციალური სენით არის დაავადებული, რომლითაც ცნობილი წინაპარი იყო ობლომოვი. შეიძლებათ არ არის, რომ ავტორი მას ხშირად „ობლომოვის შვილს“ უწოდებს.

რაისკი „ზედმეტი ადამიანის“ ტიპია. იგი კეთილშობილი, გულწრფელი, დიდი გონებრივი და ზნეობრივი შესაძლებლობის მქონე პიროვნებაა, მაგრამ ამავე დროს უნებისყოფო, მეოცნებე იდეალისტია; მან ბევრი სასარგებლო საქმე წამოიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერც ერთი ვერ მიიყვანა. როგორც ხელოვანს, მას ჰქონდა ფანტაზიის, შთაგონების უნარი, მაგრამ შრომა არ უყვარდა. ეს იყო, როგორც თვით ავ-

ტორმა მას ერთ-ერთ კერძო წერილში უწოდა, თავისებური „არტისტული ობლომოვი".

ი. გონჩაროვს უნდოდა თავისი გმირი „გამოღვიძებულ ობლომოვად" დაეხატა. ამ მიზნით რაისკის შეგნებაში ზოგიერთი ლიბერალური იდეა შეიტანა. მაგალითად, მეოცნებე აზნაური ბატონყმობის წინააღმდეგ გამოდის, უარყოფს დესპოტიზმს, ძალმომრეობას, აკრიტიკებს დრომოჭმულ პატრიარქალურ ადათ-წესებს და ა შ. ამის მიუხედავად, რაისკი მაინც არ არის მწერლის დადებითი გმირი. რომანისტი მას დასცინის, არ მოსწონს მისი დილეტანტობა, ფანტაზიორობა და ბატონიშვილური უნებისყოფობა. ყველაფერი ეს მას თავადაზნაურული კლასის მანკიერებად მიაჩნდა და, ისევე როგორც სხვა რომანებში, ავტორი აქაც აკრიტიკებს ამ ნაკლს.

რომანში რაისკის უპირისპირდება მოხუცი მემამულე ქალი ტატიანა მარკოვნა ბერეჟკოვა. ეს უკანასკნელი მწერალს დადებით გმირად ჰყავს გამოყვანილი. ბერეჟკოვა ძველი პატრიარქალური წესების დამცველია. მისი აზრით, ძველი წესები დამყარებულია რუსული მორალის ტრადიციულ საფუძვლებზე. ბერეჟკოვა ძლიერი პიროვნებაა. იგი შესანიშნავად ხელმძღვანელობს რაისკის მეურნეობას, კარმიდამოს, ზრუნავს თავისი შვილიშვილების, ვერასა და მარფინკას აღზრდაზე და ნებისყოფის ოშვიათ სიმტკიცეს იჩენს ძველი ადათ-წესების შესრულებაში.

ბერეჟკოვა უაღრესად კოლორიტული ფიგურაა. მისი სახით მწერალს უნდოდა განესახიერებინა „მეორე უდიდესი ბებია" — პატრიარქალური რუსეთი, რომელიც მთელი თავისი ძალღონით ახალს ეღობებოდა წინ. ეს ტიპი მან ოშვიათი მონდომებითა და სიყვარულით დახატა; გვიჩვენა იგი როგორც ფაქიზი, გულკეთილი და ამავე დროს პირდაპირი ქალი.

რომანის მეორე მთავარი პერსონაჟია ბერეჟკოვას შვილიშვილი ვერა ვასილევნა. გონჩაროვმა ყველაზე უფრო სრულყოფილად ეს ტიპი დახატა.

ვერა სერიოზული, დაფიქრებული ქალია. იგი უკმაყოფილოა ძველი ხავსმოკიდებული ყოფა-ცხოვრებით და ეძებს ახალს, უკეთესს. ვერა ძლიერი ნებისყოფისაა.

როდესაც ვერა პირველად შეხვდა ნიჰილისტ მარკ ვოლოხოვს, გაინცვიფრდა ამ კაცის ძლიერი ხასიათით და იფიქრა, რომ იგი შესძლებდა ცხოვრების განახლებას. ვერას ვოლოხოვი შეუყვარდა, მაგრამ მწერალმა ეს სიყვარული გვიჩვენა როგორც გამოუცდელი ქალის შეცდომა. რომანის დასასრულს ვერა სულიერ კრიზისს განიცდის. კრიზისიდან მწერალს იგი გამარჯვებული გამოჰყავს, მაგრამ ამავე დროს ბერეჟკოვას კონსერვატიულ პოზიციებზე გადაჰყავს. ვერა

დარწმუნდება, რომ სიმართლე ბებიას მხარეზეა, რომ ბერეჟკოვას მორალი გონივრულ პრინციპებზე იყო დამყარებული და მისი დარღვევა ადამიანის ზნეობრივ კატასტროფას იწვევდა.

ი. გონჩაროვის კონსერვატიული ტენდენცია 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება, ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა მარკ ვოლოხოვის სახეში. ვოლოხოვი რევოლუციონერის კარიკატურაა. მართალია, როდესაც მწერალს რევოლუციონერ-დემოკრატები აუმხედრდნენ, მან უარყო ეს ბრალდება, მაგრამ რომანის ანტიდემოკრატიული ტენდენცია ყველასათვის ცხადი იყო.

ი. გონჩაროვმა სრულიად არასამართლიანად გააკრიტიკა რევოლუციონერ-დემოკრატების საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და ეთიკური შეხედულებანი. ვოლოხოვის ტიპის შექმნით მას უნდოდა დაემტკიცებინა „მატერიალიზმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საცოდავი და უვარგისი დოქტრინების" მაცნე მიმართულება, მაგრამ სინამდვილეში მას ცილისწამება გამოუვიდა.

მარკ ვოლოხოვს, როგორც ნიჰილისტსა და ანარქისტს, ავტორი უპირისპირებს მემამულე ტუშინს. მწერალმა ეს უკანასკნელი გამოიყვანა, როგორც იდეალური ადამიანი. ის აღიარა ახალი თაობის ჭეშმარიტ წარმომადგენლად. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, გაბურჟუებულ მემამულეს საერთო არაფერი ჰქონდა ახალ თაობასთან.

„უფსკრული" ერთგვარად მიმართულია ნ. ჩერნიშევსკის რომანის წინააღმდეგ. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის მიერ დასმულ კითხვაზე: რა ვაკეთოთ? გონჩაროვმა ტუშინის ტიპის შექმნით გასცა პასუხი.

ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, „უფსკრული" დიდი მნიშვნელობის ნაწარმოებია. აქ შესანიშნავად არის დასურათებული რუსეთის ცხოვრების მრავალი მხარე, რუსი ადამიანები, რუსეთის ბუნება. ეს ნაწარმოები განსაკუთრებით მდიდარია ვოლგისპირეთის ბუნების თვალწარმტაცი სურათების აღწერით.

1867 წლის ბოლოს გენერლის წოდებას მიღწეული გონჩაროვი სამსახურიდან გათავისუფლდა. მას დიდი პენსია დაენიშნა. ამით დამთავრდა მისი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული კარიერა. ფაქტიურად იმავე წლებში დამთავრდა მისი ლიტერატურული კარიერაც. „უფსკრული" მისი უკანასკნელი დიდი ბელეტრისტული ნაწარმოები იყო. 70-იან წლებში მწერლის ჯანმრთელობაც შეირყა. თავის კერძო წერილებში იგი ხშირად უჩიოდა მდგომარეობის გაუარესებას, მაგრამ დროდადრო კრიტიკული წერილებითა და მოგონებებით გამოდიოდა.

გასული საუკუნის 40—70-იანი წლების რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაში, რეალიზმის განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მხატვრული სიტყვის დიდოსტატმა, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებულმა მწერალმა ი. ტურგენევმა.

ცხოვრების გზა. ივანე სერგის-ძე ტურგენევი (1818 — 1883) დაიბადა ორიოლში. მამამისი ახალგაზრდობაში სამხედრო მოსამსახურე და ხელმოკლე აზნაური იყო, მაგრამ მას შემდეგ რაც ცოლად შეირთო მდიდარი ვარვარა ლუტოვინოვა, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესა, სამხედრო სამსახური მიატოვა და უდარდელი ცხოვრება დაიწყო ბეჟეცკის მაზრაში — სოფ. სპასკოე-ლუტოვინოვოში (ქ. ორიოლის მახლობლად). მომავალმა მწერალმაც აქ გაატარა თავისი ბავშვობა. მას ფუფუნებაში ზრდიდნენ, თავს ევლებოდნენ უცხოელი გუვერნიორები და რუსი შინაყმები. ბავშვობიდანვე ი. ტურგენევი ხედავდა ყმა გლეხის სამძიმო ჩაგვრასა და ექსპლუატაციას. განსაკუთრებით მკაცრი და შეუბრალებელი იყო დედამისი. ბავშვის გულში ადრე ჩაისახა სიძულვილი ბატონყმობისა და ყოველგვარი ძალმომრეობის მიმართ.

1827 წელს ტურგენევის ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ბავშვი ჯერ კერძო პანსიონში სწავლობდა, 1833 წლიდან კი — მოსკოვის უნივერსიტეტში, სიტყვიერების ფაკულტეტზე. 1834 წელს ი. ტურგენევი გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მას ასწავლიდნენ გოგოლი, პლეტნიოვი („სოვრემენნიკის" რედაქტორი პუშკინის სიკვდილის შემდეგ) და სხვა ცნობილი მოღვაწეები. ტურგენევი უნივერსიტეტში ხელს ჰკიდებს შემოქმედებით მუშაობას, წერს რომანტიკულ ლექსებსა და პოემებს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1838 წელს, ტურგენევი საზღვარგარეთ მიემგზავრება და ბერლინის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას, ისმენს ცნობილი პროფესორების ლექციებს, გატაცებით ეწაფება ფილოსოფიას, კლასიკური ფილოლოგიის ისტორიას, ახლოს ეცნობა დასავლეთის ცხოვრებას, უახლოვდება იქ მოსწავლე რუს ახალგაზრდებს, განსაკუთრებით — მ. ბაკუნინს. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

1841 წ. ტურგენევი სამშობლოში დაბრუნდა. თავდაპირველად ის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებას აპირებდა, სამაგისტ-

რო გამოცდებისათვის ემზადებოდა, რათა ფილოსოფიის პროფესორის თანამდებობა დაეკავებინა უნივერსიტეტში, მაგრამ მალე ამ განზრახვაზე ხელი აიღო და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა არჩია. მის სოციალურ და ესთეტიკურ შეხედულებათა გამომუშავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ბ. ბელინსკიმ, რომელსაც ტურგენევი 1842—1843 წლის ზამთარში გაეცნო და დაუახლოვდა. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ ცხარედ კამათობდნენ პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე. ტურგენევი სავსებით იზიარებდა ბელინსკის ზიზღს ბატონყმობის, დესპოტიზმის, რეაქციის მიმართ, განსაკუთრებით მოსწონდა დიდი კრიტიკოსის შეხედულებები ლიტერატურის ხალხურობაზე, რეალიზმზე, მაგრამ მიუღებლად მიაჩნდა რევოლუციური და სოციალისტური იდეები, რომლებსაც ბელინსკი ქადაგებდა. ამ დროს ტურგენევი წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს და მოთხრობებს. ბელინსკის გაელენით იგი თანდათან განთავისუფლდა რომანტიზმისაგან, თავი დააღწია წამბაძველობას და შექმნა ორიგინალური რეალისტური ნაწარმოებები. მაგრამ განსაკუთრებული სიახლითა და საზოგადოებრივი მნიშვნელობით არც ეს ნაწარმოებები გამოირჩეოდა, რასაც თვით ავტორიც გრძნობდა. ახალგაზრდა მწერალს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაკაფული დამოუკიდებელი გზა ლიტერატურაში. საბედნიეროდ, ერთმა შემთხვევამ მკაფიოდ გამოაელინა ტურგენევის ნიჭის ახალი შესაძლებლობანი, მისი ნამდვილი მოწოდება.

1847 წელს „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა ტურგენევის მოთხრობა „ხორი და კალინიჩი“. არც ავტორს და არც ჟურნალის რედაქციას ეს მნიშვნელოვან ნაწარმოებად არ მიაჩნდათ, მაგრამ მკითხველ საზოგადოებაში მოთხრობას დიდი წარმატება ხვდა. ყველა მოხიბლა როგორც მწერლის ოსტატობამ, ისე თემის სიახლემ — გლეხთა ტიპებისა და მათი ყოფა-ცხოვრების აღწერამ. „ხორი და კალინიჩის“ წარმატებამ ტურგენევი წაახალისა. მან ანალოგიური „გლეხური“ მოთხრობების წერა და ბეჭდვა განაგრძო. ასე შეიქმნა წიგნი „მონადირის ჩანაწერები“, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა.

1847 წლიდან ტურგენევი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. 1850 წ. იგი დაბრუნდა სამშობლოში. ამ წელს დედამისი გარდაიცვალა და მწერალს სოლიდური მემკვიდრეობა დარჩა.

1852 წელს ნ. გოგოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ტურგენევმა ნეკროლოგი დაბეჭდა. თუმცა ნეკროლოგში მთავრობის საწინააღმდეგო აზრები არ ყოფილა, მაგრამ მწერალი მაინც დააპატიმრეს და ერთი თვის პატიმრობის შემდეგ მის მამულში — სპასკოე-ლუტოვინოვოში გადაასახლეს. ასეთი დასჯის ნამდვილი მიზეზი იყო

1852 წელს ცალკე წიგნად გამოცემული „მონადირის ჩანაწერები“, რომელშიც ავტორმა ბატონყმობა ამხილა.

1853 წელს ტურგენევი გადასახლებიდან გაანთავისუფლეს. იგი პეტერბურგში ჩავიდა, კიდევ უფრო დაუახლოვდა „სოვრემენნიკის“ რედაქციას და მის ერთ-ერთ წამყვან თანამშრომლად იქცა. თითქმის ყველა თავის ნაწარმოებს ტურგენევი ამ ჟურნალში ბეჭდავდა („რუდინი“, „აზნაურთა ბუდე“ და სხვ.). თუმცა იგი მეტწილად საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ცნობილ მომღერალ ქალ პოლინა ვიარდოს მეგობრულ ოჯახში, მაგრამ ხშირად ჩამოდიოდა სამშობლოში და აქტიურად მონაწილეობდა სამოციანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

მართალია, ტურგენევი არ იზიარებდა ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეთა იდეებს არსებული წყობილების რევოლუციური ბრძოლით მოსპობის შესახებ, არც მათი ესთეტიკური პროგრამა მიაჩნდა მთლიანად მისაღებად, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი სრულებითაც არ თანაუგრძნობდა ბატონყმობის დამცველ და „წმინდა ხელოვნების“ მქადაგებელ რეაქციონერებს. ტურგენევს არასოდეს არ უღალატია პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეებისათვის. მისი ყოველი ახალი ნაწარმოები აქტუალურ საკითხს ეხებოდა და პაექრობას იწვევდა.

უცხოეთში ტურგენევი განსაკუთრებით დაუახლოვდა ფრანგ რეალისტ მწერლებს. მასთან მეგობრობდნენ და პატივს სცემდნენ ფლობერი და ზოლა, მერიმე და დოდე, ჟორჟ სანდი და მოპასანი, გონკურები და სხვანი. ბევრი მათგანი ტურგენევს თავის მასწავლებლად თვლიდა. რუსი მწერლებიდან პირველად ის იქნა აღიარებული დასავლეთ ევროპაში დიდ რომანისტად. ტურგენევმა დიდად შეუწყო ხელი რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციას დასავლეთში. მისი თაოსნობით ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, კოლცოვის, გოგოლისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები.

1883 წ. ტურგენევი პარიზში გარდაიცვალა ხერხემლის კიბოთი. მისი ნეშტი რუსეთში ჩამოასვენეს და დიდი პატივისცემით დაკრძალეს.

„მონადირის ჩანაწერები“. როგორც აღვნიშნეთ, „მონადირის ჩანაწერები“ („Записки охотника“) 1847 წლიდან ცალკე მოთხრობებად იბეჭდებოდა „სოვრემენნიკში“. ყოველ მათგანს დიდი წარმატება ჰქონდა, მაგრამ ამ წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როცა ავტორმა მოთხრობები 1852 წელს ცალკე კრებულად გამოსცა. წიგნმა მკითხველ საზოგადოებაზე უდიდესი შთაბეჭდილება

შოახდინა, რადგან მასში იშვიათი მხატვრული ძალითა და სიმართლით იყო ასახული ბატონყმური რუსული სოფლის ცხოვრება.

„მონადირის ჩანაწერები“ 25 მოთხრობისაგან შედგება. თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ, დასრულებულ „ჩანაწერს“, რომელსაც დაკვირვებული მონადირე აწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთმანეთთან სიუჟეტური კავშირი არა აქვთ, კრებული მაინც შინაგანად ერთიანი, განუყოფელი თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან მასში შესულ მოთხრობათა შორის იდეურ-თემატური და მხატვრული ნათესაობა არსებობს. „ჩანაწერები“ მოგვაგონებენ „ფიზიოლოგიურ ნარკვევებს“ — ნატურალური სკოლის მთავარ ჟანრს. ტურგენევიც ნატურალური სკოლის მწერლად წარმოგვიდგება, ოღონდ სხვებისაგან განსხვავებით, ის მართლად აგვიწერს არა ქალაქის მდაბიოთა ყრფას, არამედ გლეხთა ცხოვრებას.

მწერალი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს ორ ძირითად კლასს — ყმა გლეხებსა და მემამულეებს. ტურგენევი დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით გვიხატავს გლეხთა სახეების მთელ გალერეას. პირველივე მოთხრობაში იგი ცოცხლად წარმოგვიდგენს ორ ყმას—ხორსა და კალინიჩს. ხორი მეტად ენერგიული, ჯანმაგარი, გამჭრიახი და მოხერხებული გლეხია. იგი, ბელინსკის სიტყვით, ისეთი რუსი გლეხის ტიპია, რომელსაც მეტად მძიმე პირობებშიც კი შეუძლია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. მან კარგად მოაწყო თავისი ოჯახი, ეკონომიურად მომაგრდა, მებატონისაგან ერთგვარ დამოუკიდებლობასაც კი მიაღწია. პრაქტიკოსი ხორის საწინააღმდეგო ტიპია გამხდარი, გაძვალტყავებული და ამავე დროს შესანიშნავი ნიჭით დაჯილდოებული და რომანტიკული ოცნებით შეპყრობილი კალინიჩი. იგი პოეტური ბუნების ადამიანია, უწყინარი, მშვიდი, ნაზი. ადვილად ურიგდება თავის სიღარიბეს, პრაქტიკულ საქმიანობაზე ნაკლებად ფიქრობს, სამაგიეროდ დიდად განვითარებული აქვს ესთეტიკური გრძნობა, ბუნების სიყვარული. იგი უმაღლეს სიტკბოებას განიცდის ბუნების წიაღში ყოფნისას.

კიდევ უფრო ძლიერად აქვს განვითარებული ბუნების გრძნობა გლეხ კასიანეს („კასიანე ლამაზი მეჩიდან“ — „Касьян с Красивой Мечи“), რომელიც ბუნებას აღმერთებს და მის საიდუმლოებათა წინაშე მოწიწებით იდრეკს მუხლს.

„მომღერლებში“ („Певцы“) ტურგენევი წარმოგვიდგენს გლეხ იაშკას, რომლის გულშიჩამწვდომი სიმღერები მშვენიერებს ხიბლავს და აჯადოებს. — „მის ხმაში იყო წრფელი ღრმა გრძნობაც, სიჯაბუქეც, ძალაც, სიტკბოებაც და რაღაც წარმტაცი უზრუნველი სევდაც.

მასში ალალი, მხურვალე რუსული სული ეღერდა, სუნთქავდა და გულს ედებოდა".

ლუკერია ოდესღაც ჯანღონით სავსე და ხალისიანი გოგონა იყო („მხიარული მოცეკვავე და მომღერალი"). ბატონყმურმა უღელმა იგი ცოცხალ ლეშად, „მუმიად" აქცია. მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა ბოლშევიკური საათნოება და სულგრძელობა („ცოცხალ-მკვდარი" — „Живые мощи").

ავტორი განსაკუთრებული სიყვარულით გვიხატავს გლეხ ბავშვებს — მკვირცხლ, მხიარულ და მამაც ღამის მეხრეებს („ბეჟას მდელო" — „Бежин луг").

შიმშილის, სიღატაკის, საშინელი ექსპლუატაციისა და დამცირების საშინელ პირობებშიც კი გლეხებს შეუნარჩუნებიათ სულის სისპეტაკე, ადამიანური ღირსება და მომავლის რწმენა. ნიჭითა და მორალური ღირსებით ყმები გაცილებით უფრო მაღლა დგანან მებატონეებზე, რომლებსაც ტურგენევი ამხელს როგორც უსულგულო ბარბაროსებსა და პარაზიტებს.

ასე მაგალითად, მოთხრობაში „ორი მემამულე" („Два помещика") ავტორი აგვიწერს ტანდაბალი, მსუქანი, მელოტი მემამულე სტეგუნოვის სისასტიკეს, რომლის ბრძანებით შინაყმა ვასკას როზგებით სცემენ საჯინიბოში. სტეგუნოვი კი აივანზე ზის და როზგების რიტმულ ტლაშუნს სიამოვნებით უსმენს, თითქოს მუსიკით ტკბებაო.

მემამულე ზვერკოვის მეუღლეს, განებივრებულ პეტერბურგელ ქალბატონს ახირებული ხასიათი ჰქონდა. მას მხოლოდ გაუთხოვარი ქალი უნდა ჰყოლოდა შინაყმად. ამიტომ როცა არინამ მას გათხოვების ნებართვა სთხოვა, იგი აღშფოთდა, საცოდავი გოგო მიყრუებულ სოფელში გადაასახლა და სიცრუცლე ჩაუმწარა („ერმოლაი და ენწისქვილის ცოლი" — „Ермолай и мельничиха").

ეხლაში მებატონეებისაგან დიდად განსხვავდება არკადი პენოჩკინი (მოთხრობა „ბურმისტრი"). იგი „კულტურული", ადამიანია. „ევროპიელი", განსწავლული, ფრანგულ გაზეთებსა და წიგნებს იწერს, ლაპარაკში ხშირად ხმარობს უცხო სიტყვებს. მაგრამ გარეგნული „ინტელიგენტურობის" საფარქვეშ მხეცური ბუნების სადისტი მებატონე იმალება. ვ. ი. ლენინმა ბრწყინვალედ დაახასიათა პენოჩკინი სტატიაში „გრაფ გეიდენის ხსოვნას".

„ჩვენს წინაშეა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ცივილიზებული განათლებული, კულტურული მემამულე, მოპყრობის რბილი ფორმებით, ევროპული პეწით. მემამულე ღვინით უმასპინძლდება სტუმარს და მაღალ მატერიებზე საუბრობს. „ღვინო რად არ გაგითბია?"—ეკითხება იგი ლაქიას. ლაქია დუმს და ფითრდება. მემამულე ზარს რეკავს და ხმის აუმაღლებლად ეუბნება შემოსულ მსახურს: „თედორეს შესახებ...

გაეცით განკარგულება"... ტურგენევის მემამულე „ჰუმანური" ადამიანია... სალტიჩიხასთან შედარებით, მაგალითად, იმდენად ჰუმანურია, რომ თვითონ არ მიდის საჯინიბოში თვალყურის სადევნებლად, ნამდვილად გასცეს თუ არა განკარგულება თედორეს გასაშოლტავად, იგი, ეს მემამულე, თავს ნებას არ მისცემს დაარტყას ან შეაგინოს ლაქიას, იგი მხოლოდ შორიდან „სცემს განკარგულებას", როგორც განათლებული ადამიანი, რბილ და ჰუმანურ ფორმებში, უხმაუროდ, უსკანდალოდ, არა საქვეყნოდ"[1].

რა უფლება ჰქვთ მემამულეებს, ამ მუქთახორა და ამორალურ კაცუნებს, ჩაგრონ და ყელიფონ გლეხები, რომლებიც ყოველმხრივ მათზე მაღლა დგანან? რატომ უნდა არსებობდეს ასეთი უსამართლობა, ასეთი მახინჯი წყობა, ბატონყმობა? ცხადია, მისი არსებობა ბოროტებაა და იგი უნდა მოისპოს, — ლოგიკურად ასეთი დასკვნა გამოდის „მონადირის ჩანაწერებიდან". მართალია, ავტორი აგვიწერს უმთავრესად შინაყმების ულიმღამო ცხოვრებას და არა მიწის მუშაკთა სასტიკ ექსპლუატაციას; სწორია, აგრეთვე, რომ ტურგენევის მოთხრობებში ბატონყმობის წინააღმდეგ მეამბოხე გლეხთა სახეებს არ ვხვდებით. ავტორი, ცხადია, ვერ ამაღლდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებამდე; იგი ყოველთვის თვლიდა, რომ ბატონყმობა უნდა მოისპოს არა რევოლუციური, არამედ „მშვიდობიანი" გზით. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურგენევმა ახალგაზრდობიდანვე დადო, როგორც თვითონ წერდა, „ჰანიბალის ფიცი", რომ ყოველთვის იბრძოლებდა ამ სოციალური სიმახინჯის წინააღმდეგ. ამ ფიცისთვის მას არასოდეს უღალატია. „მონადირის ჩანაწერები" მკითხველს ბატონყმობის წინააღმდეგ განაწყობს.

ამ თხზულებაში მკითხველს ხიბლავს აგრეთვე რუსული ბუნების ბრწყინვალე სურათები. ტურგენევი ბუნების საუკეთესო მცოდნე და მესაიდუმლე, რეალისტური პეიზაჟის უბადლო ოსტატია. ბუნება ხშირად თითქოს მონაწილეობს ადამიანთა ცხოვრებაში, გმირთა განცდებში, მათს მწუხარებასა და სიხარულში.

„მონადირის ჩანაწერების" ბოლო მოთხრობაში („ტყე და სტეპი" — „Лес и степь") მოცემულია შესანიშნავი პეიზაჟი, რომელიც წიგნის დამაგვირგვინებელ აკორდად ჟღერს. აქ იშვიათი მხატვრული ძალითაა დახატული რუსეთის თვალუწვდენელი სივრცეები და ტყეები. ეს სურათი რუსი ხალხის ძალის, სილამაზისა და უსაზღვრო შესაძლებლობების ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს. ავტორი ჰიმნს უმღერის მშობლიური ბუნების სიმშვენიერეს და სჯერა, რომ ოდესმე ამ მომხიბლავი ბუნების წიაღში ადამიანთა ბედნიერება დაისადგურებს.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, 1950 წ. გვ. 55.

თემის თუ ჟანრის სიახლემ, ღრმა იდეურმა შინაარსმა, უბადლო მხატვრულმა ოსტატობამ, მელოდიურმა ენამ განაპირობა „მონადირის ჩანაწერების“ უდიდესი წარმატება რუსეთსა და მთელ მსოფლიოში. ამ ნაწარმოებებმა, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სიტყვით, დასაბამი მისცა ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, რომლის მთავარ საგანს წარმოადგენდა ხალხი და ხალხის საჭიროებანი. ტურგენევისადმი მიწერილ წერილში ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი ჟორჟ სანდი ასე აფასებდა „მონადირის ჩანაწერებს“:

„ვერც ერთი ისტორიული ძეგლი ვერ გაგვაცნობდა რუსეთს ისე კარგად, როგორც თქვენს მიერ მშვენივრად შესწავლილი და დახასიათებული ეს სახეები და ყოფა... თქვენ გახასიათებთ თანაგრძნობა და ღრმა პატივისცემა ყოველგვარი ადამიანური არსებისადმი, როგორი ძონძებითაც გინდ იყოს იგი დაფარული და როგორი უღლის ქვეშაც გინდ იმყოფებოდეს... თქვენ ხართ რეალისტი, რომელიც ყველაფერს ალამაზებს, დიდებული გულის პატრონი, რომელსაც ყველა ჩაგრული ებრალება და ყველაფერი ესმის“.

„რუდინი“. 1856 წელს „სოვრემენნიკში“ გამოქვეყნდა ტურგენევის პირველი რომანი „რუდინი“. მას მოჰყვა „აზნაურთა ბუდე“ (1859) „წინადღით“. (1860), „მამები და შვილები“ (1862), „ბოლო“ (1867) და „ყამირი“ (1877). ამ ექვსი რომანით ტურგენევმა უდიდესი წვლილი შეიტანა მხატვრულ ლიტერატურაში. რომანის ჟანრი მას საშუალებას აძლევდა უფრო ღრმად და ფართოდ აესახა სინამდვილე, ვიდრე მოთხრობასა და პიესაში, ან ლექსსა და პოემაში. რომანებში ტურგენევმა თავისი დროის უაღრესად საჭირბოროტო საკითხები გააშუქა.

ასე, მაგალითად, „რუდინში“ დასმულია მეტად აქტუალური საკითხი დადებითი გმირის შესახებ. რომანის მთავარი მოქმედი პირია ხელმოკლე მემამულის შვილი დიმიტრი რუდინი. ოცდაათიან წლებში იგი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, სტუდენტთა ფილოსოფიურ წრეში მონაწილეობდა, გატაცებული იყო გერმანული იდეალისტური ფილოსოფიით, შესანიშნავი ნიჭითა და ბეჯითობით გამოირჩეოდა. მას მრავალი სხვა ღირსებაც ამკობდა: უაღრესად პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი, იგი სინდისს არასოდეს არ ღალატობდა. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ფლობდა იგი ორატორულ ხელოვნებას.

რუდინი „სიტყვის ნამდვილი ჯადოქარი იყო“ — ამბობს ავტორი. — იგი მსმენელს ხიბლავდა და აღაფრთოვანებდა არ მარტო „მშვენრმეტყველების მუსიკით“, არამედ იმ მაღალი იდეებითაც, რომლებსაც ქადაგებდა. რუდინი მკაცრად აკრიტიკებდა დესპოტიზმს,

ეგოიზმსა და უნაყოფო სკეპტიციზმს, უხამსობასა და უვიცობას. იგი ქადაგებდა თავისუფლებასა და საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადებას, განათლებასა და მეცნიერებას. „მისი სიტყვა მომართული იყო მომავლისაკენ“ და მსმენელთაც ამ დიადი მომავლისათვის საბრძოლველად აღაგზნებდა.

მაგრამ თვითონ რუდინმა ამ მაღალი იდეების ცხოვრებაში გატარება ვერ შეძლო, სიტყვა საქმედ ვერ აქცია. მისი პირველივე ნაბიჯები პრაქტიკული მოღვაწეობის ასპარეზზე მარცხით დამთავრდა. ასე, მაგალითად, რუდინი ერთ-ერთ მსხვილ მემამულეს დაუახლოვდა და მის მეურნეობაში რეფორმების გატარება მოისურვა ევროპული აგრონომიის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ამის შემდეგ რუდინმა ხელი მოჰკიდა „საინჟინრო სამუშაოს — შეეცადა ერთ-ერთი პატარა მდინარე იმდენად გაეღრმავებინა, რომ სანაოსნოდ გამომდგარიყო. მაგრამ ვერც ეს გეგმა განახორციელა, რადგან საამისო კაპიტალი და ცოდნა არ გააჩნდა. ბოლოს იგი გიმნაზიაში მასწავლებლობას იწყებს, პირველ ხანებში მოწაფეებს თავისი მშვენიერმეტყველებით ხიბლავს, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ ორატორული იმპროვიზაციით შორს ვერ წავიდოდა, საფუძვლიანი ცოდნა კი მას არ გააჩნდა. ამიტომ გიმნაზიაც მიატოვა...

ამგვარად, რუდინის ვერცერთი პრაქტიკული წამოწყება წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ეს აიხსნება ორი მიზეზით: 1. მას არ გააჩნდა სასარგებლო საქმიანობისათვის საჭირო ობიექტური პირობები. მეფის რუსეთს სჭირდებოდა არა პროგრესულად მოაზროვნე, თავისუფლებისმოყვარე, ნიჭიერი და განათლებული რუდინები, არამედ ყურმოჭრილი მონები, მორჩილი მოლჩალინები; 2. რუდინი იდეალისტია, აბსტრაქტულად მოაზროვნე ფილოსოფოსი, ლამაზი ფრაზის მოყვარული ადამიანი და არა საქმის კაცი. პრაქტიკული მოღვაწეობისათვის მას არც ნებისყოფა და მოთმინება ჰყოფნის, არც რეალური ცხოვრების საკმაო ცოდნა გააჩნია. „ბუნებამ ბევრი რამ მომცა, — აღიარებს რუდინი, — მაგრამ ისე მოვკვდები, რომ ჩემი ძალების შესაფერისს ვერაფერს გავაკეთებ... პირველი დაბრკოლება — და მე მთლად მოვიფუშები“.

თავისი გმირის უხერხემლობას ტურგენევი განსაკუთრებით მკვეთრად გვიჩვენებს სიყვარულის სფეროში, ნატალია ლასუნსკაიასთან ურთიერთობაში: ცხოვრებაში მრავალი მარცხისა და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ 35 წლის რუდინი მოხვდება პროვინციულ თავადაზნაურთა წრეში, რომელიც მდიდარ მემამულე ლასუნსკაიას ოჯახთანაა დაკავშირებული. ოჯახის დიასახლისი ძველი ყაიდის მემამულეა, განებივრებული ქალბატონი, ეგოისტი. მასთან ხშირად იკრიბებიან ად-

გლობრივი ინტელიგენტები, რომელთა შორის არიან როგორც პატიოსანი და კულტურული ადამიანები, ისე უბადრუკი და ზნედაცემული პირები. რუდინის გამოჩენამ ამ წრეში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან მკვეთრმეტყველებით ყველა მოხიბლა. განსაკუთრებით კი დიასახლისის შვილი—17 წლის ნატალია, რომელიც გამოირჩეოდა ცნობისმოყვარეობით, ტკბილი ხასიათითა და მაღალი მისწრაფებებით. რუდინის ნაღალფარდოვანმა სიტყვებმა თავისუფლებასა და თავგანწირვაზე ნატალია აღაფრთოვანა და მოქმედების წყურვილი აღუძრა. სტუმარი გოგონას ესახებოდა ნამდვილ გმირად, მოწინავე სახოგადო მოღვაწედ, ბრძოლისათვის დაბადებულ ძლიერ პიროვნებად. ნატალიას იგი თავდავიწყებით შეუყვარდება და მზადაა ცოლად გაჰყვეს. რუდინსაც გულწრფელად უყვარს გოგონა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, პაემანზე, უსუსურობას ამჟღავნებს.

დედა შენხე გათხოვებას მიკრძალავსო, — ეუბნება ნატალია რუდინს, — მაგრამ „მე ვეუპასუხე, რომ უმალ მოვკვდები, ვიდრე სხვაზე გავთხოვდები-მეთქი". და აი, იმ დროს, როცა ნატალია მზადაა ყოველგვარი დაბრკოლება გადალახოს, სახლი მიატოვოს და დედის სურვილის წინააღმდეგ საყვარელ ადამიანს ცოლად გაჰყვეს, რუდინი მას ასეთ რჩევას აძლევს: რადგან დედაშენი წინააღმდეგია, უნდა დავმორჩილდეთ და ერთმანეთს დავშორდეთო. „დავმორჩილდეთ! — პასუხობს ნატალია, — მაშ აი, სინამდვილეში როგორ იყენებთ თურმე თქვენს მსჯელობას თავისუფლებაზე, თავგანწირვაზე!" ამ ფრაზაში მხილებულია რუდინის მთავარი ნაკლი: სიტყვისა და საქმის შეუთანხმებლობა, რაც საერთოდ ახასიათებდათ „ზედმეტ ადამიანებს".

რუდინი „ზედმეტი ადამიანის" ტიპია. ამ სახით ტურგენევი იძლევა 30—40-იანი წლების აზნაურ-ინტელიგენტს — ჭკვიანს, განათლებულს, პატიოსანსა და მკვეთრმეტყველს, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობისათვის სრულიად გამოუსადეგარს, უნებისყოფოს. გაუბედავს. მწერალი გრძნობს, რომ ახალი ეპოქისათვის საჭიროა არა რუდინები, არამედ სხვაგვარი მოღვაწეები, ახალი ტიპის ადამიანები, საქმის კაცები.

ავტორი კიცხავს რუდინის სუსტ მხარეებს, მაგრამ, ამავე დროს, რომანის ბოლოში ნაწარმოების მეორე პერსონაჟის — ლეჟნევის პირით იგი მაღალ შეფასებას აძლევს დადებით თვისებებს, რომლებიც „ზედმეტ ადამიანებს" ჰქონდათ: უანგარობა და მორალური სისპეტაკე, ჰეშმარიტებისა და მაღალი იდეალებისაკენ მისწრაფება, თავისუფლებისა და კეთილი აზრების დაუღალავი ქადაგება.

1860 წელს, როცა ტურგენევი თავის რომანს ხელახლა დასაბეჭდად ამზადებდა, მან ეპილოგში ერთი ეპიზოდი ჩაუმატა: რუდინი წლები დროში ხელში იღუპება რევოლუციურ ბარიკადებზე პარიზში

1848 წელს. ამით ავტორი რუდინის ეროგენულ რეაბილიტაციას იძლევა და ხაზს უსვამს მოწინავე თავადაზნაურული ინტელიგენციის კავშირს გამათავისუფლებელ მოძრაობასთან.

„რუდინსა“ და მასთან იდეურად დაკავშირებულ მოთხრობა „ასიას“, რომელიც ტურგენევმა 1858 წელს დაწერა, ბევრი კრიტიკოსი გამოეხმაურა. ნ. ჩერნიშევსკი თავის წერილში „რუსი ადამიანი პაემანზე“ („Русский человек на rendez-vous“, 1858) სამართლიანად ამტკიცებდა, რომ თავადაზნაურული ინტელიგენცია, ლიბერალები საზოგადოებას ვერ გაუძღვებიან, რადგან მათი დრო უკვე წავიდა, რომ ახალი დროისათვის საჭიროა არა „ზედმეტი ადამიანები“, არამედ სულ სხვა ტიპის მოღვაწეები. მართლაც, ასპარეზზე ახალი თაობა — რაზნოჩინელები გამოდიოდნენ. ტურგენევიც შეეცადა მათი სახეების დახატვას თავის ახალ რომანებში — „წინა დღით“ და „მამები და შვილები.

„წინადღით“ („Накануне“). ეს რომანი იწერებოდა 1859 წელს, როცა რუსეთში „რევოლუციური სიტუაცია“ შეიქმნა. ნაწარმოები დაიბეჭდა 1860 წელს, შეიძლება ითქვას საგლეხო/ რეფორმის წინა დღეს. მკითხველი ადვილად ხვდებოდა, რომ „თვით ნაწარმოების სახელწოდება, — როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი წერდა. — თავისი სიმბოლური სათაურით, რომელშიც ძალიან ფართო აზრი შეიალება ჩავაქსოვოთ, — მიგვითითებს თხზულების დედააზრზე, გვაიძულებს მივხვდეთ, რომ ავტორს უნდოდა იმაზე მეტის თქმა, რაც მხატვრულ სახეებშია მოცემული“.

თვითონ ტურგენევი ერთ-ერთ კერძო წერილში 1859 წელს აღიარებდა, რომ თავის რომანს მან საფუძვლად დაუდო „აზრი შეგნებულ-გმირული ადამიანების აუცილებლობის შესახებ“.

თუ „რუდინსა“ და „აზნაურთა ბუდეში“ („Дворянское гнездо“, 1858) მწერალი გვიხატავდა ოციანი წლების „ზედმეტ ადამიანებს“, ამ ახალ რომანში იგი ასახავს 1853—54 წლების მღელვარე ეპოქას, მთავარ პერსონაჟებად კი გამოჰყავს არა „სიტყვის გმირები“, მეოცნებე-იდეალისტები, არამედ დიდი საქმისათვის თავდადებული ახალი ადამიანები, რომლებსაც უდიდესი ნებისყოფა აქვთ და უნარი შესწევთ სიტყვა საქმედ აქციონ. ასეთებია ინსაროვი და ელენე სტახოვა.

ინსაროვი „დაბალი წარმოშობისაა“, რაზნოჩინელია, ეროვნებით ბულგარელი. იგი ბულგარეთიდან მოსკოვში ჩამოვიდა სასწავლებლად, აქ ემზადებოდა თავისი საყვარელი სამშობლოს გასათავისუფლებლად „უწმინდური თურქებისაგან“. ეს არის ინსაროვის ცხოვრების მთავარი მიზანი. ამ დიდ პატრიოტულ იდეას შეუპყრია მისი სული და გული. ინსაროვი უზადო, ძლიერი, ენერგიული, სამშობლოსათვის თავგანწი-

რული პიროვნებაა. სწორედ ამ თვისებებმა მოხიბლა ელენე სტახოვა, რომელსაც ინსაროვი რუსეთში გაეცნო. ეს „საოცარი გოგონა" დაჯილდოებული იყო ძლიერი ნებისყოფით, დამოუკიდებელი აზროვნების უნარით, სამართლიანობისა და პატიოსნების მაღალი გრძნობებით, სიმამაცითა და გამბედაობით. იგი სიკეთისა და მშვენიერების განყენებულ იდეებზე კი არ ოცნებობდა, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო პრაქტიკული მოღვაწეობისაკენ მიილტვოდა. „ელენეს სწყურია მოქმედი სიკეთე, — წერდა ნ. დობროლიუბოვი, — იგი ეძებს თავის ირგვლივ ბედნიერების მოწყობის შესაძლებლობას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია ადამიანი ბედნიერი და დამშვიდებული იყოს, თუ მის ირგვლივ უბედურება, ვარამი, ახლობელთა სიღატაკე და დამცირება ბატონობს".

ელენე სტახოვას სახეში მკვეთრად გამოვლინდა როგორც საზოგადოებრივი შეგნების ზრდა სამოციანი წლების რუს ქალებში — ემანსიპაციის იდეა, ისე „ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანების ის აუცილებელი მოთხოვნილება, რომელიც ახლა მთელ რუსულ საზოგადოებას მოიცავსო", — წერდა ნ. დობროლიუბოვი.

გასაგებია, რომ ელენე ცოლად არ გაჰყვა არც სკულპტორ შუბინს, რომელიც გატაცებული იყო ანტიკური კულტურით და „წმინდა ხელოვნებას" ეწესახურებოდა, არც იდეალისტ ბერსენევს, რომელმაც ის-ის იყო უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერული კარიერისათვის ემზადებოდა. ორივენი რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი და გაუბედავი ინტელიგენტები იყვნენ, და ამიტომ ისინი ცხოვრების თანამგზავრებად ვერ გამოადგებოდნენ. ელენემ შეიყვარა ღარიბი ბულგარელი სტუდენტი ინსაროვი, რადგან იგი იყო ჭეშმარიტი გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი, რომელსაც მტერთან ბრძოლის წყურვილი ასულდგმულებდა და, რომელიც თავის კეთილშობილურ პატრიოტული მიზნის მისაღწევად არაფერს არ შეუშინდებოდა.

მდიდარი აზნაურული წარმოშობის ელენე სტახოვა ცოლად გაყვება ღარიბ ინსაროვს ბულგარეთში, მიატოვებს სახლს, მშობლებს, რუსეთს, რათა თავისი მეუღლის გვერდით იბრძოლოს ბულგარეთის გასათავისუფლებლად თურქი დამპყრობლებისაგან, და როცა ინსაროვი იქ მოულოდნელად ჭლექით გარდაიცვლება, ელენე მის პატრიოტულ საქმეს განაგრძობს და უარს შეუთვლის დედას რუსეთში დაბრუნებაზე.

ტურგენევმა თავის რომანში გმირად გამოიყვანა ბულგარელი რევოლუციონერი და არა რუსი, რადგანაც 1853—54 წლებში (რომანის მოქმედების დრო) რუს რაზნოჩინელთა თაობა (ჩერნიშევსკი, დობრო-

ლიუბოვი და სხვ.) ჯერ კიდევ არ იყო გამოსული სამოღვაწეო ასპარეზზე.

ნ. დობროლიუბოვმა თავის სტატიაში „როდისღა დადგება ნამდვილი დღე?“ („Когда же придет настоящий день?“) ტურგენევის რომანიდან რევოლუციური დასკვნები გააკეთა. კრიტიკოსის სიტყვით, რუსეთის სინამდვილეს უკვე შეუძლია წარმოშვას თავისი ინსაროვები, რომლებიც „შინაურ თურქებს“ (ე. ი. რუს მემამულეებსა და მოხელეებს) შეებრძოლებიან. მაგრამ დადგება „ნამდვილი დღე“. — წერდა დობროლიუბოვი, — დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდება. ამის თავდებია ის აღგზნებული მწვავე მოუთმენლობა, რომლითაც ჩვენ ველოდებით მის მოსვლას ცხოვრებაში. ის აუცილებელია ჩვენთვის. დადგება ბოლოს და ბოლოს ეს დღე“.

ეს უკვე რევოლუციისაკენ მოწოდება იყო. ლიბერალურად განწყობილ ტურგენევს არ შეეძლო მისი რომანიდან გამოტანილ ასეთ დასკვნებს დათანხმებოდა. მან ნეკრასოვს სთხოვა დობროლიუბოვის სტატია „სოვრემენნიკში“ არ გამოექვეყნებინა. მაგრამ, როგორც ვიცით, ნეკრასოვმა სტატია გამოაქვეყნა, რასაც შედეგად მოჰყვა რევოლუციური დემოკრატებისა და ლიბერალების საბოლოო გათიშვა.

„მამები და შვილები“. ტურგენევის ყოველი რომანი დაბეჭდვისთანავე დიდ კამათსა და აზრთა შეხლა-შემოხლას იწვევდა. მაგრამ ამ მხრივ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა რომანმა „მამები და შვილები“ („Отцы и дети“), რომელიც 1862 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. ამ ნაწარმოებში ავტორი შეეხო იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებდა სამოციანი წლების რუსულ საზოგადოებას: აზნაურ-ლიბერალთა და რაზნოჩინელთა ურთიერთობა, კულტურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულება, ხელოვნებისა და მეცნიერების დანიშნულება, ახალთაობის სწავლა-განათლება და აღზრდა, მოქალაქეობრივი მოვალეობა, მორალური პრინციპები და სხვ.

მოქმედების დროდ აღებულია 1859 წლის ზაფხული — ის პერიოდი, როცა რუსეთში კლასთა ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა და რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. ტურგენევი სწორად ასახავს იმ მღელვარე ეპოქის ამბებს, „მამებისა და შვილების“ შეურიგებელ ბრძოლას. „მამების“ ქვეშ ნაგულისხმევია ძველი თავადაზნაურული ლიბერალური არისტოკრატია, ხოლო „შვილების“ ქვეშ — რაზნოჩინული, რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია. მაშასადამე, საქმე გვაქვს არა ასაკით განსხვავებულ თაობათა კონფლიქტთან, არამედ ორი სოციალური ბანაკის, ორი მსოფლმხედველობის ბრძოლასთან.

„მამები“ რომანში განასახიერებენ ძმები პაველ და ნიკოლოზ კირსანოვები, „შვილებს“ — ევგენი ბაზაროვი. შეიძლება ითქვას, რომ ბაზაროვი — ეს რუსი ინსაროვია. „ახალი ადამიანი“, რაზნოჩინელი, „დაბალი წარმოშობის“ ახალგაზრდა, სოფლის უბრალო მკურნალის შვილი. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს. ზაფხულში — არდადეგების დროს — თავის ამხანაგ სტუდენტ არკადი კირსანოვთან ერთად მის სოფელში ჩადის სტუმრად და მის მამა-ბიძას ეცნობა. აქ ბაზაროვსა და „მამებს“ შორის ჯერ სიტყვიერი პაექრობა იმართება, შემდეგ კი ნამდვილი დუელი.

კირსანოვები თავიდანვე შეაშფოთა ბაზაროვის უცერემონიო ყოფაქცევამ და „უცნაურმა“ შეხედულებებმა. ეს „ნიჰილისტი“ კატეგორიულად უარყოფდა ყოველივე იმას, რაც წმიდათაწმიდა იყო „მამებისათვის“: იდეალიზმს, ესთეტიზმს, „მაღალ პრინციპებს“ და სხვ. ბაზაროვი დასცინის კირსანოვების მაღალფარდოვან ფრაზებს, ლამაზ პოზებსა და სენტიმენტალურ სიყვარულს ადამიანებისადმი. ყოველივე ამას იგი უპირისპირებს მატერიალიზმს, უტილიტარიზმს, პრაქტიკულ საქმიანობას, შრომას. იდეალისტ კირსანოვის წარმოდგენით მსოფლიო წმინდა ტაძარია, ხოლო ადამიანი ამ ტაძრის ქურუმი, რომელსაც ლოცვა-ღაღადი მართებს, ბაზაროვის რწმენით კი, „მსოფლიო არის სახელოსნო, ხოლო ადამიანი — მისი მუშაკი“.

ახალგაზრდა ნიჰილისტი კამათში ყოველთვის ამარცხებს თავის ოპონენტებს, რადგანაც ისინი ცხოვრებისაგან მოწყვეტილ მკვდარ პრინციპებს ემყარებიან და ლამაზ ფრაზებს იქით ვერ მიდიან, მატერიალისტი ბაზაროვი კი სინამდვილიდან გამოდის და ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნისათვის იბრძვის.

თვითონ ავტორი ამ კამათში თითქოს ბაზაროვის მხარეზეა და, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „დემოკრატიზმის არისტოკრატიზმზე გამარჯვებას“ გვიჩვენებს. პაველ კირსანოვს ტურგენევი გვიხატავს როგორც პატიოსან, ჭკვიან და განათლებულ ადამიანს, მაგრამ სრულიად უქნარა და უსუსურ არისტოკრატს. ახალგაზრდობაშივე, სამხედრო სამსახურში ყოფნისას, იგი გამოირჩეოდა თავისი სილამაზითა და მამაცობით, ლიბერალური შეხედულებებითა და კარგი მანერებით. უბედო სიყვარულმა ქალისადმი მას ცხოვრების გზა-კვალი აუბნია. კირსანოვმა სამსახური მიატოვა, დიდხანს უმიზნოდ იხეტიალა საზღვარგარეთ და ბოლოს თავის ძმასთან დასახლდა სოფელში, სადაც იგი ერთფეროვან, უსაქმურ, მოწყენილ, ყარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, მხოლოდ მოგონებებითა და წარსულზე ოცნებებით ირთობს თავს. პაველ კირსანოვი არის ანგლომანი, კოსმოპოლიტი, რომელსაც ყოველივე რუსული სძულს. მასთან შედარებით, ნიკოლოზ კირსანოვი უფრო პრონეინცი-

ული მემამულეა, მორიდებული, მორცხვი და სენტიმენტალურად განწყობილი. მას ძალიან უყვარს ხელოვნება, მუსიკა, ბუნება, მაგრამ ისიც ფუჭი მეოცნებეა და არა საქმის კაცი.

ტურგენევის აღიარებით, მისი რომანი „მიმართულია აზნაურების, როგორც მოწინავე კლასის. წინააღმდეგ. დავაკვირდეთ ნიკოლოზ, პავლე, არკადი კირსანოვებს. ესთეტიკურმა გრძნობამ მიკარნახა გამომეყვანა თავადაზნაურობის სწორედ კარგი წარმომადგენლები, რათა უკეთ დამემტკიცებინა ჩემი თემა: თუ ნაღები ასე ცუდია, რაღა იქნება რძე?... ისინი საუკეთესონი არიან აზნაურთა შორის და სწორედ ამიტომ ავირჩიე მე, რათა დამემტკიცებინა მათი უსუსურობა“.

უფრო რთულია და გაორებული ტურგენევის დამოკიდებულება ბაზაროვთან. ავტორმა იგი ჩაიფიქრა როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენელი. ბაზაროვს ბევრი ღირსება აქვს: იგი დაჯილდოებულია ძლიერი ნებისყოფით, ჭკუით, მორალური სისპეტაკით, სიმამაცითა და პირდაპირობით. როგორც მებრძოლი მატერიალისტი და ნიჰილისტი, იგი არავითარ ავტორიტეტს არ ცნობს, არავის წინაშე ქედს არ იხრის, გაბედულად უარყოფს ღვთაებასაც, არსებულ სოციალურ სისტემასაც, გაბატონებული კლასების ფსიქო-იდეოლოგიასაც. მას ეზიზღება არისტოკრატების უქნარობა, მაღალფარდოვანი ფრაზები, ყალბი პოზა. უანგარო, კეთილშობილი და უბრალო ბაზაროვი გარეგნულად არასოდეს არ ამჟღავნებს თავის ღრმა ადამიანურ გრძნობებს და ამიტომ უსულგულო ახალგაზრდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგალითად, ბაზაროვს მშობლები უყვარს, მაგრამ მათთან შეხვედრისას გულცივად იქცევა, ერთი ალერსიანი სიტყვაც კი არ წამოსცდება. გმირის მტკიცე ხასიათი განსაკუთრებული მხატვრული ძალითაა გადმოცემული რომანის დასასრულში — ბაზაროვის ავადმყოფობისა და სიკვდილის სცენაში.

ეს დადებითი თვისებები „რუსი ინსაროვის“ მიმართ მკითხველის თანაგრძნობასა და სიმპათიას იწვევს. ტურგენევიც, მისივე აღიარებით, რომანის წერის დროს უნებლიე მიდრეკილებას (невольное влечение) გრძნობდა თავის გმირისადმი, მაგრამ, ამავე დროს, ეს „ნიჰილისტი“ მას არ უყვარს. „ნიჰილისტი რევოლუციონერს ნიშნავსო“ — განმარტავდა ტურგენევი ერთ-ერთ წერილში. ცნობილია, რომ ლიბერალურად განწყობილ მწერალს რევოლუცია არ სწამდა. ვ. ი. ლენინის სიტყვით, — ტურგენევს ეზიზღებოდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის „მუჟიკური დემოკრატიზმი“. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ტურგენევი როგორც რეალისტი მწერალი, ცდილობდა „ახალი ადამიანი“ სწორად და ობიექტურად დაეხატა, მაინც დამახინჯებულად

წარმოგვიდგინა იგი. ავტორმა ბაზაროვს ზოგი ისეთი რამ მიაწერა, ან სრულიადაც არ ახასიათებდა რევოლუციონერ-დემოკრატების ბუნებასა და შეხედულებებს. მაგალითად, ბაზაროვს არ გააჩნია ესთეტიკური გრძნობა, უარყოფს ხელოვნებასა და ლიტერატურას. მისი სიტყვით, რაფაელის სურათები კაპიკადაც არ ღირს, „წესიერი ქიმიკოსი ოცჯერ უფრო საჭიროა ყოველგვარ პოეტზე", პუშკინის კითხვა — მოცლილ და უქნარა ადამიანთა თავშესაქცევი საქმეა. საერთოდ, ლიტერატურასა და ხელოვნებას, მუსიკას, მხატვრობას, არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არა აქვს. არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ საზოგადოებისათვის და ამიტომ მათზე დროს ხარჯვა სისულელეაო, — ამტკიცებს ბაზაროვი.

თუმცა ანალოგიური ნიჰილიზმი მართლაც ახასიათებდა ზოგიერთ რუს სამოციანელს (მაგ. დ. პისარევს), მაგრამ ტურგენევი უდავოდ ცდებოდა, როცა ასეთ რამეს მიაწერდა საერთოდ ჩერნიშევსკის თაობის რაზნოჩინელებს. გარდა ამისა, რომანში „ახალი ადამიანის" ტიპი დახატულია ცალმხრივად. ავტორი არ გვიჩვენებს არც ბაზაროვის „საქმეს" (მოღვაწეობას) და არც მის წრეს. რომანში გაკვრითაც კი არაფერია ნათქვამი 1859 წლის რევოლუციურ სიტუაციაზე. ვერც გმირის პოლიტიკურ შეხედულებებზე ვღებულობთ წარმოდგენას. ერთი სიტყვით, ტურგენევი ბოლომდე ვერ ჩასწვდა „რუსი ინსაროვის" არსს და ვერ შეძლო სრული ობიექტურობის დაცვა. ნაწარმოებში გარკვევით გამოვლინდა მწერლის სუბიექტივიზმი, მისი ლიბერალური შეხედულებები, ტენდენციურობა.

ყოველივე ამან განაპირობა ის მძაფრი კამათი, რომელიც რომანის დაბეჭდვისთანავე გაიმართა როგორც მკითხველთა წრეებში, ისე ჟურნალ-გაზეთებში. რეაქციონერი კატკოვი და მისი დამქაშები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თითქოს ტურგენევმა ბაზაროვის სახით მოგვცა „ნიჰილიზმის აპოთეოზი", თითქოს მწერალმა რაზნოჩინელი ძალიან მაღალ კვარცხლბეკზე აიყვანა. მეორე მხრივ, რაზნოჩინელმა მ. ანტონოვიჩმა „სოვრემენნიკში" ბაზაროვი შეაფასა როგორც კარიკატურა „ახალ ადამიანზე", როგორც ცილისწამება რევოლუციონერ-დემოკრატებზე. მხოლოდ დ. პისარევმა მოიწონა ბაზაროვის სახე. მართალია, პისარევიც რაზნოჩინელთა წარმომადგენელი იყო, მაგრამ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისაგან განსხვავებით, იგი ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ ბაზაროვისებურ ნიჰილიზმს იჩენდა.

ტურგენევის მოღვაწეობის ბოლო წლები. საგლეხო რეფორმას კლასთა ბრძოლის გამწვავება მოჰყვა. ალექსანდრე მეორის მთავრობა, რომელიც ადრე — რეფორმის მზადების პერიოდში — ლი-

პერალური დათმობებზე მიდიოდა. ახლა მკაცრი რეპრესიები გზას დაადგა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 1862 წელი. ამ წელს დააპატიმრეს ჩერნიშევსკი და პისარევი, დახურეს „სოვრემენნიკი" და „რუსსკოე სლოვო", გააძლიერეს რევოლუციონერთა დევნა. მთავრობისაგან დევნილ-შევიწროებული მრავალი რაზნოჩინელი იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. საზღვარგარეთულ ემიგრაციაში აღმოჩნდა აგრეთვე უკმაყოფილო ბევრი რუსი რეაქციონერი.

თავისი ახალი რომანი „ბოლი" („Дым", 1867) ტურგენევმა სწორედ ამ ემიგრანტულ წრეებს უძღვნა. მოქმედების ადგილად მწერალმა აირჩია ავსტრიის კურორტი ბადენ-ბადენი, სადაც თავი მოუყრიათ, ერთის მხრივ, რუს რეაქციონერებს, გენერლებსა და არისტოკრატებს (გენერალი რატმიროვი, თავადი კოკო და სხვ.), მეორეს მხრივ — რევოლუციონერ-დემოკრატებს, რომელთაც სათავეში უდგას ვინმე გუბარიოვი (მკვლევართა აზრით, ავტორი (გულისხმობს ნ. ოგარიოვს). ტურგენევი ორივე ბანაკს სატირულად გვიხატავს. რეაქციონერები უმაყოფილონი არიან რუსეთში მომხდარი ცვლილებებით, სძულთ ყოველგვარი სიახლე, ოცნებობენ ძველი წესების რესტავრაციაზე, მათ მხოლოდ თავიანთი კარიერისა და სიმდიდრის ინტერესები ამოძრავებთ. რაც შეეხება გუბარიოვსა და მის თანამოაზრეებს (ვოროშილოვი, სუხანჩიკოვა და სხვა), ისინი ჰორიკანები, დოგმატიკოსები და ტრაბახა ადამიანები არიან, სერიოზული საქმიანობის უნარი მათ არ შესწევთ. რუსი ხალხის ცხოვრების ცოდნა არ გააჩნიათ არც რეაქციონერებს და არც რევოლუციონერებს. ტურგენევი რუსული საზოგადოების ვერც ერთ ფენაში ვერ ხედავს ჯანსაღ და სერიოზულ ძალას. მისი აზრით, ყოველივე ამაოა, მოჩვენებითია. კვამლია, რომელიც ქარის ერთი დაბერვით გაიფანტება. ავტორი ფიქრობს, რომ რუსეთის ცხოვრება ჩიხში მოემწყვდა, გამოსავალი არსად ჩანს. ეს პესიმისტური განწყობილება იმას მოწმობს, რომ მას შემდეგ, რაც ტურგენევი „სოვრემენნიკს" ჩამოშორდა და კავშირი გაწყვიტა რევოლუციონერ-დემოკრატებთან, იგი იდეურ კრიზისს განიცდიდა.

1877 წელს ი. ტურგენევმა გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი რომანი „ყამირი" („Новь"), რომელშიც აღწერილია ნაროდნიკული მოძრაობა. მწერალი პირადად იცნობდა ემიგრაციაში მყოფ ბევრ რევოლუციონერ-ხალხოსანს, თუმცა არ იზიარებდა მათ პოლიტიკურ პროგრამასა და მეთოდებს. ავტორი დიდი მხატვრული ძალით გვიხატავს რუს გლეხთა სიღატაკესა და ჩაგვრას, არ ფარავს თავის ზიზღს რეაქციონერ არისტოკრატთა მიმართ. მაგრამ ამავე დროს აკრიტიკებს ნაროდნიკების რევოლუციურ მოღვაწეობას.

რომანში მთავარ გმირად გამოყვანილია სტუდენტი ნეჟდანოვი, სპეტაკი რომანტიკოსი, ნაროდნიკი, რომელიც ხალხში დადის და რევოლუციურ აგიტაციას ეწევა. მაგრამ იგი ხალხს არ იცნობს და მასთან საერთო ენა ვერ მოუნახავს. გლეხობას მისი სიტყვა არ ესმის, არ სჯერა და არც სჭირდება. იმედგაცრუებული და გულგატეხილი ნეჟდანოვი თავს იკლავს, ხოლო მისი სატრფო მარინა სინეკაია — უშიშარი, უაღრესად კეთილშობილი და მომხიბლავი ქალიშვილი, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული ნაროდნიკი — ნეჟდანოვის სიკვდილის შემდეგ რევოლუციურ მოღვაწეობას შეწყვეტს და ინჟინერ სოლომინს გაჰყვება ცოლად.

სოლომინი რომანის დადებითი გმირია — შრომისმოყვარე, პატიოსანი, ჭკვიანი, დესპოტიზმის მოძულე, ხალხის ჭირ-ვარამის კარგი მცოდნე, ხალხთან დაახლოებული და მისთვის მზრუნველი. სოლომინი ახლოს დგას რევოლუციურ-ნაროდნიკულ წრეებთან, იცნობს მათს ფარულ მუშაობასაც, მაგრამ მათს მოძრაობაში არ მონაწილეობს, რადგანაც, მისი ღრმა რწმენით, ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა არა ცალკეული რევოლუციონერების გმირული თავგანწირვა ან „ბუნტი", არამედ ხანგრძლივი, სისტემატური მუშაობა, „მცირე საქმეები". უჩინარი, მაგრამ ხალხისათვის რეალურად სასარგებლო მოღვაწეობა. ლიბერალურად განწყობილი მწერალი დიდი სიმპათიით გვიხატავს სოლომინს და მისი პირით გამოთქვამს თავის საკუთარ აზრებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურგენევმა სწორად შენიშნა და ასახა ხალხოსანთა მოძრაობის ძირითადი ნაკლი, მათი პროგრამისა და ტაქტიკის სუსტი და მცდარი მხარეები.

სიცოცხლის მიწურულში ტურგენევმა დაწერა რამდენიმე უკვდავი ქმნილება, რომლებშიც ასახულია სამშობლოდან დაშორებული და მძიმედ დაავადებული მწერლის განცდები და ფიქრები. ამ დროს მან შექმნა „ლექსები პროზად" — სრულიად ახალი და თავისებური ჟანრი, რომელიც წარმოადგენს ლირიკული დღიურის საუკეთესო ფორმას, პროზაული და პოეტური მეტყველების ორგანულად შერწყმის შესანიშნავ ნიმუშს. ამ პოეტურ მინიატურებში მოცემულია წარსულის მოგონებანი და ფიქრები მომავალზე, აქ ლაპარაკია სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხებზე, სამშობლოსა და ბუნების სილამაზეზე, გმირობაზე, მეგობრობასა და სიყვარულზე. ზოგიერთი ლექსი გამსჭვალულია ნაღვლიანი და ტრაგიკული განწყობილებით, მაგრამ მათ გვერდით ვხვდებით შესანიშნავ ნაწარმოებს „ზღურბლი", რომელშიც ტურგენევი ჰიმნს უმღერის რუსი პატრიოტი ქალის გმირულ თავგანწირვას ხალხის საკეთილდღეოდ. დიდი მწერლის შთამაგონებელი სიყვარული სამშობლოსა და მშობლიური ენისადმი განსაკუთრებული ძალით

გაისმა ლექსში „რუსული ენა". ტურგენევი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო შეპყრობილი სამშობლოზე ფიქრით. — „როცა სპასკოეში იქნებით, — წერდა იგი პოეტ პოლონსკის, — მიესალმეთ ჩემს მაგვარად სახლს, ჩემს ნორჩ მუხას, მიესალმეთ სამშობლოს, რომელსაც ალბათ ვეღარასოდეს ვიხილავ".

ტურგენევი ქართულ ლიტერატურაში. ტურგენევის შემოქმედებას ყოველთვის დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვს და ექნება ყველა ერისათვის, რადგანაც იგი გამოირჩევა პროგრესული, პატრიოტული, ჰუმანისტური იდეებითა და მომხიბლავი მხატვრული ფორმით. მოწინავე ქართველი საზოგადოება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50—60-იან წლებში ეცნობოდა მწერლის თხზულებებს რუსულ ენაზე. ტურგენევის პირველივე დიდი ნაწარმოები — „მონადირის ჩანაწერები" ჩვენმა მკითხველმა აღფრთოვანებით მიიღო და სწორად შეაფასა. ამ ნაწარმოებებში, ალ. ნანეიშვილის სიტყვით, ავტორი ხატავდა „გლეხს როგორც ნამდვილ კაცსა და არა პირუტყვს და ჰპოვებდა მასში ყოველ კაცურ ღირსებას, რომელიც იმჟამად დაჩაგრული იყო რუსეთის საზოგადო და პოლიტიკური წესწყობილებით".

ვინ არ იცნობს ტურგენევის „რუდინს, მის ბაზაროვს, ინსაროვს და სხვ., — წერდა გაზეთი „დროება" — ამ ტიპების დახატვაში ტურგენევი იჩენდა შესანიშნავ ხელოვნებას და აჩვენებდა, თუ რამდენად წაიწია წინ რუსეთის აზროვნებამ, ან რა ცვლილება მიიღო, რისთვისაც მას უძახოდნენ „რუსეთის აზროვნების ისტორიკოსს".

ტურგენევისადმი ინტერესი საქართველოში ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ განსაკუთრებით გაიზარდა იგი მწერლის ავადმყოფობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1883 წელს. ამ დროს ქართულ პრესაში თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა ცნობები ტურგენევის ავადმყოფობის მიმდინარეობის, მისი გარდაცვალების, საფრანგეთიდან რუსეთში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის შესახებ.

ქართულ ენაზე ტურგენევის თხზულებათა თარგმნა და ბეჭდვა 1868 წელს დაიწყო. თარგმანები ქვეყნდებოდა „ივერიასა" და „დროებაში". „კვალში", „ჯეჯილში" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. საბჭოთა პერიოდში ქართულ ენაზე დაიბეჭდა დიდი რუსი მწერლის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოთხრობა და რომანი.

ტურგენევის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ და მის პოპულარიზაციას ეწეოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე, ი. გოგებაშვილი, ე. ნინოშვილი და სხვა ჩვენი სასიქადულო მოღვაწეები. ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც „ლექსები პროზად" გადმოთარგმნა, შესანიშნავად თქვა: ტურგენევი და სხვა რუსი კლასიკოსები „მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორ-

ცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თავისის ღვაწლით ამასთანავე გვიჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოაზრე მთელს კაცობრიობასა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯეს სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასთვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა".

ა. ნ. ოსტროვსკი

ა. ოსტროვსკის მხატვრული შემოქმედება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა რუსული ლიტერატურისა და დრამატული ხელოვნების ისტორიაში. დიდმა რუსმა დრამატურგმა შექმნა ორმოცდაათამდე ორიგინალური პიესა. რუსულ ენაზე თარგმნა ტერენციუსის, სერვანტესის, გოლდონის, შექსპირის პიესები. დაგვიტოვა მრავალი საინტერესო თეორიული წერილი დრამისა და თეატრის შესახებ. მის შემოქმედებაში ღრმა ასახვა ჰპოვა თავისი დროის ცხოვრებამ. მნიშვნელოვანმა საზოგადოებრივმა მოვლენებმა. ოსტროვსკის მიერ შექმნილი რეალისტური სახეების გალერეა მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი. მასში ვხედავთ ყველანაირ ტიპებს: ვაჭრებს, მოხელეებს, მემამულეებს, მეშჩანებს, ხელოსნებს, მსახიობებს და სხვ.

მწერალმა ი. გონჩაროვმა თავის მისალმებაში დრამატურგს უთხრა: „თქვენ ლიტერატურას საჩუქრად მიუტანეთ მხატვრული ნაწარმოებების მთელი ბიბლიოთეკა. ხოლო სცენას შეუქმენით განსაკუთრებული სამყარო. თქვენ დაამთავრეთ იმ შენობის აგება, რომლის საძირკველშიც ქვაკუთხედები ფონვიზინმა, გრიბოედოვმა, გოგოლმა ჩადეს. მაგრამ თქვენს შემდეგ შეგვიძლია რუსებმა ვთქვათ: „ჩვენ გვაქვს ჩვენი რუსული, ეროვნული თეატრი".

ბიოგრაფია. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი დაიბადა 1823 წლის აპრილს მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბან ზამოსკვორეჩიეში. მამამისი იყო ღარიბი მოხელე, დედა — დიასახლისი. 1835 წელს მომავალი დრამატურგი მოსკოვის პირველ გიმნაზიაში შევიდა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ, 1844 წელს — მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის კურსი ოსტროვსკის არ დაუმთავრებია. იგი თავისი სურვილით მესამე კურსიდან გამოვიდა და მოსკოვის სინდისის სასამართლოში გადამწერის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. ორი წლის შემდეგ კი ახალგაზრდა ოსტროვსკი მოსკოვის კო-

მერციულ სასამართლოში გადავიდა. აქ იგი კარგად გაეცნო ზამოსკვორეჩიეს წვრილსა და მსხვილ ვაჭრებს, მათ ბნელ საქმეებს, ათასგვარ კომერციულ თაღლითობას. სასამართლომ ახალგაზრდა დრამატურგს მისცა მეტად მდიდარი მასალა, რომელიც მან მოგვიანებით თავის შესანიშნავ პიესებში გამოიყენა.

თეატრისადმი ინტერესი ოსტროვსკის ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს აღეძრა. იგი ხშირად დადიოდა მცირე თეატრში და აღტაცებაში მოდიოდა შჩეპკინისა და მოჩალოვის თამაშით. ოსტროვსკი დიდი ინტერესით კითხულობდა ჟგრეთვე რუსი და ევროპელი დრამატურგების ნაწარმოებებს, ბელინსკის ბრწყინვალე წერილებს გამოჩენილი რუსი მსახიობების სცენურ ოსტატობაზე და სხვ.

პირველი პროზაული და დრამატული ნაწარმოებები ოსტროვსკის 40-იან წლებში აქვს დაწერილი, მაგრამ მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. როგორც დრამატურგმა მან სახელი გაითქვა 1847 წელს კომედიით „შინაურები ვართ — მოვრიგდებით“ („Свои люди — сочтемся“).

1851 წელს ოსტროვსკიმ სამსახურს თავი დაანება და უფრო ენერგიულად ჩაება შემოქმედებით და თეატრალურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1856 წელს მან მონაწილეობა მიიღო საზღვაო სამინისტროს მიერ მოწყობილ ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. ამ ფრიად საინტერესო ექსპედიციაში ყოფნის დროს ოსტროვსკი კარგად გაეცნო რუსეთის ვოლგისპირეთში დასახლებულ ხალხს, მის ადათ-წესებს, ჩვეულებებს, ზეპირსიტყვიერებას. ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალები მოგვიანებით საფუძვლად დაედო ოსტროვსკის დრამატურგიის ისეთ შედევრებს როგორიცაა: „ელჭექი“ („Гроза“), „კოზმა ზახარიჩ მინინ-სუხორუკი“, „უმზითოო“ („Бесприданница“) და სხვ.

ოსტროვსკი 60—70-იან წლებში ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად დიდ თეატრალურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1859 წელს ჩერნიშევსკისთან, ნეკრასოვთან, ტურგენევთან და პისემსკისთან ერთად დააარსა „ღარიბ მეცნიერთა და ლიტერატორთა დამხმარე საზოგადოება“. უფრო მოგვიანებით მისივე თაოსნობით ყალიბდება „დრამატული მწერლებისა და ოპერის კომპოზიტორების საზოგადოება“. ამ საზოგადოებების მიზანი იყო არა მარტო შემოქმედებითი მუშაკებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა. არამედ რუსული ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის ხელის შეწყობაც.

70—80-იან წლებში ოსტროვსკიმ დაწერა მრავალი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილი, რომლებშიც ჩამოაყალიბა რუსუ-

ლი ეროვნული ხალხური დემოკრატიული თეატრის ზოგადი პრინციპები იყო თავგამოდებით იბრძოდა ასეთი თეატრის შექმნისათვის.

1666 წელს ოსტროვსკი დაინიშნა მოსკოვის თეატრის სარეპერტუარო ნაწილის გამგედ. სამწუხაროდ ამ დროისათვის დიდი რუსი დრამატურგის ჯანმრთელობა ძლიერ იყო შერყეული.

1686 წლის 14 ივნისს იგი გარდაიცვალა.

პირველი ნაწარმოებები. ა. ოსტროვსკი სამწერლო ასპარეზზე 1647 წელს გამოვიდა. მართალია, პროზასა და დრამატურგიაში მას ადრეც ჰქონდა ცდები, მაგრამ მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. 1647 წელს კი ბეჭდავს „აცენები კომედიიდან გაკოტრებული მევალე" ჟურნალში დაიბეჭდა. ორი წლის შემდეგ დრამატურგმა „გაკოტრებული მევალე" გადააკეთა და მის საფუძველზე შექმნა შესანიშნავი კომედია „შინაურები ვართ — მოვრიგდებით".

ამ პიესით ოსტროვსკიმ როგორც პირველხარისხოვანმა დრამატურგმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მას აქტაცებით შეხვდნენ როგორც კონსერვატორი. სლავოფილები, აგრეთვე პროგრესული იდეების მატარებელი მედასავლეთეებიც. ახალგაზრდა დრამატურგი ყველამ გოგოლის რეალისტური ტრადიციების გამგრძელებლად აღიარა. მართლაც ოსტროვსკიმ გოგოლისებური კრიტიკულ-რეალისტური სტილით დაგვიხატა მოსკოვის გარეუბნის ზამოსკვორეჩიეს ჩამორჩენილი, პატრიარქალური ვაჭრების ბნელი სამეფო — სამეფო, რომელიც ლიტერატურისათვის მანამდე სრულიად უცნობი იყო. ბოლშოვებისა და პოდხალიუზინების ამ ბნელ სამეფოში ფულის სიყვარულს, მისი დაგროვებისადმი უსაზღვრო წყურვილს დაჩრდილული ჰქონდა ადამიანური გრძნობები და მისწრაფებები, ნათესაური და სისხლის კავშირი.

პიესის მთავარი მოქმედი პირია მდიდარი, მაგრამ უხეში და გაუნათლებელი ვაჭარი სამსონ ბოლშოვი. მან ვალების გადახდისაგან დაძვრენის მიზნით, თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, ქონება თავის ერთგულ მლიქვნელ და გაიძვერა ნოქარ პოდხალიუზინს დაუშტკიცა.

იმისათვის, რომ უფრო მეტად განემტკიცებინა პოდხალიუზინის ერთგულება და თავიდან აეცილებინა შესაძლო ღალატი, მას თავისი ქალიშვილი ოლიმპიადა მიათხოვა. ამ უკანასკნელს საქმროდ სულ ლამაზი თავადიშვილი ოფიცრები ელანდებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა, რადგან მამის სიტყვა მისთვის კანონი იყო: „ჩემი შვილია: რასაც მინდა იმას ვუზამ" — ამბობდა ხოლმე ბოლშოვი.

ბედნიერ თაღლითობაში განთქმული ბოლშოვი შეცდა. მასზე უფ-

რო გაიცვალა პოდხალიუზინი აღმოჩნდა. იგი უარს ამბობს სიმამრის დასახსნელად ხელში მუქთად ჩაგდებული ქონებიდან მცირე ნაწილის გადახდაზეც კი.

ქვარზე უფრო უგულო და უსინდისო ოლიმპიადა აღმოჩნდა. მამის მუდარას — დახარჯოს ცოტაოდენი თანხა მევალეების დასაკმაყოფილებლად, ცივი უარით პასუხობს. იგი ცდილობს დაარწმუნოს ვაჭა, რომ ძველებური ცხოვრება მას და მის ქმარს არ შეჰფერის, რომ ფული მოდური ტანსაცმლის, კარგად მოწყობილი ბინისა და ძვირფასი ეტლის შესაძენად სჭირდებათ და ა. შ.

პოდხალიუზინმა და ოლიმპიადამ დაისაკუთრეს ბოლოშოვის ქონება და ქონების ნამდვილი პატრონი ციხეში დატოვეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ბოლოშოვების წრეში გაზრდილი ადამიანი მოკლებული იყო სინდისს, პატიოსნებას, ადამიანურ ღირსებას.

ბოლოშოვებისა და პოდხალიუზინების იშკილბაზობა, თაღლითობა, გაიძვერობა აუცილებელი და გარდაუვალი შედეგია ბნელი სამეფოს ცხოვრებისა, სხვანაირად ამ სამეფოს არსებობა არ შეეძლო.

კომედია „შინაურები ვართ — მოვრიგდებით“ მოსკოველ ვაჭრებს არ მოეწონათ. მათმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს პიესის აკრძალვა და ვაჭართა წოდების შეურაცხყოფისათვის ავტორის დასჯა. ვაჭრებმა მიზანს მიაღწიეს. ცენზურამ პიესა აკრძალა, აიკრძალა მისი პრესაში ხსენებაც. ხოლო ავტორზე პოლიციამ ფარული ზედამხედველობა დააწესა. მაგრამ ყველაფერი ეს რუსეთის მოწინავე პროგრესულმა ინტელიგენციამ მიიღო ოსტროვსკის დიდ გამარჯვებად.

ოსტროვსკის ამ შესანიშნავი პიესის წარმოდგენა სცენაზე აკრძალული იყო თერთმეტი წლის განმავლობაში. ცენზურამ მაშინღა დართო ნება, როცა დრამატურგმა მას ფინალი შეუცვალა და ბოროტება დასაჯა. ახალი რედაქციის მიხედვით კომედიის დასასრულს სცენაზე შემოდის პოლიციელი და უსიტყვოდ აპატიმრებს პოდხალიუზინს. ბოროტება ისჯება, მას სჯის ყოვლისშემძლე მთავრობა.

ასეთი ფინალი, რა თქმა უნდა, ავტორისგან დათმობას ნიშნავდა, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო. თანაც, ყველამ აშკარად იგრძნო, რომ პოდხალიუზინის დაპატიმრების სცენა მექანიკური იყო და სრულებითაც არ უკავშირდებოდა ნაწარმოების შინაგან დრამატულ განვითარებას, მის დედააზრს.

1852 წელს ოსტროვსკიმ ვაჭართა ცხოვრებაზე ახალი პიესა „ღარიბი საპატარძლო“ („Бедная невеста“) დაბეჭდა. დრამატურგის ეს პიესაც გოგოლისებურია, კრიტიკულ რეალიზმს მიეკუთვნება. მასში მკაფიოდ არის დასმული საკითხი სილარიბისა და სიმდიდრის, ღარიბი

ადამიანის უკუღმართი ბედის შესახებ. პიესის მთავარი გმირი ღარიბი ქალიშვილი ნეზაბუდკინა უსიყვარულოდ ცოლად გაჰყვება ხნიერ მოხელეს, რათა შინშილისაგან იხსნას თავისი მშობელი დედა.

1852—1855 წლებში ოსტროვსკი სლავოფილებს დაუახლოვდა. მან საშსახურს თავი დაანება და ჟურნალ „მოსკვიტიანინის" რედაქციაში დაიწყო მუშაობა. მართალია, ოსტროვსკი არასოდეს არ გაზიარებია სლავოფილების რეაქციული იდეოლოგიის მატარებელი, მაგრამ მან ამ წლებში უდავოდ განიცადა მათი იდეების გავლენა. ამ პერიოდში დაწერილ პიესებში აშკარად იგრძნობა სოციალური პრობლემატიკის ბუნდოვნება, „ბნელეთის სამეფოს" კრიტიკის შესუსტება, პატრიარქალური ვაჭრების ზოგიერთი ტრადიციების იდეალიზაცია და ა. შ. პიესებში: „სხვის მარხილში ნუ ჩაჯდები" („Не в свои сани не садись") და „სიღარიბე სამარცხვინო არ არის" („Бедность не порок") ოსტროვსკიმ ერთგვარად გადაუხვია ნატურალური სკოლის კრიტიკულ-რეალისტურ პრინციპებს და ვაჭართა დადებითი ტიპების დახატვა სცადა.

კომედიაში „სხვის მარხილში ნუ ჩაჯდები" ვაჭარი რუსაკოვი დახატულია როგორც დადებითი პიროვნება. სამაგალითო მეოჯახე, თავისი ქალიშვილის მოსიყვარულე მამა, მაღალი მშობლიური და სხვა კეთილშობილური გრძნობებით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც უფრთხილდება სხვის და საკუთარ ადამიანურ ღირსებებს. როგორც მაშინდელი დროის პროგრესულმა ჟურნალმა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიმ" შენიშნა, რუსაკოვი „ნამეტანი იდეალური" ვაჭარია, ისეთი კი არა. როგორსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედებით, არამედ ისეთი, როგორიც არასოდეს არ გვხვდება. პიესაში ასევე გაიდეალებულია ახალგაზრდა ვაჭარი ვანია დოროდკინი.

ასეთივე სლავოფილური ტენდენციები არის გატარებული კომედიაში „სიღარიბე სამარცხვინო არ არის". აქაც მწვავე სოციალური პრობლემების მაგიერ დასმულია ზოგადი ეთიკური საკითხები. (მშობლიური სიყვარული, მეოჯახეობა და სხვ.). პიესაში ახალი ტიპის ქალაქელი კაპიტალისტი, ზნეობრივად გადაგვარებული მტაცებელი კორშუნოვი თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს პროვინციელ ვაჭარ გორდეი ტორცოვს და დალუპვის გზაზე დააყენებს. პიესაში რუსული სიკეთის განსახიერებად სამსონის ძმა ლოთი ლიუბიმ ტორცოვია გამოყვანილი. სწორედ ეს უკანასკნელი ჰქადაგებს სლავოფილურ აზრებს, ამხელს ცივილიზებულ ბურჟუაზიას და მას ძველი ყაიდის პატრიარქალურ ვაჭართა ყოფას უპირისპირებს.

ა. ოსტროვსკის 60-ანი წლების შემოქმედება. სამოციან წლებში

ოსტროვსკის შემოქმედებაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. 1855—1856 წლებში მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი სლავოფილებთან და დაუახლოვდა გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს.

1856 წელს პეტერბურგში ლ. ტოლსტოიმ ოსტროვსკის ნ. ნეკრასოვი გააცნო. მალე იგი ჟურნალ „სოვრემენნიკის“ თანამშრომელი გახდა. დრამატურგის შემოქმედებაში ახალი ძალით იჩინა თავი კრიტიკულ-რეალისტურმა ტენდენციებმა, დემოკრატიულმა იდეებმა. 60-იან წლებში დაწერილი პიესები: „შემოსავლიანი ადგილი“ („Доходное место“), „ელჭექი“ („Гроза“), „გამზრდელი ქალი“ („Воспитанница“) და სხვ. მამხილებლური ნაწარმოებებია. მათში დიდი მხატვრული სიძლიერით არის აღწერილი რეფორმისწინა პერიოდის რუსეთის ცხოვრება. დრამატურგი ცხოვრების საუკეთესო ცოდნით, იშვიათი მხატვრული სიხადავითა და ორიგინალობით ჰქმნის რუსულ ეროვნულ ხასიათებს, უაღრესად თვითმყოფად, კოლორიტულ და ცხოვრებისეულ სურათებს. ოსტროვსკის შემოქმედება თემატიკურადაც მდიდრდება. იგი მარტო ვაჭრების შესახებ არ წერს. მის პიესებში ჩნდებიან აგრეთვე მემამულეები, ინტელიგენცია, მოხელეები და რუსეთის სხვა ფენების წარმომადგენლები.

სალტიკოვ-შჩედრინის „საგუბერნიო ნარკვევებთან“ ერთად ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ ერთ-ერთი პირველი დ ძლიერი მამხილებლური ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც დრამატურგმა 1857 წელს დაბეჭდა, მაგრამ მთავრობამ მისი სცენაზე დადგმა აკრძალა. „შემოსავლიანი ადგილი“ ექვსი წლის შემდეგ 1863 წელს დაიდგა პეტერბურგის თეატრში.

„შემოსავლიან ადგილში“ ასახულია რეფორმამდელ რუს მოხელეთა ყოფა-ცხოვრება, მათი თავაშვებულობა, უმეცრება, ინტელექტუალური სიჩლუნგე, ზნეობრივი გადაგვარება.

მოხელეების მანკიერება ნაწარმოებში განზოგადებულია, მაყურებელი მას ღებულობს როგორც რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული აპარატისათვის ტიპიურ, დამახასიათებელ ნიშან-თვისებას.

კომედიაში მექრთამე და მლიქვნელ მოხელეებს: ვიშნევსკის, იუსოვს, ბელოგუბოვს უპირისპირდება ახალგაზრდა, განათლებული და კეთილშობილი ქადოვი. იგი ჯერ კიდევ სწავლის დროს მოხვედრილა რაზნოჩინელების წრეში და მათი გავლენით ცხოვრებაზე თავისებური შეხედულებები გამოუმუშავდა. ქადოვი ღარიბია, მაგრამ მას ეთაკილება უპატიოსნო ცხოვრება. იგი ვერ ურიგდება უსამართლობას, უხამსობას, ადამიანური ღირსების დაკარგვას. ეზიზღება სიცრუე, მექრთამეობა, მლიქვნელობა. კომედიაში მექრთამეობა ნაჩვენებია არა როგორც შემთხვევითი, არამედ როგორც რუსეთის ცხოვრები-

სათვის დამახასიათებელი, ტიპიური მოვლენა. ვიშნევსკი, იუსოვი, ბელოგუბოვი რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები არიან, ისინი სწორედ ამ სისტემის წყალობით გაჩნდნენ ქვეყანაზე და მათი ყოფნაც იმავე სისტემის არსებობაზეა დამოკიდებული.

მოხელეებს ვაჭრებზე ნაკლებად არ შეყვარებიათ ფული. ფულის შოვნისათვის ისინი უფრო მეტ უსინდისობას კადრულობენ. ვიშნევსკის კარგად აქვს შეგნებული ფულის ძალა, მან იცის, რომ ფულით შეიძლება ყველაფრის შოვნა; სიმდიდრის, თანამდებობის, ქალის და სხვა. სიყვარულის გრძნობასაც კი იგი საჩუქრების რაოდენობითა და ღირებულებით ზომავს.

პიესაში ერთიმეორეს ორი მსოფლმხედველობა ეჯახება. მსოფლმხედველობა ძველი, დრომოჭმული, ფეოდალურ-თვითმპყრობელური საზოგადოებისა, რომლის წარმომადგენელიც ვიშნევსკია და წსოფლმხედველობა პროგრესული სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდობისა, რომლის წარმომადგენელიც ჟადოვია.

ჟადოვმა არ დაუჯერა თავის ბიძას ვიშნევსკის და ოჯახის შექმნას სიღარიბის დროს მოჰკიდა ხელი, მან ცოლი სიყვარულით შეირთო და ეგონა ყოველგვარ გასაჭირს მასთან ერთად ცოლიც გაიზიარებდა, მაგრამ ღმერთუკუღა. მის პოლინას არაფერი ჰქონდა საერთო ჟადოვის მისწრაფებებთან. მას ეხარბება თავისი დისა და სხვა მოხელეთა ცოლების სიმდიდრე, მათი ბრჭყვიალა ოქროს სამკაულები და ძვირფასი ტანსაცმელი. ჟადოვს გარეშე მტრებთან ერთად შინაური მტრებიც გაუჩნდა. ეს იყო სიღარიბე და ცოლის გაუთავებელი ბუზღუნი, რომელიც დროთა ვითარებაში აშკარა ჩხუბში გადავიდა. პოლინა თავის ქმარს განშორებით დაემუქრა.

საბოლოოდ ახალგაზრდა ჟადოვი გატეხეს. იგი იძულებული გახდა მისულიყო თავის ბიძა ვიშნევსკისთან და ეთხოვა შემოსავლიანი ადგილი.

პიესაში მექრთამე მოხელეები — იუსოვები და ბელოგუბოვები დღესასწაულობენ, მაგრამ ჟადოვი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისას ძალღონეს მოიკრებს და გაბედულად აღიარებს თავის სისუსტეს. „ჩემი მარცხი, — ეუბნება იგი ვიშნევსკის, — ნუ გაგახარებთ! მე უბრალო მოკვდავი ვარ, მე სუსტი ადამიანი ვარ და არ გამაჩნია საკმარისი ნებისყოფა ისე როგორც უმრავლესობას. გაჭირვებამ, ცუდმა პირობებმა, მშობლების გაუნათლებლობამ, გავრცელებულმა უზნეობამ შეიძლება მომქანცოს, დამაგდოს ჯაგლაგ ცხენივით, მაგრამ საკმარისია ერთი გაკვეთილი. თუნდაც აი ასეთი... რისთვისაც მადლობა უნდა გადაგიხადოთ; ახლა ჩემთვის საკმარისია თუნდაც ერთ პატიოსან

კაცთან შეხვედრა, რომ მკვდრეთით აღსდგე და განმიახლდეს სიხარული ჩემი. შეიძლება მერყეობა გამოვიჩინო, მაგრამ ბოროტმოქმედებას არ ჩავიდენ, შეიძლება წავიბორძიკო, მაგრამ არ დავეცემი. ჩემი გული მოალბო განათლებამ და მას ბიწიერება ვერ გააქვავებს. მე მრცხვენია, დიახ, სირცხვილით ვიწვი, რომ თქვენთან მოვედი".

ჟადოვი ,მართლაც, არ არის ნამდვილი გმირი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციონერ-რაზნოჩინელად, მაგრამ მის ხასიათში დრამატურგმა თავი მოუყარა 60-იანი წლების რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის ბევრ თვისებას.

ა. ოსტროვსკის დრამატურგიული ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს პიესა „ელჩექი", რომელიც ჟურნალ „სოვრემენნიკში" დაიბეჭდა.

მასალა ამ პიესისათვის ოსტროვსკიმ 1856 წლის ლიტერატურული ექსპედიციის დროს შეკრიბა. მდინარე ვოლგის ზედა ნაწილის დათვალიერების დროს მან შეაგროვა მდიდარი ისტორიული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, გაეცნო ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს.

„ელჩექში" მოქმედება იშლება ვოლგისპირეთის ერთ მიყრუებულ პროვინციულ ქალაქში. თემად აღებულია ოჯახური ცხოვრება. მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია რომანტიკული და რელიგიური გრძნობით შეპყრობილი ქალი კატერინა, რომელიც უკულმართმა ბედმა ვაჭარ კაბანიხების „ბნელეთის სამეფოში" მოახვედრა. კატერინას დედამთილ კაბანიხას ოჯახი დამყარებულია ანგარებასა და შიშზე; დესპოტ ქალს დამონებული ჰყავს ოჯახის ყველა წევრი. განსაკუთრებით გადაჯიდებულია იგი კატერინაზე, რადგან მის ხასიათში ყველაზე უფრო აშკარად ამჩნევს პატრიარქალური ოჯახისათვის შეუფერებელ თვისებებს. კატერინა ოჯახში ვერ პოულობს დედამთილის დესპოტიზმისაგან დამცველ ადამიანს. მისი ქმარი უნებისყოფო და გონებაჩლუნგი ტიხონი თავისი დედის ყურმოჭრილი მონაა და ცოლის დასაცავად ხმის ამოღებას ვერ ბედავს.

ამ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალს შეუყვარდება მეზობელი ვაჭრის დიკოის ნათესავი, ახალგაზრდა ბორისი, რომელიც კატერინას სხვებზე უკეთეს ადამიანად მოეჩვენება. კატერინა, როგორც რელიგიური გრძნობით შეპყრობილი ქალი, ებრძვის სიყვარულის გრძნობას, მას არ სურს ოჯახის ღალატი, ცოდვის ჩადენა. ბავრამ ამ დრამატიზმით აღსავსე, შინაგან ბრძოლაში იმარჯვებს სიყვარული. კატერინა დაარღვევს ცოლქმრობის წმიდათაწმიდა რელიგიურ კანონს, უღალატებს ქმარს, მაგრამ სინდისის ქენჯნით შეწუხებული, უზენაესის წინაშე ელჩექის დროს სასტიკი განსჯის შიშით თავ-

ზარდაცემული ქმარს საქვეყნოდ გამოეტყდება ყველაფერში.

პიესაში შინაგანი დრამატული კონფლიქტი წარმოიშვება სიყვარულისა და რელიგიური გრძნობების შეჯახების შედეგად. კატერინას ვნებიანი სულს ეს ორი გრძნობა ააფორიაქებს, ისინი განაპირობებენ ტანჯული ქალის გამოუვალ ტრაგიკულ მდგომარეობას.

ბორისი კატერინას სევდიანი სიყვარულის ღირსი არ აღმოჩნდა. მან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალი კაბანიხებს დაუტოვა და თვითონ დიკოის განკარგულებით ნოქრად ცივბირის შორეულ ქალაქში გაემგზავრა.

კატერინას ცხოვრებაში აღარაფერი არ დარჩა. ამიტომ მონურ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია. იგი ეოლგაში გადავარდა და თავი დაიხრჩო.

პიესაში კატერინას დაღუპვა ნაჩვენებია როგორც კაბანიხების და დიკოების ძალმომრეობის პირდაპირი შედეგი, როგორც დაჩაგრული და სასოწარკვეთილი გულის სტიქიური პროტესტი ბნელეთის სამეფოს ტირანიის წინააღმდეგ.

„ბნელეთის სამეფოში“ შეუძლებელი აღმოჩნდა ცხოვრება ისეთი სპეტაკი ადამიანისათვის, როგორიც იყო კატერინა, დიკოიმ და კაბანიხებმა თავიანთი დესპოტიზმით, რელიგიური თვალთმაქცობითა და სიცრუით გულწრფელ ადამიანს ცხოვრებისათვის გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნეს.

გამოჩენილმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატმა დობროლიუბოვმა ოსტროვსკის „ელჩექს“ ბრწყინვალე სტატია „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში“ მიუძღვნა. დიკოებისა და კაბანიხების საზოგადოებას „ბნელეთის სამეფო“ უწოდა, ხოლო კატერინას — ამ სამეფოში შეპრიალი სინათლის სხივი.

დობროლიუბოვის აზრით, კატერინა ახლად გამოღვიძებული რუსი ადამიანია. „საითკენაც არ გაიხედავთ, — წერდა იგი სტატიაში „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში“, — ყველგან პიროვნების გამოღვიძებას დაინახავთ, დაინახავთ მის ცივ თავისი მოთხოვნების წამოყენებას, ძალმომრეობისა და თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტს. უმეტეს ნაწილად ჯერ კიდევ სუსტს, გაურკვეველს... მაგრამ შესამჩნევს!“

ამრიგად, დიდი რუსი კრიტიკოსის აზრით კატერინას არა აქვს გააზრებული თავისი პროტესტის სოციალური მნიშვნელობა, იგი სტიქიურად წინ აღუდგება ბნელეთის სამეფოს იმ საშუალებებით, რაც მას გააჩნდა — გრძნობებით.

კატერინას სტიქიური პროტესტი მაინც დიდმნიშვნელოვანია, დობროლიუბოვის აზრით, კატერინას სახე წინგადადგმული ნაბიჯია არა მარტო ოსტროვსკის შემოქმედებაში, არამედ მთელ რუსულ ლიტერატურაში.

„ელჭექში“ დიკოებისა და კაბანიხების „ბნელეთის სამეფოს“ ნიჭიერი თვითნასწავლი მესაათე კულიგინი და დიკოის კანტორაში მომუშავე ახალგაზრდა კუდრიაში უპირისპირდებიან. ეს უკანასკნელი გაბედულია, დიკოის ყვირილის არ ეშინია, პირიქით, ხანდისხან მეპატრონის ძალმომრეობას იგი შეტევით პასუხობს და მაშინ ირკვევა დიკოის ხასიათი. იგი თურმე მხდალი კაცი ყოფილა, მის წინააღმდეგ გამოსვლა შესაძლებელია.

კულიგინი სასტიკად ამხელს, „ბნელეთის სამეფოს“, მისი აზრით, ვაჭრები ცოფიან მგლებად გადაიქცნენ, ისინი დაუნდობლად მტრობენ ერთმანეთს, ძარცვავენ ნათესავებს, მახლობლებს, ღარიბებს, ობლებს.

ღარიბი, თვითნასწავლი მესაათის კულიგინის სახით ოსტროვსკიმ რუსი ხალხის ნიჭიერება და სულიერი სიმდიდრე გვიჩვენა.

60—70-იან წლებში ოსტროვსკი დიდი გატაცებით მუშაობდა ისტორიული პიესების ციკლზე: „კოზმა ზახარიჩ მინინ-სუხორუკი“ (1867), „მხედართმთავარი ანუ სიზმარი ეოლგაზე“ („Воевода или сон на Волге“, 1867), „ცრუ დმიტრი და ვასილ შუისკი“. („Дмитрий Самозванец и Василий Шуйский“, 1887); „ტუშინი“ (1867), „ვასილისა მელენტიევა“ (1868) და „XVII საუკუნის კომედია“ (1872), მან ღრმად შეისწავლა რუსეთის წარსული, ისტორიული და ეთნოგრაფიული ლიტერატურა, საარქივო მასალები.

ა. ოსტროვსკი განსაკუთრებით XVI—XVII საუკუნების ისტორიული ამბებით დაინტერესდა, რადგან სწორედ ამ პერიოდში გადახდა რუს ხალხს გარეშე მტრების წინააღმდეგ გმირული ბრძოლები.

დრამატურგი ისტორიულ თემატიკას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მისი აზრით, ისტორიული დრამები და ქრონიკები „ანვითარებენ ხალხის ცნობიერებას და ზრდიან მასში სამშობლოსადმი შეგნებულ სიყვარულს. ადამიანებს სწყურიათ იცოდნენ თავიანთი ისტორია; მეცნიერული გამოკვლევები და მონოგრაფიები მათ ამ ცოდნას ვერ მისცემს, ხოლო კარგი პოპულარული ისტორია ჩვენთან ჯერ არ არის დაწერილი, იგი ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. გინდაც ყოფილიყო დაწერილი ასეთი ისტორია, თუგინდ ყველას წაეკითხა და სცოდნოდა იგი, ისტორიული დრამა მაინც საჭირო იქნებოდა... ისტორიკოსი გადმოგვცემს იმას, რაც იყო, დრამატურგი პოეტი კი გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა ეს; მას მაყურებელი გადაჰყავს მოვლენათა მოქმედების ადგილას და ამ მოვლენების მონაწილედ ხდის“

თავის ისტორიულ პიესებში ოსტროვსკი გვევლინება როგორც შეშმარიტი პატრიოტი, დემოკრატი. მისი პატრიოტიზმი უაღრესად

ღრმა და ჰუმანურია, გასსივოსნებულია ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. უველა პიესაში ისტორიის მამოძრავებელ ძალად ხალხია გამოყვანილი, ის არის სამშობლოს ჭეშმარიტი დამცველი.

სახალხო გმირების ბრწყინვალე სახეებს, რომლებსაც დრამატურგი ქმნის ისტორიულ ქრონიკებში, უპირისპირებს მდიდარ უპრინციპო ადამიანებს, რომლებიც პირადი ანგარებით დაბრმავებულნი ივიწყებენ საკუთარი ქვეყნის წინაშე თავიანთ მოვალეობას, ღალატობენ ერის ინტერესს.

ოსტროვსკის ისტორიული პიესებიდან თავისი პატრიოტული სულისკვეთებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია „კოზმა ზახარიჩ მინინ-სუხორუკი", რომელსაც ავტორმა დრამატული ქრონიკა უწოდა. ეს პიესა ოსტროვსკიმ ჯერ კიდევ 1856 წელს ექსპედიციაში ყოფნის დროს ჩაიფიქრა, მაგრამ მასზე მუშაობა 1861 წელს დაასრულა.

პიესის მთავარი მოქმედი პირი ვაჭარი მინინია. იგი სახალხო გმირი გახდა მას შემდეგ, რაც სამშობლოს დასაცავად ხალხი დარაზმა და მას სათავეში ჩაუდგა.

პიესაში მინინს ეგოიზმით შეპყრობილი დიდებულები და მსხვილი ვაჭრები უპირისპირდებიან. ისინი ხალხის ბელადზე ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ, რადგან არ მოსწონთ მისი მასასთან ახლო კავშირი, მინინს შეამბოხებენ, სახელმწიფოს მტრად სთვლიან და მის წინააღმდეგ სხვადასხვა ინტრიგას აწყობენ.

იმისათვის რომ მოსკოვი დაიხსნას პოლონელი პანებისაგან, მინინი ხალხს აგროვებს, უველას მოუწოდებს გასწირონ თავი განსაცდელში ჩავარდნილი დედა სამშობლოსათვის. მართლაც, მინინის მეთაურობით სწორედ ხალხი აღსდგა მოსკოვის გასანთავისუფლებლად, რადგან პოლონელი პანებისაგან ხალხი იტანჯებოდა და არა ეგოისტური მიზნებით შეპყრობილი ბოიარები.

ა. ოსტროვსკის ისტორიული ქრონიკებიდან ასევე საინტერესოა, „ცრუ დიმიტრი და ვასილ შუისკი". ამ პიესაში ცნობილი ავანტიურისტი ცრუ დიმიტრი დახატულია როგორც უარყოფითი პიროვნება, რომელსაც რუსი ხალხის ეროვნულ ინტერესებთან არაფერი აქვს საერთო. უარყოფით პიროვნებად არის დახატული აგრეთვე ვასილ შუისკი, იგი რეაქციონერი ბოიარების ინტერესებს ემსახურება.

ერისა და რუსეთის სახელმწიფოს ორივე მოღალატეს ხალხი უპირისპირდება. იგი აქტიურად მოქმედებს და გადამწყვეტ როლს ასრულებს ცრუ დიმიტრის სამეფო ტახტის დამხობაში.

70—80-იანი წლების შემოქმედება. ალექსანდრე ოსტროვსკიმ 70—80-იან წლებში შექმნა მრავალი საინტერესო დრამატუ-

ლი ნაწარმოები. რომლებშიც ასახვა ჰპოვა საგლეხო რეფორმების შემდგომი პერიოდის რუსეთის ცხოვრებამ, ასეთებია: „შმაგი ფულები“ („Бешеные деньги“) „ტყე“ („Лес“), „ნაგვიანევი სიყვარული“ („Поздняя любовь“), „მგლები და ცხვრები“ („Волки и овцы“), „უბოზითვო“ („Бесприданница“), „ტალანტები და თაყვანისმცემელნი“ („Таланты и поклонники“), „უდანაშაულო დანაშაულნი“ („Без вины виноватые“) და სხვ.

ა. ოსტროვსკის ეს პიესები რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენების ცხოვრებას შეეხება. ჩვენ მათში ვხედავთ მემამულეების, ბურჟუაზიის, მოხელეების, ინტელიგენციისა და სხვა წოდებათა წარმომადგენლებს. მათი საშუალებით მკითხველი ეცნობა ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდის რუსეთის საზოგადოებას, 70-იანი წლების სინამდვილეს, ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესს.

პიესაში „შმაგი ფულები“ (1869) დახატულია თავადაზნაურული კლასის მატერიალური და ზნეობრივი დაკნინება. ნაწარმოების ცენტრში მემამულე ჩებოქსაროვების ოჯახია — ნადეჟდა და მისი ქალიშვილი ლიდია, რომლებმაც მთელი თავიანთი ქონება გაფლანგეს ქეიფსა და დროსტარებაში. გაღატაკების გზაზე დამდგარი ჩებოქსაროვების ოჯახი ცდილობს თავისი დაკარგული არისტოკრატიული ბრწყინვალება მდიდარ კაცზე ლიდიას გათხოვებით შეინარჩუნოს.

ჩებოქსაროვების გარშემო მრავალი სხვა „შმაგი ფულების“ მაძებარი ტრიალებს: კოჩუმოვი, ტელიატევი, გლუმოვი და სხვ. ტელიატევი ვალების გადაუხდელობის. გამო ყოველ დღე დაპატიმრებას ელის, გლუმოვს კი გაღატაკებისაგან თავი გადაურჩენია ხანდაზმული მდიდარი ქალის ცოლად შერთვით, რომლის სიკვდილსაც იგი ყოველდღე ნატრობს, რათა ხელში ჩაიგდოს ბებრუხანას მდიდარი მემკვიდრეობა.

ყველა ამ ადამიანებს დაკარგული აქვთ სინდისი, პატიოსნება, ჩაფლულნი არიან ალეირახსნილი, პარაზიტული ცხოვრების გულშემზარავ მორევში.

გადაგვარებულ თავადაზნაურობას პიესაში უპირისპირდება ენერგიული ახალგაზრდა კაცი ბურჟუა სავა ვასილკოვი. სწორედ იგი შეირთავს ცოლად ლიდია ჩებოქსაროვას და შექმნის წმინდა ბურჟუაზიულ ოჯახს; ლიდიას არ უყვარს ქმარი. იგი ვასილკოვს ცოლად ანგარიშით გაჰყვა, მას სურს ფულიან ვასილკოვთან ხელგაშლილად იცხოვროს, მაგრამ მოტყუება. ვასილკოვი ხელმომჭირნე ბურჟუა აღმოჩნდა, ცოლს ფუფუნებაში არ აცხოვრებდა, იგი აფინანსებდა ლიდიას ისეთ

მოთხოვნებს, რომელიც მის ბურჟუაზიულ მიზნებს ემსახურებოდა. „როდესაც თქვენ კარგად შეისწავლით მეურნეობას, — ეუბნება იგი ცოლს. — წაგიყვანთ ჩემს საგუბერნიო ქალაქში, სადაც თვალი უნდა დაუბრმაოთ გუბერნიის ქალებს თქვენი ტუალეტითა და მანერებით. ცე ამისათვის ფულს არ დავიშურებ. მაგრამ, იცოდეთ, ბიუჯეტიდან არ გამოვალ. მე ასეთი ფართო საქმეებისათვის მჭირდება ცოლი. შემდგომ კი თუ ჩემს მიმართ თაყვანიცემით, პეტერბურგს ჩაგიყვანთ, მოუსმენთ პატტის. ლოჟისათვის ათას მანეთსაც არ დავიშურებ, პეტერბურგში ჩვენს საქმეებთან დაკავშირებით დიდ ადამიანებთან მაქვს დამყარებული კავშირი. მე თვითონ ტომარასავით ვარ. თანაც მოუხეშავი. მე ისეთი ცოლი მჭირდება, რომ მან ისეთი სალონი იქონიოს, რომელშიც მინისტრის მიღებაც კი არ იქნება სათაკილო. თქვენ ყველაფერი გაქვთ ამისათვის".

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს ვასილკოვის ვიწრო ეგოისტური შეხედულება ცოლზე, ოჯახზე, მას ყველაფერი კაპიტალის დაგროვებისათვის, „შვაგი ფულებისათვის" სჭირდება. მაგრამ ლიდიაც ეგოისტია. ქმრისაგან ბევრ ფულს რომ ვერ მიიღებს, იგი საყვარლებს გაიჩენს და მათთან ატარებს დროს, მაგრამ საბოლოოდ ჩეზოქსაროვა ქმარს დაუბრუნდება, რადგან „შმაგი ფულები" მის აზნაურ საყვარლებს არ ჰქონდათ, ის მხოლოდ ვასილკოვების ხელში იყო.

თავადაზნაურული კლასის მკაცრი კრიტიკა არის მოცემული აგრეთვე პიესაში „ტყე". დრამატურგს ამ ხუთმოქმედებიან კომედიაში დახატული ჰყავს შეძლებული ქვრივი ქალი გურმიჟსკაია, რომელსაც თავი მოაქვს ჰუმანურობითა და ქველმოქმედებით; სინამდვილეში ეს მემამულე ქალი ამაყი და თვითნებაა, ბუნწი და შეუბრალებელი ეგოისტი. პიესაში „ტყეს" მარტო პირდაპირი კი არა სიმბოლური მნიშვნელობაცა აქვს. პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირი მსახიობი ნესჩასტლივცევი გურმიჟსკაიას ცხოვრებას ნესტიანი ტყის სიმყრალეს ადარებს.

მიყრუებული ტყის მობინადრეებს პიესაში ღარიბი, მაგრამ უალრესად კეთილშობილი მსახიობები უპირისპირდებიან, რომლის წარმომადგენელი ნესჩასტლივცევი სასტიკად ამხელს ეგოისტსა და ზნეობრივად გადაგვარებულ მემამულე გურმიჟსკაიას.

პიესები მსახიობთა ცხოვრებიდან. ა. ოსტროვსკი რუსი მსახიობების დიდი მეგობარი იყო. დრამატურგი მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში იცავდა მსახიობის ინტერესებს, ეჭომაგებოდა მას, როგორც ხელოვნების ერთგულ მსახურსა და ჩაგრულ ადამიანს.

მსახიობების ცხოვრება დახატულია პიესებში: „ტყე“. „ტალანტები და თაყვანისმცემელნი“ და „უდანაშაულო დანაშაული“.

ა. ოსტროვსკის პიესებში, როგორც წესი, მსახიობი ღარიბია. პატარა ადამიანი, რომლის ბედიც დამოკიდებულია ფულით სავსე ვაჭრებსა და კაპიტალისტებზე. მაგრამ ამავე დროს ისინი „ბნელეთის სამეფოს“ უპირისპირდებიან თავიანთი პატიოსნებით, მაღალი ქვეთქნობილური ინტერესებით, ჰუმანური და დემოკრატიული მისწრაფებებით.

მიუხედავად სიღარიბისა, ოსტროვსკის მსახიობები აღსავსენი არიან სიამაყის გრძნობით, ისინი გაბედულად ამხელენ მდიდარ ვაჭრებსა და მემამულეებს, რომლებსაც ხელში უჭირავთ თეატრი და მას საკუთარი ეგოისტური მიზნებისათვის იყენებენ.

პიესაში „ტალანტები და თაყვანისმცემელნი“ ოსტროვსკი გვიხატავს ხელოვანისა და ხელოვნების უმწეო მდგომარეობას ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. დრამატურგის აზრით, მსახიობის ბედი დამოკიდებულია მდიდრების ნებაყოფლობაზე, მეცენატის გარეშე არ შეუძლია არსებობა არც თეატრს და არც თეატრალს. ვაჭარი ყიდულობს არა მარტო თეატრში შესასვლელ ბილეთს, არამედ სპექტაკლს, მსახიობს. ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ნეგინა წინ აღუდგა ასეთ ვითარებას, მან პატიოსანი ხელოვანის შრომითა და წმინდა სიყვარულით მოინდომა ცხოვრება, მაგრამ არ გამოუვიდა. მართალია, მსახიობმა ქალმა პროვინციელი თაყვანისმცემლები მოიგერია, მაგრამ ვერ გაუძლო ძლიერ, ევროპული ტიპის მდიდარ ველიატოვს, რომელმაც დაარწმუნა, რომ მდიდარი საყვარლის გარეშე მის ნიჭს არ ექნებოდა არავითარი გასაქანი. ნეგინას წინაშე დაისვა საკითხი: სინდისი ან ხელოვნება, წმინდა სიყვარული ან ველიატოვის ხასად გახდომა და გზის გაკაფვა საიმპერატორო თეატრების სცენისაკენ.

მსახიობმა ქალმა გაიმეტა სინდისი, წმინდა სიყვარული და არჩია მეორე — გახდა შაჩრის მეჭარხნე ველიატოვის ხასა.

პიესის მიხედვით, ახალი ევროპული ტიპის ვაჭრები ვასილკოვები და ველიატოვები ბევრად უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე ბოლშოვები და დიკოები. ისინი პატრიარქალური ვაჭრების მსგავსად არ ბრგინებიან, უწმაწურ სიტყვებს არ ხმარობენ, პირიქით, ზრდილობიანად იქცევიან, ლაპარაკობენ წმინდა რუსული ენით, ზოგმა მათგანმა რამდენიმე უცხო ენაც კი იცის და ზუსტ მეცნიერებაზე აქვს წარმოდგენა (ვასილკოვი „შმაგი ფულებიდან“).

ვასილკოვები და ველიატოვები კაპიტალს წვრილმანი მოტყუებით კი არ აგროვებენ, არამედ მსხვილი კომერციული საქმეებით: ისინი, როგორც ეს განათლებულ ადამიანებს შეშვენით, ევროპულად იცვამენ, ქალებთან ურთიერთობაში ძალზე ლოიალურნი და გულისხმიერ-

ნი არიან. მაგრამ ყველაფერი ეს მათი ნიღაბია. ვასილკოვები და ველიკატოვები ისეთივე დაუნდობელნი, ზნეობრივად გადაგვარებულნი და ვერაგები არიან, როგორც დიკოები და ბოლშოევები. გემების მფლობელმა პარატოვმა ნამუსი ახადა, გაათახსირა და თავი მოაკვლევინა ახლად გათხოვილ უმწიფარ პატარძალს ლარისას („უმწიფარი"), ველიკატოვმა ხასად აქცია ნეგინა, რუსაკოვმა ფულით იყიდა თავისი ცოლი და ა. შ.

მსახიობების ცხოვრებაზე დაწერილი დრამატული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „უდანაშაულო დამნაშავენი", რომელიც ოსტროვსკიმ კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ, 1884 წელს დაწერა.

პიესაში „უდანაშაულო დამნაშავენი" ნათლად არის დახატული ნიჭიერი მსახიობი ქალის კრუჩინინას ტრაგიკული ბედი ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მისი სპეტაკი გრძნობები ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იქნა შეურაცხყოფილი და დამცირებული; მდიდარმა საგუბერნიო მოხელე მუროვმა სამუდამოდ გაჰწირა კეთილი და ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი და უმწიფარი ქალი ოტრადინა, რომელიც შემდეგ მაყურებელს სახელგანთქმულ მსახიობ კრუჩინინას გვარით მოევლინება.

მსახიობების თემაზე შექმნილ პიესებში ოსტროვსკი მარტო ხელოვანისა და ხელოვნების ბედის პრობლემის დასმით არ კმაყოფილდება. იგი ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების უბადრუკობასთან ერთად პროგრესული ძალების გამოღვიძებასაც გვიხატავს, გვიჩვენებს ამ ძალების სულიერ, ზნეობრივ ამაღლებას.

პიესაში „ტალანტები და თაყვანისმცემელნი" გადაგვარებულ ბურჟუაზიას უპირისპირდება რაზნოჩინელი მელუზოვი, რომელიც სასტიკად ამხელს ფულით გატენილ ვაჭრებსა და ქადაგებს განჭვათავისუფლებელ იდეებს. დრამატურგის მამხილებლური ტენდენცია თავს იჩენს „უდანაშაულო დამნაშავეებშიც". კრუჩინინა და მისი ვაჟიშვილი გრიგორი ნეზნამოვი, რომლებიც მუროვების საზოგადოებამ გარიყა, სასტიკად ჰკიცხავენ ანგარებას, სიყალბეს, უსულგულობას.

გაჭირვებასა და უპატრონობაში აღზრდილი ნეზნამოვი ნერვიულია, ზედმეტად აღგზნებული და უხეში, მაგრამ ამავე დროს სულით ამაყი, დამოუკიდებელი. იგი მოურიდებლად ამხელს ყველას, ვინც სიყვარულზე, სათნოებაზე ბედავს ლაპარაკს, რადგან მან ეს გრძნობები ვერ ნახა ადამიანებში.

ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი" გამსჭვალულია დრამატურგის მაღალი ჰუმანური გრძნობით. ეს პიესა უკანასკნელი, მაგრამ ძლიერი სევდიანი სიმღერაა დამცირებულ და შეურაცხყოფილ ადამიანზე. მაგრამ ამასთანავე მასში აშკარად ჩანს მოხუცი დრამატურ-

გის იმედი მომაელისადმი. პიესის ნაღვლიან სტრიქონებში აშკარად იგრძნობა, რომ სიყვარული, წმენიერება, სიკეთე, საბოლოოდ გაიმარჯვებს. ამის საუკეთესო მაგალითია მაღალი ჰუმანური გრძნობებით აღსავსე მსახიობ კრუჩინინას ამაღელვებელი სახე.

ა. ოსტროვსკის დრამატურგიული პრინციპების შესახებ. რუსული ეროვნული რეალისტური თეატრის განვითარება უმთავრესად სამი დიდი დრამატურგის სახელთან არის დაკავშირებული: გოგოლის, ოსტროვსკისა და ჩეხოვის. თითოეულმა მათგანმა რუსული თეატრისა და დრამატული ლიტერატურის ისტორიაში შეჰქონეს განვითარების გარკვეული პერიოდი.

ა. ოსტროვსკი გოგოლის მოწაფე იყო. მან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გოგოლის რეალისტური და კრიტიკულ-მამხილებლური ტრადიციები განავითარა. მაგრამ ოსტროვსკი არ ყოფილა უბრალო მიმბაძველი. მან შექმნა თავისი საკუთარი სტილი, მეტად ორიგინალური და თვითმყოფადი დრამატული ხელოვნება. მართალია, ოსტროვსკი თავისი ტიპებით, თემატიკით, სტილით უახლოვდება გოგოლის დრამატულ შემოქმედებას, მაგრამ ამავე დროს მისგან კიდეც განსხვავდება.

გოგოლის დრამა ხასიათდება მოქმედების სწრაფი, დინამიკური განვითარებით, ძლიერი დრამატიზმით. ოსტროვსკის დრამაში კი მოქმედება შენელებულია, ის უფრო მეტად ფსიქოლოგიური ანალიზით არის დატვირთული. გოგოლისათვის მთავარი იყო დრამატულ ნაწარმოებში დაჭიმული დინამიკა, მოქმედების სწრაფი, ენერგიული კონცენტრაცია ერთ რომელიმე წერტილში, ოსტროვსკისათვის კი მთავარია მოქმედ პირთა ხასიათების დახატვა, მათი განცდების, შინაგანი სულიერი სამყაროს ჩვენება. ამიტომ თუ გოგოლის კომედიებს მოქმედების დრამას უწოდებენ, ოსტროვსკის დრამა — ხასიათების დრამაა.

გოგოლის დრამატურგიისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ასახვის ფართო მასშტაბი, ოსტროვსკიმ კი ეს მასშტაბი შეამცირა, დრამის ცენტრში, როგორც წესი, ოჯახი დააყენა. მან ადამიანის სოციალური, ფსიქოლოგიური სახე, მისი ხასიათი, ზნეობრივი ცხოვრება. საზოგადოებრივი მისწრაფებანი დაგვიხატა ვიწრო ინტიმურ ფონზე. ამით აიხსნება, რომ ოსტროვსკის პიესებში ეთიკურ პრობლემას დიდი ადგილი უჭირავს.

მაგრამ ყველაფერი ეს არ გვაძლევს უფლებას, რომ ოსტროვსკის დრამას ვიწრო საყოფაცხოვრებო ფსიქოლოგიური დრამა ვუწოდოთ. ოსტროვსკიმ მხოლოდ შეანელა დრამაში მოქმედება, მან გოგოლთან შედარებით მეტი ყურადღება მიაქცია ხასიათების ფსიქოლოგიურ

დამუშავებას. ოსტროვსკის დრამა სოციალურ-ფსიქოლოგიურია.

ა. ოსტროვსკი საქართველოში. 1883 წელს ა. ოსტროვსკი ძმასთან ერთად ესტუმრა საქართველოს, სადაც მან ერთ თვემდე დაჰყო. ღრმა ყურადღებით გაეცნო იგი ქართულ კულტურას, ხელოვნებას, თეატრალურ ცხოვრებას, დაათვალიერა ისტორიული ძეგლები და ბუნებაც შეიცნო. დაუახლოვდა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს.

1883 წლის 20 ოქტომბერს თბილისის საზოგადოებამ ოსტროვსკის საზეიმო შეხვედრა მოუწყო. გამოჩენილი ქართველი მსახიობი ვასო აბაშიძე სტუმარს გულთბილად მიესალმა: „... ჩვენ დავრწმუნდით და სხვანიც დავარწმუნეთ, რომ თქვენს წმინდა რუსულ სურათებს შეუძლია აღელვონ გული და გონება არა მარტო რუსეთის საზოგადოებას; თქვენი დიდი სახელი ისევე სასიქადულოა აქ, საქართველოში, როგორც იქ, რუსეთში“.

ვ. აბაშიძის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გამოვიდა ცნობილი ქართველი დრამატურგი აკაკი წერეთელი და წაიკითხა ოსტროვსკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. საღამოს დასასრულს ქართულ ენაზე წარმოდგენილი იყო პიესა „შემოსავლიანი ადგილის“ მეორე მოქმედება, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები: ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია და მ. საფაროვა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მსახიობების თამაშმა და მისი პიესის ქართულ ენაზე წარმოდგენამ ოსტროვსკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დრამატურგმა მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე ა. ცაგარელის და გ. სუნდუკიანის პიესებს, რომლებიც ქართულმა დასმა იმავე საღამოს წარმოადგინეს სცენაზე.

ქართველი საზოგადოების ოსტროვსკისთან შეხვედრებმა ისეთი გრანდიოზული ხასიათი მიიღო, რომ მათ ადგილობრივი პრესის გარდა, რუსეთის ცენტრალური პრესაც გამოეხმაურა.

კავკასიაში მოგზაურობამ ოსტროვსკიზე დადებითი გავლენა მოახდინა. ამ მოგზაურობის შედეგად დიდმა დრამატურგმა იგრძნო მინაგანი სულიერი ძალების განახლება, შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება, სწორედ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერა მან თავისი უკანასკნელი დრამატული ნაწარმოები „უდანაშაულო დამნაშავენი“. ეს პიესა „დაწერილია კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ, იმ აღტაცებულ შთაბეჭდილებათა ზეგავლენით, რომელიც თბილისში მივიღე“, — წერდა თვით დრამატურგი.

ა. ოსტროვსკის პიესების პირველი ქართული თარგმანი ეკუთვნით ჭუთაისელ მასწავლებლებს ა. ჯიჯინაძესა და ი. მიქელაძეს. 1874 წელს მათ ქართულად თარგმნეს „შემოსავლიანი ადგილი“. იმავე წელს ეს

პიესა ქუთაისის თეატრის სცენაზე დაიდგა. სამი წლის შემდეგ „შეჩვეულებრივი ადგილი“ ახლად დაარსებულმა ქართულმა დასმა დადგა თბილისშიც. ამ პიესის გარდა ქართულად თარგმნილია ოსტროვსკის თერამეტი პიესა. მათ შორის „მგლები და ცხვრები“, „ტყე“, „შინაურები ვართ — მოვრიგდებით“, „შმაგი ფულები“, „ღარიბი საპატარძლო“, „ლამაზი მამაკაცი“, „უდანაშაულო დანაშაული“, „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, „უმზითვო“, „უკანასკნელი მსხვერპლი“ და სხვ. მთარგმნელებს შორის ვხედავთ ლიტერატურისა და თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს: ვ. აბაშიძეს, ლ. მესხიშვილს, ა. ცაგარელს, ს. ჩიქოვანს და სხვ.

ა. ოსტროვსკის პიესები მტკიცედ შევიდა ქართული საბჭოთა თეატრების რეპერტუარში. რუსთაველის სახელობისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 30—40-იან წლებში განხორციელდა ოსტროვსკის პიესების ბრწყინვალე დადგმები („ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, „უმზითვო“ და სხვ.). დიდი რუსი დრამატურგის პიესები დაიდგა აგრეთვე ფოთის, ქუთაისის და საქართველოს სხვა ქალაქების თეატრებშიც.

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი

მ. სალტიკოვი, რომელიც თავის ნაწარმოებებს ნ. შჩედრინის ფსევდონიმით აქვეყნებდა, რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის უდიდესი წარმომადგენელი იყო. მის სახელთან დაკავშირებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული სატირის მძლავრი განვითარება. მ. სალტიკოვ-შჩედრინი იყო გენიალური სატირიკოსი, ღრმა მოაზროვნე, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, ნიჭიერი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი. კარლ მარქსი, ვ. ი. ლენინი, განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები ყოველთვის დიდად აფასებდნენ მ. სალტიკოვ-შჩედრინის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ხშირად იყენებდნენ მას რეაქციონერებისა და ლიბერალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბავშვობა და ყრმობა. პირველი ნაწარმოებები. მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვი (1826—1889) დაიბადა ტვერის გუბერნიის ყრუ და მიუვალ სოფელში (სპას-უგოლში). მამამისი მდიდარი მემამულე იყო, დედა კი — ვაჭართა წრიდან გამოსული ქალი — მეტად სასტიკი, ანგარებიანი და უხეში. პატარა მიშას მშობლები მზრუნველობითა და ალერსით არ ანებივრებდნენ, აღზრდის საუკეთესო მეთოდად ფიზიკური დასჯა მიაჩნდათ. მ. სალტიკოვი საკუთარ

ოჯახსა და სოფელში პატარაობიდანვე ხედავდა ბატონყმური სინამდვილის საშინელ სურათებს, გლეხების ჩაგვრა-ყელეფასა და სიღატაკეს. დესპოტიზმსა და თვითნებობას. ყოველივე ამან გარკვეული გავლენა მოახდინა მწერლის შემოქმედებაზე.

პირველდაწყებითი განათლება პატარა მიშამ ოჯახში მიიღო. იგი მეტად ნიჭიერი და ბეჯითი ბავშვი იყო. 9—10 წლის ასაკში უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულ და გერმანულ ენებზე. 1836 წელს მ. სალტიკოვი შევიდა მოსკოვის სათავადაზნაურო ინსტიტუტში, საიდანაც ორი წლის შემდეგ, როგორც საუკეთესო მოსწავლე, სახელმწიფო ხარჯზე ცარსკოე სელოს ლიცეუმში გააგზავნეს. როგორც ვიცით, ლიცეუმი პუშკინის დროიდანვე დახურული პრივილეგიური სასწავლებელი იყო. ოცდაათიან წლებში იგი, მ. სალტიკოვის სიტყვით, მეფის მოხელეთა „სანერგეს“ წარმოადგენდა. მოსწავლეთა უმრავლესობა მხიარულ და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. სალტიკოვი მათ თავს არიდებდა, ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით გატაცებული იყო პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებით, ბელინსკის სტატიებით. ლიცეუმში მ. სალტიკოვმა ლექსების წერა და ბეჭდვაც დაიწყო. მაგრამ ისინი ორიგინალობით არ გამოირჩეოდნენ.

1844 წელს მ. სალტიკოვი ამთავრებს ლიცეუმს და სამსახურს იწყებს პეტერბურგში, სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში. ამავე დროს, ბელინსკისა და გერცენის იდეებზე აღზრდილი ჰაბუკი უახლოვდება მ. პეტრაშევსკის, რომელსაც ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლის დროს გაეცნო. ეს იყო მოწინავე რუსი მოაზროვნე, სოციალისტური და დემოკრატიული იდეების მგზნებარე მქადაგებელი. ვ. ი. ლენინის სიტყვით, სოციალისტური ინტელიგენციის ჩამოყალიბება რუსეთში პეტრაშევსკის წრიდან იწყება. ორმოციანი წლების მეორე ნახევარში პეტრაშევსკის ბინაზე პარასკეობით თავს იყრიდნენ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები (თ. დოსტოევსკი, ა. პლეშჩეევი, ა. პალმი და სხვ.), რომლებიც გატაცებით სწავლობდნენ სოციალისტ-უტოპისტთა ნაწარმოებებს და ხშირად მსჯელობდნენ საჭირბოროტო სოციალურ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე. პეტრაშევსკის წრე ერთგვარი შუალედური დამაკავშირებელი რგოლი იყო დეკაბრისტებსა და რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის. პეტრაშევლები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავიანთი შეხედულებებითა და პოლიტიკური შეგნებით, მაგრამ ყველა მათგანს ეზიზღებოდა თვითმპყრობელობა, ბატონყმობა და ყველა გატაცებული იყო უტოპიური სოციალიზმის თეორიით. მ. სალტიკოვი მ. პეტრაშევსკის თავის „დაუვიწყარ მეგობრად და მასწავლებლად“ თვლიდა და მის წრეში აქტიურად მონაწილეობდა. ამ დროს შექმნა მან თავისი პირველი პროზაული ნაწარმოებები — „წინაალმდეგობანი“

(„Противоречия", 1847) და „დახლართული საქმე" („Запутанное дело", 1848). ეს მოთხრობები დიდი მხატვრული ღირსებით არ გამოირჩევიან, მაგრამ მათში მკვეთრად გამოვლინდა ავტორის გატაცება სოციალისტური იდეებით.

მ. სალტიკოვის ყურადღების ცენტრშია კლასობრივი წინააღმდეგობანი, საზოგადოებრივი ურთიერთობის დახლართული საკმეები. მეორე მოთხრობაში მთავარ გმირად გამოყვანილია „პატარა ადამიანი" მიჩულინი, რომელიც პროვინციიდან პეტერბურგში ჩადის და საკუთარ თავზე განიცდის უკუღმართი სოციალური ურთიერთობის მთელ სიმწვავეს. თანამედროვე საზოგადოება მას წარმოუდგენია პირამიდის სახით, სადაც ზედაფენები — „სისხლისმსმელი გაუმაძღარი მგლები" — ქვედაფენებს აწვებიან და ტანჯავენ. საზოგადოების „პირამიდულ თეორიას", რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო დასავლეთ ევროპის სოციალისტურ ლიტერატურაში, მ. სალტიკოვმა რევოლუციური ხასიათი მისცა. მის მოთხრობაში დედა თავის მშიერ ბავშვებს ანუგეშებს, რომ „გაუმაძღარ მგლებს" მალე მოსპობენ. ამ მოთხრობაში მეფის მთავრობამ „მავნე აზრები" დაინახა და ახალგაზრდა ავტორი 1848 წლის გაზაფხულზე ქ. ვიატკაში გადაასახლა.

გადასახლებაში. „საგუბერნიო ნარკვევები". გადასახლებაში მ. სალტიკოვმა თითქმის რვა წელიწადს დაჰყო. მაშინდელ მიყრუებულ და „გადაკარგულ" ვიატკის გუბერნიაში მას შემოქმედებითი მუშაობის პირობები არ გააჩნდა. იქ ცხოვრება „სიკვდილზე უარესი იყო". მაგრამ გადასახლებაში დაკვირვებული მწერალი ახლოს გაეცნო ბატონყმური რუსეთის სოფელს, რეალური ცხოვრების „წინააღმდეგობებსა" და „დახლართულ საქმეებს", თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რეჟიმის საშინელ სინამდვილეს. სწორედ იქ მიღებული შთაბეჭდილებანი დაედო საფუძვლად მ. სალტიკოვის პირველ დიდ ნაწარმოებს — „საგუბერნიო ნარკვევებს" („Губернские очерки"), რომელიც მან გადასახლებიდან პეტერბურგში დაბრუნებისთანავე დაწერა 1856 წელს და ნ. შჩედრინის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ამ დროიდან იგი თავის ნაწარმოებებს ყოველთვის ნ. შჩედრინის ხელმოწერით ბეჭდავდა.

„საგუბერნიო ნარკვევების" მოქმედება იშლება უმთავრესად ქალაქ კრუტოგორსკში, რომლის ქვეშ ნაგულისხმევია ვიატკა. მაგრამ ავტორი მას განაზოგადებს და გვიხატავს როგორც რეფორმამდელი რუსეთის ტიპიურ პროვინციულ ქალაქს. ნაწარმოები ცხოვრების ფართო სფეროს მოიცავს. მოქმედება ვითარდება გუბერნიის მსხვილი მოხელეების რეზიდენციასა და მებატონეთა მამულში, ვაჭრის ღუქანში, ხალხმრავალ ბაზარზე, გლეხთა ქოხებში და სხვ. აგრძელებს რა გოგოლის რეალისტურ-სატირულ ტრადიციებს, „საგუბერნიო ნარკვევე-

ბის" ავტორი თავის წინამორბედზე კიდევ უფრო ღრმად და მწვავედ აჰხელს თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების მთელ სისტემას. შჩედრინი გვიხატავს მაშინდელი საზოგადოების ძირითადი სოციალური ფენების ტიპიურ წარმომადგენლებს, რომლებსაც ცალკეულ ნარკვევებს ან თავებს უძღვნის. ასე, ნარკვევში „ჩემი ნაცნობები" სატირის ნახევარი მიმართულია თავადაზნაურობის როგორც თვითმპყრობელობის დასაყრდენი კლასის წინააღმდეგ. ჟივნოვსკების, ზაბიაკინების, მუზოვკინებისა და სხვათა სახით მწერალი ამხელს გაბატონებული კლასის პარაზიტიზმს, ამორალურობასა და ექსპლუატატორულ ბუნებას. ნარკვევში „ტალანტური ნატურები" მწვავედ არიან გაკრიტიკებული თავადაზნაურთა წრიდან გამოსული „მოაზროვნე" ლიბერალები. „ზედმეტი ადამიანები", როგორც „ფრაზის გმირები", ფუჭი მეოცნებე იდეალისტები (ბუერაკინი, ლუზგინი და სხვ.).

„საგუბერნიო ნარკვევებში" მხილებულია ქორ-ვაჭართა თაღლითობა და გაიძვერობა, ბიუროკრატ ჩუბილკინისა და სახელმწიფო აპარატის სხვა მოხელეთა თვითნებობა და მექრთამეობა (ნარკვევი „Юродивые"), ხალხის სასტიკი ექსპლუატაცია და აბუჩად აგდება (ნარკვევი „Озорник").

ნ. დობროლიუბოვის სამართლიანი შენიშვნით, ამ გაბატონებულ კლასებს შჩედრინი უპირისპირებს მშრომელ ხალხს, უუფლებო, დაბეჩავებულ და ღატაკ გლეხობას, რომელსაც ავტორი მხატვრული სიმართლითა და დიდი თანაგრძნობით გვიხატავს. ნარკვევში „არინუშკა" აღწერილია ყმა გლეხების საშინელი სიღატაკე და უვიცობა, ლოგინად ჩავარდნილი არინუშკას ტრაგედია. მაგრამ „საგუბერნიო ნარკვევებში" ჩვენ ვერ ვხვდებით გლეხთა აქტიურ ბრძოლას კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, ისინი შერიგებიან ჩაგვრასა და უუფლებობას.

მართალია, სალტიკოვ-შჩედრინი ამ დროს სუბიექტურად ჯერ კიდევ თავისუფალი არ იყო ლიბერალური ილუზიებისაგან და ხალხის „ზევიდან" განთავისუფლების იმედი ჰქონდა, მაგრამ ობიექტურად „საგუბერნიო ნარკვევები" ეღერდა როგორც საბრალმდებლო დასკვნა მაშინდელი წყობილების წინააღმდეგ, დამახასიათებელია, რომ ნ. დობროლიუბოვი და ნ. ჩერნიშევსკი ნაწარმოებს დაბეჭდვისთანავე გამოეხმაურნენ, ფრიად მაღალი შეფასება მისცეს და მის ავტორში თავის მომავალი თანამოაზრე დაინახეს.

1850—1868 წლები. ვიატკიდან დაბრუნების შემდეგ, 1856 წლიდან სალტიკოვ-შჩედრინი სამსახურს იწყებს პეტერბურგში, შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1858 წელს მას ნიშნავენ ვიცე-გუბერნატორად პენზაში, 1860 წელს იმავე თანამდებობაზე — ტვერში. ცნობილია, რომ ეს იყო საზოგადოებრივი აზრის აღმავლობის პერიოდი რუსეთში. სალტიკოვს იმედი ჰქონდა, რომ თავის მაღალ თანამდებო-

ბას გამოიყენებდა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, „არ დაუშვებდა გლეხის შეურაცხყოფას“. მწერალს მართლაც ხშირი შეხლა-შემოხლა ჰქონდა რეაქციონერ მებატონეებთან, რომლებმაც მას მეტსახელად „ვიცე-რობესპიერი“ შეარქვეს.

რეფორმის შემდეგ სალტიკოვ-შჩედრინი დარწმუნდა იმაში, რომ მისი მიზნები განუხორციელებელი იყო. 1862 წლის დასაწყისში სამსახური მიატოვა და პეტერბურგში დაბრუნდა. აქ იგი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოძრაობაში, თუმცა მას არც ვიცე-გუბერნატორად მუშაობის ბროს შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. 1859—60 წლებში შჩედრინის რამდენიმე ნაწარმოები დაიბეჭდა „სოვრემენნიკში“, ახლა კი — 1862 წლიდან — იგი ამ სახელმოხვეჭილი ჟურნალის რედაქციაში შედის და მისი მუდმივი თანამშრომელი ხდება. ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო. გავიხსენოთ, რომ სწორედ იმ წელს „სოვრემენნიკი“ რვა თვით აკრძალეს, ჩერნიშევსკი და სხვა რევოლუციონერები საპყრობილეში ჩაყარეს, მეფის მთავრობამ რეპრესიები გააძლიერა, რეაქცია პროგრესული ძალების წინააღმდეგ იერიშზე გადავიდა, ლიბერალთა რენეგატობამ მასიური ხასიათი მიიღო, ხოლო დემოკრატიულ ინტელიგენციაში დაბნეულობა დაიწყო. ამ მძიმე მომენტში შჩედრინი მხარში ამოუდგა ნეკრასოვს. მისი თანამშრომლობა „სოვრემენნიკში“ მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო. ჟურნალში იგი ბეჭდავდა თავის მოთხრობებს, ნარკვევებს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პუბლიცისტურ ნაწარმოებთა ციკლი „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება“ („Наша общественная жизнь“, 1863—64), რომელშიც შჩედრინი აგრძელებს ჩერნიშევსკის ტრადიციებს და რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან მიმოიხილავს ეპოქის აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებს. სტატიებში ავტორი წარმოგვიდგება როგორც დიდად გაწათლებული, დაკვირვებული, ნიჭიერი პუბლიცისტი და პოლემისტი.

აღსანიშნავია აგრეთვე სატირული ნარკვევების ციკლი „პომპადურები“ („Помпадуры и помпадурши“). ცნობილია, რომ მარკიზა პომპადური იყო საფრანგეთის მეფის ლუი XV-ის საყვარელი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლეში. ეს ავზნიანი, მფლანგველი და თვითნება ქალი აქტიურად ერეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. შჩედრინი ამ სახელს ხმარობს გადატანითი მნიშვნელობით — როგორც მეფის რუსეთის მოხელეებისა და მათი ცოლების თვითნებობის და ფუჭსავატობის სიმბოლოს. ნაწარმოების გესლიანი სატირა მიმართულია სახელმწიფო აპარატში გაბატონებული ბიუროკრატიზმის, კარიერიზმისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ.

1864 წელს შჩედრინმა „სოვრემენნიკის“ რედაქცია მიატოვა და კვლავ სახელმწიფო სამსახურს შეუდგა პროვინციაში. ჯერ პენზაში ცხოვრობდა და მსახურობდა, შემდეგ ტულაში, ხოლო 1867 წლიდან რიაზანში. თვით მწერალი ამ სამსახურს უყურებდა როგორც ნებაყოფლობით გადასახლებას. ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო მხოლოდ მატერიალური მოსაზრებით. ამიტომ გასაგებია, რომ როცა „სოვრემენნიკის“ დახურვის შემდეგ (1866) ნეკრასოვი 1868 წლიდან სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ და თანარედაქტორად შჩედრინი მიიწვია, მან სიამოვნებით მიიღო მიწვევა. ამ ჟურნალს სალტიკოვ-შჩედრინი ხელმძღვანელობდა ჯერ როგორც თანარედაქტორი, ხოლო ნეკრასოვის გარდაცვალების შემდეგ (1877) — როგორც მისი მთავარი რედაქტორი.

„ერთი ქალაქის ისტორია“. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“-ში მუშაობისას (1868—1884) შჩედრინი უაღრესად ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ამ დროს შექმნა მან თავისი ძირითადი ნაწარმოებები, რომლებმაც ავტორს სამართლიანად მოუხვეჭეს გენიალური სატირიკოსის სახელი.

„ერთი ქალაქის ისტორია“ („История одного города“, 1869—1870) მახვილი პოლიტიკური სატირის ნიმუშია. გარეგნულად იგი წარმოადგენს ერთი ქალაქის — გლუპოვოს („ბრიყვეთი“) — მატეანეს. მწერალი თითქოს XVIII საუკუნის ცხოვრებას აღწერს, სინამდვილეში კი ისტორია ავტორს გამოყენებული აქვს თავისი დროის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის გასაკრიტიკებლად. შჩედრინი მშვენივრად ხედავდა, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ძველი საფუძვლები ახალ ეპოქაში უცვლელად დარჩა, რომ ხალხი ახლაც ისევე უუფლებო და დაჩაგრულია, როგორც ძველად იყო. მწერალი თვითონვე აღიარებდა: „ისტორიასთან ‘მე არაფერი მესაქმება, მე მხოლოდ თანამედროვეობა მაქვს მხედველობაშიო“. ქალაქი გლუპოვო, რომლის ისტორიას თითქოს გულუბრყვილო არქივარიუსი — მემატიანე მოგვითხრობს, რუსეთის თვითმპყრობელობის სიმბოლოა. წლების განმავლობაში გლუპოვოს მრავალი მმართველი მოევლინა, მაგრამ თითოეული მათგანი თავისებური ხასიათითა და „მოღვაწეობით“ გამოირჩეოდა.

მაგალითად, პირველმა მათგანმა — ბრუდასტიმ ქალაქში ჩასვლისთანავე მოხელეები შეკრიბა, თვალები დააბრიალა, ხმამაღლა დაიყვირა: „არ მოვითმენ“ და მაშინვე თავის ოთახში შევიდა. ყველა სახტად დარჩა. მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს გლუპოველებმა, რომ ბრუდასტის თავში ტვინის ნაცვლად მოთავსებული ყოფილა „არღანი“, რო-

მელსაც მხოლოდ ორი ფრაზის წარმოთქმა შეეძლო: „არ მოვითმენ“ და „გავანადგურებ“. ამიტომ მას მეტსახელად „არლანჩიკი“ შეარქვეს. ამ მმართველის „მოღვაწეობა“ გლუპოვოში მხოლოდ იმიტომ შეწყდა, რომ „არლანს“ მექანიზმი მოეშალა და მისი შეკეთება ადგილობრივმა მესაათემ, მიუხედავად ბევრი ცდისა, ვერ შეძლო.

„ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ბრწყინვალე“ მმართველი აღმოჩნდა ბოროდავკინი, რომელმაც სახელი გაითქვა ომებით. მან გადაწვა 33 სოფელი და ამის შედეგად გლეხებისაგან აკრიფა... ორი მანეთი და ათი შაური.

ქალაქის მმართველთა შორის იყო ერთი ქართველი თავადიც, გვარად მიქელაძე, რომელიც გამოირჩეოდა უქნარობით, ავხორცობით და რომლის წყალობით გლუპოვოს მოსახლეობა ერთიორად გაიზარდა.

ყველა მმართველს მაინც უგრიუმ-ბურჩეევმა გადააჭარბა. იგი შეპყრობილი იყო „სწორხაზოვნობის“ მანიით და ყველაფერში მათემატიკური წესრიგის შეტანას ცდილობდა. ჯერ კიდევ გლუპოვოში ჩამოსვლამდე მან შეადგინა პროექტი, რომლის თანახმად ქალაქის ცენტრში უნდა გაკეთებულიყო ფართო მოედანი, მოედნიდან რადიუსებად გამოიყვანდნენ გეომეტრიულად სწორ ქუჩებს, თითოეულ ბინაში იცხოვრებდა ორ-ორი მოხუცი, ორ-ორი საშუალო ასაკის ადამიანი, ორ-ორი ახალგაზრდა და ორ-ორი ბავშვი. თანაც თითოეულ სახლში იქნებოდა ერთი მეთაური და ერთი ჯაშუში. ცხოვრება მოეწყობოდა სამხედრო ყაიდაზე. მოქალაქენი სამუშაოზე ყოველთვის ბრიგადებად დაწყობილნი გავიდოდნენ და იმუშავებდნენ სამხედრო ბრძანებების თანახმად. თავისი გეგმის განსახორციელებლად უგრიუმ-ბურჩეევმა რამდენიმე თვეში დაანგრია „უწესრიგოდ“ აშენებული გლუპოვო, მაგრამ ერთ წინააღმდგობას წააწყდა: ქალაქს დასავლეთით სწავლა-განათლების მდინარე ჩაუდიოდა, თანაც არა სწორხაზოვნად, არამედ მიხვეულ-მოხვეულად. უგრიუმ-ბურჩეევი შეეცადა ამ ურჩი მდინარის შეჩერებას ნაგვის ჩაყრით, მაგრამ როდესაც ამას ვერ მიაღწია, დანგრეული გლუპოვოს ნაცვლად სწორ მინდორზე ახალი ქალაქის აშენებას შეუდგა. უგრიუმ-ბურჩეევის პროტოტიპი იყო სამხედრო მინისტრი არაკჩეევი, მეფის მარჯვენა ხელი, რომელიც ფანატიკური ჯიუტობით ცდილობდა რუსეთის „გაყაზარმებას“, აშენებდა „სამხედრო სოფლებს“ და სასტიკად დევნიდა სწავლა-განათლებას.

ნაწარმოებში მოცემულია მმართველთა სხვა ტიპებიც. მათგან უკანასკნელი იყო პერეხვატ-ზალიხვატსკი, რომელიც ქალაქში თეთრი ცხენით შევიდა, გიმნაზიები გადაწვა და სამეცნიერო დაწესებულებები გააუქმა.

შჩედრინი ხშირად მიმართავდა მხატვრული ტიპიზაციის ახალ ხერხებს — ფანტასტიკას, ჰიპორბოლას, გროტესკს, შარჟს, ეზოპესეულ ენას. ამიტომ ზოგიერთმა კრიტიკოსმა მწერალს უსაყვედურა — აზრს ბურუსში ჰხვევ და ნაწარმოებების შინაარსს გაუგებარს ხდიო. ეს უმართებულო საყვედური იყო. მხატვრული გაზვიადების საშუალებით შჩედრინი უფრო რელიეფურად, ცოცხლად და შთამბეჭდავად ასახავდა რეალური სინამდვილის სიმახინჯეს, უფრო ნათლად აგრძნობინებდა მკითხველს თავის აზრსა და იდეას.

„ჩემი თხზულებები, — განმარტავდა იგი ერთ-ერთ წერილში, — შიმართულია თვითნებობისა და სიმხეცის იმ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომლებიც ყველა პატიოსან ადამიანს აღაშფოთებენ. ასე, მაგალითად, ქალაქის მმართველი ფარშიანი (фаршированный) თავით, ნიშნავს არა ადამიანს ფარშიანი თავით, არამედ, სახელდობრ, ქალაქის მმართველს, რომელიც ათასი ადამიანის ბედს განაგებს... ეს სასაცილო კი არა, ტრაგიკული მდგომარეობაა. ავსახავდი რა ცხოვრებას, რომელიც უპკუობის ქვეშ იმყოფება, მე ვხელმძღვანელობდი იმ მიზნით, რომ მკითხველში აღმეძრა მწარე გრძნობები და არა მხიარული განწყობილება". ერთი სიტყვით, შჩედრინს სატირა მიაჩნდა არა გასართობ საშუალებად, არამედ პოლიტიკური ბრძოლის ბასრ იარაღად. მან გააგრძელა გოგოლის კრიტიკული რეალიზმი, მაგრამ, მაქსიმ გორკის სამართლიანი შენიშვნით, გოგოლის „ცრემლნარევ სიცილთან" შედარებით, შჩედრინის სიცილი „გაცილებით უფრო ღრმა და შეუპოვარია".

„ერთი ქალაქის ისტორიაში" დასმულია აგრეთვე თვითმპყრობელობისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს მწერალი ხალხსაც ისევე სატირულად აღწერს, როგორც მმართველ წრეებს. ხალხის აღწერის დროსაც იგი ხშირად იყენებს ფანტასტიკისა და გროტესკის მეთოდს, გაზვიადებულად წარმოგვიდგენს გლუპოველების უვიცობასა და მორჩილებას. ამიტომ ლიბერალურ-ნაროდნიკული კრიტიკა, რომელიც გლეხებს აიდეალებდა, ამტკიცებდა, რომ შჩედრინი ცილს სწამებს რუს ხალხს, დასცინის მას. მაგრამ ეს სწორი არ იყო. პირიქით, მწერალი „მოყვარეს პირში უძრახდა". მე კარგად ვიცი მასების ღირსებანი, — ამბობდა შჩედრინი, — მაგრამ განგებ გაზვიადებულად ვხატავ მათს ნაკლოვანებებს, უვიცობასა და მონურ მორჩილებას, რათა ისინი გამოვასწოროო.

ამგვარად, „ერთი ქალაქის ისტორია" მიზნად ისახავდა მეფის რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის მხილებას და ამ რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის გააქტიურებას.

„ბატონი გოლოვლიოვები“ („Господа Головлевы“, 1872—1880). ეს ნაწარმოები სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანია, მაგრამ ისიც ცალკეული მამხილებელი ნარკვევებისაგან შედგება. გარეგნულად იგი მოგვაგონებს იმ დროს საკმაოდ გავრცელებულ საოჯახო ქრონიკას, აზნაურთა ბუდის ისტორიას (გავიხსენოთ ი. ტურგენევის „აზნაურთა ბუდე“, ს. აქსაკოვის „საოჯახო ქრონიკა“, ლ. ტოლსტოის „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე“), მაგრამ გენიალური სატირიკოსი ამ თემას აშუქებს რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან.

ნაწარმოების მთავარი იდეა მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მემამულეთა ოჯახი, რომლის საფუძველს ძალმომრეობა და ჩაგვრა შეადგენს, ისტორიულად განწირულია, იგი გადაშენებისა და დაღუპვისაკენ მიექანება.

რომანში აღწერილია გოლოვლიოვების სამი თაობის ბედი. რეფორმამდე მათი ოჯახი საკმაოდ მდიდარი იყო. მასში მთავარ როლს ასრულებდა არინა პეტროვნა — ენერგიული და მკაცრი დიასახლისი, რომელიც სასტიკად ეპყრობოდა როგორც ყმებს, ისე თავის ქმარ-შვილს. მთელი მისი უშრეტი ენერგია ოჯახის გამდიდრებისაკენ იყო მიმართული და ამ მიზნის მისაღწევად იგი არავითარ ბინძურ საშუალებას არ ერიდებოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არინა პეტროვნას სულ „ოჯახისათვის ზრუნვა“ ეკერა პირზე, ნამდვილი ოჯახი მას არ გააჩნდა. აბა რა ოჯახია ის ოჯახი, სადაც სიმდიდრის უაზრო დაგროვების მანიით შეპყრობილ დიასახლისს ქმარ-შვილისათვის ლუკმაპური ენანება, ლოთ ქმარს „ჭარის წისქვილს“ ეძახის, შვილებს კი — ყეყეჩებს! რაც უფრო მდიდრდებოდა არინა, მით უფრო მეტ სიძუნწეს იჩენდა. სარდაფები და საკუჭნაოები დოვლათით სავსე ჰქონდა, ბავშვებსა და შინამოსამსახურეებს კი შიმშილით ხოცავდა.

საგლეხო რეფორმის შემდეგ გოლოვლიოვების ბუდე თანდათან გაღატაკდა. ხანშიშესული არინა საკუთარ ოჯახში „ზედმეტ პირად“ იქცა, „თავი ჩაჰქინდრა, წელში მოიხარა, თვალებში ცეცხლი ჩაუქრა და სიარული მოუდუნდა“.

კიდევ უფრო მეტად დაეცა გოლოვლიოვების მეორე თაობა — სტეფანე, პავლე და პორფირე. უფროსი ძმა სტეფანე ბავშვობაში ნიჭიერი და უნარიანი იყო, მაგრამ მშობლებს ათვალწუნებული და მოძულებული ჰყავდათ, თანაც ყოველდღიურად ამცირებდნენ და მონურ მორჩილებას აჩვევდნენ, დებილს უწოდებდნენ, ამიტომ იგი ოჯახშიც აბუჩად აგდებული მასხარა იყო და უნიერსიტეტშიც. სამსახურში წარმატებას მან ვერ მიაღწია, მემკვიდრეობით მიღებული

ქონება გააბნია, ბოლოს, ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ, გოლოველიოვოში დაბრუნდა და ცოცხალ ლეშად იქცა.

ბატონყმური ოჯახის სულის შემხუთველმა პირობებმა, მახინჯმა აღზრდამ და დამცირებამ დაამახინჯა და იმსხვერპლა აგრეთვე ყველაზე უმცროსი ძმა პავლე. ავტორის სიტყვით, „ის შეიძლება კეთილი იყო, მაგრამ არასოდეს არავისთვის არავითარი სიკეთე არ მიუზღავს; შეიძლება ჭკვიანიც იყო, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არცერთი გონივრული ნაბიჯი არ გადაუდგამს". ისიც პარაზიტიზმისა და ლოთობის ჭაობში ჩაეფლო და დაიღუპა.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია პორფირე, რომელსაც მეტსახელად ბავშვობაში შეარქვეს იუდუშკა — „სისხლისმსმელი პატარა იუდა" („Иудушка-кровопивушка"). ამ ტიპში სატირიკოსმა საოცარი მხატვრული ძალითა და სისრულით გადმოგვცა არა მარტო რუსეთის თავადაზნაურობის ფიზიკური და სულიერი დეგრადაცია, არამედ საერთოდ ფეოდალურ-ბურჟუაზიული კლასებისათვის დამახასიათებელი ეერაგობა. მოლიერის ტარტიუფთან ერთად შჩედრინის იუდუშკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის უკვდავი ტიპების გალერეაში.

იუდუშკას საყვარელი სიტყვებია „ღმერთი", „კანონი", „სინდისი", მაგრამ ამ სიტყვებით იგი თავის უსინდისობას, ცბიერებასა და ეერაგობას ფარავს. იუდუშკა მლიქვნელობისა და მოღალატეობის გაწსახიერებაა. ის განუწყვეტლივ ლაქლაქებს, წამდაუწუმ ლოცვაკურთხევასა და მაღალფარდოვან ფრაზებს მიმართავს, შემპარავი ალერსიანი სიტყვებით ცდილობს ადამიანის ნდობა დაიმსახუროს, რათა უფრო ადვილად გაწცეს და გაყიდოს იგი. იუდუშკა ყველას ღალატობს: „ოჯახსაც, მშობლებსაც, შვილებსაც, ძმებსაც"... ბავშვობაშივე მან კარგად შეიგნო, რომ ოჯახის ბატონ-პატრონი დედაა და ამიტომ მისი გულის მოგებას მიაღწია მოჩვენებითი მორჩილებითა და დასმენებით. ოჯახში მიღებული მახინჯი აღზრდის შემდეგ იუდუშკამ „დიდი სკოლა" გაიარა პეტერბურგში, დეპარტამენტის ჩინოვნიკთა შორის, სადაც 30 წელი იმსახურა და, სადაც კიდევ უფრო კარგად დაეუფლა ცბიერებისა და მოღალატეობის მოქნილ მეთოდებს. შემდეგ იუდუშკამ ხელში ჩაიგდო მშობლების ქონება და სასიკვდილოდ გასწირა ძმა სტეფანე. ფრიად დამახასიათებელია ასეთი ეპიზოდიც: იუდუშკა მეზობელ სოფელში მიემგზავრება მომაკვდავი ძმის პავლეს სანახავად და ამით თითქოს მისადმი ძმურ თანაგრძნობას იჩენს. სინამდვილეში კი იუდუშკამ მშვენივრად იცის, რომ ასეთი ვიზიტით ძმის სიკვდილს დააჩქარებს. ავადმყოფი ამაოდ ცდილობს თავიდან მოიშოროს იუდუშკა, რომელიც შავი ყორანივით დასტრიალებს მას

თავზე, მაგრამ ვერც შუდარით იშორებს და ვერც მუქარით. იუდუშკამ მხოლოდ მაშინ მიატოვა ძმა, როცა დარწმუნდა, რომ მისი საათები უკვე დათვლილია, რომ მან ვერ მოასწრო თავისი ქონებისა და მამულის სხვაზე გაფორმება და რომ მთელ მის სიმდიდრეს თვითონ ჩაიგდებს ხელში.

იუდუშკა საოცარ უგულობას იჩენს საკუთარი შვილების მიმართაც. მხეციც კი ზრუნავს თავის ნაშიერზე. იუდუშკა მხეცზე უარესია. მან თავის შვილებს — ვლადიმერსა და პეტრეს უარი უთხრა დახმარებაზე და ამით სასიკვდილოდ გაწირა ისინი. როცა პეტრემ ბანქომი სახაზინო ფული წააგო, იგი ჯარიდან სოფელში ჩავიდა მამასთან და დახმარება სთხოვა გაფლანგული ფულის დასაფარავად, რათა პატიმრობა თავიდან აეცდინა. ძუნწმა იუდუშკამ მას უარი უთხრა, თანაც გაწმორებისას ფარისეველური მოფერებით მიმართა: „ო, პეტკა, პეტკა! არა ხარ შენ კეთილი! დარჩენილიყავი ჩვენთან სტუმრად!“

იუდუშკას სახეში მეტად მკაფიოდ, კონცენტრირებულად აისახა თავადაზნაურთა კლასის მთელი სიმახინჯე და სიდამპლე. იუდუშკამ ყველას უღალატა და ყველა ახლობელი დაღუპა, რის შედეგად თვითონაც იზოლირებული და განწირული აღმოჩნდა, გაველურდა. იგი „თხზავს ფანტასტიკურ სამყაროს და ოცნებობს იმ სამყაროშიც ვინმე გააწვალოს, გააოხროს, გააუბედუროს, სისხლი სვას!“ ნაწარმოების დასასრულში მარტოდ დარჩენილი იუდუშკა ლოთობას იწყებს და თვითმკვლელობაზე ფიქრობს. ის სინდისის ქენჯნას განიცდის. ღამე, ჭარბუქში დედის საფლავზე მიდის და იყინება. ამ ტრაგიკული დასასრულით ავტორი გვეუბნება, რომ იუდუშკამ მხოლოდ სიკვდილის წინ შეიგნო, თუ რა გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია იგი მისმა წარსულმა ვერაგობამ. ამით შჩედრინს კიდევ უფრო მკაცრი განაჩენი გამოაქვს იმ სოციალური სისტემის მიმართ, რომელიც ასე ამახინჯებს ადამიანის ბუნებას. შემთხვევითი არ არის, რომ იუდუშკას სახეს ვ. ი. ლენინი ხშირად იყენებდა თავის შრომებში ექსპლუატატორული კლასებისა და მათი დამცველების დასახასიათებლად („იუდუშკა — კადეტი“, „იუდუშკა — ტროცკი“ და სხვა).

ამგვარად, გოლოვლიოვების სამივე თაობა დაიღუპა. მათს მაგალითზე შჩედრინმა გვიჩვენა თავადაზნაურთა კლასის ამორალიზმი და ისტორიული განწირულება. მათს გარდაუვალ დაღუპვას განაპირობებს არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური ფაქტორი, ბატონყმური სისტემა. გოლოვლიოვებს დაბადებიდან ნიჭი და უნარი არ აკლდათ, მაგრამ უკუღმართმა სოციალურმა წყობამ, მანკიერმა აღზრდამ ისინი დაამახინჯა, გადააგვარა და დაღუპა.

„მონრეპოს თავშესაფარი“. „საზღვარგარეთ“ და სხვ. მ. სალტიკოვ-შჩედრინმა გვიჩვენა არა მარტო თავადაზნაურთა დეგრადაცია, არამედ მათი შემცვლელი ბურჟუაზიის ზრდა და ექსპლუატატორული ბუნებაც. ჯერ კიდევ ნარკვევთა ციკლში „კეთილზრახული სიტყვები“ („Благонамеренные речи“), რომლებიც სამოცდათიანი წლების პირველ ნახევარში იწერებოდა, დიდმა სატირიკოსმა მკაფიოდ ასახა კაპიტალიზაციის პროცესი და მის შედეგად წარმოშობილი ახალი მტაცებლები, რომლებსაც საერთო სახელად „ბინძური“ („чумазый“) შეარქვა. „მოდის ბინძური, მოდის, — წერდა იგი, — თუ შეეკითხებით, რა არის ჰეშმარიტება, იგი უყოყმანოდ გიპასუხებთ: ბითუმად და ცალობით ეაჭრობაო“. ავტორი შესანიშნავად აღწერს, თუ როგორ მდიდრდებიან კაპიტალის პირველადი დაგროვების „გმირები“ — ვაჭრები, კულაკები და ბინძური საქმოსნები, როგორ უსინდისოდ ყვლეფენ ისინი გლეხობას და ანადგურებენ ბუნებრივ სიმდიდრეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია საქმოსან დერუნოვის „მოღვაწეობა“ („დერუნოვი“ შეიძლება ითარგმნოს როგორც „გამტყაველიძე“).

თავადაზნაურთა დეგრადაცია და „ბინძური“ კულაკის გამარჯვება ბრწყინვალედ დაგვიხატა შჩედრინმა „მონრეპოს თავშესაფარში“ („Убежище Монрепо“, 1878—1880), რომლითაც ძალიან დაინტერესდა კარლ მარქსი. კულაკი, რაზუკაევი შეავიწროებს უქნარა თავადს და დაეპატრონება მის მამულს. ნაწარმოებში ნაჩვენებია ორი ექსპლუატატორული კლასის ბრძოლა: დაბალი წრეებიდან გამოსულ ბურჟუაზიასთან ჰიდილში თავადაზნაურთა დრომოჭმული კლასი მარცხდება და ნადგურდება. მ. სალტიკოვ-შჩედრინი კაპიტალიზმის განვითარებაში მხოლოდ უარყოფით მოვლენას ხედავდა და ვერ მიმხვდარიყო, რომ კაპიტალიზმი ბადებდა თავისივე მესაფლავეს — პროლეტარიატს, რომელსაც მომავალში წილად ხვდა კაცობრიობის განთავისუფლება ყოველგვარი ექსპლუატაციისაგან. შჩედრინის შეხედულებათა ცალმხრივობა აღნიშნა კ. მარქსმა.

მწერალმა ამხილა არა მარტო რუსული ბურჟუაზია, არამედ საზღვარგარეთულიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოები „საზღვარგარეთ“ („За рубежом“, 1880—1881), რომელშიც ასახულია დასავლეთ ევროპაში შჩედრინის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ეს იყო პრუსიის ომის დამთავრებისა და პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, როცა გერმანიაში სამხედრო რეჟიმი დამყარდა, საფრანგეთში კი რეაქციული ბურჟუაზია გაბატონდა. ავტორი გულისტკივილით წერს, რომ გერმანიაში, რომელმაც კაცობრიობას შესანიშნავი მწერლები, კომპოზიტორები და ფილოსოფოსები მისცა, ახლა

გონებადახშული ოფიცრები პარპაშობენ, ხოლო საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელმაც ოდესღაც მშრომელ მასებთან ერთად ფეოდალიზმი დაამხო, ახლა ამავე მასების მიმართ ზიზღსა და შიშს განიცდის. „თანამედროვე ფრანგ ბურჟუას, — წერს შჩედრინი, — არ გააჩნია არც გმირობის უნარი და არც იდეალები". „შარვლიან ბიჭსა" და „უშარვლო ბიჭს" შორის გამართულ კომიკურ კამათში ავტორი ერთმანეთს ადარებს ფეოდალურ რუსეთსა და ბურჟუაზიულ ევროპას და მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ორივე ქვეყანაში გაბატონებული რეჟიმი ერთნაირად მიუღებელია როგორც რუსი გლეხობისათვის, ისევე ევროპული პროლეტარიატისათვის.

ზღაპრები. შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში მ. სალტიკოვ-შჩედრინი წერს უმთავრესად ზღაპრებს. ეს იმით აიხსნება, რომ ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან, ალექსანდრე მეორის მკვლელობის პასუხად, მეფის მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. 1884 წელს დახურეს ჟურნალი „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი", რომელსაც შჩედრინი 16 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა — ჯერ როგორც ნეკრასოვის თანარედაქტორი, შემდეგ კი როგორც მთავარი რედაქტორი. საჟურნალო ტრიბუნის დაკარგვა მეტად მძიმე აღმოჩნდა შჩედრინისათვის, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა ბრძოლას, ოღონდ ბრძოლის იარაღად აირჩია ახალი, უფრო შენილბული ფორმა — ზღაპრები. მართალია, მ. სალტიკოვ-შჩედრინმა ჯერ კიდევ 1869 წ. დაბეჭდა სამი ზღაპარი, მაგრამ ახლა, ოთხმოციან წლებში, ეს ჟანრი მთავარ ადგილს იკავებს სატირიკოსის შემოქმედებაში. მან 30-მდე ზღაპარი დაწერა.

შჩედრინის ზღაპრები მოგვაგონებენ იგავ-არაკებს, რომლებშიც ხშირად ცხოველების, ფრინველების, თევზების მოქმედება ალეგორიულად გადმოსცემს ადამიანთა ურთიერთობას.

ზღაპრებშიც მწერალი იმავე რეაქციონერებსა და ლიბერალებს ამხელს, რომელთა წინააღმდეგ ადრე თავის სატირულ ნარკვევებსა და რომანებს მიმართავდა.

ასე, მაგალითად, „ერთი ქალაქის ისტორიასთან" მჭიდრო იდეურთემატურ კავშირშია შჩედრინის პოლიტიკური ზღაპარი „დათვი სავოევოდოზე" („Медведь на воеводстве"), რომელშიც აღწერილია, თუ როგორ შეებრძოლა „შინაურ მტერს" დათვი—ტოპტიგინი. იგი „ღამე სტამბაში შეიპარა, დაზგები დაამტვრია, შრიფტი მიყარ-მოყარა, ხოლო ადამიანური ჰკუით დაწერილი თხზულებები სანაგვე ყუთში ჩაყარა". როცა ტოპტიგინ მეორემ შეიტყო, რომ მის სამფლობელოში არც ერთი სტამბა აღარ მოიპოვება, იკითხა: „უნივერსიტეტი ან აკადემია მაინც არ არის, რომ ცეცხლი წავუკიდოო". როცა არც ეს

აღმოჩნდა, მან გადაწყვიტა ხალხისათვის ტყავი გაეძრო, მაგრამ გლეხებმა იგი დროზე გამოასალმეს სიცოცხლეს.

„ზღაპარში თავგამოდებულ უფროსზე“ („Сказка о ретивом начальнике“), გამოყვანილია უაღრესად თავხედი და უვიცი მოხელე, რომლის მთელი „მოღვაწეობა“ იმაში მდგომარეობს, რომ „სურსათსანოვაგე მოსპო, სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებები გადაბუგა და მისი ფერფლი ქარს გაატანა“.

პირველად საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა შჩედრინის შესანიშნავი ზღაპარი „გოლიათი“ („Богатырь“). გოლიათს (რუსეთის მონარქიზმი იგულისხმება) ათასი წელი ეძინა და სრულიადაც არ აინტერესებდა, თუ რატომ კვნესის და გმინავს ქვეყანა. როცა ხალხი საბრძოლველად აღდგა, ყველამ დაინახა, რომ ათასწლოვანი ძილის შემდეგ გოლიათი მთლად დამპალა.

მ. სალტიკოვ-შჩედრინმა რამდენიმე ზღაპარი მიუძღვნა ოთხმოციან წლებში განსაკუთრებით მომრავლებულ ლიბერალებს, მხდალ ობივატელებსა და უხერხემლო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც „თავისუფლებასა“ და „საზოგადოების კეთილდღეობაზე“ უბედობდნენ, სინამდვილეში კი გაბატონებულ რეაქციულ რეჟიმს ემსახურებოდნენ. ასეთია, მაგალითად, ზღაპარი „ლიბერალის“ პერსონაჟი. „რომელიღაც ქვეყანაში,—წერს ავტორი,—ცხოვრობდა ერთი ლიბერალი. იგი თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალებს ქადაგებდა, თუმცა მათ განხორციელებას „მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში“. მოითხოვდა. როცა „ზევიდან“ („მცოდნე პირებმა“) ეს ვარიანტი დაიწუნეს, ლიბერალმა ითხოვა მცირე რამ მაინც დაეთმოთ, მაგრამ ამაზეც უარი უთხრეს და შესთავაზეს „თაღლითობასთან შეგუება“. „გადიოდა დღეები,—წერს შჩედრინი,—და მათთან ერთად წინ მიდიოდა „თაღლითობასთან შეგუების საქმეც. იდეალების ხსენებაც კი აღარ იყო“.

ასე ამათრახებს სატირიკოსი ოთხმოციანი წლების ლიბერალურ ინტელიგენციას, რომელიც თავის მოღვაწეობას იწყებდა „შესაძლებლობებისდაგვარობით“ და ამთავრებდა თაღლითობასა და თვითმყრობელობასთან შეგუებით.

ზღაპარში „ქარჩხანა — იდეალისტი“ („Карась — идеалист“) მწერალი გენიალურად დასცინის სხვა ჯურის ლიბერალურ ინტელიგენტებს, იმათ, ვინც თავიანთ უქნარობას მაღალფარდოვანი „მემარცხენე“ უბედობით ფარავდნენ. მტაცებელ ქარიყლაპიასთან (მეფის მთავრობაა ნაგულისხმევი), რომელიც წვრილ თევზებს მუსრს ავლებდა, ქარჩხანა-იდეალისტი ხშირად მართავდა თეორიულ დისკუსიებს და სათნოების გზაზე უხდოდა დაეყენებინა იგი. ქარიყლაპიას მოსწყინდა მეოცნებე თევზის ბაქიბუქობა და გადაყლაპა იგი.

„გაბედული" ქარჩხანასაგან განსხვავებით „უბრძნეს ციმორში" („Премудрый пескарь") გამოყვანილი თევზი მეორე უკიდურესობას იჩენს: დიდრონი თევზების შიშით იგი სილაში სოროს ამოთხრის, შიგ ჩაძვრება და იქ დამალული შიშსა და კანკალში გაატარებს მთელ სიცოცხლეს. ასეთ უგუნურობაშია ციმორის მთელი „სიბრძნე". ზღაპარში ულმობლადაა გაკრიტიკებული დაშინებული მეშჩანურ-ობივატელური საზოგადოება.

შჩედრინის ზღაპრებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე სოციალურ თემატიკას, გლეხებისა და მემამულეების ურთიერთობას. სატირიკოსი დიდი მხატვრული ძალით აგვიწერს ამ ორი ძირითადი ანტაგონისტური კლასის წარმომადგენლებს. ჯერ კიდევ 1869 წ. გამოაქვეყნა მან „მოთხრობა იმაზე, თუ როგორ გამოკვება ერთმა გლეხმა ორი გენერალი" («Повесть о том, как один мужик двух генералов прокормил»), რომელშიც გენერლები ექსპლუატატორული კლასის უვიცობას და პარაზიტიზმს განასახიერებენ. ისინი ყოველთვის ხალხის ზარჯზე ცხოვრობდნენ, ყველაფერი მზამზარეულად მოსდიოდათ და ამიტომ, როცა უდაბურ კუნძულზე ალმოჩნდნენ, არ იცოდნენ, თუ როგორ გამოეკვებათ თავი. საბედნიეროდ, იქ ალმოჩნდა საზრიანი და ენერგიული გლეხი, რომელმაც გენერლები შიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩინა. მათ კი სამაგიერო იმით გადაუხადეს, რომ გლეხი მის მიერვე დაგრეხილი თოკით შეკრეს და აწამეს.

როცა ერთ თავადს გლეხები შემოეცალნენ, — მოგვითხრობს შჩედრინი ზღაპარში „ველური თავადი" („Дикий помещик") — იგი მთლად გაველურდა, „თავიდან ფეხებამდე ბალნით დაიფარა, ცხვირის მოწმენდას გადაეჩვია, მეტწილად ბობღვით დადიოდა და კიდევაც უკვირდა — ადრე როგორ ვერ მივხვდი, რომ სიარულის ასეთი საშუალება ყველაზე უფრო მისაღები და მოსახერხებელიაო. მან დანაწევრებული მეტყველების უნარიც კი დაკარგა და შეითვისა განსაკუთრებული საბრძოლო ყიჟინა — სტვენის, შიშინისა და ღრიალის მსგავსი რამ".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზღაპარი „ცხენი" („Коняга"). გაძვალტყავებული და კატორღული შრომით ილაჯგაწყვეტილი ცხენი წარმოადგენს მშრომელი გლეხობის ჰიპერბოლურ სიმბოლოს. ცხენის სილატაკესა და მძიმე „შრომას დასასრული არ უჩანს. შრომაშია მისი არსებობის მთელი აზრი"; შრომის ნაყოფი კი სხვას მიაქვს, მაგრამ აუტანელი აწმყოს მიუხედავად, მომავალი მაინც საიმედოა.

„საუკუნეობით გაქვავებულა მრისხანე უმოძრაო უზარმაზარი მინდვრები, თითქოს ტყვედ ჩაგდებულ ზღაპრულ ძალას სდარაჯობსო.

ვინ შესძლებს ამ ძალის ტყვეობიდან დახსნას? ვინ გამოიყვანს მას მზის შუქზე? ორ არსებას ხედა წილად ეს ამოცანა — გლეხსა და ცხენს".

როცა 1887 წელს მ. სალტიკოვ-შჩედრინმა თავის ზღაპრების ცალკე წიგნად გამოცემა განიზრახა, ცენზურამ უარი უთხრა, რადგან, როგორც ცენზორი ღებედევი წერდა, „ის, რასაც სალტიკოვი ზღაპრებს უწოდებს, სრულიადაც არ შეეფერება თავის სახელწოდებას. მისი ზღაპრები იგივე სატირაა, თანაც ძალიან მწვავე სატირა, რომელიც მიმართულია ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ".

შჩედრინმა უდიდესი გავლენა იქონია რუსული მწერლობისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შორის. გენიალურ სატირიკოსს დიდად აფასებდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი.

შჩედრინი და ქართველი საზოგადოებრიობა. სალტიკოვ-შჩედრინმა გარკვეული როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. მოწინავე ქართველი მოღვაწეები გასული საუკუნის მეორე ნახევარში ხშირად მიმართავდნენ მის ბასრ სატირას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჯერ კიდევ 1879 წელს ილია ჭავჭავაძემ თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში", რომელიც „ივერიაში" დაიბეჭდა, მოხდენილად გამოიყენა შჩედრინის სახეები და გამოთქმები „ბატონი ტაშკენტელებიდან" („Господа ташкентцы") იმ უვიცი პედაგოგებისა და მეფის მოხელეების გასამათრახებლად, რომლებიც საქართველოში „მოღვაწეობდნენ".

შჩედრინი ხშირად ქება-დიდებით იხსენიება ოთხმოციანი წლების ქართულ პრესაში. ასე, მაგალითად, ხალხოსანმა მწერალმა ჭრელაშვილმა ჟურნალ „იმედში" 1882 წ. გამოაქვეყნა წერილი სწავლა-განათლების საკითხებზე, რომელშიც დობროლიუბოვთან ერთად დასახელებულია სალტიკოვ-შჩედრინი, როგორც ხალხის საყვარელი მწერალი.

დ. კეზელი „კრიტიკულ შენიშვნებში", რომლებიც 1883 წ. „დროებაში" დაიბეჭდა, ერთმანეთს ადარებს შჩედრინსა და რაფ. ერისთავს და ხაზს უსვამს მათს ხალხურობას. იმავე წელს „დროება" წერდა, რომ „როგორც იტყობინებიან, სალტიკოვ-შჩედრინს კავკასიაში გადმოსახლებას უპირებენო" (ეს ხმები არ გამართლდა). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმ დროს შჩედრინი ერთ-ერთ წერილში წერდა:

„გუშინ ჩემთან მოვიდა ოსტროვსკი, რომელიც ძმასთან ერთად კავკასიაში იყო. ძალიან აქებს ბათუმს. ამბობს: — აი, სად უნდა წახვიდეო. კლიმატი საუცხოოა, გუბერნატორი კეთილია, ხოლო ვიცე-გუბერნატორი—კიდევ უფრო კეთილი. აი რუსული ცხოვრების ჰეშმარიტი დახასიათება. კლიმატი კარგია, მაგრამ მაინც მხოლოდ მაშინაა სავსებით კარგი, თუ გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორიც შესაფერისნი არიან. მე ამას დიდი ხანია ვგრძნობ. მინდა საბინადროდ ადგილი სადმე ვიყიდო, მაგრამ მაშინვე გამახსენდება: კი მაგრამ როგორია იქ გუბერნატორი, როგორია პოლიციის უფროსი? უბნის ბოქაული? მომრიგებელი მოსამართლე? გაგაწამებენ, ბრალს რამეში დაგდებენ, დასასვენებელ თავშესაფარს კატორღად გადაგიქცევენ. ამ მხრივ, მე საერთოდ ბედი არ მწყალობს. ვერა და ვერ მოვნახე ჩემთვის თავშესაფარი“.

როცა შჩედრინი ავად გახდა, ქართული გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ ცნობებს მის ჯანმრთელობაზე, ხოლო დიდი მწერლის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი საზოგადოებრიობა (გ. ყიფშიძე, ა. ნანეიშვილი და სხვ.). „ივერიის“ სიტყვით, შჩედრინის გარდაცვალება უდიდესი და მძიმე დანაკარგი იყო მთელი რუსეთისათვის.

„გუშინ მიწას მიაბარეს მწერალი, — წერდა ნ. ნიკოლაძე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ 1889 წ. 30 აპრილს, — რომელიც ოცდაათმეტი წლის განმავლობაში რუსული ლიტერატურის უეელაზე უფრო მოწინავე რიგებში, ხოლო ზოგჯერ კი მის სათავეში იდგა“. წერილში მოცემულია დიდი რუსი მწერლის შემოქმედების ბრწყინვალე დახასიათება. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძეს შჩედრინთან პირადი ნაცნობობაც აკავშირებდა. ოთხმოციანი წლების დასაწყისში იგი შჩედრინმა მიიწვია „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ერთ-ერთი განყოფილების გამგედ, სადაც ქართველი პუბლიცისტი საკმაოდ დიდხანს მუშაობდა.

სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თბილისელმა მუშებმა გენიალური მწერლის ქვრივს წერილი გაუგზავნეს. „შჩედრინის სახით, — წერდნენ მას მუშები, — რუსეთმა დაჰკარგა სიმართლისა და თავისუფლების საუკეთესო, სამართლიანი და ენერგიული დამცველი... მისი მოთხრობების სიცილსა და სახუმარო ტონში ჩვენ ვხედავთ ღრმა სევდას... ვხედავთ ჩვენი ცხოვრების ბნელსა და აქამდე გაუგებარ მხარეებს“.

მეტად რთულია და წინააღმდეგობებით აღსავსე დოსტოევსკის შემოქმედება. ერთი მხრივ, იგი გენიალურად განასახიერებს როგორც უდიდესი ჰუმანისტი, გენიალური მწერალი-რეალისტი, რომელმაც თავის მრავალრიცხოვან მოთხრობებსა და რომანებში იშვიათი მხატვრული ძალით ასახა 1840—1870 წლების რუსეთის სინამდვილე, გაბედულად ამხილა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებანი, დიდი თანაგრძნობით დაგვიხატა გამოუვალ სიღარიბეში ჩავარდნილ დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა ტანჯვა, მათი ფიქრები და განცდები; მეორე მხრივ, დოსტოევსკი გადაჭრით უარყოფდა რევოლუციურ ბრძოლას სოციალური უსამართლობის მოსასპობად, ღვარძლიანად აკრიტიკებდა რევოლუციონერ-დემოკრატებს, ქადაგებდა რეაქციულ-რელიგიურ იდეებს, კლასობრივ ზავს, ქრისტიანულ თვინიერებასა და მორჩილებას. ერთი მხრივ, მწერალს სურდა „აღედგინა ადამიანში ადამიანური სახე", ოცნებობდა ბედნიერ მომავალზე; მეორე მხრივ, სასტიკად ესხმოდა თავს ყველას, ვინც ასეთი მომავლისათვის ბრძოლის ნამდვილ, რევოლუციურ გზას სახავდა. ამ წინააღმდეგობებით აიხსნება ის გარემოება, რომ დოსტოევსკის შემოქმედებას ხშირად იყენებდნენ და იყენებენ იდეოლოგიურ ბრძოლებში როგორც პროგრესული, ისე რეაქციული ძალები.

ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი პერიოდი. „საბრალო ადამიანები". თევდორე მიხეილის ძე დოსტოევსკი (1821—1881) დაიბადა მოსკოვში, ექიმის ოჯახში. დედამისი განათლებული და კეთილი ქალი ყოფილა, მამა კი პირიქით — მეტად უხეში, ამპარტავანი და ძუნწი, თანაც ალკოჰოლიზმის მძიმე ფორმით დაავადებული. მან ათასგვარ ზომებს მიმართა, რათა აზნაურის წოდება მიეღო, ბოლოს მიზანს მიაღწია და 1831 წ. ტულის გუბერნიაში მცირე მამულიც შეიძინა. მომავალ მწერალს მძიმე მატერიალურ და მორალურ პირობებში მოუხდა ცხოვრება. განსაკუთრებით ძლიერ იმოქმედა მასზე ორმა ამბავმა: 1837 წელს საყვარელი დედა ჭლექით გარდაეცვალა, 1839 წელს კი მამა დაეღუპა. ამ დროს თევდორე დოსტოევსკი თავის უფროს ძმასთან მიხეილთან პეტერბურგის საშხედრო-საინჟინრო სასწავლებელში სწავლობდა. დაობლებულ ჰაბუკებს სწავლასთან ერთად უმცროს და-ძმებზე ზრუნვაც მოუხდათ, დიდ გაჭირვებასა და სიღატაკეში ჩავარდნენ, ხშირად ლუკმაპურიც კი ენატრებოდათ.

ლიტერატურისადმი სიყვარული თ. დოსტოევსკის ბავშვობაში და-

ებადა. ის გატაცებით კითხულობდა ბიბლიას, კარამზინს, პუშკინს, ლერმონტოვს, განსაკუთრებით კი გოგოლს, ხოლო საზღვარგარეთელი მწერლებიდან — შექსპირს, ბალზაკს, შილერს, ჟორჟ სანდს და სხვა კლასიკოსებს. საინჟინრო სასწავლებელში თ. დოსტოევსკიმ თვითონაც დაიწყო წერა. იქ მან შეთხზა რომანტიკული დრამები „მარიამ სტიუარტი“ და „ბორის გოდუნოვი“, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

სწავლის დამთავრების შემდეგ, 1843 წელს, თ. დოსტოევსკი დანიშნეს საინჟინრო დეპარტამენტში მხაზველად. ეს უმნიშვნელო, უფერული და მცირეხელფასიანი ადგილი სრულიადაც არ აკმაყოფილებდა ლიტერატურით გატაცებულ ახალგაზრდას. ამიტომ მან 1844 წ. სამსახური მიატოვა და გადაწყვიტა მთელი დრო შემოქმედებითი მუშაობისათვის მოენდომებინა. იმავე წელს დოსტოევსკიმ გამოაქვეყნა ბალზაკის ერთ-ერთი რომანის („ევგენია გრანდეს“) საკუთარი თარგმანი, მაგრამ პირველი დიდი წარმატება მან მოიპოვა ორიგინალური რომანით „საბრალო ადამიანები“ („საწყალი ადამიანები“ ანუ „ღარიბი ადამიანები“—„Бедные люди“). ეს ნაწარმოები დოსტოევსკიმ 1845 წელს დაწერა და ნეკრასოვს წარუდგინა. ნეკრასოვმა დამწყებ მწერალში „ახალი გოგოლი“ დაინახა და ხელნაწერი დაუყოვნებლივ გადასცა ბელინსკის. დიდი კრიტიკოსიც აღტაცებაში მოვიდა რომანით, მაშინვე გაეცნო და დიდხანს ფულთბილად ესაუბრა ავტორს. ამ შეხვედრამ „სამუდამო გარდატეხა“ მოახდინა დოსტოევსკის ცხოვრებაში. „ეს იყო ყველაზე უფრო ალმაფრთოვანებელი წუთი ჩემს ცხოვრებაშიო“, — იგონებდა მწერალი ათეული წლების შემდეგ.

რომანი „საბრალო ადამიანები“ (ზოგიერთი მას მოთხრობას უწოდებს) დაიბეჭდა „ნატურალური სკოლის“ ავტორთა ნაწარმოებების კრებულში, რომელიც ნეკრასოვმა 1846 წ. გამოსცა „პეტერბურგის კრებულის“ სახელწოდებით. ახალგაზრდა ავტორის თხზულებაში ყველამ დაინახა პუშკინისა და გოგოლის ჰუმანისტური ტრადიციების ბრწყინვალე გაგრძელება, „პატარა ადამიანებისადმი“ დიდი თანაგრძნობა და სიყვარული.

„ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო“ — სამართლიანად უთქვამს დოსტოევსკის „ნატურალური სკოლის“ მწერლებზე. მართლაც, „საბრალო ადამიანების“ მთავარი გმირი მაკარ დეეუშკინი ბევრ რამეში წააგავს გოგოლის აკაკი ბაშმაჩკინს: ისიც პეტერბურგის ერთ-ერთ დეპარტამენტში მსახურობს გადამწერად, მეტად ღარიბი და დაჩაგრული ადამიანია. მაგრამ მათ შორის არა მარტო მსგავსებაა, არამედ დიდი განსხვავებაც.

აკაკი ბაშმაჩკინი სახელმწიფო აპარატში სულიერად გამოფიტა, გონებრივად დააჩლუნგა და მარტივ გადამწერ მანქანად აქცია. მისმა გრძნობებმა და ფიქრებმა მხოლოდ ერთხელ გაიღვიძეს — როცა ახალ შინელს აკერინებდა. შინელის გამოცვლა ბაშმაჩკინის უფერულ ცხოვრებაში გრანდიოზულ მოვლენად იქცა. გოგოლის უბადრუკ გმირს შინაგანი სულიერი ცხოვრება საერთოდ არ გააჩნდა და მას ავტორი, ასე ვთქვათ, გარედან გვიხატავს. „საბრალო ადამიანების“ პერსონაჟები კი პირიქით, მდიდარი შინაგანი ბუნებით გამოირჩევიან და ნაჩვენები არიან „შიგნიდან“. თვით ეპისტოლური ფორმა, რომელიც დოსტოევსკიმ თავისი ნაწარმოებისათვის აირჩია, მკითხველს შესაძლებლობას აძლევს გმირთა სულის სიღრმეში ჩაიხედოს და მათ შინაგან სამყაროს ჩასწვდეს.

რომანი წარმოადგენს მთავარი პერსონაჟების — მაკარ დევუშკინისა და ვარვარა (ვარინკა) დობროსიოლოვას მიმოწერას. ისინი მეზობლად ცხოვრობენ და თავის წერილებში გულახდილად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს, აღწერენ თავიანთ დუხჭირ ცხოვრებას. მაკარ დევუშკინი ხნიერი და მარტოხელა ადამიანია. დეპარტამენტში უმნიშვნელო თანამდებობაზე დიდხანს მუშაობამ, უფროსების ყვირილმა, თანამშრომლების დამცინავმა დამოკიდებულებამ და სიღარიბემ ის ძალიან დააშინა და დაამცირა. დევუშკინს კაცად არავინ აგდებს, მას ყველა არარაობად, ჩვრად, გამოტვინებულ არსებად თვლის, რომელიც არავისთვის არაა საჭირო და გამოსადეგი. მან თვითონაც დაიჯერა ეს და საკუთარი თავისადმი ყოველგვარი პატივისცემა დაკარგა. „მაგრამ აი, გამოჩნდით თქვენ, — სწერს იგი ვარინკას, — და მთელი ჩემი ბნელი ცხოვრება გაანათეთ... და მაშინ გავიგე, რომ მე სხვაზე ნაკლები არ ვყოფილვარ, რომ გულითა და გონებით მეც ადამიანი ვარ“.

ვარინკას სიყვარულმა დევუშკინს ფრთები შეასხა, საკუთარი თავისადმი რწმენა და პატივისცემა დაუბრუნა. მან პირველად იგრძნო თავი ნამდვილ ადამიანად, დარწმუნდა, რომ ისიც საჭირო კაცი ყოფილა, თანაც, ისეთი წმინდა არსებისათვის, როგორიც ვარინკაა.

დობროსიოლოვა სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ბევრი სიმწარე იგემა ცხოვრებაში, ადრე დაობლდა, საყვარელი ადამიანი დაკარგა, ამორალურმა თავადმა ბიკოვმა მას ნამუსი ახადა და გააუბედურა. ამ უმწეო და შეურაცხყოფილ ადამიანზე ზრუნვასა და სიყვარულში განსაკუთრებით ძლიერად გამოვლინდა მაკარ დევუშკინის ჰუმანიზმი და სულის სილამაზე. ის უკანასკნელ ლუკმას იკლებს რათა ვარინკას ყვავილები ან პერანგი უყიდოს. სიყვარულმა და ერთმანეთ-

ზე ჭრუნვამ ორიეს ცხოვრება საინტერესო და აზრიანი გახადა. თოლელი მათგანი ბედნიერი იყო, რომ ერთგული მეგობარი გაიჩინა. მაგრამ ეს ბედნიერება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ვარინკა იძულებული ცოლად გაჰყვეს თავის შეურაცხმყოფელ მემამულე ბიკოვს და ამით „სახელი დაიბრუნოს", თუმცა კარგად იცის, რომ ახალ ოჯახში დამცირება და ჯოჯოხეთური ცხოვრება მოელის. კიდევ უფრო მწარედ განიცდის ასეთ დასასრულს დეეუშკინი, რომელიც საბოლოოდ კარგავს ერთადერთ ნუგეშსა და საყრდენს და ცხოვრებაში კვლავ მარტოდმარტო რჩება. დოსტოევსკიმ, როგორც გულის ღრმაიდუმლეს ფსიქოლოგმა და სიტყვის უბადლო ოსტატმა, შესანიშნავად გვიჩვენა ორი პატარა ადამიანის დიდი გრძნობები, მათი ლამაზი და ტრაგიკული სიყვარული.

მაგრამ დეეუშკინი გოგოლის უბადრუკი და გონებაჩლუნგი გმირისაგან განსხვავდება არა მარტო „გულით" (ძლიერი სიყვარულის გრძნობითა და ჰუმანური ხასიათით), არამედ „თავითაც" — ცხოვრებაზე დაკვირვებისა და სალი აზროვნების უნარით. მაკარ დეეუშკინი ცხოველი ინტერესით კითხულობს პუშკინის „სადგურის ზედამხედველს" და გოგოლის „შინელს", რომლებიც მას ვარინკამ გამოუგზავნა. იგი შეძრწუნებულია ამ მოთხრობების პერსონაჟთა ტრაგიკული ბედით და დაწვრილებით მსჯელობს მათზე. დეეუშკინი ამჩნევს ცხოვრებაში გამეფებულ სოციალურ უსამართლობას და ასეთ „საშინელ" საკითხსაც კი სვამს:

„რატომ ხართ, ვარინკა, ასეთი უბედური? რატომ ხდება ასე, რომ კარგი ადამიანი ყოველთვის უბედურებაშია, სხვას კი ბედნიერება თვითონ მოაკითხავს ხოლმე? ვიცი, ვიცი, რომ ეს... თავისუფალი აზრია..." გაუბედავ და დაჩაგრულ მოხელეს თვითონვე ეშინია, რომ ასეთი „თავისუფალი აზრები" ებადება, ვერ გარკვეულა, საბრალო, თუ „რატომ ხდება ასე", მაგრამ ის კი საკმაოდ შეუგნია, რომ თავადი ბიკოვი და მისი მსგავსნი, „რომლებსაც ობოლი გოგოს შეურაცხყოფაც კი არაფრად მიაჩნიათ, რაღაც სულმდაბალი არსებანი არიან და არა ადამიანები". დეეუშკინი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს, რომ პატიოსანი შრომით შოულობს ლუკმაპურს, რომ ისიც საჭირო კაცია ამ ქვეყნად, რადგან თუ „ყველა შეთხზვას დაიწყებს, ვილამ უნდა გადაწეროს?". მაკარს შეგნებული აქვს თავისი ადამიანური ღირსებანი. „გულითა და გონებით მეც ადამიანი ვარ", — ამაყად აცხადებს ივი.

გოგოლისა და დოსტოევსკის ნაწარმოებებს შორის სხვა განსხვავებაც შეინიშნება. „შინელი" ეძღვნება არსებითად ერთ გმირს — აკაკი ბაშმაჩკინს, რომელსაც ავტორი მეტად მსხვილი პლანით იძლევა. „პატარა ადამიანმა" ამ მოთხრობაში ისეთი დიდი ადგილი დაიკავა, ისეთ კოლოსალურ ფიგურად წარმოგვიდგა, რომ თითქმის ყველაფერი დაჩ-

რდილა. დოსტოევსკი ასეთ „ცენტრალიზაციას“ გაურბის, მაკარ დე-ვუშკინთან ერთად მწერალი გვიხატავს ვარვარა დობროსიოლოვას, ლატაკ გორშკოვებისა და სხვათა ტრაგიკულ მდგომარეობას. ეს არის რომანი არა ღარიბ ადამიანზე, არამედ ღარიბ ადამიანებზე. დოსტოევსკიმ იშვიათი სიმართლითა და ძხატვრული ძალით გვიჩვენა, რომ მეფის რუსეთის დედაქალაქის — პეტერბურგის მცხოვრებთა დიდ ნაწილს უუფლებო და ღატაკი ადამიანები შეადგენენ, რომ ისინი თავიანთი კეთილშობილებითა და ზნეობრივი სისპეტაკით გაცილებით უფრო მაღლა დგანან იმ „მაღალ საზოგადოებაზე“, რომელიც მათ არაარაობად მიაჩნევს და აბუჩად იგდებს. ვარინკასა და მაკარის სახით ავტორმა ნათლად გვიჩვენა, თუ რა ძდიდარია ღარიბი ადამიანების შინაგანი ბუნება. ამიტომ იყო, რომ ბელინსკი აღფრთოვანებით შეხვდა დოსტოევსკის ნაწარმოებს და იგი სოციალური რომანის პირველ ცდად ჩათვალა რუსულ ლიტერატურაში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ თუ „შინელი“ ერთგვარ ტრაგიკომედიას წარმოადგენს, „საბრალო ადამიანებს“ სენტიმენტალიზმისა და ტრაგიზმის ელფერი გადაჰკრავს. ეს იმით აიხსნება, რომ პირველ მათგანში გამოყვანილ გმირს შინაგანი ცხოვრება არ გააჩნია და გოგოლი მასზე ცრემლნარევი სიცილით მოგვითხრობს, „საბრალო ადამიანებში“ კი მოქმედებენ მგრძნობიარე და მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც თვითონვე აღწერენ თავიანთ განცდებსა და ფიქრებს.

ამგვარად, დოსტოევსკიმ გააღრმავა და ახალ საფეხურზე აიყვანა გოგოლის ჰუმანისტური ტრადიცია. შექმნა ბრწყინვალე სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანი, რომელმაც საპატიო ადგილი დაიკავა „ნატურალური სკოლის“ დემოკრატიულ-რეალისტურ ნაწარმოებთა შორის.

„საბრალო ადამიანების“ წარმატებამ დოსტოევსკი წაახალისა. 1846—48 წწ. მან დაწერა რამდენიმე მოთხრობა, რომლებშიც უმთავრესად იმავე პეტერბურგის ღარიბი ინტელიგენტური ფენების ულიმღამო ცხოვრებასა და განცდებს ასახავდა. მათში მკვეთრად გამოვლინდა მწერლის ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ „სუსტ გულსა“ და „თეთრ ღამეებში“ დოსტოევსკი აგრძელებს გოგოლის „პეტერბურგული მოთხრობების“ ხაზს და ჩაგრულთა დამცველად გამოდის, „ორეულსა“ და „დიასახლისზე“ ეს არ ითქმის. „სუსტი გულის“ („Слабое сердце“) მთავარი გმირი, ღარიბი მოხელე ვასია შუმაკოვი, დაძაბულ მუშაობასა და უფროსების წინაშე შიშს სიგიჟემდე მიჰყავს, ხოლო „თეთრ ღამეებში“ („Белые ночи“) „პატარა ადამიანი“. უაღრესად კეთილი, ბავშვურად გულუბრყვილო და მეოცნებე ახალგაზრდა ვერ შეჰგუებია დედაქალაქის ბურჟუაზიულ-საჭმოსნურ ზნე-ჩვეულებებს, პროზაულ ცხოვრებას და ბედნიერებაზე ოცნებობს. ვინაიდან ბედნიერებას რეალურ სინამდვილეში ვერსად პოულობს, იგი ფიქრებით

ხშირად „გადასახლება“ ხოლმე იდეალურ სამყაროში, მაგრამ სანატრელი ფანტასტიკური სამყაროც ისევე წუთიერი და მიუწვდომელია, როგორც ის დაუვიწყარი წუთი, როცა ამ მეოცნებე ახალგაზრდამ პეტერბურგის თეთრ ღამეს სიყვარული აუხსნა მშვენიერ ნასტენკას, ნასტენკა კი სხვას გაჰყვა ცოლად. მოთხრობა გამოირჩევა ნაზი ლირიზმითა და იშვიათი პოეტურობით.

რაც შეეხება „ორეულს“ („Двойник“), მისი მთავარი პერსონაჟი გოლიადკინიც მორცხვი და დაშინებული მოხელეა, მაგრამ ღეჭეშკინთან და შუმაკოვთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა დგას ბიუროკრატიული იერარქიის კიბეზე, მასზე უფრო უზრუნველყოფილია და, რაც მთავარია, „მაღალი საზოგადოების“ სძულს, თუმცა ამავე დროს შურს უფროსების სიმდიდრე, დამოუკიდებლობა და ცდილობს მათს წრეში მოხვდეს. ეს ცდა კრახით მთავრდება და ამიტომ გოლიადკინი ფსიქიურად ავადდება. ავადმყოფს ეჩვენება, რომ დეპარტამენტში სამსახურს იწყებს მეორე მოხელე — მისი „ორეული“, „უმცროსი გოლიადკინი“, რომელიც დასაწყისში ისეთივე მოკრძალებული იყო, როგორც „უფროსი გოლიადკინი“, მაგრამ სულ მალე გათამამდა, გაეშმაკდა, გათავხედდა და ისე დაეუფლა ინტრიგებსა და კარიერიზმის ხელოვნებას, საქმეების გაჭახრაკებას, რომ მოკლე ხანში დიდ წარმატებებს მიაღწია და უფროსების პატივისცემაც დაიმსახურა.

ბელინსკიმ სამართლიანად გააკრიტიკა ამ მოთხრობის „ფანტასტიკური კოლორიტი“ და გმირის ავადმყოფური ფსიქიკის გაჟიანურებული აღწერა, რაც სოციალურ მოტივებს ჩრდილავს. კიდევ უფრო მკაცრად გაკიცხა ბელინსკიმ დოსტოევსკის „დიასახლისი“ („Хозяйка“), რომელშიც სოციალური მოტივები საერთოდ არ იგრძნობა.

გადასახლებაში. „ბარათები მკვდარი სახლიდან“. 1847 წლიდან თ. დოსტოევსკი მონაწილეობდა პეტრაშეველთა არალეგალურ წრეში. წრის ერთ-ერთ სხდომაზე მან საჯაროდ წაიკითხა ბელინსკის ცნობილი წერილი გოგოლისადმი, რომელსაც ხელნაწერის სახით ფარულად ავრცელებდნენ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები.

1849 წლის გაზაფხულზე პეტრაშეველები, მათ შორის დოსტოევსკიც დააპატიმრეს და გამოძიების შემდეგ თითქმის ყველას დახვრეტა მიუსაჯეს. 1849 წლის 22 დეკემბერს ისინი დასახვრეტად წაიყვანეს, ბოძებზე მიაბეს, თვალები აუხვიეს და ის იყო თოფებს უნდა ეგრიალა, რომ შიკრიკმა მეფის ბრძანება მოიტანა — სიკვდილი კატორღით შეცვალეთო. დახვრეტის მოლოდინის რამდენიმე წუთი იმდენად საშინელი აღმოჩნდა დოსტოევსკისა და მისი ამხანაგებისათვის, რომ ერთი მათგანი ჭკუაზე შეირყა.

1850—1854 წლები მწერალმა ომსკის საკატორღო ციხეში გაატარა, შემდეგ იგი ქ. სემიპალატინსკში გადაიყვანეს და იქ ერთ-ერთ ბატალიონში ჯარისკაცად ჩარიცხეს. გადასახლებიდან დოსტოევსკი მხოლოდ 1859 წელს დაბრუნდა. კატორღამ ცუდად იმოქმედა როგორც მის ჯანმრთელობაზე (ეპილეფსია), ისე მსოფლმხედველობაზე. გაძლიერდა ის რელიგიური და რეაქციული ტენდენციები, რომლებიც დოსტოევსკის შემოქმედებაში ადრეც შეინიშნებოდა.

საკატორღო ციხეში ოთხი წლის განმავლობაში ყოფნისას მწერალი ახლოს გაეცნო ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს, ყმა გლეხებს; ჯარისკაცებს. „სახელმწიფო დანაშაულებს", კატორღის აუტანელ პირობებს და ყოველივე ეს მართლად აღწერა „ბარათებში მკვდარი სახლიდან" („Записки из мертвого дома"). ავტორი სისხლის სამართლის დამნაშავის ალექსანდრე გორიანჩიკოვის პირით მოგვითხრობს, თუ როგორ იტანჯებოდნენ ტუსაღები საკატორღო ციხეში, რომელსაც იგი მკვდარ სახლს ადარებს. მწერალი ცოცხლად წარმოგვიდგენს კატორღელთა პორტრეტების მთელ გალერეას, მათ ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, აგვიწერს თუ როგორ აწამებდნენ მათ ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები: სადისტი მაიორი, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა, პორუჩიკი ჟერებიატნიკოვი. რომელსაც უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა პატიმართა გაწკეპვლა, და სხვა ჯალათები.

ავტორი არ აიდეალებს კატორღაში მოხვედრილ კაცისმკვლელებს, ყაჩაღებსა და მძარცველებს, აღნიშნავს მათს ბარბაროსობას, უვიცობას და ულმობელობას, მაგრამ ამავე დროს გვიჩვენებს, რომ ყოველივე ეს გამოწვეული იყო არანორმალური საზოგადოებრივი პირობებით, ხალხის უუფლებობითა და ჩაგვრით, რომ „სახელმწიფო დანაშაული" ხშირად წარმოადგენდა არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გამოვლინებას. კატორღელთა შორის ბლომად იყვნენ ისეთები, — ამბობს დოსტოევსკი, — რომლებმაც კაცისმკვლელობა იმიტომ ჩაიდინეს, რომ „ავხორცი ტირანისაგან იცავდნენ თავის საცოლეს, დას, ქალიშვილს", ან „იცავდნენ თავისუფლებას, სიცოცხლეს და შიშილით იხოცებოდნენ". „იყვნენ ისეთებიც, რომლებიც განზრახ ჩადიოდნენ დანაშაულს, რომ კატორღაში მოხვედრილიყვნენ და ამით თავი დაეღწიათ გაცილებით უფრო საშინელი კატორღული წესებისაგან მებატონის უღელქვეშ".

პატიმართა შორის უმრავლესობა ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი, ენერგიული და სიმპათიური ადამიანებია, — ამბობს მწერალი. „რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე ჩამარხულა ტყუილად ამ კედლებ-

ში! რა დიდი ძალები დაიღუპა აქ ტყუილუბრალოდ! საჭიროა ყველაფერი ითქვას: ეს ხომ არაჩვეულებრივი ხალხი იყო! შეიძლება ისინი ჩვენი ხალხის ყველაზე უფრო ნიჭიერი, ყველაზე უფრო ძლიერი ადამიანები იყვნენ. მაგრამ ტყუილად დაიღუპა უდიდესი ძალები. დაიღუპა არანორმალურად, უკანონოდ, სამუდამოდ. და მერე ვინაა დამნაშავე?"

დოსტოევსკის აზრით, დამნაშავეა. დესპოტიზმი, ერთი ადამიანის მეორეზე განუსაზღვრელი ბატონობა. მწერალი კიცხავს ტირანიას, მაგრამ ცდება, როცა ამტკიცებს, რომ ტირანიის წყარო თვით ადამიანის ბუნებაშია და არა მახინჯ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში. „ჯალათის თვისებები ჩანასახი ფორმით თითქმის ყველა თანამედროვე ადამიანში მოიპოვება", — ამბობს დოსტოევსკი. მისი მტკიცებით, უაზრო და მცდარი იყო კატორღელების პროტესტი ციხის ადმინისტრატორთა ტირანიის წინააღმდეგ. ამ „ბუნტმა" მათი მდგომარეობა მხოლოდ გააუარესა — ისინი სასტიკად გაწყეპლეს და აწამეს. ამიტომ დოსტოევსკი საერთოდ უარყოფს არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას და ქადაგებს ქრისტიანულ მოთმინებას. დამახასიათებელია, რომ იგი დიდი სიმპათიით გვიხატავს ერთ დაღესტნელ კატორღელს, გულუბრყვილო და ცნობისმოყვარე მთიელ ალეის, რომელსაც ამხანაგები ციხეში წერა-კითხვას ასწავლიან სახარებით.

— რა უფრო მოგწონს ამ წიგნიდანო, — ეკითხებიან ალეის.

— ის ადგილი, სადაც ნათქვამია: ახატიებდე, გიყვარდეს. ნუ შეურაცხყოფ, მტერიც გიყვარდესო, — პასუხობს იგი.

ქრისტიანული მოთმინების ეს ქადაგება, ცხადია, თვით ავტორის მსოფლმხედველობის სუსტ მხარეს გამოხატავდა. მიუხედავად ამ მცდარი შეხედულებისა, დოსტოევსკი წარმოგვიდგება როგორც დიდი ჰუმანისტი და რეალისტი, ჩაგრული და უუფლებო ხალხის გულწრფელი მოსიყვარულე და დამცველი. „ბარათები" ობიექტურად ქცერდა როგორც საბრალდებო აქტი მეფის რუსეთის კატორღული რეჟიმის წინააღმდეგ. ამიტომ მას დიდი მოწონებით შეხვდა მოწინავე საზოგადოება. ამ წიგნს დანტეს „ჯოჯოხეთს "ადარებდნენ.

„ბარათებთან" ერთდროულად იბეჭდებოდა რომანი „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი" („Униженные и оскорбленные", 1861), რომელშიც დოსტოევსკი კვლავ პეტერბურგის თემას უბრუნდება და მართლად ასახავს კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეულ სასტიკ წინააღმდეგობებს — ერთი მხრივ, მდიდარ არისტოკრატ ვალკოვსკისა და მის მსგავს ამორალურ ტიპებს, მეორე მხრივ, დედაქალაქის ბნელ სარდაფებში თავშეფარებულ ღატაკ, დამცირებულ და შეურაცხყოფილ ადამიანებს.

სამოცდაანი წლები. „დანაშაული და სასჯელი“. თ. დოსტოევსკი პეტერბურგში იმ დროს დაბრუნდა, როცა იქ მეტად მწვავე იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა ლიბერალებსა და რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის, როცა რუსეთში რევოლუციური სიტუაცია მწიფდებოდა. მწერალი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. თავის ძმასთან მიხეილთან ერთად იგი 1861—63 წწ. რედაქტორობს ჟურნალ „ვრემიას“ („დროება“), 1864 წლიდან კი — ჟურნალ „ეპოქას“, რომლებშიც ხშირად აქვეყნებს საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს.

იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლებში, რომლებიც სამოციან წლებში მიმდინარეობდა, თ. დოსტოევსკიმ მეტად რთული პოზიცია დაიკავა. იგი არც რეაქციონერებს მიემხრო და არც რევოლუციონერ-დემოკრატებს, რომლებსაც ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი მეთაურობდნენ. დოსტოევსკი ქადაგებდა ეგრეთ წოდებულ „ნიადაგის“ თეორიას („почвенничество“). ბურჟუაზიის გამარჯვებამ ფეოდალიზმზე, — ამტკიცებდა იგი, — ხალხს მხოლოდ უბედურება მოუტანა. „თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა“, რომელსაც XVIII საუკუნის განმანათლებლები და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწეები გვპირდებოდნენ, არ გამართლდა. პირიქით, — კაპიტალიზმის განვითარებამ კიდევ უფრო გააღატაკა და გაბრწყინა ადამიანთა უმრავლესობა. ფულის ბატონობამ ხელი შეუწყო ეგოიზმის, ინდივიდუალიზმის, ამორალიზმის ფართოდ გავრცელებას. ბურჟუაზიული ევროპა ლპობასა და გადაგვარებას განიცდის. „დასავლეთელი ადამიანი“ ბუნებით ანგარებიანი და ბიწიერია, მას საკუთარი სარგებლობის გარდა არაფერი სწყრის — არც ღმერთი და არც ძმობა. უბრალო რუსი ადამიანები კი, დოსტოევსკის რწმენით, დაჯილდოებულნი არიან ძვირფასი თვისებებით, ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი კაცთმოყვარეობის გრძნობა და ღვთისმორწმუნეობა, მათი ჰუმანიზმი და ქრისტიანული თვინიერება თეორიების ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არამედ მათს ბუნებრივ ხასიათსა და თვისებას შეადგენენ. მაგრამ ასეთი უბიწოა მხოლოდ რუსი ხალხი, მშრომელი ადამიანები, რომლებიც მთელი საზოგადოების „ნიადაგს“ შეადგენს. რაც შეეხება გაბატონებულ კლასებს, პრივილეგირებულ და განათლებულ ფენებს, — ისინი, დოსტოევსკის სიტყვით, დიდიხანია ამ „ნიადაგს“ მოსწყდნენ, დაკარგეს ძვირფასი ეროვნული თვისებები, შეითვისეს ბურჟუაზიული ევროპის მანკიერი თვისებები, წესები, თეორიები და გადაგვარდნენ. საჭიროა მათ ეს კარგად შეიგნონ, ალიარონ რუსი ხალხის ზნეობრივი უპირატესობა და დაუბრუნდნენ „ნიადაგს“.

როგორც ვხედავთ, დოსტოევსკის შეხედულებანი ბევრ რამეში ემთხვეოდა სლავოფილების აზრებს. მწერალი სამართლიანად კიცხავდა ბურჟუაზიას. ამხელდა მის ეგოიზმსა და სიბილწეს, მაგრამ, ცხადია, ცდებოდა, როცა კაპიტალიზმის განვითარებაში მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავდა და რუსულ „შეუბილწავ ნატურას“ დასავლეთელთა „ეგოისტურ ხასიათს“ უპირისპირებდა. ასევე ცდებოდა მწერალი, როცა თავს ესხმოდა ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეებს, კიცხავდა მათს ბრძოლას თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საყოველთაო ძმობისა და ჰარმონიის დასამყარებლად საჭირო არა რევოლუციური ბრძოლა, არამედ ყველა კლასის გაერთიანება საერთო „ნიადაგის“ საფუძველზე, თითქოს საზოგადოების ბედნიერი მომავალი დამოკიდებული არა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, არამედ მორალურ ფაქტორებზე. „როცა ადამიანში ადამიანური სახე აღდგება“, — ამბობდა მწერალი, — მაშინ აქვეყნად თავისთავად დამყარდება ჰეშმარიტად ადამიანური ურთიერთობა და სასურველი წყობილებაო.

ამგვარად, სოციალური საკითხი დოსტოევსკის სუბიექტურ-ზნეობრივ სფეროში გადააქვს და ამიტომ თავის თხზულებებშიც მეტწილად „ნიადაგს“ მოწყვეტილი ადამიანების რბოლ სულიერ განვითარებას გვიხატავს, იშვიათი ფსიქოლოგიური სილრმითა და მხატვრული ძალით აგვიწერს მათ შინაგან შფოთვას და ზნეობრივი იდეალის ძიებას. დოსტოევსკის ნაწარმოებთა პერსონაჟები ხშირად ყალბი თეორიებიდან გამოდიან და ეგოიზმის ჭაობში ეფლობიან, ზოგჯერ ბოროტებასა და დანაშაულსაც კი სჩადიან და გაშმაგებით ეძებენ ჩიხიდან გამოსავალს.

იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებშიც დოსტოევსკი ასეთ გმირებს გვიხატავს, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რომანი „დანაშაული და სასჯელი“ („Преступление и наказание“, 1866). ჩვენს წინაშე კვლავ პეტერბურგია, მაგრამ რეფორმის შემდგომი, როცა განსაკუთრებით მძლავრად ვითარდება რუსეთში კაპიტალიზმი. რომანის მთავარი გმირია ნიჰილისტი და პატიოსანი ახალგაზრდა როდიონ რასკოლნიკოვი. იგი იძულებულია მიატოვოს პეტერბურგის უნივერსიტეტი (სადაც ორ წელიწადს სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე), რადგან უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. დაკვირვებული და განათლებული რასკოლნიკოვი ხედავს, რომ ათასობით პატიოსანი ადამიანი, მათ შორის — მისი დედა და და, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, შიმშილით სულს ღაფავენ, ხოლო ერთი მუჭა მუჭრახორების ხელში აურაცხელი სიმდიდრეა თავმოყრილი. და ახალგაზრდა იურისტი მწვა-

ველად სვამს იმ საკითხს, რომელიც „საბრალო ადამიანებში" მეტად გაღრმავებულად იყო დასმული მაკარ დევუშკინის მიერ: „რა ღვლებით?!" რატომ უნდა იყოს დაკანონებული ასეთი უკანონობა?! და რა საჭიროებულია დავემორჩილოთ კანონებს, რომლებიც მდიდარ პარაზიტთა ინტერესებს იცავს, ადამიანთა უმრავლესობას კი ასე უმოწყალოდ განწირავს? მაშასადამე, იურიდიული და მორალური კანონები ფრიად პირობითი, უსამართლო და უარსაყოფი ყოფილა. რასკოლნიკოვი ამ საკითხებზე ბევრს ფიქრობს და ასეთ თეორიულ დასკვნამდე მიდის: მთელი საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა — „ჩვეულებრივ" და „არაჩვეულებრივ" ადამიანებად. პირველნი კაცობრიობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ. ეს უბრალო მოკვდავთა პასიური ბრბოა, რომელიც არსებულ იურიდიულ კანონებსა და ეთიკურ ნორმებს მონურად ემორჩილება. მეორენი კი მცირერიცხოვანი რჩეულნი არიან. — ძლიერი პიროვნებები, რომლებიც ბუნებას განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით დაუჯილდოებია. ისინი მოწოდებულნი არიან სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოების განვითარებას, დაარღვიონ ძველი წეს-კანონები და ზნეობრივი ნორმები, შექმნან ახალი კანონები და იდეები, რომელთა განსახორციელებლად, თუ საჭირო იქნება, შეიძლება სისხლიც კი დაღვარონ. ასეთი ძლიერი პიროვნება იყო, მაგალითად, ნაპოლეონი. მან ომებში ასიათასობით ადამიანი გაიღლტა, მაგრამ საზოგადოებამ, რომელიც ერთი კაცის მკვლელობისთვისაც კი სასტიკად სჯის დამნაშავეს, ნაპოლეონი ისტორიულ გმირად გამოაცხადა და გაალმერთა.

ამ „თეორიიდან" გამომდინარე, რასკოლნიკოვი ფიქრობს — იქნებ მეც „არაჩვეულებრივი" ადამიანი ვარო, და ამის შესამოწმებლად უცნაურ „ექსპერიმენტს" მიმართავს: გადაწყვეტს მოკლას მოხუცებული მევახშე ქალი და ხელთ იგდოს მისი სიმდიდრე, რათა დაეხმაროს ოვის გაჭირვებულ ოჯახს, ნათესავებს და დალუპვას გადაარჩინოს „ასობით ახალგაზრდა სიცოცხლე".

დოსტოევსკი ისე ავითარებს სიუჟეტს, რომ ამკარა გახადოს რასკოლნიკოვის „თეორიის" მავნებლობა და განუხორციელებლობა. მევახშე ქალის მოკვლა მან თითქოს ყოველმხრივ კარგად მოიფიქრა და გათამზადა, წინასწარ გაითვალისწინა ყველაფერი და დარწმუნებული იყო, რომ გულგრილად და შეუმჩნევლად ჩაიდენდა მკვლელობას, მით უმეტეს, რომ თავი „პატარა ნაპოლეონად" წარმოიდგინა; მაგრამ მან სრული მარცხი განიცადა. ჯერ კიდევ დანაშაულის ჩადენამდე რასკოლნიკოვმა იგრძნო, რომ ღელავს: „შემდეგ, როცა მევახშეს ეწვია, ისე აღგზნებული იყო, რომ კარის დაკეტვა დაავიწყდა და ნაჯახით მოკლა არა მარტო მევახშე, არამედ მისი დაც — უდანაშაულო და უწყინარი ელიზავეტა, რომელიც შემთხვევით სწორედ იმ დროს

შავიდა ... და საკონტროლო სტრატეგიის ტენდენციები ბოლოს გაჩნდა. ფილოსოფოსმა კოლინიკოვს პოლიციაში ძველი ვალის თაობაზე გამოუძახებს, მას კი ეგონა ... ჩვენი დანაშაული შეიტყვესო და ისე შეშინდა, რომ გული წაუვიდა.

რასკოლნიკოვი დარწმუნდა, რომ ის „ძლიერი პიროვნება" კი არა, „ჩვეულებრივი მოკვდავი" ყოფილა, სუსტი და მგრძნობიარე ადამიანი, რომელმაც თავისი ემოციები საკუთარ „თეორიას" ვერ დაუქვემდებარა. გრძნობები ვერ დაიმორჩილა. ჩადენილმა დანაშაულმა მასზე საშინლად იმოქმედა. სული აუფორიაქა. ძილი და მოსვენება დაეკარგა. მან აუტანელი სინვარტოვე იგრძნო. ახლობელი ადამიანებიც უცხონი ალმოჩნდნენ კაცისმკვლელისათვის. ყოველივე ამას რასკოლნიკოვი მწარედ განიცდის. საკუთარი თავისადმი ზიზღი ებადება. ბნელი საოცარი მხატვრული ძალით აგვიწერს გმირის ხანგრძლივ შინაგან ტანჯვას, რომელიც განსაკუთრებით აუტანელი გახდა მას შემდეგ, როცა რასკოლნიკოვს დაკითხვებზე გამოძახება დაუწყეს.

გამომძიებელი პორფირი პეტროვიჩი მეტად გამოცდილი და ჭკვიანი ფსიქოლოგი აღმოჩნდა. ის მიხვდა, რომ რასკოლნიკოვი ჩვეულებრივი დამნაშავე კი არ არის, რომელიც უბრალოდ გაქურდვის მიზნით კლავს ხოლმე ადამიანს, არამედ შეპყრობილია ყალბი იდეით, რომ იგი უკვე სინდისის ქენჯნას განიცდის და მომავალში კიდევ უფრო მეტ სატანჯველზე წავა. რათა დანაშაული გამოისყიდოს. გამომძიებლის ვარაუდი გამართლდა. მეუახშე კი არა — მე ჩემი თავი მოვკალიო, — ეუბნება რასკოლნიკოვი სონია მარმელადოვას და, საკუთარ თავთან ხანგრძლივი ბრძოლისა და თვითმართლების შემდეგ, სონიას რჩევით, თვითონვე მიდის პოლიციაში და დანაშაულს ალიარებს.

ამგვარად, რასკოლნიკოვი, ერთი მხრივ, გვევლინება როგორც პატიოსანი და კაცთმოყვარე ახალგაზრდა, რომელსაც სურს დაეხმაროს გაჭირვებულ ღარიბ-ღატაკებს, დაარღვიოს კანონი, რომელიც მდიდარი მუქთახორების ინტერესებს იცავს. მისი დანაშაულებრივი ნაბიჯი ერთგვარი პროტესტია უკუღმართი სოციალური წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ რასკოლნიკოვი მკითხველისა და თვით ავტორის სიმპათიასა და თანაგრძნობას იწვევს: მაგრამ, მეორე მხრივ, რასკოლნიკოვმა ადამიანის მკვლელობა წინასწარ „თეორიულად" მოამზადა და გაამართლა. ეს აქტი იმ მცდარი, ეგოისტური „თეორიის" ნაყოფი იყო, რომელიც ავტორის აზრით, ბურჟუაზიული უცხოეთიდან შემოვიდა და სრულიადაც არ შეეფერება რუსულ ეროვნულ ხასიათს. რასკოლნიკოვი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენს ადამიანთა სწორედ იმ უმრავლესობის მიმართ, რომელთა სახელით აუმხედრდა „უკანონო კანონს". ამ უმრავლესობას დაუპირისპირა მან „ძლიერი პიროვნება", რომელსაც თითქოს „ყველაფრის უფლება აქვს". ამ „თეორი-

იდან" გამოვდინარე, რასკოლნიკოვი არღვევს როგორც იურიდიულ, ასე ზნეობრივ ადამიანურ ნორმებსა და სისხლს ღვრის. ამიტომ დოსტოევსკი სამართლიანად კიცხავს მას, ავხელს „ნაპილიზმის კულტს", ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს.

რასკოლნიკოვი რომ „ძლიერი პიროვნების თეორიას" ბოლომდე გაჰყოლოდა, იგი ლოგიკურად მივიდოდა იმ გულშეზარავ ამორალიზმამდე, რომელსაც რომანში ლუჟინი და სვიდრიგაილოვი განასახიერებენ. ლუჟინი რუსული ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელია, ამ კლასისათვის დამახასიათებელი ეგოიზმითა და უხამსობით. ლუჟინის აზრით, ადამიანი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს. მისი „თეორია" და პრაქტიკა, რომელიც ამართლებს მდიდარ მესაკუთრეთა მიერ ხალხის ძარცვა-გლეჯას, საკმაოდ წააგავს რასკოლნიკოვის „თეორიას", რომლის მიხედვით „ძლიერ პიროვნებას" ყველაფრის უფლება აქვს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლუჟინისაგან განსხვავებით რასკოლნიკოვს ძლიერად აქვს განვითარებული კაცთმოყვარეობის გრძნობა.

რაც შეეხება მეშამფულე სვიდრიგაილოვს, ამ სახით დოსტოევსკიმ გვიჩვენა, თუ როგორ დეგრადაციასა და ლპობას განიცდის რუსეთის თავადაზნაურობა კაპიტალიზმის განვითარების პირობებში. რომანიდან ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ სვიდრიგაილოვი წარსულში შულერი და დამნაშავე იყო. მან სიკვდილამდე მიიყვანა თავისი მოახლე, სიცოცხლეს გამოასალმა საკუთარი ცოლი და ახლა ათასგვარ ბინძურ საშუალებას მიმართავს, რათა ხელში ჩაიგდოს დუნია (რასკოლნიკოვის და). მაშასადამე, ზნედაცემული სვიდრიგაილოვიც, როგორც კაცისმკვლელი, რასკოლნიკოვის „კოლეგა" ყოფილა, თუმცა, უკანასკნელისაგან განსხვავებით, მას სინდისის ქენჯნა არ აწუხებს.

ამგვარად, ლუჟინი და სვიდრიგაილოვი განასახიერებენ რასკოლნიკოვის მხოლოდ ერთ, ნეგატიურ მხარეს. ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ რაზნოჩინელი რასკოლნიკოვის „ძლიერი პიროვნების თეორიასა" და „ბუნტს" სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ლოგიკურად მივყავართ გაბატონებული კლასების ამორალიზმამდე და ბოროტებამდე, რომ ერთ უსამართლობასა და ძალმომრეობას შედეგად ნოჰყვება მეორე უსამართლობა და ძალმომრეობა. ამიტომ, დოსტოევსკის აზრით, საჭიროა არა ბრძოლა, არამედ ისეთი მორჩილება და კაცთმოყვარეობა, როგორსაც სონია მარმელადოვა იჩენს.

რასკოლნიკოვი პროტესტანტულ საწყისს განასახიერებს, მარმელადოვა კი — ქრისტიანულ თვინიერებასა და მორჩილებას. დოსტოევსკი სონიას გვიხატავს როგორც იდეალურ ქალს, ჰეშმარიტად რუსული ბუნების ადამიანს. საშინელმა სიღატაკემ, მამის ლოთობამ, დაჩხმის უბედურებამ, დედინაცვლის ოინებმა სონია აიძულეს პროსტიტუციის

გზას დასდგომოდა. მაშასადამე, მანაც დაარღვია საზოგადოების ზნეობრივი კანონი, მაგრამ ეს „დანაშაული“ გამოწვეული იყო არა „თეორიით“, არამედ გულის კარნახით, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისადმი დახმარების სურვილით. სონიაც კაპიტალისტური სამყაროს მსხვერპლია, იგი უდიდეს დამცირებასა და შეურაცხყოფას განიცდის მაგრამ ამის გამო უკმაყოფილებასა და პროტესტს კი არ გამოთქვამს, არამედ ადამიანებისადმი სიყვარულითა და დახმარებით, ტანჯვითა და უსიტყვო მორჩილებით სურს გამოისყიდოს თავისი „დანაშაული“.

დასაწყისში რასკოლნიკოვს აღიზიანებდა ღვთისმოყვარე სონიას თვინიერება, მაგრამ შემდეგ იგი ცოდვილ ქალს ეამბორა და განაცხადა, რომ სონიას სახით ის „თაყვანს სცემს ადამიანის ტანჯვას“. კატორღაში როდიონი კიდევ უფრო დაუახლოვდება მარმელადოვს, მისი გავლენით მთლიანად გამოიცვლება და შეეცდება რელიგიური მონანიება-მორჩილებითა და ტანჯვით გამოისყიდოს თავისი დანაშაული. ერთი სიტყვით, „თეორია“ კრახით მთავრდება, გონებაზე გრძნობა იმარჯვებს, ბრძოლას კი არა, მორჩილებასა და სუყვარულს მივყავართ სულიერ აღორძინებამდე. ასეთია ნაწარმოების დედააზრი.

რომანის ქვეტექსტიდან ბნელი არ არის დავასკვნათ, რომ რასკოლნიკოვის „მავნე თეორიებით“ გატაცებას დოსტოევსკი მიაწერდა რევოლუციურად განწყობილ რუს ახალგაზრდებს, რომლებიც თითქოს „რუსულ ნიადაგს“ მოსწყდნენ და უცხოეთის თეორიების გავლენით ძალმომრეობას ქადაგებდნენ. პროგრესულმა კრიტიკამ მაშინვე მიუთითა, რომ ამ ახალგაზრდებს არაფერი აქვთ საერთო რასკოლნიკოვის „თეორიასთან“, მის ანარქისტულ ინდივიდუალისტურ „ბუნტსა“ და კაცისმკვლელობის ქადაგებასთან. დ. პისარევის სამართლიანი შენიშვნით, „სისხლისღვრის მიზეზები ყველგან და ყოველთვის არიან ხოლმე არა გონებისა და სიმართლის წარმომადგენლები, არამედ უვიცობისა და უკანონობის დამცველნი“.

ამგვარად, „დანაშაულსა და სასჯელში“ მკვეთრად გამოვლინდა არა მარტო რასკოლნიკოვის, არამედ თვით ავტორის წინააღმდეგობრიობაც. ერთი მხრივ, იგი გამოდის ღარიბ-ღატაკთა მოსარჩლედ, დიდი თანაგრძნობით აგვიწერს დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა მწარე ხვედრს; მეორე მხრივ, იგი გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ და ქრისტიანულ მორჩილებას ქადაგებს, თანაც სოციალური საკითხები ზნეობრივ ასპექტში გადაჰყავს. ერთი მხრივ, რომანში ულმობლადაა გხილებული გაბატონებული კლასების — თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის უხამსობა და ამორალიზმი; მეორე მხრივ, მასში გამოვლინდა რეაქციული ტენდენციები, რომლებიც ავტორმა უფრო მკვეთრად ჩამოაყალიბა 1880 წელს (პუშკინის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებულ გამოსელაში): ქედი მოიხარე,

ამაყო ადამიანო, ყოველისშემძლე ღმერთის წინაშე, თავი დაანებე ყოველგვარ პროტესტს, შეუერიგდი ცხოვრებას, დაუბრუნდი „რუსულ ნიადაგს", იყავი მორჩილი და მოსიყვარულე. მორჩილებით მოიპოვებთ ბედნიერებასო, — ამტკიცებდა დოსტოევსკი. თუმცა სწორედ მორჩილება იყო იმ ღებედურებათა მიზეზი, რომელთაც ასე მწვავედ განიცდიდა დიდი მწერალი.

„იდიოტი" (1868). ამ რომანის მთავარ პერსონაჟს — ახალგაზრდა თავადს ლევ ნიკოლოზის ძე მიშკინს — დოსტოევსკი გვიხატავს როგორც იდეალურ გმირს — „ჯეშმარიტად საუცხოო ადამიანს". ერთ-ერთ ხელნაწერში ავტორი მას „ახალ ქრისტესაც" კი უწოდებს, რომელიც ადამიანებს მოევლინა, რათა მათი ცხოვრება შეცვალოს. მიშკინი თავისი სოციალური მდგომარეობითა და ხასიათით რაზნოჩინელია (მამამისი უბრალო ოფიცერი იყო), თუმცა თავადის წოდებას ატარებს. რომანის დასაწყისში აღწერილია, თუ როგორ მიემგზავრება იგი შვეიცარიიდან პეტერბურგისაკენ.

მიშკინი გონებრივად იმდენად განუვითარებელი, უსუსური და ფსიქიურად დაავადებული ადამიანია, რომ იდიოტის შთაბეჭდილებას ტოვებს. შვეიცარიაშიც იმიტომ დაჰყო მან ოთხი წელი, რომ საშინელი სენისაგან — ბნედისაგან განკურნებულიყო. „მე იქ მუდამ ბავშვებთან ვიყავი, — ამბობს იგი, — მხოლოდ ბავშვებთან... სული ბავშვების წყალობით განიკურნება". თვით მიშკინიც ბავშვს მოგვაგონებს, გულუბრყვილო და უმწეო ბავშვს. იგი გამოირჩევა გულის სიფაქიზითა და კეთილშობილებით, უწყინარობით, უანგარობითა და ადამიანებისადმი უაღრესად კეთილი დამოკიდებულებით. და აი, ეს მიამიტი მეოცნებე, ცხოვრებაში სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა პეტერბურგის „მაღალ საზოგადოებაში" აღმოჩნდება. საზოგადოებაში, სადაც გაბატონებულია ეგოიზმი და კარიერიზმი, ანგარება და ცუღლუტობა.

მწერალი დიდი მხატვრული ძალით გვიხატავს ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული საზოგადოების წარმომადგენელთა კოლორიტულ სახეებს: გათახსირებულ არისტოკრატ ტოცკის, ველურ ვაჭარ როგოჟინს, გენერალ ეპანჩინს და სხვა „გმირებს". ამ „ბნელეთის სამეფოში" მზის სხივს მოგვაგონებს ნასტასია ფილიპოვნა — ახალგაზრდა, კეთილი და სპეტაკი ქალი, რომელიც იშვიათი ფიზიკური და სულიერი სილამაზით გამოირჩევა. ასეთი სილამაზით ქვეყნის გადაბრუნება შეიძლებაო, — ნათქვამია რომანში. მაგრამ „მშვენიერების დედოფალი" პეტერბურგის „ბრწყინვალე საზოგადოებას" ყიდვა-გაყიდვის საგნად გადაუქცევია.

ბავშვობაში დაობლებულ ნასტასიას მისი სილამაზით მოხიბლული

გარყვნილი არისტოკრატი ტოცკი აღზრდის და თავის საყვარლად გა-
იხდის. გადის დრო. ტოცკი გადაწყვეტს ცოლად შეირთოს მდიდარი
გენერლის ეპანჩინის უფროსი ქალიშვილი, ხოლო ნასტასია ფილი-
პოვნა თავიდან მოიშოროს. ამ მიზნით ტოცკი მას „მზითვად" 75 ათას
მანეთს შესთავაზებს და საქმროდ გენერალ ეპანჩინის მდივანს განა-
ვოლგინს შეურჩევს. ივოლგინი შურიანი და პატივმოყვარე ახალ-
გაზრდაა, გამდიდრებასა და კარიერაზე ოცნებობს და ამიტომ თანახ-
მაა დიდმზითვიანი ლამაზი ქალი შეირთოს, თუმცა კარგად იცის, რომ
იგი ტოცკის საყვარელი იყო. ამ საქმის გარიგებით დაინტერესებულია
თვით გენერალი ეპანჩინიც, რომელსაც იმედი აქვს, რომ თავისი მდივა-
ნის მომავალ ცოლს საყვარლად გაიხდის. მაგრამ ივოლგინს მოულოდ-
ნელად კონკურენტი გამოუჩნდება. ეპანჩინების ვილაში, ვნებიანი და
უხეში ახალგაზრდა, რომელსაც ნასტასია ფილიპოვნას ხელში ჩაგდე-
ბის დაუოკებელი სურვილი შეიპყრობს, ქალს ასიათას მანეთს შესთა-
ვაზებს. ამ ბინძური ვაჭრული სცენის მოწმე აღმოჩნდება თავადი მიშ-
კინი.

მიშკინი ერთადერთი პატიოსანი ადამიანია, რომელიც კარგად
გრძნობს და ღრმად განიცდის ნასტასია ფილიპოვნას ტრაგიკულ მდგო-
მარეობას, დარწმუნებულია საცოდავი ქალის შინაგან სისპეტაკესა და
კეთილშობილებაში, გულწრფელად უყვარს და პატივს სცემს მას.
ქალი გრძნობს ამას და მთელი სულითა და გულით მიეტანის მიშკი-
ნისაკენ. მე ხშირად ვოცნებობდი სწორედ ისეთ კეთილ და კარგ ად-
მიანზე, როგორიც შენა ხარ, — ეუბნება ნასტასია ფილიპოვნა მიშ-
კინს. — მჯეროდა, რომ იგი მოულოდნელად მოვიდოდა და მეტყოდა:
„შენ დამნაშავე არა ხარ, ნასტასია ფილიპოვნა, მე შენ გაღმერთებ!".

მართლაც, ამის მსგავსი სიტყვებით მიმართავს მას მიშკინი, რო-
მელმაც ის-ის იყო მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო და ხმამაღლა განა-
ცხადა, რომ მზადაა ნასტასია ფილიპოვნა ცოლად შეირთოს. მაგრამ
ქალი ამ გადაწყვეტილებაში ხედავს მხოლოდ სიბრალულის გამოვლი-
ნებას, არ სურს მიშკინის სულგრძელობით ისარგებლოს და „გააუბე-
დუროს" იგი; მით უმეტეს, რომ მიშკინი წმინდა სიყვარულით უყვარს
არა მარტო ნასტასია ფილიპოვნას, არამედ ეპანჩინის უმცროს ქალიშ-
ვილს აგლაიასაც, რომელთანაც იგი, ალბათ, უფრო ბედნიერი იქნება.
ნასტასია ფილიპოვნა უხეშ როგოჟინს მიჰყვება და ამით თავის
პიზღსა და პროტესტს გამოხატავს საზოგადოებრივი სიყალბისა და
ცბიერების წინააღმდეგ, ტოცკებისა და ეპანჩინების წინააღმდეგ, რო-
ლებიც თავიანთ ვერაგობასა და ბნელ ზრახვებს „წესიერებისა" და
„კეთილშობილების" ნიღაბქვეშ ფარავენ.

ნასტასია ფილიპოვნა თავიდანვე გრძნობდა, თუ რა საბედისწერო იქნებოდა მისთვის ველურ როგოჟინთან დაკავშირება. მისი წინათგრძნობა გამართლდა: ეჭვით გაცოფებულმა როგოჟინმა იგი დანით მოკლა. რომანის დასასრულში მოცემულია შემაძრწუნებელი სცენა: ნასტასია ფილიპოვნას ცხედართან ღამეს ათევენ მისი მკვლელი და თავადი მიშკინი. ტრაგიკული ამბების შედეგად თავზარდაცემული მიშკინი ჭკუიდან შეიშლება.

ამგვარად, თუ „დანაშაული და სასჯელი" უმთავრესად ღატაკთა დუხჭირ ცხოვრებასა და განცდებს ეძღვნებოდა, „იდიოტში" დოსტოევსკი პეტერბურგის „მაღალი საზოგადოების" ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს გვიხატავს. ამ საზოგადოების შინაგანი სისაძაგლის გამოსააშკარავებლად მწერალი სატირულ ხერხებს მიმართავს, ნასტასია ფილიპოვნას კი იგი იძლევა როგორც ტრაგიკულ სახეს, რომელიც ამ საზოგადოებამ ფეხქვეშ გათელა და დალუპა. რაც შეეხება თავად მიშკინს, იგი ლირიკულ გმირად წარმოგვიდგება. რომანში ორგანულადაა შერწყმული სატირა, ტრაგედია და ლირიკა.

ერთი შეხედვით უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მწერალს დადებით გმირად გამოჰყავს კაცი, რომელიც თავისი გონებრივი განვითარებით ბავშვის დონეზე დგას. ფსიქიატრადაა დაკვალიფიცირებული და იდიოტად გამოიყურება. მაგრამ ეს გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ დოსტოევსკის რწმენით, ყოველგვარი თეორიები ბურჟუაზიული უცხოეთის გავლენის ნაყოფია და რუსულ ეროვნულ ხასიათს არ შეეფერება. ტოცკებისა და ეპანჩინების ეგოისტურ პრაქტიციზმს, ცბიერ ჭკუასა და ვერაგობას მწერალი უპირისპირებს მიშკინის ბავშვურ უშუალობასა და ზნეობრივ სისპეტაკეს. კაცთმოყვარეობასა და უანგარობას. მიშკინი დოსტოევსკიმ ჩაიფიქრა როგორც „ახალი ქრისტე", რომელიც საზოგადოებას მოევლინა, რათა გაანწმინდოს ადამიანები მანკიერებისაგან და ბედნიერება მოუტანოს მათ. მაგრამ ეს კეთილშობილური მისია უტოპიური და განუხორციელებელი აღმოჩნდა. მიშკინის კეთილი ზრახვები რეალურ ცხოვრებასთან შეჯახებისას დაიმსხვრა. „ჰეშმარიტად მშვენიერი ადამიანი" უსუსური და უძლური აღმოჩნდა, დონ-კიხოტის ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში ჩაეყარდა, ვერც ვინმე გამოასწორა და ვერც ვინმე გააბედნიერა. კეთილმა ბოროტს ვერ სძლია. პირიქით, საზოგადოებრივი ბოროტება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან იმსხვერპლა ნასტასია ფილიპოვნაც და თვით მიშკინიც.

„ძმები კარამაზოვები". 70-იან წლებში დოსტოევსკი რეაქციულ წრე-

ებს უახლოვდება და კიდევ უფრო ღვარძლიანად აკრიტიკებს რევოლუციურ, სოციალისტურ, მატერიალისტურ და ათეისტურ იდეებს. მისი რეაქციული ტენდენციები განსაკუთრებით მძლავრად გამოვლინდა რომანში „ჭაჯები“ („Бесы“), რომელიც, მაქსიმ გორკის სიტყვით, წარმოადგენდა ყველაზე ნიჭიერ და ყველაზე ბოროტ ცდას ცილი დაეწამებინა სამოცდაათიანი წლების რევოლუციური მოძრაობისათვის. „ჭაჯები“ დაიბეჭდა რეაქციულ ჟურნალ „რუსსკი ვესტნიკში“ 1871—72 წწ., ხოლო მომდევნო წლიდან დოსტოევსკი სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „გრაჟდანინს“, რომელიც მეფის მთავრობასთან მჭიდროდ დაკავშირებული რეაქციული წრეების ორგანოს წარმოადგენდა. ამ ჟურნალში დოსტოევსკიმ დაბეჭდა თავისი სტატიებისა და ფელეტონების მთელი სერია ციკლიდან „მწერლის დღიური“. ჟურნალიდან წასვლის შემდეგაც, 1876—77 წწ., დოსტოევსკი ყოველთვიურად აქვეყნებდა „მწერლის დღიურის“ ცალკე გამოცემებს.

1879—80 წწ. დაიბეჭდა დოსტოევსკის უკანასკნელი დიდი რომანი „ძმები კარამაზოვები“ („Братья Карамазовы“), რომელიც მწერლის ხანგრძლივი შემოქმედების შემაჯამებელ და დამაგვირგვინებელ ნაწარმოებად ითვლება. სხვა რომანებისაგან განსხვავებით „ძმები კარამაზოვების“ მოქმედება იწყება არა პეტერბურგში, არამედ პროვინციულ ქალაქ სკოტოპროგონიევსკში. ეს სახელწოდება ავტორმა შეთხზა, რათა რომანში ხაზი გაესვა მოქმედ პირთა პირუტყუელი ბუნებისათვის (скот — პირუტყუი).

გარეგნულად „ძმები კარამაზოვები“ საოჯახო რომანს მოგვაგონებს,. მაგრამ ავტორი კარამაზოვების ოჯახის ამბებით არ იფარგლება და კვლავ უბრუნდება იმ სოციალურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ეთიკურ პრობლემებს, რომლებიც მას მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე აღელვებდა. ნაწარმოებში ახალი ძალით გამოვლინდა დოსტოევსკის წინააღმდეგობანი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუმცა ავტორი აგვიწერს „ერთი ოჯახის ისტორიას“ (ასე დაასათაურა მან რომანის პირველი წიგნი), მაგრამ კარამაზოვების ოჯახის პავალითზე მწერალი გვიხატავს თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოების გახრწნისა და დეგრადაციის გრანდიოზულ სურათს.

რომანის ფაბულა, მოკლედ, ასეთია: მოხუცი თავადის თევდორე კარამაზოვის სახლში მოულოდნელად იკრიბებიან მისი შვილები — დიმიტრი, ივანე და ალიოშა, იკრიბებიან თავისი მამის გარყვნილი საქციელის განსახილველად. თევდორე არც ახალგაზრდობაში ეწეოდა წესიერ ცხოვრებას (შვილები მცირეწლოვანნი მიატოვა და ის-

ნი მოხუცმა მსახურმა აღზარდა), სიბერეში კი მთლად გათავსი მისი უზნეობა იქამდე მივიდა, რომ მან განიზრახა ხელში ჩაეგდო გრუშენკა, რომელიც მის შვილს დიმიტრის უყვარს. გრუშენკაც სოტოპროგონიევსკში ცხოვრობს. ეს ახალგაზრდა ლამაზი ქალი ოდესღაც ერთმა პოლონელმა პანმა შეაცდინა და მიატოვა, მაგრამ საწყალ ქალს მაინც იმედი აქვს, რომ იგი დაუბრუნდება.

დიმიტრი კარამაზოვი ვნებათაღელვას აყოლილი ადამიანია. ლოთი და მშფოთვარე. ქალებისა და მუშტი-კრივის მოყვარული, მაგრამ ამავე დროს, მამისაგან განსხვავებით, იგი კეთილი და სულგრძელი, პირდაპირი და რომანტიკული ბუნების ახალგაზრდაა. მას ხანგრძლივი დავა ჰქონდა მამასთან მემკვიდრეობის თაობაზე, მაგრამ კონფლიქტი მათ შორის განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც დიმიტრიმ გაიგო, რომ თევდორე მას ეცილება, ცდილობს გრუშენკა თავის ბინაზე მიიტყუოს და საჩუქრებით გადაიბიროს (თევდორე მოსთვის 3000 მანეთს ინახავს სასთუმალქვეშ).

ერთ ღამეს გრუშენკა გაუჩინარდა. ეჭვიანმა დიმიტრიმ იფიქრა, ალბათ, თევდორესთან არისო, მიუვარდა მამას, ყალმაყალი ატეხა, მოკვლით ემუქრებოდა, მაგრამ გრუშენკა იქ არ აღმოჩნდა. ბოლოს დიმიტრიმ მის კვალს მიაგნო, მახლობელ სადგურში იპოვა პოლონელ პანთან. რომელსაც გრუშენკასთვის თავისი ჩამოსვლის ამბავი ეცნობებინა. სწორედ იმ დროს, როცა ეჭვისაგან გაცოფებულმა დიმიტრიმ მაღასთან ჩხუბისა და მუქარის შემდეგ მშობლის სახლი მიატოვა, თევდორე ვიღაცამ მოკლა. ეჭვი დიმიტრიზე აიღეს და იმავე ღამეს დააპატიმრეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს დანაშაული ჩაიდინა თევდორეს „უკანონო" შვილმა, ლაქია სმერდიაკოვმა (რომ გადამალული 3000 მანეთის ხელში ჩაგდება უნდოდა). სმერდიაკოვი ამაში ივანე კარამაზოვს გამოუტყდა, მაგრამ დამნაშავედ მაინც დიმიტრი მიიჩნიეს. რადგან სმერდიაკოვმა სასამართლოს პროცესის დაწყების წინ თავი ჩამოიხრჩო, გონებაშერყეული ივანე კარამაზოვის ჩვენებას კი არავინ დაუჯერა.

დიმიტრის მძიმე სასჯელი მიუსაჯეს. მან ერთგვარი კმაყოფილებით მიიღო განაჩენი, რადგან შეიგნო, თუ რამდენად უღირს ცხოვრებას ეწეოდა წარსულში. მართალია, დიმიტრი მამის მკვლელი არ ყოფილა, მაგრამ მთელი მისი უწესრიგო, მშფოთვარე და აჯანყებული ცხოვრებაც ხომ დანაშაული იყო! ამიერიდან დიმიტრი განიმსჭვალება აღმოსავლეთ ბისაგან ქრისტიანული სიყვარულითა და სიბრძნულით.

ამგვარად, „ძმებშიც" საქმე გვაქვს დანაშაულისა და სასჯელის პრობლემასთან, აქაც სისხლი იღვრება, მაგრამ თუ რასკოლნიკოვის სული-

ერი აღორძინება დაიწყო სამდეილი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. დიმიტრისა — შესაძლებელი დანაშაულის შემდეგ.

დაუოკებელი გრძნობებით შეპყრობილი დიმიტრის ანტიპოდად რომანში გამოყვანილია მისი უმცროსი ძმა ივანე — მშრალი გონებისა და სკეპტიციზმის განსახიერება. იგი ნაწილობრივ რასკოლნიკოვს მოგვაგონებს. ივანეც რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ახალგაზრდაა, ისიც განათლებულია, მოაზროვნე, უარყოფს რელიგიასა და ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას. თუ ღმერთი კეთილი და სამართლიანია, — ფიქრობს ივანე, — მაშ რატომაა დედამიწაზე ამდენი ბოროტება და სისაძაგლე, რატომ იტანჯებიან უდანაშაულო ადამიანები და უმწეო ბავშვებიც კი! რომანის ერთ-ერთ თავში, რომელსაც „ჯანყი“ ეწოდება, ივანე თავის ძმას ალიოშას საშინელ ამბებს უყვება.

ერთი გენერლის მწევარს გლეხის ბიჭუნამ ქვით ფეხი დაუშავა. დილაადრიან, როცა თავისი ამალითა და მწევარ-მეძებრებით სანადიროდ წასასვლელად ემზადებოდა, გენერალმა ბრძანა: დაჭნაშავე ბავშვი აქ მოიყვანეთ და გააშიშვლეთო. შიშველი ბიჭუნა სიცივისა და შიშისაგან კანკალებდა. გაიქეციო — უყვირეს მას. ბავშვი გაიქცა, გენერალმა მას ძაღლები მიუსია, რომლებმაც იგი დაგლიჯეს დედამისის თვალწინ.

— რას იზსახურებს გენერალი, დახვრეტას? — ეკითხება ივანე ძმას.

— დახვრეტას!

თუკი ასეთ პასუხს იძლევა ღვთისმორწმუნე და კეთილი ალიოშა, რაღა გასაკვირია, რომ ივანე ვერ ურიგდება იმ სამყაროს, სადაც „ღვთის წყალობით“ ასეთი ბოროტება ბატონობს, სადაც უდანაშაულო ადამიანებზე ყოველგვარი ტანჯვა-წამება უნდა გადაიტანონ, რათა მომავალი „ჰარმონია“ დაამყარონ და „სამოთხეში“ შესვლის უფლება მოიპოვონ.

— არ მინდა ეს ჰარმონია, კაცობრიობისადმი სიყვარულის გამო არ მინდა... და იქ შესასვლელ ბილეთს უკანვე ვაბრუნებ, — გადაჭრით აცხადებს ივანე.

როცა ივანე უარყოფს ისეთ „ჰარმონიას“, „სამოთხეს“, რომელიც ამართლებს ყოველგვარ ბოროტებას, უდანაშაულო სისხლისღვრას და ბავშვთა ცრემლებს, იგი ნაწამები კაცობრიობის მოსარჩლედ და გულწრფელ ჰუმანისტად წარმოგვიდგება; მაგრამ შემდეგ მას სრულიად საწინააღმდეგო დასკვნები გამოაქვს. ვინაიდან ეს ქვეყანა უსამართლობასა და უზნეობაზეა აგებული, — ფიქრობს ივანე, — მაშასადამე, ადამიანი თავისუფალი ყოფილა ყოველგვარი ზნეობრივი მოვალეობისაგან, მისთვის „ყველაფერი ნებადართულია“ — ძალმომრეობა

და კაცისმკვლელობაც კი. ამგვარად, ბოროტების წინააღმდეგ აჯანყებული ივანე იმავე ბოროტების გამართლებამდე მიდის.

ივანემ თავისი ნიჰილისტური აზრები სმერდიაკოვს ჩაუნერგა და ამით „თეორიულად" შეამზადა მამის მკვლელობა. მეტიც, ივანემ იცოდა, რომ მკვლელობა მზადდებოდა, მაგრამ მის თავიდან ასაცილებლად არაფერი გააკეთა.

თუ რასკოლნიკოვის „თეორიის" ნეგატიურ მხარეს სვიდრიგაილოვი განასახიერებდა, ივანე კარამაზოვის ყალბი თეორიის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს სმერდიაკოვი — უაღრესად ზნედაცემული, ბოროტი და გახრწნილი ცინიკოსი, მხდალი და პატივმოყვარე კაცუნა. რადგან „ყველაფერი ნებადართული" ყოფილა, იგი ღამით მამას მიეპარება და მოკლავს; შემდეგ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში ივანეს გამოუტყდება და ეტყვის: მთავარი მკვლელი თქვენ ხართ, მე კი თქვენი სიტყვის შემსრულებელი ვიყავიო. სმერდიაკოვს სინდისი შეაწუხებს და თავს ჩამოიხრჩობს. ივანეც შეიგნებს თავისი „მოძღვრების" უბადრუკობას, მისი სისხლიანი შედეგებით, და ფსიქიურად დაავადდება. ჰალუცინაციებით შეპყრობილ ივანეს ნაკუთარი თაეი წარმოუდგება ეშმაკის სახით, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ნებადართულია და ადამიანი თავისუფალია ყოველგვარი მორალური მოვალეობისაგან.

— შენ ჩემი ორეული ხარ, — ეუბნება მას ივანე, — შენ მხოლოდ ჩემი საზიზღარი და სულელური აზრები შეგითვისებიაო.

ამგვარად, „ძმებშიც" (ისევე, როგორც „დანაშაულსა და სასჯელში") დოსტოევსკი ცდილობს გვიჩვენოს „თეორიის სიყალბე", ამბოხების სავალალო შედეგები. ავტორის რწმენით, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას ლოგიკურად მივყავართ ახალ ბოროტებამდე, ღვთის უარყოფას — ეშმაკამდე. ივანე კარამაზოვის ინდივიდუალისტურ-ანარქისტული თეორიისა და ამბოხების უნიადაგობას მწერალი წარმოგვიდგენს როგორც რეეოლუციის, სოციალიზმისა და ათეიზმის უაზრობას. ამაში გამოვლინდა, ცხადია, თვით მწერლის მცდარი, რეაქციული ტენდენციები.

მოაზროვნე და მეამბოხე ათეისტ ივანეს დოსტოევსკიმ დაუპირისპირა მისი უმცროსი ძმა ალიოშა — მეტად კეთილი, მორჩილი და ღვთისმოყვარე ჭაბუკი, რომელიც მონასტერში იზრდება ბერ ზოსიმეს ხელმძღვანელობით. ალიოშა ავტორის მიერ ჩაფიქრებული იყო როგორც იდეალური გმირი, ანგელოზებრივი არსება, მორალური სისპეტაკისა და ბავშვური უშუალობის განსახიერება. დოსტოევსკის განზრახული ჰქონდა დაეწერა „ძმების" გაგრძელება, რომლის ცენტრალური პერსონაჟი ალიოშა იქნებოდა, მაგრამ ამ განზრახვის შესრუ-

ლება მწერალს აღარ დასცალდა, რადგან 1881 წლის იანვარში გარდაიცვალა.

დოსტოევსკის თხზულებათა ქართულად თარგმნა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიწყო.

I

1870—80-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიბერალური მოძრაობა. გლებ უსპენსკი.

ეპოქის თავისებურება. ხალხოსნობა. ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთში ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას. იზრდებოდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა ბუშათა რიგები. მაგრამ ამ პერიოდშიც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ფეოდალური გადმონაშთები. თავადაზნაურობა კვლავ გაბატონებულ კლასს წარმოადგენდა, ქვეყანას ძველებურად მართავდა მონარქისტული მთავრობა. მოკლედ, სამოციანი წლების რეფორმების შემდეგაც ცხოვრების კარდინალური საკითხები, განსაკუთრებით მრავალმილიონიანი დაბეჩავებული გლეხობის საკითხი, გადაუწყვეტელი დარჩა.

ყოველივე ამან განაპირობა ხალხოსნური მოძრაობის წარმოშობა. ეს მოძრაობა თავიდანვე რამდენიმე მიმდინარეობით ხასიათდებოდა (ლავროვის, ბაკუნინის, ტკაჩოვის და სხვათა ჯგუფები). მაგრამ ძირითადად ხალხოსნები (ნაროდნიკები) 70-იან წლებში გამოდიოდნენ როგორც ჩერნიშევსკისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა მემკვიდრენი, ხალხის (გლეხობის) ინტერესების დამცველნი. სამოციანელ რაზნოჩინელთა მსგავსად, ისინი გლეხური რევოლუციის გზით ცდილობდნენ ფეოდალურ-თვითმპყრობელური წყობილების მოსპობას და სოციალიზმის დამყარებას. მათი სოციალიზმიც, ცხადია, უტოპიური იყო, რადგან მთელ იმედებს ნაროდნიკები გლეხურ თემზე (община) ამყარებდნენ და მტკიცედ სწამდათ, რომ რუსი გლეხი თავისი ბუნებით სოციალისტია.

ხალხოსნები სამართლიანად მიუთითებდნენ იმ საშინელ ექსპლოატაციასა და ამორალიზმზე, რაც თან სდევს კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ ცდებოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით რუსეთი სოციალიზმისაკენ უნდა წავიდეს არა ბურჟუაზიული, არამედ თემობრივი წყობის გზითო. ხალხოსნებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების პროცესს ვერავითარი ნებან-სურვილი ვერ შეაჩერებდა, რომ კაპიტალიზმი თვითონვე წარმოშობდა თავის მესაფლავეს — პროლეტარიატს,

ერთადერთ თანმიმდევრულ რევოლუციურ კლასს. სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ნაროდნიკებმა იწყეს „ხალხში სიარული", რევოლუციური და სოციალისტური იდეების ქადაგება სოფლად, მაგრამ გლეხობის რეალურ ცხოვრებასა და ინტერესებში ისინი ნაკლებად ერკვეოდნენ, არაფერი გამოსდიოდათ და ამიტომ ზოგი მათგანი თანდათან უიმედობამ შეიპყრო, ზოგი კი ინდივიდუალური ტერორის ცდარ გზას დაადგა (რასაც მ. ბაკუნინი თავიდანვე მოითხოვდა).

1881 წლის პირველ მარტს ნაროდნიკებმა მოკლეს ალექსანდრე II, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა. მკვლელობის საპასუხოდ ახალმა მეფემ — ალექსანდრე მესამემ და ქვეყნის რეაქციულმა ძალებმა სასტიკ რეპრესიებს მიმართეს. ამიერიდან ნაროდნიკობა თანდათან გადაგვარდა და ლიბერალურ-კულაკურ პარტიად გადაიქცა. საზოგადოებაში გულგატეხილობამ მოიკიდა ფეხი. ფართოდ გავრცელდა არსებულ წესწყობილებასთან შემრიგებლური განწყობილება, ლიბერალიზმი, წვრილმანი კულტუროსნობა.

„რევოლუციონერებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პირველ მარტს ამოსწურეს თავიანთი ძალები, მუშათა კლასში არ იყო არც ფართო მოძრაობა და არც მტკიცე ორგანიზაცია, ლიბერალური საზოგადოება ამჯერადაც იმ ზომამდე პოლიტიკურად განუვითარებელი აღმოჩნდა, რომ ის ალექსანდრე II-ის სიკვდილის შემდგომაც შუამდგომლობებს არ გასცილდა" [1].

ოთხმოციან წლებს ხშირად „უდროობის ეპოქას" უწოდებენ, მაგრამ მიუხედავად შავბნელი რეაქციის მძვინვარებისა, სწორედ ოთხმოციანი წლების რუსეთში ყალიბდება და მტკიცდება პროლეტარული მოძრაობა. გ. პლეხანოვის ხელმძღვანელობით 1883 წ. იქმნება „შრომის განთავისუფლების ჯგუფი", იწყება მარქსიზმის გავრცელება, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი განვითარების არნახულ დონეს აღწევს.

ვ. ი. ლენინის სიტყვით, „რუსეთში არ ყოფილა ეპოქა, რომელზედაც იმდენად შეიძლებოდეს თქმა: „აზრისა და გონების ჯერი დადგაო", როგორც ალექსანდრე III-ის ეპოქა იყო (...) სწორედ ამ ეპოქაში მუშაობდა ყველაზე ინტენსიურად რუსეთის რევოლუციური აზრი, შეჰქმნა რა სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძვლები" [2].

სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ნაროდნიკებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში ვ. ი. ლენინის შრომებმა

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 1949 წ. ტ. 5. გვ. 54.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 1950 წ. ტ. 10, გვ 302—303.

„რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ და „ნაროდნიკობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“. ამ შესანიშნავ შრომებში (1894) ვ. ი. ლენინმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ნაროდნიკებმა 90-იან წლებში საკმაოდ აიღეს ხელი რევოლუციურ ბრძოლაზე და კულაკობის იდეოლოგებად გადაიქცნენ. 1895 წელს პეტერბურგში ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ახალი, რევოლუციური პარტიის პირველი სანიმუშო ორგანიზაცია „მუშათა კლასის განთავისუფლების-სათვის ბრძოლის კავშირი“. განმათავისუფლებელი ბრძოლის არენაზე რუსეთის პროლეტარიატი გამოდიოდა. რუსეთი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ხდებოდა.

ყოველივე ამან განაპირობა ეპოქის ლიტერატურული მოძრაობა, მისი ხასიათი და მიმართულებანი.

ამ ეპოქაში შემოქმედებით მუშაობას განაგრძობენ ა. ოსტროვსკი და ი. ტურგენევი, ლ. ტოლსტოი და თ. დოსტოევსკი, ნ. ნეკრასოვი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი და სხვა გიგანტები. 70—80-იან წლებში სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიან ხალხოსანი მწერლები, აგრეთვე ა. ჩეხოვი, ვ. გარშინი, დ. მამინ-სიბირიაკი და სხვანი.

ხალხოსანთა მოძრაობასა და იდეოლოგიასთან დაკავშირებული იყო 70—90-იანი წლების მრავალი კრიტიკოსი და პუბლიცისტი, პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი. ისინი, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებებით, ნიჭითა და განათლებით, მაგრამ ბევრი რამ საერთოც ჰქონდათ. ნაროდნიკი მწერლები დიდი თანაგრძნობით და სიმართლით აღწერდნენ გლეხთა ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს, ხალხს დიფერენციაციას, მაგრამ, ამავე დროს, ხშირად მიმართავდნენ დიდაქტიკასა და მორალურ სენტენციებს, ამაოდ ცდილობდნენ ქადაგებითა და შეჩვენებით შეეჩერებინათ „დამლუპველი“ კაპიტალისტური გზით მომავალი სინამდვილე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ხალხოსან მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები ხშირ შემთხვევაში სცილდებოდა ან ეწინააღმდეგებოდა ხალხოსნურ თეორიებს.

ლექსებს წერდნენ ნ. მოროზოვი, პ. ლავროვი, ვ. ფიგნერი და სხვა ცნობილი ხალხოსნები, რომლებიც, მართალია, პროფესიული პოეტები არ ყოფილან, მაგრამ გარკვეული წვლილი შეიტანეს რუსული რევოლუციური პოეზიის განვითარებაში.

განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა ნაროდნიკული პუბლიცისტიკა, კრიტიკა (ნ. მიხაილოვსკი, ა. სკაბიჩევსკი, პ. ტკაჩოვი და სხვები) და ბელეტრისტიკა. ხალხოსანი ბელეტრისტებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ნიკოლოზ პეტროპავლოვსკის (მისი

ფსევდონიმია ს. კარონინი) ნარკვევები („ქვევიდან ზევით“ და სხვ.), სერგეი კრავჩინსკის (ფსევდონიმი — სტეპნიაკი) საავიტაციო მოთხრობები, ზღაპრები, რომანი „ანდრეი კოჟუხოვი“ და ნარკვევების კრებული „იატაკქვეშა რუსეთი“, აგრეთვე . ნიკოლოზ ზლატოვრატსკის რომანი „საფუძვლები“ და სხვ.

გლებ უსპენსკის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი პერიოდი. „რასტერიაევის ქუჩის ზნე-ჩვეულებანი“. „გაპარტახება“. გლებ უსპენსკი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღრმად მოაზროვნე, ნიჭიერი მწერალი — რეალისტი. რომელმაც, ლენინური „ისკრის“ შეფასებით, ფრიად დიდი გავლენა იქონია რუსული რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაზე.

გლებ ივანეს ძე უსპენსკი (1843—1902) დაიბადა ქ. ტულაში, წვრილი მოხელის ოჯახში. მომავალი მწერალი ადრე გაეცნო ხალხის უუფლებობასა და გაჭირვებას. „ბავშვობაში, — წერდა იგი, — მე მინახავს და განმიცდია გლეხთა უბედურება; ყველგან გამეფებული იყო მექრთამეობა; ჩემთვის კარგადაა ცნობილი სარეკრუტო გაწვევა, თემის მამასახლისები, გადამწერები და სადავო საქმეების ყოველგვარი გაჯანჯლება“.

გ. უსპენსკი სწავლობდა ჯერ ტულის გიმნაზიაში, 1856 წლიდან კი ჩერნიგოვის გიმნაზიაში, რადგან მამამისი ამ ქალაქში გადაიყვანეს. 1861 წელს გლებმა გიმნაზია დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ იმავე წელს „სტუდენტთა მღელვარების“ გამო უნივერსიტეტი დახურეს. გ. უსპენსკის სურდა მოსკოვის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ ეს მიზანიც მიუწვდომელი დარჩა ხელმოკლეობის გამო: 1862 წელს მამამისი დაავადმყოფდა, ოჯახის შემდეგ კი გარდაიცვალა. საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახზე ზრუნვა გლებს დააწვა კისერზე. იგი იძულებული გახდა კორექტორად ემუშავა მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში.

1862 წლიდან გლებ უსპენსკი რუსულ ჟურნალ-გაზეთებში იწყებს თავისი მოთხრობებისა და ნარკვევების ბეჭდვას და მალე საკმაო პოპულარობას აღწევს. ნეკრასოვს მხედველობიდან არ გამორჩენია მისი ნიჭი და „სოვრემენნიკში“ მიიწვია. ამ სახელგანთქმული ჟურნალის ფურცლებზე 1866 წ. იბეჭდება უსპენსკის პირველი დიდი ნაწარმოები „რასტერიაევის ქუჩის ზნე-ჩვეულებანი“ („Нравы Растеряевой улицы“). ავტორი უხვად იყენებს ქ. ტულაში მიღებულ შთაბეჭდილებებს (თხზულებაში ტულის რაიონებისა და ქუჩების სახელწოდებანიც კი გვხვდება) იმისათვის, რომ დაგვიხატოს რეფორმისშემდგომი რუსეთის პატარა სამრეწველო ქალაქის ტიპიური სურათი.

თავისი შინაარსითა და სტრუქტურით „რასტერიაევის ქუჩის ზნეჩვეულებანი“ ნოვატორული ნაწარმოებია. მასში არ არის არც წარმტაცი სიუჟეტი და არც ეფექტური ინტრიგები. ავტორი ამა თუ იმ თემაზე ჰქმნის ცალკეული პატარა ნარკვევებისა თუ მოთხრობების ციკლს და ასეთი კომპოზიციური ხერხით აღწევს ყოველი თემის ღრმად და მრავალმხრივად გაშუქებას. მწერალს მკითხველი თითქოს პორტრეტთა გალერეაში შეჰყავს და აცნობს სხვადასხვა ტიპებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე კოლორიტული ფიგურა.

აი, მაგალითად, პროხორ პორფირიჩი, რომელიც მუშა-ხელოსნებისა და ქარხნის მეპატრონეთა შუამავალ პირს წარმოადგენს. მის ერთადერთ მიზანს გამდიდრება შეადგენს და ამ მიზნის მისაღწევად იგი ყველაფერს კადრულობს: ხელოსნების მოტყუებასა და ყალეფას, ვერაგობასა და მლიქვნელობას. ეს არის კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წარმოშობილი მტაცებელი, „პატარა ტირანი“, რომელიც დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულა და თავისივე მოძმეებს სისხლისმსმელ წურბელასავით წამოსჯდომია კისერზე.

ძველი პროვინციული რუსეთისათვის აგრეთვე ფრიად დამახასიათებელია „ექიმი ხრიპუშინი“. მედიცინისა მას არაფერი გაეგება, მაგრამ რამდენიმე ლათინური სიტყვა გაუზეპირებია და, სარგებლობს რა მოსახლეობის უვიცობით, უსინდისოდ ატყუებს და ყალეფს პაციენტებს.

მოხელე ტოლოკონნიკოვის სახით უსპენსკიმ ცოცხლად წარმოგვიდგინა ადამიანი, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული მონისა და ტირანის ფსიქოლოგია. ტოლოკონნიკოვი უსულგულო დესპოტია, მას უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის სხვისი დამცირება, ტანჯვა, აბუჩად აგდება. თავისი სადისტური ხასიათით ეს კაცუნა სიცოცხლეს უმწარებს საბრალო ცოლს.

ნაწარმოებში მხილებულია აგრეთვე ბევრი სხვა მოხელე, მევახშე, საქმოსანი, ობივატელი, მხილებულია ქარხანა-სახელოსნოების მეპატრონეთა ექსპლუატაციური ბუნება და ველურობა. შემაძრწუნებელია სცენა, სადაც მეპატრონე მუშებს ხელფასს ურიგებს. ცხრა წლის ბავშვი ორ შაურს ღებულობს და მეპატრონეს ფეხქვეშ ეგება.

თუ მშრომელთა სისხლისმსმელ „ობობებს“ უსპენსკი სატირული საღებავებით ხატავს, მუშებისა და ხელოსნების შესახებ იგი დიდი თანაგრძნობითა და გულისტკივილით მოგვითხრობს, თუმცა კიცხავს მათს მოუხერხებლობას.

ვინ არის დამნაშავე, რომ ესოდენ უღიმღამო და ერთფეროვანია რასტერიაეველთა ცხოვრება? პირველ რიგში მეპატრონენი, „უფროსები“, რომლებიც მათ ბედს წყვეტენ, მაგრამ დამნაშავენი არიან

აგრეთვე მუშები და ხელოსნებიც. რომლებიც უსიტყვოდ შერიგებიან თავიანთ მწარე ხვედრს და მძიმე პირობების გავლენით ადამიანური ღირსება დაუკარგავთ.

მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს რასტერიაევის ქუჩის საერთო სურათი: ორმხრივ ჩამწკრივებული ფერდებგამონგრეული ქოხმახები, ჩამკვდარი და გაჭირვებული ცხოვრება, რომლის ერთფეროვნებასა და სიმყუდროვეს დროგამოშვებით არღვევს ლოთი ხელოსნების აყალმაყალი და მეზობლების ჩხუბი.

სადაა გამოსავალი რასტერიაევშიჩინიდან? ამ საკითხზე პასუხის გაცემა ავტორს იმხანად უჭირდა.

ნარკვევების ახალ ციკლში, რომელიც 1869—71 წწ. „გაპარტახების" („Разорение") სახელწოდებით გამოქვეყნდა, გ. უსპენსკიმ გააღრმავა და ახლებურად გააშუქა „რასტერიაევის" სოციალური პრობლემატიკა. ავტორის სიტყვით, „გაპარტახება" არსებითად იგივე „რასტერიაევის ქუჩაა", ოღონდ ცხოვრების ახალ პირობებში. მოქმედება კვლავ სამრეწველო პროვინციულ ქალაქში (უფრო ზუსტად — ტულაში) იწყება, პერსონაჟებიც ბევრ რამეში წააგვანან რასტერიაეველებს, მაგრამ ახლა მათში კლასობრივი შეგნება და პროტესტის გრძნობა იღვიძებს. აქ საქმე გვაქვს უკვე არა მორჩილ და პასიურ „ბრბოსთან", არამედ აქტიურ და მოაზროვნე მუშებთან, რომლებსაც ავტორი დიდი სიმპათიით გვიხატავს.

ნაწარმოების ცენტრალური გმირია მიხეილ ივანოვიჩი, დაკვირვებული და გონებაგახსნილი მუშა, რომელმაც ბევრი რამ გამოსცადა ცხოვრებაში. იგი აღშფოთებით ლაპარაკობს სოციალურ უსამართლობაზე, სასტიკად კიცხავს ფაბრიკანტებსა და ჩინოვნიკებს, აგიტაციას ეწევა მუშათა შორის. მიხეილ ივანოვიჩი შეამბოხე პროლეტარია, რომელიც ქარხნიდან გამოაგდეს „ურჩობისათვის, იმისათვის, რომ მათ ყაჩაღობას ეწინააღმდეგებოდა". კატორღულმა შრომამ მას ჯანმრთელობა შეურყია, მაგრამ სულიერად ვერ გატეხა.

მიხეილ ივანოვიჩმა მტკიცედ შეიგნო მუშის როლი მატერიალური დოვლათის შექმნაში, ამხედრდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გარკვეულა თუ რა გზით შეიძლება ამ უსამართლობის მოსპობა, გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ სადღაც შორს უნდა არსებობდეს ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება. მიხეილ ივანოვიჩი მიემგზავრება პეტერბურგში, რათა შეხვდეს თავის ყოფილ მასწავლებელს — მაქსიმ პეტროვიჩს, — ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლს. მაგრამ მას იმედი არ გაუმართლდა, მაქსიმ პეტროვიჩი ვერსად ნახა, ვასილ ჩერიომუხინი კი, რომელსაც იგი პეტერბურგში გაეცნო და რომელმაც თავისუფლებაზე ლაპარაკით მოხიბლა, ყბედი და უქნარა ადამიანი აღმოჩნდა. ჩერიომუხინი იყო

„ზედმეტი ადამიანის“ ტიპი ახალ პირობებში, მოხეტიალე და ლოთი ინტელიგენტი, რომელსაც არც მტკიცე რწმენა გააჩნდა და არც ბრძოლის უნარი.

მიხეილ ივანოვიჩის შემდგომი ბედის შესახებ ნაწარმოებიდან ჩვენ ვერაფერს ვგებულობთ. თხრობა მასზე მოულოდნელად წყდება იმ მომენტში, როდესაც ის დაძაბულად ფიქრობს თავის მდგომარეობაზე.

„გაპარტახებაში“ ნაჩვენებია არა მარტო პროლეტარიატის, არამედ გლეხის „ბრის გაღვიძებაც“. ამ მხრივ საინტერესოა ივან ნიკოლაიჩი — ფრიად „ჭკვიანი მუჟიკი“, რომელიც კარგად ხედავს, რომ რეფორმის შემდეგ გლეხთა მდგომარეობა სრულიადაც არ გაუმჯობესებულა, ცდილობს რამენაირად ერობაში მოხვდეს, რათა დაიცვას გლეხთა ინტერესები, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს.

ნაწარმოებში გამოყვანილია კიდევ ერთი მეტად სიმპათიური პერსონაჟი — ნადია ჩერიომუხინა, სოფლელი გოგონა, რომელიც მოწყურებით ეწაფება სწავლას და ოცნებობს საზოგადოებისათვის თავდადებულ შრომასა და ბრძოლაზე, მაგრამ მიაღწევს თუ ვერა იგი თავის მიზანს, ამაზე ავტორი არაფერს ამბობს, ალბათ, იმიტომ, რომ თვით მწერალსაც ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის გზებზე.

უცხოეთის შთაბეჭდილებანი. „ჩეკების წიგნაკი“. გლებ უსპენსკის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვარგარეთული ცხოვრების უშუალო გაცნობას. პირველად მწერალი დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა 1872 წელს და თავისი შთაბეჭდილებანი აღწერა როგორც კერძო წერილებში, ისე ნარკვევების ციკლში „ახალი დროება, ახალი საზრუნავი“ („Новые времена, новые заботы“). საფრანგეთის დედაქალაქში იგი ჩავიდა პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ და მოინახულა ის ადგილები, სადაც რამდენიმე თვის წინ კომუნარები იბრძოდნენ.

„აქ, აი ამ ადგილას, — სწერდა გ. უსპენსკი მეუღლეს, — ვერსალელებმა გასული წლის 21 მაისს დახვრიტეს 450 კომუნარი, მთელი მოედანი სისხლით მორწყული იყო. სისხლი ისე გამჯდარა ქვაში, რომ გულმოდგინე წმენდის მიუხედავად მისი ნალექი ახლაც ემჩნევა. მე ამ მოედანზე მთელი საათი ვიდექი, თითქოს შეშლილი ან გაშეშებული ვიყავი, თითქოს ჩემი ფეხები ამ ადგილას მიეწება, სადაც ამდენი ხალხი დაიღუპა“.

გ. უსპენსკი ესწრებოდა ღია სასამართლო პროცესებს, სადაც კომუნარების საქმეებს არჩევდნენ. „აბა შეხედეთ ამ პირებს, წითელ

მაგიდას. რომ მისხდომიან, — წერდა იგი ნარკვევში „სინდისი" („Большая совесть"), — ...ეს მახრჩობელა გველების ისეთი კოლექციაა, რომლის მსგავსს, ალბათ, ბერლინშიც ვერ შეაგროვებს ადამიანი" (ცნობილია, რომ მილიტარისტულმა გერმანიამ საფრანგეთის ბურჟუაზიას ხელი შეუწყო კომუნის განადგურებაში).

უფრო ხანგრძლივი დროით უსპენსკი დასავლეთ ევროპას ეწვია 1876 წელს. მეტწილად პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ ლონდონიც ინახულა, სადაც იგი გააცა სოციალურმა კონტრასტებმა. დასავლეთ ევროპის სინამდვილეზე დაკვირვებამ მწერალი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკური რეჟიმი და ცივილიზაცია სრულიად მიუღებელია მშრომელთა მასებისათვის. უსპენსკის ამხილა აგრეთვე ამერიკული „თავისუფლების" სიყალბე. იგი აგვიწერს კლდეზე აღმართულ ქანდაკებას ჩირაღდნით, რომელიც ხომალდებისათვის შუქურას როლს ასრულებს და რომლის სახელწოდება („თავისუფლება") თითქოს „ჭეშმარიტი დემოკრატიის" სიმბოლოს წარმოადგენს. ქარიშხალში მოხვედრილმა ფრინველებმა ამ შუქურას მიაშურეს იმ იმედით, რომ იქ სითბოსა და თავშესაფარს იპოვნიდნენ, მაგრამ „დაიღუპნენ გიგანტურ ფარანზე, რომელიც თავისუფლებისა და ძმობის პატივსაცემად არის აგებული". მეორე დილით ძეგლის ქვეშ „თავისუფლების" შუქურათი მოტყუებული 15000 დასახიჩრებული ფრინველი იპოვესო, — ამბობს მწერალი.

საზღვარგარეთ ყოფნისას, 1876 წ. გ. უსპენსკიმ დაწერა მოთხრობა „ჩეკების წიგნაკი" („Книжка чеков"), რომელშიც დიდი მხატვრული ძალითა და სიმართლით ასახა რუსეთის პატრიარქალურ სოფელში კაპიტალიზმის შეჭრა და ამით გამოწვეული ცვლილებანი. რასპოიასოვო რეფორმამდე მიყრუებული სოფელი იყო. იგი ეკუთვნოდა ერთ პარაზიტ მემამულეს, რომელიც უმოწყალოდ ყვლეფდა თავის გლეხებს, უდარდელად ცხოვრობდა განცხრომაში და სრულიადაც არ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ გამოეყენებინა ბუნებისაგან ნაბოძები უამრავი სიმდიდრე — თვალუწვდენელი მინდვრები და დაბურული ტყეები. სოფლის ცხოვრება მოდუნებულად და ერთფეროვნად მიედინებოდა. გლეხობის მდგომარეობა არც 1861 წლის რეფორმამ შეაშფოთა. პირიქით, ძველ მყვლეფელს — მემამულეს ახალიც დაემატა — ვაჭარი-ფაბრიკანტი ივან კუზმიჩ მიასნიკოვი. მისი სახით მწერალი გვიჩვენებს რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენელს.

მიასნიკოვი იჯარით აიღებს მემამულისაგან რასპოიასოვოს და მთელ მის მიწა-წყალს — „ულრან ტყესაც, მდინარეებსაც, მინდვრებსაც". ამის შემდეგ იგი რასპოიასოველ გლეხებს იძულებით გადაასახ-

ლებს ახალ ადგილას, ხალხს დაიქირავებს, ძველ სოფელს სამ კვირაში დაანგრევს, სახერხ ფაბრიკას ააშენებს და ენერგიულად მოჰკიდებს ხელს ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას. ახმაურდა საუკუნეების განმავლობაში მდუმარე ტყე, ათწლოვანი მუხები ფიცრებად იხერხება და გასაყიდად საზღვარგარეთ იგზავნება. მისგან მიღებული შემოსავალი კი მიასნიკოვის პაწაწა „ჩეკების წიგნაკს“ ავსებს. ივან კუზმიჩმა შემოსავლის სხვა წყაროც იპოვა — რკინის მადანი, რომელიც შემთხვევით რასპოიასოვოს მამულში აღმოჩნდა. მიასნიკოვი მდიდრდება, გლეხები კი სულ უფრო მეტ გაჭირვებაში ცვივიან. სიღარიბე მათ აიძულებს თავიანთი შრომა კაპიკებად მიჰყიდონ ფაბრიკანტებს. გუშინდელი გლეხი ღატაკ პროლეტარად იქცევა.

ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე პერიოდი. ნარკვევები გლეხთა ცხოვრებაზე. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება და ამის შედეგად გლეხობის გაპროლეტარება გლებ უსპენსკის დამლუპველ პროცესად მიაჩნდა. ამიტომ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან მწერლის ყურადღების ცენტრში გლეხი მოექცა. აქედან იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი, რომელიც საგრძნობლად გამოსხვავდება წინა პერიოდისაგან, როცა იგი უმთავრესად ქალაქელებზე წერდა. ახალ თემატიკაზე გადასვლას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ ხანებში ფართოდ გავრცელებულმა ნაროდნიკულმა იდეებმა და მოძრაობამ, „ხალხში სიარულმა“. ამ მოძრაობამ გლებ უსპენსკიც ჩაითრია. საზღვარგარეთიდან დაბრუნებისთანავე მწერალი სოფელს მიაშურებს. 1877—78 წლებში იგი ნოვგოროდისა და სამარის გუბერნიების სოფლებში ცხოვრობს და დიდი ინტერესით სწავლობს გლეხთა ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, მათს განწყობილებასა და ხასიათს, რის შედეგად წერს წიგნს „სოფლის დღიურიდან“ („Из деревенского дневника“, 1877—1880). ეს ნაწარმოები მოწმობს, რომ სინამდვილის დაკვირვებით შესწავლამ საფუძვლიანად შეარყია უსპენსკის ნაროდნიკული ილუზიები როგორც გლეხის ბუნებაზე, ისე გლეხურ თემზე.

ცნობილია, რომ ნაროდნიკებს რუს გლეხებზე იდილიურ-რომანტიკული წარმოდგენა ჰქონდათ. მათი აზრით, რუსი გლეხი თავისი ბუნებით სოციალისტია, მას კეთილი ხასიათი და „ოქროს გული“ აქვს. რაც შეეხება გლეხურ თემს, მასში, ხალხოსნების მტკიცებით, ძმობა და თანაშწორობა სუფევს, იგი მომავალი სოციალისტური საზოგადოების საიმედო წანამძღვარია. „სოფლის დღიურში“ რეალისტურად აღწერილი ფაქტები კი სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა. აქ გამოყვანილი რუსი გლეხი სრულიადაც არ ჰგავს ხალხოსანთა მიერ დახატულ „შოკოლადის მუჟიკს“, მასში ძლიერადაა გამჯდარი კერძო მესაკუთრული, ინდივიდუალისტური გრძნობები, ველური ინსტინქტები; გლეხური თემი რუსეთს კაპიტალიზმის შემოტევისაგან ვერ

იხსნის, რადგან თვითონვე ირღვევა შიგნიდან. თემის წევრთა შორის ადგილი აქვს უთანხმოებასა და შეუბრალებელ ექსპლუატაციას, სოციალური დიფერენციაციის შეუნელებელ პროცესს, რის შედეგად ჩნდებიან, ერთის მხრივ, კულაკები, მეორე მხრივ კი — გაძვალტყავებული ბატრაკები, პროლეტარები. ეს იყო თემის სწორი შეფასება. გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები: რუსული თემი კაპიტალიზმის ანტიპოდი კი არა, მისი მყარი საფუძველიაო.

გლებ უსპენსკი ავადმყოფურად განიცდიდა თავის ხალხოსნური იმედების კრახს, განუწყვეტლივ ეძებდა გამოსავალს არსებული სოციალური წინააღმდეგობებიდან, დაუღალავად განაგრძობდა გლეხური ყრილობისა და ხასიათის შესწავლას, ბევრს მოგზაურობდა. 1881 წელს მან ნოვგოროდის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში სახლი იყიდა და იქ დასახლდა. ცხოვრებაზე უშუალოდ დაკვირვების შედეგად მან შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა „გლეხი და გლეხის შრომა“ („Крестьянин и крестьянский труд“, 1880) და „მიწის ძალა“ (1882).

პირველ მათგანში მთავარ გმირად გამოყვანილია გლეხი ივან ერმოლაევიჩი, რომელმაც კაპიტალიზმის დამღუპველი პროცესის მიუხედავად თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა — არც კულაკი გახდა და არც ბატრაკად გადაიქცა. ივან ერმოლაევიჩი საშუალო გლეხი, ჯანსაღი, პოეტური და ჰარმონიული პიროვნებაა, რადგან მიწათმოქმედებას მისდევს. ავტორის რწმენით, მიწა ფიზიკური და სულიერი სიხალისის და სილამაზის წყაროა.

მაგრამ ირკვევა, რომ ივან ერმოლაევიჩიც ინდივიდუალისტია და არა კოლექტივისტი, სოციალისტი. მისთვის, როგორც კერძო მესაკუთრისათვის, სრულიად მიუღებელია კოლექტიური შრომის იდეა, ე. ი. ისიც მომავალი კულაკია.

მეორე ნაწარმოების დედააზრი გლებ უსპენსკიმ გამოხატა სათაურშივე „მიწის ძალა“ („Власть земли“). ივან პეტროვი — თხზულების მთავარი პერსონაჟი, რომელსაც მეტსახელად „ფეხშიშველ ივანეს“ („Иван Босых“) ეძახიან, მიწას მოსწყდა და ამიტომ დაკარგა ყოველგვარი ღირსება. თუ ივან ერმოლაევიჩი მიწათმოქმედებას მისდევდა და ამიტომ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანია, ივან პეტროვი „მათხოვარივით დაეხეტება დღიურ სამუშაოზე და ისიც იმისათვის, რომ გამომუშავებული სამიკიტნოში დახარჯოს“. ავტორი თანაგრძნობით გვიხატავს ტრაგედიას ამ სოფლელი პროლეტარისა, რომელიც კაპიტალიზმმა მიწას მოსწყვიტა, კალაპოტიდან ამოაგდო და გააუბედურა.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში გლებ უსპენსკიმ ბევრი იმოგზაურა. იგი ეწვია კავკასიას, ურალს, დასავლეთ ციმბირს, კონს-

კანტინოპოლს, ბულგარეთს... და თითქმის ყველგან კაპიტალის ბატონობას ამჩნევდა, რასაც მწარედ განიცდიდა, რადგან კაპიტალიზაციაში მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავდა.

ამ დროს გ. უსპენსკიმ ჩაიფიქრა ახალი ნაწარმოები „კაპიტალის" სახელწოდებით, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნარკვევის დაწერა მოასწრო („ცოცხალი ციფრები" — „Живые цифры"). ძნელ სულიერმა განცდებმა და ფიქრებმა სოციალურ წინააღმდეგობებზე იგი ფსიქიურად დააავადმყოფა. უკანასკნელი ათი წელი (1892—1902) მწერალმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა.

გლებ უსპენსკი და ქართველი საზოგადოებრიობა. 1883 წელს გლებ უსპენსკი სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა; იგი ეწვია აგრეთვე ბათუმს, ფოთს და სხვა ადგილებს, გაეცნო ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მან თავისი შთაბეჭდილებანი აღწერა ქერძო წერილებსა და „სამოგზაურო შენიშვნებში" („Путевые заметки"). ეს მეტად საყურადღებო ნაწარმოებია. უსპენსკი აღფრთოვანებულია კავკასიის, საქართველოს თვალწარმტაცი ბუნებით, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით, ამავე დროს, გულისტკივილით წერს, რომ აქაც შემოჭრილია კაპიტალიზმი, რომელიც უმოწყალოდ სპობს ყოველგვარ ეროვნულ თავისებურებას, ჭმახინჯებს და რუინის ადამიანის ხასიათს, ბილწავს და აბინძურებს ბუნების სიმშვენიერეს. მაგალითად, მლეთაში, სამხედრო გზის ამ ზღაპრული სილამაზით ცნობილ ადგილას. ვინმე ვაჭარ ბელოხრიუკოვს დუქანი წამოუჭიმავს და მის აბრაზე დაუწერია: „ბოსტნეულითა და წვრილმანით ვაჭრობა", ხოლო მცხეთა, რომელიც ლერმონტოვმა მხატვრულად უკვდავყო „მწირში", ვიღაცას იჯარით აუღია.

უსპენსკი, ცხადია, ვერ ამაღლდა კაპიტალიზმის მარქსისტულ კრიტიკამდე, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", სწორედ უსპენსკის ამ ნაწარმოებს იყენებს იმის საილუსტრაციოდ, თუ „ბატონი კუპონი" როგორ „დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას" [1].

გლებ უსპენსკის კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე ქართველ მოღვაწესთან, განსაკუთრებით ნიკო ნიკოლაძესთან, იგი თანამშრომლობდა გაზეთ „ობზორში", რომელსაც სამოცდაათიანი წლების ბოლოს ნ. ნიკოლაძე რუსულ ენაზე სცემდა თბილისში.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, 1948, გვ. 704.

ნიკო ნიკოლაძე, ეგნატე ნინოშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ივანე გომართელი და სხვა ქართველი მოღვაწეები მაღალ შეფასებას აძლევდნენ გ. უსპენსკის შემოქმედებას. მისადმი დიდი პატივისცემითა და სიყვარულითაა გამსჭვალული წერილები, რომლებიც „ივერიაში", „კვალში", „ცნობის ფურცელსა" და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა გამოჩენილი რუსი მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელი მუშების ადრესი, რომელიც მათ 1887 წელს გაუგზავნეს თავიანთ საყვარელ მწერალს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით. მასში ნათქვამი იყო: „როცა ჩვენ, მუშები, ვკითხულობდით თქვენს მოთხრობებს, მივხვდით ჩვენი გულით, რომ თქვენ გიყვარვართ ჩვენ, გიყვართ უბრალო სიმართლის თქმა და ამიტომ ჩვენც შეგიყვარეთ თქვენ და თქვენი წიგნები".

ლ. ნ. ტოლსტოი

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1828—1910) მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია. მისი შემოქმედება წინგადადგმული ნაბიჯია მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

მართალია, ლ. ტოლსტოი სამწერლო ასპარეზზე XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა, მაგრამ მისი შემოქმედება ძირითადად ახასიათებს რუსეთის ცხოვრების იმ ახალ პერიოდს, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის პირველი წლიდან იწყება, ე. ი. ახასიათებს რუსეთის ისტორიის იმ რთულ და სოციალური წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქას, რომელსაც რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადების პერიოდი ეწოდება. ამიტომ, ლ. ტოლსტოის როგორც მხატვრისა და მოაზროვნის მსოფლიო მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება თვით რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობით.

ვ. ი. ლენინმა ლ. ტოლსტოის შემოქმედებას რუსეთის რევოლუციის სარკე უწოდა, რადგან გენიალური მწერლის მხატვრულ ნაწერებში ნათლად აისახა ამ რევოლუციის მომზადების მთელი ეპოქა. მართალია, რუსეთის რევოლუციის შესახებ ტოლსტოის არცერთი მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია, მაგრამ მის შემოქმედებაში სარკისებური ასახვა ჰპოვა ეპოქის მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, რეფორმის შემდგომი პერიოდის სოციალური წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებამ, იმ ცხოვრებამ, რომელმაც განაპირობა 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია.

ლ. ტოლსტოი რუსეთის მრავალმილიონიანი პატრიარქალური გლეხობის იდეოლოგი იყო. გენიალური მწერლის შემოქმედებაში ასახვა ჰპოვეს იმ წინააღმდეგობებმა, რომლებიც 1861—1905 წლებში რუს პატრიარქალურ გლეხს ახასიათებდა. გენიალური რუსი მწერლის სუსტი და ძლიერი იდეების წყარო მრავალმილიონიანი დაბეჩავებული გლეხობის მსოფლმხედველობაა. მწორედ ამიტომ, ისევე როგორც რუსეთის გლეხობა, ლ. ტოლსტოიც ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლუატაციით დამფრთხალი უარყოფდა ყოველგვარ პროგრესს, ცივილიზაციას, სახელმწიფოს, კერძო საკუთრებას, ეკლესიას, ხოლო მეორე მხრივ, იგი ქადაგებდა ბოროტების წინაღუდგომლობას ძალადობით, ქრისტეს მოძღვრებას. „წინააღმდეგობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, სკოლაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მართლაც ხმამაღლა მღაღადებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებებიც. მეორე მხრივ, — მემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისათვის ...ერთი მხრივ კაპიტალისტური ექსპლუატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოსა და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მეშვათა მასების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს“ ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა“... [1]

ბავშვობის, ყრმობის და სიჭაბუკის წლები. ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი დაიბადა 1828 წლის 9 სექტემბერს იასნაია პოლიანაში, რომელიც ქ. ტულას მახლობლად მდებარეობს. მწერლის მშობლები — მამა გრაფი ნიკოლოზ ილიას ძე და დედა მარია ნიკოლოზის ასული ვოლკონსკაია — გამოსული იყვნენ ძველი მდიდარი თავადაზნაურული ოჯახებიდან. ჯერ ორი წლისაც არ იყო მოზავალი მწერალი, რომ მას დედა გარდაეცვალა. 1837 წელს უეცრად მამაც მოუკვდა და დაობლებულ ოჯახზე პატრონობა ნათესავებმა იკისრეს. ტოლსტოიმ ბავშვობა უმთავრესად იასნაია პოლიანაში გაატარა. აქ შეისწავლა მან წერა-კითხვა, უცხო ენები და მიიღო ისეთი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, 1950, გვ. 237—238.

შინაური განათლება, როგორიც შეეფერებოდა მის მაღალ არისტოკრატიულ წარმოშობას.

1844 წელს თექვსმეტი წლის ტოლსტოი შეიდა ყაზანის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელზედაც მალე გული აიცრუა და იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა. ყაზანის უნივერსიტეტში ახალგაზრდა გრაფი გატაცებით კითხულობდა ფრანგი განმანათლებლების ნაწერებს. იგი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდა სახელმწიფო სამართლისადმი, ამიტომ ყურადღებით ეცნობოდა მონტესკიესა და ჟან-ჟაკ რუსოს თეორიებს სახელმწიფო სამართლისა და ადამიანის ზნეობრივ უფლებათა შესახებ.

1847 წელს, სქოლასტიკური სწავლებით უკმაყოფილო ახალგაზრდა ტოლსტოი ტოვებს უნივერსიტეტს და საცხოვრებლად ისევ იასნაია პოლიანაში ბრუნდება. აქ იგი განაგრძობს მეცადინეობას ენებში, ისტორიაში, მუსიკაში და სხვა საგნებში. ერთხანს იგი ყმა გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებასაც ფიქრობდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს საკითხი მისთვის იოლი გადასაჭრელი არ იყო.

იასნაია პოლიანადან ახალგაზრდა გრაფი ხშირად ჩადიოდა ხოლმე მოსკოვსა და პეტერბურგში. აქ იგი ეწეოდა საკმაოდ თავდაუჭერელ ცხოვრებას: ხშირად ქეიფობდა, ბანქოს თამაშობდა, ეძებდა მდიდარ საცოლეს და ა. შ. მაგრამ კალაპოტიდან ამოვარდნილი ტოლსტოის ასეთი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1851 წელს, კავკასიიდან იასნაია პოლიანაში მცირე ხნით მწერლის უფროსი ძმა ოფიცერი ნიკოლოზ ტოლსტოი ჩავიდა. ლევ ტოლსტოიმ უეცრად გადაწყვიტა ფუჭსაეატური ცხოვრების მიტოვება და ძმასთან ერთად კავკასიაში გაემგზავრა.

სამხედრო სამსახური, ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი. 1851 წლის მაისის ბოლო რიცხვებში ტოლსტოი ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაიდა და დასახლდა თავის ძმასთან, თერგის ოლქის ერთერთ სტანიცა სტაროგლადკოვსკაიაში. პირველ ხანებში მასზე ძლიერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია კავკასიას და არც ახალ წრეს, რომელიც სამხედრო პირებისაგან შედგებოდა, მაგრამ ახალ გარემოს იგი თანდათანობით შეეგუა და სამხედრო სამსახურში შესვლაც გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზნით, 1851 წლის ბოლოს, ახალგაზრდა ლევ ტოლსტოი თავის ძმასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. თბილისში მან ორ თვეზე მეტ ხანს დაჰყო. აქ მან მიიღო სამხედრო განათლება, სამსახურში დანიშვნა, ჩინი და ისევ სტაროგლადკოვსკაიაში დაბრუნდა.

თბილისში ყოფნის დროს ტოლსტოიმ დაამთავრა თავისი პირველი

მხატვრული ნაწარმოები „ბავშვობა“ და იმავე წელს დაბეჭდა ჟურნალ „სოვრემენნიკში“.

აეტობიოგრაფიულმა „ბავშობამ“ ტოლსტოის სწრაფად მოუპოვა ნიჭიერი მწერლის სახელი. წარმატებით ფრთამესხმული ახალგაზრდა მწერალი მალე აჭენებს კავკასიურ მოთხრობებს: „თავდასხმა“ („Набег“), „ტყის ქაფვა“ („Рубка леса“), რომანის მეორე ნაწილს „ყრმობას“ („Отрочество“) და სხვ. ამ ნაწარმოებებმა ტოლსტოი ერთბაშად დიდ რუს მწერალთა რიგებში ჩააყენა. რუსული კრიტიკა აღტაცებით შეხვდა სამწერლო ასპარეზზე ამ ახალი ნიჭიერი მწერლის გამოჩენას.

ახალგაზრდა ტოლსტოის ყველაზე მეტად ხალხის ბედი აღელვებდა. ამიტომ ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ მის პირველსავე მოთხრობებში მთელი სილრმითა და სისრულით დაისვა ეს პრობლემა.

„ბავშვობის“ გამოქვეყნების შემდეგ, მწერალმა გადაწყვიტა ოთხი ნაწილისაგან შემდგარი რომანის „განვითარების ოთხი ეპოქის“ დაწერა. ამ რომანის პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო უკვე დაბეჭდილი „ბავშვობა“, მეორე — „ყრმობა“, მესამე — „სიჭაბუკე“, ხოლო მეოთხე — „ახალგაზრდობა“, მაგრამ ტოლსტოიმ ჩანაფიქრი მთლიანად ვერ განახორციელა. „ყრმობა“, რომელზედაც მწერალი ორი წელი მუშაობდა, დაამთავრა 1854 წელს, „სიჭაბუკის“ მეორე ნახევარი მან ვერ დაასრულა, ხოლო „ახალგაზრდობისათვის“ ხელიც არ მოუკიდია. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ზოგიერთ სერიოზულ წინააღმდეგობებში, რომლებმაც თავი იჩინეს ტოლსტოის ჯერ კიდევ ადრინდელ ნაწარმოებებში.

„განვითარების ოთხ ეპოქაში“ ტოლსტოის უნდოდა ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება. მთავარი გმირის ნიკოლოზ ირტენიევის სახით უნდა გვეჩვენა, ადამიანის სულიერი ცხოვრების განვითარება დაწყებული ბავშვობის ასაკიდან მომწიფებულ ახალგაზრდობამდე. ტოლსტოიმ მეოთხე „ეპოქა“ ადამიანის ცხოვრებისა არ გვიჩვენა, მაგრამ სამი პერიოდი შესანიშნავად დაგვიხატა.

ახალგაზრდა მწერალი დიდი სიზუსტით, ადამიანის ფსიქიკის საოცარი ცოდნით გვიჩვენებს ერთი მხრივ, ნიკოლენკა ირტენიევის სულიერი განვითარების პროცესს, იმას თუ ბავშვი თანდათანობით როგორ შეიცნობს საკუთარ თავს, თავის ზნეობრივ ღირსებასა და ნაკლს, მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ თვით გმირის მიერ გარემოს შეცნობის მეტად რთულ და საინტერესო პროცესს. ასე მიმდინარეობს ნიკოლენკა ირტენიევის სულიერი, ინტელექტუალური, ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ ეს პროცესი არ არის სტიქიური. ტოლ-

სტოის გმირს აქვს თავისი სუბიექტური პრინციპიც, რომელიც შეუცნობლად მეღავნდება დაწყებული ბავშვობიდან სიჭაბუკის ჩათვლით. ეს არის მისი სიკეთისაკენ და სიმართლისაკენ სწრაფვა, ადამიანში ადამიანობის დაფასება, სიყვარულის დიდი ჰუმანური გრძნობა.

ლ. ტოლსტოის ტრილოგია „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე“ არ არის თავადაზნაურული ცხოვრების ისტორიულ-ავტობიოგრაფიული ქრონიკა, არც ამ ცხოვრების ამაღლებული პოეტიზაციაა. პირიქით, მწერალი ამჟამად იწუნებს არისტოკრატიული ცხოვრების იმ „პოეტურ“ სამყაროს, რომელიც ნიკოლენკაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს. ეს კრიტიკა ნაწარმოებში მოცემულია უმთავრესად არა სოციალურ, არამედ ზნეობრივ ასპექტში, რადგან ტოლსტოის კრიტიკა ადრინდელ ნაწარმოებებში უმთავრესად ეთიკის სფეროში ტრიალებს.

სწორედ ეთიკური სფეროდან ღებულობს სადავეებს ის დაუნდობელი, შეურიგებელი, მამხილებელი კრიტიკა, რომელმაც მწერლის შემოქმედება რუსეთის რევოლუციის სარკედ აქცია.

ნიკოლენკა ბავშვობიდანვე დარწმუნდა, რომ გარეგნულად ლამაზი, ერთი შეხედვით გულისხმიერი და ზრდილობიანი ბრბყვიალა არისტოკრატია, რომელსაც თავი მოჰქონდა კულტურითა და ადამიანურობით, ეგოისტურია. ირტენიევი აშკარად ამჩნევს, რომ მის გარშემო ტრიალებენ ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ მტკიცე ზნეობრივი საფუძველი, რომლებიც ცხოვრობენ არა ისე, როგორც ეს საზოგადოდ ადამიანის ბუნებას შეფერის, არამედ ისე როგორც ამას მოითხოვს არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული წესი.

ნიკოლენკა რწმუნდება, რომ არც მის მამას, არც მის ნათესავებს და არც სხვა რომელიმე არისტოკრატს არ გააჩნია საღი, ნამდვილი სიყვარულის გრძნობა. მათი სიხარულის, მწუხარების, მეგობრობის და სხვა გრძნობები ხელოვნურია, ყალბი, ისინი მოქმედებენ არა თავიანთი უშუალო გრძნობების, არამედ არისტოკრატიული ეტიკეტის მიხედვით.

ყალბი იყო მისი მამის ცრემლებიც კი, როცა მას ცოლი მოუკვდა. საეშვო იყო გარდაცვალებულის მახლობლების ისტერიკაც. მწუხარების ჟამს ყველა ზრუნავდა საკუთარ პერსონაზე — იმაზე, რომ თავის თავზე შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, როგორც ამას არისტოკრატიული ეთიკა მოითხოვდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვობაში ნიკოლენკამ შენიშნა ისეთი პიროვნებაც, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა ნამდვილი ადამიანური, არახელოვნური, შეულახავი, ფაქიზი, ბუნებრივი გრძნობები. ეს იყო მათი ოჯახის ყმა, გლეხის ქალი ნატალია სავიშნა.

სწორედ ნატალია სავიშნაზე და შინაურ მასწავლებელ კარლ ივა-

ნოვიჩზე დაკვირვების შედეგად ირტენიევმა გამოიტანა დასკვნა, რომ ბატონებთან შედარებით მორალური უპირატესობა ეკუთვნით მათ ყმებს, ხალხს.

ისევე როგორც „ბავშვობის", ნაწარმოების მეორე ნაწილის „ყრმობის" სიუჟეტიც ნიკოლოზ ირტენიევის სულიერი ბიოგრაფიაა, მაგრამ აქ კრიტიკული პათოსი უფრო ღრმავდება. „ბავშვობაში" თუ ნიკოლენკას და არისტოკრატული საზოგადოების განხეთქილება ოჯახის მასშტაბით განისაზღვრება, „ყრმობაში" არისტოკრატიული წრე ფართოვდება. ახლა ოჯახის წევრებს გარდა, ჩნდებიან გარეშე ადამიანებიც, რომლებიც ნიკოლენკასთვის ზნეობრივად კიდევ უფრო მიუღებელნი არიან. ამიტომ რომანის მეორე ნაწილში კონფლიქტი კიდევ უფრო მეტად იზრდება.

ნიკოლენკა ჰეშმარიტების მაძიებელია. ნაწარმოებში იგი თითქოს კიდევაც პოულობს მას, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ ეს ის ჰეშმარიტება არ არის, რომელიც უნდა შეადგენდეს ადამიანის ცხოვრების დანიშნულებას. ამის შემდეგ, ნაწარმოების გმირი უფრო მეტი თავგამოდებით ეძებს თავისი ცხოვრების აზრს, ჰეშმარიტებას, თითქოს მიაგნებს მას, მაგრამ ეს იმედი მალე უცრუვდება. მთელი ტრილოგია სავსეა გმირის ასეთი ძიებით და სწორედ ეს აძლევს ავტორს საშუალებას რაც შეიძლება ფართოდ გვიჩვენოს გმირის შინაგანი სულიერი სამყარო და ის სინამდვილე, რომელმაც განსაზღვრა ირტენიევის სულიერი ცხოვრების წინააღმდეგობებით აღსავსე გზა.

ტრილოგიის მესამე ნაწილში, „სიჭაბუკე" ნიკოლენკა თავისი უფროსი მეგობრის ზეგავლენით გაიგებს, რომ „ყოველი ადამიანის დანიშნულებაა ზნეობრივი სრულყოფისაკენ მისწრაფება", მაგრამ ამ იდეალს არ შეუძლია მოიცვას ირტენიევის მთელი ცხოვრება. მთავარი ისაა, რომ მას არავითარი საქმე არ გააჩნია და რატომღაც ამის შესახებ სერიოზულად არც დაფიქრებულა. სწორედ ამ გარემოებამ ნაწარმოების ბოლოსწინა თავში „ახალი ამხანაგები" ნიკოლენკა რაზნოჩინელ სტუდენტებთან შიიყვანა. მათთან შეხვედრის დროს დარწმუნდა, რომ არისტოკრატობს აკლდა არა მარტო ის, რასაც იგი მანამდე ამჩნევდა, არამედ ისიც, რაც აქამდე მის ღირსებად მიაჩნდა — კულტურა. რაზნოჩინელებმა, გარდა მეცნიერებისა, მუსიკა და უცხო ენებიც კი, რომლითაც თავი მოჰქონდა არისტოკრატიას, უკეთესად იცოდნენ ვიდრე მან.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არისტოკრატი ნიკოლენკა რაზნოჩინელებთან მივიდა. იბადება კითხვა: ტოლსტოის შეეძლო თუ არა ბოლომდე ამ წრეში დაეტოვებინა თავისი გმირი და მისი ცხოვრების

მომავალი გზა დაეკავშირებინა იმ ადამიანებთან, რომლებსაც იგი თავიდანვე არ თანაუგრძნობდა? არა, არ შეეძლო.

სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ არ დაგვიწერა მან ადამიანის განვითარების „მეოთხე ეპოქა“.

ლ. ტოლსტოის ტრილოგიას, კავკასიურ და სევასტოპოლის მოთხრობებს ნ. ჩერნიშევსკიმ მიუძღვნა ღრმაშინაარსიანი წერილი. დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატმა ზუსტად განსაზღვრა ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურება. „ფსიქიკური ცხოვრების იდუმალ მოძრაობათა ღრმა ცოდნა“, ფსიქიკური პროცესის, მისი ფორმების, მისი კანონების გადმოცემის საოცარი უნარი, „სულის დიალექტიკა“.

1854 წლის იანვარში ტოლსტოი კავკასიიდან დუნაის არმიაში გადაიყვანეს. მალე იგი ყირიმის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად სევასტოპოლში გადადის და იბრძვის ერთ-ერთ მეტად სახიფათო ბასტიონზე.

ყირიმის ომის შთაბეჭდილებებზე მწერალმა სამი შესანიშნავი მოთხრობა დაწერა: „სევასტოპოლი დეკემბერში“, „სევასტოპოლი მაისში“ და „სევასტოპოლი აგვისტოში“.

„სევასტოპოლის მოთხრობებში“ ჩვენ ვხედავთ იმავე პრობლემატიკას, რაც კავკასიურ მოთხრობებშია. ეს პრობლემებია: ომის, პატრიოტიზმის, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის, გმირობისა და მამაცობის შესახებ.

ლ. ტოლსტოი ცდილობს დაარღვიოს ომზე ტრადიციული შეხედულება. მისი აზრით, ომი არ შეიცავს არავითარ რომანტიკულ ამაღლებულობას. ის საშინელია, ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, რადგან მას სიკვდილი მოაქვს. მწერალი გვიხატავს მის საზარელ სურათებს, ათასობით მომაკვდავ ადამიანთა ტანჯვა-წვალებას, დასახიჩრებულთა გვამებს, სისხლის დაგუბებულ ტბებს. მკითხველი ხედავს ომს „არა სწორ, ლამაზ, ბრწყინვალე მწყობრში, მუსიკისა და დოლის ცემით, აფრიალებული ალმებითა და მოჯირითე გენერლებით“, არამედ მის ნამდვილ გამოვლინებაში — სისხლში, ტანჯვაში, სიკვდილში“.

ლ. ტოლსტოის აზრით, ომის გმირები არიან არა ოფიცრები, არამედ ჯარისკაცები. არმიის ოფიცრებს თავი გულადებად მოაქვთ, მაგრამ სინამდვილეში მათ სიკვდილის ეშინიათ. შიშს ისინი ნაძალადევად უმაგრდებიან იმისათვის, რათა მაღალი ჩინები მიიღონ, სამსახურის ხაზით დაწინაურდნენ, ამიტომ ამ ადამიანების პატრიოტიზმიც ყალბია და ხელოვნური.

უანგაროა პატრიოტიზმი და თავდადება უბრალო ადამიანებისა,

რომლებიც ომში ჩინ-მედლებისათვის კი არა, ერის ინტერესებისათვის იბრძვიან.

ადამიანი რომ იყოს გულადი, მამაცი, უშიშარი პატრიოტი, საჭიროა მან თავდაპირველად მიაღწიოს შინაგან ზნეობრივ სრულყოფას. ამისათვის კი მას უნდა გააჩნდეს არა მარტო მდიდარი სული, არამედ ძლიერი ნებისყოფაც. მდიდარი სულის მატარებელი ადამიანები არისტოკრატებს შორისაც მოიპოვებიან, მაგრამ ისინი ვერ აღწევენ ზნეობრივ სრულყოფას, რადგან მათ არ გააჩნიათ ნებისყოფა.

ორივე ეს თვისება მხოლოდ უბრალო ხალხშია და, ამიტომ სწორედ ის აღწევს ზნეობრივ სრულყოფას, ის შეიძლება იყოს ნამდვილი გმირი, უშიშარი პატრიოტი. ხალხს ომი სძულს, სიკვდილს ერიდება, სისხლისღვრას გაურბის, მას გულმოდგინე შრომისათვის მშვიდობა უნდა და არა ომი. ომებს ხალხს ძალით ახვევს თავზე საზოგადოების გაბატონებული — ეგოისტური ნაწილი. ხალხი მხოლოდ მაშინ იღებს ხელში იარაღს, როდესაც იძულებულია თავი დაიცვას მტრისაგან, დაიცვას თავისი საკუთარი ნაშრომი, ოჯახი, ქვეყანა. აქ ხალხის ბრძოლა უანგაროა, ხალხი დევგმირია და ომის ბედსაც იგი წყვეტს. ასეთი დასკვნა გამოიტანა „სევასტოპოლის მოთხრობებიდან“ ტოლსტოიმ, და ეს აზრი ომსა და მშვიდობაზე შერჩა მას მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. ეს აზრია გატარებული აგრეთვე მის გენიალურ რომანში „ომი და მშვიდობა“.

სევასტოპოლის დაცემის შემდეგ, 1855 წლის ნოემბერში, ტოლსტოი პეტერბურგში მიემგზავრება. აქ იგი გაიცნობს რუსეთის გამოჩენილ მწერლებს: ტურგენევს, ნეკრასოვს, გონჩაროვს, ოსტროვსკის, ჩერნიშევსკის და სხვებს. დედაქალაქის ლიტერატურული წრეები მას გულთბილად ღებულობენ. ჟურნალები ერთმანეთს ეცილებიან მისი ნაწარმოებების დაბეჭდვაში, მაგრამ თვით ტოლსტოი ყველას ერიდება, ვერავის აზრმა ვერ მოხიბლა, თავიდანვე ყველას მიმართ სკეპტიკურად განეწყო. მას არ მოსწონდა არც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, რომლებიც განმანათლებლობასა და რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ქადაგებდნენ და არც მათი მოწინააღმდეგე კონსერვატორები, რომლებიც იცავდნენ თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილეს. მაგრამ ამ ორიდან იგი ახლოს მაინც პროგრესულ ბანაკთან იყო. 3—4 თვის განმავლობაში ტოლსტოი ტურგენევის ბინაში ცხოვრობდა და ჟურნალ „სოვრემენნიკის“ თანამშრომლებთან სიახლოვეში ატარებდა დროს.

1856 წლის გაზაფხულზე ტოლსტოიმ სამუდამოდ დაანება თავი სამხედრო სამსახურს და იასნაია პოლიანაში დასახლდა. რამდენიმე თვის შემდეგ (1857 წ.) იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა.

ევროპაში ტოლსტოიმ თითქმის ექვსი თვე დაჰყო. მან იმოგზაურა საფრანგეთში, იტალიაში და გერმანიაში. პარიზში შესვდა ტურგენევს, ნეკრასოვს და სხვა რუს მოღვაწეებს.

პირველ ხანებში ევროპა რუს მწერალს მოეწონა, მაგრამ შემდეგ რაც უფრო მეტად უკვირდება იქაურ ცხოვრებას, მით უფრო მეტად სძულდება ის. პარიზში მან თავისი თვალით ნახა ადამიანის სიკვდილით დასჯის შემაძრწუნებელი სურათი, ხოლო ლიუცერნში მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ უგულოდ და უსინდისოდ მოექცნენ მდიდარი ადამიანები მოხეტიალე მუსიკოსს. ლიუცერნში ნანახი ამბავი მწერალმა აღწერა მოთხრობაში „ლიუცერნი". ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც მწერალმა საზღვარგარეთ ყოფნის დროს დაწერა. აქვე დროს პირველი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც უარყოფილია ბურჟუაზიული მორალი, პროგრესი, ცივილიზაცია, წესწყობილება. „ძალიან სუფთაა მატერიალურად ეს ევროპული ცხოვრება, მაგრამ საშინლად ბინძურია ის სულიერად"., ასეთი დასკვნით დაბრუნდა ტოლსტოი სამშობლოში 1857 წლის ივლისის ბოლოს.

საზღვარგარეთიდან ტოლსტოი ისევ თავის იასნაია პოლიანაში დაბრუნდა. აქ იგი შეუდგა მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მაგრამ 1860 წელს მწერალი ისევ გაემგზავრა საზღვარგარეთ. მან ცხრა თვე დაჰყო საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიაში, ინგლისში. აქ იგი შეხვდა და საუბარი ჰქონდა გერცენთან, პრუდონთან, ინგლისში ისმენდა დიკენსის ლექციებს აღზრდის საკითხებზე, ეცნობოდა ევროპის ქვეყნების სწავლა-განათლების სისტემას და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს მასზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა, ტოლსტოის აზრები ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სულ სხვა მიმართულებით, ეპოქის მიერ დასმულ კითხვებზე იგი სხვაგვარ პასუხს ამზადებდა.

60-იან წლებში ტოლსტოიმ უკვე ჩამოაყალიბა თავისი საკუთარი კონცეფცია სოციალურ, ფილოსოფიურ და ეთიკურ საკითხებში, რომელიც არ შეესაბამებოდა არც დემოკრატების რევოლუციურ თეორიას, არც კონსერვატორების სლავოფილურ შეხედულებებსა და არც ლიბერალების უნიათო იდეებს. 1859 წელს ტოლსტოიმ იასნაია პოლიანაში გლეხის ბავშვებისათვის გახსნა სკოლა, დაიწყო პედაგოგიური ჟურნალის „იასნაია პოლიანას" გამოცემა და დიდი ყურადღება მიაპყრო როგორც პედაგოგიურ პრაქტიკას, აგრეთვე მის თეორიას. სტატიაში „სახალხო განათლების შესახებ" მწერალმა სასტიკად გააკრიტიკა მეფისდროინდელი სკოლა, მაშინდელი აღზრდის სკოლასტიკური პრინციპები, რომლებიც უცხო და მიუღებელი იყო ხალხისათვის.

60-იან წლებში დაბეჭდა მხატვრული ნაწარმოებები: „ოჯახური ბედნიერება“, „სამი სიკვდილი“, „პოლიკუშკა“, „კაზაკები“ და სხვ.

სწორედ ამ მოთხრობებსა და პედაგოგიურ წერილებში გამოთქვა მწერალმა თავისი სოციალური, ფილოსოფიური, ეთიკური და რელიგიური შეხედულებები.

მწერალი ამტკიცებდა, რომ ცივილიზაცია, პროგრესი ხალხის დამღუპველია, რომ პროგრესი არსებითად სრულებითაც არ ნიშნავს მატერიალური და ზნეობრივი თვალსაზრისით წინსვლას, გაუმჯობესებას. ამიტომ იდეალი უნდა ვეძიოთ არა მომავალში, არამედ წარსულში.

პროგრესი, ტოლსტოის აზრით, კაცობრიობისათვის არც საჭიროა და არც აუცილებელი, აღმოსავლეთის ხალხები ასცდნენ პროგრესის გზას და ამით ისინი ბედნიერები არიან. ბურჟუაზიული ცივილიზაცია აღრმავებს უფსკრულს ადამიანსა და ბუნებას შორის, რაც უფრო მეტად სცილდება ხალხი ბუნებას, თავის პირვანდელ პატრიარქალურ მდგომარეობას, ზნეობრივად მით უფრო მეტად სახიჩრდება.

ბუნებას უფრო მეტად განათლებული საზოგადოება დაშორდა და ამიტომ ზნეობრივად ის უფრო გადაგვარდა ვიდრე მშრომელი ხალხი, რომელიც ბუნებასთან ახლოა. „ვინ მეტადაა ადამიანი და ვინ ბარბაროსი,— კითხულობს მწერალი მოთხრობაში „ლიუცერნი“,— კეთილშობილი ლორდი თუ უსახლკარო მუსიკოსი?“ ავტორის პასუხი ნათელია. რასაკვირველია, ნამდვილი ადამიანური კეთილშობილება ღარიბ მუსიკოსშია და არა მდიდარ ინგლისელ ლორდში. უბრალო ხალხთან დაახლოებისა და ბუნების ცხოვრებასთან შერწყმის აზრია გატარებული აგრეთვე მოთხრობაში „სამი სიკვდილი“, რომლის შესახებაც თვით მწერალი წერდა: „ჩემი აზრი იყო: მოკვდა სამი არსება: ქალბატონი, გლეხი და ხე. ქალბატონი უბადრუკი და საზიზღარია იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტყუოდა და ტყუის სიკვდილის წინაშეც. ქრისტიანობა, როგორც იგი მას ესმის, არ წყვეტს მისთვის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხს... გლეხი დამშვიდებულად კვდება სწორედ იმიტომ, რომ ის ქრისტიანი არ არის, მისი სარწმუნოება სხვაა. თუმცა ჩვეულების მიხედვით ქრისტიანულ წესებს ასრულებდა, მისი სარწმუნოება ბუნებაა, რომლის წიაღში ის ცხოვრობდა... ხე კვდება მშვიდად, პატიოსნად და ლამაზად, ლამაზად — იმიტომ, რომ არ ტყუის, არ იპრანჭება, არ ეშინია, არ ნანობს“.

აქ ტოლსტოი ადიდებს ბუნებას, მის სიცოცხლეს, აძაგებს ადამიანს, რომელიც ბუნებას დაშორდა, მაგრამ ქალბატონის უბადრუკობა, რასაკვირველია, მარტო ამით არ აიხსნება. ძნელია თქმა, ფიქრობდა თუ არა მწერალი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზზე,

რომელმაც ქალბატონის ზნეობრივი დაქვეითება გამოიწვია. მოთხრობის შინაარსის მიხედვით ამის პირველი მიზეზი სოციალური პირობებია.

ბურჟუაზიული ცივილიზაციისა და არისტოკრატიული ყოფა-ცხოვრების კრიტიკას ტოლსტოი უფრო მეტად აღრმავებს მოთხრობაში „კაზაკები“, რომელიც მან 1852 წ. კავკასიაში დაიწყო, ხოლო დაბეჭდა 1863 წელს.

„კაზაკები“ აგებულია ბუნებისა და კულტურის მკაცრ დაპირისპირებაზე. ერთი მხრივ, ჩვენ ვხედავთ პატრიარქალურ ყოფა-ცხოვრებასა და ბუნების წიაღში აღზრდილ ადამიანებს, რომლებსაც ცივილიზაცია არ შეხებია, ხოლო, მეორე მხრივ, განათლებული არისტოკრატიული საზოგადოების წარმომადგენელს დიმიტრი ოლენინს. ამ მკვეთრი დაპირისპირების დროს მწერალი გვიჩვენებს ბუნებისა და ბუნების შვილების უპირატესობას ცივილიზებულ არისტოკრატიასთან შედარებით.

დიმიტრი ოლენინი, რომელსაც მობეზრდა თავისი საზოგადოების უფერული ცხოვრება, კავკასიაში ჩამოსულა და აქ სურს სულიერი აღორძინება პატრიარქალურ მთიელ კაზაკებთან დაახლოების გზით. იგი კაზაკების ცხოვრებას გაფაციცებით ადევნებს თვალს და სურს მიაგნოს იმ თვისებებს, რომლებითაც ხასიათდება კაზაკების ცხოვრება, რომლებითაც ისინი ჩისგან განსხვავდებიან. თავდაპირველად მან იფიქრა, რომ ყველაზე ძლიერი თვისება, რომელიც განსაზღვრავს კაზაკების ხასიათსა და რომლითაც განსხვავდებიან ისინი სხვებისაგან, იყო ალტრუიზმი — ცხოვრება სხვისათვის და არა თავისთვის. ამ რწმენით ოლენინმა დაიწყო ეგოიზმისაგან, როგორც ყველაზე უფრო მანკიერი თვისებისაგან, განთავისუფლება. მან საკუთარი ცხენი აჩუქა ახალგაზრდა კაზაკ ლუკაშკას, მასვე დაუთმო ლამაზი კაზაკის ქალიშვილი მარიანა, რომელიც საცოლედ უნდოდა. მაგრამ ოლენინი მალე დარწმუნდა, რომ შეცდა. კაზაკები ცხოვრობდნენ თავიანთი თავისთვის და არა სხვისთვის.

ლუკაშკასათვის გაუგებარი იყო ოლენინის საჩუქარი, მან ეჭვის თვალით შეხედა რუს ოფიცერს და უნდობლად ეპყრობოდა მას. იგივე ლუკაშკა არა თუ არ ფიქრობდა სხვის ბედნიერებაზე, არამედ კაცი მოკლა და ამ საშინელ „უბედურებას იგი დღესასწაულობდა, ხოლო კაზაკები მას გამარჯვებას ულოცავდნენ.

მაშ რა იყო ის ძნელად მისაწვდომი თვისება, რომელიც გააჩნდათ კაზაკებს — მოხუც ეროშკას, ლუკაშკას, მარიანას და სხვებს. ეს იყო უშუალო ბუნებრივი გრძნობა. კაზაკები იქცეოდნენ ისე, როგორც მათ გული უკარნახებდათ. ისინი იყვნენ ისეთივე გულღია, მარტივი, სუფთა, როგორიც თვით ბუნებაა. მათი მოქმედება წინასწარ მო-

ფიქრებული კი არ იყო, არამედ სტიქიური, ისინი იქცეოდნენ არა საზოგადოების მიერ დადგენილი ეთიკური ნორმების მიხედვით, არამედ საკუთარი უშუალო სურვილით, ინსტინქტით. ეს ითქმის განსაკუთრებით მოხუც ეროშკაზე, რომელთანაც ოლენინი მეგობრობდა და, რომლის ცხოვრებაც თავისი უშუალობით ბუნების ცხოვრებას მოგვაგონებდა.

ოლენინმა ახალი იდეალის ძიებაში სასტიკი მარცხი განიცადა, მან ვერ მიაღწია სულიერი ცხოვრების განახლებას, გაუბრალოებას, რადგან ამისათვის საჭირო იყო ბავშვობიდანვე ბუნებასთან ისეთი შერწყმა, როგორიც ეროშკამ და სხვა კაზაკებმა განიცადეს.

სპეტაკი, უშუალო ბუნებრივი გრძნობების მატარებელი ხალხია, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი სიყალბე, ხელოვნურობა, წინასწარ გააზრებული ეგოიზმიც და ალტრუიზმიც. აი ასეთი აზრია გატარებული მოთხრობაში „კაზაკები“.

„ომი და მშვიდობა“ („Война и мир“). 1863—1869 წლებში ტოლსტოი მუშაობდა დიდ ეპიურ ქმნილებაზე „ომი და მშვიდობა“. თავდაპირველად მას უნდოდა დაეწერა რომანი დეკაბრისტების შესახებ, მაგრამ მუშაობის პროცესში იგი დარწმუნდა, რომ დეკაბრისტული მოძრაობის ფესვები 1812 წლის სამამულო ომის პერიოდშია გადგმული და რომანიც ამ ეპოქის აღწერით უნდა დაწყებულიყო.

სანამ რომანის წერას შეუდგებოდა, ტოლსტოიმ საფუძვლიანად შეისწავლა ისტორიული ლიტერატურა ნაპოლეონის ომების შესახებ, იგი გაეცნო საარქივო მასალას რუსულ და ფრანგულ ენებზე, შეისწავლა მანამდე ბევრი გამოუქვეყნებელი ისტორიული დოკუმენტი, მემუარული ლიტერატურა, შეკრიბა ომის ვეტერანთა მრავალი ზეპირი მოგონება და ა. შ.

რომანი „ომი და მშვიდობა“ ოთხი ტომისაგან შედგება. თავისი გრანდიოზულობით, მხატვრული სიღრმითა და დიდი ისტორიული მოვლენების ეპიური აღწერით მას ანტიკური ეპოსის შედევრს „ილიადასა“ და „ოდისეას“ ამსგავსებენ.

რომანში 558 მხატვრული პერსონაჟია. მათ შორის ზოგი ისტორიული პირია, მაგრამ უფრო მეტი ავტორის მიერ გამოგონილი მხატვრული სახეებია. მხატვრული სახეების სიჭარბის მიუხედავად „ომი და მშვიდობა“ კომპოზიციურად ერთ მტკიცედ შეკრულ დიდ მხატვრულ ქმნილებას წარმოადგენს. ყოველი პერსონაჟი თავისი შინაგანი თვისებებით ინდივიდუალურია, განუმეორებელი.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი რომენ როლანი წერდა, რომ ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ გმირები ისე არიან დახატული,

რომ არაფრად არ დაგვიწყებათ. ყველა ეს ჯარისკაცები, გლეხები, არისტოკრატები, რუსები, ფრანგები, ავსტრიელები: ამ პორტრეტების გალერეას ბადალი არ მოეპოვება მთელს ევროპულ ლიტერატურაში".

რომანში „ომი და მშვიდობა" დახატულია XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთის საზოგადოება. ამ საზოგადოების თითქმის ყველა სოციალური ფენა, რომელიც თავისებურ გამოცდას იტარებს მეტად მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი ერისა და ქვისი ისტორიის წინაშე.

ისევე როგორც „სევასტოპოლის მოთხრობებში" „ომსა და მშვიდობაშიც" ტოლსტოი უარყოფს ომს. მწერლის აზრით, ომი ეწინააღმდეგება საღი ადამიანის ბუნებას, იგი არაბუნებრივი, ყოვლად უგუნური მოვლენაა. აქიტომ, ომს იწყებენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ცივილიზაციამ დაუშრო ფაქიზი, ბუნებრივი თვისებები, მაღალი ჰუმანური გრძნობები შეუცვალა ვიწრო ეგოიზმით, პატივმოყვარეობით. ტოლსტოის აზრით, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ომი დაიწყო ისეთმა ქვეყანამ, რომელიც სათავეში ედგა ევროპის ცივილიზაციას, ქვეყანამ, რომელმაც ყველაზე უფრო მეტად განიცადა ბურჟუაზიული კულტურის საბედისწერო გავლენა.

გლეხობას ომი არ სურს, იგი მის ბუნებას ეწინააღმდეგება, ტოლსტოი ომის სათავეს პატრიარქალურ რუსეთში კი არ ეძებს, არამედ განათლებულ, აგრესიულად განწყობილ ბურჟუაზიულ საფრანგეთში.

ნაპოლეონი ცივილიზებული სამყაროს პირშია, მისი უკიდურესი ეგოიზმისა და პატივმოყვარეობის ტიპიური წარმომადგენელი.

ტოლსტოის აზრით, ნაპოლეონი სრულებითაც არ არის გენიალური პიროვნება, პირიქით, იგი ეგოიზმისა და განდიდების მანიით შეპყრობილი მსოფლიო მასშტაბის ყაჩაღია. იგი ომს ეგოისტური მიზნით ეწევა, ომი მარტო მას სურს და არა მის ხალხს, იმის მოქმედებას ხალხისათვის შიშილი, სიკვდილი და მრავალი სხვა გასაჭირი მოაქვს.

ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ კაცობრიობის ბედი მასზე იყო დაშვიდებული, რომ ისტორიის სადავეები მის ხელში იყო, მაგრამ ტოლსტოის აზრით, ისევე როგორც ყველა სუბიექტურად მოაზროვნე ადამიანი, ნაპოლეონიც ცდებოდა. ისტორიას მართავს არა პიროვნება, არამედ ხალხი. ომში გამარჯვება ჯარისკაცებზეა დამოკიდებული და არა მხედართმთავრებზე.

ლევ ტოლსტოი საზოგადოდ, ვერ აფასებდა პიროვნების როლს ისტორიაში, მან ნაპოლეონის მიმართაც ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩი-

ნა, მაგრამ ძირითადად მწერლის მიერ მაინც სწორადაა დახატული ისტორიულ მოღვაწეთა სახეები.

რომანში უკიდურეს ეგოისტ ნაპოლეონს უპირისპირდება რუსი პატრიარქალური გლეხი პლატონ კარატაევი. ეს ორი საწინააღმდეგო ტიპია. ერთი ცივილიზებული საფრანგეთის წარმომადგენელია, მეორე — პატრიარქალური რუსეთის.

ნაპოლეონი ეგოისტია, მას საკუთარი „მე“ ამოძრავებს, კარატაევი პირიქით, მოკლებულია საკუთარ „მე“-ს, იგი გათქვეფილია საერთოში, მთლიანში, მის ლექსიკონშიც კი არ მოიპოვება „მე“. იგი არასოდეს არ ამბობს „მე გავაკეთე“, „მე შევქმენი“, არამედ „ჩვენ გავაკეთეთ“, „ჩვენ შევქმენით“. კარატაევი მოკლებულია კერძოს, ინდივიდუალობას, მეობას, პირადულობას, მასში განსახიერებულია საერთო ეროვნული, ხალხური „ყოველივე რუსული, კეთილი“. კარატაევის ენა ძარღვიანია, ხალხური, უბრალო და მდიდარი. იგი სულ ანდაზებით და გამოცანებით ლაპარაკობს.

კარატაევის ძალა ხალხშია და არა საკუთარ „პირად განსაკუთრებულ ღირსებაში, მისი ნაკლი და ღირსება ხალხიდან გამომდინარეობს. ამიტომ, ბუნებრივია, ნაპოლეონისებურ ბურჟუაზიულ ევროპასა და კარატაევისებურ რუსეთს შორის შეჯახებაში გამარჯვებული გამოდის რუსეთი და არა საფრანგეთი: სამამულო ომში, ტოლსტოის აზრით, გაიმარჯვა წყნარმა და ბრძენმა რუსმა გლეხმა, რომელსაც ბუნებით სძულს ყოველგვარი ომი.

პლატონ კარატაევი, რა თქმა უნდა, არ არის ტიპიური წარმომადგენელი იმ მრავალმილიონიანი რუსეთის გლეხობისა, რომელმაც 1812 წელს სამამულო ომი მოიგო, ტოლსტოიმ იგი თავისი საკუთარი ფილოსოფიური და ეთიკური პრინციპების მიხედვით დახატა. მაგრამ ამის მიუხედავად, მის ხასიათში ვხედავთ ბევრ ისეთ სულიერ ღირსებას, რომელიც დამახასიათებელია მაშინდელი დროის რუსი გლეხისათვის.

ნაპოლეონისა და კარატაევის ტიპები ანტიპოდებია; თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი მსგავსი ადამიანები. უარყოფითი ადამიანები ნაპოლეონისებური ეგოიზმით არიან შეპყრობილნი, დადებითნი — კარატაევისებური სიბრძნითა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით. მაგრამ ტოლსტოი ამ სქემის მიხედვით არ ანვითარებს რომანის სიუჟეტსა და ხასიათებს. ნაწარმოებში მთავარია ისტორიული სიმართლე, ცხოვრების დინების შინაგანი კანონზომიერება, ხასიათის განვითარების ფსიქოლოგიური კანონი და არა წინასწარ აღებული რაიმე სქემა.

სწორედ რეალისტური მეთოდის გამარჯვებას უნდა მივაწეროთ

ის, რომ ტოლსტოის მცდარი ფილოსოფიური კონცეფციის მიუხედავად რომანში „ომი და მშვიდობა“ ძირითადად სწორად არის დახატული XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება, 1812 წლის სამამულო ომი და ომში მონაწილე ადამიანები თავიანთი სულიერი მისწრაფებებითა და ინტერესებით.

რომანში მრავალი დიდი და მცირე მნიშვნელობის მოვლენაა ასახული, ბევრი საზოგადოებრივი ან ინტიმური ხასიათის ამბავი, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება გავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: პირველი ჯგუფი იქნება ამბები, რომლებიც ომთან არიან დაკავშირებული და მეორე ჯგუფი — ამბები, რომლებიც მშვიდობიან ცხოვრებასთან არიან დაკავშირებულნი. ეს გაყოფა, რასაკვირველია, პირობითია, რადგან ორიეე ხასიათის ამბები ერთმანეთზეა გადახლართული.

თვით ომი ტოლსტოის მიერ დახატულია როგორც ნამდვილად სახალხო, რომელიც შეეხო მთელი რუსი ერის სასიცოცხლო ინტერესებს. ამ ომში მარტო რუსეთის არმია კი არ იბრძვის თავისი გენერლებითა და ოფიცრებით, არამედ მთელი რუსეთი, რუსი ხალხი. ეს ყველაზე ნათლად პარტიზანულ მოძრაობაში ვლინდება. ტოლსტოი გვიჩვენებს, რომ ომის დროს ძალდაუტანებლივ, სტიქიურად ხალხისაგან შეიქმნა მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმები, რომლებშიც მამაკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ.

რომანის მიხედვით, ომის ხალხური ხასიათი მარტო პარტიზანულმა მოძრაობამ კი არ განსაზღვრა, არამედ თვით არმიის რეგულარული ნაწილების ბრძოლებმაც. ოფიცერ ტიმოხინის, კაპიტან ტუშინის და სხვების გმირობა ფრონტზე მაგალითია იმ მამაცი და თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც 1812 წელს დიდი რუსი ხალხი ბერძის წინააღმდეგ ეწეოდა. ტოლსტოის აზრით, სახალხო ომს საომარეში უნდა ჰყოლოდა ადამიანი, რომლისთვისაც მახლობელი იყო ყოველივე რუსული, ხალხური, ეროვნული, რომელიც დარწმუნებული იყო რუსი ხალხის დიდ შინაგან სულიერ ძალ-ღონეში.

მწერლის აზრით, ასეთი იყო სწორედ გამოჩენილი რუსი მხედართმთავარი მიხეილ კუტუზოვი.

კუტუზოვის სახე. რომანში „ომი და მშვიდობა“ მიხეილ კუტუზოვი დახატულია როგორც პეშმარიტად სახალხო გმირი. მის სახეში გამოკვეთილია რუსი ერის ღირსებები: სიბრძნე, გონიერება, სიკეთე. მართალია, მწერლის მიერ დახატული კუტუზოვი თავისი პასიურობით, რელიგიურ-ფატალისტური მსოფლმხედველობით განსხვავდება ნამდვილი ისტორიული კუტუზოვისაგან, მაგრამ ძირითადად ის მაინც ისტორიულად სწორ და ნათელ წარმოდგენას იძლევა დიდ რუს მხედართმთავარ კუტუზოვზე.

იმავე როგორც რომანის სხვა ძირითადი საკითხების შეფასებაში, კუტუზოვის სახეშიც აშკარად გამოვლინდა ტოლსტოის როგორც მხატვრისა და მოაზროვნის წინააღმდეგობები. ერთი მხრივ, კუტუზოვი პასიურია, მთელმარე, ფატალისტი, ომის სტიქიური დინების მომხრე, მაგრამ მეორე მხრივ, გამარჯვების ორგანიზატორი, დიდი რუსეთის არმიის სარდალი, ჭკვიანი სტრატეგი, რომელიც ნათლად ხედავს არა მარტო სამამულო ომის ცალკეულ ეპიზოდურ ბრძოლებს, არამედ მის აუცილებელ შედეგებსაც, მათი განვითარების კანონზომიერებას.

ერთი მხრივ, ტოლსტოის კუტუზოვი ეგუება მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, არ ერევა მათ განვითარებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე კუტუზოვი ხელს უწყობს არმიისა და ხალხის პატრიოტულ აზვირთებას, მის აქტიურ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ერთი მხრივ, ტოლსტოის კუტუზოვი ფიქრობს, რომ მსოფლიო ამბების მსვლელობა წინასწარ განსაზღვრულია „ზევიდან", რომ ადამიანთა მასების მოძრაობას დასაბამითვე „განგება" ხელმძღვანელობს. „იგი ყველაფერს მოისმენს, ყველაფერს დაიმახსოვრებს, ყველაფერს დააყენებს თავის ადგილზე,— ამბობს ანდრეი ბოლკონსკი კუტუზოვის შესახებ,— რაც სასარგებლოა, იმას არ დააბრკოლებს და, რაც საზიანოა, იმას არ დაუშვებს. მას ესმის, რომ არის რაღაცა, რაც მის სურვილზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია: ეს არის მოვლენათა აუცილებელი სვლა, და მას აქვს უნარი მათი მნიშვნელობა გაიგოს და ამ გაგების გამო შეუძლია თავი შეიკავოს ამ მოვლენებში ჩარევისაგან, თავი შეიკავოს პირადი ნებისაგან". „კუტუზოვს არარაობად მიაჩნდა ცოდნაც, ჭკუაც: მან იცოდა რაღაც სხვა, რასაც უნდა გადაეწყვიტა საქმე,— რაღაც სხვა, ჭკუისაგან და ცოდნისაგან დამოუკიდებელი". მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე კუტუზოვი ანხორციელებს მტრის დამარცხების სტრატეგიულ გეგმებს. იგი მოქმედებს არა ინტუიციით, ანარქიულად, შინაგანი ფიქრისა და განსჯის გარეშე, არამედ წინასწარ მოფიქრებული გრანდიოზული გეგმის თანახმად, რომელიც ითვალისწინებდა ნაპოლეონის ეეებერთელა უძლეველი არმიის თანდათანობით დასუსტებას უკანდახევის საშუალებით, ომში მთელი რუსი ხალხის ჩაბმას, დაბოლოს დასუსტებულის საბოლოოდ განადგურებას.

როგორც ვხედავთ, ტოლსტოის მსოფლმხედველობას უპირისპირდება ისტორიული ჭეშმარიტება, სიმართლე, რომელსაც დიდი რეალისტი არ ღალატობს, ნებსით თუ უნებლიეთ უმორჩილებს მას საკუთარ სუბიექტურ ფილოსოფიურ შეხედულებებს.

ჭეშმარიტებისადმი ასეთი ერთგულებით მიაღწია მწერალმა კუ-

ტუზოვისა და სხვა ისტორიული პირების იდეურ და მხატვრულ სრულყოფას, მათი სახეების გაცოცხლებასა და ტიპიურობას.

კუტუზოვის სახე რომანში „ომი და მშვიდობა“ მოკლებულია ყოველგვარ სქემატურობას. ნაწარმოებში იგი წარმოდგენილია როგორც ჩვეულებრივი, ცოცხალი ადამიანი, რომელსაც გააჩნია მეტად მდიდარი სული და ნათელი გონება, მაღალი მორალი, სპეტაკი, ჰუმანური გრძნობები. კუტუზოვი დამპყრობლების წინააღმდეგ ეწევა ულმობელ ბრძოლას, მაგრამ, ამავე დროს, დაუშვებლად მიაჩნია ფრანგი ხალხისადმი სიძულვილი. იგი ყველას აფრთხილებს, რომ ცუდად არ მოექცნენ ფრანგ ტყვეებს.

რომანში კუტუზოვის გარდა წარმოდგენილია აგრეთვე ბევრი სხვა ისტორიული პირიც. მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა გენერალ ბაგრატიონის სახე, რომელსაც ტოლსტოი ისეთივე დიდი სიმპათიებით გვიხატავს, როგორც კუტუზოვისას.

ნაწარმოებში ისტორიულ პირებზე ბევრად უფრო მეტია მწერლის მიერ გამოგონილი მხატვრული სახეები. ასეთი სახეების რაოდენობა ხუთასზე მეტია, მაგრამ მათგან მკითხველის ყურადღებას ყველაზე მეტად ბოლკონსკები, როსტოვები, კურაგინები და ბეზუხოვები იპყრობენ. ოთხივე ოჯახი თავადაზნაურულია, მაგრამ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ზოგი დადებითია და ზოგი უარყოფითი. დადებითია ის ოჯახი, რომელიც ხალხთანაა დაახლოებული, უშუალო და ბუნებრივ ცხოვრებას ეწევა, ხოლო უარყოფითია — ხალხისაგან მოწყვეტილი, არაბუნებრივი, ყალბი, ხელოვნური თვისებების მატარებელი ოჯახი. რომანის სიუჟეტი იშლება ამ ორი საწინააღმდეგო თვისებებისა და მისწრაფებების ადამიანთა ერთიმეორესთან დაპირისპირების გზით.

ლ. ტოლსტოისათვის მთავარია თავისი დადებითი გმირების სულიერი სამყაროს, მათი პირადი და საზოგადოებრივი მისწრაფებების, ზნეობრივი და ინტელექტუალური ცხოვრების ჩვენება. მწერლის საყვარელი გმირების — ანდრეი ბოლკონსკისა და პიერ ბეზუხოვის ცხოვრება არსებითად მაღალი კეთილშობილური იდეალების, ადამიანის ცხოვრების აზრისა და დანიშნულების დაუცხრომელი ძიებაა. დადებითი გმირების ეს ძიება აღსავსეა არა მარტო შინაგანი დრამატიზმით, არამედ მრავალი პირადი და საზოგადოებრივი ხასიათის კონფლიქტითაც, რომლებიც წარმოიშობიან, როგორც წესი, მოწინააღმდეგეებთან შეჯახების ნიადაგზე.

უარყოფითია, პირველ რიგში, თავად ვასილ კურაგინის ოჯახი, რომლის წევრებიც სატახტო ქალაქში ფუქსავატურ ცხოვრებას ეწევიან. ვასილ კურაგინი აქტიური პიროვნებაა, მაგრამ მისი მოქმედება

უარყოფით ხასიათს ატარებს, იგი კარიერისტია და უპატიოსნო გზით ცდილობს მიაღწიოს გამდიდრებას. უფრო უარესები არიან მისი ვაჟიშვილები იპოლიტე, ანატოლი და ქალიშვილი ელენე. იპოლიტე იდიოტია, როგორც მას მამა ეძახის, წყნარი სულელია, ხოლო ანატოლი — მოუსვენარი სულელი. ელენე უფრო მეტად ჰგავს თავის მამას, ისიც აქტიურია, მაგრამ ზნეობრივად უფრო გადაგვარებული, ბოროტი, ცინიკოსი.

სატახტო ქალაქის თავადაზნაურობისათვის, რომლის ტიპიური წარმომადგენლები კურაგინებია, უცხოა ისეთი მაღალი კეთილშობილური იდეალები, როგორიცაა პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი. მართალია, ომის დროს ვასილ კურაგინი ხშირად ლაყბობს სამშობლოსადმი ერთგულების შესახებ, მაგრამ სინამდვილეში მას არავითარი სიყვარული თავისი ხალხისა და ერისადმი არ ამოძრავებდა. ამ გაიძვერა მოხელის პატრიოტიზმი იყო ისეთივე ყალბი, როგორც მოსკოვის გუბერნატორ გრაფ რასტოპჩინისა და რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატიული აპარატის სხვა მოხელეთა ფსევდოპატრიოტული მოწოდებები. მაგრამ რუსეთის თავადაზნაურულ საზოგადოებას ჰყავს არა მარტო კურაგინები, არამედ ისეთი კეთილშობილი ადამიანებიც, როგორებიც არიან ბოლკონსკები, ბეზუხოვები და როსტოვები.

ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი. ტოლსტოიმ თავისი აზრი ცხოვრებაზე, ადამიანებზე, ადამიანის ცხოვრების აზრზე და მისი არსებობის უმაღლეს ზნეობრივ დანიშნულებაზე გამოხატა უმთავრესად ანდრეი ბოლკონსკისა და პიერ ბეზუხოვის შეხედულებებით. მწერალს თავისი გმირები ყოველთვის იმ დიდ ისტორიულ მოვლენათა განვითარების ცენტრში ჰყავს, რომლებიც რუსეთმა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში განიცადა. ბოლკონსკისა და ბეზუხოვის შინაგანი სულიერი ცხოვრება ამ დიდ მოვლენათა ზეგავლენით მიმდინარეობს. მათი სულიერი განცდები, კრიზისები, აზრთა ჰიდილი და ვნებათა ღელვა, სიხარული და წუხილი — ყველაფერი კავშირშია მაშინდელი დროის რუსი ერის ცხოვრებასთან. ტოლსტოის გმირები თითქოს დიდ გამოცდას უძლებენ თავისი ერის ამ მეტად მრისხანე და საბედისწერო ჟამს.

რომანის მიხედვით ამ გამოცდას ბრწყინვალედ უძლებს რუსი ხალხი და მასთან ახლო მდგომი მოწინავე იდეებით განმსჭვალული თავადაზნაურობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებიც არიან ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი. ამავე დროს თავიანთ ნამდვილ სახეს უჩვენებენ სამეფო კარის მოხელე-აზნაურობა, რომე-

ლიც დიდი ხანია მოსწყდა ხალხს, გადაგვარდა, ეწევა უაზრო ფუქსავატურ ცხოვრებას. მისთვის უცხოა, როგორც საზოგადოდ ადამიანის ზნეობრივი იდეალები, აგრეთვე მთელი ხალხისა და ერის ინტერესები.

ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი განათლებული და კეთილშობილი ადამიანებია. მათი ცხოვრება ხასიათდება ჭეშმარიტების მუდმივი და დაუცხრომელი ძიებით. ადამიანისათვის მთავარია ადამიანური ღირსება, მაღალი ზნეობრივი მოვალეობის შეგნება, საზოგადოების, ქვეყნისა და ყოველი პიროვნების მიმართ.

ანდრეი ბოლკონსკისა და პიერ ბეზუხოვის განხეთქილება საკუთარ საზოგადოებასთან აიხსნება სწორედ იმით, რომ უკანასკნელს დაკარგული ჰქონდა მოვალეობის გრძნობა.

ორივე გმირმა იდეური და სულიერი ძიების მეტად რთული და ეკლიანი გზა გაიარეს. ამ ძიების დროს ისინი ხშირად ცდებოდნენ, ხანდისხან ადამიანის მოღვაწეობის დადებით მხარედ მიიჩნევდნენ მეტად საეჭვო ან სრულიად არაკეთილშობილურ საქმეს. მაგრამ არასოდეს ისინი სინდისს არ ღალატობდნენ.

ანდრეი ბოლკონსკი ერთხანს სახელისა და დიდების მოხვეჭაზე ოცნებობდა, ალექსანდრე პირველის მინისტრ სპერანსკის ხელმძღვანელობით რეფორმების შედგენაში მონაწილეობდა, მაგრამ მალე დარწმუნდა ამ საქმიანობის უაზრობაში. ბოლკონსკის მსგავსად პიერსაც ბევრჯერ გაუცრუვდა იმედი, იგი ერთხანს მასონებს დაუახლოვდა, მათ ლოჟაში შესვლა გადაწყვიტა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მასონების მისტიციზმი მისთვის უცხო და მიუღებელი იყო.

პიერ ბეზუხოვმა ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი გაიგო საპყრობილეში უბრალო გლეხი კარატაევისაგან, მან ზნეობრივ განახლებას, სულიერ აღორძინებას მიაღწია რუსი პატრიარქალური გლეხის ზეგავლენით, მაგრამ ვერც ამის შემდეგ მოიპოვა ნამდვილი სიმშვიდე. რომანის დასასრულს ბეზუხოვი ღალატობს კარატაევისებურ ეთიკურ პრინციპს, რადგან იგი დეკაბრისტების ფარულ ორგანიზაციაში შედის და ამით ბოროტებას წინ აღუდგება.

ანდრეი ბოლკონსკი ბოლომდე ჭეშმარიტების მაძიებლად რჩება. მან მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე აღიარა კარატაევისებური მორალი, გაიგო, რომ სიყვარული არის ღმერთი, რომ ადამიანს უნდა უყვარდეს ყოველი ადამიანი და ეს არის მისი ცხოვრების უმაღლესი დანიშნულება.

მაგრამ თუ დავაკვირდებით პიერ ბეზუხოვისა და ანდრეი ბოლკონსკის მხატვრული სახეების ობიექტურ განვითარებას, მათ სულიერ, იდეურ ფორმირებას, დავრწმუნდებით, რომ მათი აღორძინება,

მძიმე კრიზისისაგან გადარჩენა ხდება არა კარატაევისებური მოხეტიალე-მხედველობის აღიარებით, როგორც ეს ავტორს უნდოდა, არამედ 1812 წლის სამამულო ომის ზეგავლენით. საზღვარგარეთ 1805 1807 წლების ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ანდრეი პესიმიზმმა შეიპყრო. მას გული გაუტყდა ცხოვრებაზე, აუსტერლიცის ველზე მძიმედ დაჭრილმა მშვიდ ცას რომ შეხედა, მაშინ გაიგო რამდენად პატარები და თანაც ბოროტები იყვნენ ადამიანები, მაშინ გაიგო, რომ ნაპოლეონი და მისი მსგავსნი, რომლებიც მას ადრე იდეალურ ადამიანებად ეჩვენებოდა, ეგოისტები, შურიანები, ცხოვრების ამრევ-დამრევები იყვნენ.

ანდრეის პესიმიზმით მოცული სული ნატაშასადმი სიყვარულმა განაახლა, იგი შეუდგა მოღვაწეობას სპერანსკის კომისიაში, სადაც სამხედრო წესდების ახალ პროექტზე მუშაობდა. მაგრამ იმავე ნატაშას ღალატმა და თავისი ახალი საქმის უაზრობამ ანდრეი ბოლკონსკი ღრმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მისი სული შეიპყრო მეტად ცივმა სკეპტიციზმმა, ადამიანში რწმენადაკარგულმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და მხოლოდ და მხოლოდ იმასღა ფიქრობდა, რომ რამენაირად დაესრულებინა მწარე ცხოვრება. მაგრამ დაიწყო 1812 წლის სამამულო ომი და ანდრეი ბოლკონსკიმ იგრძნო სულიერი ძალების განახლება, პატრიოტული აღტკინება. ომის პირველ დღეებშივე ებმება ბრძოლაში და გმირული სიკვდილით იღუპება.

იგივე უნდა ითქვას პიერ ბეზუხოვზეც. იგი როგორც მოქალაქე, ადამიანი გაიზარდა სამამულო ომის დროს. მისი სულიერი ძალების განახლება იმ დიდი პატრიოტული აღტკინების შედეგად მოხდა, რომელიც განიცადა რუსმა ხალხმა 1812 წელს. ბოლკონსკის მსგავსად სწორედ ომის დროს უახლოვდება პიერი ხალხს. ბოროდინოს ველზე იგი ბოწმე გახდა რუსი ჯარისკაცების თავდადების და მამაცობისა, მათი უანგარო გმირული ბრძოლისა დამპყრობლების წინააღმდეგ.

ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი ორივე დადებითი გმირია, ისინი ერთმანეთს ძალიან გვანან, მაგრამ ამავე დროს შინაგანი ფსიქოლოგიური თვისებებით, ზოგიერთი ეთიკური, ფილოსოფიური და სოციალური შეხედულებებით ერთიმეორისაგან განირჩევიან.

პიერ ბეზუხოვის ხასიათში გრძნობები სჭარბობს, იგი სადღაც გულუბრყვილოც არის. მორალისტური მიდრეკილებები მას უფრო მეტად ახასიათებს. ანდრეი ბოლკონსკი კი უფრო ფხიზელი რეალისტური თვალთახედვის კაცია, სკეპტიკოსი, უფრო მეტი უნდობლობით უყურებს ცხოვრებას, საზოგადოებას. ანდრეი ბოლკონსკის აზრი მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება სრულად გამოააშკარაოს ცხოვრების უკუღმართობა, პიერ ბეზუხოვისა კი იქითკენ, რომ იპოვოს ამ ცხოვრებასთან დაახლოებისა და მისი გაუმჯობესების

ესები. ანდრეი ბოლკონსკი სასტიკად იტანჯება იმის გამო, რომ მან ცხოვრება ხელმიწვდომით კარგად შეიცნო, რომ ცხოვრება მას ეჩვენება ისე, როგორც ის სინამდვილეში არის, პიერ ბეზუხოვი კი დაუღალავად ცდილობს ცხოვრება მოაწყოს უფრო უკეთესად ვიდრე ის არის. ანდრეი ბოლკონსკის არ სწამს ცხოვრების უკეთესი მომავალი, პიერ ბეზუხოვს კი სჯერა, რომ ადამიანი ოდესღაც გაამართლებს თავის უპაღლეს დანიშნულებას.

ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი ორივე თავისი დროის წინწინავე ადამიანია, ორივე უკმაყოფილოა ცხოვრებით, ობიექტურად ორივე ცხოვრების გარდაქმნისაკენ მიისწრაფვის, ორივეს ერთნაირი იდეალები აქვთ, მაგრამ ამ იდეალის განხორციელების საშუალებებზე სხვადასხვანაირად ფიქრობენ.

ანდრეი ბოლკონსკისა და პიერ ბეზუხოვის სახით ტოლსტოიმ დაგვიხატა XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთის მოწინავე თაობადაზნაურული ახალგაზრდობა, ის ახალგაზრდობა, რომელიც 1825 წლის 14 დეკემბერს სენატის მოედანზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებით გამოვიდა. შემთხვევითი არ არის, რომ რომანის დასასრულს მთავარ გმირს პიერ ბეზუხოვს ვხედავთ დეკაბრისტების ფარულ ორგანიზაციაში, როგორც მის ერთ-ერთ აქტიურ წევრს. მართალია, ანდრეი ბოლკონსკი ვერ მოესწრო დეკაბრისტების აჯანყებას. მაგრამ მის სახეს ლოგიკურ განვითარებაში თუ წარმოვიდგენთ, ისიც დეკაბრისტია. დეკაბრისტულია ანდრეი ბოლკონსკის სახე ძირითადი შინაგანი ფსიქოლოგიური თვისებებით. მსოფლმხედველობით, იდეური მისწრაფებებით. ამაზე არაპირდაპირ თვით მწერალიც მოგვითხრობს. რომანის ეპილოგში ანდრეი ბოლკონსკის ვაჟიშვილი სიზმარში ხედავს დეკაბრისტების შეიარაღებულ გამოსვლას სენატის მოედანზე. მეამბოხეთა შორის პატარა ნიკოლოზი, პიერ ბეზუხოვთან ერთად, საკუთარ მამას — ანდრეი ბოლკონსკისაც ხედავს.

რომანში „ომი და მშვიდობა“ მკვეთრად იჩინა თავი ტოლსტოის წინააღმდეგობებმა. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოდ უარყოფდა ომს, მაგრამ ამავე დროს, მან ბრწყინვალედ დაგვიხატა რუსი ხალხის გმირული ბრძოლა 1812 წელს. მწერალმა თავისი გმირები ომში ჩააბა და მათი ადამიანური ღირსება, მოვალეობის შეგნების გრძნობა განსაზღვრა ომისადმი დამოკიდებულებით.

ლ. ტოლსტოიმ ამავე რომანში პირველად აღიარა ბოროტებისადმი წინააღმდეგობა, მაგრამ მისი გმირები არსებითად წინ აღუდგნენ ნაპოლეონის ბოროტებას; კიდევ მეტიც, რომანის ეპილოგში ჩვენ ვხედავთ ბეზუხოვსა და ანდრეი ბოლკონსკის აჩრდილს სენატის მოედანზე. ისინი თავისი დროის საუკეთესო ადამიანებთან ერთად გა-

ბოსულან თვითმპყრობელობის, როგორც ყველაზე უფრო დიდი როტების წინააღმდეგ. აქაც, როგორც ვხედავთ, ტოლსტოია წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე.

ნატაშა როსტოვა და მარია ბოლკონსკაია. ისევე როგორც ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი, ნატაშა როსტოვა და მარია ბოლკონსკაიაც ერთიმეორისაგან განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს რომანის დადებითი გმირები არიან. აქაც ქალის შესახებ მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე აზრების გამოსახატავად მწერლისათვის ერთი დადებითი გმირი არ აღმოჩნდა საკმარისი.

ნატაშა როსტოვა მთელ რომანში ყველაზე უფრო პოეტური და ბოშინიბლავი სახეა. ნაწარმოების დასაწყისში მკითხველი ხედავს მას როგორც მხიარულს, სიცოცხლით აღსავსე რუს გოგონას, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს ადამიანები, ბუნება და ყველაფერი, რაც მის გარშემოა. ნატაშას შინაგანი სულიერი სამყარო უშუალოა, მშიდარი, სპეტაკი, უზადო და ჰარმონიული. იგი ლამაზია, ცოცხალი, ენერგიული და, მიმზიდველი. ნატაშა უშუალოდ გრძნობს ბუნების, ხალხური პოეზიის, ხელოვნების სიმშვენიერეს. მას გულწრფელად უყვარს ხალხი, რომელმაც ჩაუნერგა ხასიათის სისადავე, უშუალობა და სიყვარული მშვენიერებისა და მაღალი ეთიკური იდეალისადმი. ნატაშას სწყურია სიყვარული, სიცოცხლე, ბედნიერება, მას გულწრფელად სჭერა ადამიანისა და ენდობა მას. იგი იქცევა ისე, როგორც მას სპეტაკი გული კარნახობს, ამიტომ მისი მოქმედება უშუალოა, სტიქიური, ხანდისხან ბავშვური, გულუბრყვილო. სწორედ ხასიათის ამ სტიქიურობამ და ბავშვურმა გულუბრყვილობამ დაუახლოვა იგი გარყვნილ ანატოლი კურაგინს, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა ნატაშას ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ამ საბედისწერო შეცდომამ გამოიყვანა ნატაშა უშუალო ბავშვური რომანტიკული ბურუსიდან და ღრმად ჩააფიქრა იგი. თუ პიერ ბეზუხოვისა და ანდრეი ბოლკონსკისთან შეხვედრის დროს მან დაინახა ადამიანის სიკეთე, მაღალი ზნეობრივი და ინტელექტუალური იდეალი, ახლა ასევე თვალნათლივ წააწყდა ადამიანის დაცემისა და მისი ზნეობრივი სიმახინჯის საშინელ სურათს.

უშუალო და გულუბრყვილო ნატაშა გახდა მეტად დაფიქრებული, სერიოზული, მაგრამ იგი დარჩა ისევ სიტურფის, მშვენიერებისა და სინაზის ბრწყინვალე განსახიერება.

ომის დროს ნატაშამ ღრმა პატრიოტული გრძნობები გამოამჟღავნა. იგი დიდად თანაუგრძნობს რუსი ერის გმირულ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. როსტოვების მოსკოვიდან გამგზავრების დროს ნატაშამ მოითხოვა ურმებიდან ბარგის ჩამოღება და მის ნაცვლად

დაჭრილების მოთავსება. დაჭრილებს შორის მან მოძებნა ანდრეი ბოლკონსკი, იპოვა იგი, მის წინაშე მუხლი მოიდრიკა და პატიება სთხოვა. რომანის ამ ადგილას, ნატაშა, როგორც რუსი ქალის იდეალური სახე მთლიანად გაიხსნა, გაიხსნა როგორც საოცრად ლამაზი, მომხიბლავი, ბრწყინვალე არსება, რომელიც ასე უხვად არის დაჯილდოებული მაღალი სულიერი თვისებებით.

ტოლსტოი ქალის ემანსიპაციის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, ბუნებამ ქალს ბავშვის გაჩენა დააკისრა ვალად, ამიტომ იგი უნდა ზრუნავდეს ქმრისა და შვილების მოვლაზე. რომანის დასასრულს სწორედ ასეთ ქალად გვევლინება ნატაშა. იგი ხდება პიერ ბეზუხოვის ცოლი, რომელთანაც ეყოლება ბავშვები, ზრდის მათ და ზრუნავს მხოლოდ ოჯახზე, მის ბედნიერებაზე. ქმარს პირობებს უქმნის საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, მაგრამ არ ერევა მის საქმიანობაში.

ასევე საბოლოოდ ოჯახში პოულობს ბედნიერებას რომანის მეორე დადებითი გმირი ქალი მარია ბოლკონსკაია, მაგრამ თავისი ხასიათით ის ზედმიწევნით ინდივიდუალურია.

მარია ბოლკონსკაია არ არის პოეტური ბუნების ქალი, არც გარეგნულად არის ლამაზი, მაგრამ მშვენიერია თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებებით, კეთილი გულით.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტოლსტოის რელიგიურ-ფილოსოფიურმა შეხედულებებმა მარია ბოლკონსკაიას სახეში უფრო მეტად იჩინეს თავი — იგი ბავშვობიდანვე ქრისტიანული რელიგიით არის შებოჭილი, ზედმეტად თავშეკავებული, სერიოზული, დაფიქრებული, გაუბედავი. მას უყვარს განმარტოება, ფიქრი რელიგიური სათნოებისა და მოთმინების შესახებ, გაურბის საზოგადოებას.

მაგრამ მარია ბოლკონსკაია ისეთივე პატრიოტია, ისეთივე კარგი მეოჯახე ქალი, მზრუნველი მეუღლე და ბრწყინვალე დედა, როგორც ნატაშა როსტოვა.

ნაწარმოების მთავარი გმირი, რომლის ცხოვრების ასახვასაც მწერალმა მიუძღვნა თავისი რომანი, რუსი ხალხია. მართალია, ნაწარმოებში დიდ ადგილს იკავებენ არისტოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლები, მაგრამ ყველა მათგანს მწერალი აფასებს საზოგადოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად უპასუხებს ან ეწინააღმდეგება იგი ხალხის ინტერესებს. მწერალი დადებითი თვალსაზრისით გვიშუქებს იმ მოვლენას, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, სიმპათიით გვიხატავს იმ პირებს, ვისი გულიც განმსჭვალულია „ხალხური გრძნობით“ (ასეთებია კუტუზოვი, კარატაევი), ან ვინც ახლოსაა ხალხთან (როსტოვები და ბოლკონსკები), ვინც მთელი თავისი

ცხოვრება გაატარა ხალხური სიმართლისათვის ძიებაში (ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი). მაგრამ მწერალი უარყოფითად გვიხატავს ისეთ პირებს, რომლებიც რუსი ხალხისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი (ნაპოლეონი და მისი მარშლები), ხალხისაგან მოწყვეტილი რუსეთის სატახტო ქალაქის თავადაზნაურობას (ალოლფ ბერგი, ბორის ტრუბეცკოი და ვასილ კურაგინის მთელი ოჯახი).

„ანა კარენინა“. „ანა კარენინა“ ტოლსტოიმ 1873—1877 წლებში შექმნა. ისევე როგორც რომანმა „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინამაც“ მუშაობის პროცესში ბევრი ცვლილებები განიცადა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო სულიერად მდიდრდებოდა და ზნეობრივად მაღლდებოდა რომანის მთავარი გმირი ანა. უარყოფითი ტიპები კი პირიქით — მათი სულიერი და ზნეობრივი სახე მუშაობის პროცესში ბევრად გაუარესდა. მიუხედავად ამისა მწერლის პრინციპული დამოკიდებულება მთავარი გმირისადმი მაინც შერჩა რომანის საბოლოო რედაქციას. ანა კარენინა ბოლომდე დარჩა ერთი მხრივ, დამნაშავე ქალად, რომელმაც დაარღვია ოჯახი, დაიწყო ღვთისაგან დაკისრებული წმიდათაწმიდა ზნეობრივი მოვალეობა შვილისა და ქმრის წინაშე. მაგრამ, მეორე მხრივ, ტოლსტოიმ კიდევაც გაამართლა ანა. მართალია, იგი ჩაიდენს დანაშაულს, მაგრამ ამაში დამნაშავე ის არ არის, ანა უდანაშაულო დამნაშავეა.

„ანა კარენინა“ ორსიუჟეტიანი რომანია. პირველში მოცემულია ანა კარენინასა და ალექსეი ვრონსკის სიყვარული, რომელიც პეტერბურგის მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების გარემოცვაშია გაშლილი, ხოლო მეორეში კი მოთხრობილია კონსტანტინე ლევინისა და კიტი შჩერბაცკაიას სიყვარულის ამბავი, რომელიც ვითარდება სოფლის ბუნებრივ პირობებში. ანასა და ვრონსკის სიყვარული უკანონოა, დანაშაულებრივი, მათი ურთიერთობაც უმთავრესად ქალაქის ცუდ პირობებში ვითარდება, ლევინისა და კიტის სიყვარული კი კანონიერია და ბედნიერი შეუღლებითაც მთავრდება.

ანა კარენინას სიყვარული დანაშაულებრივია, იგი უნდა დაისაჯოს — „ჩემი არს შურისგება, და მე მივაგო“,— ამბობს სახარება, რომელიც რომანს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული, მაგრამ განა ბოროტია ეს ბოროტმოქმედი? არა. პირიქით. ანა ისეთივე კეთილი, სათნო, ზნეობრივად ამაღლებული ქალია, როგორც კიტი შჩერბაცკაია, ნატაშა როსტოვა და სხვები. მაგრამ მისი ოჯახი არ აღმოჩნდა მყარ და საღ საწყისებზე დაფუძნებული და ამაში დამნაშავეა წრე, ყალბი მორალის მქონე გადაგვარებული არისტოკრატიული საზოგადოება. ანას შეუყვარდა გვარდიის ოფიცერი, მდიდარი და ლამაზი ახალგაზრდა გრაფი ალექსეი ვრონსკი იმიტომ, რომ მან ვერ ჰპოვა ბედნიერება უსულგულო სენატორ ქმარში.

ალექსეი კარენინი დედაქალაქის წარჩინებული ბიუროკრატიის ტიპიური წარმომადგენელია. იგი კარიერისტია, გაციებული გულისა და ხელის მატარებელი, პატივმოყვარე და მლიქვნელი კაცი. ანა მისთვის უცხოა და მისადმი სიყვარულის გრძნობა არ გააჩნია. ანას აზრით, მას გაგონილი რომ არ ჰქონდეს სხვისაგან სიტყვა სიყვარული, არაფერს არც იხმარდა. ასეთ ადამიანთან ცხოვრება ვნებიანი ბუნებისა და სიყვარულისათვის მოწოდებულ ანას, რასაკვირველია, არ შეეძლო. თავისი საკალო მდგომარეობა ოჯახში მან განსაკუთრებით ნათლად დაინახა მაშინ, როდესაც შეუყვარდა ალექსეი ვრონსკი. ქალი ამ უკანასკნელში დაინახავს იდეალურ გმირს, რომლისთვისაც ღირს სიყვარული, სიცოცხლე, თავგანწირვა. ანა მთელი გულით შეიყვარებს ახალგაზრდა ვრონსკის, გადალახავს ზნეობის ტრადიციულ კანონებს და დაივიწყებს თავის ოჯახს, ქმარ-შვილს. დაკარგავს იმას, რასაც საზოგადოებაში ქალის პატიოსნებას ეძახიან. ამით ანა დაუპირისპირდება პეტერბურგის გარყვნილ არისტოკრატიულ საზოგადოებას, რომლის ეთიკური ნორმების მიხედვითაც გათხოვილი ქალი შეიძლება ყოფილიყო სხვა მამაკაცის საყვარელი, მაგრამ მას იგი არ უნდა ყვარებოდა, ოჯახი არ უნდა დაენგრია, ქმრისათვის საქვეყნოდ სახელი არ გაეტეხა. ამიტომ, ანას წინააღმდეგ ამხედრდება პეტერბურგის არისტოკრატიული საზოგადოება. იგი ზურგს შეაქცევს თავის ოდესღაც სათაყვანებელ წევრს, რომელმაც დაივიწყა ქმარ-შვილი, უგულებელყო ეკლესია, კანონი და ყველაფერი ანაცვალა უსაზღვროდ შეყვარებულ გრაფ ვრონსკის.

მაგრამ ვრონსკის სიყვარულს ყველაფრის შეცვლა არ შეეძლო. ანას მდგომარეობა ტრაგიკულია, საზოგადოების მიერ ათვალწუნებული და გარიყული საშინლად განიცდის მარტოობას. ამქვეყნიურ ცხოვრებასთან მას ორი გრძნობაღა აკავშირებდა — შვილისა და ვრონსკისადმი სიყვარული. სამწუხაროდ, ორივე მოკლებული იყო ნათელ პერსპექტივას, ორივე მისთვის სატანჯველი გახდა. პირველი იმიტომ, რომ ის მხოლოდ ოცნების სფეროშიღა დარჩა და რეალურად დაუკმაყოფილებელი იყო, რადგან ანას შვილის ნახვა აკრძალული ჰქონდა, ხოლო მეორეს რეალური საფუძველი ეცლებოდა. ანა გრძნობდა, რომ ვრონსკის იგი მობეზრდა, რომ შეყვარებულს იგი აღარ უყვარდა.

ყველასაგან გარიყული, ათვალწუნებული, დევნილი და გაუბედურებული ანა მატარებელს შეუვარდება ბორბლების ქვეშ და იღუპება.

ამრიგად, დაიღუპა შესანიშნავი ქალი, რომელსაც არ შეეძლო სიყალბე, არ შეეძლო არისტოკრატიულ საზოგადოებაში გაბატონებუ-

ლი ყალბი მორალის მიხედვით ცხოვრება, რადგან მას ჰქონდა წრფელი გული, უშუალო გრძნობა, ნათელი გონება და ძალზე მდიდარი სულიერი სამყარო. ეს ქალი, როგორც დავინახეთ, იმსხვერპლა საზოგადოებამ, რომელიც ანაზე ბევრად დაბლა იდგა თავისი ყალბი მორალითა და ჩლუნგი გონებით.

რომანში კარენინების ოჯახს კონსტანტინე ლევინისა და კიტი შჩერბაცკაიას ოჯახი უპირისპირდება. პირველისაგან განსხვავებით ეს ოჯახი დამყარებულია სულ საფუძველზე. ის შეიქმნა არა ანგარიშის, არამედ სიყვარულისა და შეყვარებულების ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე. კიტისა და ლევინის სიყვარული, რომელიც ბედნიერი ჭორწინებით მთავრდება; რომანის სიუჟეტურ ხაზს წარმოადგენს და სოფელში ვითარდება.

სიუჟეტის პირველი ხაზი ნეგატიურია. მამხილებლური, ანას ტრაგედია რომანში ნაჩვენებია, როგორც არისტოკრატიული საზოგადოების ზნეობრივი გადაგვარებისა და ბიუროკრატიული უსულგულობის შედეგი.

სიუჟეტის მეორე ხაზი, პირიქით, პოზიტიურია, აქ ტოლსტოი ლევინისა და კიტის სახით გვიხატავს თავის დადებით, იდეალურ გმირებს, მათი პირით გადმოგვცემს საკუთარ აზრებს რუსეთის ცხოვრების იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც აღელვებდა ტოლსტოისა და მისი დროის ყველა საზოგადო მოღვაწეს. ეს პრობლემები ბატონყმობის გადავარდნის, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად თვით რუსეთის ცხოვრებამ დააყენა.

ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა" XIX საუკუნის 70—80-იანი წლების რუსეთის ცხოვრების დასახასიათებლად სარგებლობს ციტატით „ანა კარენინადან". ვ. ი. ლენინის აზრით, ძნელი წარმოსადგენია ამ პერიოდის უფრო მოხერხებული დახასიათება, ვიდრე ეს გამოხატულია ლევინის სიტყვებში „ჩვენში ახლა, როცა ყოველივე ეს გადატრიალდა და მხოლოდ ეწყობა..."[1]

კონსტანტინე ლევინი ზნეობრივად სპეტაკი, განათლებული, მოაზროვნე მემამულეა. იგი ენერგიული, მშრომელი კაცია: მონაწილეობას იღებს ერობის მუშაობაში, ასწავლის გლეხების ბავშვებს, თვალყურს ადევნებს და გულდასმით აკვირდება თავისი დროის ცხოვრებას. იგი ბევრს ფიქრობს აგრეთვე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეთიკურ საკითხებზე, იმ საკითხებზე, რომლებიც რუსეთის სინამდვილემ, ახალმა ვითარებამ მას თავს მოახვია.

ისევე როგორც ტოლსტოის „ომი და მშვიდობის" დადებითი გმი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, 1951, გვ. 39.

რებისა. ლევინის ცხოვრებაც ჰეშმარიტების დაუცხრომელი ძიებით ხასიათდება, მაგრამ ლევინის ძიება უფრო მრავალფეროვანია. ის ცარტო სულიერი ცხოვრების ფარგლებში კი არ ხდება, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროებშიც.

ლევინი აშკარად გრძნობს, რომ ძველი ფეოდალური მეურნეობა დაიშალა, რომ თავადაზნაურობას ფესქვეშ უკვე გამოეცალა ეკონომიკური ნიადაგი. იგი გრძნობს აგრეთვე, რომ ძველის ადგილს იკავებს ახალი — კაპიტალისტური ურთიერთობანი, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბევრად უფრო ადრე დამყარდა.

კაპიტალიზმი ლევინს ეჩვენება, როგორც საშინელი ურჩხული, რომელიც ანადგურებს ძველ ტრადიციულ ნატურალურ მეურნეობას, ეკონომიკურ ნიადაგს აცლის თავადაზნაურობას, გაღარიბებისა და პაუპერიზაციის გზაზე აყენებს გლეხობას.

ლევინის მთელი ძიება მიმართულია იქითკენ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან მონახოს გამოსავალი, მაგრამ ვერ პოულობს. მისი აზრით, ერთადერთი საშუალება, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს ახალი ბურჟუაზიული კლასის შემოტევა, თავადაზნაურობისა და გლეხობის შერიგებაა. მათ შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაა. მაგრამ ამის რეალურ შესაძლებლობას ვერ პოულობს. ლევინმა იცოდა, რომ მრავალმილიონიანი ჯანსაღი გლეხობის გარეშე თავადაზნაურობა ვერ გაუმკლავდებოდა ბურჟუაზიას, მაგრამ იგი ხედავდა, რომ პარაზიტულ თავადაზნაურობას მშრომელი გლეხობა არ შეურიგდებოდა.

მაშ რა იყო საჭირო? საჭირო იყო, რომ თვით თავადაზნაურობა მისულიყო გლეხობასთან, იგი შერიგებოდა მას, აღედგინა ჩატეხილი ხიდი. მაგრამ ის ხალხთან უნდა მისულიყო არა უქნარა, პარაზიტი, გადაგვარებული, არამედ ისეთივე ჯანსაღი, მშრომელი, ენერგიული, როგორიც თვით რუსეთის მრავალმილიონიანი გლეხობა იყო.

მაგრამ თავადაზნაურობის გაგლეხურება არ იყო ადვილი, საჭირო იყო მისი, პირველ რიგში, ზნეობრივი აღორძინება, თვითგაუმჯობესება. საჭირო იყო, რომ თავადაზნაურობას შეეგნო „გლეხური სიმართლე", ის სიმართლე, რომელიც სულიერ კრიზისში ჩავარდნილმა და იმედგატეხილმა ლევინმა გაიგო გლეხ თედორესთან საუბარში. მაშინ გაიგო, რომ ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა სულის სიწმინდისათვის ცხოვრება და არა გატენილი კუჭით სიარული. რომანის მიხედვით ლევინმა თითქოს იპოვა გამოსავალი. მისი აზრით, თუ თავადაზნაურობა მიაღწევდა ზნეობრივ თვითგაუმჯობესებას, ე. ი. იცხოვრებდა ისე, როგორც ცხოვრობდა გლეხი პლატონ ფოკანიჩი, იცხოვრებდა სულისათვის, სიმართლისათვის, ღვთისათვის, მაშინ იგი გაჯანსაღებულ გლეხობასთან ერთად წინ დაუდგებოდა კაპიტალის-

ტურ ურჩხულს და შეაჩერებდა მას. მაგრამ თავადაზნაურობა შეძლებდა კი ცნეობრივ აზრღვევას? შეიცნობდა პლატონ ფოკნარის გლეხურ სიმართლეს? ამაში არც ლევინი და არც ტოლსტოი არ იყვნენ დარწმუნებულნი. ამიტომ რომანი „ანა კარენინა“ ლევ ტოლსტოის სოციალური, ფილოსოფიური, ეთიკური და პოლიტიკური გაჭრების რომანია. მართალია, მასში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის გარდამავალმა ეპოქამ ბრწყინვალე რეალისტური ასახვა პოვა, მაგრამ, ამავე დროს მასში ჩვენ უმთავრესად ვხვდებით არა პასუხს ეპოქის მიერ დასმულ კითხვებზე, არამედ მწერლის წინააღმდეგობებით აღსავსე ფიქრებს, რელიგიურ-ეთიკურ ბურუსში გახვეულ აზრებს.

ლ. ტოლსტოის გარდატეხის პერიოდის შემოქმედება. „ანა კარენინა“ XIX საუკუნის 70-იანი წლების რუსეთის ცხოვრების გარდამავალ პერიოდს ასახავს. ის ტოლსტოის შემოქმედებითი განვითარების ისტორიაშიც გარდამავალი პერიოდის ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ რომანის შექმნის შემდეგ ტოლსტოის შემოქმედებაში ხდება იდეოლოგიური გარდატეხა. მწერალი საბოლოოდ გადადის პატრიარქალური გლეხობის პოზიციებზე; თავის ახალ ნაწარმოებებში ტოლსტოი გამოხატავს რუსეთის მრავალმილიონიანი გლეხობის ინტერესებს, ხდება ამ გლეხობის იდეოლოგი.

მეორე მხრივ, იმავე წლების პუბლიცისტურ, მორალისტურ და ფილოსოფიურ შრომებში ტოლსტოიმ საბოლოოდ ჩამოაყალიბა საკუთარი მოძღვრება ბოროტებისადმი ძალადობით წინაღუდგომლობის შესახებ. ისეთ თხზულებებში როგორიცაა „აღსარება“ („Исповедь“), „რაშია ჩემი რწმენა?“ („В чем моя вера?“) და „მაშ რა უნდა ვაკეთოთ?“ („Так что же нам делать?“) მწერალი ქადაგებს ქრისტიანულ რელიგიას, ადამიანის ზნეობრივ თვითგაუმჯობესებას და ამ გზით ბოროტების მოსპობას.

წიგნში „რაშია ჩემი რწმენა“, რომელიც 1885 წელს პარიზში დაიბეჭდა, ტოლსტოიმ თავის საღვთისმეტყველო აღიარა ქრისტიანობა, ოღონდ არა ტრადიციული, ქრისტიანული რელიგია, რომელსაც ეკლესია ჰქადაგებდა. პირიქით, ტოლსტოის აზრით, ქრისტიანულმა ეკლესიამ ქრისტეს უღალატა. სახარება დაამახინჯა, იგი კაცობრიობაზე დამღუპველ გავლენას ახდენს და მისგან ხალხის განთავისუფლებაა საჭირო.

ამრიგად, გარდატეხის პერიოდში ტოლსტოი, ერთი მხრივ, იმსჭვალება ოფიციალური ეკლესიისა და თვითმპყრობელური წესწყობილებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, საბოლოოდ გადადის მრავალმილიონიანი პატრიარქალური გლეხობის პოზიციებზე, ხოლო მეორე მხრივ, იგი ქადაგებს რელიგიურ იდეებს ბოროტებისადმი წი-

ნაწუმდგომლობის შესახებ. მისი კაცობრიობი ცხოვრების მიზანი ადამიანის ზნეობრივი თვითგაუმჯობესებაა, რომელსაც იგი მიაღწევს მაშინ, როცა იგი ბოროტებას არ შეებრძოლება და შეიყვარებს არა მარტო მოყეთეს, არამედ მტერსაც, თანაც ამ უკანასკნელს შეიყვარებს უფრო მაღალი, ღვთიური სიყვარულით.

ლ. ტოლსტოის 80—90-იანი წლების ნაწერები აღსავსეა ამ მღალადებლური წინააღმდეგობებით, რომლებიც პირველად ვ. ი. ლენინმა შენიშნა და მოგვცა მათი ბრწყინვალე ანალიზი. ვ. ი. ლენინმა ტოლსტოის რელიგიურ-ეთიკური მოძღვრება რეაქციულ, უტოპიურ მოძღვრებად აღიარა, მიუთითა რომ „ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელსაც აღმოუჩენია კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები,— ამიტომაც სავსებით უბადრუკნი არიან საზღვარგარეთელი და რუსი „ტოლსტოველები“, რომლებმაც მოისურვეს დოგმად გადაექციათ მისი მოძღვრების სწორედ სუსტი მხარე“[1].

მეორე მხრივ, ვ. ი. ლენინის აზრით, „ტოლსტოი დიდია, როგორც იმ იდეებისა და სულისკვეთების გამომხატველი, რომლებიც შეიქმნა მილიონობით რუს გლეხობაში რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების დროისათვის“[2].

ლ. ტოლსტოის შემოქმედების გარდატეხის პერიოდის წინააღმდეგობები ნათლად გამომჟღავნდა არა მარტო რელიგიურ და ეთიკურ შრომებში, არამედ ისეთ მხატვრულ შედევრებშიც როგორიცაა „ივან ილიჩის სიკვდილი“, „კრეიცერის სონატა“, პიესები „მეუფება წყვდიადისა“ („Власть тьмы“), „განათლების ნაყოფები“ („Плоды просвещения“) და მთელი ციკლი ხალხური მოთხრობებისა.

მოთხრობაში „ივან ილიჩის სიკვდილი“ ტოლსტოი, ერთი მხრივ, ამხელს ჩინოვნიკობას, მათს პირმოთნეობას, უსულგულობას, კარიერიზმს, სიმდიდრისა და განდიდებისადმი უსაზღვრო სწრაფვას, ნამდვილი ადამიანური გრძნობებისა და ურთიერთშორის გულწრფელობის უქონლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ქადაგებს რელიგიურ-მორალისტურ იდეებს.

მოთხრობა დაწერილია დიდი მხატვრული სიძლიერით, გაოცებას იწვევს მწერლის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, რომლის საშუალებითაც წარმოგვიდგენს ადამიანს, რომელმაც მხოლოდ სიკვდილის წინ შეიგნო მთელი თავისი სიცოცხლის ამაოება, დაინახა, რომ მთე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 241.

[2] იქვე.

ლი მისი ცხოვრება თავის მოტყუება იყო. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა გი დე მოპასანმა რომ წაიკითხა ეს მოთხრობა, თქვა: „ყველა ჩემი ნაწერების ათეული ტომები არაფრად ღირს ამასთან შედარებით“.

ასეთსავე მამხილებლურ და მორალისტურ ხასიათს ატარებს 80—90-იან წლებში შექმნილი ნაწარმოებები „კავკასიის ტყვე“ („Кавказский пленник“), „ღმერთი სიმართლეს ხედავს, მაგრამ მალე როდი იტყვის“ („Бог правду видит, да не скоро скажет“), ხალხური მოთხრობები, პიესები და სხვ. მაგრამ ტოლსტოის შემოქმედების მწვერვალია რომანი „აღდგომა“ („Воскресение“).

„აღდგომა“. დაიბეჭდა 1899 წელს. ეს რომანი არა მარტო ტოლსტოის შემოქმედების მწვერვალია, არამედ მთლიანად XIX საუკუნის რუსული კრიტიკული რეალიზმისაც. სწორედ ამ რომანში გამოვლინდა მთელი სიძლიერით ტოლსტოის საოცარი რეალისტური ნიჭი, მისი შინაგანი კრიტიკულ-მამხილებლური პათოსი. მწერალმა გაბედულად უარყო ფეოდალურ-ბურჟუაზიული წესწყობილების მთელი სისტემა და ყველაფერი რაც მასთან იყო დაკავშირებული. მან უარყო ადამიანის ჩაგვრა, ქერძო საკუთრება, ეკლესია, ცივილიზაცია, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული მორალი, კულტურა, კაპიტალისტური პროგრესი და ა. შ.

რომანში „აღდგომა“ აღწერილია ახალგაზრდა მდიდარი თავადის ჩვეულებრივი ისტორია. დიმიტრი ნეხლიუდოვმა შეაცდინა. ხოლო შემდეგ მიატოვა თავისი მამიდის მოსამსახურე ქალი კატიუშა მასლოვა. მამიდამ მოტყუებული გოგო სახლიდან გააგდო და საარსებო საშუალებებს მოკლებული კატიუშა სოროსკიპოში აღმოჩნდა. მალე ის საბრალდებულო სკამზე მოხვდა, რადგან ბრალი დასდეს მდიდარ ვაჭრის მოწამვლაში. სინამდვილეში კატიუშას ვაჭრის მოკვლა არ ჭანუზრახავს. იგი მოატყუეს. უთხრეს, რომ ფხვნილი, რომელიც მას მისცეს, ვაჭარს მხოლოდ დააძინებს. სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა შორის, ბორტმოქმედების ნამდვილი მიზეზი, დიმიტრი ნეხლიუდოვი აღმოჩნდა. სასამართლო პროცესის დროს ნაფიცმა მსაჯულმა თავისი მსხვერპლი იცნო, იგი სინდისმა შეაწუხა. კატიუშას გამამართლებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო. უდანაშაულო მასლოვას კატორღა მიუსაჯეს.

ამ საზარელი ფაქტის შემდეგ იწყება ნეხლიუდოვის აღდგომა (სულიერი განახლების პროცესი). იგი დარწმუნდა, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული შემთხვევითი არ იყო, რომ ყოველგვარი დანაშაულის წყარო მომდინარეობდა ადამიანთა ერთი ჯგუფის პრივილეგიური მდგომარეობიდან.

ნეხლიუდოვი იწყებს საკუთარი სულის განწმენდას. იგი უპირველესად თავის მიწას ჯერ იჯარით მისცემს გლეხებს, შემდეგ კი საბოლოოდ დაუთმობს მათ და მესაკუთრის უფლებაზე უარს იტყვის.

კატიუშას საქმეზე სიარულის დროს ნეხლიუდოვი მრავალ უსამართლობას წააწყდება. იგი რწმუნდება, რომ სასამართლოს, ციხის, სენატის და მეფის ბიუროკრატიული ორგანოების მოხელეები უსულგულო, ზნედაცემული ადამიანები არიან.

სასამართლოს თავმჯდომარეს კატიუშას საქმის გარჩევის დროს ქალთან პაემანზე მიეჩქარებოდა, და ამიტომ ნაჩქარევად გამოიტანა ძალზე მკაცრი და ყოვლად უსამართლო განაჩენი. სახელმწიფო ბრალმდებელი — პროკურორის თანაშემწე, რომელიც სასამართლო პროცესზე დაჟინებით მოითხოვდა გარყვნილი ქალისაგან საზოგადოების ზნეობრივ დაცვას, თვითონ, წინა ღამეს, ბანქოს თამაშის შემდეგ გამომთვრალი იმ საროსკიპოში წავიდა, რომელშიც ექვსი თვის წინ მასლოვა იმყოფებოდა.

ტოლსტოი განსაკუთრებული სიძლიერით გვიხატავს პეტერბურგის საპყრობილის გულშემზარავ სურათს. ირკვევა, რომ საპატიმროში ძალზე იშვიათია ნამდვილი ბოროტმოქმედი, რომ მათ შორის უმრავლესობა ისჯება სასამართლოს შეცდომის შედეგად, ან იმის გამო, რომ პატიმრები ცხოვრებაზე ფიქრობენ სხვანაირად, არა ისე, როგორც კანონმდებლები, არამედ უფრო უკეთესად (იგულისხმება უმთავრესად პოლიტიკური პატიმრები).

პეტერბურგის პატიმართა ბედი დამოკიდებული იყო გენერალზე, რომელიც წინათ კავკასიაში მსახურობდა და სისასტიკით გაითქვა სახელი. მან „მიიღო თეთრი ჯვარი იმისათვის, რომ მისი სარდლობით, გაკრეჭილმა, მუნდირებში გამოწყობილმა, ხიშტიანი თოფებით შეიარაღებულმა რუსმა გლეხებმა ათასობით ჩახოცეს და ამოჟლიტეს იქაური ხალხი, რომელიც იცავდა თავისუფლებას, თავის მიწა-წყალს, სჯულებს და ოჯახს“.

ნეხლიუდოვი უშუალო მოწმე ხდება ხალხის აუტანელი მდგომარეობისა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ტოლსტოი სასტიკად გმობს თავადაზნაურობის პარაზიტიზმს, ზნეობრივ გადაგვარებას, იგი თავგამოდებით იცავს მიწის მუშას, რომლის ნამუშევარსაც ითვისებს არისტოკრატია. „მიწა კვებავს ხალხს,— ამბობს ნეხლიუდოვი,— მაგრამ იგი ეკუთვნის მემამულეს, მემამულე სარგებლობს ამ უფლებით და ცხოვრობს ხალხის შრომით. უმიწოდ ხომ ხალხი ამოწყდება. უკიდურესობამდე მიყვანილი ხალხი მაინც ამუშავებს სხვის მიწებს, მაგრამ მის მიერ მოყვანილი მოსავალი იყიდება საზღვარგარეთ, მიწისმფლობელებს კი ამით შესაძლებლობა ეძლევათ, შეიძინონ თავიანთ-

თვის ქუდები, ხელსაბიჯგი ჯოხები, ეტლები, ბრინჯაოს ნივთები და სხვ."

უკეთესი მდგომარეობა არც ქალაქადაა, აქ იმდენი მუშახელია, რომ „დამქირაებლები როგორც ნაფოტს, ისე ისვრიან ადამიანებს". ქალაქში მეფობს სიღატაკე, ლოთობა, გარყვნილება, ქურდობა და ათასგვარი ბოროტება. მაგრამ ყველა სახის ბოროტმოქმედებას წარმოშობს თვით ცხოვრება, დამნაშავენი არიან არა ის ადამიანები, რომლებიც კატიუშა მასლოვასთან ერთად საპყრობილეში იტანჯებიან, არამედ ისინი, რომლებმაც მათ ბოროტმოქმედება ჩაადენინეს.

ნეხლიუდოვის აზრით, ღარიბ ადამიანს ეუბნებიან: „არ მოიპარო, ის კი ხედავს, რომ მექარხნეები იპარავენ მის ნაშრომს ხელფასის შეზღუდვით, რომ მთავრობა თავისი მოხელეების მეშვეობით ყოველმხრივ და გამუდმებით ძარცვავს მას, იცის, რომ ჩვენ, მიწათმფლობელებმა, დიდი ხანია უკვე გავქურდეთ ისინი, წავართვით მიწები, რომლებიც მათი სამკვიდრებელი უნდა ყოფილიყო და შემდეგ, როცა ჩვენს მიერ მოპარულ მიწაზე ის ფიჩხს აკრეფს თავის ღუმელში ცეცხლის დასანთებად, ჩვენ მას ვიჭერთ, საპატიმროში ვამწყვდევთ და ვარწმუნებთ ქურდი ხარო. მაგრამ იმან ხომ კარგად იცის, რომ ქურდი ის კი არ არის, ქურდია ის, ვინც მას მიწა მოპარა".

ლ. ტოლსტოი „აღდგომაში" ეკლესიასაც ამხელს. სამღვდელოება სახელმწიფოს სამსახურშია და გაბატონებული საზოგადოების ინტერესებს იცავს.

მასლოვას გასამართლების შემდეგ ნეხლიუდოვი ყოველმხრივ ცდილობს უდანაშაულო ქალის მდგომარეობის შემსუბუქებას, მაგრამ არსებითად ვერაფერს ვერ აღწევს. იგი კატიუშას ცოლად შერთვასაც გადაწყვეტს, მაგრამ უარს მიიღებს, რადგან მასლოვას თავად არ სურს სხვისი მსხვერპლი. მან იცის, რომ ნეხლიუდოვს იგი კი არ უყვარს, არამედ მისი მდგომარეობის შემსუბუქებისა და საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით სურს ცოლად შერთვა.

ნეხლიუდოვი მაინც ინაწილებს კატიუშას მძიმე ხვედრს, იგი მასთან ერთად მიემგზავრება შორეულ ციმბირში, ეხმარება კატორღელ ქალს, მაგრამ მასლოვას არ სურს მსხვერპლი, იგი საოცარი გამძლეობით იტანს ათასგვარ ტანჯვა-წვალებას.

მხოლოდ ციმბირში, კატორღელებს შორის იპოვის ნეხლიუდოვი ადამიანის ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს, იქ მიაღწევენ ზნეობრივ აღორძინებას თვითონაც და კატიუშა მასლოვაც. ამაში მათ დაეხმარა „სახარება". ამ წიგნიდან გაიგო მან, რომ ადამიანი უნდა ზრუნავდეს თავისი სულისათვის, რომ მას უნდა უყვარდეს ყოველი მოყვასი.

მტერიც და მოყვარეც, რომ ბოროტებას ძალადობით წინ არ უნდა აღუდგეს და შ. კატორღელებს შორის ბევრია სექტანტი, ხალხოსანი, რევოლუციონერი ან ტოლსტოველი. სუბიექტურად რომანის გმირედვით ყველა მათგანი კარგია, არც ერთი არ ჩაითვლება ბოროტმოქმედად. მაგრამ თავიანთი ზნეობრივი ღირსებებით დადებით პირებად არიან წარმოდგენილი სექტანტები, რომლებიც თავიანთი სულია სიწმინდისათვის ზრუნავდნენ. რევოლუციონერები, რომლებიც ბოროტებას ძალადობით აღუდგნენ წინ, რომანის მიხედვით არ არიან მისაღები ადამიანები.

ცხოვრებისა და შემოქმედების უკანასკნელი წლები. 90-იანი წლები რევოლუციური მოძრაობის უჩვეულო აღმავლობით ხასიათდება. ამის მიუხედავად, რომ ტოლსტოი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი რევოლუციისა, იგი მაინც განიცდიდა მის დადებით გავლენას. „მთელ ამ რევოლუციაში,— წერდა იგი რევოლუციის შესახებ თ. თ. სტახოვს,— მე ვიმყოფები ასმილიონიანი მიწათმოქმედი ხალხის კეთილი და თვითნებური ადვოკატის წოდებაში. ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ან ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობას, მე შევხარი: ყოველივე იმას, რასაც ეს მთავარი მიზანი არა აქვს, მე არ თანავუგრძნობ".

რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, მძვინვარე რეაქციის წლებში ტოლსტოი საქვეყნოდ გამოვიდა სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ, მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა მეფის მთავრობა, რომელიც რევოლუციონერებს სიკვდილით სჯიდა. წიგნში „არ შემიძლია დუმილი" („Не могу молчать") გამოთქმულია მწერლის მტკიცე პროტესტი მეფის მთავრობის წინააღმდეგ. 1908 წელს ეს წიგნი მრავალ ევროპულ ენაზე დაიბეჭდა. მას მსოფლიოში დიდი გამოძახილი ჰქონდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლების მხატვრული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ჰაჯი მურატი" და პიესა „ცოცხალი ლეში" („Живой труп").

მოთხრობა „ჰაჯი მურატის" თემა აღებულია კავკასიის ომების ისტორიიდან. მისი მთავარი გმირი შამილის გულადი ნაიბი ჰაჯი მურატია. იგი თავის წინამძღოლს გაუდგება და შურისძიების მიზნით რუსების მხარეზე გადავა, მაგრამ ნიკოლოზის მთავრობამ ვერ გააბრთლა გულადი ჰაჯი მურატის იმედები, იგი გაიქცა და საბოლოოდ კაზაკებთან უთანასწორო ბრძოლაში იღუპება.

ჰაჯი მურატი გამოყვანილია როგორც გულადი, პატიოსანი, უშუალო გრძნობების მატარებელი ბუნების შვილი, რომელიც თავისი შეუბღალავი ხასიათით ნიკოლოზ პირველს და მის კავკასიელ მსახურებს უპირისპირდება.

მწერალი დაუნდობლად ამხელს ნიკოლოზ პირველს, სამხედრო

შინისტრ ჩერნიშევს, კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვს. ოფიცრებს, მეჭრთამეებსა და გაიძევრა ჩინოვნიკებს. უარყოფითი ადამიანების ამ ბნელ გალერეას უპირისპირდებიან უბრალო ადამიანები, ჯარისკაცები, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ავდეევი ჩერქეზებთან ბრძოლაში იღუპება.

რომანში გამოყვანილია აგრეთვე ვორონცოვის ახალგაზრდა ადიუტანტი, ნომავალი მინისტრი ლორის-მელიქოვი, ცნობილი ქართველი კნეინა მანანა ორბელიანი და სხვა.

ნოთხრობაში ტოლსტოი სასტიკად ჰკიცხავს რუსეთის მთავრობას, მის გენერლებს, რომლებიც სასტიკად ანადგურებდნენ მთიელების სასლ-ჯარს, ხოცავდნენ და აწიოკებდნენ მათ სოფლებს.

სიცოცხლის ბოლოსკნელ წლებში ტოლსტოი მწარედ განიცდიდა იმას, რომ მისი პირადი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა იმ იდეებს, რომლებსაც იგი ჰქადაგებდა. ამ ნიადაგზე მას ხშირი უთანხმოება ჰქონდა ოჯახის წევრებთან, რომლებიც ფუფუნებით ცხოვრობდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ 1910 წლის 10 ნოემბერს გენიალურმა მწერალმა სამუდამოდ მიატოვა თავისი საყვარელი იასნაია პოლიანა და მახლობელთა გაფრთხილების გარეშე წავიდა სამხრეთისაკენ. მწერალი გზაში გაციებდა და იმავე წლის 20 ნოემბერს რკინიგზის სადგურ ასტაპოვოში გარდაიცვალა.

ტოლსტოი დაკრძალულია იასნაია პოლიანაში. მწერალი სიცოცხლის დროს კრძალავდა მისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულებს, მან ანდერძით აკრძალა აგრეთვე მის საფლავზე ძეგლის დადგმა. იასნაია პოლიანაში ერთი ხრამის კიდეზე დაკრძალულია მსოფლიოს უდიდესი მწერალი ლევ ტოლსტოი. მის საფლავს არ ამშვენებს არც ძეგლი და არც ქრისტეს ჯვარი. ასე მოინდომა თვით გენიალურმა ტოლსტოიმ.

დიდია ტოლსტოის დამსახურება არა მარტო რუსული ლიტერატურის, არამედ მსოფლიო კულტურის წინაშე. არ არის დედამიწის ზურგზე არც ერთი ცოტად თუ ბევრად განათლებული ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ და არ კითხულობდნენ ტოლსტოის ნაწერებს.

„ვინ შეიძლება ევროპაში დავაყენოთ ტოლსტოის გვერდით?" ჰკითხა ერთხელ ვ. ი. ლენინმა მაქსიმ გორკის და თვითონვე გასცა პასუხი „არავინ".

ლევ ტოლსტოი და საქართველო. ლევ ტოლსტოი ჯერ კიდევ სამწერლო სარბიელზე გამოსვლამდე ესტუმრა საქართველოს. ოცდასამი წლის ახალგაზრდა იყო იგი. როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოვიდა. საქართველოს სამხედრო გზამ, დარიალის ხეობამ, ჯვრის უღელტეხილმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა

ტოლსტოიზე. „არა ვიცი შთაგონების ქვეყანაა თუ არა კავკასია, — სწერდა იგი თბილისიდან თავის მამიდას ტ. ერგოლსკაიას, — მაგრამ ჯერ უეჭველად არის სიყვარულის ქვეყანა“. როგორც მწერლის ძმის წერილებიდან ჩანს, ტოლსტოი ყაზბეგში დიდხანს გაჩერებულა, დაუთვალიერებია იქაური ადგილები და მოხევე ბიჭებთან ერთად მაღალ მთაზე წმინდა სამების მოსანახულებლად ასულა.

თბილისში ტოლსტოიმ დაახლოებით ორთვენახევარი დაჰყო. აქ იგი ემზადებოდა სამხედრო გამოცდების ჩასაბარებლად და ცხოვრობდა ეგრეთ წოდებულ „გერმანელების ახალშენში“, რომელიც მაშინ ცდებარეობდა ახლანდელ პუშკინოვის პროსპექტზე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მიდამოებში.

თბილისმა, რომელიც მაშინ ამიერკავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, ახალგაზრდა ტოლსტოიზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. აქედან გაგზავნილ წერილებში ტოლსტოი თბილისს იხსენიებს როგორც ცივილიზებულ ქალაქს. რომელიც თავისი რჩეული და განათლებული საზოგადოებით ჰგავდა რუსეთის იმპერიის დედაქალაქ პეტერბურგს. ლევ ტოლსტოის განსაკუთრებით მოსწონებია თბილისის თეატრები, რომლებშიც იგი ხანდახან დაიარებოდა. აღსანიშნავია ერთი რამ. იმ ხანად მწერალი ისე მოხიბლულა თბილისის საზოგადოებით, რომ განუზრახავს სამოქალაქო სამსახურში შესვლა და საცხოვრებლად აქ დარჩენა.

კავკასიაში ჩამოსვლას ლევ ტოლსტოი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ მან იგრძნო ზნეობრივი შეება და სულიერი განახლება. „ვხედავ, რომ ჩემში დიდი ზნეობრივი ცვლილებები მოხდა,— სწერდა იგი თბილისიდან ტ. ერგოლსკაიას,— მე მგონი კავკასიაში წამოსვლის აზრი, რომელიც ჩემდაუნებლიე დამებადა, უზენაესმა ჩამინერგა... ვგრძნობ, რომ აქ უკეთესი გავხდი“.

სწორედ ეს სულიერი განახლება იყო მიზეზი იმისა, რომ თბილისში ტოლსტოიმ ხელი მოჰკიდა შემოქმედებით შრომას და დაწერა თავისი ცნობილი ტრილოგიის პირველი ნაწილი — „ბავშვობა“.

თბილისში გატარებული დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ ტოლსტოი ახლო გასცნობოდა ქალაქს, ადამიანებს, კულტურას. აქედან გაგზავნილ წერილებში იგი ხშირად იხსენიებს თავად ბაგრატიონს, რომელიც ადრეც სცნობებია. ბევრი ქართველი გაიცნო მწერალმა ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნების შემდეგაც, როდესაც იგი გააჭწესეს მეოცე საარტილერიო ბრიგადაში. ამ ბრიგადაში მაშინ მსახურობდნენ ოფიცრებად რევაზ ერისთავი და კონსტანტინე დადიანი. იქ მსახურობდა აგრეთვე არტილერიის მომავალი გენერალი, ცნობილი

ქართველი მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი, რომელიც 1851 წლის მიწურულში ბეოცე საარტილერიო ბრიგადის მეთაურად დაინიშნა. ტოლსტოი თავის მეთაურს, რასაკვირველია, კარგად იცნობდა, პატივს სცემდა, როგორც ჰქვიან, განათლებულ ადამიანს. ამით უნდა აიხსნას ის, რომ უფრო გვიან ქ. მამაცაშვილი ლ. ტოლსტოისაგან იღებდა წერილებსა და წიგნებს.

საქართველოსადმი ინტერესსა და ქართველებთან ახლო ურთიერთობას ადასტურებს აგრეთვე ტოლსტოის 1851—1853 წლების დღიურები, რომლებშიც ხშირად არის მოხსენიებული ქართველთა ზნეჩვეულებები, ქართული ენა, ქართველები.

სწორედ იმ ხანებში, როცა ტოლსტოი თბილისში იმყოფებოდა, შამილის ცნობილი ნაიბი ჰაჯი-მურატი რუსების მხარეზე გადავიდა და თბილისში მეფისნაცვალ ვორონცოვთან გამოცხადდა. როგორც ძმისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, ახალგაზრდა ტოლსტოი ამ ამბით ძალიან დაინტერესებულა. ეს ინტერესი მწერალს არ შენელებია მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. 60-იან წლებში ტოლსტოი კავკასიურ ომებსა და ჰაჯი-მურატის ტრაგიკულ ბედზე იასნაია პოლიანაში თავის მოსწავლეებს უამბობდა. უფრო გვიან, 1875 წელს გატაცებით კითხულობდა ლიტერატურას მთიელების მოძრაობასა და ჰაჯი-მურატზე, ხოლო 1896 წელს იგი შეუდგა თავისი უკანასკნელი დიდი მხატერული ნაწარმოების „ჰაჯი-მურატის“ შექმნას.

„ჰაჯი-მურატის“ შექმნის დროს ტოლსტოი სარგებლობდა საკმაოდ მდიდარი სამხედრო-ისტორიული, ეთნოგრაფიული და მემუარული ლიტერატურით. 900-იან წლებში ნაწარმოებისათვის მასალების შეგროვებაში ტოლსტოის ბევრი რუსი მოღვაწე ეხმარებოდა, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე უფრო მეტად გამოიჩინეს თავი ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ი. ნაკაშიძემ, ისტორიკოსმა ს. ესაძემ და თბილისელმა პედაგოგმა ს. შულგინმა. აღსანიშნავია, რომ ისინი ტოლსტოის საქართველოდან აწვდიდნენ არა მარტო ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობებს, ლიტერატურას კავკასიის ომებსა და შამილზე, არამედ მეტად საინტერესო საარქივო მასალებს, ომის მონაწილეთა მოგონებებს, ტოპოგრაფიული ხასიათის რუკებს... დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ი. ნაკაშიძის, ს. ესაძის და ს. შულგინის მიერ მიწოდებული მასალა წარმოადგენს „ჰაჯი-მურატის“ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროს. ეს მასალა, მწერლის მიერ სათანადო მხატერული გადამუშავების შემდეგ, საფუძვლად დაედო ნაწარმოების ზოგიერთ თავს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ლევ ტოლსტოის დიად მხატერულ ნიჭს საქართველოში უკვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ამ მხრივ ინტერესსმოკლებული არ არის თბილისელი ქალიშვილების წერილი

ტოლსტოისადმი. 1886 წელს თბილისელმა ქალიშვილებმა, რომლებმაც გიმნაზია დაამთავრეს, წერილი გაუგზავნეს დიდ რუს მწერალს და სთხოვეს რჩევა, როგორ გამოეყენებინათ თავიანთი ცოდნა და უნარი. ტოლსტოიმ პასუხი არ დააყოვნა და ურჩია, რომ ახალგაზრდებმა მთელი თავიანთი ცოდნა მოახმარონ ხალხს, სამშობლო ქვეყანას.

ღია ტოლსტოის ეს წერილი დაიბეჭდა იმდროინდელ გაზეთებში. ამის შემდეგ წერილს გამოეხმაურა მრავალი ახალგაზრდა. აღსანიშნავია, რომ ამ წერილს გამოეხმაურა აგრეთვე ახალგაზრდა ნ. კ. კრუპსკაია.

XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულში ქართველი ინტელიგენციის კავშირი ტოლსტოისთან კიდევ უფრო გაძლიერდა. დიდ რუს მწერალთან ცოცხალი კავშირი დაამყარეს ი. ნაკაშიძემ, ნ. ნაკაშიძემ, ბ. გეგიძემ, გ. დადიანმა, მ. ბოლქვაძემ. მოსკოვსა და იასნაია პოლიანაში ტოლსტოის ხშირად ხვდებოდნენ ქართველი მეგობრები. 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში თბილისიდან ქართველი ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა წერილით მიმართა ტოლსტოის. ამ წერილში ახალგაზრდები სწერდნენ: „საქართველო ხელს უწვდის თავის ძმებს — დიდ ხალხებს, გამოთქვამს სურვილს იმუშაოს მათთან ერთად საერთო სარგებლობისათვის".

1905 წლის იანვარში ტოლსტოისთან იასნაია პოლიანაში ჩავიდა ცნობილი ქართველი ხალხოსანი მ. ყიფიანი. მან რუს მწერალს გადასცა ი. ნაკაშიძის ვრცელი წერილი გურიის რევოლუციური ამბების თაობაზე. თვით მ. ყიფიანი ტოლსტოის ესაუბრა საქართველოს რევოლუციურ ვითარებაზე. ამ საუბრის შემდეგ ტოლსტოიმ ი. ნაკაშიძეს გამოუგზავნა წერილი, რომელიც ფაქტიურად გურული გლეხებისადმია გამიზნული.

„არა მარტო მე,— სწერდა მწერალი,— არამედ მრავალ და მრავალ ადამიანს უხარია, მზად ვართ, თუ შესაძლებელი და საჭიროა, გავუწიოთ სამსახური მათ (გურულებს), და ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ რაკი დაიწყეს დიდი საქმე და უკვე ბევრი რამ გააკეთეს ამ საქმისათვის, ისინი თავს არ დაანებებენ მას, არამედ წარმართავენ წინანდებურად, რითაც მაგალითს უჩვენებენ ადამიანებს".

თვით მ. ყიფიანმა და მისმა ნაამბობმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ტოლსტოიზე. „რა საყვარელი ხალხია ეს ქართველები,— უთხრა დ. მაკოვიცკის მწერალმა,— ჭკვიანი, კეთილი და მშვიდი ადამიანები არიან".

1905—1906 წლებში ტოლსტოი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს გურიის რევოლუციური ამბების განვითარებას. მას უნდოდა, რომ გურულ გლეხებს მოესპოთ თვითმპყრობელობის ადგი-

ლობრივი ორგანოები და შეეცვალათ ისინი გლეხური თვითმმართველობით. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა მომხდარიყო უსისხლოდ, არა ძალადობით. 1905 წელს მწერალს განზრახული ჰქონდა წიგნის ან სტატიის დაწერა გურულებზე. „გასაოცარი ცნობები მოდის გურიიდან, როგორ გაეუქმეს მათ მთავრობა და განთავისუფლდნენ. ამასთან ერთად, მათ დაიწყეს უკეთესი ცხოვრება, გახდნენ უფრო თავისუფლნი. უნდა დავწერო, ეს ძალიან საინტერესოა, მაგრამ არ ვიცი, დავძლევ თუ არა“.

ლევ ტოლსტოი ქართველ ხალხში ყოველთვის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მისი მხატვრული ნაწერების თარგმნა დაიწყო ჯერ კიდევ 1873 წლიდან, როცა ქართულ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მწერლის „ოჯახური ბედნიერების“ ქართული თარგმანი.

ქართული მწერლობის გამოჩენილი მოღვაწენი დიდი რუსი მწერლის შემოქმედებას ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას გამოთქმული აქვთ მეტად საინტერესო აზრები ლევ ტოლსტოის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის და გამოჩენილი ქართველი მარქსისტის ალექსანდრე წულუკიძის შეხედულებები ლ. ტოლსტოის შემოქმედების შესახებ. თავის ერთ-ერთ კერძო წერილში ა. წულუკიძე, ეხება რა ცოლქმრობის ზოგად პრობლემას, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტოლსტოიმ მოთხრობაში „კრეიცერის სონატა“ ნათლად დაანახვა და ამცნო მკითხველს მთელი სიბილწე. ფლიდობა, გარყვნილობა, მაცდურობა, რომელიც ცოლქმრობის სიყვარულის სახელით არის, დაფაშფაშობს და საზოგადოებაში პატივისცემაშია“.

აქვე ა. წულუკიძე აღნიშნავს ტოლსტოის ეთიკური მოძღვრების სუსტ მხარესაც. იგი წერს, რომ გენიალურმა მწერალმა ვერ ახსნა ბურჟუაზიული საზოგადოების მორალური გადაგვარების მიზეზები, და ვერც სწორი გზა დასახა ამ პრობლემის გადაჭრისაო.

ქართველი საზოგადოების გულისტკივილი ტოლსტოის გარდაცვალების გამო შესანიშნავად გამოხატა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც დიდი რუსი მწერლის ხსოვნას მშვენიერი ლექსი მიუძღვნა.

ა. წერეთელმა ლ. ტოლსტოის გარდაცვალების გამო დაბეჭდა „სახალხო გაზეთში“ სპეციალური სტატია „ლევ ტოლსტოი“. ამ წერილში აკაკი წერდა, რომ ჩაგრული ხალხების გული გენიალურმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ მოინადირა სიყვარულისა და თანასწორობის ქადაგებით, იმით, რომ დიდებისაგან პატარებს იცავდა, ჩაგრულ ადამიანებს ესარჩლებოდა.

ლევ ტოლსტოის შემოქმედება უფრო მეტად დაფასდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. გენიალური რუსი მწერლის მხატვრული შედევრები ითარგმნა და ქართულ ენაზე ცალკე წიგნებად გამოიცა სწორედ ჩვენს დროში. ლევ ტოლსტოის შემოქმედების განხილვას მიეძღვნა აგრეთვე ქართველი მწერლების, მეცნიერების, კრიტიკოსების არაერთი სპეციალური გამოკვლევა თუ წერილი.

1978 წლის სექტემბერში მთელმა საბჭოთა ხალხმა და მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავი.

ა. პ. ჩეხოვი

ა. პ. ჩეხოვმა XIX საუკუნის 40—50-იან წლებში გააღრმავა და განავითარა რუსული კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე ტრადიციები. მან ეპოქის ნაკარნახევი ისეთი საკითხები წამოაყენა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის. მართალია, მწერალი თავისი ჰუმანური იდეალების განხორციელების კონკრეტულ-ისტორიულ გზას ვერ ხედავდა, მაგრამ ახალი ცხოვრების მოახლოებული ნაბიჯების მტკიცე ხმა მას კარგად ესმოდა.

ბავშვობა და ყრმობა. შემოქმედების ადრეული პერიოდი. ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი (1860—1904) დაიბადა ტაგანროგში. მამამისი, პავლე ეგორის ძე იყო წერილი ვაჭარი, რომელსაც ქ. ტაგანროგში პატარა დუქანი ჰქონდა. იგი პროფესიით კომერსანტი იყო, მაგრამ ინტერესებითა და მიდრეკილებებით ვაჭარს არ ჰგავდა. მას ძალიან უყვარდა მუსიკა, მხატვრობა, უკრავდა ვიოლინოზე, ხატავდა საეკლესიო ხატებს და სხვ. პავლე ეგორის ძე ჩეხოვი მორწმუნე კაცი იყო, ამასთან დესპოტი, მეტად მკაცრი რეჟიმის მოყვარული. მან შვილები თავის სავაჭრო საქმეებში ბავშვობიდანვე ჩააბა.

პატარა ანტონი იტანჯებოდა. მას არ იზიდავდა მამის საქმიანობა — ვაჭრობა, მამის „ხელოვნება“, რელიგია ყრმას ჰქანცავდა როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. „ბავშვობაში ბავშვობა არ მქონია“,— იტყოდა ხოლმე შემდეგში მწერალი.

1868 წლიდან პატარა ანტოშა ტაგანროგის გიმნაზიაში სწავლობდა. ეს გიმნაზია თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ დაწესებულებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სასწავლებელს. გიმნაზიაში მლიქვნელობა, მაბეზღარობა, უკიდურესი ფორმალიზმი, სწავლებაში ყოველგვარი სიახლის შიში და კლასიკური ენების კულტი იყო გამეფებული.

ხატების ხატვითა და ეკლესიაში გალობით გატაცებულ პაველე

ეგორის ძე ჩეხოვს ვაჭრობის საქმე უკან წაუვიდა და გაკოტრდა. 1876 წელს იგი მოვალეებს გაექცა და საცხოვრებლად სამუდამოდ გადავიდა მოსკოვში. ჭაბუკი ანტონი კი მშობლებმა გიმნაზიის კურსის დასრულებამდე დროებით ისევ ტაგანროგში დატოვეს. უპატრონოდ დატოვებულმა ანტონმა სამი წელი უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა, მაგრამ სიცივემ, შიმშილმა და აუტანელმა მძიმე შრომამ ახალგაზრდა ჩეხოვი ვერ გატეხა. მკაცრმა ცხოვრებამ მას ურყევი ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე გამოუმუშავა.

ტაგანროგის გიმნაზიაში ჩეხოვმა 11 წელი დაჰყო (1868—1879), მაგრამ აქედან ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ის სამი წელი იყო, როცა ანტონ ჩეხოვი ქალაქში დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა (1876—1879). მომავალი მწერლის ზნეობრივი და შემოქმედებითი ფორმირების პროცესი ყველაზე უფრო ინტენსიურად სწორედ მაშინ გამოვლინდა; მან იგრძნო ძლიერი სიყვარული მხატვრული ლიტერატურისა და თეატრისადმი, მომწიფება დაიწყო აგრეთვე მისმა ძლიერმა მხატვრულმა ნიჭმა.

1879 წ. ჩეხოვმა გიმნაზია დაამთავრა და მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა. სტუდენტობის დროს იგი დიდი გატაცებით სწავლობდა საბუნებისმეტყველო საგნებსა და მედიცინას. განსაკუთრებით გულმოდგინედ დაეწაფა დარვინის მოძღვრებას. გატაცებით კითხულობდა აგრეთვე ტიმირიაზევის შრომებს და ისმენდა მის ლექციებს.

ლიტერატურული მოღვაწეობა ჩეხოვმა მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაიწყო. მისი მინიატურული მოთხრობები ანტოშა ჩეხონტეს ფსევდონიმით იბეჭდებოდა 80-იანი წლების იუმორისტულ ჟურნალებში: „სტრეკოზა“ („ჭრიჭინა“), „ბუდილნიკი“ („მაღვიძარა“), „ზრიტელი“ („მაყურებელი“), „ოსკოლკი“ („ნამსხვრევები“).

მწერლის შემოქმედება თავიდანვე კრიტიკული რეალიზმის გზით წარიმართა: „ანტოშა ჩეხონტემ“ ჯერ კიდევ იუმორისტულ ჟურნალებში დაიწყო გოგოლისა და სალტიკოვ-შჩედრინის სატირული ტრადიციების აღდგენა და განვითარება. მისი ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის კლასიკური ნოველები „მოხელის სიკვდილი“ („Смерть чиновника“), „ალბიონის ასული“ („Дочь Альбиона“), „მსუქანი და გამხდარი“ („Толстый и Тонкий“), „ქამელეონი“, „უნტერ პრიშიბეევი“ და სხვები სწორედ 1883—1885 წლებშია დაწერილი.

ამ ნოველებში ჩეხოვი სრულებითაც არ ცდილობს მკითხველის გართობას. მისი სიცილი უაღრესად სერიოზული და დამაფიქრებელია, მკითხველს ძალაუნებურად აღუძრავს სერიოზულ აზრებს ცხოვრებაზე, ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. პატარა მოთხ-

რობებში ჩეხოვს განსაცვიფრებელი ოსტატობითა აქვს ასახული რთული მოვლენები, რომელთა დაძლევაც მანამდე დიდი ჟანრის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდათ.

მწერალმა პატარა მოთხრობებში წარმოსახვის ისეთ გაქანებას მიაღწია, როგორიც მხოლოდ ეპიკური ჟანრის დიდ ნაწარმოებებშია შესაძლებელი. ოთხ-ხუთგვერდიან ნოველებში მწერალი არაჩვეულებრივი ოსტატობით აქსოვდა დიდ შინაარსს, რომელთა გადმოცემა სქელტანიანი რომანებით ან პოემებით თუ მოხერხდებოდა. „უნტერ პრიშიბეევი“ მოცულობით პატარაა, მაგრამ მისი გმირი ადამიანის ცნობიერებაში ისე მძლავრად აღიბეჭდება, როგორადაც დიდი რეალისტური რომანის მთავარი პერსონაჟები. პრიშიბეევი ისეთივე ძლიერი, მონოლითური, განზოგადოებული, სატირული ტიპია, როგორიც გოგოლის ჩიჩიკოვი, სობაკევიჩი, ნოზდრიოვი, ხლესტაკოვი, შჩედრინის იუდუშკა გოლოვლიოვი და სხვ.

ა. ჩეხოვის შემოქმედებითი მეთოდი თავიდანვე კრიტიკულ-რეალისტური იყო. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც პუშკინის, გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის მოწაფე, მაგრამ არა მხოლოდ უბრალო მოწაფე, არამედ როგორც მათი ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელი, როგორც ნოვატორი, უაღრესად ორიგინალური სტილის მწერალი.

გოგოლისა და შჩედრინის სატირა მძაფრია, მათ შემოქმედებაში სატირული სახეების მანკიერება ლოგიკურ დაბოლოებამდეა მიყვანილი. ჩეხოვი, პირიქით, სატირული სახის შექმნის დროს არ იყენებს ჰიპერბოლას, დიდ მხატვრულ აბსტრაქციას. მისი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ჩვეულებრივი თვისებებითა და ყოფა-ქცევით ხასიათდებიან. მათი მანკიერება აბსურდამდე მიყვანილი არ არის.

ახალგაზრდა მწერალმა თავიდანვე უარყოფითი თვალით შეხედა თვითმპყრობელურ-ფეოდალური და ბურჟუაზიული რუსეთის სინამდვილეს, იგი თავიდანვე გამოესარჩლა „პატარა ადამიანებს“, მაგრამ მწერლის ადრინდელ ნაწერებში ზოგჯერ მაინც იჩენდა ხოლმე თავს მორალისტური და ობიექტივისტური ტენდენციები. ამით აიხსნება აგრეთვე 80-იანი წლების მეორე ნახევარში ლ. ტოლსტოის ფილოსოფიური და ეთიკური შეხედულებების გავლენა ნიჭიერი ნოველისტის შემოქმედებაზე.

1886 წ. დაიბეჭდა ა. ჩეხოვის მოთხრობების პირველი წიგნი „პრელი მოთხრობები“ („Пестрые рассказы“). ახალგაზრდა მწერალმა ამ კრებულისათვის შეარჩია ყველაზე უფრო საინტერესო,

იდეურად და მხატვრულად გამართული მოთხრობები, ისეთი მხატვრული შედევრები, როგორიცაა: „მსუქანი და გამხდარი“, „ქამელეონი“, „ბოროტგანმზრახველი“ („Злоумышленник“), „გადაამლაშა“ („Пересолил“), „სევდა“ („Тоска“) და სხვ.

80-იანი წლების ლიტერატურაში ჩეხოვის მოთხრობების პირველი კრებული წარმოადგენდა ფრიად მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას. მკითხველი მას დიდი აღტაცებით შეხვდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მაშინდელი დროის კრიტიკაზე. კრიტიკოსების უმრავლესობამ ახალგაზრდა ჩეხოვის კრებული უარყოფითად შეაფასა, მასში ვერ შენიშნეს ღრმა სოციალური სატირა მაშინ, როცა ყოველი მისი მოთხრობა უაღრესად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. ავიღოთ, მაგალითად, მოთხრობა „მსუქანი და გამხდარი“.

რკინიგზის სადგურში ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ სკოლის ამხანაგები, რომელთაგან ერთი მსუქანი იყო, მეორე კი — გამხდარი. ორივეს გაუხარდა ერთმანეთის ნახვა, მაგრამ საუბრის დროს გამოირკვა, რომ ერთ მათგანს — მსუქანს უკვე „ტაინი სოვეტნიკის“ ჩინი მიეღია, მაშინ როცა გამხდარი „კოლეგსკი ასესორობას“ ვერ გასცდა. ეს უკანასკნელი, გაიგებს თუ არა თავისი მეგობრის ასე დაწინაურებას, გაფითრდება, გაქვავდება და წელში მოიხრება ისე, როგორც შეშვენოდა დაბალ მოხელეს დიდი მოხელის წინაშე. შემდეგ კი უეცრად გამოეჭიმება მსუქანს, სერთუკის ყველა ღილს შეიკრავს და მიმართავს:

— „მე, თქვენო აღმატებულებავ... ძალიან სასიამოვნოა, ასე ვთქვათ, ბავშვობის მეგობარი და უეცრად ასეთი დიდი კაცი. ხი-ხი!“.

კრიტიკა ამ მოთხრობას მხოლოდ სასაცილოდ თვლიდა, მაგრამ აქ ბევრად მეტია მოცემული, ვიდრე მარტოოდენ დაცინვა. აქ მხილებულია ის მახინჯი სოციალური ვითარება, რომელიც ყოველ „პატარა ადამიანს“, ყოველ ხელქვეითს ბოლოს და ბოლოს დაშინებულ და სრულიად გამოთაყვანებულ არსებად აქცევდა.

ავიღოთ იმავე კრებულიდან მოთხრობა „სევდა“, რომელიც თავისი ღრმა ტრაგიზმით მკითხველში ნაღვლიან ფიქრებს აღძრავს.

პეტერბურგის ბნელი და ცივი ღამეა. მოხუცი მეეტლე, რომელსაც ერთადერთი ვაჟი საავადმყოფოში გარდაეცვალა, თავჩაქინდრული ზის ეტლის კოფოზე. იგი ვერც თოვლს ამჩნევს, ვერც სიცივეს. რა ქნას, ვის შესჩივლოს მოხუცმა თავისი უბედურება? მას ახლობელი აღარავინ გააჩნია. იგი ცდილობს, მგზავრებს ჩამოუგდოს სიტყვა თავის მწუხარებაზე, მაგრამ ვის სცხელა მისთვის! ყურსაც არავინ უგდებს. იგი ვერ პოულობს თანაგრძნობას ამ უცხო, გულქვა ადამიანებში. მოხუცს ბოღმა ახრჩობს და ბოლოს ისევ თავის ცხენს,

ამ ერთადერთ ახლობელ სულიერს, შესჩივლებს თავისი მარტოობის შესახებ.

ეს მშვენიერი მოთხრობა დაუნდობელი მხილებაა იმ საზოგადოებისა, სადაც ადამიანი ასე მიუსაფარია და განუკითხავი, სადაც არ არსებობს სუსტის შებრალება. ამ საზოგადოებაში ადამიანის ღირსება მიჩქმალულია. აქ ფასდება მხოლოდ ჩინი, რანგი, თანამდებობა, წოდება, სამსახურებრივი „წონა". ამაშია ამ სევდიანი მოთხრობის დედააზრი.

ახალგაზრდა ჩეხოვი დასცინოდა თავის თანამედროვე წესწყობილებას, სადაც ერთი ადამიანი ნახევრად მონურ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული მეორის მიმართ. სადღაა ადამიანის ღირსება, მისი პირადი ნიჭი და სულიერი თვისებებიო,— სევდიანად კითხულობს ჩეხოვი. ეს თემა — „ადამიანი და ჩინი" ბევრ მის მოთხრობაში მოჩანს. ამ თემაში ორი ძირითადი საწყისი აღინიშნება: პირველი,— როგორი უნდა იყოს ადამიანი და, მეორე, ნამდვილად როგორია ის მწერლის თანამედროვე ცხოვრებაში. ჩწერალი ხედავს, რომ ყველგან „ჩინი" იმარჯვებს „ადამიანზე", მაგრამ ჩეხოვს არ სურს შეურიგდეს ამგვარ მდგომარეობას.

ამ მხრივ მოთხრობა „ქამელეონში" მეტად დამახასიათებელია პოლიციის მეთვალყურე ოჩუმელოვი. იგი მედიდურად დააბიჯებს ბაზრის მოედანზე. მისი ხელოვნური გაბღენძილობა, მისი მკაცრი იერი ოდნავადაც არ შეიცვლება, როცა ის რაღაც ჩოჩქოლს შენიშნავს. შეკრებილ ხალხს რომ მიუახლოვდება, მბრძანებლის კილოთი მიმართავს: „ჟქვენ რა მიზეზით აქ?.. შენ ეგ თითი რატომ?.." ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი მეტყველება, ქედმაღლური ტონი და წარბების თამაში ნათლად წარმოგვიდგენს ამ „კანონის დამცველს". ირკვევა, რომ ოსტატი ხრიუკინი დაუკბენია ძაღლს. ოჩუმელოვი წამსვე გადაწყვეტს, მოსპოს დამნაშავე ძაღლი. მაგრამ, როცა შეიტყობს, რომ ეს ძაღლი „მაწანწალა პირუტყვი" კი არ არის, არამედ გენერალ ჟიგალიოვის ლეკვია, ოჩუმელოვი, უკვე დამფრთხალი, ახლა დაკბენილ ხრიუკინს დაემუქრება. აქ იწყება კანონის დამცველი პოლიციის ტრაგიკომედია. იმის მიხედვით, თუ ვინ მიიჩნევა ამ ძაღლის პატრონად, ის ხან ლეკვს ემუქრება, ხან ხრიუკინს. ოჩუმელოვი ძრწის მაღალი თანამდებობის პირის, გენერლის წინაშე, მაგრამ უბრალო ხალხის მიმართ იგი ძველებურად განუკითხავი და ზვიადია.

მოთხრობა „მსუქანი და გამხდარის" მიხედვით ღირსებადაკარგული გამხდარი ჩეხოვმა წარმოგვიდგინა როგორც სასაცილო და საბრალო, ოჩუმელოვი კი გულისამრევი და მახინჯი განსახიერებაა უთანასწორობაზე აგებული წესწყობილებისა. ოჩუმელოვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმის ვითარებას, იმას, თუ ვინ არის

დამნაშავე. ვინც უფრო გაელენიანია, ვისაც უფრო მაღალი ჩინი აქვს — მართალიც ის არის. არც ადამიანობას, არც ღირსებას, არც სილამაზეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ფასი აქვს მხოლოდ იმას, ვის რა წონა აქვს დეპარტამენტში, მაღალ საზოგადოებაში.

ამ პერიოდის მოთხრობებში ჩეხოვი არსად პირდაპირ არ ილაშქრებს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, მაგრამ უდიდესი გამომსახველობითი ძალით გადმოგვცემს იმ დროის ატმოსფეროს. იგი დასცინის ლაქიობას, მაამებლობას, ჩინების თაყვანისცემის სულისკვეთებას. ჩეხოვის საუკეთესო ნაწარმოებებში იუმორი სატირამდე ადის.

ა. ჩეხოვის შემოქმედება 80-იანი წლების მეორე ნახევარში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1884) ჩეხოვი ცოტა ხანს მუშაობდა ექიმად ქ. ვოსკრესენსკისა (ისტრა) და ზვენიგოროდის საავადმყოფოში. 1885 და 1886 წლების ზაფხული მან გაატარა სოფელ ბაბკინოში, სადაც დაუახლოვდა ცნობილ რუს მხატვარ-პეიზაჟისტს ლევიტანს.

1885 წლის დეკემბერში ანტონ პავლეს ძე ჩავიდა პეტერბურგში. სატახტო ქალაქის ლიტერატურულმა წრეებმა, იქაური ჟურნალების რედაქტორებმა და გამომცემლებმა ახალგაზრდა მწერალი დიდი სიხარულით მიიღეს.

ჩეხოვის რეალიზმი 80-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო ღრმავდება. მწერალი ისწრაფვის ასახოს სინამდვილე უფრო ფართო მასშტაბის ნაწარმოებებით. მართალია, მას არ მიუტოვებია და კვლავაც განაგრძობდა მცირე ჟანრზე მუშაობას, მაგრამ, ამასთან ერთად, დაიწყო დიდი მოცულობის ნაწარმოებების წერაც.

მისი პირველი ეროული მოთხრობა „სტეპი“ 1888 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „სეევერნი ვესტნიკში“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს სრულიად ახალ მოვლენას ჩეხოვის შემოქმედებაში. მოთხრობაში ფართო მხატვრული განზოგადებით ჰპოვა XIX საუკუნის 80-იანი წლების რუსეთის ცხოვრებამ. სტეპის სურათი, იქნებოდა ის რუსულ ხალხურ ეპიკურ ნაწარმოებებში თუ მხატვრულ ლიტერატურულ ქმნილებაში ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის მიწა-წყლის სიმბოლოს. ჩეხოვის „სტეპშიც“ მშობლიური რუსეთი სიმბოლურად არის წარმოდგენილი როგორც დიდებული და ძლიერი, მაგრამ ამავე დროს მრისხანე. მასში აღწერილია ცხრა წლის ბიჭის ეგორუშკას სასწავლებლად გამგზავრება. ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ გაემგზავრა ეგორუშკა ვაჭრის „ბრიჩკით“ სამაზრო ქალაქიდან დიდ ქალაქში და დარჩა იქ სასწავლებელში შესასვლელად.

მოთხრობაში აღწერილია „ბრიჩკების“ ქარავანი, ღამის გათევა ველზე და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს მთავარი არაა. მთავარი ის არის, რომ რუსეთის სიმბოლო — სტეპი ავტორს აღუძრავს ღრმა ფიქრებს თავისი ქვეყნის ბედ-იღბალზე. ამის შედეგად მწერალი პოეტური სტეპის ფონზე გვიჩვენებს ჩვეულებრივი, პროზაული ბუნების ადამიანებს. ამ ადამიანებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ვარლამოვი, რომელსაც აქვს რამდენიმე ათეული ათასი დესეტინა მიწა, ძალიან ბევრი ფული და ჰყავს დაახლოებით, ოცი ათასი ცხვარი. ვარლამოვი ველის მტაცებელია, რომელიც დაძრწის იმისათვის, რომ ჯიბე კიდევ უფრო მეტად გაისქელოს. გარეგნულად ვარლამოვი ფანატიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში იგი ცივია და საქმიანი.

ვარლამოვი სტეპის ობობაა. მას სურს მთელი სტეპი გააბას თავის მზაკვრულ ქსელში. მისი საქმიანობა ბილწავს სტეპის ენით გამოუთქმელ მარადიულ მშვენიერებას. რა საზიზღრობად ეჩვენება ადამიანს ამ წარმტაცი ბუნების წიაღში ფულის ძალა, ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლუატაცია, სიმდიდრის დაგროვება! ამგვარი საქმოსნებისათვის არ არსებობს ბუნების სილამაზე, ბუნებისათვის მათ არ სცალიათ.

მაგრამ ველზე მარტო ვარლამოვები როდი მოიპოვებიან. აქ გვხვდებიან ნამდვილი ადამიანებიც, ვისთვისაც ფულის დაგროვება სულაც არ წარმოადგენს ცხოვრების შინაარსს, ვისაც შეგნებული აქვს თავისი ადამიანური ღირსება. როცა ასეთ ადამიანს ეუბნებიან: „როგორ ბედავ, შე ბრიყვო, რომ თავს ვარლამოვს უტოლებ“. — იგი მშვიდად მიუგებს: „მე ჯერ იმდენად არ გავსულელებულვარ, რომ ვარლამოვს გავუტოლო თავი. მაგის მთელი ცხოვრება ფულშია და სვეტაში, მე კი ჩემი ფული ღუმელში დავწვი. მე არც ფული მჭირდება, არც მიწა, არც ცხვრები და არც ისაა საჭირო, რომ ვინმეს ჩემი ეშინოდეს და ქედს მიდრეკდეს, როცა გზაში შემომხვდება. მაშ, მე თქვენს ვარლამოზე უფრო ჭკვიანი ვარ და უფროც ვგავარ ადამიანს“.

1888 წელი ჩეხოვის ცხოვრებაში წარმოადგენს ტრიუმფის წელს. ჩეხოვი საყოველთაოდ აღიარებულ იქნა როგორც პირველხარისხოვანი პროზაიკოსი, მაგრამ მწერალი თვითონ გრძნობდა, რომ რუსეთის ცხოვრების უშუალო შესწავლისა და მისი ღრმად გაგების გარეშე შეუძლებელი იყო დიდ ლიტერატურაში შესვლა, ეპოქალური მნიშვნელობის მხატვრული შედევრების შექმნა.

1888 წელს ჩეხოვი უკრაინაში გაემგზავრა და იქ გაატარა მთელი ზაფხული. აქ ახალგაზრდა მწერალი აღმოჩნდა მშვენიერი პოეტური ბუნებისა და ასევე მშვენიერი ადამიანების გარემოცვაში. მალე აქე-

დან ჩეხოვი ყირიმს გაემგზავრა. ორ კვირაზე მეტი დაჰყო სიმფეროპოლში, იალტაში, ფეოდოსიაში, სოლო 25 ივლისს ყირიმიდან ესტუმრა სოხუმს, 28 ივლისს კი ჩამოვიდა თბილისში, მეორე დღეს მწერალი გაემგზავრა ბაქოში, მაგრამ იქიდან ისევ უკან დაბრუნდა და აგვისტოს პირველ რიცხვებში თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით უკრაინაში გაემგზავრა.

იქ ჩეხოვმა გაიგო, რომ აკადემიამ მას მიანიჭა პუშკინის სახელობის პრემია მოთხრობათა კრებულისათვის „მწუხრში“ („В сумерках“), რომელიც 1887 წელს გამოიცა.

90-იანი წლების შემოქმედება. 1890 წელს ჩეხოვმა გაღაწყვიტა კუნძულ სახალინზე გამგზავრება. მწერალს გასავლელი ჰქონდა მეტად დიდი გზა. მას უნდა გადაესერა სიბერცეები მოსკოვიდან წყნარ ოკეანემდე. მაგრამ ასეთი დიდი მოგზაურობის სიძნელეები მწერალს არ აშინებდა. „ჩემი მგზავრობა, — წერდა შემდეგ ჩეხოვი, — ეს იყო ნახევარი წლის ფიზიკური და გონებრივი შრომა, მაგრამ ამავე დროს ჩემთვის აუცილებელიც“.

სახალინზე ჩეხოვს თავისი თვალით უნდოდა ენახა „დამნაშავე“ კატორღელები და გასცნობოდა მათ მძიმე ცხოვრებას. სახალინის შესახებ ხალხი ამბობდა: „ირგვლივ ზღვაა, შუაში მწუხარება“.

სახალინზე მიღებული მძიმე შთაბეჭდილებანი ჩეხოვმა გადმოგვცა ნარკვევში „კუნძული სახალინი“, რომელიც 1891 წელს იბეჭდებოდა ლიბერალების ჟურნალში „რუსსკაია მისლ“. თავისი ნარკვევით ჩეხოვმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა თვითმპყრობელობას. სახალინის ტრაგედიამ რუსეთის პროგრესულ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ნაწარმოები მალე ევროპის მრავალ ენაზე გადაითარგმნა და ყველგან დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამ წიგნს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა მდგომარეობის შესასწავლად კუნძულ სახალინზე საგანგებო კომისია გაეგზავნა.

მოგზაურობის დროს ჩეხოვს ადრე დაწყებული მძიმე სენი — ტუბერკულოზი უფრო გაურთულდა. დაბრუნების შემდეგ, 1892 წელს, მან მოსკოვის მახლობლად სოფელ მელიხოვოში შეიძინა პატარა მამული და იქვე დასახლდა. სოფელში ყოფნის დროს მწერალი უკეთ გაეცნო რუსი გლეხის ყოფა-ცხოვრებას. იქ მან ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი დაამყარა და ყოველნაირად ცდილობდა იქაური გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მისი თაოსნობით მელიხოვოში გაყვანილი იქნა გზები, გაიხსნა სკოლა, საავადმყოფო.

მელიხოვოს პერიოდი (1892—1898) ჩეხოვის შემოქმედებაში უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. აქ დაიწერა მოთხრობები: „პალა-

ტა № 6“, „სახლი მეზონინით“ და „გლეხები“; პიესები: „თოლია“ და „ძია ვანია“. სოფლის ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვების შედეგად მწერალმა უფრო გვიან შექმნა შესანიშნავი მოთხრობა „ხრამში“.

მელიხოვოს პერიოდში ჩეხოვის შემოქმედება აღწევს განვითარების უმაღლეს დონეს. მისი კრიტიკული რეალიზმი უფრო ღრმა, დემოკრატიულ ხასიათს იღებს, რუსეთის სინამდვილე მწერლის მხატვრულ ნაწერებში უფრო ფართოდ, უფრო ხეტი სიღრმით აისახება. მწერალმა სწორედ ამ წლებში არა მარტო გაწყვიტა კავშირი ლ. ტოლსტოის ბოროტებისადმი წინაღუდგომლობის თეორიასთან, რომლის გავლენასაც იგი ერთხანს განიცდიდა, არამედ ბრძოლაც კი გამოუცხადა მას.

ა. ჩეხოვმა სწორედ მელიხოვოს პერიოდში იპოვა პასუხი კითხვაზე: რა ვაკეთოთ?, რომელიც მას 80-იან წლებში ესოდენ აწვალებდა. მისი პასუხი იყო აქტიური მოქმედება და არა პასიურობის რეაქციული ფილოსოფია, რომელსაც XIX საუკუნის 90-იან წლებში დიდი გასავალი ჰქონდა რუსეთის ინტელიგენციაში. ცხოვრებაზე ახალი შეხედულებების შედეგია ჩეხოვის ბრწყინვალე მოთხრობა „პალატა № 6“, რომელსაც თავისი ტრაგიკული შინაარსით განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ მთელ რუსულ ლიტერატურაშიც. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მოთხრობამ ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვ. ი. ლენინზე.

„პალატა № 6“ წარმოადგენს 80—90-იანი წლების რუსეთის ცხოვრების ვენიალურ მხატვრულ განზოგადებას. ეს იყო მძაფრი პროტესტი იმდროინდელი თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ. „მოთხრობაში,— ამბობდა ცნობილი რუსი მწერალი ლესკოვი,— მინიატურულად არის ასახული ჩვენი ცხოვრება, ჩვენი წესწყობილება, ჩვენი დროის ადამიანები. ყველგან პალატა № 6 გვხვდება, ეს რუსეთია“.

მოთხრობის სიუჟეტი ძალზე მარტივია. მიყრუებული პროვინციული ქალაქის საავადმყოფოს განაგებს ექიმი რაგინი. საავადმყოფო ცავმინებებულია. იქ გამეფებულია უწესრიგობა, ქურდობა, სიბინძურე, ავადმყოფები უპატრონოდ არიან მიტოვებულნი.

საავადმყოფოს გამგე რაგინი ოდესღაც ენერგიული კაცი იყო. იგი ებრძოდა უწესრიგობას, ქურდობას, უსუფთაობას, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ „ადამიანი შუბლით კედელს ვერ გაანგრევს“ და თანდათანობით გულგრილი გახდა ყველაფრის მიმართ. იგი საკუთარი სინდისის წინაშე თავს იმით იმართლებს, რომ ბოროტება მის მიერ არ არის მოგონილი, ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ

თავისი მოვალეობა მხოლოდ ფორმალურად შეასრულოს. ბოლოს რაგინი შინ ჩაიკეტება და ხელს მიჰყოფს ფილოსოფიური და ისტორიული წიგნების კითხვას.

სწორედ იმ დროს, როცა რაგინი ასე ფილოსოფოსობდა, საავადმყოფოში მბრძანებლობა დაიწყეს გამხეცებულმა ადამიანებმა. „წესრიგის დამცველი“ აღმოჩნდა საავადმყოფოს დარაჯი ნიკიტა. ეს უხეში, გაუთლელი კაცი სასტიკად სცემდა ავადმყოფებს, რომლებიც ჩაკეტილი ჰყავდათ ფსიქიატრიულ პალატა № 6-ში.

ერთხელ, შემთხვევით, როცა რაგინი შეევიდა პალატა № 6-ში, მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა ჭკვიანმა ავადმყოფმა, გვარად გრომოვმა, რომელმაც საუბრის დროს გამოამჟღავნა მახვილი გონება, განათლება, ორიგინალური აზროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი სასტიკად კიცხავდა რაგინს, მის ფილოსოფიას, მის შეხედულებებს ცხოვრებაზე, საავადმყოფოს მთავარი ექიმი მაინც დიდ კმაყოფილებას გრძნობდა ამ თავისებურ ადამიანთან საუბრისას.

რაგინსა და ავადმყოფ გრომოვს ხშირად ჰქონდათ სხვადასხვა საკითხზე საუბარი. მათი საუბრები, როგორც წესი, მწვავე პოლემიკურ სასიათს ატარებდა. რაგინი ქადაგებდა ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას, პასიურობას. მისი აზრით, ადამიანი თავისი ბუნებით ისეთია, რომ ყოველგვარ სიამოვნებას თავისთავში პოულობს. ცოცხალი ორგანიზმი მწვავე ტკივილის დროსაც კი შეიძლება დავაყუჩოთ, თუ მას სათანადოდ შთავაგონებთ. გრომოვი საწინააღმდეგო მოსაზრებისაა. იგი ამტკიცებს მოქმედების აუცილებლობას, თავისუფლებისათვის ბრძოლის საჭიროებას, სასტიკ პროტესტს აცხადებს ყოველგვარი ჩაგვრის, მონობის, ადამიანის დამცირებისა და ზნეობრივი დასახიჩრების წინააღმდეგ. გრომოვი ააშკარავებს რაგინის ფილოსოფიის უმეცრებას. გრომოვისათვის წარმოუდგენელია ისეთი ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც ტკივილი არის მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენა ტკივილზე, და თუ ადამიანი შეიცელის ამ წარმოდგენას, ტკივილიც გაქრება.

რაგინი გრძნობს, რომ გრომოვი მართალია და არ შეუძლია არსებითი პასუხი გასცეს მას. რაგინის თანაშემწე ექიმი ხობიტოვი, რომელიც თვალყურს ადევნებდა თავისი უფროსის საუბრებს ავადმყოფ გრომოვთან მოულოდნელად რაგინს შეშლილად გამოაცხადებს და მოათავსებს იმავე პალატა № 6-ში, რომელშიც გრომოვი იმყოფებოდა. ახლაღა დარწმუნდება რაგინი, რომ ამ საშინელი უსამართლობისა და სიმკაცრის მოთმენა არ შეიძლება. იგი გრომოვთან ერთად აცხადებს კატეგორიულ პროტესტს საავადმყოფოში გამეფებული სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ დარაჯი ნიკიტა ორივეს სასტიკად სცემს. და აი, ნაცემ რაგინს თავში გაუელვებს აზრი, რომ

ალბათ ასეთ ტკივილებს განიცდიდნენ მთელი წლების განმავლობაში ავადმყოფები. იგი საკუთარ ნაშუაში ისე იყო ჩაკეტილი, რომ არ იცოდა, რა სდებოდა მისაღმი დაქვემდებარებულ საავადმყოფოში.

„პალატა № 6“-ში ჩეხოვმა გამოთქვა იმ დროისათვის მეტად პროგრესული აზრი ადამიანის დანიშნულების შესახებ. მოთხრობის მიხედვით, ყველა ადამიანი პასუხისმგებელია იმ ტანჯვისა და უსამართლობისათვის, რომელიც მის თვალწინ ხდება. არავის არა აქვს უფლება, სხვას მიანდოს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. ნაწარმოებში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ყოველ ადამიანს ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული თავისი ადგილი ცხოვრებაში, უნდა იცოდეს, ვისთან არის იგი: მჩაგვრელებთან თუ ჩაგრულებთან.

ჩეხოვი აგრძელებს „პალატა № 6“-ის ხაზს 90-იანი წლების სხვა მხატვრულ ნაწარმოებებშიც: მოთხრობაში „სახლი მეზონინით“ (1896), „ჩემი ცხოვრება“ (1896), „კინკრიჟა“ (1898) და სხვ.

ყველა ამ მოთხრობას წითელ ზოლად გასდევს მწერლის აზრი რუსეთის ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, სულ უფრო მეტად და მეტად იგრძნობა მოთხრობებში ნაროდნიკების „მცირე საქმეთა“ თეორიის მკაცრი კრიტიკა.

ნაროდნიკების კრიტიკა გრძელდება ჩეხოვის 90-იანი წლების იმ მოთხრობებშიც, რომლებშიც სოფლის ცხოვრებაა ასახული. ამ მოთხრობებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „გლეხები“ და „ხრამში“.

„გლეხების“ („Мужики“) ობიექტური მნიშვნელობა მარტო ანტინაროდნიკული იდეით არ განისაზღვრება. მასში საოცარი მხატვრული სიძლიერით არის დახატული მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლების რუსეთის სოფლის რეალისტური სურათი, მისი ეკონომიკური და სოციალური დაქვეითება.

მწერალმა შემაძრწუნებელი მხატვრული სახეებისა და სურათების შექმნით გააცამტვერა ნაროდნიკული მწერლები, რომლებიც რუსეთის პატრიარქალურ სოფელს აიდეალებდნენ და გლეხის ცხოვრებას ნათელი ფერებით ხატავდნენ.

მწერალს უკვირს, რატომ ჰგონიათ ადამიანებს, რომ „მწვანით მოსილ გომურებში... საიდანაც ნესტის სუნი გამოდის“, უეჭველად „ბედნიერი ადამიანები ცხოვრობენ“.

მოთხრობაში გაღატაკებულ გლეხებთან ერთად მემამულეებსა და მოხელეებსაც ვხედავთ, მაგრამ მკვეთრი კლასობრივი დაპირისპირება დაჩაგრულებსა და მჩაგვრელებს შორის აქ არ იგრძნობა.

სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის ნამდვილი სურათი მოცემულია მოთხრობა „ხრამში“ („В овраге“), ამ მოთხრობის ცენტრში ციბუკინების ოჯახია. გრიგორ ციბუკინს სოფელში გახსნილი აქვს

საბაყლო დუქანი, მაგრამ ვაჭრობს არყით, მსხვილფეხა საქონლით, პურით, ტყვიით და ყველაფრით, რაც ხელში მოხვდება. ციბუკინს უყვარს „წესრიგი“ როგორც ოჯახში, ისე გარეთ, უყვარს აგრეთვე ტრაბახი, რომ ის მდიდარია, რომ ამით განსხვავდება გლეხებისაგან, რომლებიც ციბუკინს ეზიზღება.

ციბუკინები ტიპიური ვაჭრები არიან. მათ იციან, რომ მხოლოდ ფულშია ძალა და ფულით ყველაფრის შოვნა შეიძლება. სიცრუე — ციბუკინების მთავარი თვისებაა და, ამიტომ მწერალი ყველაზე უფრო ამ თვისების გამოაშკარავებას აქცევს ყურადღებას. სიცრუით შექმნა სიმდიდრე გრიგორ ციბუკინმა, ხოლო მისმა ვაჟიშვილმა ანისიმემ ყალბი ფულებით ოჯახი აავსო. მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ მას საქმე აქვს „ბნელ სამყაროსთან“, სადაც ყალთაბანდობა, ავაზაკობა, მოტყუება, ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა.

მწერალმა განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით დაგვიხატა გრიგორ ციბუკინის რძალი აქსინია, თამამი და მოუსვენარი დედაკაცი. იგი მთელი დღე ფუსფუსებს, დარბის და გასაღებებს აჩხარუნებს.

აქსინია ლამაზია გარეგნულად. მას ნაცრისფერი და თითქოს ალალმართალი თვალები აქვს, სახე მუდამ უღიმის. მაგრამ „მის ამ დაუხამხამებელ თვალებში, გრძელ კისერზე მოთავსებულ პატარა თავში და წერწეტ მოყვანილობაში რაღაც გველური იყო. მწვანე კაბით, რომელსაც მკერდთან ყვითელი ფარჩა ჰქონდა ჩადგმული, და ღიმილით იმ მხამიან გველს ჰგავდა, გაზაფხულის პირზე შვავის მწვანე ყანიდან თავმაღლა აწეული რომ გამოიყურება ხოლმე“.

მწერალი განსაკუთრებული სიძლიერით გვიხატავს ბავშვის მკვლელობის შემაძრწუნებელ სურათს. აქსინიამ მდუღარე წყალი გადაასხა თავის მაზლიშვილს — ჩვილ ბავშვს ნიკიფორეს იმისათვის, რომ თავიდან მოეცილებინა მემკვიდრეობის მომავალი მოცილე. აქსინიას გველური ბუნების გამოაშკარავებას მწერალი შემდეგაც აგრძელებს. როდესაც ეს გაპუდრული გველი ყვირილს დაუწყებს ბავშვის აქვითინებულ დედას — ლიპას და სახლიდან გამოაგდებს, თვითონ კი საშინელი ბოროტმოქმედების შემდეგ ღიმილით სახლიდან წავა, მკითხველს ებადება ზიზღისა და უსაზღვრო აღშფოთების გრძნობა.

მოთხრობაში ციბუკინების ავაზაკურ სამყოფელს უპირისპირდება შრომისა და სიმართლის სამყარო, რომელიც განსახიერებულია ჯანსაღ და მშვენიერ ლიპას სახეში. სპეტაკი ლიპა ციბუკინების ოჯახში უცხოა, იგი თითქოს სხვა მხრიდან არის მოსული ამ ველურებს შორის.

ლიპას ციბუკინების ოჯახის ეშინია, მაგრამ მასაც ჰყავს მახლობლები, თავისი მშობლიური გარემო, რომელიც ანუგეშებს ობოლ, დამცირებულ და შეურაცხყოფილ ლიპას მაშინ, როცა მწუხარებით გაოგნებულს საბანში გახვეული შვილის გვამი ღამით საავადმყოფოდან შინ მიაქვს. აი, ამ მწუხარების დროს გამოჩნდნენ გლეხები, რომლებსაც ურმით ტომრები მიჰქონდათ, მათ გაუწოდეს დახმარების ხელი დამწუხრებულ დედას.

ა. ჩეხოვი ამ მოთხრობას ამთავრებს სიმბოლური სცენით, სადაც საბოლოოდ იმარჯვებენ არა ციბუკინები, არამედ ლიპას სახით — მშრომელი ადამიანები.

ადამიანის თავის ნაკუწში ჩაკეტვის თემას ჩეხოვის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. ამ თემაზეა დაწერილი „კინკრიეა", „სიყვარულის შესახებ", „სიტყვიერების მასწავლებელი" („Учитель словесности") და განსაკუთრებით „კაცი ფუტლიარში" („Человек в футляре").

„კაცი ფუტლიარში" დაიბეჭდა ჟურნალ „რუსსკაია მისლის" 1898 წლის ივლისის ნომერში. იგი წარმოადგენს ჩეხოვის სოციალური სატირის განვითარების მწვერვალს, როგორც თავისი ფორმით, ისე იდეური შინაარსით. ამ მოთხრობაში მწერალმა დიდი მხატვრული დაკვირვებლობით დაგვიხატა რუსეთის ცხოვრების ზოგიერთი ტრპიული მოვლენა და ფართოდ განზოგადებული სახეები, რომლებიც დამახასიათებელი იყო რუსეთის სინამდვილისათვის სწორედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდში. მოთხრობა მიმართული იყო ობიექტურად იმათ წინააღმდეგ, ვინც ყოველმხრივ ხელს უშლიდა დემოკრატიული რევოლუციის მომზადებას.

მოთხრობის ცენტრში დგას ბერძნული ენის მასწავლებელი ბელიკოვი, რომელიც ფუტლიარში მალავს არა მარტო საათსა და ფანქრის სათლელ დანას, არამედ თავის აზრებს, გრძნობებს, თავის ურთიერთობას ადამიანებთან, ცხოვრებასთან.

ბელიკოვი გაურბის ცხოვრებას, რომელიც მდიდარია შინაარსითა და მრავალფეროვნებით. იგი კმაყოფილდება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ფორმულებით, ცირკულარებით. ბელიკოვი არ იცნობს ცხოვრებას და არც უნდა გაიცნოს იგი. ცხოვრებას ერიდება და ჰგონია, რომ ყველგან საშიშროება მოელის. ნაცვლად იმისა, რომ გამოიჩინოს წინააღმდეგობასთან შებრძოლების უნარი, წინ აღუდგეს დაბრკოლებას, გადალახოს სიძნელე, თავის სოროში ძვრება და იმალება. მთელი მისი უსუსური ფილოსოფია გამოთქმულია ერთი ფორმულით: „ვაითუ, ამას რაიმე მოჰყვეს".

ბელიკოვი, როგორც ფუტლიარის კაცი, გონებრივად და სულიე-

რად დაქვეითებულია იმიტომ, რომ მას ყოველგვარი სიახლის ეშინია და კარჩაკეტილია.

მოთხრობის ავტორი ხაზს უსვამს ისეთ ბიოგრაფიულ ფაქტებს, რომლებიც ქმნიან ფუტლიარის კაცის უაღრესად კოლორიტულ ფიგურას. ბელიკოვი ყოველთვის კალოშებსა და ქოლგას ატარებდა და თბილ დაბამბულ პალტოს იცვამდა. ყველაფერს ფუტლიარში ინახავდა: ქოლგას, ჯიბის საათს და ჯიბის დანასაც. ის ენაც, რომელსაც ის ასწავლიდა, იგივე ფუტლიარი იყო, იმიტომ, რომ ბელიკოვისათვის, ისიც თავისებურ საფარს წარმოადგენდა. ბელიკოვს არ გააჩნია არავითარი მოთხოვნილება, რომ შექმნას ოჯახური ბედნიერება, განიცადოს სიყვარული, ჰყავდეს მეგობარი, დაამყაროს ადამიანებთან პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთობა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მის ნაჭუჭში ცხოვრება მაინც შეიჭრება. ახალგაზრდა, ლამაზი, ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ვარინკა ბელიკოვს ისე „მოხიბლავს" და თავბრუს დაახვევს, რომ ბელიკოვი მის ცოლად შერთვას გადაწყვეტს. მაგრამ მისი ცხოვრება მაინც არაფრით იცვლება. თუმცა მან უმატა ლაპარაკს ცოლქმრული ცხოვრების სრული სერიოზულობის შესახებ, გახდა, ფერი დაკარგა და თითქოს უფრო ღრმად ჩაიმალა თავის ფუტლიარში, მაგრამ ცოლი ვერ შეირთო, შეშინდა.

ბელიკოვი ფუტლიარის კაცია, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის უვნებელი. ამ უაღრესად პასიურ კაცს ჰქონდა საზოგადოებაზე აქტიური ზემოქმედების დიდი ძალა. გიმნაზიის დირექტორს ეშინოდა მისი. და არა მარტო დირექტორს, მთელ გიმნაზიას, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში ბელიკოვს ეჭირა ხელში. უფრო მეტიც: ბელიკოვისა ეშინოდა მთელ ქალაქს.

ბელიკოვი თავის უპირველეს მოვალეობად თლიდა ყველასათვის თვალყურის ედევნებინა. იგი მართლაც გიმნაზიელების ყოფაქცევას, დირექტორის, მასწავლებლებისა და ქალაქის ჩვეულებრივი ობივატელების მოქმედებას თვალყურს ადევნებდა. ყველას აშინებდა თავისი გაურკვეველი, მაგრამ ამავე დროს სწორედ ამ გაურკვეველობის გამო საშიში სიტყვებით: „ვაითუ, ამას რამე მოჰყვეს".

ამ ფუტლიარის კაცს, ცხადია, აქვს თავისი გარკვეული რეაქციული შეხედულებები. ამის გარეშე იგი არ გამოძვრებოდა თავის სოროდან და არ დაიწყებდა სხვათა დაბეზღებას. ძალიან ჰგავს ჩეხოვის უნტერ პრიბიშეევს, რომელიც საზოგადოებრივი „წესრიგის" დაცვის მანიითაა შეპყრობილი. დაბეზღებას პრიშიბეევისათვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა, პირიქით, თავისი გადაჭარბებული მაბეზღარობით არა მარტო ხალხი, არამედ მეფის მოხელეებიც კი გადაიკიდა.

ასეთივე ჯაშუში და „წესრიგის დამცველია“ ბელიკოვი, მაგრამ მას, პრიშიბეევისაგან განსხვავებით, უმაღლესი განათლება აქვს, იგი მასწავლებელია, მოქმედებს შეგნებულად, თავისი რეაქციული შეხედულებების შესაბამისად. ამიტომ ბელიკოვი თავისი „საზოგადოებრივი მოღვაწეობის“ ასპარეზზე გაცილებით მეტ შედეგს აღწევს, ვიდრე პრიშიბეევი.

ბელიკოვი ფართოდ განზოგადებული ტიპია. ჩეხოვმა მისი სახე ცხოვრებიდან აიღო და გამოძერწა; რევოლუციის წინა პერიოდში ისინი ერთეულები როდი იყვნენ. ბელიკოვები თვითმპყრობელობის ხავსმოკიდებულ ორგანიზმზე ჰიებივით მრავლად დაცოცავდნენ და ისედაც დამძიმებულ ატმოსფეროს უფრო წამლავდნენ. ამიტომ იყო, რომ ბელიკოვის სიკვდილის შემდეგ ქალაქში ბევრი არაფერი შეცვლილა. „მართალია, ბელიკოვი დავმარხეთ,— ვკითხულობთ მოთხრობაში,— მაგრამ კიდევ რამდენი დარჩა ფუტლიარში ჩამალული ბელიკოვისთანა ადამიანი და რამდენი იქნება მომავალში“.

მოთხრობაში ბელიკოვს თავისი გარეგნობით, ხასიათითა და შეხედულებებით უპირისპირდება ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი კოვალენკო, ზორბა ტანის ჯანსაღი, მბიარული, განათლებული და ნათელი გონების ახალგაზრდა, რომელსაც სულს უხუთავს ბელიკოვების მიერ აშმორებული ატმოსფერო. სწორედ მან სტაცა ხელი კისერში ბელიკოვს და თავისი ქოლგითა და კალოშებით კიბეზე დააგორა იმიტომ, რომ ფუტლიარის კაცი დაემუქრა: დირექტორთან დაგაბეზღებ, ველოსიპედით რომ დასეირნობო.

ჩეხოვის აზრით, კოვალენკოს მსგავსი ადამიანები ცოტანი არიან რუსეთის ცხოვრებაში, მაგრამ მომავალი უთუოდ მათ ეკუთვნით.

დრამატურგია. ა. ჩეხოვმა დრამატურგიაში მუშაობა ადრე დაიწყო, მაგრამ მისი საპროგრამო პიესაა „თოლია“ („Чайка“), რომელიც 1896 წელს პეტერბურგში ალექსანდრეს თეატრის სცენაზე დაიდგა. მაშინ ბევრმა ვერ გაიგო ეს პიესა და ამიტომ მას წარმატება არ ჰქონია. ჩეხოვი იმდენად შეაწუხა პიესის წარუმატებლობამ, რომ წარმოდგენის დამთავრებამდე შინ წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი სრულიად მიატოვა პეტერბურგი და სოფელ მელიხოვოში გაემგზავრა.

„თოლია“ ახალი სიტყვა იყო რუსული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიაში. ის არ ჰგავდა იმ პიესებს, რომლებიც მაშინდელ თეატრებში იდგმებოდა და, რომლებსაც მაყურებელი შეჩვეული იყო. ჩეხოვის ამ პიესაში რეალისტური პრინციპები ზედმიწევნით არის დაცული და განვითარებული. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ მყვირალა, ეფექტურ, მელოდრამატულ სცენას, არაბუნებრივ ფრაზას.

ყველაფერი ჩვეულებრივია — ადამიანიც, საგანიც, ამბავიც. „ცხოვრებაში,— ამბობს ჩეხოვი,— ყოველ წუთს თავის მოკვლა, თავის ჩამოხრჩობა და სიყვარულის ახსნა არ ხდება, ყოველთვის ჭკვიანურად როდი ლაპარაკობენ... და ამიტომაც საჭიროა, რომ სცენაზე ეს ასევე გამოჩნდეს. ისეთი პიესა უნდა გაკეთდეს, სადაც ადამიანები მოვლენ, წავლენ, ისადილებენ ხოლმე, ამინდის შესახებ ილაპარაკებენ, ქაღალდს ითამაშებენ... სცენაზე ყველაფერი ისევე რთულად უნდა იყოს და, ამავე დროს, ისევე უბრალოდ, როგორც ეს ცხოვრებაშია. ადამიანები სადილობენ, მხოლოდ სადილობენ, ამ დროს კი იწყება მათი ბედნიერება ან ინგრევა მათი ცხოვრება“.

ჩეხოვის ეს პრინციპი, რომელიც ძირითადია მისი დრამატურგიისათვის, პრაქტიკულადაა განხორციელებული საპროგრამო პიესა „თოლიაში“. ამ ნაწარმოებში ადამიანები, მართლაც საუბრობენ ჩვეულებრივ ამბებზე, მოქმედებენ ისე, როგორც ცხოვრებაში ჩვეულებრივი ადამიანები მოქმედებენ; მათი ყოფაქცევა ღირსშესანიშნავი არაფრით არ არის, მაგრამ ამავე დროს ეს ადამიანები ისეთ პირობებში აღმოჩნდებიან, რომ შეუმჩნეველად ინგრევა მათი პირადი ბედნიერება, იღუპება ოჯახი და ა. შ.

პიესა „თოლია“ შესანიშნავი ნაწარმოებია ხელოვნებისა და სიყვარულის შესახებ. მასში თორმეტი მოქმედი პირიდან ორი მსახიობია და ორი მწერალი.

ნაწარმოების მიხედვით სიყვარული და ხელოვნება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეგოიზმის, წამგლეჯობის, ინდივიდუალიზმის გამო ჩიხშია მომწყვდეული. სიყვარული და ხელოვნება ამ პირობებში ადამიანს ბედნიერებას კი არ ანიჭებენ, არამედ ტანჯვასა და უბედურებას. პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი, მწერალი ტრიგორინი, თავის თავზე ამბობს: „ჩემი თაეი როგორც მწერალი, სულაც არ მიყვარს. ყველაზე უარესი ის არის, რომ მე რაღაც ბურანში ვარ და ხშირად არც კი მესმის, რასა ვწერ...“

ა. ჩეხოვი ეჭიმ ტრიგორინის პირით ამბობს, რომ მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად უნდა გამოხატავდეს რაიმე აზრს. „მშვენიერია ის, რაც სერიოზულია“. მაგრამ მწერალ ტრიგორინს აკლია სწორედ ეს დიდი აზრი და დიდი გრძნობები. მას ნამდვილად არასოდეს არავინ არ ჰყვარებია, მისი სიახლოვე არკადინასთან მისი უნებისყოფობით აიხსნება, ხოლო უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ნინა ზარეჩნაიასთან მეტყველებს ტრიგორინის ზნეობრივ სიმდაბლეზე, სერიოზული გრძნობებისა და ქალის მიმართ მოვალეობის შეგნების უქონლობაზე.

ტრიგორინი გრძნობს თავის ყალბ მდგომარეობას საზოგადოება-

ში. მან იცის, რომ ავტორიტეტი, რომელიც მას გააჩნია, დიდი ხელოვნებისათვის ბრძოლაში და თავდადებულ შრომაში კი არ არის მოპოვებული, არამედ ობივატელი მკითხველის მეშჩანური გემოვნების დაკმაყოფილების შედეგია. ტრიგორინი მომხრეა მშვიდი, განცხრომით ცხოვრებისა. მას ძალიან აღელვებს ის გარემოება, რომ ხელოვნებაში დაწყებულია დავა ახალი იდეებისა და ფორმების შესახებ. „ხომ ყველას აქვს ადგილი,— ამბობს ის,— ძველებსაც და ახლებსაც; რა საჭიროა ერთმანეთის ხელის კვრა“.

ახალგაზრდა მწერალ ტრეპლიოვს, ტრიგორინისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ არა აქვს მოხვეჭილი სახელი. „ვინ ვარ? რა ვარ?,— ამბობს იგი,— გამოვედი უნივერსიტეტის მესამე კურსიდან... არ გამაჩნია არც ნიჭი, არც კაპიკი ფული, ხოლო პასპორტის მიხედვით ვითვლები კიეველ მეშჩანინად“. ტრეპლიოვი წვალობს, იტანჯება, მას სურს ლიტერატურაში შექმნას ახალი ფორმა, ახალი მეთოდი, მაგრამ რისთვის, რა მიზნით, ეს არ იცის.

ტრეპლიოვს შეუყვარდება ნინა ზარეჩნაია, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიყვარებს ტრიგორინს. შეყვარებული ქალიშვილის დაკარგვამ ტრეპლიოვის ცხოვრებაში საბედისწერო როლი ითამაშა, რადგან ახალგაზრდა მწერალს ამ ქალის მეტი სხვა არაფერი გააჩნდა. მას არ ჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი იდეალი, მიზანი. იგი მხოლოდ სიყვარულით სულდგმულობდა, ეს დაკარგა და ამიტომ მან დაკარგა ცხოვრების აზრი, მიზანი.

„ჩვენი ცხოვრების მიზანი რომ მარტო პირად ბედნიერებაში მდგომარეობდეს,— ამბობდა ბელინსკი,— ხოლო პირადი ბედნიერება — სიყვარულში, ცხოვრება იქნებოდა ბნელი უდაბნო, გავსილი კუბოებითა და განგმირული გულებით, იქნებოდა ჯოჯოხეთი... გარდა საკუთარი შინაგანი სამყაროსი, ადამიანებისათვის არსებობს ცხოვრების დიდი სფერო სფერო საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, სფერო ადამიანის მუდმივი შრომისა და ბრძოლისა“.

ცხოვრების ეს სფერო, სადაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს ისტორიული ჰიდილი ძველსა და ახალს შორის, ტრეპლიოვმა ვერ იპოვა, ვერ მიაგნო ადამიანის არსებობის ჭეშმარიტ დანიშნულებას. სიყვარული გახდა მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, ეს კი დაკარგა. ამის შემდეგ მას აღარაფერი აღარ დარჩა და თავის მოკვლა გადაწყვიტა.

ტრეპლიოვს არ შეუძლია სიცოცხლე ნინა ზარეჩნაიას გარეშე, ამ უკანასკნელს კი ერთი დანახვით შეუყვარდება ტრიგორინი და მთელი თავისი არსებით მიენდობა მას. ასეთ მოჯადოებულ წრეს თავს აღწევს მხოლოდ ის, ვინც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაშია ჩაბმული. ასეთია, მაგალითად, ექიმი დორნი, რომელიც კმაყოფილია

განელილი ცხოვრებით და დამშვიდებული სინდისით ხვდება სიბერეს. მან იცის, რომ საზოგადოებას იგი სჭირდება და ეს შეგნება აძლევებს მას ხალხთან.

პიესის დადებითი გმირია ლამაზი და ნიჭიერი ნინა ზარეჩნაია. ტრიგორინისადმი სიყვარულმა ვერ გადაუკეტა გზა სამოქმედო ასპარეზისაკენ, რომელშიც „აზრი საქმედ იქცევა, ხოლო მაღალი გრძნობა გმირობად“, რათა წვრილმანმა საქმეებმა, ეჭვიანობამ, პირადმა უკმაყოფილებამ არ გატეხოს ზარეჩნაია, იგი საზოგადოებრივ ასპარეზზე, თეატრის სცენაზე პოულობს სულიერი ამაღლების ყველაზე უკეთეს საშუალებას.

აქრიგად, „თოლიაში“ დასმულია პრობლემა მწერლის ცხოვრებასთან დამოკიდებულების შესახებ. პიესის მიხედვით მწერლის შემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ წყაროს წარმოადგენს ცხოვრება, რადგან მისი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შემოქმედებითი შრომა. ასეთი შრომა კი შემოქმედს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ იგი ცხოვრებასთან განუყრელად არის დაკავშირებული. დრამატურგის აზრით, ნამდვილი მხატვარი მარტო დიდი ოსტატი კი არ უნდა იყოს, არამედ დიდი ადამიანიც — თავისი ქვეყნის კარგი მოქალაქე. პიესის ავტორი ხელოვნების დაქვეითების მიზეზს ეძებს ხელოვნების ხალხისაგან, ცხოვრებისაგან მოწყვეტაში. ასეთია „თოლიას“ იდეური შინაარსი.

„თოლია“ უჩვეულო მოვლენაა მაშინდელი რუსული თეატრისათვის. სახაზინო თეატრში იმ დროს გამეფებული იყო შაბლონი. ხოლო ჩეხოვის ახალი პიესა სწორედ ამ შაბლონის, თეატრალური რუტინის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ა. ჩეხოვმა თავის „თოლიაში“ მიზნად დაისახა, დაებრუნებინა თეატრისათვის ნამდვილი ცხოვრება, სიმართლე. „სცენაზე ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც ეს ცხოვრებაშია“, — ეს დებულება მთლიანად იქნა განხორციელებული პიესაში. ასევე ახლებურად განავითარა ჩეხოვმა პიესის სიუჟეტიც. ყოველგვარ შეჯახებას, სიუჟეტის მძაფრ განვითარებას მწერალი ერიდება. მართალია, კვანძის შეკვრის დროს, პირველ მოქმედებაშივე ისახება მოსალოდნელი დრამატული კონფლიქტი ტრეპლიოვსა და ტრიგორინს შორის, მაგრამ დრამატურგი ამ შეჯახებას თავს არიდებს, არ გვიჩვენებს.

სხვაგვარია და თავისებურ ფუნქციას ასრულებს ნაწარმოებში პეიზაჟიც, რომელიც თეატრალურ ეფექტს კი არ ემსახურება, არამედ ხელს უწყობს მაყურებელში სათანადო განწყობილების შექმნას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პიესის იდეურ სიღრმესა და ორიგინალურ ფორმას პირველად, რაც ის პეტერბურგში ალექსანდრეს თეატრში დაიდგა, მაყურებელმა ალღო ვერ აუღო. მაგრამ ეს

ნაწარმოები გულში ჩასწვდა მაყურებელს 1898 წელს, როცა, ჩეხოვის ახალი დრამატურგიული პრინციპების მიხედვით, ბრწყინვალედ დადგეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ.

1897 წელს დაიბეჭდა ა. ჩეხოვის ახალი პიესა „ძია ვანია“ („Дядя Ваня“). დრამატურგის ეს ახალი ნაწარმოები მალე სცენაზე დაიდგა და დიდი წარმატებაც ხვდა.

1903 წელს მწერლის ფიზიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ავადმყოფი ჩეხოვი დღითიდღე კარგავდა ძალ-ღონეს, მაგრამ მან მაინც დააბთავრა ამ წელს პიესა „ალუბლის ბაღი“ (Вишневый сад“), რომელიც, სამწუხაროდ, დიდი რუსი მწერლის გედის სიმღერად იქცა.

ჩეხოვის ახალ პიესას უდიდესი წარმატება ჰქონდა. „ალუბლის ბაღი“ ყველამ შეაფასა როგორც ჩეხოვის დრამატურგიის მწვერვალი. მასში შესანიშნავად არიან დახატული მაშინდელი რუსეთის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წარმომადგენლები.

თავადაზნაურული წარსულის წარმომადგენლები არიან: რანევსკაია, გაევი, სემიონოვ-პიშჩიკი და ფირსი. მწერალი ოსტატურად გვიხატავს ამ ადამიანების დაღუპვის ისტორიულ აუცილებლობას. რანევსკაიას და მის ძმას გაევს არ გააჩნიათ არავითარი ალღო, ისინი სრულიად ვერ ერკვევიან იმაში, თუ რა ხდება მათ გარშემო. მათ ვერ გაუგიათ, რომ ცხოვრება იცვლება და საჭიროა ან შეგუება ან კიდევ მის წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი ძველებურად ფუფუნებაში ატარებენ თავიანთ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ მეშვიდრეობით მიღებული მამული, რომელსაც ამშვენებს შესანიშნავი ალუბლის ბაღი, ბანკში აღმოჩნდა დაგირავებული. რანევსკაია და გაევი ხედაუენ, რომ მათი ქონება ნიავდება, მაგრამ მათ არა აქვთ საჭირო გამჭრიახობა და არც ძალ-ღონე, რომ შეინარჩუნონ საყვარელი ალუბლის ბაღი და მთელი მამული. ბურჟუა ლოპახინი ურჩევს მათ, დაანაწილონ ალუბლის ბაღი პატარა-პატარა ნაკვეთებად და ააშენონ მოაგარაკეთათვის გასაქირავებელი სახლები. ამ რჩევას აზნაურები არ მიიღებენ. ალუბლის ბაღის გაჩეხვა მათ თავიანთ წინაპართა ხსოვნის შეურაცხყოფად მიაჩნიათ, თანაც ბინების გაქირავებას არასაკადრის საქმედ თვლიან. ბოლოს რანევსკაია დაგირავებულ ალუბლის ბაღს პროცენტების გადაუხდელობის გამო კარგავს, მაგრამ ამ უბედურებამ რანევსკაია და მისი ძმა მაინც ვერ გააღაფხიზლა, პირიქით, სწორედ იმ დროს, როცა ალუბლის ბაღი საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა, მათ ბალი გამართეს და ცეკვა-სიმღერით ირთობდნენ თავს.

რანევსკაიასა და გაევის სახით ჩეხოვი მწარედ დასცინის თავადაზნაურულ კლასს. გვიხატავს რა ამ კლასის საბოლოო დაღუპვის ის-

ტორიულ აუცილებლობას, თავის მხრივ, არავითარ სიბრალულს არ გამოთქვამს ამის გამო. მაგრამ პიესაში მაინც იგრძნობა ლირიული ხმები ამ საერთო სამგლოვიარო სიმფონიაში. ეს ხმები გამოხატავენ მწერლის ნაღველს იმაზე კი არა, რომ რანევსკაია და გაევი იღუპებიან, არამედ იმის გამო, რომ საუკეთო ალუბლის ბაღი, რომელიც თაობათა შრომამ შექმნა და კულტურის სიმბოლოს წარმოადგენს, მტაცებელი ლოპახინების ხელში გადადის, რომ პოეტური ბაღნარი არაპოეტური ბუნების მჭრელ კომერსანტის ცულით უნდა გაიჩეხოს. მართლაც, როგორც კი შეისყიდა ლოპახინმა ალუბლის ბაღი, მაშინვე განაცხადა: „მოდით და დაინახეთ, ერმოლაი ლოპახინი როგორ ეცემა ცულით ბაღს, როგორ დაეცემა ხეები დედამიწაზე! ჩვენ ავაშენებთ აგარაკებს და ჩვენი შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები ნახავენ აქ ახალ ცხოვრებას“.

როგორია ლოპახინის მომავალი „ახალი ცხოვრება?“ ეს არის ბურჟუაზიული, ვაჭრული ცხოვრება, დამყარებული სიყალბეზე, ბოტყუებაზე, გამოფიტულ პრაქტიციზმსა და ეგოიზმზე.

მწერლის აზრით, ლოპახინები, რანევსკებისაგან განსხვავებით, არიან ენერგიული, ძლიერი ნებისყოფის, გონებაგამჭრიახი ადამიანები, მაგრამ არაკეთილშობილი, უგულო ადამიანები. ამიტომ ჩეხოვს მათი საქმე არ მიაჩნია მყარ ნიადაგზე დაფუძნებულად. პიესის მიხედვით მომავალი ეკუთვნის არა ბურჟუა ლოპახინებს, არამედ რევოლუციონერ ტროფიმოვებს. მართალია, ალუბლის ბაღი ლოპახინს დარჩა, მაგრამ რა არის ალუბლის ბაღი უზარმაზარ რუსეთთან შედარებით, რომელიც, ტროფიმოვის აზრით, სულ ბაღნარად უნდა გადაიქცეს.

ტროფიმოვი რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენელია. მწერალი მომავლის იმედს მასზე ამყარებს. მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდება რანევსკაიას ქალიშვილი ანა, რომელიც ასევე მიისწრაფვის ახალი ცხოვრებისაკენ.

ვერშინინისათვის და ტუზენბახისათვის მომავალი ძალიან შორს იყო, ის დაახლოებით ორასი-სამასი და შეიძლება კიდევ მეტი წლით იყო დაშორებული. ტროფიმოვისა და ანას მომავალი კი ახლოა. ისინი გრძნობენ, რომ ცხოვრება მალე შეიცვლება, რომ ნათელი მომავალი შორს არ არის. მის მოახლოებას ისინი უკვე აშკარად გრძნობენ: „ვგრძნობ ბედნიერების მოახლოებას, ანია,— ამბობს სიხარულით აღტაცებული ტროფიმოვი,— მე ვხედავ მას... აი ის, ბედნიერება, აი ის, მოდის, სულ უფრო მეტად და მეტად მიახლოვდება, მე მესმის მისი ფეხის ხმა...“

ტროფიმოვის ეს სიტყვები სჯერა ახალგაზრდა რანევსკაიას. იგი გატაცებულია რევოლუციური იდეებით და დიდი აღფრთოვანებით

მიესალმება ახალ ცხოვრებას:„ გამარჯობა, ახალო ცხოვრებავ!“ რა-ნევსკაიას ეს სიტყვები გამოხატავენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკ-რატიული ახალგაზრდობის შეძახილს. ისინი ვაშას ძახილით აპირებ-დნენ რევოლუციასთან შეხვედრას. ანას ეს სიტყვები თვით ავტორის სიტყვებიცაა. ავადმყოფი ჩეხოვი თავის გედის სიმღერაში ამ სიტყვე-ბით გამოემშვიდობა მკითხველს, მშობლიურ რუსეთს, რომელიც მას ესოდენ მხურვალედ და უანგაროდ უყვარდა.

1904 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ჩეხოვი მოსკოვიდან ისევ იალტაში დაბრუნდა. სწორედ ამ დროს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. მწერალი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს სამხედრო-პო-ლიტიკური ამბების მსვლელობას. მან დააპირა შორეულ აღმოსავ-ლეთში წასულიყო და მოქმედ არმიაში ექიმად დაეწყო სამსახური. მაგრამ ჩეხოვს საბოლოოდ უმტყუნა ჯანმა. მისი მდგომარეობა დღი-თიდღე უარესდებოდა. იგი ისე ცუდად შეიქნა, რომ მკურნალმა ექიმმა მოითხოვა მისი სასწრაფოდ წაყვანა საზღვარგარეთ, გერმა-ნიის კურორტ ბადენბადენში.

1 ივლისს გვიან ღამით გენიალური რუსი მწერალი გარდაიცვალა ბადენბადენში. 9 ივლისს ჩეხოვის გვამი ჩამოასვენეს ქალაქ მოსკოვ-ში და დაკრძალეს ნოვოდევიჩიეს სასაფლაოზე.

ა. ჩეხოვი საქართველოში. ა. ჩეხოვი საქართველოში პირველად იყო 1888 წლის ივლისში, ხოლო მეორედ — 1900 წლის მაისის ბო-ლოს და ივნისის დასაწყისში. ორივეჯერ იგი ყირიმიდან ჩამოვიდა საქართველოში. აქაურმა ბუნებამ და ქართველმა ხალხმა ჩეხოვზე მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. „განვიცადე საქართველოს სამხედრო გზა, — წერდა იგი თავისი შთაბეჭდილებების შესახებ 1888 წლის ივლისში, — ეს გზა კი არა, პოეზიაა, საუცხოო ფანტას-ტიკური მოთხრობა, დემონის მიერ დაწერილი და თამარისათვის მიძღვნილი“.

1900 წლის მაისში ა. ჩეხოვი თბილისში მ. გორკისთან და ცნო-ბილ რუს მხატვარ ვ. ვასნეცოვთან ერთად ჩამოვიდა.

დიდ რუს მოღვაწეებს ქართველმა საზოგადოებამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

საქართველოში ჩეხოვის მოგზაურობას უთუოდ გარკვეული მნიშ-ვნელობა ჰქონდა მწერლისათვის; დიდი მწერლის ზოგიერთ ნაწარ-მოებში ნათლად ჩანს საქართველოს ბუნების სურათები, დეტალები ქართველი ხალხის ცხოვრებიდან. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღსა-ნიშნავია მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები „დუელი“, რომელშიც მოქმედება წარმოებს შავი ზღვის სანაპირო ქალაქსა და მის ახლომახლო მიდამოებში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აქ იგულისხმება ქალაქი სოხუმი და მისი მიდამოები. ამ ქალაქში გემები

შემოდიან, გამოყვანილია სამხედრო ნაწილებიც. მთებიც ახლოა, ცხოვრობენ ქართველები, რუსები, აფხაზები, თათრები და სომხები. ამ მოთხრობაში აღწერილი ბუნების სურათები მოგვაგონებენ მწერლის მიერ ნანახსა და ნაცნობების მიმართ გაგზავნილ მის პირად წერილებში ასახულ საქართველოს ბუნებას.

საქართველოსა და ქართველებზე ა. ჩეხოვი ლაპარაკობს „კუნძულ სახალინში“ და სხვა ნაწერებშიც.

ა. ჩეხოვი უაღრესად პოპულარული მწერალი იყო ქართველთათვის. 900-იან წლებში ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში. წამყვან ქართულ ჟურნალებში ხშირად იბეჭდებოდა მისი მოთხრობების თარგმანები. მარტო 1901—1905 წლებში გადმოითარგმნა და დაიბეჭდა ჩეხოვის. 24 მხატვრული ნაწარმოები. აღსანიშნავია, რომ ქართველი მოღვაწეები პირველ რიგში თარგმნიდნენ ჩეხოვის მამხილებლური ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებსაც 900-იან წლებში გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა („უნტერ პრიშიბეევი“, „იონიჩი“, „მსუქანი და გამხდარი“, „სასამართლოში“, „ჩინოვნიკის სიკვდილი“ და სხვ.).

ჩეხოვის დრამატურგიაც კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. მისი პიესების ქართულად თარგმნა და გადმოკეთება მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო.

ქართულ სცენაზე დაიდგა პიესები: „ივანოვი“ (1890) და „დათვი“ (1891). 1903 წელს ქართულ ენაზე გადმოითარგმნა ჩეხოვის პიესა „ძია ვანია“ და სხვა ნაწარმოებები.

ლიტერატურა ქართულ ენაზე

ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957.

ამბავი იგორის ლაშქრობისა, 1938.

რუსული პოეზიის ანთოლოგია, 1948.

ა. რადიშჩევი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, 1955.

გიორგი ჯიბლაძე, „ამბავი იგორის ლაშქრობისა" და მისი ავტორის მსოფლმხედველობის საკითხი. „ესთეტიკური თეორიის საკითხები", 1961.

რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960.

თ. ბუაჩიძე. ძველი ქართული მწერლობა. ტ. I. მატიანეები. 1973.

თ. ბუაჩიძე. ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან, 1968.

გ. ტალიაშვილი, მ. ვ. ლომონოსოვი, 1962.

დ. შგელაძე. მ. ვ. ლომონოსოვი, 1965.

რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შეადგინა ვანო შადურმა, 1949.

რუსი მწოსნები, ლექსები, 1959.

რუსული ლიტერატურის ისტორია. ტ. II (XIX საუკუნე), ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით, 1962.

გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. II, 1958.

ფ. ახვლედიანი, რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა, 1949.

ლ. ასათიანი, ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან, 1955.

ა. ნიკოლაძე, რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა, 1961.

კ. შეძვენლია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1959.

დანელია, ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1959.

თ. ბუაჩიძე, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, 1973.

ი. ტინიანოვი, კუხლია.

ვ. შადური, პირველი რუსული რომანები კავკასიასა და საქართველოზე, თბილისი, 1966.

ი. ა. კრილოვი, იგავ-არაკები, 1944, 1951.

ა. ჩხეიძე, კრილოვი ქართულ ლიტერატურაში, 1945.

ა. ს. გრიბოედოვი, ვაი ჭკუისაგან, 1945, 1960.

ვ. შადური, გრიბოედოვი და საქართველო, 1954.

ი. კ. ენაკოლოფაშვილი, ცხოვრება გრიბოედოვისა, 1958.

ა. ს. პუშკინი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, 1949—1952; რჩეული თხზულებანი, 1975.
ლ. გროსმანი, პუშკინი, 1971.
ა. ნიკოლაძე, ა. პუშკინი, 1950.
ლ. ასათიანი, პუშკინი და ქართული კულტურა, 1949.
კრებული „პუშკინი საქართველოში", 1938.
მ. ი. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი, ტ. I. 1948; ლექსები და პოემები, 1944; ლექსები, 1937; პოემები, 1936, 1939, 1954; მასკარადი, 1947; აშუღარიბი, 1957; ორშა, 1895. ჩვენი დროის გმირი, 1946, 1963, 1964; მწყრი, 1899, 1946; დემონი, 1895, 1928, 1941, 1957.
ი. ანდრონიკაშვილი, საქართველო ლერმონტოვის შემოქმედებაში, 1953.
გ. მარგველაშვილი, ირისხვისა და ჯანყის პოეზია, 1964.
ს. დანელია, მიხეილ ლერმონტოვი, ცხოვრება და შემოქმედება, 1960.
მ. ბარამიძე, მ. ი. ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და თარგმანებში, 1973.
ნ. ვ. გოგოლი, მოთხრობები, 1950; მკვდარი სულები, 1937; რევიზორი, 1935, 1937; მაისის ღამე, შინელი, 1949; ტარას ბულბა, 1937, 1951, 1955; რჩეული ნაწერები ორ ტომად, 1955—1957, 1972.
ვ. შადური, გ. ტალიაშვილი, ნ. ვ. გოგოლი, 1952.
ა. ნიკოლაძე, ნ. ვ. გოგოლი, ცხოვრება და შემოქმედება, 1952.
კ. გამსახურდია, ს. დანელია, დიდი რუსი მწერალი ნ. ვ. გოგოლი, 1954.
გ. ბუხნიკაშვილი, გოგოლი ქართულ სცენაზე, 1954.
ბ. გ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ.ტ. I—II, 1952—1957; რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948; რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1950; წერილი გოგოლს, 1948.
გიორგი ჯიბლაძე, ბესარიონ ბელინსკი (მონოგრაფია), 1955.
ვ. შადური, ბესარიონ ბელინსკი, 1948.
ა. ი. გერცენი, ნამყო და ნააზრევი, ტ. I, 1959; რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. I, 1953.
გ. ჯიბლაძე, მხატვრული შემოქმედების ნარკვევები, 1946.
გ. ინწკირველი, ა. ი. გერცენი—დიდი რუსი მოაზროვნე და რევოლუციური დემოკრატი, 1962.
ნ. გ. ჩერნიშევსკი, რა ვაკეთოთ?, 1955; რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945.
ს. ხუნდაძე, ნ. გ. ჩერნიშევსკი, 1928.
გიორგი ჯიბლაძე, ნიკოლოზ ჩერნიშევსკი (კრიტიკული ეტიუდები, ტ. II, 1955).
ი. ს. ტურგენევი, მოთხრობები, ტ. I, 1955; ტ. II, 1953; მოთხრობები, 1956; გახუნებულის ნიალვრები, 1955; რუდინი, 1946; აზნაურთა ბუდე, 1948; მამები და შვილები, 1949; მუმუ, 1937; ასია, 1968; ბოლი, 1969.
ნ. ბოგოსლოვსკი, ტურგენევი, 1967.
ი. ა. გონჩაროვი, ობლომოვი, 1951; ბრამი, 1958; ფრეგატი „პალადა", 1963, 1972.
ა. ნ. ოსტროვსკი, პიესები, 1950.
ე. ქარელიშვილი, ალექსანდრე ოსტროვსკი, 1948.
ვ. იმედაძე, დიდი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი, 1958.
ნ. შალუტაშვილი, ა. ოსტროვსკი ქართულ სცენაზე, 1958.

ნ. ა. ნ ე კ რ ა ს ო ვ ი, ლექსები და პოემები, 1937, 1939, 1948; ლექსები, 1947; საბავშვო ლექსები, 1954; რუსი ქალები, 1953; ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად, 1950; ლექსები. პოემა., 1975.
ე რ. ა ს ტ ე ა ც ა ტ უ რ ო ვ ი, ნ. ნეკრასოვი, 1941.
შ. ე. ს ა ლ ტ ი კ ო ვ-შ ჩ ე დ რ ი ნ ი, ზღაპრები, 1950, 1954; პომპადურები, 1937; ბატონი გოლოვლიოვები, 1956.
ე რ. ა ს ტ ე ა ც ა ტ უ რ ო ვ ი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი, 1944.
თ. მ. დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი, საწყალი ადამიანები, 1956; დანაშაული და სასჯელი, 1958; დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, 1960, ყმაწვილი, 1962; ეშმაკნი, 1967; თეთრი ღამეები, 1971; მკვდარი სახლის ჩანაწერები, 1965; მოთხრობები, 1973.
ლ. ნ. ტ ო ლ ს ტ ო ი, თხზულებათა კრებული ათ ტომად, 1962—66.
ნ. ი ლ ი ნ ს კ ი, ლევ ტოლსტოის ცხოვრება და შემოქმედება, 1928.
ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, ლევ ტოლსტოი და სოციალიზმი, 1929.
პ. ღ უ დ უ შ ა უ რ ი, დიდი რუსი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი, 1953.
ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, ლევ ტოლსტოის ახლოს, 1954.
ვ ლ. ა ბ ა თ ი ა ნ ი, ლევ ტოლსტოი და საქართველო, 1936.
ო. ბ ა ქ ა ნ ი ძ ე, ლევ ტოლსტოი საქართველოში, 1960.
შ. კ ა შ მ ა ძ ე, ლევ ტოლსტოი და ქართული სინამდვილე, 1941.
ო. ბ ა ქ ა ნ ი ძ ე, გლებ უსპენსკი, 1962.
ა. პ. ჩ ე ხ ო ვ ი, ალუბლის ბაღი, 1905, 1954; მოთხრობები, 1927, 1947, 1953, 1957; მოთხრობები და პიესები, 1941; ინსცენირებული მოთხრობები, 1957; ტრამალი, 1956; კაცი ფუტლიარში, 1937; დათვი, 1941; კაშტანკა, 1937, 1956; თეთრშუბლი, 1928; თხზულებანი სამ ტომად, 1961—62; მოთხრობები, 1974.
კ. ჩ უ კ ო ვ ს კ ი, ჩეხოვი, 1973.
ე რ. ა ს ტ ე ა ც ა ტ უ რ ო ვ ი ა. პ. ჩეხოვი, 1947.
პ. ღ უ დ უ შ ა უ რ ი, ჩეხოვი და ქართული ლიტერატურა, 1959.
გ. ტ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი, ა. პ. ჩეხოვი, 1960.

ლიტერატურა რუსულ ენაზე

К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве. тт. I—II, 1967.

В. И. Ленин о литературе и искусстве, 1967.

Гудзий Н. К. Хрестоматия по древней Русской литературе. Учпедгиз. М., 1962.

«Повесть временных лет», ч. II, статьи и комментарии Д. С. Лихачева. Изд. АН СССР. М., 1950.

«Слово о полку Игореве». Изд. АН СССР. М., 1950.

Художественная проза Киевской Руси XI—XIII вв. ГИХЛ., М., 1957.

Русские повести XV—XVI вв. ГИХЛ. М.,—Л., 1958.

Русская демократическая сатира XVII в. Изд. АН СССР. М., 1954.

Житие протопопа Аввакума, им самим написанное, и другие его сочинения, редакция Н. К. Гудзия, 1960.

Хрестоматия по русской литературе XVIII века, составил А. Н. Кокарев, 1952.

Русская проза XVIII века, тт. I—II, 1950.

Русская поэзия (вып. I—VII) под ред. С. А. Венгерова, 1898—1901.

Русская комедия и комическая опера XVIII века. Редакция текста и вступительная статья П. Н. Беркова, 1950.

Сатирические журналы Н. И. Новикова. Редакция, вступительная статья и комментарии П. Н. Беркова, 1951.

Феофан Прокопович. Сочинения, 1961.

Кантемир А. Д. Собрание стихотворений, 1956.

Ломоносов М. В. Стихотворения, 1948.

Тредиаковский. Сочинения, тт. I—III, 1849.,

Тредиаковский, Ломоносов, Сумароков, в серии «Библиотека поэта», 1935.

Сумароков А. П. Стихотворения, 1958.

Фонвизин Д. И. Собрание сочинений в двух томах, 1959.

Ирои — комическая поэма, 1933.

Новиков Н. И. Избранные сочинения, подготовка текста, вступительная статья и комментарии Г. П. Макогоненко, 1961.

Державин Г. Р. Стихотворения, 1957.

Радищев А. Н. Избранные сочинения, 1951.

Карамзин Н. М. Сочинения.

Гудзий Н. К. История древней русской литературы. 1956.

Водовозов Н. История древнерусской литературы. 1962.

Орлов А. Древняя русская литература XI—XVI вв., 1945.

История русской литературы в трех томах. Изд. АН СССР, М.—Л., 1958. т. I.

История русской литературы, изд. Института русской литературы АН СССР, тт. I—V, 1941—1948.

Благой Д. Д. История русской литературы XVIII века, 1961.
Гуковский Г. А. Русская литература XVIII в., 1939.
Берков П. Н. История русской журналистики XVIII в., 1952.
А. Н. Соколов. История русской литературы XIX века, т. I, 1970.
Г. Н. Поспелов. История русской литературы XIX века, т. II, ч. I, 1962.
История русской литературы XIX века, тт. I—II, под ред. С. М. Петрова.
История русской литературы второй половины XIX в. под ред. Н. И. Кравцова, 1966.
Г. В. Плеханов. Литература и эстетика, тт. I—II, 1958.
М. Горький. История русской литературы, 1939.
Б. Мейлах. Ленин и проблемы русской литературы конца XIX — начала XXв., 1969.
Русские писатели о Грузии, составил В. Шадури, т. I, 1948.
Выдающиеся деятели русской культуры о Грузии, составил В. Шадури, 1958.
Летопись дружбы грузинского и русского народов с древних времен до наших дней, составили В. Шадури и Г. Бебутов, в двух томах, изд. II, 1967.
Г. Талиашвили. Русско-грузинские литературные взаимоотношения. Тбилиси, 1967.
А. Николадзе, Русско-грузинские литературные связи, 1966.
О. Лордкипанидзе, Русские революционные демократы в грузинской публицистике и критике, 1959.
К. Н. Батюшков, Стихотворения.
В. А. Жуковский, Стихотворения.
Декабристы. Поэзия, драматургия, проза, публицистика, литературная критика, составил В. Орлов, 1951.
К. Ф. Рылеев, Стихотворения. Думы, Войнаровский, Наливайко.
В. Г. Базанов, Поэты-декабристы, 1950.
В. Г. Базанов, Очерки декабристской литературы, 1961.
А. Г. Цейтлин. Творчество Рылеева, 1955.
В. С. Шадури, Декабристская литература и грузинская общественность, 1958.
И. А. Крылов, Басни.
В. Г. Белинский, Иван Андреевич Крылов. Любое издание.
Н. Л. Степанов, И. А. Крылов. Жизнь и творчество, 1958.
А. С. Грибоедов, Горе от ума, 1812; Грузинская ночь.
И. А. Гончаров. Мильон терзаний.
А. В. Луначарский, А. С. Грибоедов (А. В. Луначарский, «Классики русской литературы», 1937).
Н. К. Пиксанов, Творческая история, «Горе от ума», 1928
М. В. Нечкина, Грибоедов и декабристы, 1951.
В. Н. Орлов, Грибоедов, очерк жизни и творчества, 1954.
В. С. Шадури, Грибоедов и грузинская культура, 1946.
В. С. Шадури (составитель), Там, где вьется Алазань. Тбилиси, 1977.
И. К. Еникополов, Грибоедов в Грузии, 1954.
А. С. Пушкин, Собрание сочинений.
В. Г. Белинский, Статьи о Пушкине. Любое издание.

Н. Г. Чернышевский, А. С. Пушкин, его жизнь и сочинения. Любое издание.
Д. И. Писарев, Пушкин и Белинский.
Н. Л. Бродский, А. С. Пушкин, биография, 1937.
Д. Д. Благой, Творческий путь Пушкина, I—1950. II—1967.
Д. Д. Благой, Мастерство Пушкина, 1955.
Б. В. Томашевский, Пушкин, книга первая, 1956.
Г. А. Гуковский, Пушкин и проблемы реалистического стиля, 1957.
Б. С. Мейлах, Пушкин и его эпоха, 1958.
Л. П. Гроссман, Пушкин, 1960.
А. Слонимский, Мастерство Пушкина, 1963
В. Шадури, Пушкин и грузинская общественность, Тбилиси, 1967.
Л. Асатиани, Пушкин и грузинская культура, 1949.
В. С. Шадури (составитель), Шумит Арагва предо мною, 1974.
М. Ю. Лермонтов, Собрание сочинений.
В. Г. Белинский, Герой нашего времени, сочинение М. Лермонтова. Любое издание.
В. Г Белинский, Стихотворения М. Лермонтова, Любое издание.
Н. Л. Бродский, М. Ю. Лермонтов, биография, т. I, 1945.
А. Н. Соколов, М. Ю. Лермонтов, 1957.
Е. Михайлова, Проза Лермонтова, 1957.
Д. Максимов, Поэзия Лермонтова, 1964.
Б. М. Эйхенбаум, Статьи о Лермонтове, 1961.
Творчество М. Ю. Лермонтова. Сборник статей, 1964.
И. Андроников. Лермонтов в Грузии в 1837 году, 1958.
В. С. Шадури (составитель), За хребтом Кавказа, Тбилиси, 1977.
Н. В. Гоголь, Собрание сочинений.
В. Г. Белинский, О русской повести и повестях Гоголя.
В. Г Белинский, Статьи о «Мертвых душах».
В. Г. Белинский, Письмо к Гоголю.
Н. Г. Чернышевский, Очерки Гоголевского периода русской литературы.
С. И. Машинский. Художественный мир Гоголя, 1971.
В. И. Кулешов. Натуральная школа в русской литературе XIX в., 1965.
М. Б. Храпченко, Творчество Гоголя, 1959.
Г. А. Гуковский, Реализм Гоголя, 1959.
Н. Л. Степанов, Гоголь. Творческий путь, 1959.
В. В. Ермилов, Гений Гоголя, 1950.
М. Гус, Гоголь и николаевская Россия, 1957.
Г. А. Талиашвили, Гоголь в грузинской литературе, 1952.
Н. И. Мордовченко, Белинский и русская литература его времени, 1950.
М. Поляков, Виссарион Белинский, 1960.
Белинский — историк и теоретик литературы, сборник статей, 1949.
Белинский и современность. Сборник статей, 1964.
А. Лаврецкий, Эстетика Белинского, 1959.
А. И. Герцен, Кто виноват? Доктор Крупов, Сорока-воровка. Былое и думы. О развитии революционных идей в России.
В. И. Ленин, Памяти Герцена.

Г. В. Плеханов, Философские взгляды А. И. Герцена. Герцен и крепостное право.
Я. Е. Эльсберг. Герцен. Жизнь и творчество, 1963.
Л. Гинзбург. «Былое и думы» Герцена, 1957.
Н. Г. Чернышевский. Что делать? Пролог.
В. И. Ленин о Чернышевском. («В. И. Ленин о литературе и искусстве»).
Д. И. Писарев. Мыслящий пролетариат.
А. В. Луначарский. Н. Г. Чернышевский как писатель.
Б. И. Бурсов. Вопросы реализма в эстетике революционных демократов, 1953.
Б. И. Бурсов, Мастерство Чернышевского-критика, 1959.
А. И. Скафтымов. Жизнь и деятельность Н. Г. Чернышевского, Саратов, 1947.
Н. В. Богословский, Чернышевский, 1957
Б. Рюриков, Н. Г. Чернышевский, 1961.
В. Шадури (составитель), Поэтический край. Н. Г. Чернышевский и грузинская общественность, Тбилиси, 1978.
В. С. Кружков. Мировоззрение Н. А. Добролюбова, 1950.
В. Жданов. Н. А. Добролюбов, 1955.
И. С. Тургенев. Записки охотника. Месяц в деревне. Дневник лишнего человека. Ася. Муму. Фауст. Рудин. Дворянское гнездо. Накануне. Отцы и дети. Дым. Новь. Стихотворения в прозе.
В. Г. Белинский, Взгляд на русскую литературу, 1847.
Н. Г. Чернышевский, Русский человек на rendez-vous.
Н. А. Добролюбов. Когда же придет настоящий день?
Д. И. Писарев. «Дворянское гнездо», роман И. С. Тургенева.
Д. И. Писарев, Базаров.
Д. И. Писарев, Реалисты.
В. В. Воровский. Базаров и Санин.
Н. Л. Бродский. И. С. Тургенев, 1950.
П. Г. Пустовойт. И. С. Тургенев.1957.
С. Петров. И. С. Тургенев. 1961.
Г. А. Бялый. Тургенев и русский реализм, 1962.
А. Г. Цейтлин, Мастерство Тургенева-романиста, 1958.
Н. Богословский, Тургенев, 1959.
Творчество И. С. Тургенева. Сборник статей, 1959.
И. А. Гончаров. Обыкновенная история. Обломов. Обрыв. Мильон терзаний.
В. Г. Белинский. Взгляд на русскую литературу, 1847 г.
Н. А. Добролюбов, Что такое обломовщина?
Д. И. Писарев, Писемский, Тургенев и Гончаров.
А. Г. Цейтлин, И. А. Гончаров, 1952.
А. Рыбасов, И. А. Гончаров, 1957.
Н. И. Пруцков. Мастерство Гончарова—романиста, 1962
А. Н. Островский, Свои люди—сочтемся. Бедность — не порок. Доходное место. Гроза. Бешеные деньги. Лес. Снегурочка. Волки и овцы. Бесприданница. Без вины виноватые.
Н. А. Добролюбов, Темное царство.
Н. А. Добролюбов, Луч света в темном царстве.
Д. И. Писарев, Мотивы русской драмы.

Г. В. Плеханов, Добролюбов и Островский.
А. И. Ревякин, А. Н. Островский. Жизнь и творчество, 1949.
Н. А. Некрасов. Собрание сочинений.
В. Е. Евгеньев-Максимов. Творческий путь Н. А. Некрасова, 1953.
Некрасов и русская литература. Сборник статей, 1971.
К. Чуковский. Мастерство Некрасова, 1962.
М. Гин. От факта к образу и сюжету. О поэзии Некрасова, 1971.
М. Е. Салтыков-Щедрин. Губернские очерки. Помпадуры и помпадурши. История одного города. Господа Головлевы. Убежище Монрепо. За рубежом. Сказки. Пошехонская старина.
Н. Г. Чернышевский, «Губернские очерки» Щедрина.
Н. А. Добролюбов, «Губернские очерки» М. Е. Салтыкова-Щедрина.
М. Ольминский, Статьи о Салтыкове-Щедрине, 1959.
С. Макашин, Салтыков-Щедрин, биография, 1951.
Я. Эльберг, Салтыков-Щедрин, Жизнь и творчество, 1953.
В. Я. Кирпотин, Философские и эстетические взгляды Салтыкова-Щедрина, 1957.
А. Бушмин, Сатира Салтыкова-Щедрина, 1959.
Е. И. Покусаев, Революционная сатира Салтыкова-Щедрина, 1964.
Ф. М. Достоевский, Бедные люди. Записки из мертвого дома. Униженные и оскорбленные. Записки из подполья. Преступление и наказание. Идиот. Братья Карамазовы. Бесы.
В. Г. Белинский, Взгляд на русскую литературу 1846 г.
Н. А. Добролюбов, Забитые люди.
Д. И. Писарев, Погибшие и погибающие.
Д. И. Писарев, Борьба за жизнь.
М. Горький, Заметки о мещанстве.
М. Горький, О «карамазовщине».
А. В. Луначарский, Достоевский как мыслитель и художник.
А. В. Луначарский, Русская литература (избранные статьи, 1947).
М. С. Гус, Идеи и образы Достоевского, 1962.
В. Ермилов, Ф. М. Достоевский, 1956.
Г. М. Фридлендер. Реализм Достоевского, 1964.
Н. М. Чирков. О стиле Достоевского, 1964.
М. Бахтин. Проблемы поэтики Достоевского, 1963.
Творчество Ф. М. Достоевского, сборник статей, 1959.
Г. И. Успенский, Нравы Растеряевой улицы. Разоренье. Власть земли. Крестьянин и крестьянский труд. Выпрямила.
Г. В. Плеханов, Г. И. Успенский.
Н. А. Глаголев, Г. И. Успенский, 1953.
Н. И. Пруцков, Творческий путь Глеба Успенского, 1958.
Н. И. Соколов, Мастерство Г. И. Успенского, 1958.
Л. Н. Толстой, Детство. Отрочество. Юность. Севастопольские рассказы. Утро помещика. Люцерн. Казаки. Война и мир. Анна Каренина. Исповедь. Смерть Ивана Ильича. Воскресение. После бала. Хаджи-Мурат. Власть тьмы. Живой труп. Не могу молчать.
В. И. Ленин, Статьи о Толстом.

Н. Г. Чернышевский, «Детство и отрочество», Соч. Л. Н. Толстого, Военные рассказы Толстого.
Д. И. Писарев, Промахи незрелой мысли.
Н. К. Гудзий, Л. Н. Толстой, 1960.
С. Бычков, Л. Н. Толстой. Очерк творчества, 1954.
М. Б. Храпченко. Лев Толстой как художник, 1965.
Л. Н. Толстой. Сборник статей, 1955.
А. А. Сабуров, «Война и мир» Л. Н. Толстого. Проблематика и поэтика, 1959.
Г. А. Талиашвили, Лев Толстой и Грузия, 1951.
А. П. Чехов, Рассказы и повести. Чайка. Дядя Ваня. Три сестры. Вишневый сад.
В. В. Воровский, А. П. Чехов.
В. В. Воровский, Лишние люди.
В. В. Ермилов, А. П. Чехов, 1954.
В. В. Ермилов, Драматургия Чехова, 1954.
Л. Роскин, А. П. Чехов. Статьи и очерки, 1959.
А. Дерман. О мастерстве Чехова, 1959.
В. В. Голубков. Мастерство Чехова, 1958.
Г. Бердников, А. П. Чехов, 1970.
А. П. Чудаков. Поэтика Чехова, 1971.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

ძველი რუსული ლიტერატურა (XI—XVII საუკუნეები). შესავალი 3

ძველი რუსეთის სახელმწიფოს ლიტერატურა (XI—XII სს.). 4

ისტორიული პირობები. თარგმანები (4). ორიგინალური რუსული ძეგლები (6). „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ძეგლის აღმოჩენისა და გამოქვეყნების ისტორია (8). თხზულების ისტორიული საფუძველი, კომპოზიცია და შინაარსი (9). „იგორის ლაშქრობის“ მთავარი იდეა (14). ნაწარმოების მხატვრული სახეები (15). „იგორის ლაშქრობის“ მხატვრული თავისებურებანი (17). „ამბავის“ ავტორის შესახებ. ძეგლის მნიშვნელობა (18).

ფეოდალური დაქუცმაცებისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის გაერთიანების პერიოდის მწერლობა (XIII—XV სს.). 19

ისტორიული პირობები (19). თათართა შემოსევის ამსახველი ნაწარმოებები (21). „ზადონშჩინა“ (23). „მოთხრობები ბაბილონის სამეფოზე“ (24). „თქმულება ვლადიმირელ მთავართა შესახებ“ (26). საქართველო რუსულ ლიტერატურაში. „მოთხრობა დინარაზე“ (28). „მოთხრობა პეტრესა და ფებრონიაზე“ (34).

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ლიტერატურა (XVI—XVII სს.). 35

XVI საუკუნის ისტორიული ვითარება. პირველი რუსული სტამბა (35). ივანე პერესვეტოვის „თქმულებანი“ (37). XVII საუკუნის „არეულობის ხანა“ და მასთან დაკავშირებული ნაწარმოებები (38). „მოთხრობა საბა გრუდცინზე“ (39). „მოთხრობა ფროლ სკობეევზე“ (41). „მოთხრობა შემიაკას სასამართლოზე“ (43). დეკანოზ ავაკუმის თხზულებანი (44). მელექსეობა. სიმეონ პოლოცკელი (46). თეატრი და დრამატურგია (47).

XVIII საუკუნე 49

შესავალი. პეტრეს ეპოქა (49). ანონიმური მოთხრობები (50). თეოფანე პროკოპოვიჩი (51).

30—50-იანი წლების ლიტერატურა 53

რუსული კლასიციზმი (54). ა. დ. კანტემირი (55). ვ. კ. ტრედიაკოვსკი (58). მ. ლომონოსოვი. ბიოგრაფია (60). მ. ლომონოსოვი პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ (62). მ. ლომონოსოვი რუსული ლექსთწყობისა და სალიტერატურო ენის შესახებ. „სამი შტილის“ თეორია (64). მ. ლომონოსოვის სახოტბო პოეზია (66). მეცნიერების თემა მ. ლომონოსოვის პოეზიაში (69). მ. ლომონოსოვი ქართულ ლიტერატურაში (73). ა. სუმარკოვის შემოქმედება (74).

60—90-იანი წლების ლიტერატურა 78

ეპოქის მოკლე მიმოხილვა. იდეური მიმართულებანი (78). 1769—1774 წწ. სატირული ჟურნალები. ნ. ნოვიკოვი (81). დ. ფონვიზინი. ბიოგრაფია (86). „მზაკვარი მელა“ და „უსტარი ჩემს მსახერთ“ (87). დ. ფონვიზინის დრამატურგია. „ბრიგადირი“ (90). „უმწიფარა“ (92). გ. დერჟავინი. ბიოგრაფია (99).

ოდა „ფალიცა“ (100). მამხილებელ-სატირული ოდები (101). პატრიოტული ოდები (103). ფილოსოფიური ოდები (103). გ. დერჟავინის პოეზია ქართულ ენაზე (105). ა. რადიშჩევი (106). ბიოგრაფია (106). „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“ (109). შატონყმობის თემა (110). ოვითმპყრობელობის თემა „მოგზაურობაში“ (112).

რუსული სენტიმენტალიზმი ნ. კარამზინი 115

სენტიმენტალიზმი რუსულ ლიტერატურაში (115). ნ. კარამზინის ცხოვრება და მოღვაწეობა (118). „რუსი მოგზაურის წერილები“ (119). ნ. კარამზინის მოთხრობები (121). რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“. ნ. კარამზინი ქართულ ლიტერატურაში (127).

XIX—საუკუნე 130

შესავალი. XIX საუკუნის რუსეთი და მისი ლიტერატურა (130). XIX საუკუნის რუსული მწერლობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები (131). XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის განვითარების ეტაპები (133). რუსი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი ქართველ და სხვა ხალხებთან (135).

ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში 137

ეპოქა. ლიტერატურული მიმართულებანი (137). რომანტიზმი (139). ვ. ჟუკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება (142). დეკაბრისტული ლიტერატურა (147). კ. რილეევის ცხოვრება და შემოქმედება (149). დეკაბრისტები საქართველოში (152). რეალიზმი (156). ი. კრილოვის მოღვაწეობა XIX საუკუნეში (158).

ა. ს. გრიბოედოვი 162

ცხოვრება და მოღვაწეობა (163). „ვაი ჭკუისაგან“. ნაწარმოების ძირითადი თემა და კომპოზიცია (166) მხატვრული სახეები (167). პიესის მხატვრული თავისებურებანი (170). ა. გრიბოედოვი და ქართველი საზოგადოებრიობა (172).

ა. ს. პუშკინი 175

ბავშვობა. ლიცეუმში სწავლა (176). პეტერბურგის პერიოდის სამოქალაქო ლირიკა. პოემა „რუსლანი და ლიუდმილა“ (179). გადასახლებაში. სამხრეთული პოემები (183). „ბორის გოდუნოვი“ (188). პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება 1826—1829 წლებში (190). თბილისში ჩამოსვლა. საქართველო პუშკინის შემოქმედებაში (193). ბოლდინოს შემოდგომა. „ევგენი ონეგინი“ (198). მცირე ტრაგედიები. „ბელკინის მოთხრობები“ (204). პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი წლები. პროზაელი ნაწარმოებები (207). „ბრინჯაოს მხედარი“. „ძეგლი“ (211). პუშკინი ქართულ ლიტერატურაში (213).

მ. ი. ლერმონტოვი და მისი ეპოქა 214

მ. ლერმონტოვის ბავშვობა და ყრმობა. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდი (216). მ. ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება 1837—1841 წლებში (220). პოემები (226). დრამატურგია (233). პროზა (233). ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში (238).

ნ. ვ. გოგოლი 239

ბავშვობა და სიჭაბუკე. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა (239) მირგოროდი“ (243). „პეტერბურგული მოთხრობები“ (247). დრამატული თხზულებები (250). „მკვდარი სულები“ (255). მოღვაწეობის უკანასკნელი წლები (261). ნ. გოგოლი ქართულ ლიტერატურაში (262).

ორმოციანი წლების ლიტერატურული მოძრაობა. ბ. გ. ბელინსკი 264

ეპოქა. სლავოფილები და მედასავლეთეები (264). „ნატურალური სკოლა“ (267). ბ. ბელინსკის ცხოვრების გზა (268). ბ. ბელინსკი როგორც კრიტიკოსი (271). ბ. ბელინსკი და ქართული ლიტერატურა (275).

ა. ი. გერცენი
ა. გერცენის ცხოვრება და მოღვაწეობა (276). მხატვრული შემოქმედება (283). „ვინ არის დამნაშავე?“ (284). „ქორდბაცაცა კაკაჯი“ და „ექიმი კრუპოვი“ (286). ნამყო და ნაბრძანი“ (288). ა. გერცენი და ქართველი მოღვაწეები (289).
ნ. გ. ჩერნიშევსკი და 1860-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა რუსეთში 299
ახალი ეტაპი განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ლიტერატურის ისტორიაში. რევოლუციონერი დემოკრატები (290). ჟურნალი „სოვრემენნიკი“ (292). ახალი მოვლენები მხატვრულ ლიტერატურაში (294). ნ. ჩერნიშევსკის ცხოვრება და მოღვაწეობა (290). ჩერნიშევსკის ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი (299). „რა ვაკეთოთ?“ (302). ჩერნიშევსკი ქართველი მოღვაწეები (308).
ნ. ა. ნეკრასოვი 309
ცხოვრების გზა. ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი (309). ნეკრასოვი პოეზიის დანიშნულების შესახებ (313). ლირიკა (316). პოემები (320). „რუსი ქალები“. „პაპა“ (322). „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად (324). ნეკრასოვი ქართულ ლიტერატურაში (330).
ი. ა. გონჩაროვი 331
ბავშვობა და ახალგაზრდობა. ადრეული შემოქმედება (332). „ჩვეულებრივი ისტორია (333). „ობლომოვი“ (336). „უფსკრული“. ი. გონჩაროვის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები (342).
ი. ს. ტურგენევი 346
ცხოვრების გზა (346). „მონადირის ჩანაწერები“ (348). „რუდინი“ (352). „წინადღით“ (355). „მამები და შვილები“ (357). ტურგენევის მოღვაწეობის ბოლო წლები (360). ტურგენევი ქართულ ლიტერატურაში“ (363).
ა. ნ. ოსტროვსკი 364
ბიოგრაფია (364). პირველი ნაწარმოებები (366). ა. ოსტროვსკის 60-იანი წლების შემოქმედება (368). 70—80-იანი წლების შემოქმედება (374). პიესები მსახიობთა ცხოვრებიდან (376). ა. ოსტროვსკის დრამატურგიული პრინციპების შესახებ (379). ა. ოსტროვსკი საქართველოში 380).
მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი 381
ბავშვობა და ყრმობა. პირველი ნაწარმოებები (381). გადასახლებაში. „საგუბერნიო ნარკვევები“ (383). 1856—1868 წლები (384). „ერთი ქალაქის ისტორია“ (386). „ბატონი გოლოვლიოვები“ (389). „მონრეპოს თავშესაფარი“, „საზღვარგარეთ“ და სხვ. (392). ზღაპრები (393). შჩედრინი და ქართველი საზოგადოებრიობა (396).
თ. მ. დოსტოევსკი 398
ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი პერიოდი. „საბრალო ადამიანები“ (398). გადასახლებაში. „ბარათები მკვდარი სახლიდან“ (403). სამოციანი წლები. „დანაშაული და სასჯელი“ (406). „იდიოტი“ (412). „ძმები კარამაზოვები“ (414).
1870—90-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა. გლებ უსპენსკი 419
ეპოქის თავისებურება. ხალხოსნობა. (419). გლებ უსპენსკის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი პერიოდი. „რასტერიაევის ქუჩის ზნე-ჩვეულებანი“. „გაპარტახება“ (422). უცხოეთის შთაბეჭდილებანი. „ჩეკების წიგნაკი“ (425). ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე პერიოდი. ნარკვევები გლეხთა ცხოვ-

რებაზე (427). გლებ უსპენსკი და ქართველი საზოგადოებრიობა (429).
ლ. ნ. ტოლსტოი 436
ბავშვობის, ყრმობის და სიჭაბუკის წლები (431). სამხედრო სამსახური. ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი (432). „ომი და მშვიდობა" (441). კუტუზოვის სახე (444). ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი (447). ნატაშა როსტოვა და მარია ბოლკონსკაია (451). „ანა კარენინა" (453). ლ. ტოლსტოის გარდატეხის პერიოდის შემოქმედება (457). „ალგომა" (459). ცხოვრებისა და შემოქმედების უკანასკნელი წლები (462). ლევ ტოლსტოი და საქართველო (463).
ა. ჯ. ჩეხოვი 468
ბავშვობა და ყრმობა. შემოქმედების ადრეული პერიოდი (468). ა. ჩეხოვის შემოქმედება 80-იანი წლების მეორე ნახევარში (473). 90-იანი წლების შემოქმედება (475). დრამატურგია (482). ა. ჩეხოვი საქართველოში (488).
ბიბლიოგრაფია 490

ИБ. № 473

რედაქტორი ე კ. მთვრალაშვილი
გარეკანის მხატვარი ა. სამაშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექრედაქტორი ნ. მგელაძე
უფრ. კორექტორი პ. დგებუაძე
კორექტორი მ. ლაშხია
გამომშვები ო. მაჭავარიანი

გადაეცა წარმოებას 12/XII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-78 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1. ნაბეჭდი თაბახი 31,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 30.49.
უე 00436. ტირაჟი 3000. შეკვ. № 414.
ფასი 1 მან. 21 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1978

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების" კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.